საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საამართლებრივი აქტების კრებული

1918-1921

*

საქართველოს საზოგადოება „ცოდნა“
საქართველოს კოოპერატორთა კავშირი
კოოპერატიული გამომცემლობა

„ივერთა მხარე“

თბილისი — 1990

დემოკრატიულმა საქართველომ მისი არსებობის მოკლე ხნის მანძილზე მეტად საინტერესო საკანონმდებლო მემკვიდრეობა დასტოვა. გაოცებას იწვევს 1918—1921 წწ. მიღებული საკანონმდებლო აქტების სიმრავლე, მათი მაღალი სამართლებრივი კულტურის დონე, პრობლემატიკის ფართო სპექტრი, პოლიტიკური და ეროვნული ხედვა.

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილი 1918—1921 წლების სამართლებრივი აქტები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ არქივის ფონდებში იქნა მიკვლეული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მუშაკების მიერ, დასტურია იმისა, რომ დამოუკიდებელ საქართველოში სამართალშემოქმედებითი მოღვაწეობა მიმდინარეობდა იმდროინდელი ცივილიზებული ქვეყნების აზროვნების დონეზე.

კრებული ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში დაწყებულ დამოუკიდებელ სამართალშემოქმედებით პროცესებს. იგი საინტერესო იქნება, როგორც სპეციალისტებისათვის, ასევე ფართო საზოგადოებრიობისათვის.

მიღებულია საქართველოს ახლადარჩეულ მრავალპარტიულ პარლამენტს.

სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე

შემდგენელი ე. გურგენიძე

© კოოპერატიული გამომცემლობა
„ივერთა მხარე“

საქართველოს დამოუკიდებლობის
ا ج ტ ი

გამოცხადებულია ტფილისში, სასახლის თეთრს დარბაზში 1918 წელს, 26 მაისს, კვირას, ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთს

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდის რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დაუტევა ამიერკავკასია.

დარჩნენ რა თვისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარ საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი სა-

შუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, ა ც ხ ა დ ე ბ ს:

1) ამიერიდგან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰსურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

აქტი
საქართველოს
დამოუკიდებლობისა.

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო.

მე-XVIII-ე საუკუნის მიწურულში მტერთაგან მიერ ყოველის მხრით გარსშემორტყმული და მეტად შეეიწროებული საქართველო რუსეთს შეუერთდა იმ პირობით, რომ რუსეთი მას გარეშე მტერთაგან დაიცავდა.

რუსეთის დიდი რევოლუციის განვითარების დროს ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომლის შედეგიც ბრძოლის მთელი ფრონტის დარღვევა და რუსის ჯარის მიერ ამიერკავკასიის მიტოვება იყო.

საკუთარ ძალების ამარა შთენილმა საქართველომ და მასთან ერთად მთელმა ამიერ-კავკასიამ თვით მოჰკიდეს ხელი საკუთარ ბედის მოწყობას და საჭირო ორგანოებიც შეჰქმნეს; ხოლო გარეშე ძალთა გავლენამ კავშირი, რომელიც ამიერ-კავკასიის ხალხებს აერთებდა, დაარღვია და მისი პოლიტიკური მთლიანობა დაშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა საქართველოს საკუთარ სახელმწიფოს შექმნის აუცილებელ საჭიროებას გადაჭრით უკარნახებს, რათა მტრულ ძალთა დამონებისაგან თავი გადაირჩინოს და თავისუფალ განვითარებას მძლავრი საძირკველი ჩაუყაროს.

ითვალისწინებს რა ზემოდჩამოთვლილს პირობებს საქართველოს ეროვნული საბჭო, ამორჩეული საქართველოს ეროვნულ

კრების მიერ 22 გიორგობისთვეს 1917 წ., დღეს საქვეყნოდ აცხადებს:

1 — დღეიდან ქართველი ერი სუვერენულ უფლებებით აღჭურვილი ერია და საქართველო — სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო.

2 — დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკურ წყობილების სახე დემოკრატიული რესპუბლიკა არის.

3 — საერთაშორისო კონფლიქტების დროს საქართველო ნეიტრალურია.

4 — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ესწრაფვის ყოველ ხალხთან და განსაკუთრებით მეზობელ ერებთან მეგობრული განწყობილება იქონიოს.

5 — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის მიწა-წყალზე ყოველი მოქალაქის, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სქესისა და სოციალური მდგომარეობისა, პოლიტიკურსა და მოქალაქურს უფლებებს უზრუნველჰყოფს.

6 — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მის ტერიტორიაზედ მცხოვრებს ყოველს ერს თავისუფალი განვითარების ფართო ასპარეზს მიანიჭებს.

7 — დამფუძნებელ კრების მოწვევამდე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით შევსებული ეროვნული საბჭო და ეროვნულ საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი დროებითი მთავრობა სრულიად საქართველოს მმართველობის სათავეში სდგანან.

დ ა მ ა ტ ე ბ ა II.

საქართველოს ბაგრატიდთა დიდი სამეფოს დანაწილების შემდეგ, სხვადასხვა სახელმწიფოებმა და სამთავროებმა, რომელთაგანაც საქართველო შესდგებოდა, უცვლელად დაიცვეს როგორც მთლიანობა სარწმუნოებისა და საერთო ცივილიზაცია, აგრეთვე ის საერთო პოლიტიკური მისწრაფება, რომელიც მათ ევროპისაკენ მიიზიდავდა. საქართველოს ნაწილებმა ბევრი ფიქრისა, ცდისა და ყოყმანის შემდეგ რუსეთთან დასდვეს მთელი რიგი პოლიტიკურ ხელშეკრულობებისა, რომელთა შორის უპირველესი და უმთავრესი 1783 წლის ხელშეკრულობა იყო და რომლის ძალითაც აღმოსავლეთი საქართველო რუსეთის იმ-

პერიის პროტექტორატში შედიოდა. სხვა ხელშეკრულობათა მიზანიც იგივე იყო — ავტონომია საქართველოს ქვეყნებისა შინაგან საქმეებში და რუსეთის პროტექტორატი მათ საგარეო განწყობილებებში; ხოლო ეს რეჟიმი, განტკიცებული რუსეთის იმპერატორთა საჯარო დაპირებით, მეტათ ხანმოკლე იყო. რუსეთის იმპერიის ცალმხრივმა აქტებმა 1801 წლიდან 1861 წლამდე რუსეთთან საქართველოს შეერთებით საქართველოს ნაწილების ავტონომია, დამყარებული საერთაშორისო ხელშეკრულებაზედ, მოსპეს ისე, რომ პოლიტიკური ხელშეკრულებანი, დადებულნი რუსეთისა და საქართველოს ქვეყნებს შორის, ფორმალურად გაუქმებულნი არ იყვნენ.

დღიდან საქართველოს ანექსიისა ქართველ პატრიოტთა ოცნებას თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო შეადგენდა. ამ მიმართულების მრავალრიცხოვანი გამომჟღავნება მე-XIX საუკუნეში ყოველ ეჭვს გარეშე ჰყოფს საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას. მე-XX საუკუნის დასაწყისშივე შესდგა პარიზში ქართველთა კომიტეტი, რომლის ორგანო „საქართველო" განთავისუფლებულ და დამოუკიდებელ საქართველოს იდეას ემსახურებოდა. რუსეთის 1905—6 წლების კონსტიტუციის ხანამ მოქმედება რამდენადმე გააადვილა და ყოველგან — სახალხო კრებებზე, ქალაქის თვითმმართველობებში, თავად-აზნაურების ორგანიზაციებში თუ სხვაგან, აგრეთვე როგორც სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან საქართველოს ავტონომიას მოითხოვდნენ. 1907 წელს ქართველმა ერმა ჰაგის მშვიდობიანობის კონფერენციას პეტიციით მიმართა და სთხოვდა საქართველოს კანონიერი უფლებები აღედგინა. ეჭვს გარეშეა, რომ ქართველი ერი მთლიან და განუყოფელ საქართველოს აღდგენას მოითხოვდა; თვით რუსეთის საჯარო სამართალიც, რადგან მან მიანიჭა რუსეთის იმპერატორს საქართველოს ხელმწიფის ტიტული და მისი ღერბი, მხოლოდ ერთ საქართველოს არსებობას გულისხმობდა.

II.

1917 წლის რევოლუციამ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება, ისევე როგორც მთელ რუსეთში, ძირიანად შესცვალა. შეუდრეკელი სურვილი დარღვეულ მაგრამ გარდაუსვლელი უფ-

ლებების აღდგენისა მთელ საქართველოში საყოველთაო იყო. უკვე 1917 წლის მარტში სამღვდელოების და მორწმუნეთა კრებულმა რუსეთის სინოდალურ ეკლესიასთან 1811 წლიდან ძალით შეერთებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღადგინა და ივერიის ეკლესიამ რუსეთის ბატონობის დროს მოსპობილ თავისი კანონიური პრეროგატივებით სარგებლობა დაიწყო. ქართული ავტოკეფალური ეკლესია დღეს მხოლოდ ხალხის მიერ ამორჩეულ ყოველ ქართველთა კათალიკოსს — პატრიარქს ემორჩილება. ამრიგადვე რუსეთის ავტოკრატიის მიერ მოსპობილი საქართველოს პოლიტიკური უფლებანი კვლავ ცხოვრებას უბრუნდებოდნენ. 1917 წლის მარტში ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ, მართებლობის უფლებით მოსილ კომიტეტის შექმნით საქართველოს ავტონომიის აღდგენისკენ უკვე ერთი პრაქტიკული ნაბიჯი იყო გადადგმული — საქართველოს ჰმართავდა არა პეტროგრადი, არამედ საკუთარი დედაქალაქი თბილისი ზემოდ ხსენებულ განსაკუთრებულ კომიტეტის სახით, რომელშიაც ხალხის ნდობით მოსილი პოლიტიკური მოღვაწენი შედიოდნენ.

III.

ამიერ-კავკასიის ხალხები ბოლშევიკების 1917 წლის გიორგობისთვის რევოლუციას არ მიუდგნენ და მათი მთავრობა, უკვე რევოლუციის პირველ ხანებშივე დეცენტრალისტური, ფაქტიურად დამოუკიდებელი შეიქმნა. როდესაც რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკეს, თბილისში ამიერ-კავკასიის სეიმი დაარსდა და ამ სეიმმა 22 აპრილს 1918 წელს ამ ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რაც უცხო ქვეყნებსაც ამცნო. ამასთანავე ამიერკავკასიის სხვა და სხვა ნაწილები პოლიტიკურ ერთეულების შექმნას შეუდგნენ. საქართველოს ეროვნული საბჭო შეიკრიბა (გიორგობისთვის 1917 წელს) და დააარსა ეროვნული საბჭო, რომელსაც საქართველოს ეროვნულ საქმეების ხელმძღვანელობა დაევალა. საქართველოს ეროვნული საბჭო ამიერ-კავკასიის სეიმს და მთავრობას მჭიდროდ ეკავშირებოდა. ამიერ-კავკასიის სეიმის ქართული სექცია საქართველოს ეროვნულ საბჭოს სრულუფლებიანი წევრი იყო.

IV

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის აქტის ფორმალური გამოცხადების დროს (22 აპრილს 1918 წელს) ნაგულისხმები იყო არსებობა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოსი, რომელიც ამიერ-კავკასიის დანარჩენ ხალხებთან კონფედერატიულ კავშირში შედიოდა. ამ კავშირის უმთავრეს დებულებებს უკვე იმუშავებდნენ. ამ დროს შექმნილმა პირობებმა საქართველოს და ამიერ-კავკასიის დანარჩენ ხალხებისათვის ცხადჰყვეს, რომ საჭირო იყო შეცვლა მიღებულ პოლიტიკურ გეზისა და ამიერ-კავკასიის შემადგენელ ელემენტებისაგან შემზადება ისეთი ორგანიზაციისა, რომელიც მომავალში ამიერ-კავკასიას და შეიძლება მთელ კავკასიასაც კონფედერაციად გარდაჰქმნიდა. ოსმალეთის ჯარმა, წინააღმდეგ თვით ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობისა, ბათომისა, ყარსისა და არდაღანის პროვინციები, რუსეთის სომხეთი და აზერბეიჯანი დაიპყრო. ამ მოვლენამ ამიერ-კავკასიის სეიმი იძულებულ ჰყო ამიერ-კავკასიის სეიმის დაშლა ერთხმად დაედგინა. ამ გარეგან ძალთა და ზემოდმოყვანილ პირობათა გაელენით საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს აქტი 1918 წელს 26 მაისს მოხდა.

V.

ამ მომენტში, ისევე როგორც უკვე 22 აპრილის დეკლარაციის დროს, საქართველოში და საერთოდ ამიერ-კავკასიაში აღარ არსებობდა არც ერთი ისეთი მთავრობა, დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელსაც რუსეთთან, ანუ დიდი რუსეთის ბოლშევიკურ რესპუბლიკასთან, რომლის შეიარაღებული ძალებიც ამიერ-კავკასიიდან სავსებით გაყვანილ იქმნენ, რაიმე დამოკიდებულობა ჰქონოდეს.

ზემოდმოხსენებულიდან ორი უმთავრესი დასკვნა გამომდინარეობს: ერთი — უკვე კარგა ხანმა განვლო მას შემდეგ, რაც რუსეთის სახელმწიფო ამიერ-კავკასიას სრულიად მოშორდა; ამიერ-კავკასია რუსეთის ნაწილს აღარ შეადგენდა და მასთან არაფრით აღარ იყო დაკავშირებული. მეორე — ამიერ-კავკასია

res nullius-ს არაფრით არ ემსგავსებოდა, პირიქით, ამის სრულიად საწინააღმდეგო მოვლენა მოხდა: რუსეთის ყოფილმა პროვინციამ — ამიერ-კავკასიამ დამოუკიდებელი სახელმწიფო შეჰქმნა და შემდეგში ამ ქვეყნის ერთმა ნაწილმა — საქართველომ თავის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საქართველოს მაგალითს რუსეთის სასომხეთი და აზერბეიჯანი მიჰყვნენ, რაც საზოგადოებრივ აზრის და ამიერ-კავკასიის პარლამენტის მიერ მიღებულ ფედერალისტურ კონცეფციას ეთანხმებოდა.

VI.

ამრიგად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს საქართველოში რუსეთის სახელმწიფო აღარ იყო და ამიტომ ეს დეკლარაცია რუსეთის წინააღმდეგ არ მომხდარა. საქართველოში მისი დამოუკიდებლობის დეკლარაციამდე უკვე განმტკიცებული სახელმწიფო რეჟიმი არსებობდა და ეს რუსეთის სახელმწიფო არ იყო. რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის შემუშავებულ საარჩევნო კანონის მიხედვით ამორჩეულმა საქართველოს ეროვნულ ცხოვრების ორგანომ — საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, გარდაიქმნა რა იგი საქართველოს წარმომადგენელთა კრებულად, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა შეჰქმნა. დამყარებული ასეთს მტკიცე საფუძველზედ საქართველოს მთავრობა ცნობილ უნდა იქმნას, როგორც ეროვნული მთავრობა, რომლის ავტორიტეტი და უფლება ყოველ ეჭვს გარეშეა, ისევე როგორც საქართველოს ეროვნული საბჭო უნაკლო და ნამდვილი წარმომადგენლობა არის.

VII.

რეზიუმე ზემოდმოყვანილისა შემდეგია: შეერთებული რუსეთთან საქართველოს მეფეთა მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადებით საქართველო, რომელიც არასოდეს არ ყოფილა რუსეთის იარაღის ძალით დაპყრობილი, განაგრძობდა თვით რუსეთის ერთ საუკუნის ბატონობის დროსაც კი ეროვნულ ცოცხალ ორგანიზმის არსებობას და მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდა, რათა აღედგინა თავისი გარდაუსვლელი ეროვნული უფ-

ლებანი და საკუთარი პოლიტიკური და ეროვნული მისწრაფებანი განეხორციელებინა.

დიდი ომის განმავლობაში ბრესტ-ლიტოვსკის ზავამდის, რუსეთის ერთგულ საქართველოს აღარ შეეძლო უმოქმედოდ დარჩენილიყო იმ დროს, როდესაც რუსეთის მთავრობამ თავისი მოქმედებით მტერს საზღვრები გაუღო და ხელშეკრულობით საქართველოს პროვინციები დაუთმო. მას შემდეგ, რაც ამიერ-კავკასიიდან რუსეთის სახელმწიფო სრულიად გაჰქრა და საქართველომ დაინახა, რომ საკუთარ ძალების ამარა არის მიტოვებული, ჯერ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს განმტკიცებაში მიიღო მონაწილეობა და შემდეგ გარემოებათა ძალით რუსეთთან (რომლის მთავრობამაც გარდა ყველა ამ მოსაზრებისა ოფიციალურ დეკრეტებით მიიღო პრინციპები — რომელთა მიხედვით ყოველ ერს აქვს სრული უფლება ამოირჩიოს ისეთი პოლიტიკური რეჟიმი, როგორიც მას სურს და თვით რუსეთსაც კი გამოეყოს თუ ამას მოისურვებს) ყოველ ხელშეკრულობათაგან სრულიად განთავისუფლებული საკუთარ სახელმწიფოს შექმნას შეუდგა.

ამრიგად ქართველ ერს, აღიდგინა რა რუსეთის ბატონობის მიერ დარღვეული უფლებანი, სურს თავისუფლად შეჰქმნას თავისი სახელმწიფო და მოაწყოს თავისი საერთაშორისო დამოკიდებულობა, რათა შესძლოს როგორც მის, აგრეთვე კავკასიის საკეთილდღეოთ ხანგრძლივად და უზრუნველყოფით ისარგებლოს თავის აღდგენილი უფლებებით.

1918

სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაარსებისა[1]

საქართველოს ეროვნულ საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 28 ივნისის კანონი

მ უ ხ. 1. დაარსდეს საქართველოს რესპუბლიკაში თანამდებობა სახელმწიფო კონტროლიორისა.

სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს ეროვნული საბჭო, იგი არ შედის მინისტრთა კაბინეთში და პასუხისმგებელია მხოლოდ ეროვნული საბჭოს წინაშე.

მ უ ხ. 2. უთანხმოებას რესპუბლიკის კონტროლიორსა და მთავრობას შორის არჩევს და სწყვეტს ეროვნული საბჭო.

მ უ ხ. 3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედი კანონების ის მუხლები, რომელიც ამ დებულებას ეწინააღმდეგება, ამიერიდან გაუქმებულია.

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 2 ივლისის კანონი

რევოლუციის დროს, განსაკუთრებით უკანასკნელ დღეებში, როცა უთვალავი საფრთხე და უბედურება ემუქრებოდა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ, ნორჩ და გაუმაგრებელ სახელმწიფოს, წითელმა გვარდიამ დაუფასებელი სამსახური გაუწია თავისუფლებასა და სამოქალაქო წესრიგის დამყარებას.

---

[1]. იხ. გვ. 112.

წითელი გვარდია, რომელიც შესდგა მოწინავე მუშებისა და გლეხებისაგან, გმირულის ვაჟკაცობით იცავდა თავისუფლებასა და რევოლუციას გარეშე და შინაურ მტრებისაგან; მან იტვირთა მთელი სიმძიმე ბრძოლისა გაძლიერებულ ანარქიასთან, რომლის მღვრიე ტალღები წალეკვას უქადდა საქართველოს რესპუბლიკას.

წითელი გვარდიის ამ დიადი სამსახურის აღსანიშნავად ეროვნული საბჭო ამით აცხადებს წითელ გვარდიას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახალხო გვარდიად. სახალხო გვარდიაში რჩებიან წითელი გვარდიის ყველა ნაწილები თავის შტაბებით და შედგენილობით.

სახალხო გვარდიის მდგომარეობა რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა საერთო სისტემაში და მისი არსებობისა და მოქმედების საფუძველი განისაზღვრება შემდეგი მუხლებით:

მ უ ხ. 1. სახალხო გვარდიის მიზანი იგივეა, რაც სახელმწიფოს მთელი შეიარაღებულ ძალისა — დაცვა დემოკრატიულ რესპუბლიკის, მისი დამოუკიდებლობის და თავისუფლების.

მ უ ხ. 2. სახალხო გვარდიაში შესვლა შეუძლიან ყველა მსურველს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთაგან, რომელიც არ ირიცხება ნამდვილ სამხედრო სამსახურში, არის უმწიკვლო და ერთგული დემოკრატიულ რესპუბლიკისა. სახალხო გვარდიაში ჩარიცხვა არავის ანთავისუფლებს სამხედრო ბეგარისაგან.

მ უ ხ. 3. სახალხო გვარდიაში მსურველების მიღება ევალებათ მის რაიონულ შტაბებს, თანახმად იმ ინსტრუქციისა, რომელსაც შეიმუშავებს გვარდიის მთავარი შტაბი და დაამტკიცებს რესპუბლიკის მთავრობა.

მ უ ხ. 4. სახალხო გვარდიელი ვალდებულია, სათანადო შტაბის მოწოდებისთანავე, დაუჭოვნებლივ დაანებოს თავი ჩვეულებრივ შრომას და გამოცხადდეს დანიშნულ ადგილს ყველა იარაღით და გაწყობილობით, რომელიც შტაბისაგან აქვს მიღებული.

მ უ ხ. 5. სახალხო გვარდიელი ვალდებულია რიგიანად შეინახოს მიღებული იარაღი და გაწყობილობა. სამსახურის გარეშე არა აქვს უფლება გამოცხადდეს საჯარო ადგილებში იარაღით ან იხმაროს მიღებული გაწყობილობა.

მ უ ხ. 6. სამსახურის დროს (მეცადინეობის, დარაჯობის,

საბრძოლველად გამგზავრების ან რაიმე დავალების ასრულების დროს) სახალხო გვარდიელი ემორჩილება სამხედრო დისციპლინის ყოველ მოთხოვნილებას და საქართველოს რესპუბლიკის ჯარში მომქმედ ყოველ კანონს. მე-4 და მე-5 მუხლის დარღვევისათვის სახალხო გვარდიელი ისევე აგებს პასუხს, როგორც ჯარისკაცი მზგავსი დანაშაულისათვის.

მ უ ხ. 7. სახალხო გვარდიაში სამსახური უსასყიდლოა, მაგრამ სახალხო გვარდიელის ოჯახს, გვარდიელის მიერ სამსახურის შესრულების დროს, ეძლევა მთავრობისაგან შესაფერი დახმარება. რაოდენობა დახმარებისა განისაზღვრება ცალკე კანონით. გვარდიელს ადგილი უჯამაგიროდ შეენახება. გვარდიელს, რესპუბლიკის სამსახურში დაშავებულს, ან მოკლულის ოჯახს ეძლევა დახმარება, რომლის რაოდენობა განისაზღვრება თანახმად სამხედრო კანონების — ჯარისკაცთა დახმარების შესახებ.

სახალხო გვარდიის ინსტრუქტორები და ოფიცრები მიიღებენ სასყიდელს, რომლის რაოდენობაც განისაზღვრება სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მიერ, საქართველოს რესპუბლიკის ჯარში დაწესებულ ჯამაგირების მიხედვით.

მ უ ხ. 8. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრებს დანიშნავს მთავრობის თავმჯდომარე იმ კანდიდატებისაგან, რომლებსაც წარმოადგენს მთავარი შტაბი. რაიონულ შტაბების წევრებს დანიშნავს მთავარი შტაბი; იგივე შტაბი დანიშნავს სახალხო გვარდიის ცალკე ნაწილების უფროსებს, რომელნიც დამტკიცებულ იქნებიან თანამდებობაზე იმავე წესით, როგორც საქართველოს რესპუბლიკის სათანადო ნაწილების უფროსები.

მ უ ხ. 9. სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს მთავრობა აძლევს საჭირო თანხას, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს სამხედრო სამინისტროს უწყების ხარჯთაღრიცხვაში.

მ უ ხ. 10. სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს, სამხედრო სამინისტროს ნებართვით, შეუძლიან სახალხო გვარდიელებისაგან შეადგინოს ყოველგვარი შეიარაღებული ნაწილები, რომელთა შეიარაღებისა და გაწვრთნისათვის თითონ ზრუნავს.

სამხედრო უწყება აძლევს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ყოველგვარ მოწყობილობას გვარდიის საჭიროებისა და ... ნახმად მოთხოვნილებისა.

მ უ ხ. 11. სახალხო გვარდიის ვერც ერთს ნაწილს ვერ გამოიწვევენ ისე, თუ არა მთავარი შტაბის საშუალებით. სახალხო გვარდიის გამოწვევის უფლება ეკუთვნის მთავრობის თავმჯდომარეს. თუ თავმჯდომარისათვის შეუძლებელია ამ უფლებით სარგებლობა, სახალხო გვარდია შეიძლება გამოწვეულ იქნეს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მიერ. საგანგებო მნიშვნელობის შემთხვევაში სახალხო გვარდიის გამოწვევის უფლება გადადის პირდაპირ მის მთავარ შტაბზე და რაიონულ შტაბებზე, მხოლოდ რაიონული შტაბი ამ შემთხვევას აცნობებს მთავარ შტაბს.

მ უ ხ. 12. სახალხო გვარდიის ყველა ნაწილი, გამოწვეული თანახმად მე-11 მუხლისა, ემორჩილება იმ პირს და უწყებას, რომლის განკარგულებაში იგზავნება გამომწვეველთა მიერ.

ჯაშუშობის საქმეთა კომისიის გაუქმება

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 2 ივლისის კანონი

1. საგანგებო საგამომძიებლო კომისია ჯაშუშთა საქმეებისა გაუქმდეს.

ეროვნულ საბჭოს რეგლამენტი

მიღებულია ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 5 ივლისს

თ ა ვ ი 1.

საბჭოს გახსნა და საბჭოს წევრთა რწმუნებულების შემოწმება

მ უ ხ. 1. საბჭოს პირველ სხდომას ხსნის მისი უხუცესი წევრი, რომელიც მუდმივი თავმჯდომარისა და მდივნის არჩევამდე თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს. მდივნის თანამდებობას იმავე დროს ასრულებს საბჭოს უხუცესი წევრი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: წლოვანებას არკვევს საბჭოს კანცელარია, თანახმად წევრთა მიერ წარდგენილი ცნობისა.

მ უ ხ. 2. არჩეულ წევრთა ნახევარზე მეტი რიცხვის რწმუნებულებათა შემოწმებამდე და თავმჯდომარისა და მდივნის არჩევამდე საბჭო სხვა საკითხებს არ შეეხება.

მ უ ხ. 3. საბჭოს წევრთა რწმუნებულების შესამოწმებლად საბჭო ირჩევს სამანდატო კომისიას.

მ უ ხ. 4. თავდაპირველად საზოგადო კრებას დასამტკიცებლად წარედგინება ისეთი არჩევნები, რომელთა გამო საჩივარი არ არის შემოტანილი და რომელთა დამტკიცებაც კომისიას შესაძლებლად მიაჩნია.

მ უ ხ. 5. თავის მოხსენებას არჩევნების გაუქმების შესახებ კომისია წერილობით წარუდგენს განსახილველად საზოგადო კრებას. ამ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს 34-ე მუხლში აღნიშნული წესი.

მ უ ხ. 6. საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს წევრის ყველა უფლებით იმ დრომდე, სანამ მიღებული არ იქნება დადგენილება მისი არჩევანის გაუქმებისა.

თ ა ვ ი 2.

თანამდებობის პირთა არჩევანი.

მ უ ხ. 7. არჩეულ წევრთა ნახევარზე მეტი რიცხვის რწმუნებულებათა დამტკიცების შემდეგ საბჭო აირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის ორ ამხანაგს, მდივანსა და მდივნის ამხანაგს.

მ უ ხ. 8. ზემოხსენებულ (მუხ. 7.) თანამდებობათა კანდიდატებს ასახელებენ ბარათებით. კენჭი ეყრება იმ კანდიდატებს, რომლებიც ამის თანხმობას განაცხადებენ.

მ უ ხ. 9. არჩევანი მოხდება ფარული კენჭისყრით ბარათებით.

მ უ ხ. 10. არჩეულად ის ითვლება, ვინც ნახევარზე მეტ ხმას მიიღებს. თუ კანდიდატებმა თანაბარი ხმა მიიღეს, მათ წილს ეყრის თავმჯდომარე.

მ უ ხ. 11. თუ ნახევარზე მეტი ხმა არავის ამოუვიდა, მოხდება ახალი არჩევანი (მუხ. მე-8 და მე-9); თუ მეორე არჩევნების დროსაც ნახევარზე მეტი ხმა არავინ მიიღო, არჩეულად

ჩაითვლება ის, ვისაც სხვებთან შედარებით მეტი ხმა ამოუვა.

მ უ ხ. 12. მე-7 მუხლში აღნიშნულ თანამდებობის პირთ ირჩევენ ერთი წლით.

მ უ ხ. 13. თუ რომელიმე მე-7 მუხლში აღნიშნული თანამდებობა ვადის გასვლამდე განთავისუფლდა, ეს უნდა ეცნობოს მახლობელ სხდომაზე საბჭოს, რომელიც დანიშნავს ახალი არჩევნების დღეს. ახლად არჩეული პირი თანამდებობაზე დარჩება იმ ვადამდე, როდემდისაც არჩეული იყო მისი წინამოადგილე.

თ ა ვ ი 3.

საბჭოს კომისიები.

მ უ ხ. 14. საბჭოს შეუძლიან წინასწარი განხილვა საქმეებისა თავის არჩეულ კომისიებს მიანდოს.

მ უ ხ. 15. საბჭო კომისიებს ფარული კენჭისყრით აირჩევს.

მ უ ხ. 16. არჩეულად ითვლებიან საბჭოს ის წევრები, რომლებიც ნახევარზედ მეტ ხმას მიიღებენ. თუ ამნაირი წესით კომისიის სრული შედგენილობა არჩეული ვერ იქნა, მაშინ მოხდება მეორე დამატებითი არჩევანი. ამ შემთხვევაში არჩეულად ის ჩაითვლება, ვინც სხვასთან შედარებით მეტ ხმას მიიღებს.

მ უ ხ. 17. საბჭო აირჩევს: 1) მუდმივ კომისიებს, რომელთაც ექნებათ განსაკუთრებული ვალდებულებანი, ან დაევალებათ განხილვა ერთგვარი კანონპროექტებისა და საკითხებისა (კანონმდებლობის განსაკუთრებული განყოფილებისა) და 2) დროებით კომისიებს, რომელთაც განსახილველად ექნებად განსაზღვრული კანონპროექტები და საკითხები.

მ უ ხ. 18. მუდმივი კომისიებია: 1) საფინანსო-საბიუჯეტო, რომელსაც დაევალება განხილვა შემოსავალ-გასავალის პროექტისა უწყებათა საფინანსო ხარჯთაღრიცხვასთან ერთად, განხილვა სხვა და სხვა ხარჯისა, რომელიც ხაზინამ უნდა გაიღოს, და აგრეთვე წინასწარი განხილვა იმ საქმეებისა, რომელიც საფინანსო კანონმდებლობას შეეხება; 2) სარედაქციო, რომელსაც დაევალება საბჭოს მიერ მიღებული კანონპროექტის საბოლოო ტექსტის შემუშავება; 3) საბიბლიოთეკო, რომელიც

განაგებს საბჭოს ბიბლიოთეკას; 4) სამეურნეო-საგამგეო, რომელიც განაგებს საბჭოს სამეურნეო საქმეებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საბჭოს შეუძლიან, თუ საჭიროდ დაინახავს, სხვა მუდმივი კომისიებიც აირჩიოს.

მ უ ხ. 19. კომისიების წევრთა რიცხვს განსაზღვრავს თვით საბჭო.

მ უ ხ. 20. მუდმივი კომისიების არჩევნები მოხდება ყოველწლივ სესიის დასაწყისში.

მ უ ხ. 21. მუდმივი კომისია განაგრძობს მოქმედებას ახალი შედგენილობის არჩევამდე. დროებითი კომისია გაუქმებულად ჩაითვლება იმ დროიდან, როცა საბჭო საბოლოოდ გადასჭრის საკითხს, რომლისთვისაც ეს კომისია იყო არჩეული.

მ უ ხ. 22. კომისიის პირველ სხდომას იწვევს საბჭოს მდივანი, საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით, არა უგვიანეს სამის დღისა კომისიის არჩევის შემდეგ. კომისიის პირველ სხდომას გახსნის უხუცესი წევრი. პირველი სხდომა კანონიერად ჩაითვლება, თუ წევრთა ნახევარზე მეტი დაესწრო; შემდეგნი კი — თუ დაესწრო კომისიის მთელი შედგენილობის არა ნაკლებ ერთი მესამედისა. ის კომისია, რომლის წევრთა კანონიერი რიცხვი სამჯერ მოწვევის შემდეგ არ შეიკრიბება, გაუქმებულად ჩაითვლება და ახალი არჩევანი დაინიშნება.

მ უ ხ. 23. კომისია პირველ სხდომაზე აირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს. სურვილისამებრ შეუძლიან თავმჯდომარის ამხანაგებიც აირჩიოს. არჩევანი მე-10 და 11 მუხლში აღნიშნული წესით სწარმოებს. შედეგი არჩევნებისა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საბჭოს თავმჯდომარეს.

კომისია, რომლის მოქმედებაც ერთ წელიწადზე მეტი გრძელდება, ყოველ წლივ ამოირჩევს თანამდებობის პირებს.

მ უ ხ. 24. არავის შეუძლიან იყოს ერთსა და იმავე დროს ორი კომისიის თავმჯდომარედ და მდივნად.

მ უ ხ. 25. კომისიას შეუძლიან თავის წრეში ამოირჩიოს მცირე კომისია. მცირე კომისიის არჩევნების წესს თვით კომისია განსაზღვრავს.

მ უ ხ. 26. თუ კომისია საჭიროდ სცნობს მოისმინოს მთავრობის წევრთა, ან სხვა თანამდებობის პირთა სიტყვიერი განმარტებანი, ან რაიმე საბუთები განიხილოს, უნდა აცნობოს

სათანადო პირთ და დაწესებულებებს, რომელნიც ვალდებულნი არიან კომისიის მოთხოვნილება დააკმაყოფილონ. მთავრობის წევრს უფლება აქვს, თუ მოისურვებს, თავისი მხრით წარუდგინოს კომისიას თავისი განმარტებანი, ან გასაჯინჯად გადასცეს საბუთები და ქაღალდები.

მ უ ხ. 27. კომისიები, თუ საჭიროდ დაინახავენ, მცოდნე პირებს მოიწვევენ. საბჭოს წევრებს შეუძლიათ, თუ მოისურვებენ სათათბირო ხმით დაესწრნენ კომისიის სხდომებს.

მ უ ხ. 28. კომისიის მდივანი აწარმოებს სხდომების ჟურნალს, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: სხდომის დრო, დამსწრეთა სახელი და გვარი, სია განხილული საკითხებისა, კომისიაში შეტანილი სხვა და სხვა წინადადებანი, დადგენილებანი და დასკვნანი.

მ უ ხ. 29. კომისიის მოხსენებაში, თავის მოსაზრებათა და საქმის ვითარების აღნუსხვის გარდა, წარმოდგენილ უნდა იყოს დასკვნა საბჭოს დადგენილებათა პროექტის სახით.

მ უ ხ. 30. კომისიებში კითხვები გადაწყდება ხმის უბრალო უმრავლესობით. თუ ხმები თანასწორად გაიყო, მიღებულად მიჩნეულ უნდა იყოს ის აზრი, რომელსაც თავმჯდომარე მიემხრობა.

მ უ ხ. 31. თუ საკითხის გამო რამდენიმე სხვა და სხვა დასკვნა იქნა წარმოდგენილი და უმრავლესობა არც ერთს არ მიემხრო, ამ შემთხვევაში კომისიის მოხსენებაში აღნიშნულ უნდა იყოს ორი წინადადება, რომელსაც შედარებით წევრთა მეტი რიცხვი მიემხრო,

მ უ ხ. 32. კომისიის ყოველ წევრს უფლება აქვს თავისი განსაკუთრებული აზრი წარუდგინოს კომისიას წერილობით. მაშინ კომისია ვალდებულია ის აზრი თავის მოხსენებასთან ერთად განსახილველად საბჭოს წარუდგინოს.

მ უ ხ. 33. საბჭოს წინაშე განმარტების მისაცემად, ან წერილობითი მოხსენების წარსადგენად კომისია ერთს ან რამდენსამე მომხსენებელს ამოირჩევს.

მ უ ხ. 34. კომისიის მოხსენებანი, საბჭოში წარდგენისთანავე, საბჭოს წევრებსა და მთავრობის სათანადო წევრებს გაეგზავნება. იმ დროიდან უნდა გავიდეს არა ნაკლებ სამის დღისა, სანამ მოხსენებანი საზოგადო კრებას წარედგინებოდეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეს ვადა შეიძლება შემცირებულ იქნეს მხოლოდ საბჭოს დადგენილებით.

მ უ ხ. 35. თუ კანონპროექტი ორს, ან რამდენსამე კომისიას შეეხება, საბჭოს შეუძლიან დაადგინოს, რომ ასეთი კანონპროექტი განხილულ იქნეს კომისიათა შეერთებულ სხდომაზე. ასეთ შემთხვევაში თავმჯდომარეს და მომხსენებელს კომისიათა შეერთებულ სხდომაზე ამოირჩევენ.

მ უ ხ. 36. როდესაც საბჭო კანონპროექტს კომისიას გადასცემს განსახილველად, შეუძლიან მოსთხოვოს, რომ ამ კომისიამ თავის მოხსენებასთან ერთად წარმოადგინოს დასკვნა სხვა კომისიებისაც, იმ საკითხისთვის, რომელიც მათ სპეციალურ საგანს შეეხება.

მ უ ხ. 37. კომისია, რომელიც წარმოადგენს დასკვნას სპეციალური საკითხის გამო, თავის განსაკუთრებულ მომხსენებელს ამოირჩევს ამ დასკვნის დასაბუთებლად საბჭოს საზოგადო კრების წინაშე.

მ უ ხ. 38. კომისიას, რომელსაც კანონპროექტის განხილვა აქვს დავალებული, შეუძლიან თითონ, საბჭოს დაუდგენლადაც, გამართოს შეთანხმებული მუშაობა სხვა კომისიებთან, მოითხოვოს მათგან დასკვნანი სპეციალური საკითხების გამო და სხვა. ასეთ შემთხვევაში მოწვეული კომისიის წევრები კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მიიღებენ და არც თავის განსაკუთრებულ მომხსენებელს ამოირჩევენ.

მ უ ხ. 39. ისეთ შემთხვევაში, როდესაც კომისიას სურს მონაწილეობა მიიღოს მეორე კომისიისთვის მინდობილ საქმის განხილვაში, ან ვერ შეუთანხმდება მეორე კომისიას საერთო მუშაობის დამყარების საკითხში, ან სურს უარი სთქვას საბჭოს დავალებაზე, — დაინტერესებული კომისია სათანადო შუამდგომლობით მიმართავს საბჭოს პრეზიდიუმს, რომელსაც ეს შუამდგომლობა თავის დასკვნასთან ერთად განსახილველად საბჭოში შეაქვს.

თ ა ვ ი 4.

საქმეთა განხილვის წესი საბჭოში.

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

საკანონმდებლო საქმეთა განხილვის წესი.

მ უ ხ. 40. საკანონმდებლო საქმეს საბჭო გადასწყვეტს მას შემდეგ, როცა ეს საქმე განხილულ იქნება კომისიაში და უკანასკნელი წარმოადგენს სათანადო მოხსენებას.

მ უ ხ. 41. საბჭოში წარდგენილ კანონპროექტებისა და საკანონმდებლო განცხადებათა სია საზოგადო კრებას მახლობელ სხდომაზე უნდა წარედგინოს.

მ უ ხ. 42. კანონპროექტის ან საკანონმდებლო განცხადების კომისიაში გადაცემის შემდეგ, ყველა საკანონმდებლო წინადადება, რომელიც კომისიაში გადაცემულ საქმეს შეეხება, უნდა გადაეცეს მასალად იმავ კომისიას 41-ე მუხლში აღნიშნულ წესით.

მ უ ხ. 43. კომისიის მიერ საზოგადო სხდომაზე შეტანილი ყველა კანონპროექტი განხილულ უნდა იქნეს ორჯერ.

მ უ ხ. 44. კანონპროექტის განხილვა იწყება მის ძირითად დებულებათა საზოგადო განხილვით (პირველი განხილვა). პირველი განხილვის შემდეგ თავმჯდომარე დასვამს საკითხს, სურს თუ არა საბჭოს კანონპროექტის მუხლობრივ განხილვას შეუდგეს. თუ საბჭომ მუხლობრივ განხილვაზე გადასვლა არ მიიღო, კანონპროექტი უარყოფილად უნდა ჩაითვალოს.

მ უ ხ. 45. კანონპროექტის მეორე განხილვის მიზანია ცალ-ცალკე მუხლების განხილვა. ცალკე მუხლების განხილვის დროს, საბჭოს დადგენილებით, შეიძლება წესი მუხლობრივი განხილვისა შეიცვალოს: ან რამდენსამე მუხლის განხილვა შეერთდეს, ან ერთი მუხლი რამდენსამე ნაწილად დაიყოს და თითოეული ნაწილი ცალკე განხილულ იქნეს.

მ უ ხ. 46. კანონპროექტის მეორე განხილვის დროს შეიძლება წერილობით შეტანილ იქნას ცალკე მუხლთა შესწორებანი ან დამატებითი მუხლები. შესწორებანი და დამატებანი თავმჯდომარემ უნდა გამოაქვეყნოს იმ მუხლის განხილვის დაწყებამდე, რომელსაც შესწორება ან დამატება შეეხება. მუხ-

ლის განხილვის დროს შეტანილი შესწორებანი და დამატებანი თავმჯდომარემ ორატორთა სიტყვებს შუა უნდა გამოაქვეყნოს.

მომხსენებლის, ან მთავრობის წევრთა განცხადებით შესწორებანი ან დამატებანი საზოგადო კრების განხილვამდე კომისიას უნდა გადაეცეს წინასწარ განსახილველად. იმ შემთხვევაში მეორე განხილვა კანონპროექტისა, ან ცალკე მუხლისა უნდა გადაიდოს იმ დრომდე, სანამ თავად დასკვნას არ წარმოადგენს კომისია, რომელსაც საბჭოს შეუძლიან განსაზღვრული ვადა დაუნიშნოს. სარედაქციო ხასიათის შესწორება კენჭის უყრელად უნდა გადაეცეს სარედაქციო კომისიას.

მ უ ხ. 47. მუხლობრივ განხილვის შემდეგ თავმჯდომარე დასვამს საკითხს: შეიწყნარებს თუ არა საბჭო კანონპროექტს მიღებული შესწორებით მთლიანად.

მ უ ხ. 48. საბჭოს მიერ მიღებული კანონპროექტი უნდა გადაეცეს სარედაქციო კომისიას საბოლოო ტექსტის შესამუშავებლად, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება საზოგადო კრებას.

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

შემოსავალ-გასავლის განხილვის წესი.

მ უ ხ. 49. მთავრობის მიერ შეტანილი პროექტი შემოსავალ-გასავლისა და უწყებათა საფინანსო ხარჯთაღრიცხვანი, აგრეთვე საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შეტანილი ხარჯთაღრიცხვა დაუყოვნებლივ საბიუჯეტო საფინანსო კომისიას უნდა გადაეცეს.

მ უ ხ. 50. ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტის განხილვას საბჭო მას შემდეგ იწყებს, როცა წარმოდგენილი იქნება საბიუჯეტო კომისიის ყველა მოხსენებანი: 1) მთელი შემოსავალ-გასავლისა, 2) შემოსავლისა და ცალკე ხარჯების პროექტისა (ე. ი. სახელმწიფო გასავლის რამდენიმე ნომერთა კრებულისა).

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ (50) მუხლში აღნიშნული წესი ხარჯთაღრიცხვის განხილვისა შეიძლება შეიცვალოს საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით, თანახმად საბიუჯეტო კომისიის მოხსენებისა.

მ უ ხ. 51. საბიუჯეტო კომისიის მოხსენებას საბჭო გაარ-ჩევს არაუადრეს ერთი კვირისა დღიდან მოხსენებათა დარიგებისა საბჭოს წევრთა შორის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მოხსენებაში კერძო ხარჯთაღრიცხვათა პროექტების შესახებ საბჭოს წევრებს დაბეჭდვისთანავე ურიგდება.

მ უ ხ. 52. პირველად განხილულ უნდა იქნეს ხარჯთაღრიცხვის პროექტის ძირითადი საფუძვლები (პირველი განხილვა). ამის შემდეგ უნდა გადაწყდეს კენჭის ყრით საკითხი მუხლობრივ განხილვაზე გადასვლის შესახებ.

მ უ ხ. 53. მეორეთ განხილულ უნდა იქნეს შემოსავალ-გასავლის ცალკე მუხლები (მეორე განხილვა). თუ მუხლს თან ახლავს როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნუსხა, ამ შემთხვევაში პირველად განხილულ უნდა იქნეს და კენჭი ეყაროს გასავლის პროექტს.

მ უ ხ. 54. ხარჯთაღრიცხვის პროექტის განხილვა სწარმოებს ნომერთა რიგის მიხედვით ერთის მხრივ და ნომრების იმ ჯგუფების მიხედვით მეორეს მხრივ, რომელნიც წარმოადგენენ ცალკე უწყებათა საფინანსო ხარჯების ნუსხას.

პირველად უნდა განხილულ იქნეს მთელი უწყების საფინანსო ხარჯთაღრიცხვის საზოგადო საფუძვლები, შემდეგ კი ხარჯთაღრიცხვის პროექტის ცალ-ცალკე მუხლები.

მ უ ხ. 55. შემოსავლის პროექტის განხილვის დროსაც პირველად მსჯელობა უნდა მოხდეს პროექტის საზოგადო საფუძვლის თაობაზე, შემდეგ კი მისი თითოეული პარაგრაფის გამო ცალ-ცალკე.

მ უ ხ. 56. როგორც გასავლის თითოეულ ნომერთ, ისე შემოსავლის თითოეულ მუხლს ცალ-ცალკე უნდა ეყაროს კენჭი.

მ უ ხ. 57. როდესაც შემოსავალ-გასავლის ყველა მუხლის კენჭის ყრა გათავდება, საბიუჯეტო კომისია წარუდგენს საბჭოს შემოსავალ-გასავლის შესწორებულ პროექტს, რომელიც შედგენილ უნდა იქნეს თანახმად საბჭოს მიერ მიღებული შესწორებისა და ცვლილებისა. ამის შემდეგ კენჭი უნდა ეყაროს შემოსავალ-გასავლის კანონპროექტის თითოეულ მუხლს ცალ-ცალკე, შემდეგ კი კანონპროექტს მთლიანად.

მ უ ხ. 58. შესწორებანი შემოსავალ-გასავლის კანონპროექტ-

ში შესატანად საბჭოს უნდა წარედგინოს თავმჯდომარის სახელზე იმ დრომდე, სანამ საბჭო შეუდგებოდეს იმ ნომერთა ჯგუფის განხილვას, რომელთაც ეს შესწორებანი შეეხება (მუხ. 54).

მ უ ხ. 59. შემოსავალ-გასავლის პროექტში შესატანად წარდგენილი შესწორებანი დაისმის საბჭოს კრებაზე განსახილველად და გადასაჭრელად მხოლოდ საბიუჯეტო კომისიის მიერ დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

მ უ ხ. 60. თუ შესწორება 59-ე მუხლში აღნიშნულ ვადაზე გვიან არის შეტანილი და საბიუჯეტო კომისიის მომხსენებელმა თავისი დასკვნა ვერ წარმოადგინა, საბჭომ უნდა გადაწყვიტოს, სტოვებს შესწორებას განსახილველად, თუ შესწორების განხილვა გადააქვს იმ დროისათვის, როდესაც საბიუჯეტო კომისია თავის დასკვნას წარმოადგენს.

ამ დადგენილების გამოტანის წინ სიტყვა მიეცემა მხოლოდ შესწორების ავტორსა და საბიუჯეტო კომისიის მომხსენებელს.

მ უ ხ. 61. 60-ე მუხლში აღნიშნულ საბიუჯეტო კომისიის დასკვნის განხილვის დროს ახალ შესწორებათა შეტანა აღარ შეიძლება.

ნაწილი მესამე

წესი ისეთი საქმეების განხილვისა, რომელთაც საკანონმდებლო ხასიათი არა აქვთ.

მ უ ხ. 62. იმ საქმეს, რომელსაც საკანონმდებლო ხასიათი არა აქვს, ორჯერ განხილვის წესი არ შეეხება.

მ უ ხ. 63. საბჭოს წევრმა მთავრობის მიმართ შეკითხვა წერილობით უნდა შეიტანოს სხდომის დაწყებამდე. თავმჯდომარე ამ შეკითხვას მოახსენებს საბჭოს სხდომის დასასრულს და პირველ სიტყვას შემკითხველს აძლევს.

მ უ ხ. 64. მთავრობა შეტანილ შეკითხვის პასუხს გასცემს ან დაუყოვნებლივ, ან ერთ-ერთ მახლობელ სხდომაზედ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს ერთი კვირისა, დღიდან შეკითხვის საბჭოს სხდომაზე გამოცხადებისა.

მ უ ხ. 65. თუ შემკითხველს შეკითხვა სასწრაფოდ მიაჩნია და საბჭომაც დაადასტურა, მთავრობამ პასუხი უნდა გასცეს არა

უგვიანეს სამი დღისა შეკითხვის საბჭოში განცხადების შემდეგ. სასწრაფოა შეკითხვა თუ არა, ამის გამოსარკვევად სიტყვა ეძლევა ორს: ერთს მომხრეს, ერთს მოწინააღმდეგეს — თითოს არა უმეტეს ათი წუთისა.

მ უ ხ. 66. შეკითხვების განსახილველად საბჭოს შეუძლია განსაკუთრებული სხდომა დანიშნოს; მაშინ ყოველი შეკითხვის განხილვა გადაიდება ამ სხდომისათვის.

მ უ ხ. 67. ცნობა საბჭოს წევრის დროებით გადაყენების, სრულიად განთავისუფლების, ან მისი დატუსაღების შესახებ და სხვა, თავმჯდომარემ დაუყოვნებლივ უნდა მოახსენოს საბჭოს მახლობელ სხდომაზე.

თ ა ვ ი ნ.

საზოგადო კრების სხდომის წესი.

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

სხდომის დანიშვნა, გახსნა, შეწყვეტა და დახურვა.

მ უ ხ. 68. საზოგადო კრების სხდომათა დღეებსა და საათებს თვით საბჭო დანიშნავს. თუ თავმჯდომარემ სასწრაფო კრება დანიშნა, საბჭოს წევრებს უნდა ეცნობოს უწყებით, სადაც აღნიშნული იქნება სხდომის საგანი.

მ უ ხ. 69. საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლია, თუ საჭიროება მოითხოვს, წესრიგში ახალი საქმეები შეიტანოს, რაც დაბეჭდებითი უწყებით უნდა ეცნობოს საბჭოს წევრებს.

მ უ ხ. 70. ორის წუთით ადრე სხდომის გახსნამდე საბჭოს შენობაში ყველგან ზარი უნდა დაირეკოს.

მ უ ხ. 71. თუ ნახევარი საათის განმავლობაში, სხდომისათვის დანიშნულ დროს შემდეგ, საბჭოს ორმოც წევრზე ნაკლები შეგროვდა, თავმჯდომარე აცხადებს, რომ კრება არ შესდგა.

მ უ ხ. 72. დამსწრე წევრთა რიცხვის გამორკვევა თავჯდომარის საქმეა.

მ უ ხ. 73. თუ კრების დროს წევრთა საკმაო რიცხვი არ აღმოჩნდება (მუხ. 72), თავმჯდომარეს უფლება აქვს ან დახუ-

როს კრება, ან ცოტა ხნით შეწყვიტოს. თუ სხდომის შეწყვეტის შემდეგაც წევრთა საკმაო რიცხვი არ აღმოჩნდა, სხდომა დაიხურება.

მ უ ხ. 74. სხდომის შეწყვეტა თავმჯდომარის საქმეა. თუ წინადადება სხდომის შეწყვეტისთვის საბჭოს წევრმა შეიტანა, თავმჯდომარე ამ წინადადებას კენჭს უყრის უკამათოდ.

მ უ ხ. 75. სხდომა დაიხურება ან დანიშნულ დროზე, არ განსახილველად დასმული ყველა საკითხების განხილვის შემდეგ; ზოგიერთ შემთხვევაში კი (მუხ. 74 და 106) თვით თავმჯდომარის განკარგულებით. უფრო ადრე სხდომის დახურვა შეიძლება საბჭოს დადგენილებით; საბჭოს შეუძლია დანიშნული ვადის შემდეგაც განაგრძოს სხდომა.

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

საქმეთა განხილვის წესი.

მ უ ხ. 76. სხდომის გახსნისთანავე თავმჯდომარე მოახსენებს კრებას ყველა შემოსულ საქმეებს და აგრეთვე მოქალაქეთაგან, ან საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციათაგან შემოტანილ განცხადებებს, რეზოლუციებს და სხვას. საკითხი იმისი, თუ რა მიმართულება უნდა მიეცეს შემოსულ საქმეებს, უნდა გადაწყდეს დღიურ წესრიგზე გადასვლამდე. ამ საგანზე ორატორების სიტყვა განისაზღვრება ხუთი წუთით.

მ უ ხ. 77. საბჭოში ყოველნაირი წინადადება უნდა შეტანილ იქნეს წერილობით.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ მუხლში (77) აღნიშნული წესი არ შეეხება ისეთ წინადადებას, რომელიც უკამათოდ გადასწყდება.

მ უ ხ. 78. სანამ განსახილველად დასმული საკითხი გადაწყვეტილი არ არის, სხვა საკითხების წამოყენება არ შეიძლება, თუ თვით საბჭომ ამის თაობაზე განსაკუთრებული დადგენილება არ გამოიტანა. კამათის შესაჩერებლად და სხვა საკითხზე გადასასვლელად საჭიროა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილება. ამ წინადადების გამოსარკვევად სიტყვა ეძლევა:

ერთს მომხრეს, ერთს მოწინააღმდეგეს — თითოს არა უმეტეს ხუთი წუთისა.

მ უ ხ. 79. საზოგადო კრებას შეუძლია დაადგინოს, რომ საკითხი, არსებითად გადაწყვეტამდე, ამა თუ იმ კომისიას გადაეცეს. ამ წინადადების გამო სიტყვა ეძლევა: ერთს მომხრეს, ერთს მოწინააღმდეგეს — თითოს არა უმეტეს ხუთი წუთისა.

მ უ ხ. 80. წინადადება განსახილველად დანიშნულ რომელისამე საკითხის გადადებისა, ან შეცვლისა შეტანილ უნდა იქნეს მორიგ საკითხზე გადასვლის წინ. ამ წინადადების გამო სიტყვა ეძლევა: ერთს მომხრეს, ერთს მოწინააღმდეგეს — თითოს არა უმეტეს ხუთის წუთისა.

მ უ ხ. 81. თუ საბჭოს წევრსა ჰსურს შეიტანოს რიგს გარეშე ისეთი განცხადება, რომლის გამო რაიმე დადგენილების გამოტანა საჭირო არ არის, ეს წერილობით უნდა განუცხადოს თავმჯდომარეს, რომელზედაც დამოკიდებულია სათანადო ნებართვის მიცემა. ამ განცხადებისთვის საბჭოს წევრს ათი წუთი მიეცემა და კამათი ამ საგანზე არ შეიძლება.

მ უ ხ. 82. სანამ საბჭო საკითხის განხილვას შეუდგებოდეს, შეიძლება წინასწარი საკითხის აღძვრა, რომ საბჭომ სრულიად არ მიიღოს ეს საკითხი განსახილველად. ამ წინადადების გამო სიტყვა ეძლევა ერთს მომხრეს, ერთს მოწინააღმდეგეს.

მ უ ხ. 83. არ შეიძლება არსებითად გადაწყვეტა არც ერთი ისეთი საკითხის, რომელიც დღიურ წესრიგში არ არის აღნიშნული.

ეს მუხლი არ შეეხება საქმეთა განხილვის წესს და აგრეთვე ისეთ საკითხებს, რომელთათვისაც ამ რეგლამენტში განსაკუთრებული წესი არის ნაჩვენები.

მ უ ხ. 84. როდესაც მთავრობის წევრი განმარტებას მოახსენებს საბჭოს წევრთა შეკითხვის გამო, ან თითონ შემოაქვს განცხადება, რომელიც საბჭოში დასმულ საკითხს არ შეეხება, თავმჯდომარე წინადადებას აძლევს საბჭოს გადასწყვიტოს: სურს განმარტებათა და განცხადებათა განხილვას დაუყოვნებლივ შეუდგეს, თუ ეს განხილვა გადააქვს შემდეგი სხდომისათვის. ამ საკითხს საბჭო უკამათოდ სწყვეტს.

მ უ ხ. 85. სხდომის დახურვის წინ თავმჯდომარე მოახსენებს კრებას იმ დღეს შეტანილ ყველა საქმეს და განცხადებას, თუ საბჭოს პრეზიდიუმის ან რეგლამენტის მიერ განსაზღვრულ

კადამდე შემოსულა, და წარუდგენს კრებას შემდეგი სხდომის წესრიგს დასამტკიცებლად.

ნაწილი მესამე

მსჯელობის წესი.

მ უ ხ. 86. თავმჯდომარე სხდომას ხელმძღვანელობს. არავის შეუძლია თავმჯდომარეს სიტყვა შეუბრუნოს მისი შენიშვნისა და განმარტების გამო. არავის შეუძლიან ლაპარაკი, სანამ თავმჯდომარისაგან სიტყვას არ აიღებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: წერილობითი პროტესტები თავმჯდომარის მოქმედების გამო სხდომის ჟურნალს ჩაეკერება გამოუქვეყნებლად.

მ უ ხ. 87. სიტყვის მისაღებად განცხადება უნდა შეტანილ იქნეს იმ საგანზე გადასვლის შემდეგ, რომლისთვისაც სიტყვას თხოულობენ. სანამ პირველ სიტყვას წარმოთქვამდეს, საბჭოს წევრს არ შეუძლიან მეორედ მოითხოვოს სიტყვა.

მ უ ხ. 88. თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ორატორებს რიგით, თანახმად წარდგენილი განცხადებებისა.

მ უ ხ. 89. მთავრობის წევრებს სიტყვა რიგს გარეშე მიეცემათ.

მ უ ხ. 90. მომხსენებლის გარდა არავის შეუძლიან ილაპარაკოს საათზე მეტი. საბჭოს შეუძლია უკამათოდ მიიღოს დადგენილება ორატორის სიტყვის გაგრძელების თაობაზე.

მ უ ხ. 91. მომხსენებლის გარდა ერთსა და იმავე საგანზე არავის შეუძლია ილაპარაკოს ორზე მეტჯერ.

ეს შეზღუდვა არ შეეხება იმ სიტყვებს, რომელიც წარმოითქმის კამათის შეწყვეტის შემდეგ (მუხ. 112).

მ უ ხ. 92. როდესაც საბჭოს წევრი სიტყვას თხოულობს ისეთი საკითხის გამო, რომლის შესახებაც კამათი რეგლამენტით შეზღუდულია, განცხადებაში უნდა აღნიშნოს, სიტყვის მთხოვნელი მომხრეა თუ წინააღმდეგი განსახილველი წინადადებისა. თუ ეს აღნიშნული არ არის, განცხადება უყურადღებოდ იქნება დატოვებული.

მ უ ხ. 93. თუ 92-ე მუხლში აღნიშნულ სიტყვას თხოულობს ორატორთა მეტი რიცხვი, ვიდრე რეგლამენტითაა განსაზღვრული, სიტყვა იმას ეძლევა, ვინც პირველად წარუდგინა განცხადება თავმჯდომარეს. ამ რიცხვში აუცილებლად შეტანილ უნდა იქნეს განსახილველი წინადადების ავტორი.

მ უ ხ. 94. კომისიის მომხსენებელსა და განსახილველი წინადადების ავტორს რიგს გარეშე ეძლევა სიტყვა, მაგრამ ისე კი, რომ არ შესწყდეს ლაპარაკი იმ ორატორისა, რომელსაც უკვე მიღებული აქვს სიტყვა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ სიტყვას მომხსენებელი და განცხადების ავტორი ერთად თხოულობენ, მათში პირველი სიტყვა მომხსენებელს ეკუთვნის.

მ უ ხ. 95. ყოველ წევრს შეუძლიან რიგს გარეშე მიიღოს სიტყვა რეგლამენტის დარღვევის გამო. ამ შემთხვევაში ორატორს ხუთი წუთი ეძლევა და კამათი არ სწარმოებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ ამ განცხადების შემდეგ თავმჯდომარემ თავის განმარტება წარუდგინა საბჭოს, ახალი განცხადების შეტანა ამავე საკითხის გამო აღარ შეიძლება.

მ უ ხ. 96. პირადი საკითხისთვის სიტყვა უნდა მიეცეს იმავე სხდომაზე, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როცა განსახილველად დასმულ საგანზე კამათი შეწყდება. ამ შემთხვევაში ორატორს ხუთი წუთი ეძლევა და კამათი არ სწარმოებს.

მ უ ხ. 97. თუ საბჭოს წევრი დარბაზში არ აღმოჩნდა მაშინ როდესაც მისი ლაპარაკის რიგი მოვა, მისი გვარი გადატანილ იქნება ორატორთა სიის ბოლოს. თუ მეორედაც არ აღმოჩნდა დარბაზში, სიტყვის უფლებასა ჰკარგავს.

მ უ ხ. 98. წევრებს შეუძლიათ ერთმანეთს შეუცვალონ რიგი, ან დაუთმონ სიტყვა იმას, ვისაც სიტყვა აღებული არა აქვს.

მ უ ხ. 99. თუ თავმჯდომარესა ჰსურს განსახილველად დასმული საკითხის გამო ლაპარაკი, რიგში ჩაეწერება და თავმჯდომარეობას თავის სიტყვის წარმოთქმის დროს სხვას დაუთმობს.

მ უ ხ. 100. სიტყვებს ორატორები ამბობენ ტრიბუნიდან.

მ უ ხ. 101. თუ ორატორმა საგანს გადაუხვია, თავმჯდომარე წინადადებას აძლევს საკითხს დაუბრუნდეს.

მ უ ხ. 102. თუ ორატორი თავმჯდომარეს არ ემორჩილება, შეურაცხმყოფელ, უკმეხ, ან საზოგადოდ საბჭოს ღირსების შეუფერებელ სიტყვებს ხმარობს, თავმჯდომარეს შეუძლია შემდეგი ზომები მიიღოს: მოსთხოვოს წესრიგის დაცვა, წაართვას სიტყვა და ან წინადადება მისცეს საბჭოს, რომ ასეთი წევრი სხდომიდან დაითხოვოს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სიტყვა წართმეულ ორატორს იმ საგანზე სიტყვა აღარ მიეცემა იმავე სხდომაზე.

მ უ ხ. 103. თუ საბჭოს წევრი წესრიგს არღვევს, თავმჯდომარეს შეუძლიან: მოსთხოვოს დაიცვას წესრიგი, ან წინადადება მისცეს საბჭოს დაითხოვოს იგი სხდომიდან.

მ უ ხ. 104. 102 და 103 მუხლში აღნიშნულ წინადადებებს კენჭი უნდა ეყაროს უკამათოდ. კენჭის ყრამდე წესრიგის დამრღვევ წევრს შეუძლია პირადად ან საბჭოს რომელიმე სხვა წევრის პირით კრებას თავის განმარტება წარუდგინოს. ამნაირი განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნას მხოლოდ ერთხელ. სალაპარაკოდ ორატორს ათი წუთი ეძლევა.

მ უ ხ. 105. თუ დარბაზში ხმაური ატყდა ან უწესობა დაიწყო და თავმჯდომარემ მისი შეჩერება ვერ მოახერხა, მაშინ იგი თავის ადგილს სტოვებს და სხდომა ნახევარი საათით შეწყვეტილად ჩაითვლება. თუ სხდომის განახლების შემდეგაც ხმაურობა და უწესობა გაგრძელდა, თავმჯდომარე სხდომას დახურულად აცხადებს.

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო თ ხ ე

მსჯელობის შემოკლება და შეწყვეტა.

მ უ ხ. 106. მომხსენებლის სიტყვის შემდეგ იწყება კამათი. წინადადებანი ორატორთა სიის დახურვის, სიტყვის დროის განსაზღვრის, კამათის სრული ან ნაწილობრივი შეწყვეტისათვის შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ კამათის დაწყების შემდეგ აღნიშნულ წინადადებათა გამო სიტყვა ეძლევა: ერთს

მომხრეს, ერთს მოწინააღმდეგეს — თითოს არა უმეტეს ხუთი წუთისა.

მ უ ხ. 107. ათ წუთზე ნაკლები ვადით არ შეიძლება ორატორის სიტყვის შეზღუდვა.

მ უ ხ. 108. თუ მსჯელობის შემოკლების ან შეწყვეტის გამო კამათის დროს რომელიმე წევრი მოითხოვს, თავმჯდომარე მოვალეა გამოაცხადოს სია ჩაწერილი ორატორებისა.

მ უ ხ. 109. კამათის ნაწილობრივი შეზღუდვის შემდეგ საბჭო განსაზღვრავს, ჩაწერილ ორატორთაგან რამდენს მიეცეს სიტყვა. ამ ორატორებს ასახელებს თავმჯდომარე და მათ შეუძლიათ თავიანთი სიტყვა სხვას დაუთმონ.

მ უ ხ. 110. სანამ თავმჯდომარე კენჭს უყრიდეს საკითხს კამათის ნაწილობრივი შემოკლების შესახებ, სხდომა უნდა დროებით შეწყდეს, თუ ამას მოითხოვს საბჭოს არა ნაკლებ ხუთი წევრისა.

მ უ ხ. 111. 106-ე მუხლში აღნიშნული წინადადებანი უარყოფილად ჩაითვლება, თუ მათ წინააღმდეგ თხუთმეტმა ან მეტმა წევრმა მისცა ხმა.

მ უ ხ. 112. როდესაც ორატორთა სია დასრულდება, ან საბჭო დაადგენს კამათის სრულს შეწყვეტას, თავმჯდომარე კამათს დასრულებულად აცხადებს.

ამის შემდეგ სიტყვა მიეცემა კომისიის მომხსენებელს, განსახილველი წინადადების და განსაკუთრებული აზრის ავტორებს, თუ უკანასკნელნი მოისურვებენ; აგრეთვე სიტყვა მიეცემა იმათ, ვინც პირადი საკითხის ან ხმის მიცემის მოტივების გამო არიან ჩაწერილნი.

მ უ ხ. 113. თუ კამათის შეწყვეტის ან შემოკლების შემდეგ მთავრობის წარმომადგენელმა სიტყვა წარმოსთქვა, ორატორთა ჩაწერა უნდა განახლდეს და წინად მიღებული ზომები კამათის შეზღუდვის ან შეწყვეტისთვის გაუქმებულად ითვლება.

ამის შემდეგ მსჯელობის შეზღუდვა ან შეწყვეტა შეიძლება მხოლოდ ახალი დადგენილების ძალით (მუხ. 112).

კითხვის დასმა.

მ უ ხ. 114. კამათის დასრულების შემდეგ (მუხ. 113) თავმჯდომარე შეუდგება კენჭის ყრას, რაც წევრებს უნდა ეცნობოს ზარით საბჭოს შენობაში ყველგან.

მ უ ხ. 115. წინადადების ავტორს შეუძლიან უკან წაიღოს თავისი წინადადება, სანამ საბჭო მის შესახებ დადგენილებას გამოიტანდეს, და, თუ ვინმე სხვა წევრმა არ მოითხოვა მისი გადაჭრა, წინადადება მოხსნილად ჩაითვლება.

თუ წინადადება რამდენიმე წევრის ხელმოწერით არის შეტანილი, მისი უკან წაღების უფლება აქვს პირველ სამს ხელის მომწერთაგან სათითაოდ.

მ უ ხ. 116. კამათის დასრულებულად გამოცხადების შემდეგ (მუხ. 113) ახალი წინადადების წარდგენა აღარ შეიძლება.

კენჭის ყრის დაწყებამდე თავმჯდომარე აცხადებს, რა და რა წინადადებას უნდა ეყაროს კენჭი.

სიტყვიერად წარდგენილ წინადადებას, გარდა 77-ე მუხ. შენიშვნაში აღნიშნულისა, კენჭი არ შეიძლება ეყაროს.

მ უ ხ. 117. წინადადებათა წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, თუ რა წესით უყრის მათ კენჭს.

მ უ ხ. 118. საბჭოს ყოველ წევრს შეუძლიან კითხვის დასმის გამო თავისი მოსაზრებანი წარადგინოს. ამისთვის მას ხუთი წუთი ეძლევა.

მ უ ხ. 119. კითხვათა დასმის რიგი დამოკიდებულია თავმჯდომარეზე, რომელიც ქვემოთ აღნიშნულ მუხლებით (მუხ. 121) იხელმძღვანელებს.

მ უ ხ. 120. თავმჯდომარემ საკითხი ისე უნდა დასვას, რომ პასუხის გაცემა შეიძლებოდეს ან „ჰო"-თი, ან „არა"-თი.

მ უ ხ. 121. თითოეული წევრის მოთხოვნით ყოველი დასკვნა, მუხლი, წინადადება და რეზოლუცია უნდა დანაწილებულ იქნეს. თუ თავმჯდომარე ხედავს, ასეთი დანაწილებით გრამატიკული აზრი იკარგება, ან დანაწილება მუხლისა შეუძლებელია, იგი ამ საკითხის გადასაწყვეტად მიმართავს საბჭოს, რომელიც უკამათოდ დაადგენს, განაწილდეს მუხლი ან წინადადება თუ არა.

მ უ ხ. 122. როცა დასკვნას, მუხლს, წინადადებას ან რეზოლუციას ნაწილ-ნაწილ ეყრება კენჭი (მუხ. 121), შემდეგ მათ მთლიანად უნდა ეყაროს კენჭი, უარყოფილ ნაწილების გამოკლებით.

მ უ ხ. 123. წინასწარ საკითხს: სურს თუ არა საბჭოს წინადადება მიღებულ იქნეს განსახილველად, ყოველთვის პირველად უნდა ეყაროს კენჭი (მუხ. 82).

მ უ ხ. 124. წინადადებას, რომელიც შეეხება საქმის მიმართულების მიცემას, გადადებას, კომისიაში დაბრუნებას, დამატებითი ცნობის მოთხოვნას და სხვას, კენჭი უნდა ეყაროს უფრო ადრე, ვიდრე თვით საკითხს არსებითად.

მ უ ხ. 125. როდესაც კითხვა რიცხვებს შეეხება, კენჭის ყრა უმცირესი რიცხვიდან იწყება.

მ უ ხ. 126. სხდომის ან საქმის განხილვის ვადის განსაზღვრის დროს კენჭი ჯერ შორეულ ვადას უნდა ეყაროს, მერე — მახლობელს.

მ უ ხ. 127. ყოველ წინადადებას, ან კანონპროექტს, რომელიც კომისიის მიერ არის შემოტანილი, კენჭი უნდა ეყაროს იმ სახით, როგორც კომისიას წარმოუდგენია.

მ უ ხ. 128. თუ კომისიას შემოუტანია დასკვნა ამა თუ იმ წინადადების ან კანონპროექტის უარყოფისა, კენჭი უნდა ეყაროს არა კომისიის დასკვნას, არამედ თვით კანონპროექტს, ან წინადადებას.

მ უ ხ. 129. საბჭოს წევრთა რწმუნებულებათა შემოწმების დროს ჯერ კენჭი უნდა ეყაროს საკითხს, კანონიერია თუ უკანონო არჩევნები, ხოლო შემდეგ ამისა საკითხს, მიღებულ თუ უარყოფილ იქნეს თვით არჩევნები, თანახმად სამანდატო კომისიის მოხსენებისა.

მ უ ხ. 130. შესწორებებს და დამატებებს, კენჭი უნდა ეყაროს იმ მუხლზე ადრე, რომელსაც ეს შესწორებანი, ან დამატებანი შეეხება.

მ უ ხ. 131. შესწორებას, ან დამატებას, რომელსაც წინადადების ავტორი ან მომხსენებელი დაეთანხმება, კენჭი უნდა ეყაროს არა ცალკე, არამედ იმ წინადადებასთან ერთად, რომელსაც ეკუთვნის.

მ უ ხ. 132. თუ წარმოდგენილია რამდენიმე შესწორება, ჯერ კენჭი უნდა ეყაროს იმათ, რომელნიც ძირითად წინადა-

დებასთან უფრო დაშორებულნი არიან. თუ ასეთი განსხვავება არ არსებობს, პირველად უფრო ადრე წარმოდგენილ წინადადებას უნდა ეყაროს კენჭი.

მ უ ხ. 133. ცალკე საკითხებისა და შესწორებათა კენჭის ყრის შემდეგ განსაკუთრებულად უნდა ეყაროს კენჭი მთელ მუხლს, ან წინადადებას მიღებულის შესწორებით.

მ უ ხ. 134. თუ რამდენიმე დამოუკიდებელი და ერთი მეორის უარმყოფელი წინადადებაა შემოტანილი, თავმჯდომარე ჯერ იმას უყრის კენჭს, რომელიც უფრო ადრეა წარმოდგენილი, შემდეგ კი — სხვებს. თუ საბჭოს წევრმა განაცხადა, ამა თუ იმ წინადადებას პირველად უნდა ეყაროს კენჭი, ეს საკითხი საბჭომ კენჭის ყრით უნდა გადასწყვიტოს. ამ საკითხის გამოსარკვევად სიტყვა მიეცემა ერთს მომხრეს, ერთს მოწინააღმდეგეს, თითოს არა უმეტეს ხუთი წუთისა.

მ უ ხ. 135. კანონპროექტის ან ამა თუ იმ წინადადების კენჭის ყრის დროს მას არ შეიძლება დართული ჰქონდეს მოტივები მიღების, ან უარყოფისა.

მ უ.ხ 136. მორიგ საკითხებზე გადასასვლელ ფორმულის კენჭის ყრის დროს უბრალო გადასვლას დასაბუთებულზე ადრე უნდა ეყაროს კენჭი.

მ უ ხ. 137. თუ მორიგ საკითხზე გადასასვლელი რამდენიმე მოტივებიანი ფორმულა არის წარმოდგენილი, თავმჯდომარე კენჭს უყრის თანახმად 134 მუხლში აღნიშნულ წესისა.

მ უ ხ. 138. ერთი რომელიმე ფორმულის მიღების შემდეგ დანარჩენებს კენჭი აღარ უნდა ეყაროს.

მ უ ხ. 139. თუ არც ერთი წარმოდგენილი ფორმულა მორიგ საკითხზე გადასვლისა მიღებულ არ იქნა, თავმჯდომარე საკითხს დასრულებულად აცხადებს და შემდეგს საკითხზე გადადის.

ნაწილი მეექვსე.

კენჭის ყრის წესი.

მ უ ხ. 140. საბჭოს წევრი მხოლოდ თავის ხმას აძლევს. სხვის მაგივრად ხმის მიცემა არ შეიძლება.

მ უ ხ. 141. რეგლამენტში აღნიშნულ შემთხვევის გარდა კენჭის ყრა მოხდება ახდილად.

მ უ ხ. 142. როცა კენჭის ყრა ახდილად მოხდება, თვითეულ წევრს შეუძლია ხუთი წუთი ილაპარაკოს ხმის მიცემის მოტივების განსამარტებლად. კამათი ამ საგანზე არ შეიძლება და სიტყვა მსურველმა უნდა მოითხოვოს, სანამ კენჭის ყრა დაიწყებოდეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ საკითხი უკამათოდ სწყდება, ხმის მიცემის მოტივების გამო სიტყვა არავის მიეცეცემა (მუხ. 75, 91, 122, 144 (შენ.) და 145.

მ უ ხ. 143. ახდილი კენჭის ყრა მოხდება ხელის აწევით. თუ შედეგი გამოურკვეველია, თავმჯდომარეს შეუძლია კენჭის ყრა გაიმეოროს.

ხმებს სთვლიან ქვესტორი და მისი თანაშემწენი თავმჯდომარის მეთვალყურეობით.

მ უ ხ. 144 თუ კენჭის ყრის შედეგები ეჭვებს გამოიწვევს, ხმის მიცემა ხდება კარებში გასვლით. ამ წესს თავმჯდომარე მიჰმართავს ან თავის სურვილით, ან საბჭოს წევრის განცხადებით თუ ამნაირ განცხადებას მხარი დაუჭირა თხუთმეტ წევრზედ არა ნაკლებმა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ მუხლში აღნიშნული საკითხის გამო კამათი არ იმართება.

მ უ ხ. 145. ამ შემთხვევაში წინადადების მომხრენი ერთ კარში გადიან, მოწინააღმდეგენი მეორეში. ხმებსა სთვლიან ქვესტორი და მისი თანაშემწენი თავმჯდომარის მეთვალყურეობით.

მ უ ხ. 146. ახდილი კენჭის ყრის დროს, როდესაც კენჭის ყრა სახელობით სწარმოებს, საბჭოს თითოეულ წევრს უფლება აქვს საბჭოს მდივანს წარუდგინოს წერილობითი განმარტება იმისა, თუ რა მოტივებით არ ეთანხმება უმრავლესობას. ასეთი განცხადება საზოგადო კრებას არ მოხსენდება და პირდაპირ სხდომის სტენოგრაფიულ ანგარიშში უნდა მოთავსდეს.

მ უ ხ. 147. კენჭის ყრის დაწყებამდე საბჭოს წევრს შეუძლია წერილობით მოითხოვოს, რომ კენჭის ყრა სახელობით მოხდეს. ამ წინადადებას კენჭი უნდა ეყაროს უკამათოდ.

მ უ ხ. 148. სახელობითი კენჭის ყრა ხდება ბარათებით, რო-

მელშიაც ხმის მიმცემის გვარი და სახელი უნდა იყოს აღნიშნული.

მ უ ხ. 149. ფარული ხმის მიცემით უნდა მოხდეს თანამდებობის პირთა არჩევანი, არჩევნების დამტკიცება ან გაუქმება და აგრეთვე გადასწყდეს საკითხი ხარჯის გაღებისა საბჭოს რომელისამე წევრის სასარგებლოდ.

ამ შემთხვევაში ხმებს სთვლიან მდივანი და მისი თანაშემწე თავმჯდომარის მიერ ამისთვის საგანგებოდ მოწვეულ საბჭოს წევრებთან ერთად.

მ უ ხ. 150. ფარული კენჭის ყრის შემდეგ ხმები უნდა დაითვალოს დაუყოვნებლივ იმავე სხდომაზე.

მ უ ხ. 151. კრების კანონიერების გამორკვევის დროს მხედველობაში უნდა იყვნენ მიღებულნი საბჭოს ის წევრნიც, რომლებმაც ხმის მიცემის დროს თავი შეიკავეს.

თ ა ვ ი 6.

საბჭოს წევრთა პირადი მდგომარეობა.

მ უ ხ. 152. წევრმა სესიაში სამუშაოდ ჩამოსვლისთანავე საბჭოს კანცელარიას უნდა მიაწოდოს თავისი მისამართი და სხვა საჭირო ცნობები.

მ უ ხ. 153. თუ საბჭოს წევრსა ჰსურს დროებით განთავისუფლდეს საბჭოს მუშაობიდან, წერილობითი განცხადება უნდა წარუდგინოს საბჭოს თავმჯდომარეს, სადაც აღნიშნულ იქნება, რა ვადით თხოულობს განთავისუფლებას.

თუ განცხადებაში ვადა აღნიშნული არ არის, ვადა ითვლება განცხადების მეორე დღიდან იმ დღემდე, როცა დაბრუნების შემდეგ სხდომაზე დამსწრეთა წიგნში პირველად მოაწერს ხელს.

მ უ ხ. 154. პრეზიდიუმი საბჭოს წევრს პასუხს შეუთვლის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განთავისუფლება შეუძლებლად მიაჩნია. თუ საბჭოს წევრმა განცხადების წარმოდგენის დღის განმავლობაში პრეზიდიუმისაგან ცნობა არ მიიღო, ეს იმის მომასწავებელია, რომ პრეზიდიუმს არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს საბჭოს წევრის განთავისუფლებისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ სხვადასხვა მიზეზის გამო წევრი იძულებულია უეცრად წავიდეს, მაშინ იგი ვალდებულია განცხადება გამოუგზავნოს საბჭოს თავმჯდომარეს სამი დღის განმავლობაში.

მ უ ხ. 155. წელიწადში ერთს თვეზე მეტის ვადით განთავისუფლების საკითხს სწყვეტს თვით საბჭო.

ამისთვის თავმჯდომარის სახელზე წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი განცხადება, რომელიც საბჭოს პრეზიდიუმის დასკვნასთან ერთად საზოგადო კრებას მოხსენდება გადასაწყვეტად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: განთავისუფლება ავადმყოფობის გამო ამ ვადაში არ შედის.

მ უ ხ. 156. თუ საბჭოს წევრმა განთავისუფლება ვერ გამოიყენა ან ვადაზე ადრე დაბრუნდა და ამის გამო არაფერი განაცხადა, განთავისუფლებულად ითვლება თანახმად 153-ე მუხლში აღნიშნულ წესისა.

მ უ ხ. 157. საბჭოს წევრი, რომელიც განთავისუფლებული არ არის, მაგრამ საზოგადო კრების სხდომებს პატივსადები მიზეზების გამო ვერ დაესწრო (მუხ. 159), აღნიშნავს ამას სხდომაზე არა დამსწრე წევრთა სიაში.

ეს უნდა სიაში აღნიშნულ იქნეს არაუგვიანეს ერთი დღისა იმ თვის გათავების შემდეგ, რომლის განმავლობაშიაც წევრი სხდომას ვერ დაესწრო; წინააღმდეგ შემთხვევაში პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ წევრი დააკლდა სხდომას არასაპატიო მიზეზების გამო.

თუ უკანასკნელი დღე კვირა-უქმე შეხვდა, მაშინ ვადის დასასრულად ითვლება კვირა-უქმის შემდეგი პირველი საქმის დღე.

თუ საბჭოს წევრს საშუალება არა აქვს პირადად აღნიშნოს წევრთა სიის წიგნში მიზეზი კრებაზე მიუსვლელობისა, შეუძლიან წერილობითი განცხადება წარუდგინოს ამის შესახებ თავმჯდომარეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ საბჭოს წევრს დაავიწყდა თავისი გვარის აღნიშვნა დამსწრეთა სიაში, განცხადება ამის თაობაზე თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს ამა 157 მუხლში აღნიშნულ ვადამდე.

მ უ ხ. 158. სხდომაზე დაუსწრებლობის საპატიო მიზეზად ითვლება: 1) ავადმყოფობა საბჭოს წევრისა; 2) სიკვდილი

ან მძიმე ავადმყოფობა მისი ოჯახის წევრისა; 3) სამუშაო, რომელიც საბჭოს მოქმედებასთან არის დაკავშირებული, და 4) ისეთი პირადი საქმეები, რომელთა გადადება არ შეიძლება.

მ უ ხ. 159. სია იმ წევრებისა, რომელნიც სხდომებს ვერ ესწრებიან საპატიო ან არასაპატიო მიზეზების გამო, პერიოდულად უნდა გამოცხადდეს.

მ უ ხ. 160. საბჭოს წევრს, რომელიც სხდომას დააკლდება არასაპატიო მიზეზის გამო, უნდა გამოექვითოს ყოველ გაცდენილ სხდომისთვის ერთი მეოცდაათედი თვიური გასამრჯელოსი.

მ უ ხ. 161 საბჭოს წევრი, რომელიც ერთი თვის განმავლობაში სრულიად არ დაესწრო სხდომას და არც არავითარი განმარტება წარმოადგინა ამის გამო, საბჭოს წევრობიდან გამორიცხულად ჩაითვლება და მის ადგილს მორიგი კანდიდატი დაიკავებს.

მ უ ხ. 162. განცხადება წევრობაზე უარის თქმისა წარდგენილ უნდა იქნეს თავმჯდომარის სახელზე, რომელიც ამ განცხადებას საბჭოს საზოგადო კრებას მოახსენებს. განცხადების უკან წაღება შეიძლება მხოლოდ იმ დრომდე, სანამ იგი საზოგადო კრებას მოხსენდებოდეს.

მ უ ხ. 163. თუ აღნიშნული განცხადება პირადად არ არის წარდგენილი, ხელის მოწერა სათანადოდ უნდა იყოს შემოწმებული, უამისოდ განცხადებას მსვლელობა არ მიეცემა.

თ ა ვ ი 7.

საბჭოს პრეზიდიუმი.

მ უ ხ. 164. საბჭოს პრეზიდიუმს შეადგენს: საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის ამხანაგები, საბჭოს მდივანი და მდივნის ამხანაგი.

მ უ ხ. 165. პრეზიდიუმის მოვალეობაა თვალყური აღევნოს საბჭოს მუშაობას, სახელდობრ:

1) მოახსენოს საბჭოს თავის მოსაზრება მუშაობის შესახებ და თანახმად ამ მოსაზრებისა წარუდგინოს დასამტკიცებლად საზოგადო კრების დღიური წესრიგი; 2) მისცეს დასკვნა

რეგლამენტში აღნიშნულ საკითხებზე; 3) განსაზღვროს, თუ რა მიმართულება უნდა მიეცეს საბჭოს სახელობაზე შემოსულ ქაღალდებს; 4) განაგოს მეექვსე თავში აღნიშნული განთავისუფლების და იმ წევრთა საქმეები, რომელნიც სხდომებს არ ესწრებიან; 5) განაგოს საბჭოს კანცელარიის მოსამსახურეთა ბიღებისა, დათხოვნისა და სხვა საქმეები.

მ უ ხ. 166. პრეზიდიუმი შეიმუშავებს საბჭოს შინაგან წესრიგს ყოველ იმ შემთხვევისთვის, რომელიც განსაზღვრული არ არის რეგლამენტით, ან საბჭოს გარდაწყვეტილებით და რომელიც რეგლამენტის, ან საბჭოს დადგენილებით სხვა ორგანოს არ აქვს მინდობილი.

მ უ ხ. 167. პრეზიდიუმს თავის უფლებით, ან დაინტერესებული მხრის განცხადებით შეუძლია გააუქმოს საბჭოს ყოველი ორგანოს ისეთი დადგენილება, რომელიც კანონს, რეგლამენტს, ან საბჭოს დადგენილებას ეწინააღმდეგება.

მ უ ხ. 168. 167-ე მუხლში აღნიშნულ დადგენილებათა გაუქმებამდე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს თავისი განმარტება წარუდგინოს პრეზიდიუმს.

მ უ ხ. 169. პრეზიდიუმს იწვევს საბჭოს თავმჯდომარე.

თავმჯდომარე მოვალეა მოიწვიოს პრეზიდიუმი, თუ მისმა ორმა წევრმა მოითხოვა.

მ უ ხ. 170. პრეზიდიუმის სხდომა კანონიერად ჩაითვლება, თუ დაესწრება არანაკლებ სამი წევრისა, მათ შორის საბჭოს მდივანი ან მისი ამხანაგი.

მ უ ხ. 171. პრეზიდიუმის მუშაობის ჟურნალის წარმოების წესს თვით პრეზიდიუმი იმუშავებს.

თ ა ვ ი 8.

რეგლამენტის გადასინჯვის წესი.

მ უ ხ. 172. რეგლამენტის შეცვლა, დამატება, ან გადასინჯვა სწარმოებს იმავე წესით, რომელიც მიღებულია საკანონმდებლო საქმეთათვის (თავი 4, ნაწილი 1).

სიკვდილით დასჯისა ზოგიერთ უმძიმეს ბოროტმოქმედებისათვის

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 5 ივლისის კანონი

I. დროებით მიღებული იქნეს სიკვდილით დასჯა დახვრეტით, როგორც უმაღლესი საფეხური სასჯელისა, იმ პირთათვის, ვინც ჩაიდენს რომელსამე ქვემორე აღნიშნულ უმძიმესს ბოროტმოქმედებას: 1) ვინც სახელმწიფო მოღალატეობას ჩაიდენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ (მუხ. 108, 109, 110, და 119 სისხლის სამართლის დებულებისა, ტომი 15 კან. კრებ., გამოც. მე-4). 2) ვინც შეეცდება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წესწყობილების შეცვლას შეიარაღებულის ძალით (მუხ. 100 სისხლის სამართ. დებულ., რუსეთის დროებითი მთავრობის 1917 წლის 4 აგვისტოს დადგენილების რედაქციით. „დროებითი მთავრობის უწყება", 1917 წ. № 127). 3) ვინც მონაწილეობას მიიღებს აშკარა აჯანყებაში დაწესებულ მმართველობის წინააღმდეგ (მუხ. 263 სასჯელთა დებულებისა, ტომი 15 კანონ. კრებულ.). 4) ვინც ჩაიდენს წინასწარ ან უცბად მოფიქრებულ მკვლელობას (მუხ. 1454 და 1 ნაწ. 1455 სასჯელთა დებულებისა, ტომი 15). 5) ვინც განზრახ, ცეცხლის წაკიდებით ან რაიმე სხვა გზით გაანადგურებს ან გააფუჭებს სამხედრო მასალას ან საზოგადოდ იმას, რაც წარმოადგენს თავდასხმის თუ თავდაცვის საშუალებას, ან სათადარიგოდ დამზადებულ სურსათს, გინდ ფურაჟს, ან ვინც განზრახ ცეცხლს წაუკიდებს სახელმწიფო, გინდ საზოგადო შენობას. 6) ვინც განზრახ გაანადგურებს, ან ვინც ზიანს მიაყენებს ტელეგრაფს, ტელეფონს, რკინის გზის ლიანდაგს, ვაგონებს, რკინის გზის ან ნავთსადგურის შენობას ან რაიმე მათ მოწყობილობას, ან გასაფრთხილებელ ნიშნებს, რომელიც დაწესებულია რკინის გზით ან გემით უხიფათო მიმოსვლისთვის. თუნდაც ბოროტმომქმედს განზრახვა არ ჰქონოდეს საფრთხეში ჩაეგდო რკინის გზით თუ გემით მიმავალი ხალხი ან გადასაზიდი საქონელი, ან ვინც განზრახ მოსპობს ან გააფუჭებს სამრეწველო, თუ სამთა-მადნო დარგის ისეთ მოწყობილობას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკი-

სათვის. 7) ვინც გაძარცვავს ან იარაღით თავს დაესხმის ვინ-მე და წაართმევს ქონებას (грабежъ и разбой). 8) ვინც იმ დროს, როდესაც საქართველოს ომი ექნება სხვა სახელმწიფოსთან, ჩაიდენს სამხედრო მოქმედების ასპარეზზე რომელ-სამე იმ ბოროტმოქმედებათაგანს, რომელიც აღნიშნულია რუსეთის დროებით მთავრობის 1917 წ. 12 ივლისის დადგენილებაში („დროებითი მთავრობის უწყება", 1917 წ. № 103).

II. ამ კანონით დაისჯება ყველა, ვინც რომელსამე ზემოთ ჩამოთვლილ ბოროტმოქმედებას ჩაიდენს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

III. ეს კანონი შედის ძალაში 1918 წლის 26 მაისიდან.

ტფილისის სამოსამართლო პალატის შტატების შემცირებისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 5 ივლისის კანონი

1. მიენდოს იუსტიციის მინისტრს დაუყოვნებლივ შეამციროს ტფილისის სამოსამართლო პალატის შტატები.

2. მიენდოს იმავე მინისტრს დაითხოვოს შტატგარეშე ხსენებულ პალატის ის წევრნი, მდივნები, მდივნების თანაშემწენი, მოხელეები და მოსამსახურენი, ვისაც ის საჭიროდ დაინახავს.

3. შტატგარეშე დატოვებულ პალატის წევრთ, მდივნებს, მათ თანაშემწეთ, მოხელეებს და მოსამსახურეთ მიეცეს ის შემწეობა, რომელიც საზოგადოდ დაკანონებული იქნება დათხოვნილთათვის საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ.

4. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან მიღებისა ეროვნულ საბჭოს მიერ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ტფილისის საობლო სასამართლოს გაუქმებისა

მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 5 ივლისს

1. ტფილისის საობლო სასამართლო (Тифлисскій Сиротскій Судъ) გაუქმდეს. ყველა ის საქმე, რომელიც საგუბერნიო საერთო დაწესებულებათა 1182 მუხ. ძალით (ტ. II, ნაწ. 1, 1892 წ. გამოც.) ექვემდებარებოდა ამ სასამართლოს, დაექვემდებაროს მომრიგებელ მოსამართლეს კუთვნილებისამებრ.

2. იმავ დღიდან გაუქმდეს საქართველოს ქალაქებში საობლო სასამართლოთა დაარსების შესახებ 1181 და 1185 მ. მ. (ტ. II, ნაწ. 1, საგუბერნიო საერთო დაწესებულ., 1892 გამოც.).

3. სასამართლო დაწესებულებათა დებულების (Учрежден. Суд. Установл.) 435 მ. შეიცვალოს შემდეგნაირად: „სააპელაციონო ნაწილის გამგებლობა, გარდა იმ საქმეებისა, რომელიც შეეხება სოფლის მკვიდრ მცირეწლოვანთა და მართლმადიდებელ სამღვდელოების ობლების აპეკას და მცირეწლოვანებს, ევალება მომრიგებელ მოსამართლეებს.

4. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკაში სამოქალაქო კანონთა (ტ. X, ნაწ. 1, კან. კრებ. 1895 წ. გაგრძელების მიხედვით) 240 მუხლი.

5. ტფილისის საობლო სასამართლოს მოხელე, ვინც საჯელმწიფო ან საზოგადო დაწესებულებათა რომელსამე ახალ თანამდებობაზე არ იქნება განწესებული, შტატგარეშე დარჩება საზოგადო წესისამებრ.

6. ტფილისის საობლო სასამართლოს საქმეები გადაეცეს დასრულებული — ტფილისის ოლქის სასამართლოს შესანახად, ხოლო რომელიც წარმოებაშია — ქალაქ ტფილისის სათანადო მომრიგებელ მოსამართლეებს.

საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოების და მომრიგებელ შუამავალთა ინსტიტუტის გაუქმებისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 9 ივლისის კანონი

I. გაუქმებულ იქნეს ამ კანონის გამოქვეყნების დღიდანვ: ა) ტფილისის და ქუთაისის საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულონი. ბ) მომრიგებელ შუამავალთა და მათ მოენეთა (თარჯიმანების) თანამდებობანი ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებსა და აგრეთვე ზაქათალის და სოხუმის ოლქებში.

II. აღნიშნულ საგლეხო (სასოფლო) საქმეთა საკრებულოების ყოველი წევრი და კანცელარიის მოსამსახურე, როგორც შტატისა, ისე თავისუფლად დაქირავებული, მომრიგებელი შუამავალი და მისი მოენე დატოვებულ იქნეს შტატის გარეშე საერთო წესით.

III. ზემოაღნიშნულ მომრიგებელ შუამავალთა ყოველი საქმე დროებით გადაეცეს შესანახად სათანადო მაზრის კომისარს, ხოლო საგუბერნიო საგლეხო საკრებულოთა — გუბერნიის კომისარს შემდეგში სათანადო დაწესებულებათათვის გადასაცემად.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქეობისა /ქვეშევრდომობისა/[1]

მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 16 ივლისს

1. ყოველი მკვიდრი, მცხოვრები საქართველოს რესპუბლიკის, არის საქართველოს მოქალაქე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მკვიდრი ეწოდება იმას, ვინც მიწერილია რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის ივლისის 19-მდე (ძვ. სტ.).

---

[1] იხ. გვ. 270, 273.

2. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს მოქალაქედ სხვა სახელმწიფოსი.

3. საქართველოს რესპუბლიკაში მხოლოდ მისი მოქალაქენი არიან აღჭურვილნი პოლიტიკურის უფლებით (აქტიური და პასიური უფლება პარლამენტისა და ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებისათვის და სხვა).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მთავრობას უფლება აქვს განსაკუთრებულ შემთხვევაში დროებით, სანამ დაწესებულებათა გარდაქმნა დამთავრდებოდეს, მოიწვიოს თანამდებობაზე უცხო ქვეყნის მოქალაქე.

4. პირობა უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომის მიღებისა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ და აგრეთვე საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისა განსაზღვრული იქნება ცალკე კანონით.

რუსეთის საერთო დაწესებულებათა და მათ განყოფილებათა ლიკვიდაციისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 2 აგვისტოს კანონი

1. მიენდოს მთავრობას, საჭიროების მიხედვით, მოახდინოს ნაწილობრივი ან სრული ლიკვიდაცია საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილ რუსეთის, კავკასიის, ან ამიერკავკასიის საერთო დაწესებულებათა და მათ ადგილობრივ განყოფილებათა არა უგვიანეს ამა 1918 წლის დეკემბრის პირველისა.

2. დაევალოს მთავრობას ყოველი ასეთი ლიკვიდაციის გამო სათანადო კანონ-პროექტი წარმოუდგინოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს არა უგვიანეს ერთი თვისა ამა თუ იმ დაწესებულების სრულ ან ნაწილობრივ ლიკვიდაციის დღიდან.

3. ლიკვიდაციისათვის საჭირო ხარჯი გაღებულ იქნეს ათი მილიონის ფონდიდან.

4. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა.

საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციის შტატისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 2 აგვისტოს კანონი

1. დაწესებულ იქნეს რესპუბლიკის საზღვრებში საგუბერნიო, სამაზრო და სარაიონო კომისრების შტატი შემდეგის შედგენილობისა: ტფილისის გუბერნიისათვის — ერთი გუბერნიის კომისარი, ორი მისი თანაშემწე, შვიდი მაზრის კომისარი, შვიდი უფროსი და სამი უმცროსი მათი თანაშემწე და 32 სარაიონო კომისარი; ქუთაისის გუბერნიისათვის — ერთი გუბერნიის კომისარი, ერთი მისი თანაშემწე, შვიდი მაზრის კომისარი, შვიდი მათი თანაშემწე და 24 სარაიონო კომისარი; სოხუმის ოლქისათვის — ერთი ოლქის კომისარი, ერთი მისი თანაშემწე და 4 სარაიონო კომისარი; ზაქათალის ოლქისათვის — ერთი ოლქის კომისარი, ერთი მისი თანაშემწე და 4 სარაიონო კომისარი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სარაიონო კომისარი არის იმავე დროს სარაიონო მილიციის უფროსი.

2. ხსენებული კომისრებისთვის დაწესდეს შემდეგი რაოდენობა ჯამაგირისა: გუბერნიის კომისარს თექვსმეტი ათას ორასი მანეთი წლიურად, მის თანაშემწეს ათი ათას რვაასი მანეთი წლიურად, მაზრის კომისარს ცხრა ათასი მანეთი წლიურად, მაზრის კომისრის უფროს თანაშემწეს შვიდი ათას ორასი მანეთი წლიურად, ხოლო უმცროს თანაშემწეს ექვსი ათასი მანეთი წლიურად. სოხუმის ოლქის კომისარს ცამეტი ათას ორასი მანეთი წლიურად, მის თანაშემწეს-კი ცხრა ათასი მან.; სარაიონო კომისარს მიეცეს წლიურად ოთხი ათას ორასი მანეთი; ზაქათალის ოლქის კომისარს ცამეტი ათას ორასი მანეთი წლიურად, მის თანაშემწეს-კი ცხრა ათასი მან., სარაიონო კომისარს მიეცეს წლიურად ოთხი ათას ორასი მანეთი.

3. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში გადაიდოს სამოცი ათასი (60.000) მან. საგუბერნიო და სამაზრო ადმინისტრაციის საგზაო ხარჯისათვის.

4. ზემოდასახელებულ შტატისათვის განწესებული ჯამაგირი შემოღებულ იქნეს ამა წლის ივლისის პირველიდან.

5. ამ შტატებით გამოწვეული ზედმეტი სარჯი გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობისა

მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 20 აგვისტოს

მ უ ხ. 1. ეროვნული საბჭო უზენაესი ორგანოა საქართველოს შეიარაღებულ ძალებისა და თავის უფლებას განახორციელებს რესპუბლიკის მთავრობის საშუალებით.

მ უ ხ. 2. ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი ორგანო არის მთავრობა. მთავრობა თავის უფლებას შეიარაღებულ ძალების მიმართ განახორციელებს სამხედრო სამინისტროს საშუალებით, რომლის სათავეში სდგას სამხედრო მინისტრი.

მ უ ხ. 3. სამხედრო მინისტრი არის ხელმძღვანელი თავის უწყების ყოველი დარგისა და თავისი მოქმედებით ექვემდებარება პირდაპირ რესპუბლიკის მთავრობას. იგი არის მომხსენებელი მთავრობის წინაშე სამხედრო საქმეთა ყოველი საკითხისა.

მ უ ხ. 4. ომიანობის დროს მტრის წინააღმდეგ ყოველი მომქმედი შეიარაღებული ძალის წინამძღოლად ინიშნება მთავრობის მიერ, საგანგებო დეკრეტით, არმიის მთავარ-სარდალი, რომელიც ემორჩილება პირდაპირ მთავრობის თავმჯდომარეს. ომის ოპერატიულ საქმეებში მთავარ-სარდალს აქვს სრული თავისუფლება მოქმედებისა და ომის წარმოების ყოველი საკითხის გამო მომხსენებელია მთავრობის თავმჯდომარის წინაშე. ასეთ მოხსენებას ესწრება სამხედრო მინისტრი, რომელსაც შეუძლია გამოსთქვას თავისი მოსაზრება და დასკვნა. მთავარ-სარდლის წერილობითი მოხსენების შესახებ სამხედრო მინისტრს ნება აქვს თავისი დასკვნა წერილობითვე წარადგი-

ნოს. მთავარ-სარდლის ყოველი უფლება განმარტებულია „ომიანობის დროის ჯარის საველე მმართველობის დებულებით“.

მ უ ხ. 5. სამხედრო მინისტრისათვის ინიშნება ამხანაგი, რომელიც არის უახლოესი მრჩეველი და, ამავე დროს, ნაცვალი სამხედრო მინისტრისა. ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც მიმდინარე საქმეს პრინციპული, პოლიტიკური ან საბიუჯეტო ხასიათი არა აქვს, სამხედრო მინისტრის ამხანაგი დამოუკიდებლად გადასწყვეტს საქმეს და სამხედრო მინისტრის მაგიერ ხელს მოაწერს.

მ უ ხ. 6. სამხედრო სამინისტროს ხელშია გამგებლობა სამხედრო მმართველობისა.

სამხედრო სამინისტროში შემდეგი ექვსი განყოფილებაა:

1. საერთო განყოფილება.
2. პირადი შედგენილობის განყოფილება.
3. გენერალური შტაბის განყოფილება.
4. სააღმინისტრაციო განყოფილება.
5. სამხედრო სასანიტარო განყოფილება.
6. სამხედრო საბეითალო განყოფილება.

მ უ ხ. 7. სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების სათავეში სდგას გენერალური შტაბის შტაბ-ოფიცერი ანუ შტაბ-ოფიცერი, იურიდიულის ცოდნით აღჭურვილი. მას ექვემდებარება:

1. განყოფილების კანცელარია სტამბითურთ.
2. სამხედრო სამინისტროს ყოველი განყოფილების რეგისტრატურა, გარდა გენერალური შტაბის რეგისტრატურისა.
3. სამეურნეო სექცია.
4. სამხედრო სამინისტროს კომენდანტი.

სამხედრო სამინისტროში შემოსულ ფოსტას, გარდა გენერალურ შტაბის სახელზე მოსულისა, გახსნის და განიხილავს საერთო განყოფილების უფროსი, გაატარებს შემოსულ ქაღალდების დავთარში და გაანაწილებს სხვადასხვა განყოფილებათა შორის სისრულეში მოსაყვანად. ყურადსაღებ პაკეტებს დაუყოვნებლივ წარუდგენს სამხედრო მინისტრს, ან მის ამხანაგს. საერთო განყოფილების ხელშია აგრეთვე „სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებულის“ რედაქტორობა.

მ უ ხ. 8. პირადი შემადგენლობის განყოფილებას სათავეში უდგას გენერალი ანუ შტაბ-ოფიცერი. განყოფილება განაგებს

ყოველი ოფიცრის და სამხედრო უწყების მოხელის დანიშვნას, წარჩინებას, გამორიცხვას, დაჯილდოვებას და აგრეთვე პატივის სასამართლოს საქმეებს.

მ უ ხ. 9. გენერალური შტაბის განყოფილებას სათავეში უდგას გენერალური შტაბის გენერალი. ომის დროს სამხედრო სამინისტროს გენერალურ შტაბის უფროსი არმიის საველე შტაბის უფროსის თანამდებობას ასრულებს.

გენერალურ შტაბშია შემდეგი 6 სექცია:

1. საოპერაციო.
2. საორგანიზაციო.
3. საარტილერიო.
4. საინჟინერო-სატექნიკო.
5. სამხედრო-საზღვაო.
6. სამხედრო-საისტორიო არქივის.

პირველ სექციის სათავეში სდგას გენერალური შტაბის გენერალი ანუ გენერალური შტაბის პოლკოვნიკი. ამ სექციის მუშაობის საგანია:

შედგენა და ორგანიზაცია ჯარისა.

მობილიზაცია.

დაცვა ტერიტორიისა და სარკინისგზო საქმე.

დაზვერვა.

კავშირის საქმე.

ჯარის გაწრთვნა და აღლუმი.

საზღვრების დაცვა.

გარდა ამისა, საველე ჯარების ოპერაცია ომის დროს.

მეორე სექციის სათავეში სდგას გენერალური შტაბის პოლკოვნიკი. სექცია შეიმუშავებს ყოველ საკითხს, რომელიც შეეხება სამსახურის წესრიგს, ახალგაზრდების ჯარში გაწვევას, დისციპლინას, სამხედრო სკოლების საქმეს, ჯარის შინაურ ცხოვრების ვითარებას და სამხედრო გამოცემათა საქმეს.

მესამე სექციის სათავეში სდგას არტილერიის გენერალი, ან შტაბ-ოფიცერი (აკადემიელი). სექცია განაგებს ჯარისთვის ზარბაზნის, თოფის და სხვა საომარ იარაღის და მასალის მიწოდების საქმეს, საარტილერიო ქარხნების და საწყობების და აგრეთვე მსროლელთა სკოლების და სასწავლო პოლიგონების საქმეს.

მეოთხე სექციის სათავეში სდგას შტაბ-ოფიცერი, სამხედ-

რო ინჟინერი. სექცია უზრუნველჰყოფს ტექნიკურ ჯარებს (საპიორთა, მფრინავთა, ყუმბარის მსროლელთა, საკავშირო ნაწილთა) ტექნიკური მასალით, აგრეთვე განაგებს ყოველ საინჟინრო-სატექნიკო სკოლას.

მეხუთე სექციის სათავეში სდგას საზღვაო უწყების შტაბ-ოფიცერი. სექცია შეიმუშავებს სამხედრო-საზღვაო საკითხებს.

მეექვსე სექციის სათავეში სდგას სამხედრო არქივის საქმეთა მცოდნე კაცი. არქივი განაგებს სამხედრო საისტორიო მასალების შეკრების, შენახვის და მათი სამეცნიერო მიზნით გამოყენების საქმეს. ომის დროს სექცია მოაწყობს საომარ ფრონტზე საბუთების შეკრების საქმეს.

მ უ ხ. 10. სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილების სათავეში სდგას უმაღლესი სამხედრო სწავლით, ან სათანადო საადმინისტრაციო გამოცდილებით აღჭურვილი გენერალი.

ომის დროს საადმინისტრაციო განყოფილების უფროსი ასრულებს ჯარის რჩენის გამგეობის უფროსის თანამდებობას.

განყოფილებაში ხუთი სექციაა:

1. საბიუჯეტო.
2. სასურსათო.
3. საბარგო და საავეჯო.
4. საბინაო.
5. საპენსიო.

საბიუჯეტო სექციის საქმეა სამხედრო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის შედგენა და ჯარის დაკმაყოფილება ხვედრის ფულით.

სასურსათო სექციის საქმეა დაკმაყოფილება ჯარისა საჭმელ-სასმლით.

საბარგო და საავეჯო სექცია განაგებს ჯარის შემოსვის, შეკაზმვის და ბარგის საქმეს.

საბინაო სექცია განაგებს ჯარებისათვის ბინების მოწყობას და ჯარის შენობის შეკეთების საქმეს.

საპენსიო სექცია განაგებს ოფიცრების, სამხედრო მოხელეების, ჯარისკაცებისა და იმათი ოჯახების პენსიის საქმეს.

მ უ ხ. 11. სამხედრო სამინისტროს სანიტარული განყოფილების სათავეში სდგას სამხედრო სანიტარული ექიმი. განყო-

ფილება განაგებს ყველა საკითხს, რომელიც შეეხება ჯარის სანიტარულ საქმეს.

მ უ ხ. 12. სამხედრო სამინისტროს საბეითალო განყოფილების სათავეში სდგას სამხედრო ბეითალი. განყოფილება შეიმუშავებს არმიის ყოველგვარ საბეითალო საქმეს.

საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარული არმიის ორგანიზაციისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 20 აგვისტოს კანონი

მ უ ხ. 1. საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარულ ჯარს შეადგენს ორი ქვეითი დივიზია, სანაპირო ჯარი, ცხენოსანი ჯარის ერთი ბრიგადა, ერთი საარმიო არტილერიის ბრიგადა, საპიორთა ერთი ბატალიონი, ერთი სატექნიკო ბატალიონი, ერთი საავტომობილო ასეული, ერთი ჯავშნოსანი ასეული და ერთი საავიაციო გუნდი.

მ უ ხ. 2. ა) ქვეით დივიზიას შეადგენს: სამი ქვეითი პოლკი, ცხენოსანთა ერთი ესკადრონი, ერთი ბრიგადა არტილერიისა, ერთი ასეული საპიორთა, საბარგო ქარავანი დივიზიისა და სანიტარული დაწესებულება.

დივიზიის სათავეში სდგას დივიზიის უფროსი.

ბ) სანაპირო ჯარს აქვს განსაკუთრებული შტატი. მის სათავეში სდგას განსაკუთრებული უფროსი.

გ) ცხენოსანთა ბრიგადას შეადგენს ცხენოსანთა სამი პოლკი, ერთი სათადარიგო ესკადრონი და ერთი ცხენოსანთა სამთო საარტილერიო დივიზიონი.

ბრიგადის სათავეში სდგას ბრიგადის უფროსი.

დ) საარმიო არტილერიის ბრიგადას შეადგენს: ერთი მსუბუქი დივიზიონი, მძიმე ზარბაზნის ერთი (42 ლინ.) და გაუბიცის (6 დიუმ.) ორი დივიზიონი; თითოეული დივიზიონი სამი ბატარეისაგან შესდგება; გარდა ამისა ბრიგადაშია ორი საზენიტო წყობა.

ბრიგადის სათავეში სდგას ბრიგადის უფროსი.

ე) საპიორთა ბატალიონს შეადგენს სამი სასაპიორო და ნალ-

მისმტყორცნელი ერთი ასეული და სასწავლო და სამეურნეო კომანდები. სატექნიკო ბატალიონს შეადგენს ერთი სატელეგრაფო, ერთი უმავთულო ტელეგრაფისა, ერთი საპროჟექტორო ასეული და სასწავლო და სამეურნეო კომანდები.

საავტომობილო ასეულს შეადგენს სამი წყობა, სასწავლო კომანდა და სახელოსნო.

ჯავშნოსან ასეულს შეადგენს სამი წყობა.

საავიაციო გუნდს შეადგენს ორი რაზმი და ერთი პარკი.

მ უ ხ. 3. ქვეით პოლკს შეადგენს სამი ბატალიონი, თითო ბატალიონს — სამი ქვეითი და ერთი ასეული ტყვიისმფრქვეველთა; გარდა ამისა თითოეულ პოლკში არის სასწავლო, მზვერავთა, საკავშირო, საპიორთა, სანაღმო-საყუმბარო, სამეურნეო, ქიმიური და ცეცხლისმფრქვეველი კომანდები. თითოეულ ცხენოსან პოლკს შეადგენს სამი ცხენოსანთა ესკადრონი, ერთი ტყვიის-მფრქვეველი ესკადრონი და სასწავლო, საკავშირო და ცხენოსან საპიორთა კომანდები.

არტილერიის ბრიგადას, რომელიც დაერთვის დივიზიას, შეადგენს: I. საპოლკო არტილერიის ერთი სამ ბატარიანი სამთო დივიზიონი, რომელიც აგებულია ისე, რომ იმოქმედოს განსაკუთრებით წყობ-წყობად (18 სამთო ზარბაზანი); II. ორი დივიზიონი, თითოეულში ორი სამთო ბატარია (სულ 16 სამთო ზარბაზანი); III. ერთი ორ ბატარიანი მსუბუქი დივიზიონი (სულ 8 მსუბუქი ზარბაზანი), და IV. ერთი სამ ბატარიანი გაუბიცის დივიზიონი (48 ლინიის 12 გაუბიცა). გარდა ამისა, ბრიგადაში შედის: ერთი საზენიტო წყობა (2 ზარბაზანი), კომანდა მტრის ზარბაზნების ადგილის აღმოსაჩენად საკუსტიკო და საოპტიკო იარაღების შემწეობით და სასწავლო, მზვერავთა, საკავშირო და სარემონტო კომანდები.

მ უ ხ. 4. ყოველ მთავარ უფროსთან არსებობს ჯარის მართვა-გამგეობისათვის საჭირო შტაბი.

მ უ ხ. 5. ჯარში ირიცხებიან აგრეთვე წყების გარეშე მყოფი სამხედრო სამინისტროს და სამხედრო სკოლების ოფიცრები და მთელი საადმინისტრაციო შედგენილობა ჯარის მართვა-გამგეობისა. ამისათვის საჭირო რიცხვი ოფიცერთა, ექიმთა და მოხელეთა აღნუსხულია სამხედრო სამინისტროს შტატში.

მ უ ხ. 6. იუნკერთა მოსამზადებლად არსდება სამხედრო სკოლა. გარდა ამისა, არსდება სკოლები: ქვეითი მსროლელი

ჯარისა, მსროლელი საარტილერიო, საინჟინრო-სატექნიკო და საავიაციო.

მ უ ხ. 7. ჯარისკაცთა გასასამართლებლად, სამხედრო დისციპლინის დარღვევისა და სამხედრო სამსახურის მოვალეობის აუსრულებლობისათვის, არსდება საგანგებო სამხედრო სასამართლოები, დამტკიცებულ შტატის თანახმად.

ძ ი რ ი თ ა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა
საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსებისა

მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 20 აგვისტოს

მ უ ხ. 1. სამხედრო ბეგარა რესპუბლიკაში საყოველთაოა და საპირადო ყოველი მოქალაქისათვის (ქვეშევრდომისათვის).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეს მუხლი კანონისა არ შეეხება მაჰმადიან მოქალაქეებს.

მ უ ხ. 2. რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე ოცდან ორმოცდახუთ წლამდე (20 და 45 წლიანიც) მოვალეა პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ნაჩვენებია კანონში. ბეგრის მოხდა სხვის მაგიერ არ შეიძლება.

მ უ ხ. 3. ვისაც სამხედრო ბეგარა მართებს და ჯარში სამსახურისათვის უვარგისი გამოდგება, გაწვეული იქნება არმიაში ისეთ მოვალეობისათვის, რომელიც შეეფერება მის ფიზიკურ აგებულებას და აგრეთვე რამდენადაც შესაძლებელია, მის ცოდნას და წინანდელ სამსახურსა.

მ უ ხ. 4. შეიარაღებული ძალა საქართველოსი შესდგება მუდმივ ჯარისა და ლაშქრისაგან.

მ უ ხ. 5. არმია არის მუდმივი და სათადარიგო. მუდმივი არმია მუდამ მზად არის ომის სამსახურისათვის. სათადარიგო ჯარის დანიშნულებაა გაძლიერება და შევსება მუდმივ არმიის მობილიზაციის დროს.

მ უ ხ. 6. ლაშქარს გამოიწვევს საკანონმდებლო დაწესებუ-

ლება მაშინ, როდესაც სამშობლოს საფრთხე მოელის, და ამ შემთხვევაში შეიძლება ლაშქარში გაწვეულ იქნეს ქუდზე კაცი, ჩვიდმეტიდან დაწყებული 50 წლამდე.

მ უ ხ. 7. ყოველი სამხედრო მოსამსახურე მუდმივი არმიისა, სათადარიგო და მოლაშქრე, ვარჯიშობისათვის გაწვევის დროს, აგრეთვე ისიც, ვინც გაწვეულია მომქმედ ჯარის შესადგენად, პოლიტიკის გარეშე იმყოფება.

მ უ ხ. 8. საერთო ვადა სამსახურისა 25 წელიწადია: ნამდვილ სამსახურში 2 წელიწადი, სათადარიგოში 15 წელიწადი და ლაშქარში 8 წელიწადი.

გადარიცხვა ნამდვილ სამსახურიდან სათადარიგოში და სათადარიგოდან ლაშქარში მოხდება ყოველ წლივ, კანონით აღნიშნულ დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მთავრობა საგანგებო ბრძანებას გამოსცემს.

მ უ ხ. 9. ვინც შეასრულა სავალდებულო ვადა ნამდვილი სამსახურისა და სურს სამსახურის განგრძობა, შეუძლია კიდევ იმსახუროს განსაკუთრებული წესების თანახმად, თუ სამსახურისათვის გამოსადეგია.

მ უ ხ. 10. სამხედრო ბიგარის ვადის გადადების უფლება აქვს:

1) სამხედრო ბეგრის ასაკის ახალგაზრდას, რომელიც, კონტინგენტის შევსების გამო, არ ყოფილა მიღებული ნამდვილ სამსახურში. ასეთს ახალგაზრდას გაიწვევენ ნამდვილ სამსახურში შემდეგ წელს პირველ ჯერში.

2) იმას, ვინც ფიზიკურად საკმაოდ განვითარებული არაა და შეპყრობილია ისეთი სენით, რომელიც სამუდამოდ არ გაანთავისუფლებს სამხედრო სამსახურისაგან.

3) საშუალო სკოლების მოწაფეს სწავლის დასრულებამდე, თუ წარმოადგენს სკოლის მოწმობას. ბეგრის გადადება შეიძლება მხოლოდ 22 წლამდის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: არ იქნება გაწვეული სამხედრო ბეგარის მოსახდელად საქმის დასრულებამდის, ვინც მიცემულია სასამართლოში, ან ვის შესახებაც გამოძიებაა ისეთ დანაშაულის გამო, რომლისთვისაც კანონით დაწესებულია უფლების აყრა ან უფლების შეზღუდვა.

მ უ ხ. 11. სამხედრო ბეგრისთვის გაწვევა მოხდება ყოველ წლივ ნოემბრის თხუთმეტს. გაწვეულნი იქნებიან ახალგაზრდები, რომელთაც შემდეგი წლის იანვრის პირველისათვის შეუსრულდებათ 20 წელი. ვადა სამსახურისა ითვლება დღიდან გაწვევისა. წესი ჯარში გაწვევისა და საექიმო შემოწმება გაწვეულთა აღნიშნულია სამხედრო ბეგრის წესდებაში.

მ უ ხ. 12. სათადარიგო და სალაშქრო სამხედრო სამსახურში მყოფნი განსაკუთრებულად აღინუსხებიან და ექვემდებარებიან სამხედრო კონტროლს. ის პირნი, რომელნიც გადარიცხულნი არიან სათადარიგო ჯარში, ვიდრე სათადარიგოდ ირიცხებიან, შეიძლება გაწვეულ იქნენ განმეორებითი ვარჯიშობისათვის ყოველ სამ წელში სამი კვირის ვადით.

ლაშქარში ჩარიცხულნი, მთელ იმ დროის განმავლობაში, სანამ ლაშქარში ითვლებიან, განმეორებითი ვარჯიშობისათვის შეიძლება იქნენ გაწვეულნი მხოლოდ სამი კვირის ვადით. განმეორებითი ვარჯიშობის გასაწვევ დროს ნიშნავს სამხედრო მინისტრი. ეს გაწვევა არ უნდა მოხდეს საარჩევნო კამპანიისა და საერთო პოლიტიკური და კომუნალურ არჩევნების დროს.

განეორებითი ვარჯიშობისათვის გაწვეულ პირთ, რომელნიც სახელმწიფო, საზოგადოებრივ, ან კერძო სამსახურში ირიცხებიან, გაწვევის დროს ადგილი შეენახებათ.

ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფოს უნივერსიტეტად გამოცხადებისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 3 სექტემბრის კანონი

ა) გამოცხადდეს ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფოს უნივერსიტეტად და დაერქვას „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

ბ) სახელმწიფოს ყოველ-წლიურ ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ იქნეს განსაზღვრული თანხა უნივერსიტეტის შესანახად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამა 1918 წელს მიეცეს ტფილისის უნივერსიტეტს თანახმად წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიცხვისა 334.300 მან.

გ) დამტკიცებულ იქნეს დროებითი ძირითადი დებულება უნივერსიტეტისა.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დროებითი ძირითადი დებულება

მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 3 სექტემბერს

(ამონაკრები)

§ 1. ტფილისის უნივერსიტეტი როგორც სამეცნიერო სასწავლო სფეროს მხრით, ისე საუნივერსიტეტო მართვა-გამგეობისა და შინაურ მეურნეობის მხრითაც სრულებით ავტონომიურია და ყველა ამ დარგის საქმეებს თვითვე განაგებს.

§ 2. უნივერსიტეტის მთავარ ორგანოთა მოქმედების საზოგადო მეთვალყურეობა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრის უფლებას შეადგენს.

§ 3. ქონებრივ საშუალებას უნივერსიტეტს საქართველოს მთავრობა აძლევს.

§ 4. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო და გამგეობა უნივერსიტეტის ყოველწლიურ ხარჯთაღრიცხვას შეადგენს, რომელიც წლის დამდეგამდე დროულად სახალხო განათლების მინისტრს უნდა წარედგინოს განსახილველად და დასამტკიცებლად ქონებრივი მხრით. ამ დამტკიცებულ სავარაუდო ყოველწლიურ ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით უნივერსიტეტის გამგეობას, საგანგებო ინსტრუქციის თანახმად, სახელმწიფოს ხაზინიდან გამოაქვს ფული და უნივერსიტეტის ყოველ ხარჯს გაისტუმრებს.

§ 5. უნივერსიტეტის გამგეობა ვალდებულია თვე-და-თვე გატანილი ფულის რაოდენობა და დანიშნულება სახალხო განათლების მინისტრს აცნობოს, ხოლო საქართველოს უზენაეს საკონტროლო დაწესებულებას ამასთანავე გაწეულ ხარჯების გასამართლებელი საბუთებიც გაუგზავნოს ხოლმე.

§ 6. ტფილისის უნივერსიტეტი სრული უნივერსიტეტია და შემდეგს ფაკულტეტებს შეიცავს: 1) სიბრძნის-მეტყველების, ანუ ფილოსოფიურს ფაკულტეტს, რომელშიაც საფილოსოფიო,

საისტორიო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგები შედის როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთისა და სამხრეთ-ჩრდილოეთ ქვეყნებისა და ერების შესახებ; 2) სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს; 3) სამართლის მეცნიერების ანუ იურიდიულს ფაკულტეტს და 4) სამკურნალო ფაკულტეტს.

§ 7. პროფესორები, კერძო დოცენტები, მეცნიერი ხელმძღვანელნი, ლაბორანტები, ასისტენტები და ლექტორები ლექციებს ქართულად კითხულობენ. ქართულადვე სწარმოებს საქმითი ვარჯიშობაც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: განსაკუთრებულს შემთხვევაში პროფესორთა საბჭოს უფლება აქვს ნება დართოს ლექციების კითხვისა უცხო ენაზედ.

§ 8. უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობენ პროფესორები და კერძო დოცენტები. მეცნიერი ხელმძღვანელი და ლექტორები ენებს ასწავლიან და საქმის ვარჯიშობაში წვრთნიან მსმენელებს, ლაბორანტები და ასისტენტები პროფესორებს ეხმარებიან ლექციების კითხვისა და საქმითი ვარჯიშობის მოწყობა-წარმოებაში.

§ 9. პროფესორად მეცნიერს ჯერ სათანადო ფაკულტეტის საბჭო ირჩევს, ხოლო შემდეგ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო ფაკულტეტის დასაბუთებული მოხსენების მოსმენის შემდეგ ამტკიცებს. მეცნიერ ხელმძღვანელად, ლექტორად, ლაბორანტად და ასისტენტად, შესატყვის პროფესორის წინადადებისამებრ, სათანადო ფაკულტეტის საბჭო ამტკიცებს.

§ 10. ტფილისის უნივერსიტეტში მხოლოდ ერთი სამეცნიერო ხარისხია დოქტორისა ანუ მოძღვართა-მოძღვრობისა. რუსეთის უნივერსიტეტების მაგისტრის ხარისხი, ხოლო დასავლეთ ევროპის დოქტორის ხარისხი მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხს უდრის.

§ 11. უნივერსიტეტში პროფესორობა და კერძო დოცენტობა შეუძლიან მხოლოდ იმ მეცნიერს, რომელსაც ან ტფ. უნივერსიტეტის მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხი აქვს, ან უცხოეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტის სამაგისტრო, გინდა სადოქტორო ხარისხი მინიჭებული აქვს, მაგრამ დიპლომი და დისერტაცია სათანადო ფაკულტეტის მიერ განხილული და მოწონებული უნდა იყოს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. თუ რუსეთის რომელსამე უმაღლეს სამეცნიერო სკოლაში რომელსამე მეცნიერს უხარისხოდ პროფესორობა ან დოცენტობა მოპოვებული აქვს, ტფ. უნივერსიტეტის გამგეობას და პროფესორთა საბჭოს განსაკუთრებულ შემთხვევაში შეუძლიათ ისინიც პროფესორად მოიწვიონ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ვისაც რუსეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში სამეცნიერო ხარისხისათვის მხოლოდ სამაგისტრო გამოცდა აქვს ჩაბარებული, ვიდრე დისერტაციას დაიცავდეს, პროფესორის მოადგილედ ან მოვალეობის აღმასრულებლად ითვლება.

§ 12. ტფ. უნივერსიტეტს უფლება აქვს, მოძღვართ-მოძღვრობის ანუ დოქტორის სამეცნიერო ხარისხისათვის უნივერსიტეტთან დატოვებული, ან გარეშედ მოსული გამოსცადოს და უკეთუ შესატყვისს ცოდნას გამოიჩენს, წარმოდგენილ დისერტაციის ფაკულტეტზე განხილვისა და ჯერ ფაკულტეტზევე, ხოლო შემდეგ საჯაროდ დაცვის ღირსად ცნობის შემდეგ, მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭოს.

§ 13. ტფ. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს შეუძლიან მეცნიერების წინაშე განსაკუთრებულ ღვაწლის გამო განთქმულ მეცნიერს მოძღვართ-მოძღვრობის ანუ დოქტორობის სამეცნიერო ხარისხი გამოუცდელად და უდისერტაციოდ პატივისცემის ნიშნად მიანიჭოს.

§ 14. უნივერსიტეტის გამგეობა ყოველწლივ სახალხო განათლების მინისტრს ლექციების ნუსხას გაუგზავნის და პროფესორთა, კერძო დოცენტების, მეცნიერ ხელმძღვანელთა, ლექტორების, ლაბორანტებისა და ასისტენტების შემადგენლობის, მათი განათლებისა და სამეცნიერო ცენზის ცნობას აწვდის.

§ 15. ტფ. უნივერსიტეტის სტუდენტებად შეიძლება ორთავე სქესის პირნი იყვნენ, რომელთაც საშუალო სკოლა უნდა ჰქონდეთ გათავებული, თვითეულს ფაკულტეტს უფლება აქვს, თუ საჭიროდ სცნობს უნივერსიტეტში შემომსვლელთ რომელიმე დამატებითი საგნის ცოდნა წინასწარ მოსთხოვოს.

§ 16. სტუდენტს გარდა ტფ. უნივერსიტეტში ორთავე სქესის მსმენელნიც არიან.

§ 17. სტუდენტები და მსმენელნი ლექციების მოსმენისათვის უნივერსიტეტის სასარგებლოდ ყოველ სემესტრში ფულს იხდიან, რომლის რაოდენობა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მიერ უნდა იყოს განსაზღვრული.

§ 18. უნივერსიტეტის გამგეობა სტუდენტებს და მსმენელებს, თუ უკანასკნელნი მოისურვებენ, უნივერსიტეტში ლექციების მოსმენისა, მუშაობისა და გამოცდების ჩაბარების შემდეგ შესაფერ მოწმობას აძლევს.

§ 19. ნიჭიერ და სამეცნიერო კვლევა-ძიების უნარის პატრონ სწავლადამთავრებულ სტუდენტს სათანადო ფაკულტეტის პროფესორთა საბჭო პროფესორთა შუამდგომლობით უნივერსიტეტთან სტოვებს ჯერ სამეცნიერო კვლევა-ძიებაში დასაწინაურებლად, ხოლო შემდეგ პროფესორობისათვის მოსამზადებლად.

§ 20. ტფ. მთავრობის უნივერსიტეტის პროფესორები, მეცნიერი ხელმძღვანელნი, ლექტორები, ლაბორანტები, ასისტენტები, წიგნთსაცავის მთავარგამგე და უნივერსიტეტთან დატოვებულნი სამხედრო ბეგარას იხდიან საერთო სახელმწიფო კანონების თანახმად.

§ 21. ტფ. მთავრობის უნივერსიტეტის სტუდენტები იხდიან სამხედრო ბეგარას აგრეთვე საერთო სახელმწიფო კანონების თანახმად.

§ 22. ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტს საკუთარი ბეჭედი და დროშა აქვს.

„განათლების“ საზოგადოების — თამარ მეფის სახელობის — ქალთა საოსტატო სემინარიის მთავრობის გამგებლობაში გადაცემისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 6 სექტემბრის კანონი

/ამონაკრები/

1. „განათლების“ საზოგადოების თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარია გამოცხადდეს სახელმწიფო სკოლად და გადავიდეს მთელი სასკოლო მოწყობილობით, ბიბლიოთეკით და მუზეუმით მთავრობის გამგებლობაში.

საქართველოს რესპუბლიკის დროშისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 10 სექტემბრის კანონი

1. საქართველოს რესპუბლიკას აქვს თავისი დროშა სამფეროვანი: წითელის (შვინდის ფერის), შავის და თეთრის ფერისა.

2. დროშას შეადგენს: თეთრი ბუნი თავში ბირთვითა და შუბის წვერით, ალამი წითელი (შვინდის ელფერისა) შავი და თეთრი თანასწორი ზოლებით ზემო კუთხეში ბუნთან; შავი და თეთრი ზოლები შეადგენს ალამის განის ნახევარს და სიგრძის ორ მეხუთედს.

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობისა საქართველოს ეროვნულ საბჭოში

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 13 სექტემბრის კანონი

1. მიეცეს უფლება საქართველოს ეროვნულ საბჭოში 26 წარმომადგენლის არჩევისა იმ ეროვნულ უმცირესობას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზედ მოსახლეობს და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთაგან შესდგება, — სახელდობრ:

სომხებს	10 (ათი).
თათრებს	4 (ოთხი).
აფხაზებს	3 (სამი).
რუსებს	2 (ორი).
ოსებს	2 (ორი).
ქართველ ისრაელებს	2 (ორი).
ებრაელებს	1 (ერთი).
ბერძნებს	1 (ერთი).
გერმანელებს	1 (ერთი).

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები უნდა გამოგზავნონ ამ ერების ეროვნულმა საბჭოებმა, რომელნიც არჩე-

ულნი არიან საქართველოს მოქალაქეების მიერ და საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მოქმედებენ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სადაც ასეთი საბჭო არ არსებობს, საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრის გამოგზავნის უფლება მიეცეს ასეთ ერის წარმომადგენლებს, რომელნიც არჩეული არიან სხვა-და-სხვა დემოკრატიულ დაწესებულებაში საქართველოს რესპუბლიკაში.

სამასწავლებლო ინსტიტუტის და სემინარიების გაეროვნებისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 13 სექტემბრის კანონი

(ა მ ო ნ ა კ რ ე ბ ი)

ა. გაუქმდეს ტფილისის ინსტიტუტის და გორის სემინარიის აწინდელი ეროვნული განყოფილებანი.

ბ. გამოცხადდეს ტფილისის საოსტატო ინსტიტუტი, გორისა, ხონისა და სოხუმის სემინარიები ქართულ სახელმწიფო სკოლებად.

გ. გაიხსნას სოხუმის სემინარიასთან აფხაზური განყოფილება.

დ. მიეცეს ოთხსავე სკოლას კრედიტი სახელმწიფოს ხაზინიდან თანახმად აქვე დართულ ხარჯთაღრიცხვისა.

სპეკულაციასთან ბრძოლისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 17 სექტემბრის კანონი

1. სპეკულაციად ჩაითვლება:

ა) ნიხრს ზევით ფასის აღება საქონელში;

ბ) ნიხრ-დაუდებელ საქონლისათვის გადაჭარბებული ფასის აღება;

გ) გადამალვა გასაყიდი საქონლისა იმ რაოდენობის ზევით, რაიცა ქალაქში ოჯახის ნახევარი წლის საჭიროებას აღემატება, ხოლო სოფელში ერთი წლისას;

დ) საზოგადოდ ყოველი, ერთისა ან რამდენისამე პირის, განზრახ ჩადენილი მოქმედება საქონლის ფასის გადაჭარბებულ აწევისათვის, რომელიც წარმოებისა და გასაღების პირობას არ შეეფერება; აგრეთვე ისეთი მოქმედებაც, რომელსაც მიზნად აქვს მთლად მოსპოს, ან შეამციროს საქონლის შემოტანა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. განსაზღვრა ყოველ კერძო შემთხვევაში ოჯახის საჭიროებისა, აგრეთვე გადაწყვეტა საკითხისა, გადაჭარბებულ ფასებში გაიყიდა თუ არა საქონელი, სათანადო სასამართლოს საქმეა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. იმ საკითხის გადაწყვეტის დროს, გადაჭარბებულ ფასებში გაიყიდა თუ არა საქონელი, მოსამართლე მიიღებს მხედველობაში საქონლის ყიდვასა და გადატან-გადმოტანაზე გაწეულს და სხვა ისეთს ხარჯს, რაიცა ნორმალურს ან კანონიერს არ აღემატება.

2. ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნულ დანაშაულისათვის დადგენილია შემდეგი სასჯელი: ერთი წლით საპყრობილეში დატუსაღებიდან ვიდრე ათის წლის კატორღამდე და ჯარიმა ასიდან ასი ათასს მანეთამდე.

სასამართლოს დადგენილებითვე გამტყუნებულ პირს იძულებით და უსასყიდლოდ ჩამოერთმევა (კონფისკაცია) სახელმწიფოს სასარგებლოდ როგორც სპეკულაციისთვის უკვე გამოყენებული, აგრეთვე გადამალული საქონელი.

გარდა ამისა, სასამართლოს უფლება ეძლევა, თუ საჭიროდ დაინახავს, მთლად აუკრძალოს, ან შეუზღუდოს ვაჭრობის უფლება სპეკულაციაში გამტყუნებულ პირს. ამ შემთხვევაში დასჯილ პირს დაევალება სალიკვიდაციო ფული გადაუხადოს საერთო წესით სასამართლოს მიერ გაუქმებულ სავაჭრო, ან სხვა დაწესებულების მუშებსა და მოსამსახურეებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამ მუხლის ძალით ჩამორთმეული საქონელი, თუ ჩქარა წასახდენია, უნდა დაუყოვნებლივ გაიყიდოს სასამართლოს დადგენილებამდე.

3. ვინც ამ კანონის გამოცემის შემდეგ, საპატიო მიზეზის გარეშე, მოსპობს ან თვალსაჩინოდ შეამცირებს ვაჭრობას, საძრეწველო ან სახელოსნო საქმეს, ის დაისჯება ერთი წლით საპყრობილეში დატუსაღებიდან ვიდრე ათის წლის კატორღამდე და გადახდება ჯარიმა ასიდან ასი ათასს მანეთამდე.

4. ვინც სოფელში იყიდის ან დააბევებს პურს, სიმინდს, ღვინოს, ან სხვა რაიმე სოფლის ნაწარმოებს და ასეთს საქონელს განზრახ იმ მიზნით არ გაიტანს ბაზარში, რათა ფასებმა აიწიოს, პასუხისგებაში იქნება მიცემული და დაისჯება ამ კანონის მე-2 მუხლის ძალით.

5. ვინც ისეთს ხმებს გაავრცელებს, რომელიც სპეკულიაციისთვის ხელსაყრელ პანიკასა ჰქმნის საზოგადოებაში, საერთოდ ხელს უწყობს საქონლის ხელოვნურად ფასის აწევას, დაისჯება საპყრობილეში დაპატიმრებით ერთი წლიდან ორ წლამდე.

6. ვინც ვისიმე სასპეკულიაციო მოქმედება აშკარად იცის, ან ვინც ნიხრს ზევით, ან აშკარად გადაჭარბებულ ფასებში იყიდის საქონელს და, ამ გარემოების დამალვით, განზრახ ხელს შეუწყობს სპეკულიაციას, ჯარიმა გადახდება ორმოცდაათიდან ხუთი ათასს მანეთამდე.

7. მოხელე, რომელსაც სპეკულიაციასთან ბრძოლა მართებს და, დაუდევრობისა თუ უმოქმედობის გამო, ჯეროვან ზომებს სპეკულიანტთა წინააღმდეგ არ მიიღებს, დაისჯება უდიდესი ხარისხით თანამდებობის პირთათვის დადებულ სასჯელისა და, გარდა ამისა, გადახდება ჯარიმა ხუთასიდან ხუთი ათასს მანეთამდე; ხოლო მოხელე, რომელიც განზრახ დაჰფარავს (сокрытіе), ან მიუშვებს (попустительство) ერთ-ერთს რომელსამე დანაშაულს, პირველსა, მესამესა და მეოთხე მუხლში გათვალისწინებულს, დაისჯება დანაშაულობის თანამონაწილეობის წესთა მიხედვით (117—119, 121, 123—125 მუხ. სასჯელთა დებულებისა); თუ ამასთანავე აღნიშნული პირი მოქმედებდა ანგარებით ან დაქრთამვით, დაისჯება კატორღით არა ნაკლებ 6 წლისა და არა უმეტეს 10 წლისა.

8. ყოველი მოვაჭრე მოვალეა გამოჰფინოს საკაჭროში ნიხრი რამდენსამე თვალსაჩინო ალაგას, აგრეთვე იქონიოს დაწვრილებითი სია საწყობში შენახული საქონლისა, როგორც დანიხრულისა, ისე დაუნიხრავისა.

9. ყოველი სახლის პატრონი მოვალეა აცნობოს სათანადო ადმინისტრაციას სია იმ საწყობთა, რომელიც გამართულია მის სახლში.

10. კანონის მე-8 და 9 მუხლში აღნიშნული მოვალეობის დამრღვევი დაისჯება ჯარიმით ასიდან ათი ათას მანეთამდე, ანუ დატუსაღებით ერთ წლამდე.

11. ყოველი გამყიდველი საქონლისა მოვალეა მისცეს მყიდველს წერილობითი ანგარიში ნაყიდი საქონლისა, თუ ამას მყიდველი მოითხოვს.

ვინც მყიდველს მოთხოვნილებისამებრ ამ მუხლში ნაჩვენებ ანგარიშს არ მისცემს, დაისჯება ჯარიმით ასიდან ათას მანეთამდე.

12. მე-10 მუხლში აღნიშნული სასჯელი დაედება იმ პირსაც, რომელიც რისამე მომიზეზებით უარს ეტყვის მყიდველს საქონელი მიჰყიდოს.

13. ვინც რამე სავაჭრო ოპერაციას აწარმოებს სათანადო სავაჭრო მოწმობის აუღებლად, დაისჯება, გარდა აღნიშნულ კანონების მიერ გათვალისწინებულ დაჯარიმებისა და გადახდევინებისა, საპყრობილეში დაპატიმრებით 6 თვიდან ვიდრე ორ წლამდე.

14. ეს კანონი გავრცელდეს აგრეთვე სასტუმროს, რესტორნის, სასადილოს, საკონდიტროს, კლუბის და სხვა ამგვარ სავაჭრო დაწესებულების პატრონებზე, აგრეთვე ხელზე მოვაჭრეებზე.

15. ყოველ ამ კანონში აღნიშნულ დანაშაულისათვის სასამართლოში მიცემულ პირთა საქმის გარჩევა ექვემდებარება ოლქის სასამართლოს.

16. თუ სასპეკულიაციო მოქმედება მეტად აშკარაა და ამასთანავე ისიც ცხადია, თუ ვინ არის მისი ჩამდენი, — ამ შემთხვევაში საქმე შეიძლება გაარჩიოს სასამართლომ წინასწარ გამოძიების მოუხდენლად, სისხლის სამართლის წარმოების წესდების 545-ე მუხ. დადგენილ წესით.

17. ეს კანონი აბათილებს ყოველგვარ სხვა კანონს და საგალდებულო დადგენილებას იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელნი ეწინააღმდეგებიან ან არ ეთანხმებიან ამ დებულებას.

18. ეს კანონი ძალაში შედის გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნების მესამე დღიდან.

საქართველოს რესპუბლიკის ღერბისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 20 სექტემბრის კანონი

1. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას აქვს თავისი სახელმწიფოებრივი ღერბი.

2. ღერბად არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით.

დ ე ბ ა უ ლ ე ბ ა

რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოსი[1]

მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 20 სექტემბერს

ქ. ტფილისში — ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქისათვის, ქ. ქუთაისში — ქუთაისის გუბერნიისათვის და ქ. სოხუმში — სოხუმის ოლქისა და ომით დაჭერილ ადგილებისათვის, იმ საქმეთა განსახილველად, რომელიც განისჯება 1918 წ. ივლისის 5-ის კანონით, დაარსდეს რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლო ქვემო აღნიშნულ საფუძვლით:

ნ ა წ ი ლ ი 1.

1. რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლო შესდგება თავმჯდომარის, მისი ამხანაგისა და 5 წევრისაგან. სასამართლოსთან არის ბრალმდებელი და მისი ამხანაგი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა ა. უკეთუ საჭიროებამ მოითხოვა, მთავრობას უფლება აქვს გაამრავლოს რიცხვი თავ-

---

[1] იხ. გვ. 235.

მჯდომარის და ბრალმდებლის ამხანაგებისა და სასამართლოს წევრთა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა ბ. დროებით საგანგებო სასამართლოს მდივნისა და კანცელარიის მოხელეთა მოვალეობას შეასრულებენ ოლქის სასამართლოს მდივანი და მოხელენი.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ პირთ დანიშნავს საქართველოს მთავრობა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სასამართლოს თავმჯდომარეს და მის ამხანაგს უნდა ჰქონდეს მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლება.

3. საქმის განსახილველად სასამართლოს სხდომა შესდგება თავმჯდომარის ან მისი ამხანაგისა, ბრალმდებელის ან მისი ამხანაგისა, სასამართლოს ორი წევრისა და მდივნისა ან მისი თანაშემწისაგან.

4. საქმის განხილვა საჯაროა, მაგრამ სასამართლოს უფლება აქვს კარები დახუროს, თუ ამას საჭიროდ დაინახავს.

5. სასამართლოს საქმის წარმოება უნდა მოხდეს იმ წესით, რომელიც მიღებულია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის გარჩევის დროს.

6. მოწმეთა დაკითხვა უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საქმის წარმოების საერთო წესით; თუ მოწმე თავის რწმენის გამო ფიცს არ მიიღებს, საჯარო აღთქმა უნდა ჩამოერთვას.

7. უკეთუ წინასწარ გამოძიების დროს დაკითხული მოწმე სასამართლოში არ გამოცხადდა, რა მიზეზითაც უნდა იყოს, სასამართლოს უფლება აქვს საქმე გაარჩიოს, თუკი საკმარისად მიიჩნევს ამ მოწმის ჩვენების წაკითხვას.

უკეთუ არ გამოცხადდა ისეთი მოწმე, რომელიც წინასწარ გამოძიებაზე დაკითხული არ ყოფილა, სასამართლოს უფლება აქვს გაარჩიოს საქმე, თუ იმ მოწმის გამოცხადებას, რაიმე მიზეზისა გამო, საძნელოდ მიიჩნევს და ან მის ჩვენებას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

8. წინა მუხლში აღნიშნულ საკითხების გამო სასამართლომ დასაბუთებული დადგენილება ოქმში უნდა შეიტანოს.

9. ყოველი დანარჩენი საკითხი საქმის წარმოების წესისა

სისხლ. სამ. საქ. წარმ. წესდების მიხედვით უნდა გადაწყდეს.

10. განაჩენის გამოტანას წინ უნდა უძღოდეს კითხვის დასმა როგორც ბრალეულობის (виновность), ისე შემსუბუქების (снисхождение) შესახებ.

11. უკეთუ სასამართლომ დანაშაული შემსუბუქების ღირსად იცნო, დამნაშავეს, სიკვდილით დასჯის მაგიერ, უნდა მიუსაჯოს სხვა სასჯელი, მაგრამ არანაკლებ იმისა, რომელიც კანონში აღნიშნულია ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის.

12. ყოველ საკითხს სასამართლო გადასწყვეტს ხმის უმეტესობით.

13. უკეთუ სასამართლო სცნობს, რომ საქმე მას არ ექვემდებარება, უნდა გადასცეს ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს კანონიერი მსვლელობისათვის.

უკეთუ უთანხმოება ჩამოკარდა საქმის ქვემდებარეობის გამო, საკითხს გადასწყვეტს სასამართლოს პალატა.

14. სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იქნეს, ვინ რა საქმეშია დამნაშავედ ცნობილი, ან გამართლებული; წლოვანობა ბრალდებულისა; კანონთა მუხლი, რომლის ძალითაც მიჩენილია სასჯელი, და რა სასჯელია გადაწყვეტილი.

15. რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოს გადაწყვეტილების განსაჩივრება შეიძლება მხოლოდ საკასაციო წესით. საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს დაარსებამდე საკასაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოს პალატაში, რომელიც ვალდებულია გაარჩიოს საქმე არა უგვიანეს ერთი კვირისა, დღიდან პალატაში საქმის შესვლისა.

16. საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა არის სამი დღე — სამოცდათორმეტი საათი ვანაჩენის საბოლოოდ გამოცხადებიდან.

17. სიკვდილით დასჯა სისრულეში მოყვანილ უნდა იქნეს იმ წესით, რომელიც აღნიშნულია სამხედრო სასამართლოს საქმის წარმოების წესდებაში.

18. თუ სასამართლომ სცნო, რომ ბრალდებულს მხოლოდ ისეთი დანაშაული ედება ბრალად, რომელიც კანონით სიკვ-

დილით არ დაისჯება, მოვალეა, გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, საქმე სათანადო სასამართლოს გადასცეს კანონიერის წესით.

ნაწილი 2.

19. წინასწარი გამოძიება იმ საქმისა, რომელიც ექვემდებარება რესპუბლიკის დროებით საგანგებო სასამართლოს, სწარმოებს საერთო წესით ქვემოაღნიშნულ გამონაკლისით.

20. გამოძიება ასეთ საქმისა უნდა მოხდეს რიგს გარეშე და დამთავრდეს არა უგვიანეს ორი კვირისა საქმის დაწყების დღიდან. თუ საქმე მეტად რთულია და ორ კვირაში შეუძლებელია მისი ჯეროვნად გამოძიება, გამომძიებელი ვალდებულია აუწყოს ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს, რომლის მოვალეობას შეადგენს თვალყურის დევნება, რომ საქმე დაჩქარებით იყოს დამთავრებული.

21. ის პირი, ვისი საქმეც ექვემდებარება რესპუბლიკის დროებით საგანგებო სასამართლოს, წინასწარ გამოძიების დროს დაპატიმრებული უნდა იყოს.

22. თუ გამოძიების შემდეგ გამოირკვა, რომ დაპატიმრებულს ისეთი დანაშაული ედება ბრალად, რომლისათვისაც კანონით სიკვდილით არ დაისჯება, გამომძიებელს უფლება აქვს დაპატიმრება სხვა რაიმე კანონში აღნიშნულ ზომით შეუცვალოს.

23. გამოძიების დამთავრების შემდეგ, გამომძიებელი გაუგზავნის საქმეს რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოს ბრალმდებელს და ამასთანავე გაწკარგულებას მოახდენს, რათა დაპატიმრებული გადაყვანილ იქნეს იმ ქალაქის საპატიმროში, სადაც რესპუბლიკის საგანგებო სასამართლო არსებობს.

24. ბრალმდებელი მოვალეა სამი დღის განმავლობაში, საქმის მიღების შემდეგ, საქმე სასამართლოში შეიტანოს ან საბრალდებულო ოქმით, ან თავის დასკვნით, რომ საქმე მოისპოს.

25. რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლო ბრალმდებლის დასკვნას საქმის მოსპობის შესახებ სამი დღის განმავლობაში განიხილავს გამწესრიგებელ სხდომაზე, რომე-

ლიც შესდგება თავმჯდომარის, ან მისი ამხანაგისა და სასამართლოს ორი წევრისაგან.

26. თუ სასამართლო არ დაეთანხმა ბრალმდებელს საქმის მოსპობაზე, საქმეს უკანვე დაუბრუნებს საბრალმდებლო ოქმის შესადგენად.

27. იმ პირთ, ვინც მონაწილეობას იღებენ 25 მუხ. აღნიშნულ საკითხის გადაწყვეტის დროს, უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში.

28. საქმის სასამართლოში გადაცემის შემდეგ არა უგვიანეს ორი დღისა სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი ამხანაგი მოიწვევს ბრალდებულს და ჩააბარებს საბრალმდებლო ოქმის პირს. თუ ბრალდებული მოითხოვს მოწმეების, ან მცოდნე პირების გამოწვევას, ან აღძრავს სხვა რაიმე შუამდგომლობას, ყოველივე ეს ცალკე ოქმში შეტანილ უნდა იქნეს.

29. სასამართლო მოვალეა წინა მუხლში აღნიშნული ბრალდებულის მოთხოვნილება ოცდაოთხ საათში განიხილოს გამწესრიგებელ სხდომაზე.

30. რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოს მოხელეებს ჯამაგირი მიეცემათ ოლქის სასამართლოს შესაფერი თანამდებობის ჯამაგირის კვალობაზე.

31. რევოლიუციონური ტრიბუნალები გაუქმდეს დღიდან ამ კანონის მიღებისა და მათ წარმოებაში მყოფი საქმეები გადაეცეს სათანადო სასამართლოებს.

32. ეს დებულება ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა მთავრობის ორგანო „საქართველოს რესპუბლიკაში“.

33. ეს დებულება გაუქმებულ იქნეს იმ დღიდან, როდესაც წაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი იქნება შემოღებული.

მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა[1]

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 24 სექტემბრის კანონი

I

შემოღებულ იქნეს 1912 წ. ივნისის 15-ის კანონი ადგილობრივ სასამართლოს გარდაქმნისა შემდეგის დამატებით და ცვლილებით.

[1] იხ. გვ. 230.

თ ა ვ ი 1

საზოგადო წესი.

1. (12 მუხ. მაგ.) მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობა დაწესებულ იქნეს როგორც ქალაქებში, ისე მაზრებში (ოლქში); ყოველი მაზრა (ოლქი), მასში ჩარიცხულ ქალაქებთან ერთად, შეადგენს სამომრიგებლო ოლქს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. საჭიროების მიხედვით შეიძლება რამდენიმე მოსაზღვრე მაზრა შეერთებულ იქნეს ერთ სამომრიგებლო ოლქად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ქ. ტფილისი შეადგენს ცალკე სამომრიგებლო ოლქს.

2. (14 მუხ. მაგ.) სამომრიგებლო ოლქი განიყოფება სამომრიგებლო უბნებად, რომელთა რიცხვი საკანონმდებლო გზით დამტკიცებულ ნუსხით განისაზღვრება.

3. (14[1] მ უ ხ. მ ა გ.) სამომრიგებლო უბნის საზღვრების საბოლოოდ გაგლება (შემუშავება) თვითეულ სამომრიგებლო ოლქში ეკუთვნის სათანადო მაზრის (ოლქის) საერობო კრებას; ერობის შემოღებამდე საზღვრებს აწესებს სათანადო მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ქ. ტფილისში და აგრეთვე იმ ქალაქებში, რომელთაც ნუსხით მიკუთვნებული აქვთ გაწესაზღვრული რიცხვი მომრიგებელ მოსამართლეებისა, სამომრიგებლო უბანთა საზღვრებს აწესებს ქალაქის საბჭო.

4. (14[2] მ უ ხ. მ ა გ.) სამომრიგებლო უბანთა საზღვრების გავლების დროს უნდა დაცულ იქნეს პირობა, რომ სოფლის საზოგადოება მთლიანად ამა თუ იმ სამომრიგებლო უბანში შევიდეს.

5. (15 მ უ ხ. მ ა გ.) სამომრიგებლო უბანს განაგებს უბნის მომრიგებელი მოსამართლე.

6. (16 მ უ ხ. მ ა გ.) სამომრიგებლო ოლქში, გარდა უბნის მომრიგებელ მოსამართლისა, შემოღებულ იქნეს თანამდებობა საპატიო მომრიგებელ მოსამართლისა.

7. (17 მუხ. მაგ.) უმაღლეს სამომრიგებლო ინსტანციას წარმოადგენს მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა, რომელიც შესდგება თავმჯდომარისა და სამომრიგებლო ოლქის საუბნო და საპატიო მომრიგებელ მოსამართლეთაგან; მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა არსებობს ყოველ სამომრიგებლო ოლქში.

8. მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარეს სამის წლის ვადით ამოირჩევენ თავიანთ წრეში სამომრიგებლო ოლქის საუბნო და საპატიო მომრიგებელი მოსამართლენი. ყრილობის თავმჯდომარე თავისუფალია სამომრიგებლო უბნის გამგეობისაგან და თუ რომელიმე უბანი ჰქონდა ჩაბარებული, მის ადგილას საერთო წესით უნდა არჩეულ იქნეს ახალი მოსამართლე.

თავი 2

წესი მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნებისა და დანიშვნისა.

9. (24 მუხ. მაგ.) საუბნო და საპატიო მომრიგებელ მოსამართლეთ აირჩევს:

ა) ტფილისში — ქალაქის საბჭო;

ბ) დანარჩენ სამომრიგებლო ოლქებში — მაზრის (ოლქის) საერობო კრება;

გ) სადაც ორი ან რამდენიმე მაზრაა შეერთებული ერთ სამომრიგებლო ოლქად, თვითეულ მაზრისათვის დაწესებულ მოსამართლეთა რაოდენობას აირჩევს საერობო კრება ამ მაზრისა;

დ) იმ ქალაქისათვის, რომელიც ცალკე ოლქს არ შეადგენს, მაგრამ კანონით დამტკიცებულ ნუსხაში მიკუთვნებული აქვს განსაზღვრული რიცხვი მომრიგებელ მოსამართლეებისა, უკანასკნელთ აირჩევს ქალაქის საბჭო.

10. ერობის შემოღებამდე მომრიგებელ მოსამართლეს დანიშნავს იუსტიციის მინისტრი; ერობის შემოღების შემდეგ ამ პირთა უფლება გაუქმებულად ჩაითვლება იმ დღიდან, როცა არჩეული მოსამართლენი თანამდებობის ასრულებას შეუდგებიან.

11. (19—20 მუხ. მაგ.) საუბნო და საპატიო მომრიგებელი მოსამართლე შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ორივე სქესის იმ მოქალაქეთაგან:

ა) ვისაც ოცდახუთი წელი აქვს შესრულებული;

ბ) ვისაც უმაღლესი ან საშუალო განათლება აქვს მიღებული. განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება არჩეულ იქნეს ისეთი პირი, რომელსაც აღნიშნული განათლება არ მიუღია;

გ) ვინც გარდა ქართულისა იცის ის ენა, რომელსაც სამომრიგებლო უბნის უმრავლესობა ან მნიშვნელოვანი უმცირესობა (არა ნაკლებ 20%-სა) ლაპარაკობს.

შენიშვნა. უკეთუ სამომრიგებლო უბნის უმცირესობის ენის მცოდნე კანდიდატთა საკმაო რიცხვი არ აღმოჩნდა, მომრიგებელ მოსამართლედ შეიძლება არჩეულ იქნეს ის, ვინც ამ მუხლში აღნიშნულ დანარჩენ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

12. (21 მუხ. მაგ.) საუბნო და საპატიო მომრიგებელ მოსამართლედ არ შეიძლება არჩეულ იქნეს:

ა) ვინც გამოძიებასა ან სამართალშია მიცემული როგორც იმ დანაშაულობისათვის, რომლისათვის კანონით დადებულია უფლების აყრა ან შეზღუდვა, აგრეთვე ქურდობისა, მატყუარობისა, მევახშეობისა, მინდობილი ქონების მითვისებისა ან გაფლანგვისათვის, ნაპარავი ქონების გადამალვისა, ყიდვისა და დაგირავებისათვის, თუ იცოდა, რომ ქონება ნაპარავი იყო, ან ვისგანმე მოტყუებით მიღებული, მექრთამეობისათვის და მუქარით დატყუებისათვის (вымогательство);

ბ) ვისაც ამავე დანაშაულთათვის სასამართლოსაგან სასჯელი აქვს გადაწყვეტილი;

გ) ვინც სასამართლოს გადაწყვეტილებით სამსახურიდან არის დათხოვნილი;

დ) ვინც შეუძლებელ მოვალედ არის გამოცხადებული;

ე) ვინც მფლანგველობისათვის მზრუნველობის (опека) ქვეშ იმყოფება.

13. (26—32 მუხ. მაგ.) ცალკე სია იმ პირთა, ვისაც უფლება აქვს არჩეულ იყოს მომრიგებელ მოსამართლედ, შედგენილი არ იქნება. არჩევა შეიძლება ყოველი პირისა, ვინც კა-

ნონში აღნუსხულ პირობას (მუხლი 11 და 12) აკმაყოფილებს.

14. არჩევნების განსაჩივრება შეიძლება ორი კვირის განმავლობაში არჩევნების შემდეგ. საჩივარი მაზრის საერობო კრების ან ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს უნდა გადაეცეს რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოსა, ხოლო მის დაარსებამდე სასამართლო პალატაში წარსადგენად თავის დასკვნითურთ.

15. (73 მუხ. მაგ.) მომრიგებელი მოსამართლის სრულიად დათხოვნა თანამდებობიდან თანახმად მისი თხოვნისა, ან დროებით სამსახურიდან განთავისუფლება ორ თვეზე მეტის ვადით ექვემდებარება რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს, ხოლო მის დაარსებამდე იუსტიციის მინისტრს. სამსახურიდან განთავისუფლება ორი თვით ან ნაკლების ვადით დამოკიდებულია მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობაზე. მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარის დროებით სამსახურიდან განთავისუფლება დამოკიდებულია იუსტიციის მინისტრზე.

16. როგორც საუბნო მომრიგებელ მოსამართლესთან, ისე მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობაზე საქმე ქართულად სწარმოებს.

17. იმ უბანში, სადაც რესპუბლიკის მოქალაქეთა უმრავლესობა რომელსამე არაქართულ ერს ეკუთვნის, საქმის წარმოება, როგორც სიტყვიერი, ისე წერილობითი, უნდა ხდებოდეს ქართულსა და უბნის უმრავლესობის ენაზე. ოფიციალურ ტექსტად ჩაითვლება ქართული ტექსტი.

18. იმ ოლქში, ან უბანში, სადაც არაქართველი ერის ნაწილი რესპუბლიკის მოქალაქეთა მნიშვნელოვან უმცირესობას (20%-ზე არა ნაკლებს) შეადგენს, ყოველგვარი ქაღალდის შეტანა მომრიგებელ სასამართლოში და სიტყვიერი განმარტების მიცემა შეიძლება უმცირესობის ენაზე; ამავე ენაზე უფლება აქვთ განსაკუთრებული სასყიდლის გაუღებლად მიიღონ ყოველგვარი სამართლის წესით განსაზღვრული ქაღალდების პირი. თუ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული, ხოლო სამოქალაქო საქმეში კი ორივე მხარე მოითხოვს საქმის გარჩევას არაქართულ ენაზე და მომრიგებელმა მოსამართლემ ან მოსამართლეთა ყრილობამ იცის ეს ენა, საქმის სიტყვიერი წარმოება უნდა მოხდეს ამ ენაზე.

10. პატიმრად მყოფს თხოვნები და ყოველგვარი სასამართლო ქაღალდები შეუძლია შეიტანოს დედა ენაზე.

20. მომრიგებელ მოსამართლეს ექვემდებარება საქმენი, სამოქ. საქ. წარ. წესად. 1462-ე მუხლში და სისხ. სამ. საქ. წარმ. წესდ. 1259-ე და 1260 მუხლში აღნიშნული, და ამასთანავე სისხლის სამართლის ყველა საქმე სახაზინო მმართველობათა წესდების დარღვევის შესახებ, იმ საქმეთა გარდა, რომელთათვისაც კანონში დადგენილი სასჯელი შეერთებულია უფლებათა შეზღუდვასთან ან ჯარიმა ადემატება 2000 მანეთს.

II

1. საქართველოს რესპუბლიკაში გაუქმებულია დდემდე არსებული თანამდებობა მომრიგებელ მოსამართლისა, იმის თანაშემწისა და საპატიო მოსამართლისა, ყველა ეს პირნი და აგრეთვე მათი კანცელარიის მოსამსახურენი დაკმაყოფილებულ იქნებიან საერთო წესით, უკეთუ ახალს თანამდებობაზე არ იქნენ განწესებულნი.

2. ზევით აღნიშნულ პირთ სამსახურიდან გადადგომა შეუძლიათ მხოლოდ მაშინ, როდესაც ახალი მოსამართლენი მოვალეობის ასრულებას შეუდგებიან.

III

გაუქმდეს სოფლის სასამართლოები, ხოლო მათი ქვემდებარე დაუმთავრებელი საქმეები გადაეცეს სათანადო საუბნო მომრიგებელ მოსამართლეს.

IV

მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შემოსაღებად, თანახმად ამ კანონთან დართული შტატისა და ხარჯთაღრიცხვისა, გადაიდვას სახელმწიფო ხაზინიდან იუსტიციის სამინისტროს განკარგულებაში 1.974,800 მან., ხოლო აწინდელი კრედიტი მომრიგებელ მოსამართლეთა, მათ თანაშემწეთა და კანცელარიისა დახურულ იქნეს.

V

ეს კანონი ძალაში შედის მთავრობის ოფიციალურ ორგანო „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნების მეორე დღიდან.

ნუსხა

სამომრიგებლო ინსტიტუტის დაწესებულებისა.

სომრიგებელ მოსამართლეთა ურილობანი	ურილობის თავმჯდომარე	უბნის მომრიგებელ მოსამართლეები	ურილობის მოდელი	ამათი თანაშემწენი	მომრიგებელ მოსამართლის მდივანი	ურილობის ადგილი	ნიმრიგებ. მოსამართლის ოარეკანანი	ურილობის ბიუროლები	მოსამართლის ბიუროლები	საერთო მომრიგებელ მოსამართლეები
ტფილისის გუბერნია										
1. ქ. ტფილისის სამომრიგებლო ოლქი . . .	1	22	1	2	22	2	22	1	22	11
2. ქ. ტფილისის მაზრის სამომრიგებლო ოლქი (ქ. ტფილისი) . . .	1		1	1		1		1		
ა) ტფილისის მაზრისა		6			} 15		} 15		} 15	4
ბ) ბორჩალოს მაზრისა		6								5
გ) დუშეთის მაზრისა		3								3
3. გორის მაზრის სამომრიგებლო ოლქი (ქ. გორი)	1	11	1	1	11	1	11	1	11	6
4. სიღნაღის მაზრის სამომრიგებლო ოლქი (ქ. სიღნაღი)	1		1	1		1		1		
ა) სიღნაღის მაზრისა		6			} 9		} 9		} 9	4
ბ) ზაქათალის ოლქისა		3								
5. თელავის მაზრის სამომრიგებლო ოლქი (ქ. თელავი)	1		1	1		1		1		
ა) თელავის მაზრა . .		4			} 7		} 7		} 7	3
ბ) თიანეთის მაზრა .		3								2

შტატები

მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა.

თანამდებობათა სახელწოდება.	რიცხვი	ოფიციალური ფასი	ოფიციალური ფასი	ყველას წლიურად	ყველას 9 სექტემბრიდან წლის დამლევამდე
მომრიგებელ ყრილობათა თავმჯდომარე . . .	11	750	9000	99000	33000
უბნის მომრიგებელ მოსამართლენი ქალაქებში: ტფილისში 22, ქუთაისში 5, ფოთსა და სოხუმში ორ-ორი	31	700	8400	260400	86800
უბნის მომრიგებელ მოსამართლენი მაზრებში და სოფლებში	89	650	7800	694200	231400
მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის მდივანი	11	500	6000	66000	22000
მათი თანაშემწენი . .	12	400	4800	57600	19200
თარჯიმანები	12	375	4500	54000	18000
ბოქაულები	11	500	6000	66000	22000
მომრიგებელ სასამართლ. მდივანი	120	400	4800	576000	192000
თარჯიმანები	120	325	3900	468000	156000
ბოქაულები ქალაქებში: ტფილისში 22, ქუთაისში 5, ფოთში 2 და სოხუმში 1	30	500	6000	180000	60000
ბოქაულები დანარჩენ ადგილებში	89	450	5400	480600	160200
ჯამი . .	—	—	—	3.001,800	1.000,600
ყრილობის კანცელარიისათვის ტფილისში.					
გადამწერი	2	300	3600	10800	3600
მანქანაზე გადამწერი . .	1	300	3600	3600	1200
მსახური	1	250	3000	3000	1000
გზირი	1	250	3000	3000	1000
საწერი მასალა . . .	—	—	3000	3000	1000
ქუთაისში.					
გადამწერი	2	300	3600	7200	2400
მანქანაზე გადამწერი . .	1	300	3600	3600	1200
გზირი	1	250	3000	3000	1000
მსახური	1	250	3000	3000	1000
საწერი მასალა . . .	—	—	3000	3000	1000
ჯამი . . .	—	—	—	43,200	14,400

შენიშვნა. ბინა ყრილობათ ეძლევათ ტფილისის სასამართლოში და ქუთაისის სამომრიგებლო შენობაში.

ქუთაისის გუბერნია										
1. ქუთაისის მაზრის სამომრიგებლო ოლქი (ქ. ქუთაისი)	1		1	1		1		1		
ა) ქუთაისისა . . .		5			16		16		16	3
ბ) ქუთაისის მაზრისა .		11								5
2. რაჭა-ლეჩხუმის სამომრიგებლო ოლქი ქ. ლაილაში)	1		1	1		1		1		
ა) რაჭის მაირისა . .		4			8		8		8	3
ბ) ლეჩხუმის მაზრისა და სვანეთისა		4								3
3. შორაპნის მაზრის სამომრიგებლო ოლქი . .	1	7	1	1	7	1	7	1	7	5
4. გურიის სამომრიგებლო ოლქი (ქ. ოზურგეთი) .	1	6	1	1	6	1	6	1	6	3
5. სამეგრელოს სამომრიგებლო ოლქი (ქ. ახალსენაკი)	1		1	1		1		1		
ა) ზუგდიდის მაზრა .		6			12		12		12	2
ბ) სენაკის მაზრა . . .		4								1
ბ) ქ. ფოთი		2								4
6. სოხუმის სამომრიგებლო ოლქი (ქ სოხუმი) . .	1	7	1	1	7	1	7	1	7	3
ს უ ლ . . .	11	120	11	12	120	12	120	11	120	70

პროვინციის დანარჩენ ცხრა)ომრიგებელ ყრილობის კანცელარიისათვის.					
გადამწერი ორ-ორი თითოს	18	300	3600	64800	21600
მანქანაზე გადამწერი . .	9	300	3600	32400	10800
გზირი	9	250	3000	27000	9000
მსახური	9	250	3000	27000	9000
საწერი მასალისათვის თითოს	9	—	3000	27000	9000
ბინისათვის გათბობა-განათებითურთ	9	—	3000	27000	9000
ჯ ა მ ი . . .	—	—		205,200	68,400
მომრიგებელ სახამართლოს კანცელარიისათვის.					
გადამწერი ორ-ორი თითოეულს	240	300	3600	864000	288000
მანქანაზე გადამწერი . .	120	300	3600	432000	144000
გზირი	120	250	3000	360000	120000
მსახური	120	250	3000	360000	120000
საწერი მასალისათვის . .	120	—	3000	360000	120000
ბინისათვის გათბობა-განათებითურთ ტფილისში .	22	—	4200	92400	30800
დანარჩენ ადგილებში .	98	—	2000	196000	66000
ჯ ა მ ი . . .	—	—	—	2.664,400	888,800
სულ მთელი ჯამი ამ წლის დამლევამდე . .	—	—	—	—	1.972,200

საქართველოს სახელმწიფო ენისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 1 ოქტომბრის კანონი

I

1. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარება სხვადასხვა დაწესებულებაში ცალკე კანონით განისაზღვრება.

2. საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველნაირი საქმის წარმოება და კამათი უნდა იყოს ქართულ ენაზედ.

3. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, შეუძლიან სიტყვა წარმოსთქვას დედაენით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. წესი ენის ხმარებისა და თარგმანისა განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც საბჭო შეიმუშავებს.

საქართველოს რესპუბლიკის დროშის პროექტის შედგენის ხარჯისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 4 ოქტომბრის კანონი

მიეცეს სახელმწიფოს ხაზინიდგან მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს საქართველოს დროშის პროექტის შედგენისათვის გასამრჯელოდ სამი ათასი (3000) მანეთი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ეროვნულ საბჭოს სახელწოდების შეცვლისა

მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 8 ოქტომბერს

საქართველოს ეროვნულ საბჭოს ეწოდოს „საქართველოს პარლამენტი“.

იუსტიციის სამინისტროსთან საკოდიფიკაციო განყოფილების დაარსებისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 11 ოქტომბრის კანონი

1. იუსტიციის სამინისტროსთან დაარსდეს საკოდიფიკაციო განყოფილება საკანონმდებლო მასალისა და უმაღლესი მთავრობის ზოგადი ხასიათის განკარგულებათა შესაკრებად, წესრიგში მოსაყვანად და დროგამოშვებით გამოსაქვეყნებლად.

2. საკოდიფიკაციო განყოფილების მოწყობა და ხელმძღვანელობა დაევალოს იუსტიციის მინისტრს.

კანონთა გამოქვეყნებისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 11 ოქტომბრის კანონი

1. კანონი, მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ, უნდა გაეგზავნოს მთავრობას, რომელიც დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებს მას „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულში".

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. პირველ მუხლში აღნიშნულ კრებულის გამოცემამდე, კანონები გამოქვეყნებულ იქნეს მთავრობის ოფიციალურ ორგანო „საქართველოს რესპუბლიკაში".

2. ყოველი კანონი ძალაში შედის შვიდი დღის შემდეგ დღიდან გამოქვეყნებისა პირველ მუხლში აღნიშნულ ოფიციალურ გამოცემაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ეს მუხლი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც თვით კანონშია დადებული რაიმე სხვა ვადა მისი ძალაში შვსვლისა, ან როდესაც საჭიროა კანონის გამოქვეყნებამდე მისი სწრაფად, ტელეგრაფის ან შიკრიკის საშუალებით, სისრულეში მოყვანა, რაიცა აგრეთვე თვით კანონშივე უნდა იყოს აღნიშნული.

3. დროებით, ვიდრე განსაკუთრებული დაწესებულება დაარსდებოდეს, „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულის“ ოფიციალურ გამოცემას ხელმძღვანელობს იუსტიციის სამინისტროსთან დაარსებული საკოდიფიკაციო განყოფილება.

4. საკოდიფიკაციო განყოფილება „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულს“ გაუგზავნის დაუყოვნებლივ ყოველ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებას.

წესი ენის ხმარებისა

(საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის დამატება)

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 15 ოქტომბრის კანონი

1. პარლამენტის წევრები სიტყვას წარმოსთქვამენ ქართულის ენით.

2. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, რომელმაც ქართული ენა არ იცის, შეუძლია სიტყვა წარმოსთქვას, გარდა თავისი დედა-ენისა, უმცირესობის ენით, რომელიც პრეზიდიუმის ერთმა წევრმა მაინც იცის.

3. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი, პრეზიდიუმთან შეთანხმებით, აირჩევენ სალაპარაკოდ ერთ-ერთ ენას, რომელიც მიღებულია პარლამენტში.

4. უმცირესობის ენაზე წარმოთქმული სიტყვის დედა-აზრი გადმოცემულ უნდა იქნეს ქართულს ენაზედ, თუ ამას 15 დეპუტატზე არა ნაკლები მოითხოვს. თარჯიმნების შტატის შედგენამდე არავითარ თარგმნას ადგილი არა აქვს. ქართულიდან სხვა ენაზედ სიტყვა არ გადითარგმნება. ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლის მიერ წარმოთქმული სიტყვა სხვა უმცირესობის ენაზე არ გადითარგმნება.

5. წერილობითი წინადადების, შესწორებისა და სხვათა შეტანა შეიძლება მხოლოდ ქართულს ენაზედ. პრეზიდიუმს უფლება აქვს მოულოდნელად შემოსული წინადადების აზრი გადასცეს სხდომას ერთ-ერთ უმცირესობის ენით.

სათამაშო ქაღალდისათვის სახელმწიფო მონოპოლიის დაწესებისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 12 ნოემბრის კანონი

1. სათამაშო ქაღალდის დამზადება საქართველოს მიწაწყალზე გამოცხადებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო მონოპოლიად. უკვე დამზადებულ სათამაშო ქაღალდი გადაიდოს სახელმწიფო საკუთრებად.

2. სათამაშო ქაღალდის გაყიდვიდან აღებული ფული 1918 წ. მაისის 26-დან ჩაირიცხოს საქართველოს ხაზინის შემოსავლად.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დამფუძნებელი კრების არჩევნებისა[1]

მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 22 ნოემბერს

თ ა ვ ი 1.

საერთო დებულება.

1. დამფუძნებელ კრებას შეადგენენ წევრები, არჩეული მცხოვრებთა მიერ საყოველთაო — განურჩევლად სქესისა, — თანასწორის, პირდაპირის და ფარულის ხმის მიცემით პროპორციული წარმომადგენლობის წესისამებრ.

2. დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის დაარსდეს ერთი საარჩევნო ოლქი. დამფუძნებელ კრების წევრთა რიცხვი უნდა იყოს ას ოცდაათი. არჩევნებზე ხმის მისაცემად რესპუბლიკა დაიყოფა საარჩევნო უბნებად.

---

[1] იხ. გვ. 201, 204, 318.

დამფუძნებელი კრების საარჩევნო დაწესებულებათა შტატები და ხარჯთაღრიცხვა კრებულში არ იბეჭდება.

თავი 2.

საარჩევნო უფლება.

3. დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქეს, თუ არჩევნების დღისთვის ოცი წელი შესრულებიათ. რეგულიარულ ჯარში ჩარიცხულს აქვს მხოლოდ პასიური საარჩევნო უფლება.

4. არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს, ვინც კანონიერის წესით გიჟად ან ჭკუაზე შეშლილად არის გამოცხადებული; აგრეთვე ყრუ-მუნჯნი, თუ ისინი სხვის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან.

5. საარჩევნო უფლება არა აქვს:

1) ვისაც სასამართლოს მიერ სასჯელი აქვს გადაწყვეტილი, უკეთუ განაჩენი ძალაშია შესული და თუ ახდილი უფლება არ დაბრუნებია: ა) კატორღამისჯილს სასჯელის მოხდის შემდეგ ათის წლის გასვლამდე; ბ) ვისაც მისჯილი აქვს გადასახლება, გამასწორებელი სატუსაღო განყოფილება, გამასწორებელი სახლი, სატუსაღო ან ციხე მდგომარეობის უფლების ჩამორთმევით ან შეზღუდვით, სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთი წლის გასვლამდე;

2) დასჯილს ქურდობისათვის, გარდა იმისა, რომელიც გათვალისწინებულია 171-ე მუხ. მე-2 პუნქტით სასჯელთა წესდებისა, რომლითაც სჯიან მომრიგებელ მოსამართლენი (კანონ. კრებ. ტ. XV, გამოცემ. 1914 წ.), დატყუებისათვის, ჩაბარებულ ქონების მითვისების, ან გაფლანგვისათვის, გარდა იმ გაფლანგვისა, რომელიც გათვალისწინებულია იმავე წესდების 177-ე მუხ. მეორე ნაწილით და სისხლის სამართლის და გამასწორებელ სასჯელთა დებულების 1681-ე მუხლის მეორე ნაწილით (1912 წ. გაგრძ., კან. კრებ. ტ. XV), მოპარულის დამალვისათვის, განზრახ მოპარულის ყიდვის ან გირაოდ მიღებისათვის, ვისაც ეს ხელობად აქვს გადაქცეული; სიყალბისათვის, მევახშეობის, ქრთამის აღების ან ქრთამის მიცემისათ-

ვის და აგრეთვე სიძვის შუამავლობისათვის და გარყვნილების ხელისშეწყობისათვის (კან. კრებული, ტ. XV, სისხ. სამ. დებ., გამ. 1909 წ., მუხლი 524—527 და 529), აგრეთვე ისეთი მოქმედებისათვის, რომლის მიზანიც იყო საკანონმდებლო დაწესებულებათა ან თვითმმართველობათა ორგანოს არჩევნების თავისუფლების და სისწორის დარღვევა, — სამი წლის გასვლამდე დღიდან სასჯელის მოხდისა;

3) შეუძლებელ მოვალეს, რომელიც ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენით ბოროტგანზრახულ შეუძლებლად იქნება გამოცხადებული, — სამი წლის გასვლამდე დღიდან გამოცხადებისა, და

4) იმ სამხედრო პირთ, ვინც სამხედრო სამსახურიდან გამოიქცა.

6. თითოეულ საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ იმას აქვს, ვინც ამ უბნის საარჩევნო სიაშია შეტანილი.

7. არჩეული შეიძლება იყოს ისეთი პირიც, რომელიც არაა შეტანილი საარჩევნო სიაში, მაგრამ საარჩევნო უფლების პირობას აკმაყოფილებს.

8. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვება საარჩევნო სიაში შეტანილი ის პირი, რომელიც არჩევნების დაწყების წინ დაჰკარგავს საარჩევნო უფლებას (მუხლი 4—5) და აგრეთვე ის, ვინც აღნიშნული დროისთვის აღმოჩნდება თავისუფლებას მოკლებული ან სასამართლოს უკვე ძალაში შესულის განაჩენით და ან იმის გამო, რომ სასამართლოსაგან პასუხისგებაში არის მიცემული როგორც ბრალდებული რაიმე დანაშაულობითი მოქმედებისათვის და მის წინააღმდეგ სიფრთხილის ზომად დატუსაღება უხმარიათ.

თ ა ვ ი 3

დამფუძნებელი კრების არჩევნების წარმოების ხელმძღვანელი დაწესებულებანი.

9. არჩევნების წარმოების გამგეობა დაეკისრება: რესპუბლიკის ცენტრალურსა, საქალაქო, სამაზრო, სოფლის საზოგადოებისა და სოფლის წვრილ საარჩევნო კომისიებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სოხუმისა და ზაქათალის ოლქებში არჩევნების წარმოებას ხელმძღვანელობენ სოხუმისა და ზაქათალის ოლქების საარჩევნო კომისიები.

10. რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ამოირჩევს საქართველოს პარლამენტი ოცდაერთი კაცისაგან. კომისია ამოირჩევს თავის წრიდან თავმჯდომარეს, თავმჯდომარის ამხანაგს, მდივანს და ხაზინადარს. ცენტრალურ კომისიაში წევრის სრულის უფლებით დღიდან კომისიის მიერ საკანდიდატო სიის მიღებისა შედის თითო წარმომადგენელი იმ პოლიტიკური პარტიისა ან ჯგუფისა, რომელიც საკანდიდატო სიას წარმოადგენს.

11. რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაევალება: 1) საერთო თვალყურის დევნება დამფუძნებელი კრების არჩევნების მსვლელობისათვის და შემუშავება არჩევნების დასაჩქარებელი ზომებისა; 2) ზომების მიღება დამფუძნებელი კრების არჩევნების სტატისტიკურ და სხვა ცნობათა დასაგროვებლად და შესამუშავებლად; 3) თვალყურის დევნება, რომ თავის დროზე მოეწყოს და მოქმედება დაიწყოს სამაზრო, საქალაქო და საოლქო კომისიებმა; 4) დამტკიცება საარჩევნო უბნებად განაწილებისა სამაზრო, საქალაქო და საოლქო კომისიების წარდგენის თანახმად და განხილვა ყველა იმ განცხადებისა, რომელიც საარჩევნო უბნებად დაყოფის უწესრიგობას შეეხება; 5) განსაზღვრა და გამოქვეყნება დროისა, როცა ქალაქების მთავარი და წვრილი სასოფლო კომისიები საარჩევნო სიების შედგენას უნდა შეუდგნენ, თვალყურის დევნება სიების დროზე შედგენისა და მათის საყოველთაო განხილვად გამოფენისა; 6) მიღება და განხილვა საკანდიდატო სიებისა, დანომრვა ამ სიებისა, მათი საჯაროდ გამოფენა და შეტყობინება საქალაქო, საოლქო, სამაზრო, სოფლის საზოგადოებისა და სოფლის წვრილ საარჩევნო კომისიებისათვის და აგრეთვე საყოველთაოდ გამოქვეყნება, უკეთუ საკანდიდატო სიების შეერთება მოხდა; 7) განკარგულება საარჩევნო კოწტერტების, საარჩევნო ბარათების, ყუთებისა და საპირადო ბარათების დამზადების შესახებ; 8) ხმების დათვლის წარმოება მთელს რესპუბლიკაში, არჩევნების შედეგის გამორკვევა და ამ შედეგის საქვეყნოდ გამოცხადება; 9) შედგენა დამფუძნებელ კრებაში ამორჩეულ წევრთა სიისა და მათთვის სათანადო მოწ-

მობის მიცემა; 10) მთელი საარჩევნო წარმოების საქმეთა გადაცემა დამფუძნებელი კრებისათვის და 11) განკარგულება იმ კრედიტებისა, რომელიც არჩევნების საწარმოებლად გადაიდება ხაზინიდან.

12. სამაზრო საარჩევნო კომისიას შეადგენს ერობის გამგეობა, ხოლო სადაც ერობა შემოღებული არაა, სამაზრო ქალაქის თვითმმართველობის გამგეობა მაზრაში ყველა მომქმედ პოლიტიკურ პარტიის წარმომადგენელთაგან ძალთა განწყობილების მიხედვით.

სამაზრო კომისია ამოირჩევს თავმჯდომარეს, მის ამხანაგს, ხაზინადარსა და მდივანს.

სამაზრო კომისიაში წევრის სრული უფლებით შედის თითო წარმომადგენელი თვითეული იმ პოლიტიკური პარტიის ან ჯგუფისა, რომელსაც საკანდიდატო სია წარუდგენია, ცენტრალურ კომისიის მიერ საკანდიდატო სიის მიღების დღიდან.

13. სამაზრო საარჩევნო კომისიებს ევალებათ: 1) დაარსება სოფლის საზოგადოებისა და წვრილი სასოფლო ერთეულების კომისიებისა; 2) თვალყურის დევნება, რომ ამ კომისიებმა თავის დროზე დაიწყონ მოქმედება; 3) მაზრის სასოფლო საზოგადოების და წვრილ სასოფლო საარჩევნო უბნებად დანაწილების წარდგენა ცენტრალურ კომისიაში; 4) საარჩევნო სიების თავის დროზე შედგენა და მათი საყოველთაოდ გამოფენა განსახილველად; 5) დამზადება და დაგზავნა საარჩევნო ყუთებისა; 6) განხილვა პროტესტებისა და საჩივრებისა სიების უწესოდ შედგენის გამო და აგრეთვე სოფლის საზოგადოებისა და სოფლის წვრილი საარჩევნო ერთეულის სხვა არა წესიერ მოქმედებისა; 7) ზომების მიღება, რათა ამომრჩევლებს ეცნობოთ საკანდიდატო სიები; 8) გამორკვევა მაზრაში საკანდიდატო სიების მიერ მიღებული ხმების რაოდენობისა, და 9) საარჩევნო წარმოების ცენტრალურ კომისიაში გადაცემა.

14. იმ ქალაქებში, რომელთა მცხოვრებლების რაოდენობა ორი ათასს აღემატება, არსდება ცალკე მთავარი საქალაქო საარჩევნო კომისია. ხსენებულ კომისიას ამოირჩევს ქალაქის საბჭო თავის წრიდან მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა შორის ძალთა განწყობილების მიხედვით. ტფილისში საქალაქო საარჩევნო კომისია შესდგება ცხრა წევრისაგან, ქუთაისსა და

ფოთში შვიდ-შვიდისაგან, ხოლო დანარჩენ ქალაქებში ხუთი წევრისაგან. საქალაქო კომისიები ამოირჩევენ თავიანთ წრიდან თავმჯდომარეს, მის ამხანაგს, ხაზინადარს და მდივანს.

საქალაქო საარჩევნო კომისიებში შედის წევრის სრულის უფლებით დღიდან ცენტრალური კომისიის მიერ საკანდიდატო სიის მიღებისა თითო წარმომადგენელი იმ პოლიტიკური პარტიის ან ჯგუფისა, რომელსაც საკანდიდატო სია წარუდგენია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. გარდა ტფილისის, ქუთაისისა და ფოთის საარჩევნო კომისიებისა, თავმჯდომარის ამხანაგის ყოლა სავალდებულო არაა.

15. საქალაქო საარჩევნო კომისიებს დაეკალებათ: 1) დაყოფა ქალაქისა საარჩევნო უბნებად; 2) თვალყურის დევნება, რომ ამ კომისიებმა თავის დროზე დაიწყონ მოქმედება; 3) წარდგენა საარჩევნო უბნებად დაყოფისა ცენტრალურ კომისიაში; 4) ქალაქში საარჩევნო სიების შედგენა და მათი საჯაროდ გამოფენა; 5) დამზადება და განაწილება საარჩევნო ყუთებისა; 6) განხილვა პროტესტებისა და საჩივრებისა სიების უწესოდ შედგენის გამო და აგრეთვე საარჩევნო უბნების კომისიების სხვა არაწესიერი მოქმედებისა; 7) ზომების მიღება, რათა ამომრჩევლებს თავის დროზედ ეცნობოთ საკანდიდატო სიები; 8) დათვლა ქალაქში საკანდიდატო სიების მიერ მიღებული ხმებისა; 9) საარჩევნო წარმოების ცენტრალურ კომისიაში გადაცემა.

16. ქალაქის საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარეს დანიშნავს ქალაქის მთავარი საარჩევნო კომისიის პრეზიდიუმი, თავმჯდომარე კი შეადგენს კომისიას ქალაქში მოქმედ პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელთაგან ძალთა განწყობილების მიხედვით. კომისია ამოირჩევს თავმჯდომარის ამხანაგსა და მდივანს. საუბნო კომისიაში წევრის სრულის უფლებით შედის დღიდან ცენტრალური კომისიის მიერ საკანდიდატო სიის მიღებისა თითო წარმომადგენელი საკანდიდატო სიის განმცხადებელი პარტიის თუ ჯგუფისა.

17. ქალაქის საარჩევნო საუბნო კომისიას დაეკალება: 1) მიღება და წინასწარი დათვლა საარჩევნო ბარათებისა და 2) მთელი უბნის საარჩევნო წარმოების ქალაქის მთავარ კომისიაში გადაცემა.

18. სოფლის საზოგადოების კომისიას შეადგენს სათანადო მაზრის საარჩევნო კომისია საზოგადოებაში მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა შორის ძალთა განწყობილების მიხედვით. კომისიაში შვიდი წევრია. კომისია ირჩევს თავმჯდომარეს, მდივანს და ხაზინადარს.

სოფლის საზოგადოების კომისიაში წევრის სრულის უფლებით დღიდან ცენტრალური კომისიის მიერ საკანდიდატო სიის მიღებისა შედის თითო წარმომადგენელი იმ პოლიტიკური პარტიის ან ჯგუფისა, რომელსაც საკანდიდატო სია წარუდგენია.

19. სასოფლო საზოგადოების კომისიას დაევალება: 1) წვრილი სასოფლო ერთეულებისთვის საარჩევნო მასალისა და საარჩევნო ყუთების მიწოდება; 2) საზოგადოების დაყოფა წვრილ სასოფლო საარჩევნო ერთეულებად; 3) წარდგენა ამ დაყოფისა სამაზრო კომისიაში; 4) შედგენა წვრილ სასოფლო საარჩევნო კომისიებისა; 5) ხელმძღვანელობა საარჩევნო სიების წესიერად შედგენისა და ამომრჩევლების ამწერელთა მუშაობისა; 6) თვალყურის გდება აღწერის დროზე დაწყებისა და დასრულებისა; 7) თვალყურის დევნება, რომ სიაში არავინ დარჩეს შეუტანელი; 8) წინასწარი დათვლა საარჩევნო ბარათებისა; 9) პროტესტებისა და საჩივრების მიღება და სამაზრო კომისიისათვის გადაცემა, და 10) მთელი საზოგადოების საარჩევნო წარმოების სამაზრო კომისიაში წარდგენა.

20. წვრილ სასოფლო საარჩევნო კომისიას მოაწყობს სოფლის საზოგადოების საარჩევნო კომისია სამაზრო კომისიის ხელმძღვანელობით და ჩვენებით ხუთი წევრისაგან, რომელიც შესდგება თანახმად დანარჩენი კომისიების მოწყობის პრინციპისა. ამ კომისიის სამოქმედო რაიონი არ უნდა აღემატებოდეს ორ-სამ ვერსიანი რადიუსის მქონე სივრცეს.

ამ კომისიაში წევრის სრულის უფლებით დღიდან ცენტრალური კომისიის მიერ საკანდიდატო სიის მიღებისა შედის თითო წამომადგენელი იმ პოლიტიკური პარტიის ან ჯგუფისა, რომელსაც საკანდიდატო სია წარუდგენია.

21. წვრილ სასოფლო საარჩევნო კომისიას დაევალება: 1) ყოველმხრივი დახმარება ამომრჩეველთა ამწერლებისა; 2) დროიანად მიღება სოფლის საზოგადოების საარჩევნო კომისიისაგან საარჩევნო მასალისა და საარჩევნო ყუთებისა;

3) დათვლა ყუთიდან ამოღებული კონვერტებისა (გაუხსნელად) და მათი რაოდენობის შეფარდება ხმის მიმცემთა რაოდენობასთან და 4) მთელი საარჩევნო წარმოების სოფლის საზოგადოების კომისიაში გადაცემა.

22. სოხუმის საოლქო საარჩევნო კომისიას შეადგენს სოხუმის ქალაქის გამგეობა ცხრა წევრისაგან ოლქში მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა შორის ძალთა განწყობილების მიხედვით. კომისიას ჰყავს, თავჯდომარის გარდა, მისი ამხანაგი, მდივანი და ხაზინადარი, თავის წრიდან ამორჩეულები.

სოხუმის საოლქო კომისიაში წევრის სრულის უფლებით დღიდან საკანდიდატო სიის ცენტრალური კომისიის მიერ მიღებისა შედის თითო წარმომადგენელი იმ პოლიტიკური პარტიის ან ჯგუფისა, რომელსაც საკანდიდატო სია წარუდგენია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სოხუმის საოლქო კომისიას ისეთივე მოვალეობანი აქვს, როგორიც სამაზრო კომისიას.

23. ზაქათალის საოლქო კომისიას შეადგენს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია ოლქში მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა შორის ძალთა განწყობილების მიხედვით ცხრა წევრისაგან. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, მისი ამხანაგი, მდივანი და ხაზინადარი.

კომისიაში წევრის სრულის უფლებით დღიდან ცენტრალურ კომისიის მიერ საკანდიდატო სიის მიღებისა შედის თითო წარმომადგენელი იმ პოლიტიკური პარტიის ან ჯგუფისა, რომელსაც საკანდიდატო სია წარუდგენია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზაქათალის საოლქო კომისიას ისეთივე მოვალეობანი აქვს, როგორიც სამაზრო კომისიას.

24. სოხუმისა და ზაქათალის ოლქებში სოფლის საზოგადოებისა და წვრილი სასოფლო საარჩევნო კომისიები მოეწყობა და მათი მოვალეობანი განისაზღვრება თანახმად ამ დებულების 18—21 მუხლებისა.

25. ყოველგვარი აქტი და ქაღალდი, დამფუძნებელ კრების საქმეებისათვის შედგენილი, როგორც ის, რომელიც გაეგზავნება მთავრობას, სასამართლოს, ადმინისტრაციას, ან საზოგადოებრივ დაწესებულებას, აგრეთვე ისიც, რომელსაც ხსენებული დაწესებულებანი ან თანამდებობის პირნი გამოსცემენ, თავისუფალია საღერბო და სხვა გადასახადისაგან.

თავი 4.

საარჩევნო სიები.

26. დამფუძნებელ კრების არჩევნების საწარმოებლად სიები შესდგება თითოეულ საარჩევნო უბანში ცალ-ცალკე.

თითოეული ამომრჩეველი შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთ რომელსამე საარჩევნო უბნის სიაში.

27. საარჩევნო სიების შედგენა დაევალებათ ქალაქებში ქალაქის მთავარ საარჩევნო კომისიებს, სოფლად — სათანადო სამაზრო საარჩევნო კომისიას, სოხუმისა და ზაქათალის ოლქებში — ოლქის მთავარ საარჩევნო კომისიას.

28. დღე საარჩევნო სიების შედგენის დაწყებისა მთელ რესპუბლიკაში დაინიშნება რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ და გამოცხადდება საყოველთაოდ იმ გზით, რომელიც რაც შეიძლება უკეთ უზრუნველჰყოფს მცხოვრებლების მიერ ამ დღის გაგებას.

29. საარჩევნო უბნის სიაში შეაქვთ საარჩევნო უფლების მქონე ის პირი, რომელიც იქ ცხოვრობდა სიის შედგენის დაწყების დღემდე, თუნდაც დროებით წასულიც იყოს იქიდან.

30. ვინც საარჩევნო უბანში სიების შედგენის დაწყების შემდეგ დაბრუნდება, შეიძლება შეტანილ იქნეს სიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ წარუდგენს შესაფერ განცხადებას უბნის საარჩევნო კომისიას. ასეთი განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნეს სიების შედგენის დამთავრებამდე და აგრეთვე ხუთი დღის განმავლობაში სიების გამოქვეყნებიდან. ასეთ განცხადებასთან ერთად უნდა განცხადებულ იქნეს ისიც, რომ მთხოვნელი ამოიშალოს წინანდელ საცხოვრებელ ადგილას შემდგარ სიიდან. ასეთი განცხადება გაიგზავნება დანიშნულებისამებრ.

31. საარჩევნო სიაში აღინიშნება გვარი, მეტი სახელი თითოეული ამომრჩევლისა, სახელი, მამის სახელი, წლოვანება, ეროვნობა, სარწმუნოება, იცის თუ არა წერა-კითხვა, რა სკოლა გაუთავებია, რა ხელობისაა, სად იყო მიწერილი 1914 წ. ივლისის 19-მდე ძველი სტილით. გვარები თვითეულ საარჩევნო უბანში ანბანის წესზე უნდა იყოს ჩამოწერილი.

32. საარჩევნო სია შედგენისათანავე დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში კი არაუგვიანეს ორმოცი დღისა არჩევნების დაწყებამდე, საქვეყნოდ გამოცხადდება ისე, რომ ყველას შეეძლოს მისი გაცნობა.

33. ათი დღის განმავლობაში დღიდან საარჩევნო სიის გამოქვეყნებისა ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელს შეუძლია განაცხადოს პროტესტი, საარჩევნო ხმის უფლების მქონეელთ კი შეუძლიათ საჩივარი შეიტანონ, რომ სია არ არის სწორედ შედგენილი ან სრული არაა.

ხსენებული პროტესტები და საჩივრები შეაქვთ სამაზრო ან საქალაქო (სოხუმისა და ზაქათალის ოლქებისათვის საოლქო) საარჩევნო კომისიებში.

34. ხსენებულ კომისიებს შეუძლიათ დააკმაყოფილონ: 1) საჩივრები სიაში მომჩივანთა შეუტანლობისა, თუ ეს საჩივრები აღძრულია ხუთი დღის წინ 30-ე მუხლში აღნიშნული ვადის გათავებამდე და 2) საჩივრები მომჩივანებისა საარჩევნო სიებში არასწორი ცნობების შეტანის გამო. აღნიშნულ საჩივართა დაკმაყოფილებას მომჩივანთ ატყობინებენ.

35. ყველა დანარჩენი საჩივრები ან პროტესტები სამი დღის განმავლობაში გადაიგზავნება რესპუბლიკის ცენტრალურ კომისიაში და მათთან ერთად გაიგზავნება ახსნა-განმარტება ზემოხსენებული კომისიებისა.

36. არაუგვიანეს სამი დღისა 30-ე მუხლში აღნიშნულ ვადის გათავებამდე საყოველთაოდ უნდა გამოცხადდეს დამატებითი საარჩევნო სია, სადაც შეტანილ იქნება მხოლოდ: 1) ის, ვინც აღნიშნულია 30-ე მუხლში, ვისი განცხადებაც სიაში თავის დროზე შეუტანლობისა დაკმაყოფილებულია, 2) ის, ვინც აღნიშნულია 34-ე მუხლში და ის, ვინც დაუკმაყოფილებია სათანადო კომისიას.

დამატებით საარჩევნო სიას შეადგენენ თანახმად 29-ე მუხ. აღნიშნული წესებისა.

37. პროტესტები და საჩივრები დამატებით სიების გამო გაიგზავნება 33-ე და 35-ე მუხლების წესით 33-ე მუხლში აღნიშნულ ვადის გათავებამდე.

38. პროტესტებსა და საჩივრებს ცენტრალური კომისია იხილავს ხუთი დღის განმავლობაში საჯაროდ, საადმინისტრაციო მოსამართლეთათვის მიღებულის წესით, თანახმად საად-

მინისტრაციო სასამართლოების დებულებისა (კან. 1917 წ., 529-ე). საქმის გარჩევაში მონაწილეობის უფლება ეძლევათ, პროტესტის ან საჩივრის შემომტანისა და განსაჩივრებული სიის შემდგენელ კომისიის წარმომადგენელთა გარდა, აგრეთვე იმათაც, ვისი საარჩევნო უფლების გამოც სწარმოებს დავა.

39. ცენტრალური კომისიის გადაწყვეტილების შესახებ შეიძლება პროტესტის და საჩივრის გადატანა ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილებაში ათის დღის განმავლობაში; ასეთი პროტესტების და საჩივრების აღძვრა საარჩევნო წარმოებას ვერ შეაჩერებს.

40. ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილება აღნიშნულ პროტესტებსა და საჩივრებს განიხილავს ხუთი დღის ვადაში.

41. საარჩევნო სიები, მათი ხუთი დღის განმავლობაში ზესწორების შემდეგ, თანახმად იმ გადაწყვეტილებისა, რომელიც ცენტრალურმა კომისიამ გამოიტანა, ხოლო სათანადო შემთხვევებში თანახმად ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების გადაწყვეტილებისა, ხელახლა გამოქვეყნდება არა უგვიანეს ათი დღის ვადისა არჩევნების დაწყებამდე ისე, რომ ხალხს რაც შეიძლება გაუადვილდეს მათი გადათვალიერება.

თ ა ვ ი ნ.

საკანდიდატო სიები.

42 დამფუძნებელ კრების არჩევნები მოხდება ერთ-ერთი გამოქვეყნებული საკანდიდატო სიისთვის ხმის მიცემით.

43. საკანდიდატო სია ამომრჩეველთა ჯგუფმა უნდა წარმოუდგინოს ცენტრალურ კომისიას არა უგვიანეს ოცდაათი დღისა არჩევნების დაწყებამდე.

44. თითოეულ საკანდიდატო სიას საკუთრივ ხელს უნდა აწერდეს არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონებელ პირთა ორმოცდაათზე არა ნაკლები. სიაში აღნიშნული უნდა იყოს გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილი თითოეული წარმომადგენელი კანდიდატისა. სიას დართული

უნდა ჰქონდეს გაწცხადება ყველა კანდიდატისა, რომ ისინი თანახმანი არიან კენჭი იყარონ წარმოდგენილის სიით. სიას შეიძლება თან ახლდეს სახელწოდება მისი წარმომდგენი ორგანიზაციისა.

45. საკანდიდატო სიის შემომტანმა ჯგუფმა უნდა დაასახელოს თავისი წარმომადგენელი ცენტრალურ კომისიასთან კავშირის დასაჭერად და ამ კომისიაში მონაწილეობისათვის ამორჩეული. თუ წარმომადგენელი არაა დასახელებული, მაშინ ასეთად ჩაითვლება ის, ვისაც პირველად აქვს ხელი მოწერილი განცხადებაზე. რათა შინ მიუვიდეს ხოლმე უწყება ცენტრალური კომისიისა, ჯგუფის წარმომადგენელმა უნდა აცნობოს თავისი მისამართი იმ ქალაქში, სადაც კომისია მოქმედებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კომისიის უწყებები მისთვის ჩაბარებულად ჩაითვლება, უკეთუ იგი გამოკრულია კომისიის ბინაზე. გარდა ამისა ამომრჩეველთა ჯგუფმა, რომელსაც სურს თავისი წარმომადგენელი იყოლიოს სამაზრო, საოლქო, საქალაქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში, უნდა დაასახელოს, თუ ვისი შეყვანა სურს ხსენებულ კომისიებში.

46. ერთს ამომრჩეველს შეუძლია ხელი მხოლოდ ერთს საკანდიდატო სიას მოაწეროს; თუ ერთსა და იმავე ამომრჩეველს ხელი ორსა ან მეტ სიაზე მოუწერია, იმ შემთხვევაში მისი ხელმოწერა ნამდვილად ჩაითვლება მხოლოდ იმ სიაზე, რომელიც ყველაზე ადრეა შესული ცენტრალურ კომისიაში.

47. ერთი კანდიდატის სხვადასხვა სიაში შეტანა არ შეიძლება.

48. ცენტრალური კომისია ვალდებულია მისცეს, საკანდიდატო სიის მიღების ხელმოწერილი ბარათი, სადაც აღნიშნული უნდა იყოს თვე, დღე და საათი სიის მიღებისა.

49. უკეთუ წარმოდგენილი საკანდიდატო სია არ აკმაყოფილებს 44-ე 46-ე და 47-ე მუხლებში აღნიშნულ მოთხოვნილებას, იმ შემთხვევაში ცენტრალური კომისია აცნობებს ამას ჯგუფის წარმომადგენელს სამი დღის განმავლობაში. განცხადება ხსენებულ ნაკლთა გასასწორებლად შეიძლება შეტანილ იქნეს არა უგვიანეს ოცდაოთხი დღისა არჩევნების დაწყებამდი.

50. წარმოდგენილი საკანდიდატო სიები, რომელიც აკმა-

ყოფილებს მე-42 და მე-44—45 მუხლ. აღნიშნულ მოთხოვნილებას, ცენტრალური კომისიის მიერ ინოძრება მათი შემოტანის რიგის მიხედვით. ამ ნუმერაციით და აგრეთვე ორგანიზაციების სახელწოდებით, თუ სიებს თან ექნება იგი დართული, საკანდიდატო სიები გამოიფინება კომისიის შენობაში არა უგვიანეს ოცდასამის დღისა არჩევნების დაწყებამდე და მერე დაუყოვნებლივ ეუწყება სამაზრო, საოლქო და საქალაქო საარჩევნო კომისიებს და საყოველთაოდაც გამოცხადდება.

51. საკანდიდატო სიების შემტან ჯგუფებს შეუძლიათ არა უგვიანეს თხუთმეტი დღისა არჩევნების დაწყებამდე განაცხადონ ცენტრალურ კომისიაში, რომ მათ სურთ თავიანთი საკანდიდატო სიების შეერთება. ამ განცხადებაზე ხელი უნდა ეწეროთ შეერთების მსურველ ყველა ჯგუფის წარმომადგენლებს. ასეთს შეერთებას ცენტრალური კომისია აცხადებს საყოველთაოდ არა უგვიანეს განცხადების მიღების მეორე დღისა.

52. ერთი და იგივე სია მხოლოდ ერთ შეერთებაში შეიძლება შედიოდეს.

თავი 6

საარჩევნო ბარათების მიცემა და დათვლა.

53. ხმის მიცემა სწარმოებს საარჩევნო ბარათებით.

54. საარჩევნო ბარათები გარეგნობით ერთნაირი უნდა იყოს.

ნიმუშს საარჩევნო ბარათისას აწესებს ცენტრალური საარჩევნო კომისია და აცხადებს საყოველთაოდ არა უგვიანეს ოცდათხუთმეტი დღისა არჩევნების დაწყებამდე.

55. თითოეული საარჩევნო ბარათი უნდა შეიცავდეს ერთ-ერთ გამოცხადებულ საკანდიდატო სიას; ამ სიაში არავითარი ცვლილების შეტანა არ შეიძლება, არც ერთი კანდიდატის მეორის ადგილზე გადატანა. ბარათს უნდა ჰქონდეს ნომერი საკანდიდატო სიისა და სახელწოდება ამ სიის წარმომადგენელი ორგანიზაციისა, თუ მას ორგანიზაციის სახელი აქვს დართული.

56. კონვერტები საარჩევნო ბარათებისათვის უნდა იყოს ერთნაირი, არა გამჭვირვალე, სუფთა და ზედ უნდა იყოს დასმული ბეჭედი ცენტრალური საარჩევნო კომისიისა.

57. საარჩევნო ბარათები და კონვერტები მზადდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით.

ყველა წარმოდგენილი საკანდიდატო სიისათვის მზადდება თანასწორი რაოდენობა საარჩევნო ბარათებისა.

58. საარჩევნო ბარათებში საკანდიდატო სიის ტექსტი იბეჭდება ქართულად, მაგრამ სიის წარმომდგენ ჯგუფს უფლება აქვს სიის წარმოდგენასთან ერთად მოითხოვოს, რომ შესაფერ საარჩევნო ბარათში შეტანილ იქნეს თარგმანი ტექსტისა იმ ენაზე, რომელსაც ჯგუფი უჩვენებს. თუ ასეთი განცხადება არის, მაშინ მისი შემომტანი ჯგუფი ვალდებულია განცხადებასთან ერთად წარადგინოს თარგმანი ტექსტისა.

59. ბარათები და კონვერტები დამზადებისთანავე დაეგზავნება ცენტრალური კომისიის განკარგულებით მთავარ საქალაქო, სამაზრო და საოლქო კომისიებს.

60. საქალაქო საარჩევნო კომისიები წინდაწინ ამზადებენ სახელობით მოწმობას ქალაქის თითოეულ ამომრჩევლისათვის. ამ მოწმობაში აღინიშნება სახელი, მამის სახელი და გვარი, მეტი სახელი ამომრჩევლისა, მისამართი მისი, საარჩევნო ნაწილი და ის ნუმერი, რომელიც ამომრჩევლის რიგს აღნიშნავს საარჩევნო სიაში. იქვე უნდა იყოს ნაჩვენები დრო და ადგილი ხმის მიცემისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. სახელობითი მოწმობა სავალდებულოა მხოლოდ ქალაქის მცხოვრებისთვის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. განსაკუთრებულ შემთხვევაში საარჩევნო კომისიებს ნება აქვთ დაკმაყოფილდნენ ამომრჩევლის ვინაობის დამმოწმებელ სხვა ოფიციალურ საბუთითაც.

61. მთავარი საქალაქო და სოფლის წვრილი საარჩევნო კომისია ვალდებულია დაურიგოს თითოეულ ამომრჩეველს არა უგვიანეს შვიდი დღისა არჩევნების დაწყებამდე თითო ცალი საარჩევნო ბარათი ყოველ გამოცხადებულ საკანდიდატო სიის და სახელობითი მოწმობა ქალაქის ამომრჩევლებს.

იმას, ვისაც უფლება აქვს მიიღოს სახელობითი მოწმობა და საარჩევნო ბარათები, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია, მიეცემა მოწმობა ქალაქის მთავარ კომისიაში არჩევნების დღემდე, საარჩევნო ბარათები კი — ქალაქის საუბნო საარჩევნო კომისიაში არჩევნების დღეს.

62. საქალაქო და სოფლის საზოგადოების საარჩევნო კომისიები ამზადებენ პირ-ამოჭრილ საარჩევნო ყუთებს საარჩევნო ბარათების ჩასაშვებად და უგზავნიან მათ მცირე საარჩევნო ერთეულებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თუ ადგილობრივი პირობის გამო ყუთების გაკეთება ვერ მოხერხდა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მზამზარეული ყუთები, უკეთუ ისინი აკმაყოფილებს ამ მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებას.

63. ქალაქის თვითმმართველობა და სოფლის საზოგადოების სახალხო დაწესებულებანი საარჩევნო კომისიებს აძლევენ ბინას არჩევნების საწარმოებლად.

64. თითოეულ საარჩევნო შენობაში უნდა იყოს ერთი ან რამდენიმე მოფარებული ადგილი, რომ ამომრჩეველს არჩევნების საიდუმლოების დაურღვევლად შეეძლოს ჩადოს კონვერტში საარჩევნო ბარათი.

65. საარჩევნო ნაწილის უბნის სხდომები საჯაროა. ხმის მისაცემად დანიშნულ დღეს თავმჯდომარე კომისიის წევრთა და ამ დროისთვის საარჩევნო დარბაზში შემოსულ პირთა თანდასწრებით გახსნის კომისიის კრებას. თავმჯდომარე გასინჯავს საარჩევნო ყუთი მთელია და ცარიელი თუ არა, შემდეგ დახურავს, დაბეჭდავს და მოიწვევს ამომრჩევლებს ხმის მისაცემად. სანამ საარჩევნო ბარათების მიცემა გრძელდება, კომისიის სხდომაზე აუცილებლად უნდა იყოს კომისიის წევრთა ერთი მესამედი მაინც.

66. საარჩევნო შენობაში მხოლოდ არჩევნები სწარმოებს. მოწოდების გამოკიდება ან გაკვრა, ბროშურებისა და პლაკატების დარიგება, საარჩევნო ბარათების გავრცელება, სიტყვების წარმოთქმა და საერთოდ ყოველგვარი საარჩევნო აგიტაცია აკრძალულია როგორც ოთახებში, სადაც საარჩევნო ბარათებს იძლევიან, აგრეთვე კიბეებზე, გასავლელებში და საარ-

ჩევნო შენობის შესავალ კარებთან. საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარე თვალყურს ადევნებს, რომ საარჩევნო შენობაში არჩევნების წარმოების დროს დაცულ იქნეს სრული წესრიგი და დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს, თუ ვინმემ დაარღვია იგი.

67. საარჩევნო შენობაში არ შეიშვებიან: 1) შეიარაღებულნი და 2) ისინი, ვისაც ცხადად ეტყობა, რომ მთვრალია.

68. თავმჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების მიხედვით, თანახმად კომისიის დადგენილებისა, მოსთხოვოს სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებას გამოუგზავნონ მილიციელები, ან ჯარისკაცები.

მილიციელები და ჯარისკაცები სავსებით ემორჩილებიან თავმჯდომარეს და იმყოფებიან მხოლოდ მის განკარგულებაში.

69. თუ წესრიგი დაირღვა, ან თუ ვინმე კომისიის ან მისი თავმჯდომარის განკარგულებას არ დაემორჩილა, კომისიას შეუძლია დაადგინოს შეიყვანოს მილიციელები და ჯარისკაცები შენობაში, სადაც არჩევნები სწარმოებს. თუ თავმჯდომარის მოთხოვნა არაა, ისე საარჩევნო შენობაში არავითარი შეიარაღებული ძალის შეყვანა არ შეიძლება.

70. არჩევნები იწყება პარლამენტის მიერ დანიშნულ თვეს და რიცხვს და გრძელდება სამ დღეს. საუბნო საარჩევნო კომისიები საარჩევნო ბარათების მისაცემად ღია უნდა იყოს სამი დღის განმავლობაში, დილის ცხრა საათიდგან საღამოს ცხრა საათამდე ქალაქებში და დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე სოფლებში.

71. საარჩევნო ბარათი ამომრჩეველმა თვითონ უნდა მიიტანოს და ჩააგდოს საარჩევნო ყუთში.

72. ამომრჩეველი წარუდგენს თავის პირადობის მოწმობას საარჩევნო კომისიის ერთ-ერთ წევრს, რომელიც საარჩევნო სიაში აღნიშნავს, რომ ეს ამომრჩეველი უკვე გამოცხადდა, ამომრჩეველი კი მიიღებს კომისიისაგან კონვერტს შიგ საარჩევნო ბარათის ჩასადებად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სოფლად, სადაც პირადობის მოწმობა არაა სავალდებულო, ამომრჩევლის ვინაობას დაამოწმებს თვითონ საარჩევნო კომისია.

73. კონვერტს რომ მიიღებს ამომრჩეველი, მიდის მოფარებულ ადგილას და იქ ჩასდებს კონვერტში საარჩევნო ბარათს, დაბრუნდება საარჩევნო ყუთთან და გადასცემს დაბეჭდილ კონვერტს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც მის თვალწინ ჩააგდებს კონვერტს ყუთში.

74. არჩევნების სამივე დღის განმავლობაში საარჩევნო შენობის კარები უნდა დაიკეტოს საღამოს სრულ 9 საათზე ქალაქად და სრულ რვა საათზე სოფლად, საარჩევნო ბარათების მიღება კი უნდა გაგრძელდეს მხოლოდ იმათგან, ვინც კარების დაკეტვამდე შესულა შენობაში. საარჩევნო ბარათების მიღება რომ დასრულდება, თავმჯდომარე აცხადებს, რომ ხმის მიცემა ამ დღისთვის დამთავრებულია და საარჩევნო ყუთის ამოშრილ პირს გალუქავს. ამის შემდეგ ყველა იქ მყოფნი დასტოვებენ საარჩევნო ოთახს, შენობა კი დაიბეჭდება თავმჯდომარის განკარგულებით მეორე დღის დილამდე და შენობის კარებს დარაჯი დაუდგება.

75. არჩევნების მესამე დღეს საარჩევნო შენობის შესავალი კარები დაიკეტება საღამოს სრულ ცხრა საათზე ქალაქებში და საღამოს სრულ რვა საათზე სოფლად, რის შემდეგ საარჩევნო ბარათების მიღება მოხდება მხოლოდ იმათგან, ვინც შენობაში შესულა კარების დაკეტვამდე. ბარათების მიცემის გათავების შემდეგ თავმჯდომარე კენჭის ყრას დასრულებულად გამოაცხადებს და განკარგულებას მოახდენს კარები გაიღოს. ამის შემდეგ კომისია თავდაპირველად კონვერტებს დაითვლის გაუხსნელად. თუ კონვერტების რაოდენობა არ ეთანაბრება იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომელთა გამოცხადება აღნიშნულია საარჩევნო სიაში, იმ შემთხვევაში შესაფერი შენიშვნა შეაქვთ ოქმში და ამის შემდეგ იწყება კონვერტების გახსნა და საარჩევნო ბარათების კითხვა.

76. ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებისამებრ დამზადებულ საარჩევნო ბარათებთან ერთად ნამდვილ ბარათებად ჩაითვლება ისინიც, რომელთა ტექსტი იმნაირივეა.

ნამდვილად ჩაითვლება აგრეთვე ის ბარათი, სადაც ქართულ ტექსტთან ერთად დაბეჭდილია მისი თარგმანი სხვა ენაზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. საპატიო შემთხვევაში საარჩევნო ბარათების მაგიერ შეიძლება ნამდვილად ჩაითვალოს

სუფთა ქაღალდზე ხელით დაწერილი ან დაბეჭდილი შესაფერისი ნომერი.

77. ნამდვილად არ ჩაითვლება: 1) საარჩევნო ბარათი, რომელიც არ შეეფერება 54-ე, 55-ე, 56-ე მუხლებს; 2) ბარათი, რომელიც შეუვსებელია; 3) ბარათი, ხელმოუწერელი ამომრჩევლის მიერ, ან ისეთი, რომელზედაც წაშლილია რაიმე ან ამოფხეკილი, ან ზედ რაიმე გამოსაცნობი ნიშანი აზის, ან თუ ისეთს კონვერტში დევს, რომელსაც ასეთი ნიშნები აქვს; 4) თუ კონვერტში ერთზე მეტი ბარათია და მათი შინაარსი ერთი და იგივე არაა. თუ კონვერტში ერთი და იმავე შინაარსის ბარათია, ყველა ერთ ბარათად ჩაითვლება.

78. თუ კომისიაში ეჭვი აღიძრა, მაშინ ბარათის სინამდვილის საკითხი გადაწყდება ხმის უმეტესობით; თუ ხმები თანასწორად გაიყო, თავმჯდომარის ხმა საკითხის გადამჭრელია.

79. ნამდვილად მიჩნეული საარჩევნო ბარათები თითოეულ საკანდიდატო სიისა ცალკე უნდა დაითვალოს.

80. ყველაფერი, რაც მოხდება კომისიაში მისი სხდომების გახსნიდან დახურვამდე, ოქმში ჩაიწერება. ამ ოქმში უნდა მოხსენებულ იქნეს კერძოდ ყოველი განკარგულება თავმჯდომარისა, დადგენილებანი კომისიისა, აგრეთვე განცხადებანი, რომელიც შეიძლება შემოტანილ იქნეს კომისიაში მონაწილე ამომრჩეველთა მიერ. გარდა ამისა ოქმში აღინიშნება რაოდენობა საარჩევნო ბარათებისა, რომელიც თვითეულ საკანდიდატო სიას მიუღია, აგრეთვე რაოდენობა იმ ბარათებისა, რომელიც არ უცვნიათ ნამდვილ ბარათებად, და იქვე განმარტებულ იქნება საბუთები ასეთი გადაწყვეტილებისა. ოქმს ხელი უნდა მოაწერონ კომისიის თავმჯდომარემ, მდივანმა, წევრებმა და დამსწრე პირებმა, თუ მოისურვებენ.

81. ოქმები გაიგზავნება მთავარ საქალაქო და სამაზრო საარჩევნო კომისიაში. ოქმებთან ერთად გაიგზავნება ცალკე პაკეტებით: 1) კომისიის მიერ ნამდვილად მიჩნეული საარჩევნო ბარათები; 2) ბარათები, კომისიის მიერ ნამდვილად მიჩნეული, მაგრამ კომისიის რომელსამე წევრისთვის სადავო; 3) ბარათები კომისიის მიერ არანამდვილად მიჩნეული წინააღმდეგ მისი ცალკე წევრების აზრისა, და 4) ბარათები, რომელთა სინამდვილე კომისიას ერთხმად უარუყვია.

82. სამაზრო, საოლქო და საქალაქო კომისიები წარმოდგე-

ნილ ოქმებისა და საარჩევნო ბარათების განხილვის შემდეგ საბოლოოდ გამოარკვევენ და გადასწყვეტენ, რომელი ბარათები უნდა ჩაითვალოს ნამდვილ ბარათებად და რამდენი ხმა ამოუვიდა თვითეულ საარჩევნო უბანში და მთლად მაზრაში, ქალაქში ან ოლქში თვითეულ წარმოდგენილ საკანდიდატო სიას.

83. სამაზრო, საოლქო და საქალაქო საარჩევნო კომისიის ოქმები საარჩევნო უბნის ოქმებთან ერთად გაიგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ამ ოქმებს თან მიჰყვება ის საარჩევნო ბარათები, რომლებიც აღნიშნულია 81-ე მუხლის მე-2 — 4 პუნქტებში.

84. სამაზრო და საქალაქო კომისიის სხდომები, როდესაც სწარმოებს განხილვა საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმებისა და დათვლა საარჩევნო ბარათებისა, საჯაროა.

თ ა ვ ი 7

არჩევნების შედეგის გამორკვევა.

85. ცენტრალური საარჩევნო კომისია იხელმძღვანელებს რა სამაზრო და საქალაქო საარჩევნო კომისიების სხდომების ოქმებით, დაითვლის ყველა ხმას, რაც მთელ რესპუბლიკაში მიუციათ თვითეულ საკანდიდატო სიისათვის და ამის შემდეგ დამფუძნებელ კრების წევრთა რაოდენობა დანაწილდება წარმოდგენილ საკანდიდატო სიებს შორის იმ ხმების რიცხვის პროპორციით, რაც თვითეულ სიას მიუღია მთელს რესპუბლიკაში.

ამ განაწილების წესი ნაჩვენებია 77-ე 89-ე მუხლებში.

86. თუ არჩევნებისთვის დანიშნულ ვადაზე არჩევნები ვერ მოხდა ერთს ან რამდენსამე საარჩევნო უბანში და ამასთან ამ უბნების ამომრჩევლების საერთო რიცხვი, რომელთაც ამის გამო არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ, შეადგენს მთელი რესპუბლიკის ამომრჩეველთა ერთს მეათედზე არა ნაკლებს, იმ შემთხვევაში ცენტრალური კომისია დაუყოვნებლივ განკარგულებას მოახდენს დაინიშნოს ასეთ უბნებში ხელმეორე არჩევნები; თუ ასეთ საარჩევნო უბნების ამომრჩეველთა საერთო რიცხვი ნაკლებია, ან თუ მეორეჯელ დანიშნული არჩევნები არ მოხდა, მაშინ ხმების საერთო დათვლის დროს

ცენტრალურ კომისიაში ის საარჩევნო უბნები, სადაც არჩევნები არ მომხდარა, სათვალავში არ მოექცევა.

87. რაოდენობა ხმებისა, მიღებული მთელს რესპუბლიკაში თვითეულ საკანდიდატო სიის მიერ, გაიყოფა თანწდათანობით ერთზე, ორზე, სამზე, ოთხზე და ასე; ამნაირ გაყოფისაგან მიღებულ ნაწილადთაგან გამოცალკევდება ყველაზე დიდი ნაწილადები, იმდენი, რამდენიცაა რიცხვი დამფუძნებელ კრების ასარჩევი წევრებისა რესპუბლიკაში; ეს ნაწილადები ჩამწკრივდება ასე: ჯერ ყველაზე დიდი, მერე უფრო პატარა და ამგვარად ბოლომდე, და უკანასკნელი ნაწილადი არის საარჩევნო კოეფიციენტი.

თუ რამდენი წევრი ხვდა თვითეულ საკანდიდატო სიას, ამას ანგარიშობენ ასე: აიღებენ იმ ხმების რიცხვს, რომელიც ამოსვლია განსაზღვრულ საკანდიდატო სიას და გაჰყოფენ საარჩევნო კოეფიციენტზე.

თუ დამფუძნებელი კრების წევრთა ადგილების საკანდიდატო სიათა შორის განაწილების დროს უკანასკნელი ადგილი შეხვდება ორს ან რამდენსამე სიას, იმ შემთხვევაში უმეტესობა ეძლევა იმ სიის კანდიდატს, რომელსაც მეტი ხმა მიუღია. თუ ხმები თანასწორი მიუღიათ, მაშინ საკითხი კენჭის ყრით გადაწყდება.

88. თუ 87-ე მუხლში აღნიშნულ განაწილების დროს რომელსამე საკანდიდატო სიას მასში დასახელებულ კანდიდატთა რიცხვზე მეტი წევრი ჰხვდა, იმ შემთხვევაში შესაფერი ადგილები დამფუძნებელ კრების წევრებისა დაუჭერელი დარჩება.

89. თუ საარჩევნო ოლქში არის ისეთი საკანდიდატო სიები, რომელთა შეერთებისთვისაც შესაფერი განცხადება იყო შეტანილი (მუხ. 51), იმ შემთხვევაში დამფუძნებელ კრების წევრთა რიცხვის განაწილების დროს საკანდიდატო სიებს შორის ყველა ის ხმა, რომელიც მიუციათ ერთსა და იმავე შეერთებაში შესული სიებისთვის, შეერთდება და განაწილება მოხდება ჯერ ამ შეერთებასა და სხვა დანარჩენ სიებს შორის, ისე, როგორც ნაჩვენებია 87-ე მუხლში. ამის შემდეგ დამფუძნებელ კრების წევრთა ის რიცხვი, რომელიც თვითეულ შეერთებას ერგო, განაწილდება ამ შეერთებაში მოქცეულ საკანდიდატო სიებს შორის ზემოხსენებული წესისამებრ. თუ რომელსამე შეერთებულ სიას კანდიდატების რიცხვი შემოაკ-

ლდა, მაშინ დამფუძნებელი კრების წევრთა შესაფერ ადგილს დაიჭერს შეერთების მონაწილე კანდიდატი იმ სიიდან, რომელშიაც საკმარისი კანდიდატთა რიცხვია და რომელსაც ყველაზე მეტი ხმა მიუღია.

90. თვითეულ სიაში შეტანილი კანდიდატი დამფუძნებელ კრების წევრთა რიცხვში შედის იმ რიგით, როგორც შეტანილია სიაში, დაწყებული პირველი კანდიდატიდან.

თავი 8

დამფუძნებელ კრების წევრობაზე უარის მთქმელთა ადგილების დაჭერის წესი.

91. უკეთუ დამფუძნებელი კრების წევრობაზე ვინმემ უარი განაცხადა, იმ შემთხვევაში მის ადგილს დაიჭერს თანდათანობის წესით შემდეგი კანდიდატი იმ სიიდან, საიდანაც არჩეული იყო კრების წევრობაზე უარის მთქმელი.

ფკეთუ სიები შეერთებული იყო არჩევნების დროს, მაშინ, თუ ერთ შეერთებულ სიათაგანში კანდიდატი არაა, განთავისუფლებულ ადგილს დაიჭერს კანდიდატი შეერთების იმ მონაწილე სიისა, რომელსაც კანდიდატები ჰყავს და რომელსაც არჩევნებში მეტი ხმა ამოსვლია.

92. თუ რომელსამე სიაში ან ყველა შეერთებულ სიაში აღარაა კანდიდატი დამფუძნებელი კრების წევრობაზე უარის მთქმელის ადგილის დასაჭერად, მაშინ განთავისუფლებული ადგილი დაუჭერელი დარჩება.

თავი 9

არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის დაცვა.

93. ვინც თავის ნებით მოაძრობს, ჩამოხევს, ზემოდან რასმე გადააფარებს ან შესცვლის საჯაროდ გამოფენილ საარჩევნო მოწოდებას, ცნობას ან სიას ამომრჩეველთა იმ ჯგუფებისას, რომელთაც საკანდიდატო სიები წარმოუდგენიათ, დაისჯება დატუსაღებით არა უმეტეს ერთის თვის ვადისა ან დაჯარიმებულ იქნება ფულით არა უმეტეს სამასი მანეთისა.

94. ვინც თავის ნებით შეიჭრება იმ შენობაში, რომელიც არჩევნების წინასწარი აგიტაციისთვისაა აღებული და საკანდიდატო სიის წარმომადგენელი ჯგუფის განკარგულებაშია, ან ფაანადგურებს, ან დააზიანებს არჩევნების წინასწარი აგიტაციისათვის დანიშნულ ლიტერატურას, რომელიც სათანადო ორგანიზაციის განკარგულებაში იმყოფება, ან ვინც დაემუქრება და ან ძალადობით მოქმედებას მიმართავს იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც ამ ორგანიზაციების სახელით მოქმედებენ, დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვდევით არა უმეტეს ექვსი თვის ვადისა.

95. ვინც განზრახ ყალბ ცნობას გამოაქვეყნებს კანდიდატის პიროვნებისა ან მისი პირადი ცხოვრების შესახებ იმ მიზნით, რომ ნდობა დაუკარგოს მას ან მის მიერ წარმოდგენილ ორგანიზაციას, ან გაიყვანოს სხვა კანდიდატი, — დაისჯება ციხეში ჩამწყვდევით ან დაჭერით.

96. ვინც წარმოადგენს ყალბ ან გადაკეთებულ განცხადებას კანდიდატობაზე თანხმობისას, — დაისჯება გამასწორებელ სახლში დამწყვდევით.

ასეთივე სასჯელი მიეცემა იმას, ვინც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარმოადგენს კანდიდატის განცხადებას, რომ ის თანახმაა კენჭი იყაროს დამფუძნებელი კრების წევრობაზე და წარმომდგენმა იცის, რომ ეს განცხადება ყალბია ან გადაკეთებული.

97. ვინც გაავრცელებს ისეთ საკანდიდატო სიებს, ან ისეთ საარჩევნო ბარათებს, რომელთა სიყალბეც კარგად იცოდა, — დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვდევით.

98. ვინც შეეცდება ხელი შეუშალოს საკანდიდატო სიების წარმომდგენთა მიერ მოწვეულ წინასწარ საარჩევნო კრებებს, ან საარჩევნო კომისიების მუშაობას ძალადობითი მოქმედებით, შუქარით, ძალა-უფლების ბოროტად გამოყენებით ან უწესობის ჩადენით, — დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვდევით.

თუ ასეთი მოქმედება ჩადენილია რამდენიმე შეიარაღებულ პირის მიერ, რასაც შედეგად ზემოხსენებულ კრების ან კომისიის მუშაობის შეწყვეტა მოჰყვა, მაშინ დამნაშავე დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით.

99. ეკლესიებსა და ღვთისმსახურების შესასრულებელ

სხვა ადგილებში დამფუძნებელ კრების საარჩევნო აგიტაცია როგორც ქადაგების, ისე სიტყვიერ ან წერილობითი მოწოდების სახით აკრძალულია ყველასათვის. ამის დამრღვევი დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვდევით არა უმეტეს ექვსი თვისა.

100. ვინც პიროვნებაზე ძალადობითა, დასასჯელის (наказуемый) მუქარითა, მოტყუილებით, ძალა-უფლების ბოროტად მოხმარებით, ან ეკონომიურის დამოკიდებულების საშუალებით ხელს შეუშლის საარჩევნო უფლების მქონეს თავისუფლად განახორციელოს ეს უფლება, — დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვდევით.

დაისჯება აგრეთვე ცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

101. ვინც ძალადობის საშუალებით, მუქარით, უწესობის მოხდენით, საარჩევნო სიების ან საარჩევნო ბარათებისა და ყუთების გაფუჭებით, ან საარჩევნო კომისიის წევრებზე ძალადობის ხმარებით ხელს შეუშლის არჩევნების წესიერად წარმოებას საარჩევნო კომისიის შენობაში, — დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით.

102. ვინც უწესოებით, დაშინებით, ან მიმოსვლის საშუალების მოსპობით ხელს შეუშლის ამომრჩეველთა ნაწილს გამოიყენოს საარჩევნო უფლება — დასჯილ იქნება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით არა უმეტეს სამი წლის ვადისა.

დაისჯება აგრეთვე ცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

103. ვინც წინასწარ აგიტაციას გასწევს იმ შენობაში, სადაც არჩევნები სწარმოებს და ან წესიერებას დაარღვევს არჩევნების წარმოების დროს, ან არ დაემორჩილება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებას დასტოვოს საარჩევნო შენობა, — დაისჯება დატუსაღებით.

104. ვინც ამომრჩეველს გადაიბირებს დაპირებით, მისთვის ან მისი ოჯახის წევრისთვის პირადი ან ქონებრივი სარგებლობის მიცემით, რომ უკანასკნელმა არ მიიღოს მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში, — დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვდევით.

დაისჯება აგრეთვე ცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

ასეთივე სასჯელით დაისჯება ამომრჩეველი, რომელსაც მოუთხოვნია ან მიუღია პირადი რამ სარგებლობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულის მიზნით.

105. ვინც გაუმასპინძლდება ამომრჩეველს იმ მიზნით, რომ

დამფუძნებელ კრებაში არჩევნების დროს ხმა შიაცემინოს თავის ან სხვა პირთა სასარგებლოდ, — დაისჯება დატუსაღებით.

106. ვინც იცოდა, რომ მას საარჩევნო ხმა არა აქვს ან უკვე დაჰკარგა და მაინც მისცა ხმა დამფუძნებელ კრების არჩევნებზე, — დაისჯება დატუსაღებით.

ასეთივე სასჯელით დაისჯება, ვინც დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს ერთზედ მეტად მისცემს ხმას, თუნდაც სხვადა-სხვა საარჩევნო უბანში და ან სხვის მაგიერ, თუნდაც მისი თხოვნით.

107. ვინც განზრახ დაამახინჯებს ხმის მიცემის შედეგებს საარჩევნო ბარათების ჩამორთმევისა, დათვლისა ან გამოქვეყნების დროს და ან განზრახ გააფუჭებს, ან მოიტაცებს მიცემულ საარჩევნო ბარათებს, ან საარჩევნო წარმოებას, ან სიყალბით ჩაუმატებს საარჩევნო ბარათებს ან შეცვლის საარჩევნო წარმოებას, — დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით არა უმეტეს სამი წლის ვადისა.

ამ დანაშაულის ჩადენის ცდაც დაისჯება.

108. ვინც კანონის წინააღმდეგ გამოააშკარავებს ხმის მიცემის საიდუმლოებას დამფუძნებელი კრების არჩევნებში, — დაისჯება დატუსაღებით.

109. საარჩევნო კომისიის წევრები ან სხვა თანამდებობის პირი, რომელიც განზრახ დაარღვევს დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებას იმ მიზნით, რომ გავლენა მოახდინოს არჩევნების მსვლელობაზე ამა თუ იმ საკანდიდატო სიის სასარგებლოდ თუ საზიანოდ, თუ ამისთვის უფრო სასტიკი სასჯელი არ მოელის, — დაისჯება დატუსაღებით.

110. სასამართლოს უფლება აქვს, ზემოაღნიშნულ სასჯელთა გარდა, დამნაშავეს მიუსაჯოს:

1) თუ ჩაუდენია მოქმედება, აღნიშნული 94-ე 96-ე, 98-ე, 101-ე, 102-ე, 105-ე, 106-ე და 107-ე მუხლებში, საკანონმდებლო დაწესებულებასა და თვითმმართველობის ორგანოებში საარჩევნო უფლების ჩამორთმევა ხუთ წლის ვადამდე განაჩენის გამოქვეყნებიდან;

2) თუ ჩაუდენია მოქმედება, აღნიშნული 95-ე 101, 105, 106 და 108 მუხლებში, ფულის გადახდევინება არა უმეტეს სამი ათასი მანეთისა;

3) თუ ჩაუდენია მოქმედება, აღნიშნული 94-ე, 97, 98, 101, 105, 106 და 110-ე მუხლებში, და თუ დამნაშავე თანამდებობის პირია, — სამსახურიდან გაძევება.

111. ამ (IX) თავში მოყვანილ დადგენილებას შეეხება 1903 წ. 22 მარტის სისხლის სამართლის დებულების პირველი თავი (კან. კრებ. ტ. XV, გამოც. 1909 წ.).

112. ამ (IX) თავში აღნიშნულ დანაშაულთა გამო საჩივრის აღძვრის უფლება ეკუთვნის თვითეულ მოქალაქეს, ვისაც დამფუძნებელ კრებაში არჩევნების უფლება აქვს. ამ შემთხვევაში მას შეუძლია იჩივლოს ვითარცა დაზარალებულმა.

113. საქმის აღძვრა იმ პირთა წინააღმდეგ, რომელთაც 93-ე 94-ე, მე-100, 104-ე და 109-ე მუხლებში აღნიშნულ მოქმედება ჩაუდენიათ, შეიძლება მხოლოდ სამი თვის განმავლობაში არჩევნების გათავების შემდეგ, ამ (IX) თავში აღნიშნულ დანარჩენი მოქმედების გამო კი ექვსის თვის განმავლობაში.

114. ამ (IX)თავში აღნიშნულ დანაშაულობითი მოქმედების საქმეებს, რომელთათვისაც დადგენილია სატუსაღო, ან უფრო მკაცრი სასჯელი, არჩევს ოლქის სასამართლო ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, დანარჩენ საქმეებს კი — მომრიგებელი მოსამართლე.

თავი 10

დამფუძნებელ კრების არჩევნებზე გაწეული ხარჯები.

115. ამომრჩევლებს არ მიეცემათ გასამრჯელო არც დროს დაკარგვისათვის, არც თავის გამოსაკვებად გაწეული ხარჯისა და არც საგზაო ხარჯის ასანაზღაურებლად.

116. ქალაქებში საარჩევნო სიების შედგენისთვის გაწეულ ხარჯს გაიღებს ქალაქის თვითმმართველობა, სხვაგან — რესპუბლიკის ხაზინა. ქალაქების მიერ ამ საქმისათვის გაწეულ ხარჯებში რესპუბლიკის ხაზინა სამოცდათხუთმეტ პროცენტს გადაიხდის.

117. საარჩევნო კომისიას საქმეთა წარმოების სახარჯოდ ცენტრალურ საარჩევნო კომისიის დადგენილებით მიეცემა ცალკე ფული იმ თანხიდან, რომელიც რესპუბლიკის ხაზინი-

დან პარლამენტის მიერ გადადებული იქნება დამფუძნებელ კრების არჩევნების საწარმოებლად.

118. ყოველ საარჩევნო კომისიის წევრებს გასამრჯელო ეძლევა დღიურის და საგზაო ფულის სახით, როცა ისინი არჩევნების საქმეების გამო გაიგზავნებიან.

ამ (118) მუხ. აღნიშნული დადგენილება არ ვრცელდება იმაზე, ვინც კომისიაში საკანდიდატო სიის წარმომადგენელია.

119. საარჩევნო კომისიისათვის საჭირო შენობის მოსაწყობი, გასათბობი და გასანათებელი ხარჯი დაედება ქალაქად საქალაქო თვითმმართველობას, სოფლად კი რესპუბლიკის ხაზინას.

საქართველოს რესპუბლიკის
დამფუძნებელ კრების ცენტრალური
საარჩევნო კომისია.

დამფუძნებელ კრების
არჩევნები.

აღწერილობის ფურცელი

ამ ფურცელში ფეტანილი უნდა იყოს ოჯახის ყველა წევრი.

	წელიწადი	ერობები	საარჩევნოებმ	ადგილ. ორგ.	ადგილ. ორგ.	ხელმა	სად ფო ბიწერილ 1914 ივლისს 19-ე ძ. ხელ.	შენიშვნა
I. გვარი, სახელი და მამის სახელი ოჯახის უფროსისა.								
II. სახელი და მამის სახელი მეუღლისა *).								
III. სახელები შვილებისა:								
1.								
2.								
3.								
4.								
5.								
6.								
7.								
8.								
9.								
10.								
გვარი, სახელი და მამის სახელი ოჯახის დანარჩენ წევრებისა.								

ა მ წ ე რ ი

* სამოქალაქო ცოლი აღინიშნება მშობლის გვარით.

საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 26 ნოემბრის კანონი.

1. ყოველი ტიპისა და საფეხურის სახაზინო და კერძო, უფლებიან სკოლაში გაუქმდეს საღვთო სჯულის სწავლება და საღვთო სჯულის მასწავლებლის თანამდებობა.

2. ხსენებულ სკოლებში დაიხუროს კრედიტი, რომელიც გახსნილი იყო საღვთო სჯულის მასწავლებელთა ჯამაგირისათვის.

3. შტატს გარეშე დატოვებულ საღვთო სჯულის მასწავლებელთ მიეცეთ ჯილდო, რომელიც დაწესებულია 1918 წლის ივლისის 5-ის კანონით.

4. იმ მშობლებს, რომლებიც მოისურვებენ თავის შვილებს თავის ხარჯით ასწავლონ საღვთო სჯული, დაეთმოთ სკოლის შენობა იმ საათებში, როდესაც ეს ხელს არ შეუშლის სხვა საგნების სწავლებას.

5. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა მთავრობის ორგანო „საქართველოს რესპუბლიკა“-ში.

სამკურნალო მადნეულ აბანოებისა, წყლებისა და ტალახების სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადებისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 29 ნოემბრის კანონი.

1. ყველა საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო, მადნეული აბანოები, წყაროები, ტალახები და მათ გარშემო მდებარე კურორტის მოსაწყობად საჭირო ადგილები შეადგენს სახელმწიფოს საკუთრებას.

2. ხსენებულ აბანოებისა, წყაროებისა და ტალახების საზოგადოებრივი მნიშვნელობის განსაზღვრა მიენდოს მიწათმოქმედების მინისტრს საექიმო უწყებასთან შეთანხმებით.

3. მიწათმოქმედების მინისტრს მიენდოს აგრეთვე ა) მიღება სახელმწიფო კუთვნილებად ჩამორთმეული მადნეული

აბანოების, წყლებისა, ტალახებისა და მათ გარშემო მდებარე ადგილებისა და ბ) განსაზღვრა იმ სასყიდლისა, რომელიც უნდა მიეცეს აბანოების, ტალახებისა და მის გარშემო მდებარე ადგილების პატრონებს შენობების, ადგილებისა და მათ მიერ გაკეთებული მოწყობილობის საფასურად, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, მოქმედი ნორმების მიუხედავად.

4. კურორტების მოვლა-პატრონობა მიენდოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს საექიმო უწყებასთან შეთანხმებით.

5. ყოველივე ხელშეკრულება, რომლითაც იჯარით გაცემული აღმოჩნდება საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო მადნეული აბანოები, წყლები, ტალახები და მათ გარშემო მდებარე ადგილები, გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

6. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა საქართველოს პარლამენტის მიერ.

ერობათათვის დახმარებისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 3 დეკემბრის კანონი.

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ოთხი მილიონი (4.000.000) მანეთი საერობო რეფორმის საჭირო ხარჯის გასაწევად.

2. მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება ამ თანხიდან ხუთასი ათასი (500.000) მან. გადასცეს დაუბრუნებელ დახმარების სახით სამაზრო საერობო გამგეობას თვითმმართველობის საორგანიზაციო ხარჯისათვის.

3. მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება დანარჩენი სამი მილიონი ხუთას ათასი (3.500.000) მან. გადასცეს სესხად ერთი წლის განმავლობაში სამაზრო საერობო თვითმმართველობათ საჭიროებისდა მიხედვით ხუთის წლის ვადით, 5% გადახდით წლიურად და 12% პენის გადახდით ვადაგადაცილებული თანხისათვის.

4. მესამე მუხლში აღნიშნული ვალის გადახდისათვის საჭირო თანხა საერობო თვითმმართველობათა ხარჯთაღრიცხვაში შეტანილ უნდა იქნეს 1920 წ. იანვრიდან.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის შესახებ[1]

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 6 დეკემბრის კანონი.

აწინდელ სათანადო კანონთა გასაუქმებლად, შესაცვლელად და დასამტკიცებლად დაწესდეს შემდეგი:

I. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული:

1. დებულება სახელმწიფო კონტროლისა და მისი უწყების საგანთათვის ამ დებულების 34-ე მუხლის დამატებითურთ.

2. რევიზიის წესდება და

3. სახელმწიფო კონტროლის დროებითი შტატი მისთვის ხაზინიდან წლიურად 2.216.700 მანეთის გაცემით და მისი შემოღებით ამა 1918 წლის აგვისტოს პირველიდან.

II. დაევალოს სახელმწიფო კონტროლიორს კონტროლის დებულებითა და რევიზიის წესდების დამყარებული წინასწარი და ფაქტიური კონტროლი განახორციელოს ერთის წლის განმავლობაში.

III. გაუქმდეს საქართველოს ტერიტორიაზედ მოქმედი საკონტროლო დაწესებულებანი: ტფილისის საკონტროლო პალატა და ამიერკავკასიის რკინის გზათა კონტროლი.

IV. ზემოხსენებულ დაწესებულებათა (მუხ. III ამა კან.) მოხელენი დატოვებულ იქმნენ შტატს გარეშე, საერთო კანონის საფუძვლით, თუ ისინი ხელახლად ჩარიცხულ არ იქნებიან ახლად დაწესებულ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლში.

V. მოისპოს გაუქმებულ დაწესებულებათა (მუხ. III ამ კან.) კრედიტი ამა 1918 წლის აგვისტოს პირველიდან.

VI. შედგენა ანგარიშისა სახელმწიფოს საერთო ხარჯთაღრიცხვის აღსრულებისათვის ხარჯთაღრიცხვის ხნის განმავლობაში და მისი განმარტებითი წერილის და დამატებისა და მათი წარდგენა საკანონმდებლო დაწესებულებაში: ანგარიშის — არა უგვიანეს ოქტომბრის 1-სა და განმარტებითი წერილის და დამატების — არა უგვიანეს ნოემბრის 1-სა დაევალოს ფინანსთა მინისტრს.

---

[1] იხ. გვ. 15.

დებულება

სახელმწიფო კონტროლისა და მისი უწყების საგანთათვის[1]

მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 6 დეკემბერს

განყოფილება პირველი

სახელმწიფო კონტროლის უწყების საგანთათვის.

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლი ორგანოა სახალხო წარმომადგენლობისა და სახელმწიფო მმართველობის ცალკე ნაწილს შეადგენს.

2. სახელმწიფო კონტროლი: a) ამოწმებს, საკანონმდებლო დაწესებულებაში წარდგენამდე, a) სამინისტროთა საფინანსო ხარჯთაღრიცხვას, b) ფინანსთა მინისტრის მიერ შედგენილ სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას და საერთო ანგარიშს ამ აღრიცხვის ასრულების შესახებ და c) ხარჯთაღრიცხვის ზედმეტად ფულის გადადების მოთხოვნილებას; b) განიხილავს, რამდენად წესიერია აღმასრულებელი ძალის მოქმედება შესახებ სახელმწიფო გადასახადისა და სხვა შემოსავლის აკრეფისა და მათი ნამდვილ დახარჯვისა საკანონმდებლო დაწესებულების მიერ დანიშნულ საჭიროებათათვის; g) თვალყურს ადევნებს, რომ აღმასრულებელი ძალა არ ასცდეს იმ გეგმას, რომელიც მას ნაჩვენები აქვს სამოქმედოდ; d) იძლევა დასკვნას, თუ რამდენად სასარგებლოა და მიზანშეწონილი აღმასრულებელ ძალის მიერ განზრახული სამეურნეო მოქმედებანი, მეთვალყურეობას უწევს, ხელმძღვანელობს თუ არა იგი საზოგადოდ საერო ქონების ხარჯვის საქმეში კანონითა და დამზოგველობით; e) ამოწმებს ანგარიშის წარმოებას და დაწესებულ ანგარიშებს ფულად და ნივთიერ თანხების მოძრაობისას, რომელ თანხებსაც განაგებენ მის წინაშე ანგარიშვალდებული დაწესებულებანი; z) ადგილობრივ ამოწმებს როგორც სახაზინო რკინის გზების, ისე საერთოდ

[1] იხ. გვ. 122.

ყველა სახელმწიფოს ყოველი წარმოებისა და დაწესებულების ფულადსა და ნივთიერ თანხებს, ნაგებ-ნაშენსა, შენობებსა და სხვა ოპერაციებს და აგრეთვე შემოსავალსა და ხარჯებს; ზ) თვალყურს ადევნებს, რომ წესიერად სწარმოებდეს კრედიტების განაწილება და გატარება კასებსა და ხარჯთაღრიცხვათა დაკმაყოფილებაში; ᲗᲘ) თვალყურს ადევნებს, რომ ყველა მის მიერ შესამოწმებელ თანხების აღნიშვნა ხარჯთაღრიცხვის დაყოფილობაში წესიერად და მიზანშეწონილად ხდებოდეს და თ) იძიებს საშუალებას ანგარიშის წარმოებისა და შედგენის წესის და ფორმის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე შემოაქვს ამ საქმეში წესრიგი, რომლისათვისაც კანონმდებლობითი ნებართვა საჭირო არ არის, და მის ასრულებას ავალებს ანგარიშვალდებულ დაწესებულებას.

3. სახელმწიფო კონტროლის მიერ ზემოდ დასახელებულ (მუხ. მე-2) მოვალეობათა ასასრულებლად დაწესებულია წინასწარი, შემდგომი და ფაქტიური რევიზია.

4. ფარგალი და წესი მე-3-ე მუხლში აღნიშნულ რევიზიისა და სახელმწიფო კონტროლის მეთვალყურეობისა, რათა მის წინაშე ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა განკარგულებითი და აღსრულებითი მოქმედება იყოს კანონიერი, წესიერი და ეკონომიური და რათა დაცულ იყოს ფულადი და ნივთიერი თანხები, — განისაზღვრება რევიზიის წესდებითა და იმ დადგენილებით, რომელთა მიხედვით უნდა სწარმოებდეს კონტროლის წინაშე ანგარიშგასაწევი მოქმედება.

5. რევიზიით მოპოვებულ მასალისა და მოსაზრების მიხედვით სახელმწიფო კონტროლიორი წარუდგენს საკანონმდებლო დაწესებულებას დეკემბრის 15-ისათვის ყოველწლიურ სარევიზიო მოხსენებას კონტროლის დასკვნითურთ: ა) საერთო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის ასრულებისათვის გასულ სახარჯთაღრიცხვო ხანაში; ბ) აღმასრულებელ ძალის წესიერ ანუ უწესო მოქმედების შესახებ, იმ ცნობების აღნიშვნით, თუ რა შედეგი ჰქონდა მოხდენილს რევიზიას, რა უწესო მოქმედება აღმოჩნდა რევიზიის დროს, რა და რა ანგარიშდანაკლისი და საურავი დაედო, რა და რა სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და გ) თვით სახელმწიფო კონტროლის უწყების მოქმედებისათვის საანგარიშო ხანაში. ამ მოხსენებაშივე უნდა იქნეს დახასიათება უმთავრეს სამეურნეო მოქმე-

დებათა და გამოთქმული მოსაზრებანი საბეგრო სისტემის მოქმედების ავკარგიანობისა და აგრეთვე გადასახადისა, ბაჟისა და სხვა სახის სახელმწიფო შემოსავლის გადახდევინების წესრიგის შესახებ.

6. სახელმწიფო კონტროლი წარუდგენს საკანონმდებლო დაწესებულებას, მისის მოთხოვნილებისამებრ, ყველა საჭირო საბუთის ქაღალდებსა და ცნობებს.

განყოფილება მეორე

სახელმწიფო კონტროლის შედგენილობისათვის.

7. სახელმწიფო კონტროლს შეადგენს: ა) სახელმწიფო კონტროლიორი, ბ) სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი, გ) სახელმწიფო კონტროლის საქმეთა დირექტორი, დ) სექციათა გამგენი, ე) უფროსი რევიზორები, რევიზორები, რევიზორის თანაშემწენი და მოანგარიშე მოხელენი და ვ) საკანცელარიო ნაწილის მოხელენი: მდივანი, უფროსი საქმის მწარმოებელი, საქმის მწარმოებელნი, რეგისტრატორი, მისი თანაშემწენი და არქივარიუსი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ანგარიშთა რევიზიის განაწილების გასაადვილებლად სახელმწიფო კონტროლის დაწესებულება განიყოფება სექციებად, ხოლო სექციები ცალ-ცალკე განყოფილებად სახელმწიფო კონტროლიორის მიხედულობით.

8. სახელმწიფო კონტროლის გამგებლობა და მისი მოქმედების წესიერებისა და წარმატების მეთვალყურეობა მინდობილი აქვს, მინისტრის უფლებით, სახელმწიფო კონტროლიორს, რომელსაც საკანონმდებლო დაწესებულება აირჩევს და აგრეთვე დაითხოვს სამსახურიდან. სახელმწიფო კონტროლიორი არ შედის მინისტრთა კაბინეტში და პასუხისმგებელია მარტო საკანონმდებლო დაწესებულების წინაშე. სახელმწიფო კონტროლიორი მინისტრის უფლებით მონაწილეობს საკანონმდებლო დაწესებულების სხდომაში სახელმწიფო კონტროლის უწყების საქმეთა და საკითხთა განხილვის დროს.

9. სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგს დანიშნავს საკანონმდებლო დაწესებულება სახელმწიფო კონტროლიორის წარდგენით და იგივე დაითხოვს მას სამსახურიდან. სახელმწიფო კონტროლიორის სხვაგან ყოფნის, ანუ ავადმყოფობის დროს იმის თანამდებობას ასრულებს მისი ამხანაგი.

10. სახელმწიფო კონტროლის დანარჩენ მოხელეებს ირჩევს, თანამდებობაზედ დანიშნავს და სამსახურიდან დაითხოვს სახელმწიფო კონტროლიორი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამ მუხლში აღნიშნულ მოხელეთა დათხოვნის დროს სახელმწიფო კონტროლიორი მოითხოვს ყოველ ცალკე შემთხვევაში საერთო საკრებულოს დასკვნას, რომლის შეწყნარება დამოკიდებულია სახელმწიფო კონტროლიორზე.

11. სახელმწიფო კონტროლის საქმეთა დირექტორს დაევალება მახლობელი ხელმძღვანელობა სექციებისა სარევიზიო მუშაობაში მათი საქმიანობის გაერთიანებულად წარსამართავად და სექციათა საკრებულოებში თავმჯდომარეობა. მისისავე მეთვალყურეობით უნდა გადაეცეს განსახილველად საქმეები საერთო და კერძო საკრებულოებს და იგივეა მეთვალყურე კანცელარიის საქმეთა წარმოებისა, მათ შორის სახელმწიფო კონტროლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვისა და საერთო სარევიზიო მოხსენების (მუხ. მე-5) შედგენისა, რომელიც საკანონმდებლო დაწესებულებას უნდა წარედგინოს და ყოველი სხვა საქმისა, რომელსაც სახელმწიფო კონტროლიორი მიანდობს.

12. სექციათა გამგენი, რომელნიც არიან მახლობელნი მმართველნი სექციებისა, თვალყურს ადევნებენ განყოფილებათა საქმის წარმოების მსვლელობას და ამოწმებენ რევიზიის წესიერად წარმოებას.

13. უფროსი რევიზორები, — რევიზორებისა, რევიზორის თანაშემწეებისა და მოანგარიშე მოხელეთა დახმარებით, — აწარმოებენ რევიზიას. ამათსავე მოვალეობას შეადგენს განყოფილებათა მოხსენებისა და ანგარიშების შედგენა.

14. სამსახურის უფლებანი და მოვალეობანი რევიზორებისა, რევიზორის თანაშემწეებისა და სხვა სახელმწიფო კონ-

ტროლის სამსახურში მყოფ პირთა განისაზღვრება სახელმწ-
ფო კონტროლიორის ინსტრუქციით კანონის ფარგალში.

15. სახელმწიფო კონტროლის მოხელეთა სამსახურში ბო-
როტმოქმედების ჩადენისათვის პასუხისგებაში მიცემის გამო-
აღმასრულებელ ძალის დაწესებულებათა და პირთ არ შეუძ-
ლიათ თავისით რაიმე განკარგულება მოახდინონ; ხოლო თუ
რაიმე ბოროტმოქმედება შეამჩნიეს ამ მოხელეთ, ეს ამბავი
სახელმწიფო კონტროლიორს და სათანადო სასამართლოს და-
წესებულებას უნდა აცნობონ.

16. თითოეული შემთხვევა სასამართლო ორგანოს მიერ
სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა სახელმწიფო კონტრო-
ლის მოხელეთა წინააღმდეგ სამსახურში ბოროტმოქმედების
ჩადენისათვის სახელმწიფო კონტროლიორს უნდა ეუწყოს.

საქმე კონტროლის მოხელის სამართალში მიცემისა სამსა-
ხურში ჩადენილ დანაშაულისათვის პროკურორს სამართალში
მიცემის კამერაში შეაქვს სახელმწიფო კონტროლის საერთო
საკრებულოს (მუხ. მე-17) დასკვნითურთ, რომელსაც იგი წი-
ნასწარ გამოითხოვს.

განყოფილება მესამე

სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოსათვის.

17. სახელმწიფო კონტროლის შედგენილობაში სახელმწი-
ფო კონტროლიორის თავმჯდომარეობით შესდგება საერთო
საკრებულო, რომელშიაც შედიან: სახელმწიფო კონტროლიო-
რის ამხანაგი, საქმეთა დირექტორი და სექციათა გამგენი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. უფროსი რევიზორები მონაწილეო-
ბას მიიღებენ საერთო საკრებულოს სხდომებში, რო-
გორც მომხსენებელნი, სათათბირო ხმის უფლებით
(მე-13 მუხ.).

18. საერთო საკრებულოს უფლება აქვს თავის სხდომა-
ზედ მიიწვიოს სამინისტროებისა და მთავარმმართველობათა
მოხელენი და აგრეთვე კერძო მცოდნე პირნი იმ საქმეთა და
საგანთა გამოსარკვევად, რომელთაც რაიმე ტექნიკური ან გან-
საკუთრებული ხასიათი აქვთ.

19. თუ სახელმწიფო კონტროლიორს ავადმყოფობისა ან სხვაგან ყოფნის გამო, ანუ რაიმე სხვა მიზეზით არ შეუძლია საკრებულოში თავმჯდომარეობა, თავმჯდომარის მოვალეობას აასრულებს სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი.

20. საერთო საკრებულოს გარდა, შეიძლება დაწესებულ იქნეს, საერთო საკრებულოს უფლებით, თითოეულის სექციის კერძო საკრებულო, საქმეთა დირექტორის თავმჯდომარეობით. ამ კერძო საკრებულოს წევრებად ითვლებიან სექციის გამგენი და უფროსი რევიზორები ხმის უფლებით, თუ უკანასკნელნი გასარჩევ საქმის მომხსენებელნი არ არიან (შენიშ. მე-17 მუხ.); ასეთი საკრებულო მოწვეულ იქნება მცირე-მნიშვნელოვან საქმეთა განსახილველად, სახელმწიფო კონტროლიორის განკარგულებით.

21. საერთო საკრებულოს უფლებანი და მოვალეობანი რევიზიის წესდებით განისაზღვრება. გარდა ამისა, საერთო საკრებულოს უფლება აქვს: ა) გააუქმოს გადახდა ანგარიშდანაკლისისა, რა ჯამისაც უნდა იყოს იგი, უკეთუ მისი ძიება მოსპობილ უნდა იქნეს ხანგრძლიობის კანონთა ძალით; ბ) განმარტოს, მოქმედ კანონთა მიხედვით, ყოველი სარევიზიო საკითხი, წარმომდგარი იმ სიძნელის გამო, რომელიც აღმოჩნდება თითოეულ კერძო შემთხვევაში ანგარიშთა რევიზიის დადგენილ წესრიგის ხმარების დროს; გ) განიხილოს მოსაზრებანი ახალ კანონთა გამოცემისა ანუ ძველის შეცვლისა და დამატებისათვის, როგორც საანგარიშო ნაწილის, ისე რევიზიის მიერ შემჩნეულ სხვა შემთხვევებისათვის; დ) სახელმწიფო კონტროლიორის წინადადებით განსაჯოს ყოველგვარი საქმე, რომლის გამოც კონტროლის დასკვნაა საჭირო, ანუ რომელსაც სახელმწიფო კონტროლიორი დაინახავს საჭიროდ გადასცეს საერთო საკრებულოს მისდა განსახილველად და გადასაწყვეტად; ე) განიხილოს რევიზიის დროს აღძრული ცალკე საკითხები, რომელთათვისაც საჭიროა განსაკუთებული გადაწყვეტილება ანუ განკარგულება და აგრეთვე მოსაზრებანი იმ სამეურნეო ოპერაციების შეცვლისათვის, რომელიც საზარალო აღმოჩნდა, თუ ამ ცვლილების შემოღებით კარგი შედეგია მოსალოდნელი მომავალ სამეურნეო მოქმედებისათვის, და ვ) განიხილოს სახელმწიფო კონტროლის საერთო სარევი-

ხიო მოხსენება, ვიდრე იგი საკანონმდებლო დაწესებულებას წარედგინებოდეს (მუხ. მე-5).

22. სახელმწიფო კონტროლიორი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეცვლის საკუთარი უფლებით საერთო საკრებულოს დასკვნასა და გადაწყვეტილებას.

შენიშვნა. სახელმწიფო კონტროლიორს უფლება აქვს საქმე საკანონმდებლო დაწესებულებაში გადაიტანოს, როდესაც არ ეთანხმება საერთო საკრებულოს დასკვნა-გადაწყვეტილებას.

23. თუ შენიშნული შეცდომანი, საქმეთა მიმდინარეობის დაყოვნება და უწესრიგობა კონტროლის სექციათა უმოქმედობის ბრალია, ამით ხაზინას ზარალი მოსდის და არსებითად საჭიროა, რომ შეიცვალოს დადგენილი წესი საქმეთა წარმოების და მიმდინარეობისა და ანგარიშთა რევიზიისა, ანუ, თუ დანაშაულის მიხედვით, დამნაშავენი უნდა მიცემულ იქნენ სამართალში — ყოველ ასეთ შემთხვევას სახელმწიფო კონტროლიორი გადასცემს საერთო საკრებულოს მისდა განსახილველად და აზრის დასასკვნელად.

24. უკეთუ სახელმწიფო კონტროლიორის მიერ საერთო საკრებულოს განსახილველად გადაცემული საგანი სახელმწიფო კონტროლის საქმეებში არ მოიპოვება, დაწვრილებით და ნათლად უნდა იყოს გამოთქმული სახელმწიფო კონტროლიორის წერილობითს წინადადებაში მნიშვნელობა შემთხვევისა, რომელმაც კონტროლიორის შენიშვნა გამოიწვია, საჭირო განმარტებანი დაწესებულებათა და პირთა და თვით მიზანი წინადადებისა. ხოლო ისეთი საგნები, რომელიც სახელმწიფო კონტროლის საქმეებში მოიპოვება, საკრებულოს შეიძლება გადაეცეს განსახილველად ასეთ წინადადების წარუდგენლად.

25. სახელმწიფო კონტროლიორი თავის წინადადებაში საკრებულოს მიმართ საკუთარ დასკვნას არ გამოსთქვამს; თავის დასკვნას იგი გამოთქვამს როგორც თავმჯდომარე, სიტყვიერად საქმის განხილვის დროს.

26. საკრებულოს სხდომაზედ ზოგიერთ წევრთა დაუსწრებლობა ვერ შეაჩერებს საქმეთა მსვლელობას და გადაწყვეტილება უნდა დადგენილ იქნეს სხდომაზედ დამსწრე წევრთა

მიერ, რომელთა რიცხვი კანონიერი სხდომის შესადგენად, თავმჯდომარის გარდა, სამზედ ნაკლები არ უნდა იყოს.

27. საკრებულოს ყოველ წევრს უფლება ეძლევა წინასწარ განიხილოს მოსასმენად მომზადებული საქმეები, რომელთა განხილვასაც, საკრებულოში საბოლოოდ განბჭობამდე, საჭიროდ მიიჩნევს, ხოლო ამ განხილვამ არ უნდა დააყოვნოს ვადა, რომელიც სახელმწიფო კონტროლიორის მიერ არის დანიშნული იმ საქმეთა საკრებულოში მოსასმენად.

28. საერთო საკრებულოში ყოველი საქმე ხმის უმეტესობით უნდა გადაწყდეს. თუ ხმათა რიცხვი თანაბარია, მიღებულად ჩაითვლება ის აზრი, რომელსაც თავმჯდომარე მიემხრო.

29. თუ ვინმე წევრთაგანმა, შემდეგ საქმის მოსმენისა, მოისურვა თავის სიტყვიერ დასკვნის გარდა, უფრო დაწვრილებით განმარტოს თავისი შეხედულება ცალკე აზრით, ამისი უფლება აქვს, მხოლოდ თავისი ცალკე აზრი ვალდებულია წარადგინოს არა უგვიანეს საკრებულოს შემდეგი პირველი სხდომისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. იმ საქმეებთან ერთად, რომელთა გადაწყვეტა საერთო საკრებულოს უფლებას აღემატება და რომელნიც, თვისების კვალობაზედ, ჯეროვანს დაწესებულებას უნდა წარედგინოს საკრებულოს დასკვნითურთ განსახილველად და გადასაწყვეტად, წევრთა მიერ შეტანილი ცალკე აზრიც უნდა გაიგზავნოს.

30. სახელმწიფო კონტროლიორს კუთვნილებისამებრ საკანონმდებლო დაწესებულებაში შეაქვს სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს ის დასკვნები, რომელთა აღსრულებაში მოყვანა არ შეიძლება მისის საკუთარის უფლებით, აგრეთვე ის საქმენი, რომელთა გადაწყვეტა უმაღლეს დაწესებულებას ექვემდებარება, როგორც, მაგალითად, საქმენი საფინანსო-სამეურნეო ნაწილისა, ანგარიშისა და ანგარიშის წარმოების კანონთა შეცვლისა და შევსებისა, ხაზინის ხარჯზედ ზარალის მიღებისა, როცა იგი აღემატება იმ ჯამს, რომლის დამტკიცებაც კონტროლს შეუძლიან, და სხვა ამგვარები.

31. სახელმწიფო კონტროლის შესახებ დადგენილებანი საკანონმდებლო ან სასამართლო დაწესებულებისა (რევიზიის წესდების 89-ე, 91-ე, 93-ე მუხ.) სახელმწიფო კონტროლიორმა უნდა გამოუცხადოს ცნობად საერთო საკრებულოს პირველსავე სხდომაზედ, რაც მოკლედ უნდა აღნიშნულ იქნეს სხდომის ჟურნალში.

განყოფილება მეოთხე

სახელმწიფო კონტროლის კანცელარიისათვის.

32. სახელმწიფო კონტროლის კანცელარიას შეადგენს: მდივანი, უფროსი საქმისმწარმოებელი, საქმისმწარმოებელნი, გადამწერნი, რეგისტრატურა და არქივი. კანცელარიას თვალყურს ადევნებს სახელმწიფო კონტროლის საქმეთა დირექტორი.

33. სახელმწიფო კონტროლის კანცელარიის წარმოებაშია: ა) სახელმწიფო კონტროლიორის მართვა-გამგეობის ყოველი საქმე და განკარგულება; ბ) სახელმწიფო კონტროლის საერთო და კერძო საკრებულოთა საქმისწარმოება; გ) სახელმწიფო კონტროლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვის შედგენა; დ) სახელმწიფო კონტროლისათვის გადადებულ კრედიტების გამგებლობა; ე) საქმენი სახელმწიფო კონტროლიორის მეთვალყურეობისა ყველა სექციის სარევიზიო საქმეთა მიმდინარეობის გამო და ამის თაობაზე ხან-გამოშვებით მოხსენებათა წარდგენა სახელმწიფო კონტროლიორისათვის და ვ) სახელმწიფო კონტროლის წლიურ საერთო მოხსენების შედგენა (მე-5 მუხ.).

34. სახელმწიფო კონტროლის არქივის გამგებლობა განსაკუთრებულ ინსტრუქციის თანახმად სწარმოებს. კონტროლის მიერ განხილულ-შემოწმებული ანგარიშები და სახელმწიფო კონტროლის საქმეები უნდა დაცულ და მოსპობილ იქნას ამასთანავე დართულ წესების თანახმად (I—III).

დამატება

სახელმწიფო კონტროლისა და მისის უწყების საგანთა დებულების 34-ე მუხლისა[1]

მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 6 დეკემბერს

I. წესი სახელმწიფო კონტროლის მიერ შემოწმებულ ანგარიშთა დაცვისა და მოსპობისათვის.

ანგარიშთა დაცვის ვადა.

1. სახელმწიფო კონტროლის მიერ შემოწმებული ანგარიშები სამ რიგად განაწილდება. პირველი რიგის ანგარიშები სამუდამოდ უნდა იყოს დაცული, მეორე რიგისა — ვადამდე უნდა ინახებოდეს და მესამისა — უნდა მოისპოს როდესაც საჭირო აღარ იქნება.

2. სახელმწიფო კონტროლიორი, სათანადო მინისტრებთან შეთანხმებით, დაადგენს, თუ რომელ რიგს უნდა მიეკუთვნოს თითოეულ სახის ანგარიში, ან მისი ნაწილი.

3. ანგარიშების რიგრიგად დანაწილებას საფუძვლად დაედება შემდეგი: 1) სამუდამოდ დაცული უნდა იყოს, რასაც საზოგადო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს ან რაც მეცნიერებისათვის არის გამოსაყენებელი; 2) ვადამდე შენახული უნდა იყოს, რასაც მნიშვნელობა აქვს სარევიზიო ხანგრძლიობისათვის და გამოდგება ცნობისათვის; 3) მოსპობილ უნდა იქნეს, რაც რომ აღარაფრისთვის საჭირო არაა.

4. ანგარიშთა რევიზიის დასრულებისას საერთო საკრებულო დაემყარება სახელმწიფო კონტროლიორის სათანადო უწყებებთან შეთანხმებას (მე-2 მუხ. ამ დამატ.) და დაადგენს, თუ რომელ რიგს მიეკუთვნება რევიზიადასრულებული ანგარიშები.

5. ყველა რევიზიით შეუმოწმებელი და მესამე რიგის რე-

---

[1] იხ. გვ. 113.

• სახელმწიფო კონტროლის შტატები კრებულში არ იბეჭდება.

ვიზიადასრულებული ანგარიშები მათს მოსპობამდე იმ პირთა გამგებლობაშია, რომელთაც რევიზიის წარმოება აქვთ მინდობილი, ხოლო რევიზიადასრულებული პირველისა და მეორე რიგის ანგარიშები არქივში უნდა გადაცემულ იქნეს დასაცავად.

6. მეორე რიგის რევიზიადასრულებული ანგარიშების დასაცავად, სადაც უნდა ინახებოდეს, ათი წლის ვადაა დადგენილი.

ამ ვადის გახანგრძლივება შეიძლება სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს დადგენილებით რომელისამე ცალკე სახის ანგარიშისა, ან მისი ნაწილისათვის, უკეთუ რევიზიისათვის საჭიროდ იქნება მიჩნეული.

7. მეორე რიგის ანგარიშთა დაცვის ვადა აღირიცხება დღიდან კონტროლის საერთო საკრებულოს მიერ რევიზიის დასრულებისა.

ანგარიშებიდან ცნობის მიცემა სახელმწიფო კონტროლის მიერ.

8. სახელმწიფო კონტროლი იძლევა ცნობას თავის განკარგულებაში მყოფი ანგარიშებისას, როგორც რევიზიადასრულებულის, ისე რევიზიით შეუმოწმებელისა და პირებს ანგარიშებისა და საბუთის ქაღალდებისას, აგრეთვე ნებას დართავს ამ ანგარიშებისა და საბუთებიდან პირადად ცნობის ამოღებისათვის, შემდეგის წესების დაცვით: 1) მიღება ცნობისა ისეთი ანგარიშებიდან, რომელიც საიდუმლოებას შეადგენს, შეუძლიათ წერილობითი მოთხოვნილებით იმ დაწესებულებათა და პირთ, რომელთაც ის ანგარიშები წარუდგენიათ სარევიზიოდ, ანუ ამ დაწესებულებათა და პირთა უფროსებს; 2) იმ ანგარიშთაგან, რომელიც საიდუმლოს არ შეიცავს, ცნობა მიეცემა, წერილობითის და. პირადის მოთხოვნილებისამებრ, მთავრობის დაწესებულებათა და მოხელეებს; 3) ტფილისში მყოფნი მთავრობის დაწესებულებანი და მოხელენი ისეთ ანგარიშებში მოქცეული ცნობის მისაღებად, რომელიც საიდუმლოს არას შეიცავს, კონტროლს მიჰმართავენ პირადად, საგანგებოდ ამისათვის გაგზავნილ მოხელეთა საშუალებით და მხო-

ლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ამ გზით საჭირო ცნობის მიღება შეუძლებელია, კონტროლს წერილობით მიჰმართავენ; 4) არავის არა აქვს ნება მოსთხოვოს სახელმწიფო კონტროლს ცნობის სახით ისეთი რთული ამონაწერები და სტატისტიკურ ცნობათა თავმოყრილობა, რომლის შედგენასაც კონტროლის მხრით განსაკუთრებული დამოუკიდებელი შრომა დასჭირდება.

სახელმწიფო კონტროლიდგან ანგარიშების დაბრუნება.

9. რევიზიით შეუმოწმებელი ანგარიშები სახელმწიფო კონტროლიდგან შეიძლება მიეცეს მხოლოდ მისი საკრებულოს დადგენილებით შემდეგის საჭიროებისათვის: 1) სასამართლოს დაწესებულებას — გამოძიების საწარმოებლად ან სასამართლოში საქმის გასარჩევად; 2) ანგარიშის წარმდგენ დაწესებულებას და მოხელეთა უფროსებს — ამ დაწესებულებათა და მოხელეთა მოქმედების შესამოწმებლად ადმინისტრაციულის წესით; 3) დანარჩენ მთავრობის დაწესებულებასა და მოხელეებს — იმ ანგარიშებისა და საბუთის ქაღალდების თავის მხრივ სათანადო დაწესებულებაში წარსადგენად ხაზინის ქონებრივი უფლების დასასაბუთებლად. საჭიროების შემდეგ ყოველივე კონტროლიდგან მოთხოვნილი ანგარიშები და საბუთის ქაღალდები უკანვე უნდა დაბრუნებულ იქნეს.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამ (მე-9) მუხლის წესს არ ექვემდებარება მხოლოდ ფოსტის ანგარიში, რომლის განხილვაც გარეშე დაწესებულებას და პირთ შეუძლიანთ მხოლოდ საფოსტო დაწესებულებათა საშუალებით.

10. რევიზიადასრულებული ანგარიშები პირველი რიგისა შეიძლება გადაეცეს მთავრობასა და სამეცნიერო დაწესებულებას დროებით სარგებლობისათვის, ან მუდმივ დასაცავად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის ნებას დაჰრთავს სახელმწიფო კონტროლიორი.

11. რევიზიადასრულებული ანგარიშები მეორე რიგისა შეიძლება დაუბრუნდეს მის წარმდგენელ დაწესებულებას დროებით სარგებლობისათვის ან შესანახავად.

12. ანგარიშებისა გადაცემის დროს კონტროლი თავის გან-

კარგულებაში დაიტოვებს იმ ანგარიშის ბარათებსა და ყოველგვარ საბუთის ქაღალდს, რომელსაც მნიშვნელობა ექნება შემდგომი დროის ანგარიშთა განხილვისათვის.

გამოუდებარი ანგარიშების მოსპობა.

13. ყოველ წლის დამლევს იმ პირთ, რომელთაც დაცული აქვთ რევიზიადასრულებული ანგარიშები, მცირე აღწერა უნდა შეადგინონ მოსასპობ ანგარიშებისა და საერთო საკრებულოს წარუდგინონ განსახილველად და დასკვნის დასადგენად.

14. საერთო საკრებულო, დარწმუნდება რა ამ აღწერათა განხილვით, რომ აღწერაში აღნიშნულ ანგარიშებს მართლაც აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს, და რომ იმათი შენახვის ვადა გასულია, ნებას დართავს მათის მოსპობისას.

15. სახელმწიფო კონტროლიორმა უნდა გადასწვიტოს, რა საშუალებით მოისპოს ანგარიშები — გაყიდვით, თუ დაწვით. ის ანგარიში, რომელიც საიდუმლოებას შეიცავს, უსათუოდ უნდა დაიწვას.

16. ვიდრე გაიყიდებოდეს ანგარიშები, ისეთ მდგომარეობაში უნდა იქნეს მოყვანილი და ისეთი სახე უნდა მიეცეს, რომ ანგარიშის ხასიათი და მნიშვნელობა დაეკარგოს.

17. ქაღალდი, რომელიც მოსასპობ ანგარიშისაგან შესდგება, უნდა გაიყიდოს საჯარო ვაჭრობით ან მყიდველებთან კერძო მორიგებით.

18. საჯარო ვაჭრობას და საზოგადოდ ფასს, რა ფასადაც განზრახულია მოსასპობი ანგარიშების ქაღალდის გაყიდვა, რა ჯამისაც უნდა იყოს, სახელმწიფო კონტროლიორი ამტკიცებს.

19. ამა დამატების წინა 13—18 მუხლებში აღნიშნული წესის შესაფერად უნდა მოსპოს ანგარიშები იმ განმკარგულებელი უწყების დაწესებულებამ, რომელსაც სახელმწიფო კონტროლისაგან ანგარიშები აქვს გადაცემული ვადამდე დასაცავად (მუხ. 11).

20. სახელმწიფო კონტროლიორი დაადგენს ამ წესების აღსრულებისათვის საჭირო რიგსა და ფორმებს, აგრეთვე ნიშნებსა ანუ საშუალებას, რომლითაც მოსასპობი ანგარიშები ისეთს მდგომარეობაში იქნება მოყვანილი, რომ თავისი თავისებითი მნიშვნელობა დაეკარგოს, და იგივე გადასწყვეტს, სა-

თანადო უწყებასთან შეთანხმებით, ყოველგვარს გაუგებრობას, რომელიც შესაძლოა მოხდეს ამ წესთა აღსრულების, დროს.

II. წესები სახელმწიფო კონტროლის საქმეთა დაცვისა და ვოსკოგიისათვის.

21. სახელმწიფო კონტროლის საქმეები განიყოფება: 1) თავისის შინაარსით — სარევიზიო და საადმინისტრაციო საქმეებად და 2) დაცვის ვადის მხრით — ორ რიგად.

22. სარევიზიო ეწოდება ისეთ საქმეს, რომელსაც კავშირი აქვს სახელმწიფო კონტროლის მიერ შესამოწმებელ ანგარიშებთან; ხოლო ყოველი დანარჩენი საქმე საადმინისტრაციო საქმედ ითვლება.

23. დაცვის ვადის მიხედვით საქმეთა რიგრიგად განაწილება ნაჩვენებია ნუსხაში (მე—III დამატ.); ის საქმეები, რომელიც ამ ნუსხაში არ არის აღნიშნული, ხსენებულ ნუსხის შესაფერისად უნდა განაწილდეს.

24. პირველი რიგის დასრულებული საქმეები როგორც სარევიზიო, ისე საადმინისტრაციო სამუდამოდ უნდა იყოს დაცული.

25. მეორე რიგის დასრულებული საქმეები ვადამდე უნდა ინახებოდეს, სახელდობრ: 1) სარევიზიო საქმეები — იმ ხნის განმავლობაში, რომელიც დანიშნულია ანგარიშის დასაცავად რევიზიის დამამთავრებელ საერთო საკრებულოს მიერ, და ყოველ შემთხვევაში არანაკლებ ათი წლისა მათი დასრულების დღიდან; 2) საადმინისტრაციო საქმეები — ამ ორი ვადის განმავლობაში დასრულების დღიდან: ა) ათი წლის ან ბ) ხუთი წლის დამლევამდე.

26. დასრულებული საქმეები უნდა ინახებოდეს სამს წელზედ არა უმეტეს დღიდგან დასრულებისა იმ პირთა გამგებლობაში, სათანადო საქმეთა წარმოებას რომ განაგებენ, ხოლო შემდეგ სახელმწიფო კონტროლის არქივში იმ დრომდე, ვიდრე გაუქმების ვადა დადგებოდეს.

27. დასრულებულივე საქმეები უნდა მოისპოს, როდესაც გამოსადეგი აღარ იქნება და დასაცავად დანიშნული ვადა გაუვა; ხოლო რაც შეეხება ამ საქმეთა გაუქმების წესსა და სა-

შუალებას, უნდა შესრულებულ იქნეს სახელმწიფო კონ-ტროლის მიერ შემოწმებულ ანგარიშთა დაცვისა და მოსპობის წესის 13—19 მუხლებში აღნიშნული პირობანი.

III. სახელმწიფო კონტროლის საქმეთა რიგრიგად განაწილების წესსა.

რიგი პირველი

28. სამუდამოდ დასაცავი საქმეები და ქაღალდები შემდეგია:

ა) საკანონმდებლო დაწესებულების განკარგულებანი, რომელიც გამოცხადებულია სახელმწიფო კონტროლისათვის;

ბ) იმავე დაწესებულების მიერ დამტკიცებულნი მოხსენებანი სახელმწიფო კონტროლიორისა;

გ) საკანონმდებლო დაწესებულების განსახილველად წარდგენილი საქმეები;

დ) პირველი რიგის ანგარიშთა რევიზიისა და რევიზიის დასკვნის გამო შემდგარი საქმეები და სარევიზიო სიები პირველი რიგის ანგარიშთა შემოწმებისა;

ე) საქმეები, რომელიც შეიცავს ხაზინის ანგარიშებს კერძო რკინის გზებთან, უცხო ქვეყნის მთავრობასთან, საზღვარგარეთის ბანკებსა და საკრედიტო დაწესებულებასთან;

ვ) სახელმწიფო კონტროლიორის ჟურნალები;

ზ) სახელმწიფო კონტროლის საერთო და კერძო საკრებულოთა ჟურნალები;

ᲗᲘ) საქმეები, რომელიც შეეხება კასის, ანგარიშ-სა და სარევიზიო ნაწილების ახალ დებულებათა შემუშავებას, საკანონმდებლო დაწესებულებაში წარდგენას და გამოცემას და აგრეთვე სახელმწიფო მართველობის ყოველ დარგის ფორმებისა და დადგენილების განმარტებას, შევსებას, შეცვლასა და გაუქმებას;

თ) საქმეები ანგარიშდანაკლისთა და წარმომდგარი პრეტენზიებისა ხაზინისა და ხაზინის მიმართ, რომელთა გამოც მინისტრთა და სახელმწიფო კონტროლს შორის აზრთა სხვადასხვაობას უჩენია თავი;

ი) ანგარიშდანაკლისთა დავთრები;

კ) სახელმწიფო კონტროლის მოხსენებათა დედანი,

ლ) სახელმწიფო კონტროლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის დედანი და საერთოდ ყველა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვანი;

მ) სახელმწიფო კონტროლიორის ცირკულიარები;

ნ) სახელმწიფო კონტროლისა და მისი შტატების შეცვლის საქმეები და აგრეთვე იმის შესანახი ფულის გადიდებისა ანუ შემცირების საქმეები;

ი) სახელმწიფო კონტროლის უწყების მოხელეთა და მოსამსახურეთა ნამსახურობის საქმეები;

ო) სახელმწიფო კონტროლის შემოსულ-გასული ქაღალდების სიები;

პ) მოსპობილ საქმეთა და ანგარიშთა აღწერილობანი;

ჟ) სახელმწიფო კონტროლის მიერ მიღებული სახაზინო ქონების საინვენტარო სიები;

რ) სახელმწიფო კონტროლის მიერ საფინანსო შემოსავალ გასავლის აღრიცხვისათვის გამოთქმული მოსაზრებანი.

რიგი მეორე

20. ვადით დასაცავი საქმეები შემდეგია:

1) ათის წლის განმავლობაში დასრულების დღიდგან:

ა) მეორე რიგის ანგარიშთა რევიზიისა და რევიზიის დასკვნის გამო შემდგარი საქმეები. მეორე რიგის ანგარიშთა შემოწმების სარევიზიო სიები.

შენიშვნა. თუ ის ანგარიში, რომლის შემოწმების გამოისობითაც შემდგარია საქმე და წარმოებულია სარევიზიო სიები, ათს წელიწადზედ უფრო ხანგრძლივ შესანახავია, მაშინ საქმეც და სარევიზიო სიებიც ანგარიშის გაუქმების დრომდე უნდა იყოს დაცული.

ბ) კონტროლის საკრებულოთა განსახილველად წარდგენილი საქმეები;

გ) ანგარიშდანაკლისთა, გადასახდელთა და საურავთა საქმეები;

დ) საქმეები ხაზინის მიერ და ხაზინის მიმართ წარმოებულ

პრეტენზიებისა, რომელთა გამოც მინისტრებსა და სახელმწიფო კონტროლს შორის აზრთა სხვადასხვაობას არ უჩენია თავი;

ე) სახელმწიფო კონტროლის მოხელეთა მიერ ფულის კასებისა, ნივთ-მასალის საწყობისა, საალმშენებლო ოპერაციებისა და საზოგადოდ ფაქტიური კონტროლის წარმოების საქმეები;

ვ) საქმეები კასების ფულის პარვისა და ფლანგვისა;

ზ) საქმეები, რომელიც შეეხება სახელმწიფო კონტროლის მოხელეთა მონაწილეობას ყოველგვარ საგნის გამო გამართულ თათბირსა და კომისიებში;

ᲗᲘ) ცნობები სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღსრულების ანგარიშის განხილვისათვის;

თ) სექციების მიერ წლიურ ანგარიშისათვის წარდგენილი ცნობები;

ი) სახელმწიფო კონტროლის პირადი შემადგენლობის შესანახად და საზოგადოდ გამოუკლებლად მისი ყველა სამეურნეო საჭიროებისათვის გაწეულ ხარჯის საქმეები;

კ) საქმეები, რომელიც შეეხება სახელმწიფო კონტროლის მოხელეთათვის პენსიის დანიშვნას;

ლ) სახელმწიფო კონტროლის მიერ თავისი სახაზინო ქონების გაყიდვის გამო შემდგარი საქმეები;

მ) სახელმწიფო კონტროლის შემოსავალ-გასავლის საბუხჰალტერო ანგარიშის წარმოება.

2) ᲮᲣᲗᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲓᲒᲐᲜ:

ნ) ყოველგვარი მიწერ-მოწერა, რომელსაც ასრულება არა სჭირია და სახელმძღვანელოდ არ არის მისაღები;

Ი) საქმეები იმ დარაჯთა და შიკრიკთა თაობაზე, სახელმწიფო კონტროლის უწყებაში სამსახურისათვის რომ თავი დაუსებებიათ, მხოლოდ ამ საქმეებიდან ამოღებულ უნდა იქნეს დედანი საბუთის ქაღალდებისა;

ო) სახელმწიფო კონტროლის სამეურნეო საჭიროებისათვის იჯარადრებთან დადებულ ხელშეკრულობათა საქმეები;

პ) დასაგზავნ ქაღალდებისა, მორიგეობისა და სხვა დავთრები, რომელთაც საკასო-საბუხჰალტერო ანგარიშის მნიშვნელობა არა აქვს.

რევიზიის წესდება

მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 6 დეკემბერს

თ ა ვ ი 1

ზოგად დებულებათათვის

1. მთავრობის ყველა დაწესებულება, რომელიც განაგებს, ანუ რომლის განკარგულებაშიაც არის სახაზინო თანხები, ქონება და ფული, აგრეთვე განსაკუთრებულ შემოსავალთა და დანიშნულებათა საშუალებანი და დეპოზიტები, ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლის რევიზიას, რომელიც შეეხება როგორც ამ თანხების მოძრაობას ამ დაწესებულებათა ხელში, ისე წარმოებულ ოპერაციების არსებასაც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ა) საკანონმდებლო დაწესებულების ხარჯების შემოწმება სახელმწიფო კონტროლს არ ექვემდებარება; ბ) სახელმწიფო კონტროლის შესანახ ხარჯებს ამოწმებს სახელმწიფო კონტროლიორის მიერ დანიშნული კომისია და ამტკიცებს სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულო.

2. საერობო დაწესებულებანი, საოლქო, საზოგადოებრივი მართველობანი, აგრეთვე კერძო კომპანიები, ამხანაგობანი და საზოგადოებანი ვალდებულნი არიან ანგარიში წარუდგინონ სახელმწიფო კონტროლს, თითოეულ შემთხვევაში ცალკე და კანონებისა და დებულებისამებრ, იმ ფულისა, რომელიც მათ გადაეცემა სახელმწიფო ხაზინიდგან სახელმწიფო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე მაშინ, როცა გადაეცემა სასარგებლოდ და საექსპლოატაციოდ სახელმწიფო ქონება და კუთვნილება.

3. სახელმწიფო კონტროლი რევიზიის შემწეობით დარწმუნდება, თუ რაოდენ კანონიერად და წესიერად არის წარმოებული მის მიერ შემოწმებული ოპერაციები სახაზინო თანხებისა, ფულისა და ქონებისა, აგრეთვე განსაკუთრებულ საშუალებათა და დეპოზიტების ფულისა. გარდა ამისა, სახელმწიფო კონტროლი დარწმუნდება, თუ რაოდენად უკლებ-

ლივ და მთლიანად არის დაცული ზემოხსენებული თანხები, ქონება და ფული; აგრეთვე დაასკვნის თავის აზრს, მის მიერ შემოწმებული სამეურნეო ოპერაციები რაოდენ ეკონომიურად და მიზანშეწონილად არის წარმოებული, ან რამდენად ხელსაყრელია ან საზარალო სახელმწიფოსათვის.

4. სახაზინო თანხებისა, ქონებისა და ფულის შემოწმების დროს, აგრეთვე განსაკუთრებულ საშუალებათა და დეპოზიტების ფულის შემოწმების დროსაც, სახელმწიფო კონტროლის რევიზიას ექვემდებარება ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა როგორც განკარგულებითი, ისე აღსრულებითი მოქმედება.

5. სახელმწიფო კონტროლის მიერ წარმოებული რევიზია განიყოფება დოკუმენტალურ და ფაქტიურ რევიზიად. დოკუმენტალური რევიზია ის არის, როცა შემოწმებულ იქნება ოპერაციები ნამდვილ დოკუმენტებით, აქტებით და დავთრებით, აგრეთვე, თუ საჭიროდ მიჩნეულ იქნა კონტროლის მიერ, განხილულ იქნება თვით ნამდვილი საქმეები ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა.

ფაქტიური რევიზია ის არის, როცა რევიზიის მწარმოებელი გამოიკვლევს დოკუმენტების განხილვის მიხედვით, მთლიანად და უკლებლივ არის თუ არა დაცული შესანახად დანიშნულ ადგილას ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა გამგებლობაში მყოფი თანხები, ქონება და ფული; როცა განზრახულისა ან უკვე შესრულებული ოპერაციის სისწორე და წესიერება შემოწმებულ იქნება ადგილობრივ, — ოპერაციის წარმოების ადგილას, — და გამოკვლეული იქნება სინამდვილისა და დოკუმენტების ჩვენების თანხმობა.

6. დოკუმენტალური რევიზია განიყოფება წინასწარ და შემდგომ რევიზიად. წინასწარი რევიზია შემოწმებაა განზრახულ ოპერაციებისა შესრულებამდე, ხოლო შემდგომი რევიზია შემოწმებაა უკვე შესრულებულ ოპერაციებისა.

7. წინასწარი და ფაქტიური რევიზია უნდა სწარმოებდეს ყოველ მომარაგებისა, სამუშაოთა და სახაზინო თანხებისა და ქონების, აგრეთვე სპეციალურ საშუალებათა და დეპოზიტთა თანხების ყველა სამეურნეო (შემოსავლისა და ხარჯის) ოპერაციებისათვის (მუხ. 1) თანახმად ამა წესდების მე-3-ე თავის და მე-2-ე თავის მე-2-ე განყოფილებისა.

8. იმ ოპერაციებისა და ხარჯებისათვის, რომლებიც საკალდებულო წინასწარსა და ფაქტიურ რევიზიას არ ექვემდებარება (მუხ. 7), როგორც მაგალითად: საშტატო და სატაბელო გასაცემისა (ჯამაგირი და სხვაგვარი დაკმაყოფილება მოხელეებისა, პენსიები, სახლის ქირა) და მსგავს ხარჯებისათვის, რომელნიც განსაზღვრულის ზომითა და ვადით განწესებულია მომქმედი კანონითა და დადგენილებით, — სახელმწიფო კონტროლიორს უფლება აქვს წინასწარი და ფაქტიური რევიზია დააწესოს, სადაც და როდესაც საჭიროდ დაინახავს. ასეთი რევიზიის დაწესებას იგი აუწყებს ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა და პირთ.

9. სახელმწიფო კონტროლის რევიზიის ქვემდებარე დაწესებულებანი მოვალენი არიან წარუდგინონ ამ კონტროლს ანგარიშები განსაზღვრულ ვადაზედ. დოკუმენტალური რევიზია ადგილობრივ, — ოპერაციების წარმოების ადგილას, — თუ ასეთი რევიზია დაწესებულია, ცალკე ამისათვის გაგზავნილის კონტროლის მოხელეთა მიერ სწარმოებს.

10 რევიზიისათვის საჭირო ცნობანი, თუ წარმოდგენილ ანგარიშებში არ მოიპოვება, აგრეთვე დოკუმენტები, ხოლო, თუ საჭიროდ იქნა ცნობილი კონტროლის მიერ, თვით საქმენიც, თუნდა ჯერ დაუმთავრებელნიც, უნდა წარმოდგენილ იქნეს, კონტროლის მოთხოვნილებისამებრ, მთავრობის ყველა დაწესებულებისა და მოხელის მიერ, აგრეთვე, სათანადო შემთხვევაში, საერობო, საქალაქო, საზოგადოებრივ და კერძო მართველობათა და დაწესებულებათა მიერ. ამ სახითვე ყველა ასეთი ცნობა, დოკუმენტები და საქმეები უნდა წარედგინოს სახელმწიფო კონტროლის მოხელეებს, რომელნიც გაგზავნილ იქნებიან რაიმე ცნობის მისაღებად ანუ საქმის მიმოხილვისათვის. იმავე მოხელეებს, მათის მოთხოვნილებისამებრ, უნდა მიეცეთ შემოწმებული წერილობითი ცნობანი.

11. ის ანგარიშები, ცნობანი, დოკუმენტები და საქმენი, რომელნიც სახელმწიფო საიდუმლოს შეიცავენ წარედგინება ან გაეგზავნება სახელმწიფო კონტროლის მოხელეებს იმ წესით, რომელიც დამყარებულ იქნება სახელმწიფო კონტროლიორის მიერ სათანადო მინისტრთან შეთანხმებით.

12. უკეთუ ანგარიშის რევიზიის დროს გაუგებრობა აღმოჩნდა, მის გამოსარკვევად სახელმწიფო კონტროლს უფლე-

ბა აქვს, მიწერ-მოწერის ასაცილებლად, მიიწვიოს, სათანადო უფროსის საშუალებით, ის მოხელენი, რომელნიც შესამოწმებელი ანგარიშის შედგენას განაგებდნენ, თუ იმავე ქალაქში არიან, სადაც კონტროლია.

13. ყოველგვარი ცნობა, აგრეთვე დოკუმენტები და საქმენი, რომელიც საჭირო აღმოჩნდება რევიზიისათვის, მთავრობის დაწესებულებამ და პირმა უნდა გაუგზავნოს კონტროლს ორი კვირის განმავლობაში დღიდგან მათი მოთხოვნილების მიღებისა. გაგზავნილ საქმეებს კონტროლი დაუყოვნებლივ დაუბრუნებს უკანვე, როცა მისთვის საჭირო აღარ იქნება.

14. ვადა, რომელიც დადებულია ანგარიშისა, ცნობებისა, დოკუმენტებისა და საქმეების კონტროლში გაგზავნისათვის, აგრეთვე ყოველი სხვა ვადა, ამ წესდებაში მოხსენებული, შესაძლოა გადიდებულ და აგრეთვე შემოკლებულ იქნეს სახელმწიფო კონტროლიორის მიერ ერთიორად, მაგრამ არა უმეტეს.

15. ამ წესდებაში აღნიშნულ ვადების აღრიცხვის დროს დაცულ უნდა იქნეს ის წესები, რომელიც აღნიშნულია სამოქალაქო სამართლის წესდების 819—822 და 824 მუხლში (კან. კრებ. ტ. XVI, ნაწ. I, გამოც. 1914 წლ.) და სისხლის სამართლის წარმოების წესდების 867 მუხლში (კან. კრებ. ტ. XVI, ნაწ. I, გამოც. 1914 წ.).

16. ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა და პირთა უფროსებს დაევალებათ თვალყური ადევნონ, რათა თავის დროზედ და რიგზედ იგზავნებოდეს კონტროლში სარევიზიოდ ანგარიშები და რევიზიის საწარმოებლად საჭირო ცნობანი, დოკუმენტები და საქმენი.

17. უკეთუ შეუძლებელია წარდგენილ იქნეს, ვადაზედ ანგარიში, ცნობანი, დოკუმენტები გინა საქმეები, ანგარიშვალდებულნი დაწესებულებანი და პირნი ვადის გასვლამდე აუწყებენ კონტროლს. რა მიზეზით დაგვიანდა წარდგენა ყოველისავე ამისა და ამასთანავე მოვალენი არიან აღნიშნონ რამდენადაც შეიძლება მოკლე ვადა, — ყოველ შემთხვევაში დაწესებულებაზე არა უმეტეს ერთი თვისა, — როდესაც გაგზავნილ იქნება ანგარიში, აგრეთვე მოთხოვნილნი ცნობანი, დოკუმენტები ანდა საქმეები; თუ კონტროლის მოთხოვნილე-

ბის ასრულება შეუძლებელია იმ მიზეზით, რომ ანგარიში, დოკუმენტები ანუ საქმეები გაგზავნილია რომელსამე სხვა დაწესებულებაში, ანგარიშვალდებულნი დაწესებულებანი და პირნი მოვალენი არიან ვადის გასვლამდე აუწყონ კონტროლს, როდის და ვის გაეგზავნა ანგარიში, დოკუმენტები ანუ საქმეები.

18. უკეთუ ვადაზე არ იქმნა წარდგენილი ანგარიში, დოკუმენტები გინა საქმეები და ამასთანავე კონტროლმა არც ის ცნობა მიიღო, თუ რა მიზეზით მოხდა ეს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა წარდგენილ განმარტებიდგან კონტროლი დაინახავს, რომ ანგარიშვალდებულებს უნდათ თავიდან აიცილონ წარდგენა ანგარიშისა და მოთხოვნილ ცნობათა, — დამნაშავეს კონტროლი დაადებს ფულად ჯარიმას არა უმეტეს ნახევარი თვის ჯამაგირისას, ხოლო თუ დამნაშავე, რომელმაც კონტროლის მოთხოვნილება არ აასრულა ჯამაგირს არ იღებს, — 300 მანეთამდე.

კონტროლის გადაწყვეტილება დაჯარიმებისათვის საბოლოოა და განსაჩივრება არ იქნება.

ჯარიმა გადახდება დამნაშავეს ჯამაგირის პირველსავე მიცემის დროს იმ წესით, როგორც მოხსენებულია 340—353 მუხლებში დებულებისა ხაზინის უდავო საქმეთა გადახდევინებისათვის (კან. კრებ. ტ XVI, ნაწ. მე-2, გამოც. 1910 წლ.).

19. უკეთუ ფულად დანახარჯის რევიზიის დროს წარმოდგენილ არ იქნა ანგარიში, ცნობანი, დოკუმენტები ანდა საქმეები, — სახელმწიფო კონტროლი იმ ხარჯებისთვის, რომლის გასამართლებელი საბუთები არ აღმოჩნდება, ხელთქონებულ მასალის მიხედვით დაადგენს სარევიზიო დასკვნას. თუ ანგარიშდასაკლისი შეწერილ იქნა, საქმეს შემდეგი მსვლელობა მიეცემა იმ წესით, რომელიც მოხსენებულია 83—91 მუხლებში.

20. რევიზიის დროს აღძრულ საკითხების გამო, მათ შორის სატექნიკო ხასიათის საკითხების გამოც თუ ეს საკითხები სარევიზიო წესით არაა წარსამართავი, რადგან ხაზინას პირდაპირი ზარალი არა მოსვლია-რა, სახელმწიფო კონტროლის სექციებს ნება აქვთ თავიანთი მოსაზრებანი წარუდგინონ კონტროლის საერთო საკრებულოს.

21. სასამართლოს გადაწყვეტილებანი, კანონიერ ძალაში

შესულნი, სავალდებულოა კონტროლისათვის და ამისთვის მისი სარევიზიო დასკვნით ეს გადაწყვეტილება ვერ დაირღვევა.

22. თანამდებობის პირთ, რომელთაც პასუხისგება მოელით სარევიზიო ანგარიშდანაკლისის გამო, ანუ მათ რწმუნებულებს ნება აქვთ დაესწრნენ სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს სხდომას სიტყვიერ განმარტების მისაცემად. ამათი განმარტება უნდა ჩაწერილ იქნეს ჟურნალში თუ სხდომის ოქმში.

23. განსამარტებლად 1—22 მუხლში მოხსენებულ დადგენილებათა სახელმწიფო კონტროლიორი გამოსცემს ინსტრუქციებს იმისათვის თუ რა წესით უნდა სწარმოებდეს შემოწმება იმ თანხებისა, ქონებათა და ფულის ოპერაციებისა, რომელიც ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა და პირთა განკარგულებაშია, აგრეთვე აწესებს ვადას ამ ოპერაციების რევიზიის მოსახდენად.

თავი 2

დოკუმენტალურ რევიზიისათვის.

განყოფილება 1

დოკუმენტალურ რევიზიის წარმოების წესისათვის.

24. დოკუმენტალური რევიზია შეიცავს ანგარიშის შემოწმებას: ა) კლასობრივად და ბ) არსებითად.

25. ანგარიშის რევიზიის კლასობრივად წარმოების დროს კონტროლი აწგარიშის ცნობათა დოკუმენტებთან დაპირდაპირებით ამოწმებს, სწორედ არის თუ არა კასის ოპერაციები წარმოებული, ნაღდის ნაშთი გამოყვანილი; არის თუ არა ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა და პირთა გამგებლობაში მყოფი თანხები, ქონება და ფული ხელუხლებელი და ამ თანხების, ქონებისა და ფულის ანგარიშის წარმოება — წესიერი. განსაკუთრებულ ხარჯთამკრებთა კასებისთვის კონტროლი, გარდა ამისა, ამოწმებს, წესიერად და თავის დროზედ გადასცემენ ხოლმე თუ არა ეს კასები კუთვნილებისამებრ მათ მიერ აკრეფილ ფულს. რევიზიის დროს შემჩნეული საბუხჰალ-

ტერო უსწორობა და შეცდომანი უნდა გასწორდეს იმის მიხედვით, თუ რას გამოარკვევს კონტროლი საბოლოოდ სათანადო ანგარიშვალდებულ დაწესებულებასა და პირებთან მიწერმოწერით.

26. სახელმწიფო შემოსავალთა არსებითად შემოწმების დროს სახელმწიფო კონტროლი უნდა დარწმუნდეს: შემოვიდა თუ არა შემოსავალი იმდენი, რამდენიც უნდა შემოსულიყო კანონთა და კანონიერ დადგენილებათა ძალით; თავის დროზედ შემოდის თუ არა ხაზინაში შემოსავალი; ახდევინებენ თუ არა დაწესებულ საზღაურსა და ჯარიმას; იწერება თუ არა სათანადო ანგარიშებზედ შემოუტანელ გადასახადათ ის, რაც ხაზინას არა აქვს მიღებული შემოსავალის ჯამიდან; თუ შემოსატანი განაწილებულია გახანგრძლივებულის ვადებით, მომხდარა თუ არა ეს კანონიერ ნებართვით და დაწესებულის უზრუნველსაყოფელობით.

27. საანგარიშო თანხებისთვის მიყენებულ ზარალ-დანაკლისის ასანაზღაურებელ შემოსავლის შემოწმების დროს კონტროლი დარწმუნდება: წესიერად არის თუ არა ნაანგარიშევი ზარალი და დანაკლისი იმ თანხებისა და შეესაბამება თუ არა ნამდვილ ზარალსა და დანაკლისს ის საურავი, რაც ვის დასდებია; მიღებულია თუ არა სათანადო ღონისძიებანი, რათა თავის დროზედ შევსებულ იქმნეს და ანაზღაურებული ზარალი და დანაკლისი, ხოლო თუ ამ ზარალ-დანაკლისს ხაზინა კისრულობს, არსებობს თუ არა ამისთვის კანონიერი საფუძველი.

28. ხაზინაში ვალისა და ნაშთგადასახადთა შემოსავლის შემოწმების დროს კონტროლი დარწმუნდება, რამდენად წესიერად არის წარმოებული ვალისა და ნაშთგადასახადთა ანგარიშები და მიღებულია თუ არა-ის ღონისძიებანი, რომელიც კანონშია ნაჩვენები ვალებისა და ნაშთგადასახდთა გადახდევინებისათვის.

29. სახელმწიფო გასავლისა და ხარჯის შემოწმების დროს კონტროლი დარწმუნდება: მისაღებია თუ არა კანონის მიხედვით საგანი ხარჯისა და თვით ნებართვა ხარჯისა კანონიერია თუ არა; სწორედ იმდენი დახარჯულა, რამდენიც უნდა დახარჯულიყო, და ნამდვილად დანიშნულებისამებრ თუ არა. გარდა ამისა, კონტროლი თვალყურს ადევნებს: სწორედ იმ

ხელისუფალმა დართო ნება დახარჯვისა, რომელიც ამისათ-
ვის უფლებამოსილი იყო თუ არა; შეესაბამება თუ არა საჭიროების დასაკმაყოფილებლად არჩეული საშუალება და თვით წესი მისის განხორციელებისა კანონსა და კანონიერს ნებართვას; ხარჯების გაღება დაწესებულ დროსა და ვადაზედ სწარმოებს და სწორედ სათანადო წყაროდგან თუ არა.

30. როცა წარმოებს რევიზია ნივთიერი ქონების მოძრაობისა, როგორც საინვენტაროსი, ისე სახარჯოსი, კონტროლი რწმუნდება: მთელი ის ნივთიერი ქონება, რომელიც ნაშთად იყო საანგარიშო ხნის დამდეგს, ან რაც ახლად მოპოვებულ ან წარმოებულ იქმნა ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა საშუალებით, სავსებით არის ნაჩვენები შემოსავლად და ღირებულობის სათანადო ფასით არის აღნიშნული თუ არა; თავის დროზედ იწერება თუ არა შემოსავალში ახლად შემოსული ქონება; კანონიერის საფუძვლისა და სათანადო რაოდენობისამებრ იწერება თუ არა ქონება გასავალში; როცა გაყიდვაა უვარგისად ქცეულ ქონებისა, დაცული არის თუ არა კანონით დაწესებული წესი გაყიდვისა; იწერება თუ არა შესაფერ ანგარიშებში და ვადაზედ შემოდის თუ არა გასესხებული ქონება, აგრეთვე დაწესებულ ნორმებს ხომ არ აღემატება ქონების შენახვისა და გადატან-გადმოტანის ხარჯები.

31. სპეციალ ღონისძიებათა მოძრაობა შემოწმებულ უნდა იქნეს არსებითად იმავე წესითა და საფუძვლით, რაც დადგენილია სახელმწიფო შემოსავლისა და ხარჯის რევიზიისათვის. ამას გარდა, სპეციალ ღონისძიებათა შემოწმების დროს კონტროლი უნდა დარწმუნდეს: წესიერია თუ არა ანგარიშით ნაჩვენები ფულის მოქცევა სპეციალ ღონისძიებათა რიგში და დაცულია თუ არა ამ ღონისძიებათა მოკრებისა და ხარჯვის დროს ის წესი და პირობა, რომელიც მათთვის ცალკე დაკანონებულ-დაწესებულია.

32. როცა რევიზიაა დეპოზიტებისა, თუ ამ დეპოზიტებს სპეციალ ღონისძიებათა ხასიათი არა აქვს და ამიტომ არ ექვემდებარება იმნაირსავე შემოწმებას, როგორც საზოგადოდ სპეციალი ღონისძიებანი, კონტროლი უნდა დარწმუნდეს, — შემოსავლისათვის: შესამოწმებელ დეპოზიტებს შორის ხომ არ არის მოხსენებული ისეთი თანხა, რომელიც ხაზინას ეკუთვნის ან სახელმწიფო ხაზინის შემოსავალია; წესიერად ჩა-

რიცხულია თუ არა ფული დეპოზიტად; დეპოზიტებს შორის ხომ არ არის ჩარიცხული სპეციალი ღონისძიებანი ან წესის წინააღმდეგ გადარიცხული ხარჯთაღრიცხვის რამ თანხა, აგრეთვე ისეთი დეპოზიტები, რომელიც ხანგრძლიობის ვადის გასვლისა ან სხვა მიზეზინ გამო უნდა გადაირიცხოს ხაზინის სასარგებლოდ ან სპეციალ თანხებში; გასავლისათვის: ხარჯი იმ თანხიდან სწარმოებს თუ არა, რომელიც დანიშნულებისამებრ არის შეტანილი სათანადო კასაში, და იმ დაწესებულებასა და პირს ეძლევა თუ არა თანხა, ვის მისაცემადაც არის დანიშნული; ნაშთისათვის: სწორედ არის თუ არა გადმოტანილი წინანდელ დავთრებიდგან სადეპოზიტო ფულის ნაშთები; გირაოს დაბრუნებისათვის: — შეასრულა თუ არა გირაოს დამდებმა ის პირობა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გირაო ჰქონდა წარმოდგენილი, ხოლო თუ ერთი გირაო მეორე გირაოდ შეიცვალა, — დაცულ იქნა თუ არა ამ შეცვლის დროს ამისათვის დადგენილი წესები.

33. წესიერად არის თუ არა დახარჯული ქონება და სამუშაო ძალა იმ სხვა-და-სხვა გვარ ოპერაციათა წარმოებისათვის, რომელთათვისაც სატექნიკო ან საოპერაციო ანგარიშის შედგენაა დაწესებული, კონტროლი დარწმუნდება ასეთი ანგარიშის შემოწმებით, აგრეთვე ამის შედარებით ფულისა და ნივთ-მასალის ანგარიშთან.

34. სატექნიკო ანგარიშის შემოწმების დროს კონტროლი უნდა დარწმუნდეს, სწორედ არის თუ არა შესამოწმებელ სამუშაოსთვის ნაანგარიშევი მასალა და სამუშაო ძალა ხარჯთაღრიცხვითა და სატექნიკო შეფასებით; სისწორით არის თუ არა იგი ხარჯად გატარებული სატექნიკო ან სამუშაოთა ანგარიშებში, აგრეთვე ეთანხმება თუ არა მოხსენებული ანგარიშები კანონიერის წესით შედგენილსა და დამტკიცებულს გეგმას, ნახაზ-ნახატს და სხვა საბუთს, რაიც საფუძვლად უძევს იმ ანგარიშებს. ხარჯთაღრიცხვაში მიღებულ სატექნიკო ნორმების გამო კონტროლს შეუძლიან აღძრას საკითხი, თუ სცნო, რომ ეს ნორმები სწორედ არ არის ნახმარი.

35. სატექნიკო ანგარიშის ფულისა და ნივთ-მასალის ანგარიშთან შედარების დროს კონტროლი დარწმუნდება, შეესაბამება თუ არა შესამოწმებელ სამუშაოსათვის ნამდვილად დახარჯული მასალა და სამუშაო ძალა რაოდენობით, ღირსე-

ბით, თვისებით, აგრეთვე ღირებულობით იმას, რაც ანგარიშში ამ სამუშაოსათვის დახარჯულად არის ნაჩვენები.

36. როცა კონტროლი ამოწმებს საოპერაციო ანგარიშებს ნაწარმოებთა დამზადებისა, ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციისა, ხაზინის ხარჯით გაწეულ საქმეწარმოებისა და სხვა ასეთისას, თვალყურს ადევნებს, კანონიერია და სათანადო ხელისუფლის მიერ ნებადართულია თუ არა ის ოპერაცია და სწორედ იმ ზომისად არის ოპერაცია აღსრულებული, როგორც ნებადართული იყო სათანადო ხელისუფლების მიერ, თუ არა; შეესაბამება თუ არა საოპერაციო ანგარიშის ციფრები ფულისა და ნივთმასალის ანგარიშის ციფრ-ცნობებს. აგრეთვე სწორედ არის გამოყვანილი დამზადებული ნივთების ღირებულობა და ამ ღირებულობაში ჩათვლილი ზედართული ხარჯები თუ არა.

37. გარდა იმ უმთავრეს საკითხების გადაწყვეტისა, რომელიც მოხსენებულია 25—36 მუხლებში, სახელმწიფო კონტროლს ნება აქვს სხვა საკითხებიც აღძრას, რაიც კი თავს იჩენს ანგარიშების დოკუმენტალურ რევიზიის დროს, რათა დარწმუნდეს, თუ რამდენად კანონიერი და წესიერია შესამოწმებელი ოპერაციები, აგრეთვე რამდენად მომჭირნეობით, მიზან-შეწონილობით და სახეიროდ არის წარმოებული ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა და პირთა მიერ სამეურნეო ოპერაციები.

38. განმკარგულებელ მართველობათა ანგარიშებს სახელმწიფო კონტროლი ამოწმებს მთელის სისრულით, მაგრამ სახელმწიფო კონტროლიორს უფლება აქვს ცალკე ოპერაციებისათვის დანიშნოს ნაწილობრივი (ამორჩევით) რევიზია, რომლის ზოგად საფუძვლებსაც თვითვე ამყარებს.

განყოფილება 2

წინასწარ დოკუმენტალურ რევიზიისათვის.

39. როცა წინასწარ დოკუმენტალურ რევიზიას აწარმოებს, — სახელმწიფო კონტროლი:

ა) აუწყებს ანგარიშვალდებულ დაწესებულებას და პირს თავისს დასკვნას სამეურნეო გეგმების, კონდიციებისა, გამოწვევისა და ხელშეკრულობათა პროექტებისა, აგრეთვე ვაჭ-

რობის წარმოებისა, მაზანდის გარდაკვეთისა და ყოველგვარ სამეურნეო საქმისა, მოსაზრებისა და საკითხისათვის;

ბ) ამოწმებს, ხაზინაში გაგზავნამდე, ასიგნობებს ანუ მათს საბადლო ფულის გასაცემ დოკუმენტებს;

გ) ჰგზავნის საკონტროლო უწყების წარმომადგენელთ განმკარგულებელ სამართველობა სხდომაზედ დასასწრებლად.

40. თვინიერ 39-ე მუხლში ჩამოთვლილ კონტროლის მიერ წარმოებულ წინასწარ რევიზიის სახეთა, სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს დაევალება, კანონით ნაჩვენებ შემთხვევას გარდა, აუწყოს განმკარგულებელ მართველობას თავისი დასკვნა უკან დაბრუნებისათვის ამ ფულისა, რომელიც შეცდომით შევიდა ხაზინაში, ან რომელიც დახარჯულ იქნა თანამდებობის პირთა მიერ სახაზინო საჭიროებისათვის მათის საკუთარის ქონებიდგან.

41. სახელმწიფო კონტროლი აუწყებს განმკარგულებელ მართველობას დასკვნას სამეურნეო გეგმების კონდიციებისა, გამოწვევისა და ხელშეკრულობათა პროექტებისა, აგრეთვე საგაჭრო წარმოებისა, ფასების გადაკვეთისა და ყოველგვარი სამეურნეო საქმის, მოსაზრების და საკითხისათვის არა უგვიანეს სამის დღისა დღიდგან განმკარგულებელ მართველობათაგან შეკითხვის მიღებისა.

42. კონტროლი აუწყებს დასკვნას (მუხ. 41) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მიაწოდებენ ან თავისს საქმეებში მოეპოვება ამისათვის საჭირო ცნობანი. თუ ეგ ცნობანი არ მოეპოვება, კონტროლი დაუყოვნებლივ მოითხოვს რა და რა ცნობა აკლია, და თუ სამის დღის განმავლობაში მოთხოვნილნი ცნობანი არ მიუვიდა, დაუყოვნებლივ დაუბრუნებს გამოგზავნილ ქაღალდებს დასკვნის დაურთველად და აუწყებს განმკარგულებელ მართველობას დასკვნის საუწყებლად საჭირო ცნობების უქონლობაკ.

43. როცა კონტროლი თავის დასკვნას აუწყებს, შემდეგ მიწერმოწერა ამის გამო კონტროლსა და ანგარიშვალდებულ დაწესებულებას შორის შეწყდება.

44. განმკარგულებელ მართველობას შეუძლია, სათანადო თანამდებობის მოხელეთა ქონებრივის პასუხისმგებლობით, განახორციელოს თავისი განზრახვა-მოსაზრებანი, რომელიც სახელმწიფო კონტროლის დასკვნას არ ეთანხმება.

45. განმკარგულებელი მართველობა, გასცემს თუ არა

ისეთ განკარგულებას, რომელიც არ ეთანხმება კონტროლის დასკვნას, მაშინვე აუწყებს ამ ამბავს კონტროლს.

46. იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო კონტროლი განმკარგულებელ მართველობას აუწყებს, დასკვნის საუწყებლად ცნობანი არ მოიპოვებაო, ან როცა განმკარგულებელი მართველობა გასცემს ისეთ განკარგულებას, რომელიც კონტროლის დასკვნას არ ეთანხმება, სახელმწიფო კონტროლი საქმის გამო დასკვნას შემდგომის რევიზიის წესით დაადგენს.

47. ის დასკვნა კონტროლისა, რომელსაც დაეთანხმა განმკარგულებელი მართველობა, შეიძლება შეცვლილ იქნეს სახელმწიფო კონტროლის მიერ შემდგომის რევიზიის დროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა ახალი გარემოებანი, რომელთა დანახვაც შეუძლებელი იყო მაშინ, როცა დასკვნა იწერებოდა.

48. სახელმწიფო კონტროლი აუწყებს ხაზინას ყველა იმ ფულის ოპერაციებს, რომელიც ექვემდებარება წინასწარ რევიზიას; აუწყებს აგრეთვე ყველა იმ პირობას, რა პირობის დაცვითაც შეიძლება ასიგნობით ფული გაცემულ იქნეს.

49. ის ასიგნობა, რომელიც ექვემდებარება წინასწარ რევიზიას, არ შეიძლება განაღდებულ იქმნეს ხაზინის მიერ, თუ ზედ სარევიზიო განხილვის ნიშანი (გრიფი) არ აზის.

50. თითოეული ასიგნობა, ვიდრე ხაზინას გაეგზავნებოდეს, უნდა გადაეცეს კონტროლს წინასწარ შესამოწმებლად. ასიგნობას, გარდა გადარიცხვის ასიგნობისა, ტალონი არ დაერთვის. ტალონი ეძლევა ხაზინის კრედიტორს მხოლოდ მას შემდეგ, როცა კონტროლისგან დაბრუნდება ასიგნობა სარევიზიო შემოწმების ნიშნით (გრიფით), რომელიც ნებას დართავს მის განაღდებას.

51. ასიგნობას დაერთვის ანგარიშები, დამადასტურებელი და გამამართლებელი განზრახულ ხარჯისა ანუ ოპერაციის; იმ დოკუმენტებისათვის, რომელიც წინად ემცნო სახელმწიფო კონტროლს ან მის წარმომადგენელთ, უნდა იყოს აღნიშნული, როდის ემცნო.

52. ასიგნობის სარევიზიოდ დადებულია არა ოემეტე სამის სადაგის დღისა. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საბოლოო ანგარიშია გასასწორებელი იჯარადართან, ეს ვადა დიდდება შვიდ დღემდე, თუ კონტროლმა საჭიროდ არ სცნო, გასასწო-

რებელ ანგარიშის სირთულის მიზეზით, ასიგნობის შემოწმება შემდგომის რევიზიის წესითა. ასევე ვადა გაგრძელდება შვიდ დღემდე, როცა შესამოწმებელია საოპერაციო ასიგნობანი.

53. თუ სასწრაფოდ არის გადასახდელი ფული, განმკარგულებელი მართველობა შესაფერ წარწერას გააკეთებს ასიგნობაზე. ამისთანა ასიგნობის შესამოწმებლად დადებულია ერთი სადაგი დღე.

54. რევიზიაში გატარებული ასიგნობა დაუბრუნდება განმკარგულებელ მართველობას სარევიზიო დასკვნის ზედწარწერით, აგრეთვე განზრახულ ფულის გაღების გასამართლებელ საბუთის დართვით, თუ იგი საბუთი საჭიროა ფულის მიმღების მიერ მასზე ხელის მოსაწერად. უკან დაბრუნებულ გასამართლებელ საბუთზედ წარწერილი უნდა იყოს, რომ შემოწმებულია. თუ წინასწარ განცხადებულ იქნა გამგე მართველობის მიერ, კონტროლისაგან სრულიად შეწყნარებული ასიგნობები შესაძლოა კონტროლის მიერ პირდაპირ ხაზინაში გაიგზავნოს ზედ სარევიზიო დასკვნის ნიშან-დასმით, ხოლო გასამართლებელი საბუთები გაიგზავნოს განმკარგულებელ მართველობაში, რომელსაც უნდა ეუწყოს, რომ შემოწმება მოხდენილია.

55. ასიგნობის შესახები სარევიზიო დასკვნა შეიძლება გამოიხატოს, შესაფერ გრიფის დასმით: ან ასიგნობის დამტკიცებით, ან მიჩნევით, რომ მთლად, გინა ნაწილი მისი ექვემდებარება არსებითად შემოწმებას წესისამებრ შემდგომის რევიზიისა, ან კიდევ დაუმტკიცებლობით მთლად, გინა ნაწილოვანად.

56. პირდაპირი და გადარიცხვის ასიგნობანი, რომელიც გამართლებული იქნება საჭირო საბუთებით და სარევიზიო შენიშვნებს არ გამოიწვევს, მტკიცდება წინასწარ რევიზიის დროსვე.

57. კონტროლი გადასდებს წინასწარ სარევიზიოდ მიღებულს ასიგნობას შემდგომის რევიზიისათვის: თუ ასიგნობა გამართლებული არ არის სათანადო ანგარიშის წარმოდგენით, ან თუ რევიზიის გათავება, ანგარიშის სირთულის მიზეზით, ვერ მოხერხდა დაწესებულს ვადაზედ. იმ მიზეზებს, რა მიზეზებითაც შემოწმება გადადებულ იქნა, სახელმწიფო კონტროლი აუწყებს განმკარგულებელ მართველობას და თან

იმავე დროს დაუბრუნებს უკან სარევიზიოდ გამოგზავნილ ასიგნობას.

58. იმ ასიგნობის მიღებისთანავე, რომლის შემოწმებაც გადადებულ იქნა შემდგომ რევიზიამდე, ანგარიშვალდებული დაწესებულება ანუ პირი, კონტროლთან მოწერმიწერის გაუმართავად, დაუყოვნებლივ გადაიხდის ფულს იმ ზომისად, რასაც თვითონ წესიერად სცნობს.

59. იმ შემთხვევაში, როცა წინასწარ რევიზიის დროს კონტროლი სცნობს, რომ განზრახული ფულის გაცემა ცხადი უწესობაა ან უკანონობაა, არ ამტკიცებს უკანონოდ და უწესოდ ნაანგარიშევად მიჩნეულ ფულის გაცემას და ამ ამბავს აუწყებს განმკარგულებელ მართველობას სარევიზიო დასკვნის განმარტებითურთ.

60. კონტროლის მიერ დაუმტკიცებელ ასიგნობით ფულის გაცემა არ შეიძლება, თვინიერ იმ შემთხვევისა, როცა განმკარგულებელ სამართველოს უფროსი თვითონ თავს იდებს ქონებრივ პასუხისმგებლობას ასეთის ასიგნობით ფულის გაცემისათვის. დაუმტკიცებელ ასიგნობას, გარდა 61 მუხლში მოხსენებულ ასიგნობებისა, კონტროლი აწერს: „არა მტკიცდება, გარნა ფულის გაცემა შეიძლება კრედიტის გამგის ქონებრივის პასუხისმგებლობით". ყოველ ამისთანა შემთხვევას, როცა დაუმტკიცებელ ასიგნობით ფული გაიცემა, განმკარგულებელი მართველობა დაუყოვნებლივ აუწყებს სახელმწიფო კონტროლს.

61. ასიგნობებს კონტროლი უსათუოდ არ ამტკიცებს და არც მათი განაღდება შეიძლება ხაზინის მიერ:

ა) როცა ასიგნობა გაცემულია იმათგან, ვისაც ამის უფლება არა აქვს;

ბ) როცა არ არის ის კრედიტი, რომლის ანგარიშითაც გაცემულია ასიგნობა;

გ) როცა განზრახულია ფულის გაცემა ჯერ ისევ აუსრულებელ დამზადება-ჩაბარების იჯარისათვის, ან ისეთის დამზადება-ჩაბარების იჯარისათვის, რომლის გამო დამნაშავეთა წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე მდარე საქონლის ჩაბარებისათვის.

და დ) როცა თხოულობენ შემდეგს ავანსებს, ხოლო წინა

იმავე ოპერაციისათვის მიღებულ ავანსის დახარჯვის წესიერი ანგარიში წარმოდგენილი არ არის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. კონტროლის ნიშნისა ანუ გრიფის ქვეშ „არა მტკიცდებაო" — ნაჩვენები უნდა იყოს ამ მუხლის შესაფერი ლიტერა.

62. ასიგნობით გასაცემი ფული, რომელიც კონტროლმა სულ მთლად ან ნაწილოვანად არ დაამტკიცა, ან რომლის შემოწმებაც გადადებულია შემდგომ რევიზიამდე, შესაძლოა, იმავე წინასწარ შემოწმების წესით, გადატანილ იქნას დამტკიცებულ ხარჯების კატეგორიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აცილებულ იქნება ის მიზეზები, რომელთა გამოც დაბრკოლებულ იქნა პირველად ასიგნობის დამტკიცება.

63. ფულის გასაცემი საბუთები, წინასწარ რევიზიის დროს დამტკიცებული, ექვემდებარება შემდგომს რევიზიას მხოლოდ იმ მხრით, ნამდვილად ფული იმათ მიეცა, ვისთვისაც იყო დანიშნული, თუ არა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღმოჩნდება ისეთი ახალი გარემოება, რომლის გათვალისწინება წინასწარ რევიზიის დროს შეუძლებელი იყო.

64. სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელნი, გაგზავნილნი განმკარგულებელ სამართველოთა სხდომებზედ დასასწრებლად, მონაწილეობენ ამ სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კონტროლის წარმომადგენელთა უფლებანი ცალკე დებულებით არის გადაწყვეტილი.

65. განცხადებანი, წარდგენილნი სხდომებზედ სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელთა მიერ, უნდა ჩაწერილ იქნეს სხდომის ჟურნალში ანუ ოქმში.

66. შემოწმებული პირი განმკარგულებელ მართველობის სხდომათა ჟურნალებისა ანდა ოქმებისა დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს ანუ გაეგზავნოს სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელთ მათის მოთხოვნილებისამებრ.

67. განცხადება სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელთა ვერ შეაყენებს განმკარგულებელ მართველობათა დადგენილების სისრულეში მოყვანას, აგრეთვე არ მოასწავებს იმას, თუ რა ხასიათისა იქნება სახელმწიფო კონტროლის სარევიზიო დასკვნა.

68. უფრო საყურადღებო შემთხვევა, როცა განმკარგულე-

ბელმა მართველობამ მიიღო ისეთი გადაწყვეტილება ან ღონისძიება, რომელიც კონტროლის აზრით არის უკანონო, არასწორი და არაწესიერი, არაეკონომიური, არამიზანშეწონილი ანუ საზარალო ხაზინისათვის, უნდა მოხსენდეს სახელმწიფო კონტროლიორს და ის აუწყებს ამას სათანადო მინისტრს, რათა დაუყოვნებლივ აცილებულ იქნეს შემჩნეული უწესობა.

69. სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს დასკვნა კერძო პირთა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა პრეტენზიების თაობაზე ხაზინისადმი, აგრეთვე უკან დაბრუნებისათვის იმ ფულისა, რომელიც შეცდომით ხაზინაში შეტანილ იქნა, ან რომელიც დახარჯულა მოხელეთა მიერ სახაზინო საჭიროებათათვის მათის საკუთარის ქონებიდგან, უნდა ეუწყოს განმკარგულებელ მართველობას არა უგვიანეს ერთი თვისა იმ დღიდგან, როცა კონტროლმა იმ მართველობისაგან შეკითხვა მიიღო, ან იმ დღიდგან, როცა კონტროლს ამ შეკითხვის გამო დამატებითი ცნობანი მიუვიდა.

70. როცა განმკარგულებელი მართველობა წინააღმდეგია იმისა, რომ კონტროლის საერთო საკრებულომ უარყო ხაზინიდან დაბრუნება იმ ფულისა, რომლის ჯამი 150 მანეთს აღემატება, საწინააღმდეგო აზრი ხსენებულ მართველობისა, საქმეში დაინტერესებულ პირთა განმარტებითურთ, თუ ასეთი განმარტება იპოვება, იმ მართველობის მთავრობამ უნდა წარგზავნოს რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლო დაწესებულებაში განსაჩივრების წესისამებრ და იმავე დროს საწინააღმდეგო აზრინ პირი უნდა გაუგზავნოს კონტროლს.

განყოფილება 3

შემდგომ დოკუმენტალურ რევიზიისათვის.

71. შემდგომ დოკუმენტალურ რევიზიას სახელმწიფო კონტროლი აწარმოებს მიღებულ ანგარიშების მიმოხილვის შემდეგ.

72. ანგარიშების მიმოხილვის დროს კონტროლი ვალდებულია დააკვირდეს, ხომ რაიმე ეჭვს არ ბადებს სარეკიზ-

ოდ წარმოდგენილი საბუთები; მაგალითად, გასწორებული ხომ არა არის-რა შიგ ისე, რომ ცალკე არ მოუხსენებია ეს შესწორება გამსწორებელს, აგრეთვე ხომ ისეთი წაფხეკილ-წარწერილი არა არის-რა, რასაც შეუძლიან შესცვალოს აზრი საბუთისა ანუ შიგ მოხსენებული რაოდენობა ფულისა; აგრეთვე წარმოდგენილი დავთრები, საბუთები და ანგარიშები არის თუ არა წესიერად ხელმოწერილი ან დამოწმებული და სხვა მისთანა.

73. უკეთუ ანგარიშების მიმოხილვის დროს კონტროლი შეამჩნევს, რომ ანგარიშვალდებულ დაწესებულებისა ან პირის მიერ წარმოდგენილი არ არის წესისამებრ საჭირო დოკუმენტები, აუწყებს, რომ წარმოადგინოს, რაც არ წარმოუდგენია; ამისათვის ვადად ერთი თვეა დადებული. თუ ანგარიშებში აღმოჩნდა ისეთი ნაკლულევანება, რომელიც მიწერმოწერით ვერ იქნება თავიდგან აცილებული, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა ანგარიშები, ან დავთრები ხელმოუწერელია, ანუ კიდევ შეუმოწმებელია სათანადო მოხელეთა მიერ, ასეთი ნაკლულევანი საანგარიშო მასალა უკან დაუბრუნდება წარმომდგენელს შესასწორებლად და უკან გამოსაგზავნად ორი კვირის განმავლობაში იმ დღიდან დაწყებული, რა დღესაც იგი ცნობას მიიღებს კონტროლისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა, კონტროლის საერთო საკრებულოს გადაწყვეტილებით, საქმე უნდა მიმართულ იქნეს მე-92 მუხლში ნაჩვენები წესით.

74. ანგარიშების მიმოხილვის დასრულებისა და ამ მიმოხილვის დროს აღმოჩენილ ნაკლულევანების მოშორების შემდეგ, კონტროლი შეუდგება სახაზინო თანხებისა, ქონებათა და სპეციალ ღონისძიებათა კატეგორიის ფულისა და დეპოზიტების რევიზიას იმ წესის დაცვით, რაიცა მოხსენებულია 25—34 მუხლებში.

75. რევიზიაყოფილი ანგარიში უნდა განბჭობილ იქმნეს სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს მიერ, რომელიც ამტკიცებს ოპერაციებს რა რაოდენობისაც უნდა იყოს, რაკი ის ოპერაციები მიჩნეულ იქნება, ვითა კანონიერი, წესიერი და ეკონომიური.

76. სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს ნება აქვს დაამტკიცოს ისეთი ხარჯი, არა უმეტეს სამასის თუმნი-

სა ყოველ თითოეულ შემთხვევაში, რომლისათვისაც ყველა ფორმალური მხარე შესრულებული არაა ან იმის გამო, რომ ანგარიშვალდებული პირი მომკვდარა, ან კიდევ იმის გამო, რომ გადაწყვეტილ ფასის არ-არსებობას გინა რაიმე სხვა საპატიო და შესაწყნარებელ მიზეზს ანგარიშვალდებული დაწესებულება ან პირი დაუბრკოლებია ფორმალურ მხარეების შესრულებისათვის, და რომელი ხარჯიც ამის მიზეზით ზოგად სარეკვიზიო წესით არ შეიძლება მიჩნეულ იქმნეს მთლად გამართლებულად. დამტკიცება ამგვარი ხარჯებისა შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათანადო მთავრობა დაამოწმებს, რომ ფული მოხმარებულ და დახარჯულ იქმნა დანიშნულებისამებრ და ნამდვილად საჭირო იყო მისი დახარჯვა; ხოლო თუ შემდეგში აღმოჩნდება, რომ ეგ დამოწმება სწორი არ იყო, მაშინ, გარდა პირადის პასუხისმგებლობისა, დანახარჯი უნდა გადახდეს იმას, ვინც მოწმობა გასცა.

77. სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს ეფლება აქვს: ა) დაამტკიცოს ამა თუ იმ ოპერაციაში მომხდარი ეადამეტებული ხარჯი, გამოწვეული განსაკუთრებულის გარემოებით, რაოდენობით არა უმეტეს სამასის თუმნისა, თუ ასეთს გადამეტებულს ხარჯს ჰფარავს იმავე ოპერაციაში დანაზოგი და გადარჩენილი ფული, გადარჩენილი ისე, რომ საქმეს არა ჰვნებია-რა; დაამტკიცოს აგრეთვე ისეთი ზედმეტი დანახარჯი, ჯამის შეუზღუდველად, როცა ცალკე კანონდებულებით გამგებელთ უფლება აქვთ მინიჭებული დაჰფარონ ზედმეტი ოპერაციის ერთის კერძოობისა და ნაწილისა მის მეორე კერძოობასა და ნაწილში დაზოგვილითა, ჯამის განუსაზღვრელად; ბ) დაამტკიცოს ამა თუ იმ ოპერაციის ხარჯები სამას თუმნამდე, თუნდა ამ ხარჯებს თან ახლდეს უწესოდ გამოყენება ხარჯთ-აღრიცხვის წესებისა ანუ უწესო მოქმედება ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა და პირთა, უკეთუ ამგვარ წესის დარღვევით ნამდვილად ზარალი არა მოსულიარა ხაზინას და გ) დასტოვოს პასუხისგების აღუძვრელად ყოველგვარი უწესო ხარჯი, თუ მისი ჯამი წლის განმავლობაში სამს თუმანს არ აღემატება თითოეულ პასუხისმგებელ მოხელეზედ.

78. უკეთუ რევიზიის დროს აღმოჩნდა ზარალი და ზიანი, გამოწვეული ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა და პირ-

თა განკარგულებითისა და აღსრულებითის მოქმედებით და თუ ეს მოქმედება მიჩნეულ იქნება, ვითა უკანონო, არა-წესიერი ან არა-ეკონომიური, კონტროლი აუწყებს იმ დაწესებულებასა და პირთ სარევიზიო შენიშვნებს მათგან ჯეროვანის ახსნა-განმარტების მისაღებად.

79. სარევიზიო შენიშვნის მიღებისთანავე ანგარიშვალდებული დაწესებულება თუ პირი მოითხოვს განმარტებას იმ თანამდებობის პირისაგან, რომელიც შესაძლოა პასუხისგებაში იქმნეს მიცემული, თუნდაც ის მოხელე იმ ჟამად სამსახურში აღარ ირიცხებოდეს, და აუწყებს კონტროლს ამ განმარტებას თავის დასკვნითურთ ერთის თვის განმავლობაშ, დღიდან სარევიზიო შენიშვნის მიღებისა.

80. თუ ანგარიშვალდებული დაწესებულება ან პირი კონტროლის შენიშვნის სისწორეს სცნობს, დაუყოვნებლივ მოახდენს განკარგულებას, შევსებულ იქმნეს მიყენებული ზარალი და ზიანი, რასაც აუწყებს კონტროლს წინა მუხლში (79) მოხსენებულს ვადაზედ.

81. უკეთუ შეუძლებელია დაწესებულს ვადაზედ გაგზავნილ იქმნეს ახსნა-განმარტება სარევიზიო შენიშვნის გამო, ანგარიშვალდებულმა დაწესებულებამ თუ პირმა ორის კვირის გასვლამდე დღიდან ასეთის შენიშვნის მიღებისა, უნდა შეატყობინოს სახელმწიფო კონტროლს მიზეზი დაგვიანებისა და დაასახელოს რაც შეიძლება მოკლე ვადა, ყოველ შემთხვევაში დადებულ ვადას ზევით არა უმეტეს ერთის თვისა, როდესაც მოთხოვნილი ახსნა-განმარტება გაგზავნილ იქნება.

82. მიიღებს-რა დადებულ ვადაზედ სარევიზიო შენიშვნის გამო ახსნა-განმარტებას, კონტროლის საერთო საკრებულო დაამტკიცებს ოპერაციებს, თუ ის ოპერაციები მის მიერ მიჩნეულ იქმნა, ვითა კანონიერი, წესიერი და ეკონომიურად წარმოებული, ხოლო ზარალისა და ზიანის რაოდენობას, რომელიც მოყენებულია ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა და პირთა განკარგულებითისა და აღსრულებითის მოქმედებით, რაც მიჩნეულია კონტროლის მიერ, ვითა უკანონო, არაწესიერი და არა-ეკონომიური, დადებულ ანგარიშდანაკლისად დაადგენს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ა) დადგენილება საერთო საკრებულოსი ანგარიშდანაკლისის დადებისათვის 150 მა-

ნეთამდე საბოლოოდ ითვლება და მისი განსაჩივრება არ შეიძლება;

ბ) უკეთუ აღმოჩნდა ახალი რამ გარემოება ანუ საბუთი საკრებულოს მიერ გადაწყვეტილ საქმის შესახებ, საკრებულოს უფლება აქვს ეს საქმე ხელმეორედ გადასინჯოს და ახალი დადგენილება გამოიტანოს.

83. თუ სარევიზიო შენიშვნის გამო ახსნა-განმარტება არ მიუვიდა დადებულ ვადაზედ, საერთო საკრებულო იმ საბუთების ძალითა სწყვეტს საქმეს, რა საბუთებიც ხელთა აქვს.

84. სარევიზიო შენიშვნის გამო ახსნა-განმარტება, თუ სახელმწიფო კონტროლში მიღებულ იქმნა იგი დადგენილ ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ საკრებულოში საქმის განხილვამდე, საქმის გადაწყვეტის დროს უნდა ყურადიღოს კონტროლმა.

85. საერთო საკრებულოს მიერ ანგარიშდანაკლისის დადებისათვის დასკვნის გამოსატანად დადგენილია ერთის თვის ვადა დღიდგან სარევიზიო შენიშვნის გამო ახსნა-განმარტების მიღებისა კონტროლში ან, თუ ეს ახსნა-განმარტება ვადაზედ არ იქმნა მიღებული, დღიდგან ამის ვადის გასვლისა.

86. დასკვნა საერთო საკრებულოსი ანგარიშდანაკლისის დადებისათვის უნდა ეუწყოს ანგარიშვალდებულ დაწესებულების უფროსს ან ანგარიშვალდებულ პირის მახლობელ მთავრობას განკარგულების მოსახდენად, რათა დადებული ანგარიშდანაკლისი გადახდევინებულ იქმნეს; ხოლო თუ პასუხისგება ანგარიშდანაკლისისათვის უმთავრეს განმკარგულებელთ (მინისტრებს) დაედება, ზემოხსენებულ საკრებულოს დადგენილება წარედგინება საკანონმდებლო დაწესებულებას.

87. ანგარიშდანაკლისის თაობაზე დასკვნის მიღების შემდეგ ანგარიშვალდებულ დაწესებულების უფროსი ან ანგარიშვალდებულ პირის მახლობელი მთავრობა, კუთვნილებისამებრ, აუწყებს სახელმწიფო კონტროლს ერთის თვის განმავლობაში დღიდგან დასკვნის მიღებისა, ეთანხმება თუ არა ამ დასკვნას.

88. თუ ანგარიშვალდებულ დაწესებულების უფროსი ან ანგარიშვალდებულ პირის მახლობელი მთავრობა, კუთვნილებისამებრ, ეთანხმება სახელმწიფო კონტროლის საერთო საკ-

რებულოს დასკვნას ანგარიშდანაკლისის დადების თაობაზე, მაშინ საქმეს შემდეგი მსვლელობა ეძლევა თანახმად 129—140 მუხლებისა.

89. უკეთუ უფროსი ანგარიშვალდებულ დაწესებულებისა ანუ მახლობელი მთავრობა ანგარიშვალდებულ პირისა არ ეთანხმება კონტროლის საერთო საკრებულოს დასკვნას ანგარიშდანაკლისის დადების თაობაზე, მთლად ან ნაწილოვანად, იგი უფროსი გინა მთავრობა, კუთვნილებისამებრ, საქმეს გაჰგზავნის, განსაჩივრების წესით, რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლო დაწესებულებაში და თან დაურთავს დაწვრილებით აღნუსხულს იმ მიზეზებს, თუ რა მიზეზებითაც შესაძლოდ ვერ სცნობს დაეთანხმოს დასკვნას ანგარიშდანაკლისის დადებისათვის. თუ უთანხმოება შეეხება დადებულ ანგარიშდანაკლისის მხოლოდ ნაწილს, უდავო მისი ნაწილი უნდა მიიმართოს გადასახდევინებლად. თუ როდის გაიგზავნა განსაჩივრების წესით საქმე სასამართლოში, უნდა ეუწყოს სახელმწიფო კონტროლიორს განსაჩივრების პირის დართვითურთ.

90. იმ ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც ნაჩვენებია მე-87 მუხლში, თუ განსაჩივრება დაწყებული არ იქმნა, დადგენილება ანგარიშდანაკლისის დადებისა ძალაში შედის, რასაც სახელმწიფო კონტროლი აუწყებს ანგარიშვალდებულ დაწესებულების უფროსს ანუ მახლობელ მთავრობას ანგარიშვალდებულ პირისას, კუთვნილებისამებრ, რათა განკარგულება მოახდინონ დადებულ ანგარიშდანაკლისის გადასახდევინებლად.

91. რასაც სასამართლო დაწესებულება გადაწყვეტს სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს დადგენილების განსაჩივრებისათვის, იმისი პირი სასამართლომ სახელმწიფო კონტროლიორს უნდა აუწყოს აღსასრულებლად.

92. უკეთუ ანგარიშის რევიზიის დროს განმკარგულებელთა ან აღმასრულებელთა მოქმედებაში აღმოჩენილ იქმნა ნიშნები ბოროტგანზრახვისა, სახელმწიფო კონტროლიორი საქმეს წარუგზავნის სასამართლო პალატის პროკურორს ან სამხედრო პროკურორს, კუთვნილებისამებრ; ხოლო თუ საქმე აღმასრულებელ ძალის უმთავრეს განმკარგულებელთ

(მინისტრებს) შეეხება, სახელმწიფო კონტროლიორს ამაზედ საკანონმდებლო დაწესებულებაში შეაქვს მოხსენება.

93. წინა მუხლში (92) მოხსენებული წესი საქმის დაწყებისა თანამდებობის პირთა პასუხისგებაში მისაცემად უნდა დაცულ იქმნეს იმ შემთხვევაშიაც, როცა საეჭვოდ მიჩნეულ თანამდებობის პირს თავი გაუნებებია სამსახურისათვის ან სხვა უწყებაში გადასულა. ორსავე შემთხვევაში საქმეს აღძრავს სახელმწიფო კონტროლი, რომელიც მისწერს იმ უწყებას, სადაც ადგილი ჰქონდა საეჭვო მოქმედებას, და აგრეთვე მიჰმართავს სათანადო საპროკურორო ზედამხედველობას.

94. ცნობა საეჭვოდ მიჩნეულ თანამდებობის პირის სამართალში მიცემის, ან მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმის მოსპობისა იმ პირთა მთავრობამ სახელწიფო კონტროლიორს უნდა აუწყოს.

95. იმ საქმეების გამო, რომელიც გადაცემულია სასამართლოს წესით საწარმოებლად, სახელმწიფო კონტროლის ვალია აღრიცხოს იმ საბუთების მიხედვით, რაც ანგარიშებში მოიპოვება, რამდენი მოსვლია ხაზინას ზარალი და ზიანი, რომელიც უნდა გადახდევინებულ იქმნეს. ცნობა ამ ზარალის რაოდენობისა უნდა გაეგზავნოს ანგარიშვალდებულ დაწესებულებას, აგრეთვე, საპროკურორო ზედამხედველობის საშუალებით, სასამართლო დაწესებულებასაც.

96. უკეთუ მოისპო სისხლის სამართლით დაწყებული საქმე, აგრეთვე თუ სასამართლომ გაამართლა სისხლის სამართლით პასუხისგებაში მიცემული თანამდებობის პირი, ხაზინისადმი მიყენებულ ზარალისა და ზიანის საქმე შემდეგს მსვლელობას სარევიზიო წესით მიიღებს.

თ ა ვ ი 3

ფაქტიურ რევიზიისათვის.

97. ფაქტიურ რევიზიის წარმოებისათვის სახელმწიფო კონტროლს უფლება აქვს, თავის უწყების მოხელეთა სახით:

ა) დაესწროს საჯარო ვაჭრობის და შეჯიბრების წარმოებას;

ბ) შეამოწმოს სინაღდე ნივთიერის ქონებისა (საინვენტაროსი და სახარჯოსი) საცავებში და ფულის თანხებისა — კასებსა და ცალკე მოხელეთა ხელში;

გ) შეამოწმოს ნამდვილი რაოდენობა ხაზინის ულუფაზედ ცყოფთა, აგრეთვე შინაურ მეურნეობის მდგომარეობა ჯარის ნაწილებისა, სამხედრო უწყების მართველობათა, დაწესებულებათა და წარმოებათა;

დ) დაესწროს შემოწმებასა და მიღებას წარმოებულ ნაგებ-ნაშენის და სამუშაოებისა, აგრეთვე გასინჯვას და მიღებას შეძენილ მასალებისა და საზოგადოდ ყოველგვარ ქონებისას;

ე) შეამოწმოს ცნობა, რომლის მიხედვითაც იანგარიშება სამუშაო, შეამოწმოს მომუშავეთა ნამდვილი რაოდენობა, დათვალიეროს საქმე და ნამუშევარი მისის წარმოების ყოველ დროს;

ვ) დაესწროს, როცა დროგამოშვებით ქონების დათვალიერება სწარმოებს, როცა ქონება ერთის პირისგან მეორეს გადაეცემა, როცა ადგენენ ოქმებს იმის დასამოწმებლად, რომ ქონება საჭირო არაა, უვარგისია ან შესაკეთებელი და გასაახლებელია, აგრეთვე დაესწროს, როცა ქონებას ხელახლად შეაფასებენ ან მოსპობენ;

ზ) დაესწროს, როცა ადგილობრივ იძიებენ ზარალის რაოდენობას, რომელიც წარმომდგარა არაჩვეულებრივ გარემოებისაგან;

ᲗᲘ) დაესწროს, როცა სწარმოებს საცდელი გასინჯვა საფარგლო ნორმების დასაწესებლად ანუ სხვა მიზნისათვის;

თ) საზოგადოდ აწარმოოს განხილვა და შემოწმება და დაესწროს ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა და პირთა მოქმედებას, რომელიც შეეხება მათ მიერ წარმოებულ ოპერაციათა აღსრულებას და ამ ოპერაციებთან დაკავშირებულს ტრიალს თანხებისა და ქონებისას.

98. ანგარიშვალდებულნი დაწესებულებანი და პირნი მოვალენი არიან აღმოუჩინონ კონტროლის მოხელეებს, ფაქტიურ რევიზიისათვის გაგზავნილთ, ყოველგვარი შემწეობა, რათა იმათ წარმატებით შეასრულონ მათთვის მინდობილი მოვალეობანი.

99. ფაქტიურს რევიზიას აწარმოებენ სახელმწიფო კონ-

ტროლის მოხელენი ან სახელმწიფო კონტროლიორის დავალებით, ან განმკარგულებელ მართველობათა შეტყობინებით.

100. კასებისა და ნივთიერ ქონების მუდმივ საცავთა ფაქტიური რევიზია, როცა ამას ითავებს სახელმწიფო კონტროლი, უნდა სწარმოებდეს თანხისა და ქონების პასუხისმგებელ მცველთა ანუ მათ მაგიერთა თანადასწრებით. ფაქტიური რევიზია სააღმშენებლო და სხვა ოპერაციებისა, აგრეთვე ნივთიერ ქონების დროებითის საცავისა წარმოებს იმ მოხელის თანადასწრებით, რომელიც აღმოჩნდება ფაქტიურ რევიზიის ადგილას. მათ შორის, ვისაც აბარია ხელმძღვანელობა შესამოწმებელ სამუშაოთა ანუ ვინც ზედამხედველობს ამ სამუშაოებს და თვალყურს ადევნებს, რათა რევიზიის ქვემდებარე ქონება დაცული იყოს.

101. უწყება მისი, თუ როდის დაიწყება ვაჭრობა, შემოწმება, ჩაბარება და სხვა ამგვარი საქმე, უნდა გაეგზავნოს კონტროლს ან ადგილობრივ ფაქტიურ კონტროლის წარმომადგენელს წინდაწინვე და ყოველ შემთხვევაში იმ ვარაუდით, რომ კონტროლის თანამდებ მოხელეს შეეძლოს მისვლა აღნიშნულ მოქმედების ადგილას იმ დროისათვის, რომელიც მოხსენებულია უწყებაში.

102. ყოველი არაჩვეულებრივი შემთხვევა (მაგალითად, უეცარი სიკვდილი, ჭკუაზედ შეშლა, შეუტყობინებლად და დაუკითხავად წასვლა სადმე იმისი, ვისაც ებარა დაცვა ქონებისა, აღმოჩენა გაფლანგვისა, ქონების გატაცება, ცეცხლის გაჩენა და სხვა) და საზოგადოდ ყოველი ისეთი შემთხვევა, როცა მიზეზი და რაოდენობა ხაზინისადმი მიყენებულ ზარალისა შესაძლოა აღნუსხულ იქმნეს მხოლოდ იმ დროსვე, როცა ეს ზარალი მიყენებულ იქმნა, კონტროლს უნდა ეუწყოს დაუყოვნებლივ.

დანიშნულ დროზედ მიუსვლელობა კონტროლის წარმომადგენლისა იქ, სადაც მიუწოდებენ, ვერ შეაჩერებს განმკარგულებელ მართველობის მოხელეთა განზრახულ მოქმედებას.

103. როცა სწარმოებს შემოწმება და მიღება სხვადასხვა საგნებისა, მასალისა და სამუშაოსი, სახელმწიფო კონტროლის მოხელენი შეამოწმებენ ყველა ამის ნამდვილად არსებობას, რაოდენობას, წონასა და ზომას, აგრეთვე იმას, შეესაბამება თუ არა შესამოწმებელი საგნები, მასალა და სამუშაო

ყველა პირობას მასალის დამზადებისა და სამუშაოთა წარმოებისას.

104. ნამუშევარის და დამზადებულ მასალის და საგნის ღირსებისა და ტექნიკურ თვისების დაფასება ანგარიშვალდებულ დაწესებულების მოხელეთა მოვალეობაა და ამ მხრივ სრული პასუხისმგებლობა იმათ ედება ვალად. უკეთუ სახელმწიფო კონტროლის მოხელეებმა სცნეს, რომ ნამუშევარი, მასალა და საგნები არასრულყოფილია ან არ შეესაბამება სატექნიკო პირობასა და მოთხოვნილებას, ზემოხსენებულ მოხელეებს ვალად ჩაეთვლება აღძრან თავის მთავრობის წინაშე საკითხი, რომ საჭიროა ხელმეორედ შემოწმება ნამუშევარისა ანუ ხელახალი გასინჯვა მასალებისა და საგნებისა მცოდნე პირთა თანადასწრებით.

105. როცა შესამოწმებელია სამუშაო ძალა, სახელმწიფო კონტროლის მოხელენი უნდა დარწმუნდნენ, იმდენი რიცხვია მუშებისა დაყენებული საქმეზედ, იმ სამუშაოს ასრულებენ და იმ ფასად, რაც ნაჩვენებია ტაბულებში, მუშათა სიებში ანუ სხვა შესაფერ საბუთებში, თუ არა; ამასთანავე კონტროლს ნება აქვს შევიდეს იმის განსჯაში, თუ რა ღირსებისა და რაოდენობისაა შესრულებული სამუშაო, და ეს გარემოება დაუკავშიროს იმას, თუ რამდენი დროა სამუშაოზედ დახარჯული.

106. როცა ფაქტიური რევიზია ხდება საალმშენებლო ოპერაციებისა, სახელმწიფო კონტროლის მოხელენი უნდა დარწმუნდნენ: ა) ნამდვილად შესრულებულია თუ არა ის საქმე, რომლის დამოწმებაც ფაქტიურ რევიზიის ფარგალში შედის; ბ) შეესაბამება თუ არა ის საქმე იმ პირობას, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს, და გ) ეთანხმება თუ არა საბუთების ცნობა სინამდვილეს.

107. უთანხმოება, წარმომდგარი ანგარიშვალდებულ დაწესებულებასა და კონტროლის წარმომადგენლის შორის შესამოწმებელ საგნის, მასალის, სამუშაოს ან ნაგებ-ნაშენების მიღებისა ანუ შემოწმების დროს, უნდა გადაწყდეს ამ საგნისა, მასალისა, სამუშაოსა ანუ ნაგებ-ნაშენის ხელმეორედ შემოწმებით; ამ შემოწმებაში მონაწილეობისათვის კონტროლი მცოდნე პირებს მიიწვევს. თუ ჩამოვარდნილი უთანხმოება ვერ გათავდა ანგარიშვალდებულ დაწესებულების უფროსისა

და კონტროლის წარმომადგენელს შორის შეთანხმებით, საქმე გადასაწყვეტად გადადის ცენტრალ განმკარგულებელთა და კონტროლის დაწესებულების ხელში, ამათვე გადაეცემა ხელმეორე შემოწმების ოქმები და აგრეთვე მცოდნე პირთა დასკვნა. ყოველთვის, როცა აღძრული საკითხი ნაწარმოებთა ღირსებას ეხება, კონტროლის წარმომადგენლებმა უნდა აიღონ ნიმუშები ნუზლ-სურსათისა და თითო ცალი-ნივთი შემოწმებული ქონებისა და დაჰბეჭდონ თავის ბეჭდითა და იმათი ბეჭდითაც, ვინც განაგებდა ქონებას. ხსენებული ნიმუშები და ცალი-ნივთები შემოწმების ოქმთან ერთად ეგზავნება შემოწმებულ დაწესებულების პირდაპირს მთავრობას.

108. თუ საკრებულომ, რომელიც აწარმოებს საჯარო ვაჭრობას ანუ შეჯიბრებას, უყურადღებოდ დასტოვა კონტროლის წარმომადგენლის განცხადება კანონის ან დადგენილ წესების დარღვევის გამო, კონტროლის წარმომადგენელი, როცა ხელს მოაწერს ვაჭრობისა ანუ შეჯიბრების ოქმს, ზედმიწევნით აღნიშნავს, სახელდობრ რაში გამოიხატა კანონისა ანუ დადგენილი წესის დარღვევა, და ამას აუწყებს თავის უფროსს.

109. კასებისა და ქონების საცავთა წინასწარ დაბეჭდვის დროს, როცა ეს რევიზიისათვის საჭირო იქნება, აგრეთვე თვით ფაქტიურ რევიზიის წარმოების დროს, სახელმწიფო კონტროლის მოხელენი ჯეროვან ღონისძიებას მიიღებენ, რომ, რამდენადაცკი შეიძლება, არ შეჩერდეს ჩვეულებრივი საქმიანობა ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა.

110. კასებისა და საინვენტარო და სახარჯო ქონების მუდმივ საცავთა ფაქტიურ რევიზიის დროს, პასუხისმგებელ შემნახავთა გარდა, შესაძლოა მოწვეულ იქმნეს დასასწრებლად შესამოწმებელ უწყების წარმომადგენელიც.

111. თუ კასები და მუდმივი საცავნი ქონებისა იქ იმყოფება, სადაც არიან განმკარგულებელნი მართველობანი, რომელთაც პირდაპირ ექვემდებარება კასა ანუ საცავი, მაშინ შესამოწმებელ უწყების წარმომადგენლად უნდა მიწვეულ იქმნეს უფროსი შესამოწმებელ მართველობისა; უფროსს ნება აქვს თავის მაგიერ გაგზავნოს ფაქტიურ რევიზიაზედ დასასწრებლად თავისი ხელქვეითი მოხელე.

112. როცა შესამოწმებელია სამხედრო უწყების ქონება, ამ უწყების წარმომადგენლის მოსაწვევად სახელმწიფო კონტროლის მოხელენი მიჰმართავენ სათანადო სამხედრო მთავრობას.

113. დაუსწრებლობა იქ, სადაც კასა ანუ ქონების საცავია, იმისი, ვინც მოწვეულია როგორც წარმომადგენელი შესამოწმებელის უწყებისა, ან მიუსვლელობა მისი იმ დროისთვის, როცა დანიშნულია შემოწმება, აგრეთვე მოუხერხებლობა მოწვევისა, კასისა ანუ ქონების საცავის ადგილ-მდებარეობის პირობის მიზეზით გამოწვეული, ვერ დააბრკოლებს შემოწმების წარმოებას.

114. შემოწმება კასისა სწარმოებს ფულის ნიშნებისა და ფასეულობის დათვლით. ამ საზოგადო წესს არ ექვემდებარება დროებით შესანახად ხაზინის საკუჭნაოში გადაცემული ფული, დაცული ყუთებსა, სკივრებსა და პაკეტებში, თან დაბეჭდილი იმ დაწესებულების ან პირის ბეჭდით, ვინც გადასცა შესანახად. ამგვარ ფულისათვის რევიზიის მწარმოებელმა უნდა შეამოწმოს მხოლოდ, მთელია თუ არა ყუთი, სკივრი და პაკეტი, აგრეთვე მათზე დაკრული ბეჭედი, და ეთანხმება თუ არა ამ ყუთ-სკივრ-პაკეტთა რაოდენობა იმ ციფრებს, რომელიც მიღების დავთრებშია აღნიშნული.

115. თუ კასებსა და ქონების საცავში შესამჩნევად ბევრია ფულის ნიშნები და ფასეულობა, აგრეთვე ნივთები და მასალები, სახელმწიფო კონტროლის მოხელეებს ნება აქვთ დასთვალონ მხოლოდ რამდენიმე ნაწილი. დანარჩენი ნაწილი ფულის ნიშნებისა და ფასეულობისა შესაძლოა შემოწმებულ იქმნას აწონით, პარკების დათვლით, დასტობით და სხვა ამგვარად. თუ შიგა და შიგ გასინჯულ რომელსამე პარკსა ანუ დასტაში აღმოჩნდება მეტი ან ნაკლები, ვიდრე უნდა ყოფილიყო, მაშინ კონტროლის მოხელენი მოვალენი არიან შეამოწმონ, სწორედ რამდენია სულ ნაღდი ფული, ფასეულობა, ნივთეულობა და მასალები იმ გზითა და წესით, რომელსაც უფრო მიზან-შეწონილად დაინახავენ.

116. ფაქტიურ რევიზიის ოქმები ალაგობრივ უნდა შესდგეს და ხელ-მოწერილ იქმნეს ყველა დამსწრეს მიერ. ოქმების შედგენა სავალდებულოა, როცა რევიზია შეეხება კასას და ქონებათა მუდმივს საცავს, აგრეთვე ყველა იმ შემთხვევა-

ში, როცა რაიმე უწესოება ან დაუდევრობა იქნება შეჩნეული. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ცალკე ოქმების ნაცვლად შესაძლოა სათანადო საბუთებს აწერეროს შედეგი რევიზიისა.

117. როცა ფაქტიური რევიზია სწარმოებს თანხების და ქონების სინაღდისა, საჭიროა, გარდა ოქმების შედგენისა, საცა აღნიშნული იქნება რევიზიის შედეგი, გაკეთდეს წარწერა დავთრებშიაც, რომლების მიხედვითაც იქმნა დასკვნილი, თუ რაოდენი უნდა ყოფილიყო ნაღდად თანხები და ქონება.

118. იმ შემთხვევაში, როცა კასებისა და ქონების საცავთა რევიზიის დროს აღმოჩნდება, რომ ფულსა და ქონებას აკლია, მასალა უვარგისია, ნაკლულევანება და უჯეროვნობა ეტყობა დაცვის წესსა და რიგს ანუ საზოგადოდ რაიმე უწესოება და დაუდევრობა შემჩნეულ იქნება, სახელმწიფო კონტროლის მოხელენი შეადგენენ ამის გამო ოქმს დამსწრეთა ხელის მოწერით და დაუყოვნებლივ აუწყებენ თავისს მთავრობას, რომელიც თავის მხრივ აუწყებს კასისა ანუ ქონების საცავის მთავრობას, რათა მან ჯეროვანი განკარგულება მოახდინონ.

უკეთე კასისა, საწყობისა ან მაღაზიის რევიზიის დროს აღმოჩნდა ქონება იმაზედ მეტი, რაც დავთრის ანგარიშებით უნდა იყოს, ეს ზედმეტი იქვე ჩაიწერება რევიზორის მიერ შემოსავლად, როგორც სახაზინო საკუთრება, და აღინიშნება ოქმშიაც, რომელსაც ზედ დაერთვის განმარტება იმისი, ვინც განაგებს ქონებას, თუ რა მიზეზით წარმოსდგა ის ზედმეტი ქონება.

119. თუ ფაქტიური რევიზია მოჰხდა არა სახელმწიფო კონტროლის მოხელეთა თაოსნობით, არამედ განმკარგულებელ მართველობის თხოვნითა და შეტყობინებით, მაშინ სათანადო ოქმების შედგენა მოვალეობაა ანგარიშვალდებულ დაწესებულების მოხელეებისა. ამ შემთხვევაში ოქმებს ხელს აწერენ წარმომადგენელნი კონტროლისა დანარჩენ დამსწრეებთან ერთად.

120. თუ კონტროლის წარმომადგენელი თანახმა არ არის იმ ოქმის შინაარსისა, რომელიც შეადგინეს ანგარიშვალდებულ დაწესებულების მოხელეებმა, მას შეაქვს თავისი დასკვნა იმავე ოქმში ხელის მოწერისათანავე და ზედმიწევნით

აღნიშნავს, სახელდობრ რა და რა ცნობა ოქმისა მიაჩნია არასწორად და სინამდვილის შეუსაბამოდ.

121. ფაქტიურის რევიზიის არც ერთს დამსწრე მოხელეს ანგარიშვალდებულ დაწესებულებისას უფლება არა აქვს უარი სთქვას იმ ოქმის ხელის მოწერაზედ, რომელიც შედგენილი იქნება სახელმწიფო კონტროლის მოხელეთა მიერ.

122. თუ ის, ვინც მოვალეა ხელი მოაწეროს ოქმს, რომელიც შედგენილია სახელმწიფო კონტროლის მოხელეთა მიერ, არ ეთანხმება ოქმის შინაარსს, ვალდებულია მოიხსენიოს ეს გარემოება ხელის მოწერისათანავე და ზედმიწევნით აღნიშნოს, სახელდობრ რა და რა ცნობანი ოქმისა მიაჩნია არასწორად და სინამდვილის შეუსაბამოდ.

123. ოქმში მოხსენებულნი ცნობანი, რაკი იგი ოქმი ხელმოწერილია სახელმწიფო კონტროლისა და ანგარიშვალდებულ დაწესებულების მოხელეთა მიერ იმის აღუნიშვნელად, თუ ვინ რასა და რაში არ ეთანხმება ოქმს, შემდეგში აღარ შეიძლება უარყოფილ იქმნეს. გარდა იმ შემთხვევისა, როცა ატყდება დავა სიყალბის ჩადენისათვის.

124. კონტროლის წარმომადგენელთა განცხადებით, იმათ მიეცემათ შემოწმებული პირი იმ ოქმებისა, რომელიც შედგენილია ანგარიშვალდებულ დაწესებულების მოხელეთა მიერ. ასეთივე პირი ოქმებისა, რომელიც შედგენილია სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელთა მიერ, მიეცემა, განცხადებისამებრ, ანგარიშვალდებულ დაწესებულებას კონტროლის მიერ.

თავი 4

შედეგებისათვის სარევიზიო ანგარიშდანაკლისის დადებისა.

განყოფილება 1

სარევიზიო ანგარიშდანაკლისის უზრუნველყოფის წესისათვის.

125. ანგარიშვალდებულ დაწესებულების უფროსი ანუ მახლობელი მთავრობა ანგარიშვალდებულ პირისა მოვალეა მიიღოს ღონისძიებანი არა უგვიანეს ორის კვირისა, დღიდგან

კონტროლისაგან ამის ცნობის მიღებისა (მუხ. 86), რათა უზრუნველყოფილ იქმნეს დადებული ანგარიშდანაკლისის გადახდევინება, თუნდა განსაჩივრებულიც იყოს ეს დადგენილება.

126. ღონისძიებად ანგარიშდანაკლისის წინასწარვე უზრუნველყოფისათვის ჩაითვლება: ა) შეკვრა უძრავის ქონებისა; ბ) დაკავება მოძრავის ქონებისა; გ) გამორიცხვა ჯამაგირიდგან, პენსიიდგანა და სხვა შემოსავლიდგან; დ) შეჩერება ხაზინიდგან კუთვნილის ფულის მიცემისა იმისთვის, ვისაც დაედო ანგარიშისდანაკლისი, და ე) თავდებობა.

127. შეკვრა ქონებისა და მისი დაკავება, როგორც აგრეთვე გამორიცხვა ჯამაგირ-პენსიიდგან და სხვა გარდაკვეთილ მისაცემიდგან, სწარმოებს იმ წესით, რომელიც მოხსენებულია ხაზინის უდავო საქმეთა გამო გადახდევინების დებულებაში (კანონ. კრებ. ტ. XVI, ნაწ. მეორე, გამოც. 1910 წლ.): თავდებობისთვის-კი სახელმძღვანელოა ის წესები, რომელიც მოხსენებულია სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებაში.

128. ის ფული, რომელიც შემოდის ანუ დაჭერილია ანგარიშდანაკლისის უზრუნველსაყოფად, ვიდრე საქმე გადაწყდებოდეს, იგზავნება გამგე მართველობის მიერ ხაზინაში, რათა იქ ჩარიცხულ იქმნეს ამ მართველობის დეპოზიტად; ხაზინიდგან ამ ფულის გაცემა შეიძლება მხოლოდ კონტროლის თანხმობით. ფული, იმათ განცხადების თანახმად, ვისგანაც იგი შემოვიდა ანუ ვისაც დაუჭირეს, შესაძლოა პროცენტიან ქაღალდებად გადაქცეულ იქმნეს.

გაანყოფილება 2

გადახდევინებისათვის სარევიზიო ანგარიშდანაკლისისა.

129. ანგარიშვალდებულ დაწესებულების უფროსი და მახლობელი მთავრობა ანგარიშვალდებულ პირისა, კუთვნილებისამებრ, მოვალენი არიან ორ კვირაში იმ დღიდგან, როდესაც კონტროლს აუწყეს თვისი თანხმობა ანგარიშდანაკლისის დადებისათვის (მუხ. 87—88), ანუ იმ დღიდგან, როცა მი-

იღეს კონტროლის უწყება, რომ ანგარიშდანაკლისის შესახები დადგენილება ძალაში შევიდა (მუხ. 90), მოახდინონ ყველა საჭირო განკარგულება, რათა გარდახდევინებულ იქმნას დანაკისრები.

130. სარევიზიო ანგარიშდანაკლისის ნაკლულად შემოსვლის პასუხისგება ჰმართებს თანამდებობის პირთ, თუ ეს ნაკლებად შემოსვლა მომხდარა მათის დაუდევრობისა და უყურადღებობის მიზეზით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონსა და ცალკე დებულებაში ზედმიწევნით მითითებულია, თუ ვინ არის, თანამდებობის პირთა გარდა, პასუხისმგებელი შემოსავლის ნაკლულად შემოსვლისათვის.

131. სარევიზიო ანგარიშდანაკლისის საქმეში, თუ უწესოდ იქმნა გაცემული ფული ანუ ქონება, პასუხისგება ჰმართებს იმ თანამდებობის პირთ, ვისი ბრალიც იყო უწესოდ გაცემა. ასეთს საზოგადო წესს არ ექვემდებარება ისეთი შემთხვევა, როცა უსწოროდ გაცემულია ჯამაგირი ან სხვა გვარი ულუფა, რომელიც განსაზღვრული არის ჯამაგირის გადაკვეთილობით ანუ დაწესებული ნორმებით. ასეთი განაცემი გადახდება იმათ, ვინც მიიღეს, ანუ ანაზღაურებულ იქნება იმ თანხებიდგან, საცა შეცდომით ჩაერიცხა; მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა გაცემულია ზედმეტი ულუფა ჯარისკაცებზედ, მუშა-კაცებზედ და სხვა ასეთებზედ, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია გადაახდევინოს ზედმეტად მიცემული მიმღებს, მაშინ ანგარიშდანაკლისის პასუხისგება ჰმართებს მხოლოდ იმ მოხელეებს, რომელთა ბრალიც იყო ულუფის უწესოდ გაცემა.

132. განაწილება გადასახადისა, რომელიც ერთისა და იმავე ანგარიშდანაკლისით რამდენსამე მოხელეს დაედება, სწარმოებს მათის მთავრობის მიერ იმ ჯამაგირის პროპორციონალობით, რომელსაც იღებდნენ, როცა ანგარიშდანაკლისის გამომწვევ საქმიანობას აწარმოებდნენ.

133. იმ ზარალისათვის, რომელიც მოუვიდა სახაზინო თანხებსა და ქონებას დაწესებულებათა დადგენილების გამო, ქონებრივი პასუხისმგებლობა ჰმართებს იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო ხსენებულს დადგენილებაში, — დაწესებულების თავმჯდომარესა და წევრთ, და განაწილდება მათ შორის წინა (132) მუხლში მოხსენებულის წესით.

134. იმ მოსელეს, რომელსაც სარევიზიო ანგარიშდანაკლისი დაედო იმის გამო, რომ ნაკლულად ხემოვიდა შემოსავალი, ანუ იმისთვის, რომ წესიერად არ გასცა გასაცემი (მუხ. 130 და 131), ნება აქვს, შემოსავლის დანაკლისი და ხელფეტი გასაცემი სიმართლით იძიოს იმათგან, ვინც ისარგებლა ან მიიღო.

135. გადახდევინება სარევიზიო ანგარიშდანაკლისისა სწარმოებს იმ წესით, რომელიც მოხსენებულია ხაზინის უფავო საქმეთა გამო გადახდევინების დებულებაში.

136. ის ანგარიშდანაკლისი, რომელიც დაედება საზოგადოებრივ დაწესებულებას ანუ კერძო საზოგადოებასა და ამხანაგობას, რომელსაც დავალებული აქვს სახელმწიფო შემოსავლის აღება ან სახელმწიფო ხარჯის გაწევა, შესაძლოა ანაზღაურებულ იქმნეს იმ ფულიდგან, რომელიც ამ დაწესებულებას ერგება ხაზინიდგან.

137. ანგარიშდანაკლისის გადახდევინებისათვის სათანადო ღონისძიების მიღებისათანავე (მუხ. 129), უფროსი ანგარიშვალდებულ დაწესებულებისა ანუ მახლობელი მთავრობა ანგარიშვალდებულ ცალკე პირისა, კუთვნილებისამებრ, აუწყებს კონტროლს, რა ღონისძიება და საშუალება იქმნა მიღებული ანგარიშდანაკლისის შესავსებად, თან აღნიშნავს სახელს, მამის სახელს და გვარს იმათსა, ვისაც დაევალა ანგარიშდანაკლისის გადახდა.

138. უკეთუ ანგარიშვალდებულ დაწესებულების უფროსმა ანუ მახლობელმა მთავრობამ ანგარიშვალდებულ პირისამ, კუთვნილებისამებრ, არ მიიღო ღონისძიება ანგარიშდანაკლისისათვის პასუხისმგებელთა გამოსარკვევად, სარევიზიო შენიშვნის გამო განმარტების მისაღებად, ანუ ანგარიშდანაკლისის უზრუნველსაყოფად, ანუ მის შესავსებად, თვით ის დაწესებულება და მთავრობა ჩაითვლება პასუხისმგებლად ანგარიშდანაკლისისათვის.

139. ის ფული, რომელიც გადახდევინებულ იქნება ანგარიშდანაკლისისათვის ხაზინის ზარალის ასანაზღაურებლად, ჩარიცხულ უნდა იყოს სახელმწიფოს შემოსავალად ან სათანადო კრედიტების აღსადგენად, თუ ანგარიშდანაკლისად ჩათვლილი ფული გადახდევინებულ იქმნა იმ ვადის განმავლობაში, როცა ის ხარჯთაღრიცხვა ჰმოქმედებდა, რომლის მიხედვითაც ის ფული უწესოდ გაცემულ იქმნა.

140. გადახდილი ფული ანგარიშდანაკლისისათვის, რომელიც დადებული იყო სპეციალ საშუალებათა დანაკლისის ასანაზღაურებლად, აგრეთვე საზოგადოებრივ და სხვა თანხების აღსადგენად, გადარიცხულ უნდა იქმნეს ამ სპეციალ საშუალებათა და თანხებში, კუთვნილებისამებრ.

141. საბოლოოდ დამტკიცებულ ანგარიშდანაკლისთა გამო, რომელთა შესავსებად ფული უნდა შეტანილ იქმნეს ხაზინაში, კონტროლი თვალყურს ადევნებს, რომ გადახდევინება თავის დროზედ სწარმოებდეს. შესახებ ამგვარისავე ანგარიშდანაკლისისა, რომლის გამო ფული გადახდევინებულია სპეციალ საშუალებათა ანუ საზოგადოებრივ ანუ სხვა თანხების შესავსებად, კონტროლი უგზავნის ცნობას იმ მართველობათა უფროსებს, რომელთა გამგებლობაშიაც არის მოხსენებული თანხები, საზოგადოებრივს დაწესებულებას, ან სხვებს, კუთვნილებისამებრ.

განყოფილება 3

სარევიზიო ანგარიშდანაკლისის ჩამოწერისათვის.

142. საბოლოოდ დამტკიცებული ანგარიშდანაკლისები ჩამოიწერება: ა) თუ არავითარი იმედი არ არის, რომ შემოუვა ხაზინას, და ბ) თუ საერთო ხანგრძლიობა გავიდა.

143. ანგარიშდანაკლისის ჩამოწერა იმ საფუძვლით, რომელიც წინა მუხლშია (142) მოხსენებული, სწარმოებს სახაზინო ნაშთ-გადასახადის ჩამოწერისა და გადახდევინებისათვის კანონით დადგენილ წესისამებრ, მაგრამ ხსენებულ წესით ხელმძღვანელობა არ შეიძლება, თუ წინასწარ არ ეკითხა სახელმწიფო კონტროლს.

განყოფილება 4

ანგარიშდანაკლისთა დადების განსაჩივრებისათვის

144. თანამდებობის პირს, რომელსაც სარევიზიო ანგარიშდანაკლისის გადახდა დაადეს, შეუძლიან სათანადო მინისტრთან განასაჩივროს თავისის უფროსის განკარგულება ამ დადე-

ბისათვის ორის თვის განმავლობაში დღიდგან ამ განკარგულების გამოცხადებისა; ხოლო თუ ეს განკარგულება არ ყოფილა გამოცხადებული, მაშინ ამისთვის ვადა ითვლება იმ დღიდგან, როცა სისრულეში მოყვანილ იქნება განკარგულება.

145. წინა მუხლში (144) აღნიშნული საჩივარი უნდა მიერთვას იმ დაწესებულებას ანუ უფროსს, რომელმაც მოახდინა განკარგულება ანგარიშდანაკლისის გადახდევინებისა; საჩივარი იმ დაწესებულებამ ანუ უფროსმა თვისის დასკვნითურთ უნდა გაუგზავნოს ინსტანციის წესით სათანადო მინისტრს ორის კვირის განმავლობაში საჩივრის მიღების დღიდგან.

146. თუ მინისტრმა საჩივარი ანგარიშდანაკლისის გადახდევინების განკარგულებაზედ უსაფუძვლოდ სცნო, უშედეგოდ სტოვებს.

147. თუ მინისტრმა სცნო, რომ ანგარიშდანაკლისის გადახდა შეცდომით დასდებია მომჩივანს, განკარგულებას მოახდენს, რომ დანაკლისი გადაეხდეს იმას, ვისაც ჯერ არს.

148. მინისტრის განკარგულებით უკმაყოფილო პირს შეუძლიან ეს განკარგულება განასაჩივროს მე-146 მუხლში აღნიშნულ ვადაზედ.

საჩივარი მინისტრის განკარგულებაზედ მასვე უნდა მიერთვას რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლო დაწესებულების სახელზედ.

149. საჩივრის მირთმევა ანგარიშდანაკლისის გადახდევინების განკარგულებაზედ ვერ შეაჩერებს დანაკლისის გადახდევინებას.

თავი 5

ანგარიშთა რევიზიის დასრულების ვადისა და წესისათვის

150. რევიზია დასრულდება სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს მიერ რევიზიის შედეგის განხილვითა და დამტკიცებით.

151. რევიზია ფულის ანგარიშებისა დასრულდება: განვლილ სამოქალაქო წლის ანგარიშთა საკასო რევიზია — არა

უგვიანეს ივლისის 1-ისა საანგარიშო წლის შემდეგ; მოქმედებათა რევიზია არსებითად: ა) განვლილ სამოქალაქო წლის შემოსავალთათვის — არა უგვიანეს 6 თვისა საანგარიშო წლის შემდეგ; ბ) გასავალთათვის ჩვეულებრივ კრედიტებიდგან ხარჯთაღრიცხვის პერიოდის შეღავათიანის ვადის ზედ დართვით — არა უგვიანეს 6 თვისა იმ ხარჯთაღრიცხვის პერიოდისათვის შეღავათიან ვადის გათავების დღიდგან; გ) გასავალთათვის გაგრძობილ და ხარჯთაღრიცხვის ზედმეტ კრედიტებიდგან — არა უგვიანეს 6 თვისა დღიდგან ხარჯთაღრიცხვის დასრულებისა, ხოლო ხაზინის კრედიტორთა სიის მოქმედების დროისათვის — არა უგვიანეს 3 თვისა დღიდგან იმ სიჯების მოქმედების დასრულებისა.

152. რევიზია ნივთიერ ქონების ანგარიშებისა უნდა დასრულდეს ერთსა და იმავე დროს როგორც საკასო, ისე მოქმედების არსებითი მხრივ განვლილ სამოქალაქო წლისათვის ანუ ცალკე საანგარიშო პერიოდისათვის, თუ ის პერიოდი ერთს წელზედ ნაკლები არ არის, — არა უგვიანეს 6 თვისა ამ პერიოდის გასვლის შემდეგ.

153. სატეხნიკო ანგარიშის რევიზია უნდა დასრულდეს დამთავრებულ ოპერაციისათვის არა უგვიანეს 6 თვის გასვლისა იმ დღიდგან, როცა შესაფერი გასავლის ხარჯთაღრიცხვა დამთავრდა, და იმავე ვადაში დღიდგან ოპერაციის დამთავრებისა, თუ ოპერაცია განგრძობილი იყო ხარჯთაღრიცხვის მოქმედების ვადის შემდეგაც.

154. რევიზიის დასრულების თაობაზე საბოლოო დადგენილების მიღებამდე, საერთო საკრებულოს დანიშვნით მისის ერთის ან რამდენისამე წევრის მიერ, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ ამ რევიზიაში, უნდა მოხდეს შემოწმება რევიზიის სისწორისა; ასეთ შემოწმებისათვის არჩეულ იქნება უმთავრესად ისეთი ოპერაციები, ან ცალკე მუხლები, რომელიც განსაკუთრებულის ყურადღების ღირსია.

155. უკეთუ ასეთ შემოწმების დროს (მუხ. 154) აღმოჩნდება, რომ რევიზორს დამტკიცებულად ჩაუთვლია ისეთი ოპერაციები და მუხლები, რომელიც არ შეიძლება მიჩნეულ იქმნას წესიერად, მაშინ, საერთო საკრებულოს დანიშვნით და მის მიერ ნაჩვენებ ფარგლებში, უნდა მოხდეს განმეორე-

ბითი რევიზია ანგარიშისა, რაც მიენდობა იმას, ვინაც პირველ რევიზიაში მონაწილეობა არ მიუღია.

156. შედეგი რევიზიის სისწორის შემოწმებისა ჩაიწერება საერთო საკრებულოს იმ ჟურნალში, რომელიც რევიზიის დამთავრებას შეეხება, და თანვე აღინიშნება, ვინ აწარმოება ეს შემოწმება და სახელდობრ რას შეეხო იგი.

157. როცა შესრულებულ იქნება ეს შემოწმება რევიზიის სისწორისა, საერთო საკრებულო დაადგენს გადაწყვეტილებას რევიზიის დასრულებისათვის. ამ გადაწყვეტილებაში უნდა აღნიშნული იყოს ჯამები შემოწმებულ ოპერაციებისა მათის ასე განაწილებით: ა) ჯამები, რომელიც მიიჩნიეს რევიზიით წესიერად და, მაშასადამე, ღირსად დამტკიცებისა, ბ) ჯამები, რომელიც ანგარიშდანაკლისად იქმნა მიჩნეული საერთო საკრებულოს წინანდელის გადაწყვეტილებით და იმის აღნიშვნით, თუ რომელი მათგანი და ან რაოდენი იქმნა შევსებული და რაოდენი დარჩა შეუვსებელი, და გ) ჯამები, რომლის რევიზიაც დაუმთავრებელი დარჩა კანონიერის მიზეზით, მაგალითად, იმის გამო, რომ სარევიზიო ანგარიშები სასამართლოს აქვს წაღებული, არ არის გასული რევიზიის წარმოებისათვის დაწესებული ვადა და სხვა.

158. რევიზია იმისი, რაც დარჩენილა დაუმთავრებელი, უნდა დამტკიცდეს არა უგვიანეს 6 თვისა მას შემდეგ, როცა აცილებულ იქნება მიზეზები, რამაც გამოიწვია მისი დაუმთავრებლობა.

159. უკვე დასრულებულად გამოცხადებულ რევიზიის სისწორის შემოწმება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო კონტროლიორის განსაკუთრებულ ნებართვით თითოეულს შემთხვევაში და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ აღმოჩნდა ისეთი ახალი გარემოება, რომლის გათვალისწინება რევიზიის დროს შეუძლებელი იყო. უკეთუ ხუთი წელია გასული რევიზიის დასრულებულად გამოცხადების შემდეგ, მისი სისწორის შემოწმება აღარ მოხდება.

160. რევიზიის დასრულების გამო სახელმწიფო კონტროლი უგზავნის სათანადო დაწესებულებას და თანამდებობის პირს კვიტანციასა და ცნობას არა უგვიანეს ერთის კვირისა იმ დღიდგან, როცა შესდგა დადგენილება საერთო საკრებულოსი რევიზიის დასრულების თაობაზედ.

161. კვიტანცია დამოწმებაა იმისი, რომ რევიზია საკასო ანგარიშებისა ხაზინების და იმ ანგარიშვალდებულ დაწესებულებისა, რომელიც აგროვებს შემოსავალს სპეციალურ ხარჯთამკრებთა კასების უფლებით, დასრულებულია.

162. ცნობის გაგზავნა ამოწმებს იმას, რომ რევიზია ფულის ანგარიშებისა მოქმედებათა არსებითი მხრით, ხოლო რევიზია ნივთიერ-ტეხნიკურ ანგარიშთა როგორც კასის მხრით, ისე მოქმედებათა არსებითი მხრით დასრულებულია.

163. კვიტანცია მიეცემა გასულ სამოქალაქო წლისათვის, ცნობა ხარჯთაღრიცხვის პერიოდისათვის, აგრეთვე (დამატებითი) ცნობა სხვა დანარჩენ დროისათვის, რაც ხარჯთაღრიცხვის პერიოდს აღემატება.

164. კვიტანცია და ცნობა გაეგზავნება კასებისა და ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა და პირთა პირდაპირ უფროსს.

165. კვიტანცია და ცნობა გაეგზავნებათ არა მხოლოდ მაშინ, როცა საანგარიშო მოქმედებას რევიზია წესიერად მიიჩნევს, არამედ მაშინაც, როცა აღმოაჩენს დაკარგვას, უსწორობას, ან დაუდევრობას.

166. კვიტანციაში აღინიშნება: ნაშთი, თანხის მიღება და გაცემა, მორიგი და მოულოდნელი შემოწმება კასის ქონებისა და არსებითი შედეგები ასეთის შემოწმებისა.

167. ცნობა შესახებ რევიზიის დასრულებისა შეიცავს: ა) ვისი და რაოდენის თანხის ანგარიშებია შემოწმებული; ბ) რა ხნის განმავლობას შეეხება შემოწმება; გ) რომელ ხარჯაღრიცხვას, ანგარიშსა და თანხას შეეხება; დ) რამდენი ფულია ანგარიშდანაკლისად დადებული და ე) რა თანხები დარჩა რევიზია-დაუსრულებელი.

168. კვიტანცია და ცნობა რევიზიის დასრულებისა იფარავს დამტკიცებულ ანგარიშების ფარგალში ანგარიშვალდებულ დაწესებულებას და პირს მომავალში რევიზიით დევნისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მისის მოქმედების უსწორობა გამოაშკარავებული იქნება ახალის გარემოებით, რომლის გათვალისწინება რევიზიის დროს შეუძლებელი იყო.

169. უკეთუ აღმოჩნდა, რომ ვნება და ზარალი ხაზინისათ-

ვის დროზედ ვერ გამოაშკარავდა რევიზორების მიზეზით და მათ გამოუმეღავნდათ კანონის საწინააღმდეგო მოქმედების ჩადენა იმ განზრახვით, რომ დაემალათ ანგარიშდანაკლისი ან დამნაშავე განეთავისუფლებინათ მისის გადახდევინებისაგან, შაშინ დამნაშავე რევიზორები, სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს დადგენილებით, სამართალში მიეცემიან და, სისხლის სამართლით დადებულ სასჯელს გარდა, პასუხისმგებელნიც არიან ხაზინისადმი ზარალის მიყენებისათვის. ეს პასუხისგება ისპობა ხუთის წლის გასვლის შემდეგ დღიდგან რევიზიის დასრულებისა (მუხ. 159).

ძვირფას კულტურულ მამულში პროდუქტების რეკვიზიციისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 13 დეკემბრის კანონი

1. მიწათ-მოქმედების მინისტრს მიეცეს უფლება მოახდინოს რეკვიზიცია ჩამორთმეულ მამულში სასოფლო-სამეურნეო და სარეწველო-სამეურნეო პროდუქტების იმ ნაწილისა, რომელიც მიჩნეულ იქნება მინისტრისაგან აუცილებელ საჭიროებად მამულისათვის კულტურულ მნიშვნელობის შესანარჩუნებლად და მისი მეურნეობის სათანადო საწარმოებლად — ყველა იმ სამეურნეო დარგის დამატებით. რომელიც ამ მამულშია მოთავსებული.

2. ჩამორთმეულ პროდუქტების შეფასება მოხდება მიწათ-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენლის და პროდუქტების პატრონის შეთანხმებით. უკეთუ შეთანხმება არ მოხდა, ჩამორთმეულ პროდუქტების საფასურის გამორკვევა პატრონის დასაკმაყოფილებლად მოხდება იმ წესით, რომელიც მიღებულია ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წ. მარტის 17-ის კანონით სამეურნეო ინვენტარის რეკვიზიციისათვის.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნებისა[1]

მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 17 დეკემბერს

1. ქალაქის საბჭოს ხმოსნები ამოირჩევიან ორის წლის ვადით. ხმოსანთა რიცხვის რაოდენობა თვითეული ქალაქისათვის განსაზღვრულია ამასთანავე დართულის ნუსხით.

2. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის ყოველს მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომელსაც საარჩევნოსიების შედგენის დაწყებამდე შესრულებია ოცი წელი და ცხოვრობს ამ ქალაქში, ან აქვს შინაური მოწყობილი მეურნეობა, ან იმყოფება აქ სამსახურში, ან და აქვს რაიმე სხვა განსაზღვრული სამუშაო.

3. რეგულიარულ ჯარში ჩარიცხულს აქვს მხოლოდ პასიური საარჩევნო უფლება.

4. არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს: ბერ-მონაზონი და ის პირი, რომელიც კანონიერის წესით გიჟად ან ჭკუაზე შეშლილად, ან ყრუ-მუნჯად არის გამოცხადებული.

5. საარჩევნო უფლება არა აქვთ:

1) ვისაც სასამართლოს მიერ სასჯელი აქვს გადაწყვეტილი, უკეთუ განაჩენი ძალაშია შესული და თუ ახდილი უფლება არ დაბრუნებია: ა) კატორღა მისჯილს, სასჯელის მოხდის შემდეგ ათი წლის განვლამდე; ბ) ვისაც მისჯილი აქვს გადასახლება, გამასწორებელი სატუსაღო განყოფილება, გამასწორებელი სახლი, სატუსაღო ან ციხე მდგომარეობის უფლების ჩამორთმევით ან შეზღუდვით, — სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთი წლის განვლამდე;

2) დასჯილს ქურდობისათვის, გარდა იმისა, რომელიც გათვალისწინებულია 171 მუხლის 2 პუნქტით სასჯელთა წესდებისა, რომლითაც ჰსჯიან მომრიგებელი მოსამართლენი (კან. კრებ. ტ. XV, გამოც. 1914 წ.), დასჯილს დატყუებისათვის, ჩაბარებული ქონების მითვისებისა ან გაფლანგვისათვის, გარდა

[1] იხ. გვ. 208, 219.

იმ გაფლანგვისა, რომელიც გათვალისწინებულია იმავე წესდების 177 მუხ. მეორე ნაწილით და სისხლის სამართლის და გამასწორებელ სასჯელთა დებულების მე-1681 მუხ. მეორე ნაწ. (1912 წ. გაგრძ. კანონ. კრებ., ტ. XV), მოპარულის დამალვისათვის, განზრახ მოპარულის ყიდვისა ან გირაოდ მიღებისათვის, ვისაც ეს ხელობად აქვს გადაქცეული, სიყალბისათვის, მევახშეობისა, ქრთამის აღების ან ქრთამის მიცემისათვის და აგრეთვე სიძვის შუამავლობისათვის და გარყვნილობის ხელის შეწყობისათვის (კანონ. კრებ. ტ. XV. სისხ. სამ. დებ., გამ. 1909 წ., მუხ. 524—526 და 529), აგრეთვე ისეთ მოქმედებისათვის, რომლის მიზანიც იყო საკანონმდებლო დაწესებულების ან თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის დარღვევა, — სამი წლის გასვლამდე დღიდან სასჯელის მოხდისა;

3) შეუძლებელი მოვალე, რომელიც ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენით ბოროტ-განზრახულ შეუძლებლად იქნება გამოცხადებული, — სამი წლის გასვლამდე დღიდან გამოცხადებისა.

6. ხმოსნად და მის კანდიდატად შეიძლება არჩეულ იქნეს გარდა იმ პირისა, რომელსაც აქვს ხმის მიცემის უფლება, ისეთიც, რომელიც ქალაქში არ ცხოვრობს, არა აქვს ბინა, სამსახური ან სამუშაო (მუხ. 2), მაგრამ აკმაყოფილებს არჩევნებში მონაწილეობისათვის სხვა საჭირო პირობას.

7. თვითეული ქალაქის მოსახლეობა შეადგენს ერთს საარჩევნო ოლქს, თუნდაც ეს ქალაქი განაწილებული იყოს არჩევნების გასაადვილებლად რამდენსამე საარჩევნო უბნად.

8. საარჩევნო სიებს შეადგენს ქალაქის გამგეობა.

9. ქალაქის გამგეობის მიერ შედგენილი საარჩევნო სიები საყოველთაოდ განსახილველად გამოცხადებულ უნდა იქნეს იმ საშუალებით, რომელიც უზრუნველჰყოფს მათი განხილვის სიადვილეს.

10. ხუთი დღის განმავლობაში დღიდან სიების გამოცხადებისა საყოველთაო განსახილველად ადგილობრივი ადმინისტრაციის უმაღლეს წარმომადგენელს შეუძლიან განაცხადოს პროტესტი, მხოლოდ ამომრჩევლებს შეუძლიანთ განაცხადონ სიების უსრულობა ან უსწორობა. ასეთი პროტესტი და საჩივარი უნდა წარედგინოს ქალაქის გამგეობას, რომელიც ვალ-

დებულია განიხილოს იგი ხუთი დღის განმავლობაში და შედეგი გამოუცხადოს მომჩივანს. თუ ამ ვადის განმავლობაში მომჩივანს შედეგს ვერ გამოუცხადებს ან უარს ეტყვის საჩივარზე, მომჩივანს შეუძლიან პროტესტით ან საჩივრითვე მიმართოს სათანადო ინსტანციის ადმინისტრატიულ სასამართლოს, რომელიც ვალდებულია ხუთ დღეში განიხილოს ყველა საჩივარი. სასამართლოს გადაწყვეტილება სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი, მაგრამ შეიძლება მისი განსაჩივრება უზენაეს სასამართლოში. ეს საჩივრები მიღებულ უნდა იქნეს განსახილველად მხოლოდ არჩევნების საზოგადოდ განსაჩივრების დროს იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია ამ კანონის მე-32 მუხლში.

11. საარჩევნო სიები შესწორების შემდეგ მე-8 მუხლში ნაჩვენები წესით არა უგვიანეს ორი კვირისა არჩევნების დღემდე ხელმეორედ გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საყოველთაო განსახილველად.

12. ის პირი, რომელიც საარჩევნო სიაში შეტანილ არ იქნება ან არჩევნებში მონაწილეობის უფლებას დაჰკარგავს არჩევნების დღემდე, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

13. არჩევნები უნდა მოხდეს კვირა ან უქმე დღეს, ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით. თუ ქალაქი დაყოფილია რამდენსამე საარჩევნო უბნად, ყველა უბანში არჩევნები უნდა მოხდეს ერთსა და იმავე დროს. საარჩევნო კომისიები არჩევნების დღეს მოქმედებენ დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე. დღე, საათი და ადგილი არჩევნებისა ქალაქის მოურავმა არა უგვიანეს ორი კვირისა არჩევნების დღემდე უნდა გამოაცხადოს საყოველთაოდ იმ საშუალებით, რომელსაც მიიღებს ქალაქის საბჭო.

14. არა უგვიანეს ათი დღისა არჩევნებამდე ამომრჩეველებს უფლება აქვთ წარუდგინონ ქალაქის მოურავს სიები იმ კანდიდატებისა, რომელთაც განუცხადებიათ სურვილი კენჭის ყრისა. რიცხვი კანდიდატებისა არ უნდა აღემატებოდეს ხმოსნების საერთო რიცხვს, რომელიც უნდა არჩეულ იქნეს ამა თუ იმ ქალაქში. იმ სიებში, სადაც ზედმეტი კანდიდატია ნაჩვენები, ბოლოში მოთავსებული კანდიდატები უნდა ამოიშალოს. სიებს ხელი უნდა მოაწეროს იმდენმა ამომრჩეველმა,

რომ მათი რიცხვი ასარჩევ ხმოსანთა ნახევრის ნაკლები არ იყოს. თვითეულ ამომრჩეველს შეუძლიან ხელი მოაწეროს მხოლოდ კანდიდატების ერთს რომელსამე სიას. ყველა სია წარადგინება ქალაქის მოურავს, რომელიც დანომრავს მათ შემოსვლის რიგის მიხედვით და სიების წარმომადგენელთა სურვილისამებრ აღნიშნავს პარტიის ან ჯგუფის სახელსაც. ამნაირი სიები საყოველთაოდ გამოცხადდება შვიდის დღით ადრე არჩევნებამდე, რაიც უნდა მოხდეს ქალაქის საბჭოს მიერ შემუშავებულის წესით.

15. ხმოსანთა არჩევნების მოსაწესრიგებლად უნდა შესდგეს ქალაქის საარჩევნო კომისია ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით. ამ კომისიაში ქალაქის მოურავი მოიწვევს სამ პირს ამომრჩეველთაგან. თუ ვინიცობა რომელსამე ჯგუფმა, რომელმაც ხმოსანთა კანდიდატების სია წარადგინა, არ დაასახელა ვინმე განსაკუთრებული პირი საარჩევნო კომისიის წევრად, საარჩევნო კომისიაში შევა ის პირი, რომელსაც პირველად უწერია ხელი სიაზე.

16. თუ ქალაქი განაწილებულია რამდენსამე საარჩევნო უბნად, ქალაქის საარჩევნო კომისიის გარდა არსდება საუბნო საარჩევნო კომისიებიც. ქალაქის მოურავი თავმჯდომარეობს ერთ-ერთს ამ ნაირ კომისიაში თავისი სურვილისამებრ. დანარჩენს კომისიების თავმჯდომარეებს ქალაქის მოურავი მოიწვევს ამომრჩეველთაგან. უბნის კომისიის თავმჯდომარე ამ კომისიის წევრებად მოიწვევს სამ პირს. გარდა ამისა ხსენებულ კომისიაში თვითეულ ჯგუფს, რომელსაც წარმოდგენილი აქვს კანდიდატთა სია, შეუძლიან იყოლიოს ერთი თავისი წარმომადგენელი.

17. ყოველივე ამომრჩეველის პიროვნება დადასტურებული უნდა იქნეს საარჩევნო ბარათით, რომელშიაც უნდა აღნიშნულ იქნეს ამომრჩევლის სახელი, მამის სახელი, გვარი და არჩევნების ადგილი. ამნაირ ბარათს ყოველივე ამომრჩეველი მიიღებს ქალაქის გამგეობაში. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მოვალეა არჩევნებს ჩამოაშოროს ის პირი, რომელსაც შეკრებილ ცნობათა მიხედვით უფლება არა აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. არჩევნებამდე წაკითხულ უნდა იქნეს მე-2—4 მუხლები; ამასთანავე ამომრჩევლებს უნდა განუმარტონ, რომ ის პირი, რომელიც უკანონოთ მიიღებს მო-

ნაწილეობას არჩევნებში, დასჯილ იქნება სისხლის სამართლით, სასჯ. დებ. მე-328[1]—328[7] მუხლ. ძალით (იხ. მუხ. 29).

18. არჩევნებში ყველას თითო ხმა აქვს.

19. არჩევნები უნდა მოხდეს ფარულის ხმის მიცემით, ე. ი. დახურული ბარათების საშუალებით. თვითეულ მოქალაქეს შეუძლიან მისცეს ხმა მხოლოდ კანდიდატთა ერთ-ერთს სიას.

20. საარჩევნო ბარათში ნაჩვენები უნდა იყოს ნომერი ხმოსანთა კანდიდატების სიისა, რომელსაც ამომრჩეველი ხმას აძლევს. ამომრჩეველი ბარათს ჩასდებს სუფთა, უმჭვირვალე, ერთფეროვანი ქაღალდის კონვერტში, რაზედაც არავითარი ნიშანი არ უნდა იქნეს. კონვერტებს ამზადებს ქალაქის გამგეობა და თავისსავე ბეჭედს დაასვამს. ამომრჩეველი პირადად თვითონ ჩასდებს ბარათს კონვერტში, თითონვე დააწებებს და კომისიის სხდომის დროს თვითვე ჩააბარებს დაწებებულს კონვერტს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც მის თვალწინ დაბეჭდილ ყუთში ჩაუშვებს ამ კონვერტს. კონვერტი, რომელიც არ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას, აგრეთვე დასვრილი და შესწორებული, ხმების დათვლის დროს ანგარიშში არ მიიღება.

21. არჩევნების დროს წესიერებისათვის თვალყურის დევნა ჰმართებს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც მოვალეა ყური უგდოს, რომ შენობაში, სადაც დანიშნულია არჩევნები, მხოლოდ არჩევნები სწარმოებდეს, და არავის უფლება არ მისცეს თავისუფალისა და წესიერი არჩევნების დარღვევისა და აგრეთვე ამავე შენობაში წინასწარი აგიტაციისა.

22. ბარათების მიცემის მეორე დღეს დანიშნულ საათზე უბნის ამომრჩეველი კომისიები, თუ არჩევნები სწარმოებდა უბნებში, იმ ამომრჩეველთა თანადასწრებით, რომელნიც გამოცხადდებიან, საჯარო სხდომაზე დასთვლიან ხმებს. შედეგი აღინიშნება ცალკე ფურცელზე, რომელსაც ხელს მოაწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები და მაშინვე წარედგინება ქალაქის საარჩევნო კომისიას.

23. ქალაქის საარჩევნო კომისია მთელს საარჩევნო ოლქში არჩევნების გათავების მეორე დღეს, თუ ქალაქი საარჩევნო უბნებად არ დანაწილებულა, ან მეორე დღეს იმის შემდეგ, როცა წარუდგენენ მას (ქალაქის საარჩევნო კომისიას) უბნების

საარჩევნო კომისიები საარჩევნო წარმოებას, დანიშნულ საათზე საჯარო სხდომის დროს დასთვლის ხმებს მოსულ ამომრჩეველთა თანადასწრებით და აღნიშნავს შედეგს ცალკე ფურცელზე, რომელსაც ხელს მოაწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

24. საერთო რიცხვი ხმოსანთა, რომელიც არჩეული უნდა იქნეს მთელს საარჩევნო ოლქში, განაწილდება პროპორციონალურად სიათა შორის თვითეულის მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობის მიხედვით.

25. თვითეულ სიის ხმოსანთა ხვედრით რიცხვის გამოსარკვევად ასარჩევ ხმოსანთა რიცხვი უნდა გამრავლდეს თვითეული სიისათვის მიცემულ ხმათა საერთო რიცხვზე ცალ-ცალკე და გაიყოს მთელ საარჩევნო ოლქში მიღებულ ხმათა რიცხვზე. მიღებული რიცხვი გვიჩვენებს ხმოსანთა რაოდენობას თვითეულ სიაზე. ხმოსნებად ჩაირიცხება თვითეულ სიიდან რიგზე პირველიდან დაწყებული იმდენი, რამდენიც გვიჩვენა გაყოფიდან მიღებულმა ციფრმა. თუ ზემო ნაჩვენები გაყოფისაგან მივიღებთ მთლიან რიცხვებს ნაწილადებით, ან მხოლოდ ნაწილადებს, რის გამო ხმოსანთა საჭირო რიცხვს დააკლდება ერთი ან რამდენიმე ხმოსანი, მაშინ მიღებული ნაწილები ჩამოიწერება რიგზე შედარებით სიდიდის მიხედვით და დანარჩენი ხმოსნები განაწილდებიან იმ სიათა შორის, რომლებიც მიიღებენ უდიდეს ნაწილადებს.

26. თუ კანდიდატთა ერთსა ან რამდენსამე სიაში რიცხვი ამ კანდიდატებისა იქნება ნაკლები ხმოსანთა რიცხვის, რომელიც თანახმად ზემორე 25 მუხ. უნდა იყოს ამოღებული სათანადო სიებიდან, ხმოსნად ამ შემთხვევაში ჩაირიცხება ყველა დასახელებული კანდიდატი; ხმოსანთა გაუნაწილებელი რიცხვი-კი უნდა განაწილდეს დანარჩენ სიათა შორის იმ წესით, როგორც ნაჩვენებია 25 მუხლში, იმ განსხვავებით, რომ გასანაწილებელი ნაშთი გამრავლებული იმ რიცხვზე, რომელიც მიცემულია თანაბარ სიისათვის, გაიყოფა არა იმ ხმების რიცხვზე, რომელიც მიცემულია ყველა წარდგენილი სიისათვის, არამედ მხოლოდ იმ ხმების რიცხვზე, რომელიც მიცემულია იმ სიებისათვის, რომელთა შორის ხდება ხმების განაწილება.

27. როდესაც საერთო რიცხვი არჩეულ ხმოსანთა შესდგე-

ბა და სიები დაიწერება, საარჩევნო კომისია დანარჩენ პირთ, რომელნიც ირიცხებიან სიებში, მაგრამ არ მოქცეულან ხმოსანთა რიცხვში, ჩანიშნავს კანდიდატებად იმავე რიგით, როგორც ისინი ეწერნენ სიაში.

28. საარჩევნო კომისიებში თავმჯდომარეების მიერ ამომრჩეველთაგან მოწვეული მდივნები აწარმოებენ საქმეს, რომელშიაც ჩაიწერება დრო კომისიათა სხდომის გახსნისა და დახურვისა, რიცხვი ამომრჩეველთა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს კენჭის ყრაში, ამომრჩეველთა განცხადებანი, თავმჯდომარეთა განკარგულებანი და კომისიათა დადგენილებანი; არჩევნების დამთავრების შემდეგ ოქმები და საარჩევნო ფურცლები კომისიის საჯარო სხდომებზე წაკითხულ უნდა იქნეს და აგრეთვე ხელმოწერილი კომისიის თავმჯდომარისა და წევრებისა და შემოწმებული მდივნის მიერ.

29. ის პირი, რომელიც შეეცდება დაარღვიოს თავისუფლება და სისწორე ხმოსანთა არჩევნებისა, დაისჯება სასჯელებ. (გაგრძ. 1912 წ.) მე-328[1]—328[7] მუხ.

30. არჩევნების დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისიები დაიხურება და მათი საარჩევნო წარმოება ყველა საბუთით ორი დღის განმავლობაში გაეგზავნება ადგილობრივი ადმინისტრაციის უმაღლეს წარმომადგენელს, რომელსაც შვიდი დღის განმავლობაში შეუძლიან გაასაჩივროს არჩევნები ადმინისტრატიულ სასამართლოს სათანადო ინსტანციაში.

31. არჩევნების გამო საჩივრები სამი დღის განმავლობაში არჩევნების გათავებიდან შეუძლიან აღძრას მხოლოდ იმ პირს, რომელსაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს. ასეთი საჩივრები უნდა შეტანილ იქნეს ადმინისტრატიულ სასამართლოს სათანადო ინსტანციაში.

32. პროტესტებსა და საჩივრებს მე-30 და 31 მუხ. აღნიშნული ადმინისტრატიული სასამართლო განიხილავს 7 დღის განმავლობაში დღიდან საარჩევნო წარმოების მიღებისა. თუ სასამართლომ სცნო მთლიანად არჩევნების უკანონობა, გაუქმებს არჩევნებს. ქალაქის გამგეობა, მიიღებს რა სასამართლოს ამნაირ დადგენილებას, ერთი თვის განმავლობაში მოახდენს ახალ არჩევნებს. უკეთუ სასამართლომ ზოგიერთი ხმოსანი სცნო უკანონოდ არჩეულად, ქალაქის გამგეობა იმ პირთ გამორიცხავს და მათ მაგიერ ჩასწერს მორიგ კანდიდა-

ტებს, რომელნიც სიებში იქნებიან აღნიშნულნი. სასამართლოს ამნაირი გადაწყვეტილება უნდა ასრულდეს, თუმცა შესაძლებელია ისიც განსაჩივრებულ იქნეს სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების დღიდან ერთი თვის განმავლობაში უზენაესს სასამართლოში.

33. საარჩევნო წარმოების დასრულების შემდეგ ქალაქის გამგეობა შეადგენს უკანასკნელ სიას ხმოსნებისას და კანდიდატებისას ამომრჩეველთა მიერ წარმოდგენილ თვითეული სიის მიხედვით. ხმოსანთა და კანდიდატთა სიები გამოცხადდება ოფიციალურ გაზეთში, ან საჯაროდ გამოქვეყნდება ქალაქის საბჭოს მიერ შემუშავებული საშუალებით.

34. საარჩევნო წესების დაწვრილებითი ზოგიერთი მხარე, რომელიც ვერ იქნა აღნიშნული ამ კანონში, განიმარტება ცალკე დადგენილებით, რომელსაც გამოსცემს შინაგან საქმეთა მინისტრი.

35. უკეთუ უზენაესმა სასამართლომ გააუქმა არჩევნები ყველა ხმოსნისა, ახალი არჩევნები დაინიშნება ზემორეაღნიშნული წესების ძალით. ამ (35) მუხლში ნაჩვენები წესით ამორჩეული ქალაქის საბჭო ასრულებს თავის მოვალეობას იმ ხნის განმავლობაში, რომელიც ნაჩვენებია ამ კანონის პირველ მუხლში.

36. სანამ ახლად არჩეული ხმოსნები დაიწყებდნენ თანამდებობის ასრულებას ძველი ხმოსნები ალაგებზედ იქნებიან და მათი დადგენილებანი ძალაში რჩება.

37. უკეთუ უზენაესმა სასამართლომ უარჰყო ხმოსნების ერთი ნაწილი, მათ ალაგს დაიჭერენ კანდიდატები წარმოდგენილი სიების მიხედვით.

ნუსხა

ქალაქთა საგზოებში ასარჩევ ხმოსანთა რიცხვისა.

№№ რიგზე	ქ ა ლ ა ქ ე ბ ი	საერთო რიცხვი ქალაქთა საგზოებში ასარჩევ ხმოსანთა.
	ტფილისის გუბერნიისა:	
1	ტფილისი	90
2	გორი	33
3	დუშეთი	20
4	სიღნაღი	30
5	თელავი	30
6	ხაშური	20
7	ახალქალაქი . . .	20
8	ახალციხე	36
9	ყოჯორი	20
10	სურამი	20
11	შულავერი . . .	20
12	მანგლისი	20
13	ბორჯომი	20
14	აბასთუმანი . . .	20
	ქუთაისის გუბერნიისა:	
1	ქუთაისი	60
2	ფოთი	31
3	ოზურგეთი . . .	20
4	ზესტაფონი . . .	20
5	ლანჩხუთი	20
6	ახალსენაკი . . .	20
7	სამტრედია . . .	20
8	ხონი	20
9	ჭიათურა . . .	20
10	ზუგდიდი	20
11	რედუტ-ქალე (ყულევი)	20
12	ონი	20
	სოხუმის ოლქისა:	
1	სოხუმი . . .	40
2	გუდაუთი . . .	20
3	ოჩემჩირე . . .	20
4	გაგრა	20
	სოჭის ოლქისა:	
1	სოჭა	24
2	ხოსტა	20
3	ადლერი . .	20
	ზაქათალის ოლქისა:	
1	ზაქათალა . . .	20

რესპუბლიკის მტრის დახმარებისათვის ქონების კონფისკაციისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 24 დეკემბრის კანონი

1. საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს უცხო სახელმწიფოს საომარ მოქმედებაში საქართველოს წინააღმდეგ და ან გარეშე მტერს აქტიურს დახმარებას გაუწევს იარაღისა, ფულისა თუ ცნობის მიწოდებით, ან საერთოდ ხელს შეუწყობს მტრის სამხედრო მოქმედებას, — ჩამოერთვას მთავრობის დადგენილებით ყოველი უძრავ-მოძრავი ქონება რესპუბლიკის ხაზინის სასარგებლოდ.

2. ეს კანონი ძალაში შედის 1918 წლის დეკემბრის ცხრიდან.

აღწერილობა საქართველოს რესპუბლიკის ღერბისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 27 დეკემბრის კანონი

1. შვინდისფერ ადგილიანს რგვალ ფარზედ თეთრი გიორგი ოქროს ჩლიქებიან თეთრ ცხენზედ.

მარჯვენა ხელში შესატევად მომარჯვებული ოქროს შუბი ვერცხლის ლახვრიანი.

ცისფერი ჯავშანი, რომელსაც აქვს ვერცხლის უჯრედები; ჯავშნის ქვეშ მიხაკის ფერი ტყავის პერანგი; სახელო და ბოლო მოსასხამისა თეთრი.

მარცხენა მხარზედ თეთრი ფარი სახიანი; შალვარი ალისფერი, ოქროს წაღები;

უნაგირის ქვეშ ვეჯხის ტყავის ყაჯარი; უნაგირი ოქროსი და უზანგი ვერცხლისა;

ღერბის თავში რვა კუთხიანი ვერცხლის ვარსკვლავი; მის მარჯვნივ ვერცხლის მთვარე, მარცხნივ ოქროს მზე; მთვარის და მზის აქეთ-იქით ორ-ორი რვა კუთხიანი ვერცხლის ვარსკვლავი.

ცხენის ქვევით შავი მთის მწვერვალი. ფარის გარშემო შავი არშია, თეთრ-წინწკლებიანი, ოქროს ზოლებში ჩასმული.

2. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან მიღებისა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შტანდარტისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 27 დეკემბრის კანონი

1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შტანდარტი შესდგება კვადრატულ ფორმის თეთრი ალმისაგან, რომლის შუაგულში მოთავსებულია საქართველოს რესპუბლიკის ღერბი. შტანდარტს შემოვლებული აქვს შვინდისფერი არშია შავი კუწუბებით შიგნითა მხრიდან.

არშიას გარს არტყია ოქრომკედით ამოქარგული ქართული სირმა. ანძა არის სამფერრვანი: ვიწრო ზოლები — შავი და თეთრი, მომსხო ზოლები — შვინდისფერისა.

2. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა.

სამხედრო დროშისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 27 დეკემბრის კანონი

1. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო დროშა შესდგება კვადრატული ფორმის თეთრი ალმისაგან, რომლის შუაგულში მოთავსებულია საქართველოს რესპუბლიკის ღერბი გვირგვინში; ალამს შემოვლებული აქვს შვინდისფერი არშია, გარშემორტყმულია ვერცხლის ზოლით; ალამს აქვს სამი შვინდისფერი კუწუბი, ვერცხლის ზოლ-შემოვლებული. დროშის ბუნი შვინდისფერია, მოოქროვილ-ლახვრიანი, რომელზედაც ცალმეტად ჩამოშვებულია ორი ოქროს ფოჩი.

2. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებისა

მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 27 დეკემბერს

I. საერთო დებულებანი.

1. აფხაზეთის სახალხო საბჭოს შეადგენენ არჩეული წევრები, რიცხვით ორმოცი.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. წევრები, რომელნიც დასტოვებენ საბჭოს, შეცვლილ იქნებიან სხვა წევრებით თანდათანობის წესით კანდიდატთა იმ სიის რიგზე, რომლის მიხედვითაც ისინი არჩეულ იქნენ.

იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები მოხდა შეერთებულის სიებით და რომელსამე მათგანში დასახელებული არ არის კანდიდატი, თავისუფალს ადგილს აფხაზეთის სახალხო საბჭოში დაიჭერს კანდიდატი იმ შეერთებული სიისა, რომელსაც ჰყავს თავისუფალი კანდიდატები და რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო.

დასახელებულ სიაში კანდიდატის უყოლობის გამო და აგრეთვე თუ შეერთებულ სიებშიაც ასეთი კანდიდატები არ აღმოჩნდებიან, ადგილი აფხაზეთის სახალხო საბჭოს განთავისუფლებული წევრისა ისევ თავისუფალი დარჩება.

2. აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრთა არჩევნების უფლება აქვს განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა აფხაზეთში მცხოვრებს ყოველ მოქალაქეს, რომელსაც საარჩევნო სიების შედგენამდე შესრულებია ოცი წელიწადი და რომელსაც აფხაზეთში ბინადრობა ჰქონია 1914 წლ-ს ივლისის ცხრამეტამდე.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს მეორე მუხლში აღნიშნულ პირთა გარდა ისიც, ვისაც აფხაზეთში ბინადრობა მოუპოვებია 1914 წლის ივლისის 19-ის შემდეგ და აკმაყოფილებს მეორე მუხლის დანარჩენ მოთხოვ-

ნილებას, აგრეთვე ისიც, ვინც აფხაზეთში არ ცხოვრობს, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ ითვლება.

3. საარჩევნო უფლებას განახორციელებს ის მოქალაქე, რომელიც შეტანილია საარჩევნო სიაში და იმ უბანში, სადაც სიაში არის შეტანილი.

4. არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

1) ვინც კანონიერის წესით გიჟად ან ჭკუაზედ შეშლილად არის გამოცხადებული, აგრეთვე ყრუ-მუნჯი, რომელიც სხვის მზრუნველობის ქვეშ იმყოფება;

2) ვისაც სასამართლოს მიერ სასჯელი აქვს გადაწყვეტილი, უკეთუ განაჩენი ძალაშია შესული და თუ ახდილი უფლება არ დაბრუნებია: ა) კატორღა მისჯილს სასჯელის მოხდის შემდეგ ათი წლის გასვლამდე; ბ) ვისაც მისჯილი აქვს გადასახლება, გამასწორებელი სატუსაღო განყოფილება, გამასწორებელი სახლი, სატუსაღო ან ციხე მდგომარეობის უფლების ჩამორთმევით ან შეზღუდვით, სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთი წლის გასვლამდე;

3) დასჯილს ქურდობისათვის, გარდა იმისა, რომელიც გათვალისწინებულია 171 მუხ. მეორე პუნ. სასჯელთა წესდებისა. რომლითაც მომრიგებელი მოსამართლენი მიუსჯიან (კან. კრ. ტ. XV, გამოც. 1914 წ.), დასჯილი დატყუებისათვის, ჩაბარებული ქონების მითვისებისა ან გაფლანგვისათვის, გარდა იმ გაფლანგვისა, რომელიც გათვალისწინებულია იმავე წესდების მე-177-ე მუხ. მეორე ნაწილით და სისხლის სამართლის და გამასწორებელ სასჯელთა დებულების მე-1681-ე მუხ. მეორე ნაწილით (1912 წ. გაგრძ. კან. კრებ. ტ. XV), მოპარულის დამალვისათვის, განზრახ მოპარულის ყიდვისა ან ბინაოდ მიღებისათვის, ვისაც ეს ხელობად აქვს გადაქცეული, სიყალბისათვის, მევახშეობისა, ქრთამის აღებისა ან ქრთამის მიცემისათვის და აგრეთვე სიძვის შუამავლობისათვის და გარყვნილების ხელის შეწყობისათვის (კან. კრებ. ტ. XV, სისხ. სამ. დებ., გამ. 1909 წ., მუხ. 524—526. 526—527 და 529), აგრეთვე ისეთი მოქმედებისათვის, რომლის მიზანიც იყო საკანონმდებლო დაწესებულების ან თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების თავისუფლების და სისწორის დარღვევა, სამი წლის გასვლამდე დღიდან სასჯელის მოხდისა;

4) სამართალში და გამოძიებაში მიცემული პირს, რომელსაც ბრალად ედება სახელმწიფოებრივი ღალატის საქმე;

5) შეუძლებელ მოვალეს, რომელიც ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენით ბოროტ-განზრახველ შეუძლებელად იქნება გამოცხადებული, — სამი წლის გასვლამდე დღიდან გამოცხადებისა;

6) იმ სამხედრო პირს, ვინც სამხედრო სამსახურს გაექცა.

II. საარჩევნო სიები.

5. საარჩევნო სიები შედგენილი იქნება თვითეულ საარჩევნო უბანში ცალ-ცალკე, თვითეული ამომრჩეველი შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთი რომლისამე უბნის სიაში.

6. საარჩევნო უბნის სიაში შეაქვთ საარჩევნო უფლების მქონე ის პირი, რომელიც იქ ცხოვრობდა სიის შედგენის დაწყების დღემდე, თუნდაც დროებით წასულიც-კი იყოს იქიდან.

7. ვინც საარჩევნო უბანში სიების შედგენის დაწყებიდან ერთი დღის შემდეგ დაბრუნდა, შეიძლება შეტანილ იქნას სიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ წარუდგენს შესაფერ განცხადებას უბნის საარჩევნო კომისიას. ასეთი განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნას სიების შედგენის დამთავრებამდე და აგრეთვე ხუთი დღის განმავლობაში სიების გამოქვეყნებიდან. ასეთს განცხადებასთან ერთად უნდა გაცხადებულ იქნეს ისიც, რომ მთხოვნელი ამოიშალოს წინანდელ საცხოვრებელ ადგილს შემდგარი სიიდან; ასეთი განცხადება წარიგზავნება დანიშნულებისამებრ.

8. საარჩევნო სია მისი შედგენისათანავე და უკიდურესს შემთხვევაში არჩევნების დაწყებამდე 40 დღით ადრე საყოველთაოდ ცხადდება ისე, რომ ყველას შეეძლოს მისი გაცნობა.

9. ათი დღის შემდეგ დღიდან საარჩევნო სიის გამოქვეყნებისა ამომრჩეველს უფლება ეძლევა ხუთი დღის განმავლობაში წარადგინოს პროტესტი ან საჩივარი საარჩევნო სიებში მათ მიერ შემჩნეულ შეცდომაზე და შეუვსებლობაზე; ქალაქის ამომრჩევლებს ქალაქის საარჩევნო კომისიაში, სოფლი ამომრჩევლებს-კი სათანადო საუბნო საარჩევნო კომისიაში

შეუძლიათ შეიტანონ განცხადებები. ეს საარჩევნო კომისიები განიხილავენ პროტესტებსა და საჩივრებს მათი შემოტანიდან არა უგვიანეს სამი დღისა. ამ კომისიების გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ამომრჩევლებს შემდეგი 4 დღის განმავლობაში უფლება ეძლევათ მიმართონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელიც საჩივარს განიხილავს არა უგვიანეს 3 დღისა. ცენტრალურ კომისიის გადაწყვეტილება აღიარებული იქნება უკანასკნელად და სიების ხელმეორედ გადაშინჯვის ვადად ინიშნება 5 დღე.

10. არჩევნები სწარმოებს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით პროპორციონალური წარმომადგენლობის წესისამებრ.

III. საარჩევნო კომისიები.

11. არჩევნების წარმოების გამგებლობა დაევალება ცენტრალურ, საქალაქო, საუბნო და სასოფლო საარჩევნო კომისიებს.

12. ცენტრალური კომისია ინიშნება საქართველოს რეს-პუბლიკის მთავრობის მიერ.

13. საუბნო კომისიები შესდგებიან კოდორის, სამურზაყანოს, გუდაუთის, გუმისტანის და გაგრის უბნებში, თვითეულში ცალკე; ეს კომისიები მოეწყობა ცენტრალური კომისიის ინსტრუქტორების მიერ და შესდგება თავმჯდომარისა და ორი წევრისაგან.

14. ქალაქ სოხუმში, ოჩემჩირეში და გუდაუთში აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებს უხელმძღვანელებენ ის კომისიები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ქალაქის საბჭოების არჩევნებს.

15. სასოფლო კომისიები შესდგება სამი პირისაგან და მოეწყობა საუბნო კომისიების მიერ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. საუბნო და სასოფლო კომისიები თავიანთ შორის ამოირჩევენ თავმჯდომარეს და მდივანს.

16. ყველა კომისიას (ცენტრალურს, სამეურნეოს და სასოფლოს) უფლება ეძლევა მიიწვიოს საქმის მცოდნე პირი.

17. ცენტრალური კომისია: ა) შეიმუშავებს მოქმედების საერთო გეგმას მთელ საარჩევნო ოლქში არჩევნების მოსახდენად; ბ) ანაწილებს კრედიტს; გ) ანაწილებს საარჩევნო სიებს, ბლანკებს, კონვერტებს და ბიულეტენებს მთელ საარჩევნო ოლქში; დ) საუბნო და საქალაქო კომისიების საშუალებით თვალ-ყურს ადევნებს ბრძანებების და ცირკულიარების თავის დროზე შესრულებას საქალაქო, საუბნო და სასოფლო კომისიების მიერ; ე) ამტკიცებს სარაიონო საარჩევნო უბნებს; ვ) საბოლოოდ გადასწყვეტს შემოსულ საჩივრებს; ზ) უბნების საარჩევნო რაიონებად დაყოფის დროს თვალ-ყურს ადევნებს საუბნო კომისიების თავის დროზე მუშაობის დაწყებას; ₹) იღებს კანდიდატების სიებს, აქვეყნებს მათ და აცნობებს მათ შესახებ საუბნო საქალაქო და სასოფლო კომისიებს; თ) საბოლოოდ ითვლის ხმებს მთელ საარჩევნო ოლქში, აქვეყნებს არჩევნების შედეგებს და არჩეულებს აძლევს სათანადო მოწმობებს.

18. საუბნო კომისიები: ა) თვალ-ყურს ადევნებენ სასოფლო კომისიების მოქმედებას;

ბ) ჰყოფენ უბნებს საარჩევნო რაიონებად;

გ) თვალ-ყურს ადევნებენ სიების შედგენას და მათ დროზე გამოცხადებას;

დ) იხილავენ პროტესტებსა და საჩივრებს, რომლებიც შეტანილ არიან არჩევნების დროს;

ე) იღებენ სათანადო ზომებს, რომ საარჩევნო სიებს ამომრჩეველები თავის დროზე გაეცნონ;

ვ) ამტკიცებენ სასოფლო კომისიების ოქმებს;

ზ) თვალყურს ადევნებენ, რომ სასოფლო კომისიები დროზე მოეწყონ და დაიწყონ მოქმედება;

₹) არიგებენ და ანაწილებენ საარჩევნო სიებს, ბლანკებს, კონვერტებს, ბიულეტენებს მთელს უბანში;

თ) აგზავნიან ინსტრუქტორებს სოფლებში საჭიროებ- დროს;

ი) ითვლიან ხმებს მთელ საარჩევნო უბანში და არჩევნების შედეგს აცნობებენ ცენტრალურ კომისიას.

19. სასოფლო კომისიები იმუშავებენ საარჩევნო სიებს, აწარმოებენ არჩევნებს, ითვლიან ხმებს და არჩევნების შედეგს ატყობინებენ საუბნო საარჩევნო კომისიებს.

20. ყველა მთავრობის და საზოგადოებრივი დაწესებულება, აგრეთვე მოსამსახურე პირნი მოვალენი არიან დახმარება აღმოუჩინონ საარჩევნო კომისიებს ამა წესდებით მათზე მინდობილ მოვალეობათა ასრულებისათვის.

21. ყოველგვარი აქტი და ქაღალდი, რომელიც შეეხება აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებს, როგორც შეტანილი მთავრობის, სასამართლოს, ადმინისტრაციის და საზოგადო დაწესებულებებში და ყველა უწყების დაწესებულების მოხელეებთან, ისე ყველა ამ დაწესებულებისა და მოხელეთა მიერ გაცემული, თავისუფალია საღერბო და სხვა გადასახადისაგან.

IV. საკანდიდატო სიები.

22. აფხაზეთის სახალხო საბჭოში არჩევნები მოხდება ერთ-ერთ ამოქვეყნებული საკანდიდატო სიისთვის ხმის მიცემით.

23. საკანდიდატო სია ამომრჩეველთა ჯგუფმა უნდა წარუდგინოს ცენტრალურ კომისიას არა უგვიანეს 30 დღისა არჩევნების დაწყებამდე.

24. თვითეულ საკანდიდატო სიას საკუთრივ ხელს უნდა აწერდეს არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა ორმოცდაათზე არა ნაკლები. სიაში აღნიშნული უნდა იყოს გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილი თვითეული წარმოდგენილი კანდიდატისა. სიას დართული უნდა ჰქონდეს განცხადებანი ყველა კანდიდატებისა, რომ ისინი თანახმა არიან კენჭი იყარონ საარჩევნო ოლქში იმ წარმოდგენელი სიით. სიას შეიძლება მიკუთვნებული ჰქონდეს სახელი მისი წარმომდგენი ორგანიზაციისა.

25. საკანდიდატო სიაში შეიძლება შეტანილ იქნეს სოხუმის ოლქის გარეშე დროებით მცხოვრები პირი, რომელიც მის მიერ ხელმოწერილი და სათანადო ადმინისტრაციის მიერ დამტკიცებული დეპეშით აცნობებს თავის თანხმობას აფხაზეთის სახალხო საბჭოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს საარჩევნო სიას, მოვალეა დაასახელოს აგრეთვე თავისი წარმომადგენელი ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან დამოკიდებულობისა და მონაწილეობისათვის, თუ წარმომადგენელი არ არის დასახელებული,

წარმომადგენელად ითვლება სიის პირველი ხელის მომწერი. ჯგუფის წარმომადგენელმა უნდა გადასცეს კომისიას თავისი მისამართი, რომ ბინაზე მიიღოს ცენტრალური კომისიის უწყებები. წინააღმდეგ შემთხვევაში კომისიის ცნობები ითვლება წარმომადგენლის მიერ მიღებულად, თუ გამოკრულია კომისიის შენობაში. გარდა ამისი ამრჩეველი ჯგუფი, რომელიც მოისურვებს, რომ მისი წარმომადგენლები შედიოდნენ ქალაქის და უბნის საარჩევნო კომისიებში, დაასახელებენ პირს, რომელიც შეყვანილ უნდა იქნეს თვითეულ დასახელებულ კომისიაში.

26. თვითეულ ამომრჩეველს შეუძლიან ხელი მოაწეროს მხოლოდ ერთ საარჩევნო სიას. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ ერთი და იგივე პირი ხელს აწერს ორს ან რამდენსამე სიას, მისი ხელის მოწერა ნამდვილად ითვლება მხოლოდ იმ სიაში, რომელიც პირველად იქნა მოტანილი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

27. რიცხვი სიაში ნაჩვენები კანდიდატებისა შეიძლება 40-ზე ნაკლები იყოს. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს სამოცს.

28. ერთსა და იმავე კანდიდატის შეტანა სხვა-და-სხვა საარჩევნო სიაში არ შეიძლება.

29. კანდიდატთა სიის მიღების შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისია იძლევა ხელწერილს თვის, დღის და საათის აღნიშვნით.

30. იმ შემთხვევაში, თუ წამოყენებული სია არ ეთანხმება 3, 5, 6, 7 მუხლებში ნაჩვენებ მოთხოვნილებებს, აფხაზეთის სახალხო საბჭოს ცენტრალური საარჩევნო კომისია სამი დღის ვადაში აცნობებს ამის შესახებ ჯგუფის წარმომადგენელს; განცხადებები, რომლებიც გაასწორებენ აღმოჩენილ შეცდომებს, შემოტანილ უნდა იქნას ოცდაოთხი დღით ადრე არჩევნების დაწყებამდე.

31. საკანდიდატო სიები, რომელიც აკმაყოფილებს 3, 5, 6, და 7 მუხლის მოთხოვნილებებს, ცენტრალური კომისიის მიერ ინუმრება მათი შემოტანის რიგის მიხედვით; ამ ნუმერაციით და აგრეთვე ორგანიზაციების სახელწოდებით, თუ სიებს თან ახლდება ასეთები, საკანდიდატო სიები გამოიკიდება კომისიის შენობაში არა უგვიანეს ოცდასამი დღისა არჩევნე-

ბის დაწყებამდე და მერე დაუყოვნებლივ ეუწყება აფხაზეთის საარჩევნო საუბნო და საქალაქო კომისიებს.

32. საკანდიდატო სიების შემტან ჯგუფებს შეუძლიანთ არა უგვიანეს 15 დღისა არჩევნების დაწყებამდე განაცხადონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რომ მათ სურთ თავიანთი საკანდიდატო სიების შეერთება; ამ განცხადებაზე ხელი უნდა ეწეროს შეერთების მსურველ ყველა ჯგუფის წარმომადგენლებს. ასეთ შეერთებას ცენტრალური კომისია აცხადებს საყოველთაოდ არა უგვიანეს განცხადების მიღების მეორე დღისა.

33. ერთი და იგივე სია მხოლოდ ერთ შეერთებაში შეიძლება შედიოდეს.

V. საარჩევნო ბარათების მიცემა და დათვლა.

34. არჩევნები აფხაზეთის სახალხო საბჭოში სწარმოებს დახურული საარჩევნო ბარათების მიცემით.

35. საარჩევნო ბარათები გარეგნობით ერთნაირი უნდა იყოს. ნიმუშს საარჩევნო ბარათისას აწესებს ცენტრალური საარჩევნო კომისია და აცხადებს საყოველთაოდ არა უგვიანეს 35 დღისა არჩევნების დაწყებამდე.

36. თვითეული საარჩევნო ბარათი უნდა შეიცავდეს ერთერთ გამოქვეყნებულ საკანდიდატო სიას; ამ სიაში არავითარი ცვლილების შეტანა არ შეიძლება, არც ერთი კანდიდატის მეორე ადგილზე გადატანა. ბარათს უნდა ჰქონდეს ნუმერი საკანდიდატო სიისა და სახელწოდება ამ სიის წარმომდგენი ორგანიზაციისა, თუ მას ორგანიზაციის სახელი აქვს დართული.

37. კონვერტები საარჩევნო ბარათებისათვის ერთგვარი უნდა იყოს, არა გამჭვირვალე, სუფთა და ზედ უნდა იყოს დასმული ბეჭედი ცენტრალურის, ან საუბნო და საქალაქო კომისიისა. ყველა განცხადებულ საკანდიდატო სიისთვის მზადდება თანაბარი რიცხვი საარჩევნო ბარათებისა.

38. საარჩევნო ბარათებში საკანდიდატო სიის ტექსტი იბეჭდება რუსულ ენაზე, მაგრამ ჯგუფს, რომელმაც სია წარმოადგინა, შეუძლიან სიის წარდგენის დროს მოითხოვოს, რომ სათანადო საარჩევნო ბარათებში შეტანილ უნდა იქნას

თარგმანი იმ ენაზე, რომელსაც ჯგუფი უჩვენებს. ასეთი მოთხოვნის განცხადებისას ჯგუფი მოვალეა წარმოადგინოს ტექსტის თარგმანი და უჩვენოს ტეხნიკურად შესაძლებელი საშუალებანი მისი დაბეჭდვისათვის.

39. საარჩევნო ბარათები და კონვერტები დამზადების შემდეგ დაეგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიის განკარგულებით საქალაქო და სასოფლო კომისიებს, უკანასკნელებს სარაიონო კომისიების საშუალებით.

40. საქალაქო საარჩევნო კომისიები წინდაწინვე ამზადებენ სახელობითს მოწმობებს საარჩევნო სიებში შეტანილ თვითეულ ამომრჩევლისათვის. ამ მოწმობაში აღინიშნება სახელი, მამის სახელი და გვარი, ან მეტი სახელი ამომრჩეველის, მისამართი მისი, საარჩევნო უბანი და ის ნუმერი, რომელიც ამომრჩეველის რიგს აღნიშნავს საარჩევნო სიაში. იქვე აღნიშნული უნდა იყოს დრო და ადგილი ხმის მიცემისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სახელობითი მოწმობა სოფლის მცხოვრებთათვის სავალდებულო არ არის.

41. საქალაქო ანუ სასოფლო საარჩევნო კომისია ვალდებულია დაურიგოს თვითეულ ამომრჩეველს არა უგვიანეს შვიდი დღისა არჩევნების დაწყებამდე თითო ცალი საარჩევნო ბარათი ყოველ განცხადებულ საკანდიდატო სიისა და აგრეთვე სახელობითი მოწმობა ქალაქის ამომრჩეველებს. იმას, ვისაც უფლება აქვს მიიღოს სახელობითი მოწმობა და საარჩევნო ბარათები, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია, მიეცემა: მოწმობა ჯეროვან საქალაქო კომისიაში არჩევნების დღემდე, საარჩევნო ბარათები-კი — არჩევნების დღეს.

42. საუბნო და საქალაქო საარჩევნო კომისიები ამზადებენ პირამოჭრილ საარჩევნო ყუთებს საარჩევნო ბარათების ჩასაშვებად და უგზავნიან სასოფლო საარჩევნო კომისიებს.

43. თვითეულ საარჩევნო კომისიას მიეცემა განსაკუთრებული შენობა.

44. თვითეულ საარჩევნო შენობაში უნდა იყოს ერთი ან რამდენიმე მოფარებული ადგილი, რომ ამომრჩეველს შეეძლოს არჩევნების საიდუმლოების დაურღვევლად ჩასდოს კონვერტში საარჩევნო ბარათი.

45. საარჩევნო საუბნო კომისიის სხდომები საჯაროა. ხმის

მისაცემად დანიშნულ დღეს თავმჯდომარე კომისიისა, კომისიის წევრთა და ამ დროისთვის საარჩევნო დარბაზში შემოსულ პირთა თანადასწრებით გახსნის კომისიის სხდომას. თავმჯდომარე შეამოწმებს, რომ საარჩევნო ყუთი მთელია და ცალიერი, შემდეგ დახურავს, დაბეჭდავს და მოიწვევს ამომრჩეველს ხმის მისაცემად. სანამ საარჩევნო ბარათების მიცემა გრძელდება, კომისიის სხდომაზე აუცილებლად უნდა იყოს, უკიდურესს შემთხვევაში, კომისიის სამი წევრი მაინც.

46. საარჩევნო შენობაში მხოლოდ არჩევნები სწარმოებს. ბოწოდების გამოკიდება ან გაკვრა, ბროშურების და პლაკატების დარიგება, საარჩევნო ბარათების გავრცელება, სიტყვების წარმოთქმა და საერთოდ ყოველ გვარი აგიტაცია აკრძალულია როგორც ოთახებში, სადაც საარჩევნო ბარათებს იძლევიან, ისე კიბეებზე, გასასვლელებში და საარჩევნო შენობის შესავალ კარებთან. საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარე თვალ-ყურს ადევნებს, რომ საარჩევნო შენობაში არჩევნების წარმოების დროს დაცულ იქნეს სრული წესრიგი და დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს, ვინც მას დაარღვევს.

47. საარჩევნო შენობაში არ შეიშვებიან: 1) შეიარაღებულნი და 2) ისინი, ვისაც ცხადად ეტყობა, რომ მთვრალიან.

48. თავმჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების მიხედვით, თანახმად კომისიის დადგენილებისა, მოსთხოვოს საქალაქო და სამხედრო დაწესებულებას გამოუგზავნოს მილიციონერები ან ჯარისკაცები, რომელნიც სავსებით ემორჩილებიან თავმჯდომარეს და იმყოფებიან მხოლოდ მის განკარგულებაში.

49. თუ წესრიგი დაირღვა, ან თუ ვინმე კომისიის, ან მისი თავმჯდომარის განკარგულებას არ დაემორჩილა, კომისიას შეუძლიან დაადგინოს შეიყვანოს მილიციონერები ან ჯარისკაცნი შენობაში, სადაც არჩევნები სწარმოებს. თუ თავმჯდომარის მოთხოვნა არაა, ისე საარჩევნო შენობაში არავითარი შეიარაღებული ძალის შეყვანა არ შეიძლება.

50. არჩევნები იწყება ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნულ დღეს და გრძელდება ქალაქებში სამი დღის განმავლობაში, სასოფლო საარჩევნო კომისიებში-კი შვიდი დღის განმავლობაში. საქალაქო საარჩევნო კომისიები საარჩევნო ბარათების მისაღებად ღია უნდა იყოს არჩევნების პირველი ორი დღის განმავლობაში დილის 9 საათიდან საღა-

მოს 9 საათამდე, მესამე დღეს-კი დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათამდე, სოფლებში — არჩევნების პირველი ექვსი დღის განმავლობაში დილის 8 საათიდან საღამოს 5 საათამდე, უკანასკნელ დღეს-კი დილის 8 საათიდან დღის 2 საათამდე.

51. საარჩევნო ბარათი ამომრჩეველმა პირადად თითონ უნდა მიიტანოს.

52 ამომრჩევლის გამოცხადება კომისიის წევრის მიერ აღინიშნება საარჩევნო სიაში. შემდეგ ამომრჩეველი მიიღებს კომისიისაგან კონვერტს მასში საარჩევნო ბარათის ჩასადებად; რაიმე ეჭვის გამო კომისიას შეუძლიან ამომრჩეველს მოსთხოვოს პირადობის მოწმობა, სანამდე კონვერტს მისცემდეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ქალაქის ამომრჩევლები გამოცხადების დროს წარმოადგენენ სახელობითს მოწმობას.

53. კონვერტის მიღების შემდეგ ამომრჩეველი მიდის მოფარებულ ადგილას და იქ ჩასდებს კონვერტში საარჩევნო ბარათს; დაბრუნდება საარჩევნო ყუთთან, გადასცემს დაბეჭდილ კონვერტს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც მის თვალწინ ჩააგდებს კონვერტს ყუთში.

54. არჩევნების პირველ დღეებში ქალაქებში საარჩევნო შენობის შესავალი კარები დაიკეტება საღამოს სრულ ცხრა საათზე, რის შემდეგაც საარჩევნო ბარათები მიიღება მხოლოდ იმ ამომრჩეველთაგან, რომელნიც შევიდნენ საარჩევნო შენობაში ცხრა საათამდე. საარჩევნო ბარათების მიღება რომ დასრულდება, თავმჯდომარე აცხადებს, რომ ხმის მიცემა ამ დღისათვის დამთავრებულია და საარჩევნო ყუთის ამოპრილ პირს დალუქავს. ამის შემდეგ ყველა იქ მყოფნი დასტოვებენ საარჩევნო ოთახს, შენობა-კი დაიბეჭდება თავმჯდომარის განკარგულებით მეორე დღის დილამდე და შენობის კარებს დარაჯი მიუდგება.

55. არჩევნების უკანასკნელ დღეს საარჩევნო შენობის შესავალი კარები დაიკეტება დღის ორ საათზე, რის შემდგომ საარჩევნო ბარათების მიღება მოხდება მხოლოდ იმათგან, ვინც შენობაში შესულა კარების დაკეტვამდე. ბარათების მიცემის გათავების შემდეგ თავმჯდომარე ხმის მიცემას დასრულებულად გამოაცხადებს და განკარგულებას მოახდენს კარე-

ბი გაიღოს. ამის შემდეგ კომისია თავდაპირველად კონვერტს დაითვლის გაუხსნელად. თუ კონვერტების რაოდენობა არ ეთანაბრება იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომელთა გამოცხადებაც აღნიშნულია საარჩევნო სიაში, შესაფერი შენიშვნა შეაქვთ ოქმში და ამის შემდეგ იწყება კონვერტების გახსნა და საარჩევნო ბარათების კითხვა.

56. სასოფლო საარჩევნო კომისიებისთვის პირველი ექვსი დღის განმავლობაში საარჩევნო შენობაში მისვლა და ბარათების გადაცემა თავდება საღამოს ხუთ საათზე; საარჩევნო ბარათების მიღების გათავების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე აცხადებს მათ მიღებას ამ დღისათვის გათავებულად და დაბეჭდავს საარჩევნო ყუთს. ამის შემდეგ ყველა იქ მყოფნი სტოვებენ დარბაზს, შენობა კი იბეჭდება მეორე დილამდე და კარებს დარაჯი მიუდგება.

57. არჩევნების მეშვიდე დღეს ამრჩეველის საარჩევნო შენობაში მიღება თავდება დღის ორ საათზე, რის შემდეგაც ბარათების მიღება სწარმოებს მხოლოდ მათთვის, ვინც შენობაში მოვიდა აღნიშნულ დრომდე. საარჩევნო ბარათების მიცემის გათავების შემდეგ თავმჯდომარე ხმის მიცემას დამთავრებულად აცხადებს და განკარგულებას მოახდენს კარებიზ გასაღებად. ამის შემდეგ კომისია დაითვლის უპირველესად კონვერტებს მათ გაუხსნელად. თუ კონვერტების რიცხვი არ ეთანხმება ამომრჩეველთა რიცხვს, რომელთა გამოცხადებაც აღნიშნულია საარჩევნო სიებში, შესაფერი შენიშვნა შეაქვთ ოქმში. ამის შემდეგ კონვერტებს ხსნიან და კითხულობენ საარჩევნო ბარათებს.

58. ნამდვილ საარჩევნო ბარათებად არ ჩაითვლება: 1) საარჩევნო ბარათები, რომელიც არ აკმაყოფილებს 2, 3 და 5 მუხ. მოთხოვნილებას, 2) შეუვსებელი ბარათები, 3) ბარათები, ამომრჩეველის მიერ ხელმოწერილი, ან დასვრილი და წაშლილი ან სხვადასხვა ნიშნებით ჩადებული იმ გვარსავე ნიშნიან კონვერტში და 4) ერთ კონვერტში მოქცეული რამდენიმე ბარათი, თუ მათი შინაარსი სრულიად ერთნაირი არ არის, ხოლო თუ შინაარსი იმ ბარათებისა ერთნაირია, მაშინ ნამდვილად ჩაითვლება ერთი მათგანი.

59 საკითხი საარჩევნო ბარათის სინამდვილისა, თუ ამაზე უჭვი დაიბადება, სწყდება საარჩევნო კომისიაში ხმის უმეტე-

სობით. ხმათა თანასწორობის დროს თავმჯდომარის ხმა სწყვეტს საკითხს.

60. ნამდვილად მიჩნეული საარჩევნო ბარათები დაითვლება ცალ-ცალკე თვითეულ საარჩევნო სიის მიხედვით.

61. ყოველივე, რაც ხდება საარჩევნო უბანში სხდომის გახსნიდან მის დახურვამდე, იწერება ოქმში. კერძოდ ოქმში შეაქვთ ყველა განკარგულება თავმჯდომარისა და დადგენილება კომისიისა, აგრეთვე განცხადებანი, რომელიც კი შეუტანიათ კომისიაში დამსწრე ამომრჩევლებს. მასში აღინიშნება აგრეთვე რიცხვი საარჩევნო ბარათებისა, მიცემული თვითეულ საარჩევნო სიისთვის, აგრეთვე რიცხვი არა ნამდვილად აღიარებული ბარათებისა, სადაც ნაჩვენები იქნება მათი უარყოფის მიზეზების ახსნა-განმარტება. ოქმს ხელს მოაწერენ თავმჯდომარე, კომისიის წევრები და ყველა დამსწრენი, ვინც კი ამას მოისურვებს.

62. ოქმი სასოფლო საარჩევნო კომისიისა იგზავნება თავის რაიონის საუბნო საარჩევნო კომისიაში; ოქმთან ერთად ცალკე კონვერტებით იგზავნება: 1) საარჩევნო ბარათები, კომისიის მიერ სწორად მიჩნეული; 2) ბარათები, კომისიის მიერ ნამდვილად აღიარებული, ხოლო კომისიის რომელისამე წევრის მიერ დაწუნებული; 3) ბარათები, კომისიის მიერ ყალბად აღიარებული, მიუხედავად კომისიის ცალკე წევრების აზრისა, და 4) ბარათები, ერთხმად უარყოფილი კომისიის მიერ.

63. საუბნო კომისიები, სასოფლო საარჩევნო კომისიების ოქმების და მათთან საარჩევნო ბარათების განხილვის შემდეგ, საბოლოოდ განსაზღვრავენ, რომელი საარჩევნო ბარათი უნდა იქნეს აღიარებული ნამდვილად და რამდენი ხმა იყო თვითეულ საარჩევნო უბანში მიცემული თვითეულ განცხადებულ საკანდიდატო სიისთვის.

64. ოქმი საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომისა სასოფლო საარჩევნო კომისიების ოქმებთან ერთად იგზავნება აფხაზეთის სახალხო საბჭოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ამ ოქმთან ერთად იგზავნება საარჩევნო ბარათები, აღნიშნული 62 მუხლის მე-2—4 პუნქტებში.

65. საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომები, როდესაც სწარმოებს განხილვა სასოფლო საარჩევნო კომისიების ოქმე-

ბისა და დათვლა საარჩევნო ბარათებით მიღებული ხმებისა, საჯაროა.

66. ოქმი საქალაქო კომისიისა გადაეგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას; ოქმთან ერთად იგზავნება საარჩევნო ბარათები, აღნიშნული 62 მუხ. მე-2—4 პუნქტებში.

67. აფხაზეთის სახალხო საბჭოს საარჩევნო კომისიის სხდომები, სადაც სწარმოებს მიცემული საარჩევნო ბარათების დათვლა, საჯაროა.

VI. არჩევნების შედეგები.

68. ცენტრალური საარჩევნო კომისია, იხელმძღვანელებს რა საუბნო, სასოფლო და საქალაქო საარჩევნო კომისიების სხდომების ოქმებით, დაითვლის ხმას, რაც მთელს ოლქში მიუცია თვითეულ საკანდიდატო სიისთვის და ამის შემდეგ საერთო რიცხვი აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრების რაოდენობისა დანაწილდება განცხადებულ საკანდიდატო სიათა შორის იმ ხმების რიცხვის პროპორციით, რაც თვითეულს სიას მიუღია მთელს ოლქში. ამ განაწილების წესი ნაჩვენებია 70—72 მუხ.

69. უკეთუ არჩევნებისათვის დანიშნულ ვადაზე არჩევნები ვერ მოხდა ერთს ან რამდენსამე საარჩევნო უბანში და ამასთან საერთო რიცხვი ამ უბნების ამომრჩევლებისა, რომელთაც ამის გამო არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ, შეადგენს მთელი ოლქის ამომრჩევლების ერთს მეათედზე არა ნაკლებს, ამ შემთხვევაში ცენტრალური კომისია დაუყოვნებლივ განკარგულებას მოახდენს, დაინიშნოს ასეთ უბნებში ხელმეორე არჩევნები. თუ ასეთ საარჩევნო უბნების ამომრჩეველთა საერთო რიცხვი აღნიშნულ მეათედზე ნაკლებია, ან თუ მეორეჯერ დანიშნული არჩევნები არ მოხდა, მაშინ ხმების საერთო დათვლის დროს ცენტრალურ კომისიაში ის საარჩევნო უბნები, სადაც არჩევნები არ მომხდარა, სათვალავში არ ჩაითვლება.

70. რაოდენობა ხმებისა, მიცემული მთელ ოლქში, თვითეულ საკანდიდატო სიის მიერ გაიყოფა თანდათანობით ერთზე, ორზე, სამზე, ოთხზე და ასე; ამნაირი გაყოფით მიღებულ ნაწილადთაგან გამოცალკევდება ყველაზე დიდი ნა-

წილადები, იმდენი, რამდენიცაა რიცხვი ასარჩევი წევრებისა. ეს ნაწილადები ჩამომწკრივდება ასე: ჯერ ყველაზე დიდი, მერე უფრო პატარა და ამ გვარად ბოლომდე, და უკანასკნელი ნაწილადი არის საარჩევნო კოეფიციენტი. თუ რამდენი წევრი ხვდა თვითეულ საკანდიდატო სიას, ამას იანგარიშებენ ასე: აიღებენ იმ ხმების რიცხვს, რომელიც ამოსვლია განსაზღვრულ საკანდიდატო სიას და გაჰყოფენ საარჩევნო კოეფიციენტზე.

თუ ასეთნაირი განაწილების დროს უკანასკნელი ადგილი შეხვდება ორს ან რამდენსამე სიას, იმ შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა იმ სიის კანდიდატს, რომელსაც მეტი ხმა მიუღია. თუ ხმები თანასწორი მიუღიათ, მაშინ საკითხი კენჭის ყრით გადასწყდება.

71. უკეთუ მე-70 მუხლში აღნიშნულ განაწილების დროს რომელსამე საკანდიდატო სიას მასში დასახელებულ კანდიდატთა რიცხვზე მეტი წევრი ხვდა, იმ შემთხვევაში შესაფერი ადგილები აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრებისა დაუჭერელი დარჩება.

72. თუ საარჩევნო ოლქში არის ისეთი საკანდიდატო სიები, რომელთა შეერთებისთვისაც შესაფერი განცხადება იყო წეტანილი, იმ შემთხვევაში აფხაზეთის საბჭოს წევრთა რიცხვის განაწილების დროს საკანდიდატო სიებს შორის ყველა იმ ხმები, რომელიც მიუციათ ერთსა და იმავე შეერთებაში შესული სიებისთვის, შეერთდება და განაწილება მოხდება ჯერ ამ შეერთებასა და სხვა დანარჩენ სიებს შორის, ისე. როგორც ნაჩვენებია 70 მუხლში; შემდეგ აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრთა ის რიცხვი, რომელიც თვითეულ შეერთებას ერგო, განაწილდება ამ შეერთებაში მოქცეულ საკანდიდატო სიებს შორის ზემოხსენებული წესისამებრ.

თუ რომელსამე შეერთებულ სიას კანდიდატების რიცხვი შემოაკლდა, მაშინ სახალხო საბჭოს წევრთა შესაფერ ადგილს დაიჭერს შეერთების მონაწილე კანდიდატი იმ სიიდან, რომელშიაც საკმარისი კანდიდატთა რიცხვია და რომელსაც ყველაზე მეტი ხმა მიუღია.

73. თვითეულ სიაში შეტანილი კანდიდატი აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრთა რიცხვში შედის იმ რიგზე, როგორც შეტანილია სიაში, დაწყებული პირველი კანდიდატიდან.

74. ვინც თავის ნებით მოაძრობს, ჩამოხევს, ზემოდან რასმე გადააფარებს, ან შესცვლის საჯაროდ გამოფენილ საარჩევნო მოწოდებას, ცნობას ან სიას ამომრჩეველთა იმ ჯგუფებისას, რომელთაც საკანდიდატო სიები წარმოუდგენიათ, დაისჯება დატუსაღებით არა უმეტეს ერთი თვის ვადისა, ან დაჯარიმებული იქნება ფულით არა უმეტეს 300 მანეთისა.

75. ვინც თავის ნებით შეიჭრება იმ შენობაში, რომელიც არჩევნების წინასწარი აგიტაციისათვისაა აღებული და საკანდიტატო სიის წარმომდგენელი ჯგუფის განკარგულებაშია, ან გაანადგურებს, ან დააზიანებს არჩევნების წინასწარი აგიტაციისათვის დანიშნულ ლიტერატურას, რომელიც სათანადო ორგანიზაციის განკარგულებაში იმყოფება, ან ვინც დაემუქრება, ან ძალადობით მოქმედებას მიმართავს იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ამ ორგანიზაციის სახელით მოქმედებენ, დაისჯება სატუსაღოში დამწყვდევით არა უმეტეს ექვსი თვის ვადისა.

76. ვინც განზრახ ყალბ ცნობას გამოაქვეყნებს კანდიდატის პიროვნებისა ან მისი კერძო ცხოვრების შესახებ იმ მიზნით, რომ ნდობა დაუკარგოს მას ან მის მიერ წარმოდგენილ ორგანიზაციას, ან გაიყვანოს სხვა კანდიდატი, დაისჯება ციხეში დამწყვდევით, ან დაჭერით.

77. ვინც წარმოადგენს ყალბს, ან გადაკეთებულ განცხადებას კანდიდატობაზე თანხმობისას, დაისჯება გამასწორებელ სახლში დამწყვდევით.

ასეთივე სასჯელი მიეცემა მას, ვინც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგენს კანდიდატის განცხადებას, რომ ის თანახმაა კენჭი იყაროს აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრობაზე, და წარმომდგენელმა იცის, რომ ეს განცხადება ყალბია ან გადაკეთებული.

78. ვინც გაავრცელებს ისეთ საკანდიდატო სიებს, ან ისეთ საარჩევნო ბარათებს, რომელთა სიყალბეც მან კარგად იცოდა, — დაისჯება სატუსაღოში დამწყვდევით.

79. ვინც შეეცდება ხელი შეუშალოს საკანდიდატო სიების წარმომდგენთა მიერ მოწვეულ წინასწარ საარჩევნო კრების ან საარჩევნო კომისიების მუშაობას ძალადობითი მოქ-

მედებით, მუქარით, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, ან უწესოების ჩადენით, დაისჯება სატუსაღოში დამწყვდევით.

თუ ასეთი მოქმედება ჩადენილია რამდენისამე შეიარაღებული პირის მიერ, რასაც შედეგად მოჰყვება ზემოხსენებული კრების ან კომისიის მუშაობის შეწყვეტა, მაშინ დამნაშავე დაისჯება გამასწორებელ სახლში დამწყვდევით.

80. ეკლესიებსა და ღვთისმსახურების შესასრულებელ სხვა ადგილებში საარჩევნო აგიტაცია როგორც ქადაგებისა, ისე სიტყვიერი ან წერილობითი მოწოდების სახით აკრძალულია ყველასათვის. ამის დამრღვევი დაისჯება სატუსაღოში დამწყვდევით არა უმეტეს ექვსი თვისა.

81. ვინც პიროვნებაზე ძალადობითა, დასასჯელი (наказуемый) მუქარითა, მოტყუებითა, ძალა-უფლების ბოროტად მოხმარებითა, ან ეკონომიურის დამოკიდებულების საშუალებით ხელს შეუშლის საარჩევნო უფლების მქონეს თავისუფლად განახორციელოს ეს უფლება, — დაისჯება სატუსაღოში დამწყვდევით.

დაისჯება აგრეთვე ცდა ასეთი დანაშაულის ჩადენისა.

82. ვინც ძალადობის საშუალებით, მუქარით, უწესოების მოხდენით, საარჩევნო სიების ან საარჩევნო ბარათების და ყუთების გაფუჭებით, ან საარჩევნო კომისიის წევრებზე ძალადობის ხმარებით ხელს შეუშლის არჩევნების წესიერად წარმოებას საარჩევნო კომისიის შენობაში, — დაისჯება გამასწორებელ სახლში დამწყვდევით.

83. ვინც უწესოებით, დაშინებით ან მიმოსვლის საშუალების მოსპობით ხელს შეუშლის ამომრჩეველთა ნაწილს გამოიყენოს საარჩევნო უფლება, — დასჯილ იქნება გამასწორებელ სახლში დამწყვდევით არა უმეტეს სამი წლის ვადისა.

დაისჯება აგრეთვე ცდა ასეთი დანაშაულის ჩადენისა.

84. ვინც წინასწარ აგიტაციას გასწევს იმ შენობაში, სადაც არჩევნები სწარმოებს, და ან წესიერებას დაარღვევს არჩევნების წარმოების დროს, ან არ დაემორჩილება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებას დასტოვოს საარჩევნო შენობა, — დაისჯება დატუსაღებით.

85. ვინც ამომრჩეველს გადაიბირებს დაპირებით მისთვის ან მისი ოჯახის წევრისათვის პირადი ან ქონებრივი სარგებ-

ლობის მიცემით, რომ უკანასკნელმა არ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, დაისჯება სატუსაღოში დამწყვდევით.

დაისჯება აგრეთვე ცდა ასეთი დანაშაულის ჩადენისა.

ასეთივე სასჯელით დაისჯება ამომრჩეველი, რომელსაც მოუთხოვნია ან მიუღია პირადი რამ სარგებლობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულის მიზნით.

86. ვინც გაუმასპინძლდება ამომრჩეველს იმ მიზნით, რომ არჩევნების დროს ხმა მიაცემინოს თავის ან სხვა პირთა სასარგებლოდ, — დაისჯება დატუსაღებით.

87. ვინც იცოდა, რომ მას საარჩევნო ხმა არა აქვს, ან უკვე დაჰკარგა და მაინც მისცა ხმა არჩევნებზე, — დაისჯება დატუსაღებით.

ასეთივე სასჯელით დაისჯება, ვინც არჩევნების დროს ერთზედ მეტად მისცემს ხმას, თუნდაც სხვა-და-სხვა საარჩევნო უბანში, და აწ სხვის მაგიერ, თუნდაც მისი თხოვნით.

88. ვინც განზრახ დაამახინჯებს ხმის მიცემის შედეგს საარჩევნო ბარათების ჩამორთმევისა, დათვლისა და გამოქვეყნების დროს და ან განზრახ გააფუჭებს, ან მოიტაცებს მიცემულ საარჩევნო ბარათებს, ან საარჩევნო წარმოებას, ან სიყალბით ჩაუმატებს საარჩევნო ბარათებს, ან შესცვლის საარჩევნო წარმოებას, — დაისჯება გამასწორებელ, სახლში დამწყვდევით არა უმეტეს სამის წლის ვადისა.

ამ დანაშაულის ჩადენის ცდაც დაისჯება.

89. ვინც, კანონის წინააღმდეგ, გამოააშკარავებს ხმის მიცემის საიდუმლოებას არჩევნებში, — დაისჯება დატუსაღებით.

90. საარჩევნო კომისიის წევრი ან სხვა თანამდებობის პირი, რომელიც განზრახ დაარღვევს საარჩევნო დებულებას იმ მიზნით, რომ გავლენა მოახდინოს არჩევნების მსვლელობაზე ამა თუ იმ საკანდიდატო სიის სასარგებლოდ თუ საზიანოდ, თუ ამისთვის უფრო სასტიკი სასჯელი არ მოელის, — დაისჯება დატუსაღებით.

91. სასამართლოს უფლება აქვს, ზემო აღნიშნულ სასჯელთა გარდა, დამნაშავეს მიუსაჯოს:

1) უკეთუ ჩაუდენია მოქმედება, აღნიშნული მე-76, 77, 79, 82 83, 86, 87 და 88 მუხ. საკანონმდ. დაწეს. და თვით-

მმართველობის ორგანოებში, საარჩევნო უფლების ჩამორთმევა ვადით 5 წლამდე განაჩენის გამოქვეყნებიდან;

2) უკეთუ ჩაუდენია მოქმედება, აღნიშნული მე-76, 82, 86, 87 და 89 მუხ., ფულის გადახდევინება არა უმეტეს 3,000 მან.;

3) უკეთუ ჩაუდენია მოქმედება, აღნიშნული მე-75, 78, 79, 82, 86, 87 და 91 მუხლებში, და თუ დამნაშავე თანამდებობის პირია, — სამსახურიდან გაძევება.

92. ამ (VII) თავში მოყვანილ დადგენილებას შეეხება 1903 წ. 22 მარტის სისხ. სამ. დებ. I თავი (კან. კრ. ტ. XV გამ., 1909 წ.).

93. ამ (VII) თავში აღნუსხულ დანაშაულთა გამო საჩივრის აღძვრის უფლება ეკუთვნის თვითეულ მოქალაქეს, ვისაც სახალხო საბჭოს არჩევნების უფლება აქვს, ამ შემთხვევაში მას შეუძლიან იჩივლოს ვითარცა დაზარალებულმა.

94. საქმის აღძვრა წინააღმდეგ იმ პირთა, რომელთაც 74—75, 81, 85 და 90 მუხლებში აღნიშნული მოქმედება ჩაიდინეს, შეიძლება მხოლოდ სამი თვის განმავლობაში არჩევნების გათავების შემდეგ, ამ (VII) თავში აღნიშნულ დანარჩენი მოქმედების გამო-კი ექვსი თვის განმავლობაში.

95. ამ (VII) თავში აღნიშნული დანაშაულობითი მოქმედების საქმეებს, რომელთათვისაც დადგენილია სატუსაღო, ან უფრო მკაცრი სასჯელი, არჩევს ოლქის სასამართლო ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, დანარჩენ საქმეებს-კი — მომრიგებელი მოსამართლე.

96. სოხუმის ოლქში ამ დებულებისავე ძალით მოხდება საერობო არჩევნები.

სამოქალაქო უქმე დღეებისა

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 31 დეკემბრის კანონი

1. საქართველოს რესპუბლიკაში დაწესებულ იქნეს შემდეგი სამოქალაქო უქმე დღეები ახალის სტილით:

ა) ახალი წელიწადი — იანვრის პირველი;

ბ) რუსეთის დიდი რევოლუციის პირველი დღე — მარტის 12;

გ) ინტერნაციონალის დღესასწაული — მაისის პირველი, და

დ) საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე — მაისის 26.

2. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა საქართველოს პარლამენტის მიერ.

1919

ԱՇԽԱՐՀ

სამეფო გვარეულობის წევრთა ქონების კონფისკაციისა

საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 3 იანვრის კანონი

1. საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში მდებარე ყოველი ადგილ-მამული, რომელიც ეკუთვნოდა სამეფო გვარეულობის წევრთ, როგორც დაბა-ქალაქებში, აგრეთვე მათ გარეშე, ყოველ გვარი შენობა და სამეფო გვარეულობის წევრთა ყოველი მოძრავი ქონებით, გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონებად.

დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულების შესწორებისა[1]

საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 10 იანვრის კანონი

შეცვლილ იქნას მუხლები: 30, 32, 33, 34, 36, 39, 43, 49, 50, 54 და 61 პირველი ნახევარი შემდეგი სახით:

მ უ ხ. 30. ვინც საარჩევნო უბანში სიების შედგენის დაწყების შემდეგ დაბრუნდება, შეიძლება შეტანილ იქნეს სიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ წარუდგენს შესაფერ განცხადებას უბნის საარჩევნო კომისიას. ასეთი განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნეს სიების შედგენის დამთავრებამდე და აგრეთვე სამი დღის განმავლობაში მათი გამოქვეყნებიდან. ასეთ განცხადებასთან ერთად უნდა განცხადებული იქნეს ისიც, რომ მთხოვნელი ამოიშალოს წინანდელ საცხოვრე-

[1] იხ. გვ. 84.

ბელ ადგილას შემდგარ სიაში. ასეთი განცხადება გაიგზავნება დანიშნულებისამებრ.

მ უ ხ. 32. საარჩევნო სია შედგენისათანავე დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში კი არა უგვიანეს ოცდაოთხი დღისა არჩევნების დაწყებამდე საქვეყნოდ გამოცხადდება ისე, რომ ყველას შეეძლოს გაცნობა.

მ უ ხ. 33. სამი დღის განმავლობაში დღიდან საარჩევნო სიის გამოქვეყნებისა ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელს შეუძლია განაცხადოს პროტესტი; საარჩევნო ხმის უფლების ფლონებელთ-კი შეუძლიათ საჩივარი შეიტანონ, რომ სია არ არის სწორედ შედგენილი, ან სრული არაა. ხსენებული პროტესტები და საჩივრები შეაქვთ სამაზრო ან საქალაქო (სოხუმის და ზაქათალის ოლქებისათვის — საოლქო) საარჩევნო კომისიებში.

მ უ ხ. 34. ხსენებულ კომისიებს შეუძლიანთ დააკმაყოფილონ:

1) საჩივრები სიაში მომჩივანთა შეუტანლობისა, თუ ეს საჩივრები აღძრულია სამი დღის წინ მე-30 მუხ. აღნიშნულ ვადის გათავებამდე.

და 2) საჩივრები საარჩევნო სიებში არა სწორი ცნობის შეტანის გამო. აღნიშნულ საჩივართა დაკმაყოფილებას მომჩივანთ ატყობინებენ.

მ უ ხ. 36. არა უგვიანეს ორი დღისა მე-30 მუხ. აღნიშნულის ვადის გათავებიდან საყოველთაოდ უნდა გამოცხადდეს დამატებითი საარჩევნო სია, სადაც შეტანილი იქნება მხოლოდ:

1) ვინც აღნიშნულია მე-30-ე მუხლში, ვისი განცხადებაც სიაში თავის დროზე შეუტანლობისა დაკმაყოფილებულია.

2) ის, ვინც აღნიშნულია მე-34 მუხლში, და ის, ვინც დაუკმაყოფილებია სათანადო კომისიას. დამატებითს საარჩევნო სიას შეადგენენ თანახმად მე-29-ე მუხ. აღნიშნული წესებისა.

მ უ ხ. 39. სამაზრო და საქალაქო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილების გამო შეიძლება პროტესტის და საჩივრის გადატანა ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილებაში სამის დღის განმავლობაში; ასეთი პროტესტების და საჩივრების აღძვრა საარჩევნო წარმოებას ვერ შეაჩერებს.

მ უ ხ. 40. ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილება აღნიშნულ პროტესტებს და საჩივრებს განიხილავს ორი დღის ვადაზე.

მ უ ხ. 41. საარჩევნო სიები მათი ორი დღის განმავლობაში შესწორების შემდეგ, თანახმად ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების გადაწყვეტილებისა, ხელახლა გამოქვეყნდება არა უგვიანეს ხუთი დღის ვადისა არჩევნების დაწყებამდე, ისე რომ ხალხს, რაც შეიძლება, გაუადვილდეს მათი გადათვალიერება.

მ უ ხ . 43. საკანდიდატო სია ამომრჩეველთა ჯგუფმა უნდა წარმოუდგინოს ცენტრალურ კომისიას არა უგვიანეს ოცი დღისა არჩევნების დაწყებამდე.

მ უ ხ. 49. უკეთუ წარმოდგენილი საკანდიდატო სია არ აკმაყოფილებს მე-44-ე, მე-46 და 47 მუხლებში აღნიშნულ მოთხოვნილებას, იმ შემთხვევაში ცენტრალური კომისია აცნობებს ამას ჯგუფის წარმომადგენელს ერთი დღის განმავლობაში, განცხადება ხსენებულ ნაკლთა გასასწორებლად შეიძლება შეტანილ იქნეს გამოცხადებიდან ორი დღის განმავლობაში.

მ უ ხ. 50. წარმოდგენილი საკანდიდატო სიები, რომელიც აკმაყოფილებს მე-42-ე, მე-44 და 45-ე მუხ. აღნიშნულ მოთხოვნილებას, ცენტრალური კომისიის მიერ ინუმრება მათი შემოტანის რიგის მიხედვით. ამ ნუმერაციით და აგრეთვე ორგანიზაციების სახელწოდებით, თუ სიებს თან ახლდება ასეთები საკანდიდატო სიები გამოიფინება კომისიის შენობაში არა უგვიანეს თოთხმეტის დღისა არჩევნების დაწყებამდე და დაუყოვნებლივ ეუწყება სამაზრო, საოლქო და საქალაქო საარჩევნო კომისიებს და საყოველთაოდაც გამოცხადდება.

მ უ ხ. 54. საარჩევნო ბარათები გარეგნობით ერთნაირი უნდა იყოს. ნიმუშს საარჩევნო ბარათისას აწესებს ცენტრალური სარჩევნო კომისია და აცხადებს საყოველთაოდ არა უგვიანეს ოცდაათი დღისა არჩევნების დაწყებამდე.

მ უ ხ. 61. მთავარი საქალაქო და სოფლის წვრილი საარჩევნო კომისია ვალდებულია დაურიგოს თვითეულ ამომრჩეველს არა უგვიანეს ორი დღისა არჩევნების დაწყებამდე თითოცალი საარჩევნო ბარათი ყოველი გამოცხადებული საკანდი-

დატო სიისა და სახელობითი მოწმობა ქალაქის ამომრჩევლებს.

II. გაუქმებულ იქნეს მუხლები „დამფუძნებელი კრების დებულებისა“ 35, 37, 38 და 86.

III. მიღებულ იქნეს „დებულების“ მე-90[1] მუხლის შემდეგი დამატება: „90[1]. თუ დანიშნულ ვადაზე არჩევნები ვერ მოხდა ერთს ან რამდენსამე საარჩევნო უბანში, ცენტრალური კომისია ჰნიშნავს ამ ადგილებში ერთს და იმავე ვადაზე მეორე არჩევნებს არა უგვიანეს 6 თვისა პირველი არჩევნების დღიდან და იმავე საკანდიდატო სიებით, რომელიც მიღებული იყო პირველ არჩევნებში. ამ არჩევნების დამთავრების შემდეგ უნდა გამოანგარიშებულ იქნეს საარჩევნო კოეფიციენტი თანახმად 87 მუხლისა და მისდა მიხედვით ხელახლა დანაწილებული წარმომადგენლობა საკანდიდატო სიებს შორის“.

IV. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა პარლამენტის მიერ.

დამფუძნებელი კრებისათვის არჩევნების დანიშვნისა[1]

საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 10 იანვრის კანონი

1. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების პირველ დღედ დანიშნულ იქნეს მდგომარე წლის თებერვლის 14 (ახალი სტილით).

ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა საარჩევნო დებულების შეცვლისა და დამატებისა[2]

საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 14 იანვრის კანონი

I. მ უ ხ. მე-10-ე ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნების დებულებისა შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად.

10. ხუთი დღის განმავლობაში დღიდან სიების გამოცხადე-

---

[1] იხ. გვ. 84.

[2] იხ. გვ. 169, 219.

ბისა საყოველთაო განსახილველად, ადგილობრივი ადმინისტრაციის უმაღლეს წარმომადგენელს შეუძლიან განაცხადოს პროტესტი, ხოლო ამომრჩევლებს შეუძლიანთ განაცხადონ სიების უსრულობა ან უსწორობა. ასეთი პროტესტი და საჩივარი უნდა წარედგინოს ქალაქის გამგეობას, რომელიც ვალდებულია განიხილოს იგი ორი დღის განმავლობაში და შედეგი გამოუცხადოს მომჩივანს. თუ ამ ვადის განმავლობაში მომჩივანს შედეგს ვერ გამოუცხადებს, ან უარს ეტყვის საჩივარზე, მომჩივანს შეუძლია ორი დღის განმავლობაში პროტესტით ან საჩივრითვე მიმართოს სათანადო ინსტანციის ადმინისტრატიულ სასამართლოს, რომელიც ვალდებულია ორ დღეში განიხილოს ყველა საჩივარი. სასამართლოს გადაწყვეტილება სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი, მაგრამ შეიძლება მისი განსაჩივრება უზენაეს სასამართლოში. ეს საჩივრები მიღებულ უნდა იქნეს განსახილველად მხოლოდ არჩევნების საზოგადოდ განსაჩივრების დროს იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია ამ კანონის 32 მუხ.

მ უ ხ. მე-11 შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

11. საარჩევნო სიები, შესწორების შემდეგ მე-8 მუხლში ნაჩვენები წესით, არა უგვიანეს სამი დღისა არჩევნების დღემდე ხელმეორედ გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საყოველთაო განსახილველად.

მ უ ხ. მე-13 შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად.

13. არჩევნები უნდა მოხდეს კვირა ან უქმე დღეს ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილებით, მაგრამ არა უგვიანეს ერთი თვისა დღიდან რწმუნების ვადის შესრულებისა. თუ ქალაქი დაყოფილია საარჩევნო უბნებად, ყველა უბანში არჩევნები უნდა მოხდეს ერთ და იმავე დროს. საარჩევნო კომისიები არჩევნების დღეს მოქმედებენ დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე. დღე, საათი და ადგილი არჩევნებისა ქალაქის მოურავმა არა უგვიანეს ორი კვირისა არჩევნების დღემდე უნდა გამოაცხადოს საყოველთაოდ იმ საშუალებით, რომელსაც მიიღებს ქალაქის საბჭო.

ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებში ენის ხმარებისა

საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 14 იანვრის კანონი

1. მსჯელობა, საქმის წარმოება და მიწერ-მოწერა ქალაქის და ერობის თვითმართველობაში სწარმოებს სახელმწიფო ენით.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის დადგენილებით სიტყვის წარმოთქმა და განცხადების შეტანა თვითმმართველობის ორგანოებში შეიძლება შემოღებულ იქნეს სხვა ადგილობრივი ენითაც.

3. უკეთუ რომელიმე თვითმართველობის ფარგალში მცხოვრებ რესპუბლიკის მოქალაქეთა ნახევარზე მეტისათვის სალაპარაკო ენა არის მხოლოდ ერთი რომელიმე არა ქართული ადგილობრივი ენა, თვითმმართველობის ორგანოების დადგენილებით მსჯელობა და საქმის წარმოება სახელმწიფო ენასთან ერთად შეიძლება შემოღებულ იქნეს ამ უმრავლესობის ენაზედაც.

4. ეს კანონი არ ვრცელდება სოხუმის და სოჭის ოლქებზე.

5. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან მიღებისა პარლამენტის მიერ.

ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისა

საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 17 იანვრის კანონი

1. შემოღებულ იქნეს ნაფიც-მსაჯულთა სასამართლო. თანახმად იმ საფუძველთა, რომელიც დადგენილია სასამართლო დაწესებულების დებულებათა დრ. მთავრობის 1917 წლის სექტემბრის 21-ის რედაქციით და სისხლის სამართლის წარმოების წესდებით, იმ ცვლილებით და დამატებით, რომელიც აღნიშნულია ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს დებულებაში.

2. დროებით, რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს შემოღებამდე, უფლებანი და მოვალეობანი ამ სასამართლოსი, თანახმად ამ დებულების II ნაწილის 1 მუხლისა, მიენიჭოს სასამართლო პალატას.

3. დაევალოს იუსტიციის მინისტრს ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს დაჩქარებით შემოსაღებად — არა უგვიანეს 1919 წ. ივნისის 1-სა — თავის უფლებით განსაზღვროს დრო და ვადა სათანადო სიების შედგენისა ნაფიც-მსაჯულთა ასარჩევად.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოსი[1]

მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 17 იანვარს

I

სასამართლო დაწესებულებათა დებულების ჯეროვან მუხლთა შესავსებლად და შესაცვლელად დადგენილ იქნეს შემდეგი:

1. ნაფიცი მსაჯული უნდა ამორჩეულ იქნეს ორივე სქესის იმ პირთაგან:

ა) ვინც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეა (ქვეშევრდომია);

ბ) იცის ქართული ენა და წერა-კითხვა რომელსამე ენაზე;

გ) ვინც წლოვანებით 25 წელზე ნაკლები არ არის;

დ) ვისაც ერთ წელიწადზე არა ნაკლები უცხოვრია იმ მაზრასა ან ქალაქში, სადაც ნაფიც-მსაჯულთა არჩევანი სწარმოებს.

2. ნაფიც-მსაჯულად ყოფნა არ შეუძლიან:

ა) ვინც დანაშაულობის გამო გამოძიებასა ან სამართალში არის მიცემული, ვისაც კანონის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის სასამართლოს დადგენილებით საპატიმრო, ანუ უფრო სასტიკი სასჯელი ჰქონდა გადაწყვეტილი და ვინც სამართალში იყო მიცემული ასეთი სასჯელის ღირსი დანაშაულისათვის და სასამართლოს დადგენილებით უდანაშაულოდ ცნობილი არ არის.

ბ) ვინც სასამართლოს განაჩენით სამსახურიდან დათხოვნილია;

[1] იხ. გვ. 206, 382.

გ) ვინც ვერ შემძლე მოვალედ არის გამოცხადებული;

დ) ვინც ფლანგველობისა გამო მზრუნველობის ქვეშ იმყოფება;

ე) ვინც ბრმა, ყრუ, მუნჯი და შეშლილია.

3. ნაფიც-მსაჯულთა ამოსარჩევად უნდა შედგენილ იქნეს საერთო და მორიგი სია.

4. გარდა მე-2 მუხლში აღნიშნული პირებისა ნაფიც-მსაჯულთა სიაში არ უნდა იქნეს შეტანილი:

ა) მღვდელ-მსახური და ბერ-მონაზონი;

ბ) სასამართლო დაწესებულებათა წევრი, ამ დაწესებულებათა კანცელარიის შტატის მოხელე და აგრეთვე სასამართლოს ბოქაული;

გ) პროკურორი, მისი თანაშემწე და იმის კანცელარიის შტატის მოხელე;

დ) სახელმწიფო ბანკის ხაზინადარი და მოლარე, აგრეთვე ფოსტის და ტელეგრაფის განყოფილების უფროსი და რკინის გზისა და ტელეგრაფის სადგურის უფროსი, თუ სათანადო თანაშემწე არა ჰყავთ;

ე) ის პირი, რომელიც სამხედრო და საზღვაო უწყებაში ხელოსნის, ან ზღვის კანდელის ზედამხედველის თანამდებობაზე არის, ხოლო ომიანობის დროს ყოველი მოხელე, რომლის განთავისუფლება წაფიც-მსაჯულობისაგან საჭიროდ მიჩნეული იქნება ამ უწყებათა უფროსის მიერ;

ვ) საკარანტინო დაწესებულებათა მოხელენი;

ზ) გუბერნიის (ოლქის), მაზრის, უბნის და სოფლის კომისარი და მისი თანაშემწე და

თ) საზოგადოდ მილიციის მოხელე.

5. ნაფიც-მსაჯულთა საერთო სია უნდა შედგენილ იქნეს ქალაქებში — ქალაქის გამგეობისა და მაზრებში — მაზრის საერობო გამგეობისაგან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. საერთო სიის შედგენა სწარმოებს ყოველ წელს და უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს ოქტომბრის პირველისა.

6. წინა მუხლში მოხსენებული სია უნდა შეიგენილ იქნეს ანბანის რიგზე და მასში უნდა აღინიშნოს ყოველი შიგ შეტანილი პირის სახელი, მამის სახელი, გვარი, პროფესია, განათლების ცენზი და საცხოვრებელი ადგილი. სიის დამთავრების შემდეგ ქალაქისა და ერობის გამგეობამ უნდა საჯაროდ გამოაცხადოს, რა დღიდან იქნება გამოფენილი სია საყოველთაო განსახილველად.

7. საერთო სია წინა (მე-6) მუხ. აღნიშნული გამოცხადების დღიდან ორი კვირის განმავლობაში უნდა გამოფენილი იქნეს განსახილველად იმ დაწესებულებაში, სადაც ის შეადგინეს; ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს განუცხადოს ქალაქის, ან ერობის გამგეობას კუთვნილებასამებრ, — თუ ვინმე უკანონოდ არის შეტანილი, ან გამოტოვებული სიაში, და ამ განცხადების საფუძველიც წარუდგინოს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამა მუხლში მოხსენებული განცხადების შეტანა შეიძლება წერილობითაც და სიტყვიერადაც, მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში უნდა შედგენილი იქნეს ოქმი.

8. მე-7 მუხლში აღნიშნული ვადის შემდეგ ქალაქისა და ერობის გამგეობა ნაფიც-მსაჯულთა საერთო სიას გაუგზავნის ადგილობრივ ოლქის სასამართლოს თავჯდომარეს და თან დაურთავს სიის შესახებ შეტანილ ყველა განცხადებას და, თუ საჭიროა, ამა განცხადებათა გამო თავის განმარტებასაც.

9. ოლქის სასამართლოს თავჯდომარემ საერთო სია და შემოსული განცხადებანი ერთად უნდა შეიტანოს სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომაში საერთო სიის შესასწორებლად და მორიგი სიის შესადგენად. სასამართლო მორიგი სიის შედგენას შეუდგება მაშინ, როდესაც საერთო სიას შეასწორებს თანახმად ამ კანონის 1, 2 და 4 მუხლისა და იმ განცხადებათა, რომელთაც შესაწყნარებლად მიიჩნევს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ოლქის სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომას უფლება აქვს ამოშალოს სიაში ის პირი, რომელიც მიღებულ და ჯეროვნად შემოწმებულის ცნობებით ზნეობრივად სახელ-გატეხილად არის მიჩნეული.

10. ნაფიც-მსაჯულთა მორიგ სიების შესადგენად დანიშნულ გამწესრიგებელ სხდომაზე უნდა მოწვეულ იქნენ სათანადო სამაზრო ქალაქის მოურავი, სათანადო მაზრის ერობის თავმჯდომარე, და ამა საქმისთვის არჩეული ხმოსნები: სამი ქალაქის საბჭოს მიერ და სამიც მაზრის საერობო ყრილობისაგან, კუთვნილებისამებრ. ამ მუხლის ძალით მოწვეულ პირთ და სასამართლოს მუდმივ წევრთ თანასწორი უფლება აქვს სასამართლოს თათბირსა და გადაწყვეტილებაში.

11. მორიგი სიები უნდა შესდგეს ყოველი მაზრისათვის ცალ-ცალკე და მათი შედგენა ყოველ წელიწადს უნდა დამთავრებულ იქნეს ოქტომბრის პირველამდე. ამ სიებში საერთო სიიდან შეტანილი იქნებიან მხოლოდ ისინი, რომელნიც უნდა მოწვეულ იქნენ სასამართლოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მომავალი წლის განმავლობაში.

12. წინა (მე-11) მუხლში მოხსენებული პირნი სასამართლომ წილის ყრით უნდა აირჩიოს საერთო სიიდან.

13. ნაფიც-მსაჯულთა მორიგ სიაში ყოველი წლისათვის უნდა შეტანილ იქნეს:

ა) ქალაქ ტფილისისა და მისის მაზრისათვის . . 1200 პირი.
ბ) „ ქუთაისისა და „ „ . . 1000 „
გ) „ სოხუმისა და „ „ . . 800 „
დ) იმ მაზრისათვის, რომელშიაც ოლქის სასამართლოს სხდომები ნაფიც-მსაჯულთა მონაწილეობით წელიწადში სამ სესიაზე მეტი არ არის განზრახული, თითო სესიაზე 60 პირი.
ე) იმ მაზრისათვის, რომელშიაც სამ სესიაზე მეტი იქნება განზრახული, პირველი სამი სესიისათვის თვითეულზე 60 პირი, ხოლო ამაზე მეტისთვის თვითეულზე 40 პირი.

14. თუ მორიგი სიების შედგენის დროს გამოირკვა, რომ რომელისამე მაზრასა, ან ოლქში საკმაო რიცხვი არ აღმოჩნდა ისეთ პირთა, რომელთაც ნაფიც-მსაჯულად ყოფნა შეუძლიათ, მაშინ, ოლქის სასამართლოს განყოფილებათა საზოგადო კრების დადგენილებით, ხსენებული მაზრა, ან ოლქი მეზობელ მაზრას, ან ოლქს უნდა შეუერთდეს და ორისავე მაზრისათვის ერთი მორიგი სია შესდგეს. სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა ამ შემთხვევაში იმ მაზრაში, ან ოლქში დაინიშნება, რომლიდანაც საერთო სიაში უფრო მეტი ნაფიცი მსაჯული არის შეტანილი.

15. მორიგი სიის შედგენასთან ერთად სასამართლომ განსაკუთრებული სია უნდა შეადგინოს მონაცვლე მსაჯულებისა. ამ სიაში უნდა შეტანილ იქნენ მხოლოდ იმ ქალაქების მცხოვრებნი, სადაც განსაზღვრულ ვადაზედ გაიმართება სასამართლოს სხდომა ნაფიც-მსაჯულთა მონაწილეობით.

16. ნაფიც-მსაჯულთა მონაწილეობით გასამართ ოლქის სასამართლოს სხდომების ყოველი სესიისათვის სათადარიგო მსაჯულთა სიაში უნდა შეტანილ იქნეს ექვსი კაცი.

17. წელიწადში ერთჯერ მეტად არავის მოწვევა არ შეიძლება ნაფიც-მსაჯულის მოვალეობის ასასრულებლად.

18. წინა (მე-17) მუხლში დადგენილი წესიდან გამონაკლი შეიძლება მარტო იმ შემთხვევაში, თუ ქალაქსა ან მაზრაში ისეთ პირთა საკმაო რიცხვი არ მოიპოვება, რომ ნაფიც-მსაჯულობა შეეძლოთ.

19. თუ მორიგთა ან მონაცვლეთა სიაში ვინმე ისეთია შეტანილი, რომელიც სიაში არ უნდა ყოფილიყო (1 და 2 მუხ.), შეუძლია ამის გამო საჩივარი აღძრას ოლქის სასამართლოს წინაშე, ერთი კვირის გასვლამდე იმ დღიდან, როცა სიაში შეტანის ცნობას მიიღებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამა მუხლში მოხსენებული საჩივარი ოლქის სასამართლომ თავის განყოფილებათა საზოგადო კრებაზე უნდა განიხილოს.

20. მორიგთა და მონაცვლეთა სიების შედგენის შემდეგ სასამართლო ამ სიებში ჩარიცხულ პირთა გაანაწილებს იმის კვალობაზედ, თუ რამდენი სესია არის განზრახული დამდეგს წელიწადს ოლქის სასამართლოს ნაფიც-მსაჯულთა მონაწილეობით და თვითეული სესიისათვის დანიშნულ პირს აცნობებს დროს, რომლის განმავლობაშიაც ის მზად უნდა იყოს, სასამართლოს დაბარებისამებრ, გამოცხადდეს ნაფიც-მსაჯულის მოვალეობის ასასრულებლად. ამ გვარად განაწილებულ პირთ ადგილობრივი ადმინისტრაციის შემწეობით უნდა ეცნობოს დანიშნული დრო სასამართლოში გამოცხადებისა.

21. ნაფიც მსაჯულთა მორიგთა, მონაცვლეთა და სასამართლოს სხდომათა სესიის სიებში უნდა აღინიშნოს თვითეული შეტანილის პირის სახელი, მამის სახელი, გვარი, სარწმუნოება, ხელობა, განათლების ცენზი და საცხოვრებელი ადგილი.

22. ყოველ მორიგთა ან მონაცვლეთა სიაში შეტანილ ნაფიც მსაჯულს შეუძლიან სთხოვოს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს, რომ იგი ამ სესიიდან, რომელშიაც ჩარიცხულია, მეორეში გადატანილ იქნეს, და ამის დასაბუთებაც წარუდგინოს. ამ თხოვნათა შეწყნარება თავმჯდომარეს შეუძლიან თავისის უფლებით, თუ დაბრკოლება არა აღმოჩნდა რა.

23. წესი ნაფიც-მსაჯულთა მოწვევისას სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისა და გარდაწყვეტაში მონაწილეობის მისაღებად აღნიშნულია სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდებაში.

24. სასამართლოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად გამოწვეულ ნაფიც-მსაჯულს, რომელიც იქ არა სცხოვრობს, სადაც საქმე ირჩევა, მიეცემა გაცდენისათვის დღიურად 5 მან. და გზის ხარჯად ვერსზე — 25 კაპ., ხოლო რომელიც იქ სცხოვრობს, სადაც საქმე ირჩევა, მიეცემა დღიურად 3 მან.

25. იმ საქმეების გამო, რომელიც ნაფიც-მსაჯულთა მონაწილეობით უნდა გადაწყდეს, ოლქის სასამართლოს სხდომა შესდგება არა სამის, არამედ მხოლოდ ერთი წევრისაგან, რომელიც თავმჯდომარედ იქნება. ასეთ წევრად შეიძლება იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, ან მისი ამხანაგი სისხლის სასამართლოს განყოფილებაში, ან ერთი მოსამართლეთაგანი, სასამართლოს განყოფილებათა საზოგადო კრების მიერ დანიშნული.

II

სისხლის სამართლის წარმოების წესდების სათანადო მუხლთა შესაცვლელად დადგენილ იქნეს შემდეგი წესები:

1. იმ დანაშაულობის საქმე, რომელიც ექვემდებარება უმართველესს სენატს ნაფიც-მსაჯულთა მონაწილეობით, ანუ უიმისოდ, დაექვემდებაროს რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს სისხლის საქმეთა საკასაციო დეპარტამენტს ნაფიც-მსაჯულთა მონაწილეობით ანუ უიმისოდ საერთო წესისამებრ.

2. იმ საქმისათვის, რომელიც საზოგადო წესისა და წინა მუხლის ძალით ექვემდებარება რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს ნაფიც-მსაჯულთა მონაწილეობით, ნაფიც-მსაჯულნი უნდა არჩეულ იქნენ წილის ყრით მორიგ სიიდან, რომლიდა-

ნაც საზოგადო წესით იწვევენ ნაფიც მსაჯულებს ოლქის სასამართლოს სხდომაზე.

3. თუ იმ ადგილას, სადაც სასამართლოს სხდომა სწარმოებს, არ აღმოჩნდა იმ სარწმუნოების სასულიერო პირი, რომელსაც ეკუთვნის რომელიმე ნაფიც-მსაჯულთაგანი, მაშინ მას დააფიცებს სასამართლოს თავმჯდომარე; იმ პირს-კი, რომელიც ფიცს არ იზიარებს, ფიცის მაგიერ საჯარო აღთქმა ჩამოერთმევა.

4. იმ დანაშაულობის საქმენი და საკითხები, რომელნიც სისხლის სამართლის წესდებით ექვემდებარებიან სასამართლო პალატას, დაექვემდებაროს სათანადო ოლქის სასამართლოს. უფლებანი და მოვალეობანი სასამართლო პალატის პროკურორისა ამ შემთხვევაში მიენიჭოს ოლქის სასამართლოს პროკურორს.

5. უკეთუ საქმე მოითხოვს, რომ სხდომა კარ-დახშულად სწარმოებდეს მთელი საქმის განხილვისა, ან რომელიმე განკერძოებულ სასამართლო მოქმედების დროს, — ეს სასამართლომ უნდა დაადგინოს საქმის მოსამზადებელ განკარგულებათა გაცემის დროს.

6. თუ იმ საქმეთა შესახებ, რომელიც ნაფიც-მსაჯულთა მონაწილეობით უნდა გადაწყდეს, სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდ. 620[3]-ე მუხ. აღნიშნულ შემთხვევის გამო საჭირო შეიქნა სხდომის კარ-დახშულად წარმოება მთელის საქმის განხილვის ანუ განკერძოებული სასამართლო მოქმედების დროს, თავმჯდომარეს უფლება აქვს ერთ-ერთ ამ ღონისძიებათაგანს მიმართოს, ისე კი, რომ დაცულ იქნეს იმავე წესდების მუ-621 მუხლში აღნიშნული პირობა.

7. სასამართლოს გამოძიება იმ საქმის შესახებ, რომელიც ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით უნდა გადასწყდეს, იწარმოებს სისხლის სამართლის წარმოების წესდების მიერ დადგენილი ზოგადის წესით, მხოლოდ ყოველივე ის, რის დადგენაც ამა წესდების მე-619 მუხლით სასამართლოს აქვს მინდობილი, გარდა მოვალეობის აუსრულებლობისათვის კანონით დაწესებული გარდასახადის მისჯისა, უნდა დადგენილ იქნეს თავმჯდომარისაგან.

8. როდესაც ნაფიც-მსაჯულთა გარდასაწყვეტ საქმეთა განხილვის დროს სასამართლოს სხდომაზე შემოწმებულ იქნება

ბველა შეკრებილი საბუთი, თავმჯდომარე უნდა შეეკითხოს მსაჯულებს, საქმის ყოველივე გარემოება საკმარისად არის იმათთვის გამორკვეული თუ არა და ხომ არა ჰსურთ სასამართლოს გამოძიების რითიმე შევსება. ნაფიც-მსაჯულთ უფლება აქვთ მოითხოვონ საქმის ყოველი გარემოების სისწორით გამოსარკვევად მისი შევსება ყოველივე იმით, რასაც საჭიროდ დაინახავენ, გარდა კანონით აკრძალული მოქმედებისა. მათი განცხადების დაკმაყოფილების საკითხს გადასწყვეტს თავმჯდომარე მხარეთა აზრის მოსმენის შემდეგ.

9. ნაფიც-მსაჯულთა მიერ გადასაწყვეტ საქმეში საკითხი სასამართლოში დაბარებული პირისათვის გადასახდელის მისჯისა სასამართლოს მოთხოვნილებისა ან და კანონით დადებული მოვალეობის აუსრულებლობისათვის სასამართლომ ცალკე უნდა გასაჯოს, სასამართლოს სხდომის შემდეგ, უმახლობელეს გამწესრიგებელს სხდომაზედ.

10. კითხვები რომელიც ნაფიც-მსაჯულების გადასაწყვეტია, უნდა შემუშავდეს თანახმად სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდებით დადგენილი საზოგადო წესისა, იმ განსხვავებით, რომ მათ შეიმუშავებს თვით თავმჯდომარე და იგივე გადასჭრის ამ კითხვების გამო მხარეთა და ნაფიც-მსაჯულების მიერ გამოთქმულ შენიშვნებს და პასუხს. კითხვების საბოლოოდ დამტკიცება ეკუთვნის თავმჯდომარეს.

11. დამნაშავედ ცნობილისათვის სასჯელის დადება, მის წინააღმდეგ აღძრულ სამოქალაქო საჩივრის დაკმაყოფილება და ყველა სხვა შედეგი, გამომდინარე დამნაშავეობიდან, ნაფიც-მსაჯულებმა უნდა გადაწყვიტონ თავმჯდომარესთან ერთად.

12. ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გადასაწყვეტ საქმეთათვის დანაშაულის გზით მოპოვებულ ნივთებისა და საზოგადოდ ნივთიერ საბუთისა და აგრეთვე სამართლის წარმოების ხარჯის თაობაზე დადგენილება სასამართლომ უნდა მიიღოს გამწესრიგებელ სხდომაზე.

13. ნაფიც-მსაჯულთა მონაწილეობით გადასაწყვეტ საქმეებში თავმჯდომარის უფლებას ეკუთვნის სასყიდლის დანიშვნა მოწმეებისა. ექსპერტებისა და ყველა იმათთვის, ვინც სასამართლოშია დაბარებული და ვისაც კანონით სასყიდლის მიცემა აქვს დაწესებული.

14. სასამართლოს სხდომა, აღნიშნული სისხლის სამართლით

წარმოების წესდების მე-645[1]-ე მუხლში,უნდა გახსნას იმან, ვისაც განზრახულს სესიაში თავმჯდომარეობა აქვს მინდობილი. მასვე აძევს ყოველი მოვალეობა. სისხლ. სამართ. წარ. წესდ. მე-645[4]-ე მუხ. აღნიშნული.

III

სასამართლო დაწესებულ. დებულ. მე-437მუხ. და სისხლ. სამართლის წარმოების წესდების მუხლნი 1271, 1271[1], 1275 და 1280[1] გაუქმებულია.

1919 წლის იანვრის 14-ს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონის: „ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა საარჩევნო დებულების შეცვლის და დამატების“ — ძალაში შესვლისა[1]

საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 18 იანვრის კანონი

1. „კანონი ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა საარჩევნო დებულების შეცვლის და დამატებისა“, მიღებული პარლამენტის მიერ 1919 წლის იანვრის 14-ს, შედის ძალაში დღიდან მიღებისა პარლამენტის მიერ.

2. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან მიღებისა პარლამენტის მიერ.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან სასანიტარო ინსტიტუტის დაარსებისა[2]

საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 18 იანვრის კანონი

1. ტფილისის სასანიტარო ინსტიტუტი არის სახელმწიფოებრივი სამეცნიერო დაწესებულება. არსებობს განათლების სამინისტროს უწყებაში და ექვემდებარება ტფილისის სახელ-

---

[1] იხ. გვ. 204.

[2] სასანიტარო ინსტიტუტის შტატები არ იბეჭდება.

მწიფო უნივერსიტეტს; იგი შესდგება ექვსი განყოფილებისაგან. ეს განყოფილებანი არიან:

1). ქიმიური და საკურორტო განყოფილება;

2). ბაქტერიოლოგიის განყოფილება პასტერის სადგურით და გადამდებ ავადმყოფობათა ქვეგანყოფილებით;

3).მალარიის და ცხელი ქვეყნების სხვა ავადმყოფობათა განყოფილება;

4). ჰიგიენისა და სამკურნალო-სასანიტარო სტატისტიკის განყოფილება;

5) სასამართლოს მედიცინის განყოფილება;

6) საფარმაკოლოგიო და საფარმაცევტო განყოფილება.

2. სასანიტარო ინსტიტუტს საგნად აქვს:

1).შეისწავლოს მეცნიერულად საქართველოს სასანიტარო და სამკურნალო მოთხოვნილებანი, უხელმძღვანელოს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოქმედებას ერისა და ჯარის გაჯანსაღებისას, განსაკუთრებით გავრცელებულ ავადმყოფობათა საწინააღმდეგო ბრძოლაში და აგრეთვე ჯეროვნად მოამზადოს სასანიტარო დარგში სპეციალისტები.

2). მეცნიერულად შეისწავლოს სამკურნალო ადგილები, მადნეული წყლები და ტალახები;

3). მეცნიერულად უხელმძღვანელოს საფარმაცევტო საქმეებს.

3. ქიმიურ განყოფილებას განაგებს ქიმიკოსი, მისი თანაშემწე, ერთი ასისტენტი და განყოფილების საკურორტო ნაწილში თანამშრომლობას უწევს ბალნეოლოგი.

4. ბაქტერიოლოგიის განყოფილებას განაგებს ბაქტერიოლოგი. მას ჰყავს ორი ასისტენტი, ერთი ასისტენტი განაგებს პასტერის სადგურს და ერთიც სეროლოგიის განყოფილებას.

5. მალარიის განყოფილებას განაგებს კლინიცისტი; ამ განყოფილების სამეცნიერო პერსონალს შეადგენს ერთი პარაზიტოლოგი, ერთი ენტომოლოგი, ერთი პატალოგოანატომი და ერთი მხატვარი.

6. ჰიგიენისა და სამკურნალო სტატისტიკის განყოფილებას განაგებს ერთი ჰიგიენისტი და იმას ჰყავს ერთი ასისტენტი.

7. სასამართლო მედიცინის განყოფილებას განაგებს გამგე-ექიმი და იმას ჰყავს ერთი ასისტენტი

8. საფარმაკოლოგიო-საფარმაცევტო განყოფილებას განაგებს გამგე ერთი ასისტენტითურთ.

9. ინსტიტუტის მართვა კოლეგიალურია. დირექტორის მოვალეობას ამხანაგების არჩევით უსასყიდლოდ ასრულებს ერთი გამგეთაგანი.

10. ინსტიტუტი თვით შეიმუშავებს თავის წესდებას, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს განხილვის შემდეგ დამტკიცდება საზოგადო წესით.

11. ინსტიტუტის დამხმარე პერსონალია: ორი გადამწერი, ექვსი პრეპარატორი და თორმეტი მოსამსახურე.

12. ინსტიტუტი მოქმედობს მთელი წლის განმავლობაში.

13. ინსტიტუტის ხელში გადადის სამხედრო-სამკურნალო ლაბორატორია პასტერის სადგურით, სამკურნალო განყოფილების გამგეობის ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები და მალარიის სადგური.

სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებად მიცემისა

საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 28 იანვრის კანონი

1. სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის მამულები მიეცემა სოფლის მცხოვრებთ კერძო საკუთრებად, გარდა იმ გამონაკლისა, რომელიც ამ კანონის შემდეგ (2) მუხლშია მოხსენებული.

2. გარდა იმ მიწებისა, რომელიც ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1917 წლის დეკემბრის 16 დეკრეტის მე-5-ე მუხლში და ამიეკავკასიის სეიმის 1918 წლის მაისის 2 კანონშია ჩამოთვლილი, არ განაწილდება მცხოვრებთა შორის აგრეთვე ის მიწებიც, რომელიც მიწათმოქმედების მინისტრის განკარგულებით გადასახლებისა და დასახლებისათვის დანიშნულ იქნება.

3. მიწა მიეცემა საკუთრებად იმ უმიწაწყლო და მცირედი მიწის მქონე სოფლელთ, რომელთა არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს სასოფლო-სამეურნეო შრომა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მიწის საკუთრებად მიღების უფლება არ ეკარგებათ, უკეთუ ამ (3) მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, იმ ქალაქების მცხოვრებთ, რომელიც ქალაქებად გამოცხადებულ იქნა 1917 წლის მარტის 1 შემდეგ.

4. უკეთუ რამდენიმე პირი, რომელთაც უფლება აქვთ ცალ-ცალკე ნორმის მიღებისა, წერილობით განაცხადებენ, რომ მათ ჰსურთ საზოგადო საკუთრებად შეიძინონ მათი ხვეღრი მიწები, ასეთი მათი თხოვნა დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს,

5. აგრეთვე დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს სურვილი იმ სოფლის საზოგადოებისა და ან სოფლისა, რომელიც საზოგადო საკუთრებად მოითხოვს მისი მცხოვრებლების ხვეღრ მიწას, უკეთუ ასეთი თხოვნა დადასტურებულ იქნება განაჩენით, რომელიც დადგენილ იქნება სრულწლოვან მცხოვრებთა ხმის ორი მესამედით. ამავე დროს ხსენებულმა სოფლის საზოგადოებამ და ან სოფელმა უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად ადგილობრივ საერობო გამგეობას, ხოლო სადაც ასეთი არ არის, საადგილ-მამულო გამგეობას განაჩენი, თუ რა წესით უნდა ისარგებლონ სოფლელებმა აღნიშნული მიწებით.

6. საძოვარი (выгонныя) ადგილები სოფლის საზოგადოებას და ან სოფელს გადაეცემა საკუთრებად.

7. მიწა გადაეცემა სოფლის მცხოვრებთ საკომლოდ იმდენი, რომ მიცემული მიწა კომლის უძრავ ქონებასთან ერთად არ აღემატებოდეს იმ ნორმას, რომელიც მიწების კონფისკაციის დროს დაწესებულ იქნა კერძო მფლობელთათვის ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წლის მარტის 7 კანონის მე-2-ე მუხლით. ამ ფარგლებში მიწები ისე უნდა იქნეს გაწაწილებული, რომ უპირატესობა მიეცეს ოჯახს, რომელსაც საკუთარი შრომით დაუმუშავებია ეს მიწა, თანაც ყურადღება უნდა მიეცეს ოჯახის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. უკეთუ საერობო ან საადგილ-მამულო გამგეობა აღძრავს შუამდგომლობას, მიწათ-მოქმედების მინისტრს ნება ეძლევა კერძო შემთხვევაში ამ კანონის მე-7-ე მუხლში მოხსენებული ნორმა შესცვალოს.

8. აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარება ამ კანონის საფუძველზე დაევალოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს, რომლის ადგილობრივ ორგანოებს ამ საქმეში შეადგენენ: ა) სამაზრო საერობო გამგეობა, რომელზედაც გადადის სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობათა უფლებანი და მოვალეობანი, ბ) სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობა იმ ადგილებში, სადაც საერობო გამგეობა არ არის არჩეული, და გ) სარაიონო კომისიები.

9. მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებით ყოველი მაზრა გაიყოფა საგრარო რაიონებად. თვითეულ რაიონში შესდგება სარაიონო კომისია, რომელსაც ირჩევს სარაიონო თათბირი 3-5 პირისაგან. სარაიონო თათბირს, რომელიც შესდგება სათანადო რაიონის საერობო ხმოსნებისა და სოფლების ორ-ორი წარმომადგენლისაგან, მოიწვევს სამაზრო საერობო გამგეობა, რომლის ერთ-ერთი წევრიც გასწევს თავმჯდომარეობას. იმ მაზრებში, სადაც საერობო ხმოსნები არ არიან არჩეული, სარაიონო თათბირი შესდგება ზემოთ აღნიშნულ სოფლის წარმომადგენელთა და საადგილ-მამულო გამგეობის მიერ დანიშნულ იმდენ წევრისაგან, რამდენიც საერობო ხმოსანია დაწესებული ამ რაიონისათვის. ასეთ მაზრებში სარაიონო თათბირს მოიწვევს სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობა, რომლის წევრიც გასწევს თავმჯდომარეობას.

შ ე ნ ი შ ნ ა. თვითეულ სარაიონო კომისიას ჰყავს მდივანი და მიწის-მზომელი, რომელთაც დანიშნავს მიწათ-მოქმედების მინისტრი განსაზღვრული ჯამაგირით.

10. საქართველოს საადგილ-მამულო ფონდს, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთ უნდა მიეცეს, მიწათ-მოქმედების მინისტრი გაანაწილებს მაზრებს შორის, ხოლო მაზრებში რაიონებს შორის. რაიონისთვის დანიშნული ფონდი დანაწილდება სარაიონო კომისიის მიერ სოფლის საზოგადოებათა, სოფელთა და კერძო პირთა შორის, რომელთაც ამ კანონით მიწა ერგებათ.

11. იმ პირმა, რომელსაც მიწის მიღების უფლება აქვს, თავისი სურვილი უნდა განუცხადოს სარაიონო კომისიას, რომელსაც უნდა წარუდგინოს აგრეთვე ცნობები, თუ რამდენი

და რა სახით მიწა აქვს. ის პირი, რომელიც განზრახ ყალბ ცნობებს წარადგენს თავის უძრავ ქონების თაობაზე, დასჯილ იქნება ციხეში დაპატიმრებით ერთი თვიდან ერთ წლამდე და მიწის მიღების უფლების წართმევით, ხოლო თუ ამ გზით მიწის მიღებას მოასწრებს, მიღებული მიწა ჩამოერთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

12. სარაიონო კომისია ვალდებულია შეამოწმოს, თუ რამდენი საკუთარი მიწა აქვთ იმ პირთ, რომელნიც ფონდიდან ითხოვენ მამულს, გამოარკვიოს რაოდენობა იმ პირთა, რომელთაც მიწა ერგებათ, და აღნიშნულ რაიონში ფონდის სივრცისა და მიწის მოთხოვნილების მიხედვით მოახდინოს მისი განაწილება თანახმად ამ კანონის 3—7 მუხლებისა.

13. სარაიონო კომისიას ნება აქვს სათანადო რაიონის ფარგლებში მოაწყოს კომისიები სოფლის საზოგადოებებში და სოფლებში 3—5 პირისაგან, რომელთაც ამოირჩევენ სოფლის საზოგადოებები და სოფლები კუთვნილისამებრ. თვითეულ სოფლის საზოგადოების კომისია წარუდგენს სარაიონო კომისიას თავის მოსაზრებებს, თუ როგორის წესით უნდა განაწილდეს სოფლის საზოგადოებისათვის დანიშნული ფონდი სოფლებს შორის, ხოლო — ცალკე სოფლის კომისია სოფლის მცხოვრებთა შორის.

14. როცა სარაიონო კომისია გამოარკვევს, თუ რამდენი მიწა უნდა მიეცეს ამა თუ იმ სოფლის საზოგადოებას ან სოფელს საზოგადო საკუთრებად, ხოლო კერძო პირს კერძო საკუთრებად, შეადგენს მიცემის აქტს კომისიის ყველა წევრის ხელისმოწერით და, როცა სოფლის საზოგადოება ან სოფელი და კერძო პირი წარმოადგენს სახელმწიფო ხაზინიდან ხვედრი ფულის შეტანის კვიტანციას, გაუგზავნის აქტს დასამტკიცებლად სამაზრო საერობო გამგეობას, ხოლო სადაც ასეთი არ არსებობს, სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მიწათ-მოქმედების მინისტრს ნება აქვს თვითეულ კერძო შემთხვევაში ორ წლამდე გაუგრძოს მყიდველს სიღარიბის გამო ხვედრი ფულის გადახდის ვადა; უკეთუ ამის თაობაზე შუამდგომლობას აღძრავს საერობო და ან საადგილ-მამულო გამგეობა.

15. დაინტერესებულ სოფლის საზოგადოებას, სოფელს თუ კერძო პირს შეუძლიანთ სარაიონო კომისიის განკარგულება გაასაჩივრონ სამაზრო საერობო გამგეობაში, ხოლო სადაც ასეთი არ არის — სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობაში ერთი კვირის განმავლობაში დღიდან კომისიის მიერ დადგენილების გამოცხადებისა. საჩივარი წარედგინება თითონ სარაიონო კომისიას, რომელიც თავის განმარტებით გადასცემს მას საერობო ან საადგილ-მამულო გამგეობას არა უგვიანეს სამი დღისა საჩივრის მიღებიდან.

16. სამაზრო საერობო ან საადგილ-მამულო გამგეობა მოისმენს დაინტერესებულ მხარეთა განმარტებას, უკეთუ ისინი გამოცხადდებიან და გამოიტანს განაჩენს, რომლითაც ან უცვლელად დაამტკიცებს სარაიონო კომისიის მიერ წარმოდგენილ მიწის მიცემის აქტს, ან შეიტანს მასში ცვლილებას, ან სარაიონო კომისიას მოსთხოვს ახალ აქტის შედგენას. გამგეობის მიერ დამტკიცებულ აქტს აქვს ძალა ნასყიდობის სიგელის (купчей крепости). მისი პირი მიეცემა სოფლის საზოგადოებას, სოფელს ან კერძო მყიდველს, ხოლო მეორე პირი წარედგინება უფროსს ნოტარიუსს სიგელთა რეესტრში აღსანიშნავად.

17. მცხოვრებთა შორის გასანაწილებელი მიწა გაიყიდება იმათთვისაც, ვისაც მიწის მიღების უფლება აქვს, რათა ამ გზით დაფარულ იქნეს ხარჯი, რომელიც სახელმწიფოს დაედება საადგილ-მამულო ბანკების ვადების თავის თავზე გადატანით, ზოგიერთ მიწების გაშრობისა და მორწყვის, გადასახლებისა და დასახლების აგრარულ რეფორმის განხორციელებისა და მასთან შეკავშირებულ აუცილებელ საჭიროებათა დაკმაყოფილების გამო და აგრეთვე ცალკე ფონდის დაარსებით, რომელიც საჭიროა აუცილებელ სასოფლო-სამეურნეო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მიწათ-მოქმედების მინისტრი სამაზრო ერობებთან შეთანხმებით აწესებს თვითეულ რაიონისათვის საშუალო შეღავათიან ფასს დესეტინაზე, საშუალო ფასის მიხედვით გამოიანგარიშება საერთო ჯამი, რომელიც რაიონს მოუწევს. ამ საერთო ჯამთან შეფარდებით სარაიონო კომისია დააწესებს მიწების ფასს მათი ღირსების მიხედვით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ქალაქის ახლო მდებარე მიწები, აგრეთვე ვენახები და გაშენებული ადგილები გაიყიდება ნამდვილ ღირებულების მიხედვით.

18. ყოველმა დაწესებულებამ და თანამდებობის პირმა დახმარება გაუწიოს აგრარულ რეფორმის სისრულეში მომყვან ორგანოებს, ხოლო დაინტერესებულმა სოფლის საზოგადოებამ, სოფელმა და კერძო პირმა უნდა გადასცენ ამ ორგანოების განკარგულებაში გადასაზიდი საშუალებანი, მუშები, იარაღები და მასალები ყოველგვარ სამუშაოსათვის და სამიჯნო ნიშნების ჩასაყრელად.

19. ყოველ შემთხვევაში, როცა ამ კანონით შეძენილი მიწების გადაცემა ხდება, სამაზრო ერობას უნდა მიეცეს უპირატესობა შეიძინოს მიწა გადახდილ ფასზე იმ ხარჯების დამატებით, რომელიც სახელმწიფო ფონდიდან მიწის შემძენს გაუღია მამულის გასაუმჯობესებლად ღღიდან შეძენისა. ამის გამო არც ერთი აქტი ამ მიწების გადაცემისას არ შეიძლება შესრულებული იქნეს, უკეთუ წარდგენილი არ იქნება საბუთი ერობისაგან ამ უფლებაზე უარის თქმისა. ამ მოთხოვნას არ ექვემდებარება ის შემთხვევა, როცა რომელიმე პირი სახელმწიფოსაგან შეძენილ მიწას საჩუქრად გადასცემს თავის ოჯახის წევრებს.

20. ამ კანონის განსამარტებლად მიწათ-მოქმედების მინისტრს ნება აქვს გამოსცეს ინსტრუქციები.

21. ეს კანონი ძალაში შედის ღღიდან გამოქვეყნებისა მთავრობის ორგანო „საქართველოს რესპუბლიკაში“.

ყოფილ სანადელო, სახაზინო და სხვა მიწების კერძო საკუთრებად გამოცხადებისა[1]

საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 28 იანვრის კანონი

1. ის სანადელო ადგილები, რომლის დამტკიცება ვერ მოასწრეს ყოფილ დროებით ვალდებულმა გლეხებმა და სახელმწიფო „პოსელიანებმა“ 1912 წლის დეკემბრის 20-ს კანონის

[1] იხ. გვ. 396.

ძალით და რომელიც მათ სარგებლობაში იყო „უსტავნი ღრამატებით“, გამოცხადებულ იქნეს მათ კერძო საკუთრებად.

2. იმ ნორმის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის მარტის 7-ს კანონის მეორე მუხლით, გამოცხადდეს კერძო საკუთრებად:

ა) ყოფილ სახაზინო გლეხების, ან სოფლის, ან საზოგადოების ის სახაზინო მიწები, რომელიც მათ საშვილიშვილო სარგებლობაში იმყოფება;

ბ) ყოფილ ხიზანთა მიწები, რომელიც არის მათ სარგებლობაში სახიზანო უფლებით;

გ) გორის მაზრის მთიან ოსეთის ნაწილის ყოფილ გლეხთა მიწები, რომელიც არის მათ სარგებლობაში ეგრედ წოდებულ „ვორონცოვის უფლებით“;

დ) ახალციხის და სხვა ადგილების ყოფილ გლეხთა ის მიწები, რომელიც არის მათ სარგებლობაში ტაპის უფლებით.

ე) სოხუმის ოლქის ყოფილ გლეხთა ის მიწები, რომელიც მათ მიცემული ჰქონდათ 1870 წ. ნოემბრის 8-ს დებულების წესით;

ვ) იმავე სოხუმის ოლქში მცხოვრებ პირთა ის მიწები, რომელიც მათ მიცემული ჰქონდათ 1900 წლის მაისის 1-ს კანონით საშვილიშვილო სასარგებლოდ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. უკეთუ საერობო ან საადგილმამულო გამგეობა აღძრავს შუამდგომლობას, მიწათ--მოქმედების მინისტრს ნება აქვს კერძო შემთხვევაში ამ 2 მუხლში მოხსენებული ნორმა შესცვალოს.

3. ამ კანონის პირველ და მეორე მუხლში აღნიშნულ ადგილების მფლობელთ არ გადახდება მიწის ფასი, მხოლოდ დაევალებათ დამტკიცების და დაყორღნის ხარჯები.

4. საკუთრების დასამტკიცებელ აქტის მისაღებად ისინი ისარგებლებენ იმ წესით, რომელიც განსაზღვრულია იმათთვის, ვისაც სახელმწიფო ფონდის მიწები მიეყიდებათ.

მარიამის საირიგაციო ამხანაგობის გაუქმებისა და მისი ქონების სახელმწიფოს ხელში გადაცემისა

საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 28 იანვრის კანონი

1. გამოცხადდეს სახელმწიფოს კუთვნილებად ყარაიაზის სარწყავი არხები ყოველი შენობით, ინვენტარით, მასალით და ყველაფრით, რაც კი დღემდის მარიამის სახელობის საირიგაციო ამხანაგობის ქონებას შეადგენდა, და გადაეცეს სამიწათმოქმედო სამინისტროს სათანადო განყოფილებას — წყალთა სამმართველოს.

2. მარიამის სახელობის საირიგაციო ამხანაგობა გაუქმებულ იქნეს და მისი წესდება, რომელიც დამტკიცებულია 1881 წლის მაისის 18-ს ყოფილი მეფის ნაცვლის მიერ, ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

ადმინისტრაციისა და მილიციის ადგილობრივ თვითმმართველობათა ხელში გადაცემისა

საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 28 იანვრის კანონი

1. 1918 წლის აგვისტოს 2 კანონით დაწესებული სამაზრო და სოფლის საზოგადოებათა ადმინისტრაცია და მილიცია გადაეცეს სამაზრო საერობო გამგეობას.

2. ამათ შესანახად სახელმწიფო ხაზინიდან უნდა გაღებულ იქნეს მთელი ხარჯის 50% ქალაქებში, ხოლო 75% მაზრებში.

3. შინაგან საქმეთა მინისტრი, როგორც უმაღლესი ხელმძღვანელი, თვალყურს ადევნებს საქალაქო და სამაზრო ადმინისტრაციისა და მილიციის მოქმედებას, რისთვისაც საჭიროებისამებრ დანიშნავს ადგილობრივი ადმინისტრაციის რევიზიას და გამოსცემს სათანადო დადგენილებებს და ინსტრუქციებს. მინისტრის განკარგულება, გამოცემული მილიციისა და ადმინისტრაციის მიმართ, აუცილებლად შესრულებულ უნდა იქნეს.

4. საქალაქო მილიციის უფროსები და სამაზრო კომისრები და მათი თანაშემწენი არჩეულ უნდა იქნენ საქალაქო და

სამაზრო გამგეობათა მიერ. შინაგან საქმეთა მინისტრს შეუძლიან გადააყენოს თანამდებობიდან როგორც საქალაქო მილიციის უფროსი, ისე სამაზრო კომისარი და მისი თანაშემწენი. საბოლოო დათხოვნის შესახებ კი მინისტრი წინადადებას აძლევს ადგილობრივ თვითმმართველობის გამგეობას. თუ ამ საკითხში უთანხმოება მოხდა და შინაგან საქმეთა მინისტრმა არ შეიწყნარა გამგეობის აზრი, უკანასკნელს შეუძლია საკითხის საბოლოო გადაწყვეტა სათანადო სასამართლოს გადასცეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ წესით სამსახურიდან გადაყენებულ პირისათვის ჯამაგირის მიცემა სავალდებულო არ არის.

5. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით თანამდებობიდან გადაყენებული მილიციის უფროსი, სამაზრო კომისარი და მათი თანაშემწენი მინისტრის ნებადაურთველად არ შეიძლება არჩეულ იქნენ რაიმე ადმინისტრატიულ თანამდებობაზედ.

საგუბერნიო ადმინისტრატიულ დაწესებულებათა გაუქმებისა და ადმინისტრაციის ინსპექტორის თანამდებობის დაარსებისა

საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 30 იანვრის კანონი

1. გაუქმებულ იქნეს რესპუბლიკის გუბერნიებად დაყოფა და საგუბერნიო ადმინისტრატიული დაწესებულებანი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეს მუხლი არ ვრცელდება სოხუმისა და სოჩის ოლქებზე.

2. შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალოს მოახდინოს აღნიშნულ დაწესებულებათა ლიკვიდაცია და საქმეების სათანადო დაწესებულებათა შორის განაწილება.

3. ტფილისის და ქუთაისის საგუბერნიო მფრინავი რაზმები გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

4. დაარსდეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთი ადმინისტრატიული ინპექტორის თანამდებობა და ორი მისი თანაშემწისა.

5.' დამტკიცდეს ამასთანავე დართული შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრატიული ნაწილის ინსპექციის შტატი.

6. შინაგან საქმეთა სამინისტროს გაეხსნას კრედიტი ადმინისტრატიული ნაწილის ინსპექციის შესანახად ას ორმოცდათი ათასი მან. (150. 000 მან.)

7. ინსპექტორისა და მის თანაშემწეთა ხელისუფლებას შეადგენს:

ა) ყველა უფლება და მოვალეობა, რომელიც მინიჭებული აქვს ამიერკავკასიის საერობო დაწესებულებათა დებულებით და დროებითი მთავრობის საქალაქო დებულებით საგუბერნიო და სამაზრო კომისრებს თვითმმართველობათა მიმართ, გარდა ქალაქ ტფილისის თვითმმართველობისა, რომელიც ამ საგნებში პირდაპირ ექვემდებარება შინაგან საქმეთა მინისტრს;

ბ) თვალ-ყურის დევნება ყველა ადმინისტრატიულ დაწესებულებათა და ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა და მათი რევიზიის მოხდენა როგორც პირადად, ისე თავის აგენტების საშუალებით;

გ) თვალ-ყურის დევნება კანონით, ბრძანებათა და განკარგულებათა ადგილობრივ გამოცხადებისა და მათი ცხოვრებაში გატარების თუ შესრულებისა;

დ) ადმინისტრაციის ინსპექტორს ევალება შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრატიული ნაწილის გამგებლობა.

შტატი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრატიული ნაწილის ინსპექციისა

№№ რიგზე	თანამდებობათა სახელწოდება	თანამდებობათა რიცხვი	წლიური ჯამები ერთეულ	წლიური ჯამები ყველას	შენიშვნა
1	შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრატიული ნაწილის ინსპექტორი . . .	1	18000	18000	
2	ინსპექტორის თანაშემწე	2	15000	30000	
3	განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელე	2	12000	24000	
4	საქმისმწარმოებელი	2	7200	14400	
5	კანცელარიის მოხელე	2	4800	9600	
6	ბანქანით გადამწერი	1	4800	4800	
7	შიკრიკი	1	4200	4200	
8	საკანცელარიო ხარჯები	=	=	15000	
9	სამგზავრო ხარჯები	=	=	30000	
	სულ . .	11	=	150000	

ომიანობის გამო ჯარში გაწვეულ მუშათა და მოსამსახურეთათვის ადგილებისა და ჯამაგირების შენახვისა

საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 30 იანვრის კანონი

1. მუშებს და მოსამსახურეთ, რომელნიც გაწვეულ იქნებიან ომიანობის გამო სამხედრო სამსახურში მობილიზაციით, ან მოხალისეებად წავლენ, შეენახებათ თავიანთი ადგილები იმ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებში და წარმოებაში, სადაც ჯარში გაწვევისას მსახურებდენ.

2. ჯარში გაწვეული მუშა და მოსამსახურე ჯარში სამსახურის დროს მიიღებს თავიანთ დამქირავებელისაგან იმ ჯამაგირის ნახევარს, რომელიც ჰქონდა დანიშნული ჯარში გაწვევისას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. უკეთუ შრომის ხელშეკრულებით ან განსაკუთრებული პირობით გათვალისწინებულია, ამ მუხლში აღნიშნულ ჯარისკაცებს უფლება აქვთ მოსთხოვონ დამქირავებლებს ნახევარზედ მეტი ჯამაგირიც.

3. ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნული ჯამაგირის ნახევარი არ მიეცემათ იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც მოხალისეებად შევლენ ჯარში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მოხალისე ჯარისკაცს უფლება აქვს მოსთხოვოს თავის დამქირავებელს მთელი ჯამაგირი ან მისი ნაწილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს გათვალისწინებულია შრომის ხელშეკრულებით ან საგანგებო პირობით.

4. ჯარში გაწვეულთა ადგილას ახალი მუშები და მოსამსახურეები მიიღებიან დროებით, სანამ მათი წინამოადგილეები ჯარში სამსახურიდან დაბრუნდებოდენ. ამ შემთხვევაში დროებით დაქირავებულთათვის სალიკვიდაციო ფულის მიცემა სავალდებულო არ არის.

5. ჯარში გაწვეულ მუშებსა და მოსამსახურეებს, აგრეთვე მოხალისეებად შესულთ სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებისას დამქირავებლები ძველ ადგილას ჩააყენებენ წინანდელი

ჯამაგირით და ყველა იმ მომატებით, რომელიც მიიღეს ადგილზედ დარჩენილებმა.

6. ჯარში გაწვეული მუშები და მოსამსახურეები ვალდებული არიან დაუბრუნდნენ თავის ძველ ადგილებს ორი კვირის განმავლობაში დღიდან სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებისა. უკეთუ ამ ხნის განმავლობაში არ გამოცხადდებიან, დამქირავებელთ უფლება აქვთ უარი უთხრან მათ უკან მიღებაზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. იმ შემთხვევაში, როდესაც ჯარიდან განთავისუფლებული გადააცილებს ამ მუხლში აღწიმნულ ვადას ავადმყოფობის ან ტყვეთ ყოფნის გამო, დამქირავებელი ვალდებულია მისცეს მას ადგილი.

7. უკეთუ დაიხურა ის დაწესებულება ან წარმოება, რომელშიაც მსახურებდენ ჯარში გაწვეული მუშები ან მოსამსახურეები, ან უკანასკნელთ უარს ეტყვიან სამსახურზე შტატების შემცირების მიზეზით, დამქირავებელი ვალდებულია გაუსწოროს მათ ანგარიში იმ ნორმით, რა ნორმითაც გაისტუმრებენ სხვა მუშებსა და მოსამსახურეებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. სამხედრო სამსახურში გატარებული დრო სალიკვიდაციო ჯილდოს გამოანგარიშების დროს არ მიიღება მხედველობაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. წარმოებასა და დაწესებულებაში შტატის შემცირების გამო ჯარში გაწვეულ მუშათა და მოსამსახურეთა შტატს გარეშე დატოვება აკრძალულია ჯარისკაცის სამსახურიდან დაბრუნებამდე.

8. თუ სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს დაკარგა მუშამ ან მოსამსახურემ შრომის უნარი, ან მოკვდა, დამქირავებელი ვალდებულია მისცეს მას ან მის ოჯახს ჯილდო იმ სალიკვიდაციო ნორმით, რა ნორმაც ძალაში იქნება დაშავებულ ან გარდაცვალებულ სამხედრო მოსამსახურის სიიდან ამორიცხვის დროს.

9. დამქირავებელი ვალდებულია აცნობოს სათანადო სამხედრო უფროსს, რამდენი მუშა და მოსამსახურე იღებს ამ კანონით ჯამაგირს და რამდენს.

10. ვინც ამ კანონს დაარღვევს, დასჯილ იქნება ჯარიმით

სამი ათას მანეთამდე, ან საპყრობილეში ჩასმით ერთიდან ექვს თვემდე.

11. ეს კანონი შედის ძალაში 1918 წ. დეკემბრის ცხრიდან.

დროებითი დებულება
მთავრობის მიერ დანიშნულ საგანგებო რევიზიისა

მიღებულია საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 30 იანვარს

1. მიენიჭოს უფლება მთავრობას და მის თავმჯდომარეს დანიშნონ, როცა ამას საჭიროდ დაინახავენ, მმართველობის სხვა-და-სხვა დარგის, ადგილების და თანამდებობის პირთა მოქმედების საგანგებო რევიზია ერთის ან რამდენიმე პირისაგან.

2. ამ დებულების თანახმად რევიზორად დანიშნულ პირს ან სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს ყოველი სახელმწიფო და თვითმმართველობის დაწესებულების და თანამდებობის პირისაგან საჭირო ცნობების, საბუთების და სხვა საქმის მიწოდება;

ბ) მოითხოვოს ასეთივე ცნობები, საბუთები და საქმეები ყოველ საკრედიტო, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებისაგან;

გ) განიხილოს პირადად ან სარევიზიო კომისიის წევრის, გინდ სპეციალურად მის განკარგულებაში მყოფ მოხელის საშუალებით ა. და ბ. პუნქტებში აღნიშნულ დაწესებულებათა საქმის წარმოება;

დ) დაიბაროს პირადი ახსნა-განმარტების ან ჩვენების მისაცემად როგორც ყოველ უწყების თანამდებობის მოხელე, აგრეთვე კერძო პირი სისხლის სამართლის წესდების მე-438 მუხ. ძალით;

ე) მოითხოვოს ყველა უწყების დაწესებულებათა და თანამდებობის პირთაგან საჭირო დახმარება თავის განკარგულებათა სისრულეში მოსაყვანად;

ვ) დაავალოს სათანადო უფროსს ან სარევიზიო კომისიის

წევრს გამოკითხვის მოხდენა და ცნობების შეგროვება ეჭვ-მიტანილ თანამდებობის თუ კერძო პირის შესახებ;

ზ) პირადად ან სარევიზიო კომისიის წევრის, ან მის განკარგულებაში მყოფ მოხელის საშუალებით აწარმოოს სამოქალაქო, სამხედრო თანამდებობის თუ კერძო პირთა შესახებ საგამომძიებლო მოქმედება, რომელიც აღნიშნულია სისხლის სამართლის წარმოების წესდების 357—368, 369, 370, 442 და 1089[4] მუხლებში და სამხედრო სასამართლოს 425—438 და 489 მუხლებში;

ც) თავის პირადი უფლებით დაიჭიროს, სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მისცეს, სამსახურიდან დროებით გადააყენოს, ან სრულიად დაითხოვოს, ან სამართალში მისცეს ყოველი თანამდებობის პირი განურჩევლად უწყებისა;

თ) დაავალოს სათანადო შემთხვევაში სასამართლო და სამხედრო გამომძიებელს კუთვნილებისამებრ, ან სარევიზიო კომისიის წევრს წინასწარი გამოძიების, ან ცალკე საგამომძიებლო მოქმედების წარმოება.

3. ეს კანონი ვრცელდება იმ სარევიზიო კომისიებზედაც, რომლებიც უკვე დანიშნულია მთავრობის ან მის თავმჯდომარის მიერ და იმ დანაშაულობაზე, რომელიც ჩადენილია 1918 წლის მაისის 26-ს შემდეგ.

4. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან მიღებისა და პარლამენტის მიერ.

მომრიგებელ სასამართლო დაწესებულებათა ქვემდებარეობის გაფართოებისა[1]

საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 30 იანვრის დროებითი კანონი

I. აწინდელ კანონდებულებათა შესაცვლელადა და შესავსებად, მუხლები სასჯელთა წესდებისა მე-169, მე-3 პ. 171, 173, 177 და მე-2 პ. 181; სასჯელთა დებულებისა მე-1655, მე-3 პ. 1663, 1666, 1-ლი ნაწ. 1681 და აგრეთვე 354 მუხ. მე-3 და 4 ნაწილი; სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდების

[1] იხ. გვ. 71, 378.

შე-33 მუხ. (ადგილობრივ სასამართლოში ცვლილებათა შემოღების 1912 წ. ივნისის 15-ს კანონით) და სამოქალაქო საქმეთა წარმოების წესდების მე-186 მუხ. უკანასკნელი ნაწილი და შე-1462 და 1466[2] მუხ. (1914 წ. გამოც.) დაიწეროს ამ გვარად:

სასჯელთა წესდების მუხლები:

169. ისეთის საგნის ქურდობისათვის, რომლის ღირებულება ორი ათას მან. არ აღემატება, დამნაშავეს მიესჯება საპატიმროში დამწყვდევა სამიდან ექვს თვემდე.

171, პ. 3. თუ ნაპარავის ღირებულება ხუთს მან. არ აღემატება.

173. საქონლისა ანუ სხვა ნივთის ყიდვა-გაყიდვის ან გაცვლაგამოცვლის დროს ზომაში და წონაში დაკლებისათვის, აგრეთვე სხვა გვარი მოტყუებისათვის საქონლის რაოდენობასა და ღირსებაში, ან ფულის ანგარიშის და დახურდავების დროს, თუ მონაპარავის ღირებულება ორი ათას მან. არ აღემატება, დამნაშავეს მიესჯება საპატიმროში დამწყვდევა ერთიდან სამს თვემდე.

177. სხვისი მოძრავი ქონების მითვისებისა და გაფლანგვისათვის, უკეთუ ეს ქონება მიბარებული ჰქონდა შესანახად, გადასატანად, ან გადასაზიდავად, ან განსაზღვრული საქმისათვის მოსახმარებლად და უკეთუ ღირებულება მითვისებულისა ან გაფლანგულისა ორი ათას მანეთს არ აღემატება, დამნაშავეს მიესჯება საპატიმროში დამწყვდევა სამის თვიდან ერთ წლამდე.

დანარჩენი ნაწილი ამ მუხლისა ძალაში დარჩება.

181, პ. 2. როდესაც ეს დანაშაული ჩადენილია მესამედ, ან ნაპარავის ღირებულება აღემატება ორი ათას მან., თუნდაც დანაშაული მხოლოდ პირველად ან მეორედ იყოს ჩადენილი.

დანარჩენი ნაწილი ამ მუხლისა, პირველ პუნქტის გარდა, ძალაში დარჩება.

სასჯელთა დებულების მუხლები:

1655 (1912 წ. გაგრძ.). როდესაც ქურდობის ჩამდენი უფრო სასტიკად არ არის დასასჯელი მე-1645, 1646, 1647, 1649, 1650,

1651, 1652, 1653, 1654, 1654[1] და 1654[2] მუხ. ძალით, მაშინ სასჯელი უნდა მიესაჯოს შემდეგი საფუძვლით:

მესამედ ჩადენილ ქურდობისათვის ისეთის ნივთისა, რომლის ღირებულება ორი ათას მ. არ აღემატება, დამნაშავეს უნდა მიესაჯოს: ყოველისავე განსაკუთრებულ, პირადად და მდგომარეობით მინიჭებულ, უფლებისა და უპირატესობის ჩამორთმევა და ტუსაღთა გამასწორებელ ნაწილში გადაცემა ამა დებულების მე-31 მუხ. მეოთხე ხარისხით.

მეოთხედ ჩადენილ ისეთის ნივთის ქურდობისათვის, რომლის ღირებულება ორი ათას მან. არ აღემატება, დამნაშავეს მიესჯება: ტუსაღთა გამასწორებელ ნაწილში გადაცემა ამა დებულების მე-31 მუხ. პირველის ხარისხით.

ისეთის ნივთის ქურდობისათვის, რომლის ღირებულება ორი ათას მან. აღემატება, დამნაშავეს მიესჯება: პირველად — ყოვლისავე განსაკუთრებულ, პირადად და მდგომარეობით მინიჭებულ, უფლებისა და უპირატესობის ჩამორთმევა და ტუსაღთა გამასწორებელ ნაწილში გადაცემა ამა დებულების მე-31 მუხ. (1912 წ. გაგრძ) მეოთხე ხარისხით, ხოლო მეორედ — ტუსაღთა გამასწორებელ ნაწილში გადაცემა ამა დებულების მე-31 მუხ. (1912 წ. გაგრძ.) პირველის ხარისხით.

1663, პ. 3. თუ ნაპარავის ღირებულება ხუთ მან. არ აღემატება.

1666 (1912 წ. გაგრძ.). მოტყუებისა და სხვა ამ გვარ დანაშაულისათვის, რომელიც აღნიშნულია სასჯელთა წესდების მე-173—176 მუხ., თუ ნაპარავის ღირებულება ორი ათას მან. აღემატება, დამნაშავეს მიესჯება:

პირველად — ყოველისავე განსაკუთრებულ, პირადად და მდგომარეობით მინიჭებულ, უფლებისა და უპირატესობის ჩამორთმევა და ტუსაღთა გამასწორებელ ნაწილში გადაცემა ამა დებულების მე-31 მუხ. მეხუთე ხარისხით.

მეორედ — ტუსაღთა გამასწორებელ ნაწილში გადაცემა მე-31 მუხ. მეოთხე ხარისხით და

მესამედ — ტუსაღთა გამასწორებელ ნაწილში გადაცემა ამა დებულების მე-31 მუხ. პირველის ხარისხით.

1681, ნაწ. 1-ლი. სხვისი მოძრავი ქონების მითვისებისა და გაფლანგვისათვის, რაიცა გათვალისწინებულია სასჯელთა წეს-

დების მე-177 მუხლში, უკეთუ ამ ქონების ღირებულება ორი ათას მანეთს აღემატება, დამნაშავეს მიესჯება:

სასჯელი, რომელიც დადგენილია მოტყუებისა და დატყუებისათვის, უკეთუ ამ გზით მითვისებულის ღირებულება აღემატება ორი ათას მან.

დანარჩენი ნაწილი ამ მუხლისა ძალაში დარჩება.

354, მე-3 და 4 ნაწ. იმას, ვინც თავისი ნებით არ დაუბრუნებს მის მიერ წაღებულს, მითვისებულსა და გაფლანგულს მისი ბოროტმოქმედების გამოაშკარავების შემდეგაც-კი, მიესჯება:

თუ ღირებულება მითვისებულისა და გაფლანგულისა ორი ათას მან. არ აღემატება, საპატიმროში დამწყვდევა ამა დებულების 38-ე მუხ. პირველი ხარისხით.

ხოლო როცა წაღებულისა, მითვისებულისა ანუ გაფლანგულის ღირებულება ორი ათას მან. აღემატება, — ყოველ განსაკუთრებულ, პირადად და მდგომარეობით მინიჭებულ, უფლებისა და უპირატესობის ჩამორთმევა და ტუსაღთა გამასწორებელ ნაწილში გადაცემა ამა დებულების მე-31 მუხ. პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე ხარისხით.

დანარჩენი ნაწილი ამ მუხლისა ძალაში დარჩება.

სისხლის სამართლის საქმეთა წარ. წესდ. მუხლი:

33. მომრიგებელ მოსამართლეს ექვემდებარება დანაშაულობანი და მცირე დანაშაულობანი, რომელთათვის კანონით დადებული არ არის მდგომარეობის უფლების აყრა ანუ შეზღუდვა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სისხლის საქმესთან შეერთებული სამოქალაქო საჩივარი ვნებისა და ზარალის ანაზღაურებისათვის, როდესაც საჩივრის ფასი აღემატება ოთხი ათას მან., არ ექვემდებარება მომრიგებელ მოსამართლეს.

სასჯელთა წესდების მე-181 მუხ. პირველი პუნ. და აგრეთვე სასჯელთა დებულების მე-1656, 1667 და 1682 მუხ. და სისხლის სამართლის წარმოების წესდების 33[1], 33[2], 34, 1259 და 1260 მუხ. გაუქმებულია.

186 მუხ. უკანასკნელი ნაწილი. აკრძალულია გადაწყვეტილების გადასინჯვისათვის თხოვნის შეტანა იმ საქმის გამო, რომლის საჩივრის ღირებულება ხუთას მან. არ აღემატება.

1462. მე-29-ა. მუხ. მე-2—4 პუნ. აღნიშნულ სამოქალაქო საჩივართა და თხოვნათა გარდა, მომრიგებელ მოსამართლეს ექვემდებარება სამოქალაქო საჩივარი, რომლის ღირებულება ოთხი ათას მან. არ აღემატება, როგორც აღნიშნული დასახელებულ 29-ა. მუხ. პირველ პუნ., აგრეთვე საჩივარი უძრავი მამულის უფლებათა შესახებ და იმავე 29-ა მუხ. მე-5 პუნ. აღნიშნული თხოვნანი ზემო განსაზღვრული ქვემდებარეობის ფარგლებში.

1466[2]. მე-1466[1] მუხლში აღნიშნული ბაჟი და გადასახადი სახელმწიფო ხაზინის შემოსავლად ჩაითვლება, ხოლო იმ საქმის გამო, რომლის შეფასება სავალდებულო არ არის, სასამართლოს ბაჟი აღრიცხული უნდა იყოს განაჩენის დადგენის დროს არა უმეტეს ოთხმოც მანეთისა.

II. ეს კანონი ძალაში შედის:

ა) სისხლის სამართლის სასჯელთა საქმეებისათვის — გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნების დღიდან, ხოლო ამ კანონის გამოქვეყნებამდე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეთა შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც 1918 წ. იანვრის 1-ის შემდეგ არის დაწყებული და ჯერ არ დამთავრებულა.

ბ) სამოქალაქო საქმეთათვის — სამის დღის შემდეგ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებიდან.

III. ყოველი საქმე, რომელიც ამ კანონის ძალით მომრიგებელ მოსამართლეს ექვემდებარება და რომლის წარმოება უკვე დაწყებულია საზოგადო სასამართლოში, დაუყოვნებლივ გადაეცეს ზემოხსენებულ მოსამართლეებს, თუ ამ საქმეებზე არც ერთი სასამართლო სხდომა არ შემდგარა; უკეთუ სხდომა ასეთ საქმეებზე საზოგადო სასამართლოებში უკვე შემდგარია, საქმის განხილვა უნდა დამთავრებულ იქნეს იმ ქვემდებარეობის წესით, რომელიც ამ კანონის გამოცემამდე არსებობდა.

რესპუბლიკის დროებით საგანგებო სასამართლოს ქვემდებარეობის გაფართოებისა[1]

საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 31 იანვრის კანონი

1918 წ. სექტემბრის 20-ის დებულება რესპუბლიკის დროებით საგანგებო სასამართლო შეესებულ იქნეს შემდეგით:

1. ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს შემოღებამდე დანაშაულობანი თანამდებობის პირთა და მოხელეთა და მათი თანამონაწილე კერძო პირთა დაექვემდებაროს დროებით საგანგებო სასამართლოს.

2. ამ სასამართლოს ექვემდებარება ყველა პირველ მუხლში აღნიშნული დანაშაულობა, რომელიც ჩადენილია 1918 წ. მაისის 26 შემდეგ.

3. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა პარლამენტის მიერ.

მთავრობის ოფიციალურ ორგანოს „საქართველოს რესპუბლიკის“ დაარსებისა

საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 31 იანვრის კანონი

1. დაარსდეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მთავრობის ოფიციალური ორგანო „საქართველოს რესპუბლიკა“.

2. პირველ მუხლში აღნიშნული ორგანოს გამოცემისათვის, თანახმად ამ კანონთან დართული შტატის ხარჯთაღრიცხვისა, გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან 1918 წლის ივლისის 25-დან 1919 წლის იანვრის პირველამდე ოთხმოცდაშვიდი ათას ექვსას ორმოცდაათი მანეთი (87.650).

---

[1] იხ. გვ. 67.

შტატი

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციისა.

№№ რიგზე	თანამდებობანი	თანამდებობის რიცხვი	ჯამაგირის რაოდენობა	
			თვიურად მანეთობ.	წლიურად მანეთობ.
1	რედაქტორი	1	950	11.400
2	მდივანი	1	900	10.800
3	მდივნის თანაშემწე	1	700	8.400
4	მთარგმნელი	1	600	7.200
5	ქრონიკიორი(ერთს 200 მ. თვიურ.)	2	400	4.800
6	კორექტორი (ერთს 700 მ., მეორეს 500 მან. თვიურად) . . .	2	1.200	14.400
7	კანტორის გამგე	1	800	9.600
8	მისი თანაშემწე	1	600	7.200
9	ექსპედიტორი	1	550	6.600
10	მისი თანაშემწე (ერთს 450 მან., მეორეს 350 მან. თვიურად)	2	800	9.600
11	მსახური (თითოს 350 მან. თვიურად)	2	700	8.400
	სულ	15	8.200	98.400

საქართველოს პარლამენტის მოქმედების შეჩერების შესახებ

საქართველოს პარლამენტის 1919 წლის 31 იანვრის დადგენილება

1. პარლამენტის მოქმედება შეჩერებულ იქნეს ამა წლის იანვრის 31-დან.

2. პარლამენტი დათხოვნილად ითვლება დღიდან დამფუძნებელ კრების შეკრებისა.

3. დამფუძნებელ კრებას მოიწვევს პარლამენტის პრეზიდიუმი და პარლამენტის ცენტრალური დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისია.

დ ე კ ა რ ე ტ ი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შედგენისა

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის 14 მარტს

1. დაევალოს დამფუძნებელ კრების წევრს ნოე ჟორდანიას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შედგენა მისივე თავმჯდომარეობით.

2. მთავრობის თავმჯდომარე იმავე დროს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელია.

დამფუძნებელ კრების წევრობისა და მოხელეობის შეუთავსებლობისა და წევრთა გასამრჯელოსი

საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 4 აპრილის კანონი

1. დამფუძნებელ კრების წევრობა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში სამსახური ერთმანეთთან შეუთავსებელია.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ეს დებულება არა ვრცელდება: მინისტრებსა, მათს ამხანაგებსა, სახელმწიფო კონტროლიორსა, მის ამხანაგსა, ელჩებსა და უმაღლეს სკოლის პროფესორებსა, პრივატდოცენტებსა და რექტორებზედ. არა ვრცელდება აგრეთვე სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის წევრებზედ. აქ ჩამოთვლილ თანამდებობათა შეთავსება დამფუძნებელ კრების წევრობასთან შესაძლებელია.

2. ადგილობრივ თვითმართველობათა გამგეობის წევრს არ აეკრძალება იყოს იმავე დროს დამფუძნებელ კრების წევრად.

3. დამფუძნებელ კრების წევრს გასამრჯელოდ მიეცეს ათას ხუთასი (1500) მან. თვიურად.

4. თანამდებობის პირნი, პირველსა და მეორე მუხლში მო-

ხსენებულნი, გასამრჯელოს მიიღებენ ერთ-ერთ ადგილიდან, რომელსაც ამოირჩევენ.

5. ყოველი წევრი, რომელიც შეუთავსებელ თანამდებობას ასრულებს, ვალდებულია ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის მიღებისა შემოიტანოს განცხადება, რომ მან შეუთავსებელი თანამდებობა დასტოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში დაჰკარგავს დამფუძნებელი კრების წევრის უფლებას და მის ადგილს დაიკერს მორიგი კანდიდატი სათანადო სიიდან.

6. კანონი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

ახალციხის ამბების გამოსარკვევად გაგზავნილ საგანგებო კომისიის მოხსენების გამო

საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 4 აპრილის დადგენილება

მოისმინა რა საგანგებო კომისიის მოხსენება ახალციხის მაზრაში მომხდარ ამბების გამო და მთავრობის განმარტება ამ საგანზე, დამფუძნებელი კრება აღიარებს, რომ აღნიშნულ მხრის დასამშვიდებლად საჭიროა:

ა) ენერგიული ბრძოლა მოღალატეთა წინააღმდეგ და ბ) დემოკრატიული რეფორმის ცხოვრებაში გატარება.

ამისთვის დამფუძნებელი კრება ავალებს მთავრობას:

1. მიიღოს ზომები ადმინისტრაციის მოსაწყობად, რათა შესაძლებელი გახდეს დემოკრატიულ რეფორმების, მათ შორის პირველ რიგში საადგილ-მამულო რეფორმის განხორციელება და აღმოუჩინოს დაზარალებულ მცხოვრებთ დახმარება სურსათისა და ხე-ტყის მასალის მიწოდებით;

2. დროებით, სანამ გარეშე საფრთხე იქნება მოსალოდნელი, დასტოვოს ამ მხარეში სამხედრო წესები და მომქმედ სამხედრო და სამოქალაქო ძალების შესათანხმებლად დანიშნოს თავისი საგანგებო რწმუნებული.

წესი
დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ კანონის, დეკრეტის და დადგენილების გამოქვეყნებისა

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მიერ 1919 წლის 15 აპრილს

1. ყოველი კანონი, დეკრეტი და დადგენილება, დამფუძ-ნებელ კრების მიერ მიღებული, უნდა გამოქვეყნებულ იქნეს თანახმად 1918 წ. ოქტომბრის 11-ს კანონისა — კანონთა გამო-ქვეყნებისათვის („კანონთა კრებული" 1918 წ., კან. 76-ე).

2. ყოველ კანონს, დეკრეტს თუ დადგენილებას, რომელ-საც დამფუძნებელი კრება მიიღებს, ხელს მოაწერს კრების თავმჯდომარე.

ყოველ კანონსა და დეკრეტს აგრეთვე ხელს მოაწერს მთა-ვრობის თავმჯდომარე. ამ უკანასკნელის ხელის მოუწერლობა ვერ შეაჩერებს კანონის და დეკრეტის გამოქვეყნებას და ძა-ლაში შესვლას.

3. წესი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნე-ბელ კრების მიერ.

სასამართლოს განაჩენის შეცვლის შესახებ შემოსულ თხოვნების განხილვისა

საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 17 აპრილის დადგენილება

საქართველოს დამფუძნებელ კრების სახელზე შემოსული თხოვნები და შუამდგომლობანი, რომლებიც სასამართლოს გა-ნაჩენის შეცვლას შეეხება, დამფუძნებელ კრების მიერ განუ-ხილველი რჩება.

საქართველოს დამფუძნებელი კრების
რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ
1919 წლის 25 აპრილს

თ ა ვ ი 1.

დამფუძნებელი კრების გახსნა და დამფუძნებელი კრების წევრთა რეგისტრაციის შემოწმება

§ 1. დამფუძნებელი კრების პირველ სხდომას გახსნის მისი უხუცესი წევრი, რომელიც მუდმივი თავმჯდომარისა და მდივნის არჩევამდე თავმჯდომარის მოვალეობას შეასრულებს. მდივნის თანამდებობას იმავე დროს ასრულებს დამფუძნებელი კრების ყველაზე უმცროსი წევრი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: წლოვანობას არკვევს დამფუძნებელი კრების კანცელარია, თანახმად წევრთა მიერ წარმოდგენილი ცნობისა.

§ 2. თავმჯდომარისა და მდივნის არჩევამდე დამფუძნებელი კრება სხვა საკითხებს არ შეეხება.

§ 3. თავის წევრთა არჩევანის კანონიერების განსახილველად დამფუძნებელი კრება აირჩევს სამანდატო კომისიას.

§ 4. თავის მოხსენებას არჩევანის გაუქმების გამო კომისია წერილობით წარუდგენს განსახილველად დამფუძნებელ კრებას. ამ შემთხვევაში უნდა დაცულ იყოს მე-33 მუხლში აღნიშნული წესი.

§ 5. დამფუძნებელი კრების თითოეული წევრი სარგებლობს წევრის სრული უფლებით იმ დრომდე, სანამ მიღებული არ იქნება დადგენილება მისი არჩევანის გაუქმებისა.

თ ა ვ ი 2

თანამდებობის პირთა არჩევანი.

§ 6. დამფუძნებელი კრება აირჩევს პრეზიდიუმს, რომელშიაც შედიან თავმჯდომარე, მისი ამხანაგები, მდივანი და მისი ამხანაგები. პრეზიდიუმის წევრთა რიცხვს განსაზღვრავს თვით დამფუძნებელი კრება.

§ 7. წინა მუხლში (6) აღნიშნულ თანამდებობათა კანდიდატებს ასახელებენ ბარათებით. კენჭი ეყრება იმ კანდიდატებს, რომელნიც ამის თანხმობას განაცხადებენ.

§ 8. არჩევანი მოხდება ფარული კენჭის ყრით ბარათებით.

§ 9. არჩეულად ის ჩაითვლება, ვინც ნახევარზე მეტ ხმას მიიღებს, თუ კანდიდატებმა თანაბარი ხმა მიიღეს, მათ წილს უყრის თავმჯდომარე.

§ 10. თუ ნახევარზე მეტი ხმა არავის ამოუვიდა, მოხდება ახალი არჩევანი (მუხ. მე-7 და მე-8). თუ მეორე არჩევანის დროსაც ნახევარზე მეტი ხმა არავინ მიიღო, არჩეულად ჩაითვლება ის, ვისაც მეტი ხმა ამოუვა.

§ 11. მე-6 მუხლში აღნიშნულ თანამდებობის პირთ აირჩევენ ერთი სესიის ვადით. ისინი განაგრძობენ თავის მოვალეობის ასრულებას შემდეგი სესიის დასაწყისში სათანადო თანამდებობის პირთა არჩევამდე.

§ 12. თუ მე-6 მუხლში აღნიშნული რომელიმე თანამდებობა ვადის გასვლამდე განთავისუფლდა, ეს უნდა ეცნობოს მაჩლობელ სხდომაზე დამფუძნებელ კრებას, რომელიც დანიშნავს ახალი არჩევნების დღეს. ახლად არჩეული პირი თანამდებობაზე დარჩება იმ ვადამდე, როდემდისაც არჩეული იყო მისი წინა მოადგილე.

თ ა ვ ი 3.

დამფუძნებელი კრების კომისიები.

§ 13. დამფუძნებელ კრებას შეუძლიან წინასწარი განხილვა საქმეებისა თავის არჩეულ კომისიებს მიანდოს.

§ 14. დამფუძნებელი კრება კომისიებს აირჩევს ფარული კენჭის ყრით, თუ ამას რომელიმე წევრი მოითხოვს.

§ 15. არჩეულად ჩაითვლება დამფუძნებელი კრების ის წევრი, რომელიც ნახევარზე მეტ ხმას მიიღებს. თუ ამნაირის წესით კომისიის სრული შემადგენლობა არჩეული ვერ იქნა, მაშინ მოხდება მეორე დამატებითი არჩევანი. ამ შემთხვევაში არჩეულად ის ჩაითვლება, ვინც სხვასთან შედარებით მეტ ხმას მიიღებს.

§ 16. დამფუძნებელი კრება აირჩევს: 1) მუდმივ კომისი-

ებს, რომელთაც ექნებათ განსაკუთრებული ვალდებულებანი ან დაევალებათ განხილვა ერთგვარი კანონპროექტებისა და საკითხებისა (კანონმდებლობის განსაკუთრებული განყოფილებისა) და 2) დროებით კომისიებს, რომელთაც განსახილველად ექნებათ განსაზღვრული კანონპროექტები და საკითხები.

§ 17. მუდმივი კომისიებია: 1) საკონსტიტუციო, 2) საფინანსო საბიუჯეტო, რომელსაც დაევალება განხილვა შემოსავალ-გასავალის პროექტისა უწყებათა საფინანსო ხარჯთ-აღრიცხვასთან ერთად, განხილვა სხვა-დას-ხვა ხარჯისა, რომელიც ხაზინამ უნდა გაიღოს და აგრეთვე წინასწარი განხილვა იმ საქმეებისა, რომელნიც საფინანსო კანონმდებლობას შეეხება, 3) სარედაქციო, რომელსაც დაევალება დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ კანონპროექტის საბოლოო ტექსტის შემუშავება; 4) საბიბლიოთეკო, რომელიც განაგებს დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკას, 5) სამეურნეო-საგეგმო, რომელიც განაგებს დამფუძნებელი კრების სამეურნეო საქმეებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: დამფუძნებელ კრებას შეუძლიან, თუ საჭიროდ დაინახავს, სხვა მუდმივი კომისიებიც აირჩიოს.

§ 18. კომისიების წევრთა რიცხვს განსაზღვრავს თვით დამფუძნებელი კრება.

§ 19. მუდმივი კომისიების არჩევნები მოხდება ყოველ სესიის დასაწყისში.

§ 20. მუდმივი კომისია განაგრძობს მოქმედებას ახალი შედგენილობის არჩევამდე. დროებითი კომისია გაუქმებულად ჩაითვლება იმ დროიდან, როცა დამფუძნებელი კრება საბოლოოდ გადასჭრის საკითხს, რომლისთვისაც ეს კომისია იყო არჩეული.

§ 21. კომისიის პირველ სხდომას იწვევს დამფუძნებელი კრების მდივანი დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის განკარგულებით, არა უგვიანეს სამი დღისა კომისიის არჩევის შემდეგ. კომისიის პირველ სხდომას გახსნის უხუცესი წევრი. პირველი სხდომა კანონიერად ჩაითვლება, თუ წევრთა ნახევარზე მეტი დაესწრო; შემდეგნი-კი — თუ დაესწრო კომისიის მთელი შემადგენლობის არა ნაკლებ ერთი მესამედისა. ის კომისია, რომლის წევრთა კანონიერი რიცხვი სამჯერ მოწვევის

შემდეგ არ შეიკრიბება, გაუქმებულად ჩაითვლება და ახალი არჩევანი დაინიშნება.

§ 22. კომისია პირველ სხდომაზედვე აირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს. სურვილისამებრ შეუძლია თავმჯდომარის ამხანაგებიც აირჩიოს. არჩევანი მე-9 და მე-10 მუხლში აღნიშნულ წესით სწარმოებს. შედეგი არჩევანისა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს.

§ 23. არავის შეუძლიან იყოს ერთსა და იმავე დროს ორი კომისიის თავმჯდომარედ და მდივნად.

§ 24. კომისიას შეუძლიან თავის წრეში ამოირჩიოს მცირე კომისია. მცირე კომისიის არჩევნების წესს თვით კომისია განსაზღვრავს.

§ 25. თუ კომისია საჭიროდ სცნობს მოისმინოს მთავრობის წევრთა ან სხვა თანამდებობის პირთა სიტყვიერი განმარტებანი, ან რაიმე საბუთები გაწიხილოს, უნდა აცნობოს სათანადო პირთ და დაწესებულებებს, რომელნიც ვალდებულნი არიან კომისიის მოთხოვნილება დააკმაყოფილონ. მთავრობის წევრს უფლება აქვს თავისი მხრით წარუდგინოს კომისიას თავისი განმარტება, ან გასასინჯველად გადასცეს საბუთები და ქაღალდები.

§ 26. კომისიები, თუ საჭიროდ დაინახავენ, მცოდნე პირებს მოიწვევენ. დამფუძნებელი კრების წევრებს შეუძლიანთ სათათბირო ხმით დაესწრნენ კომისიის სხდომებს.

§ 27. კომისიის მდივანი აწარმოებს სხდომების ჟურნალს, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: სხდომის დრო, დამსწრეთა სახელი და გვარი, განხილული საკითხებისა, კომისიაში შეტანილი სხვა-და-სხვა წინადადებანი, დადგენილებანი და დასკვნანი.

§ 28. კომისიის მოხსენებას, რომელიც წარედგინება დამფუძნებელ კრებას, კომისიის მოსაზრებათა და საქმის ვითარების აღნუსხვის გარდა, თან უნდა ახლდეს დასკვნა პროექტის სახით.

§ 29. კომისიაში კითხვები გადასწყდება ხმის უბრალო უმრავლესობით თუ ხმები თანასწორად გაიყო, მიღებულად მიჩნეულ უნდა იყოს ის აზრი, რომელსაც თავმჯდომარე მიემხრობა.

§ 30. თუ საკითხის გამო რამდენიმე სხვა-და-სხვა დასკვნა

იქნა წარმოდგენილი და უმრავლესობა არც ერთს არ მიემხრო, ამ შემთხვევაში კომისიის მოხსენებაში აღნიშნული უნდა იყოს ორი წინადადება, რომელსაც შედარებით წევრთა მეტი რიცხვი მიემხრო.

§ 31. კომისიის ყოველ წევრს უფლება აქვს თავისი განსაკუთრებული აზრი წარუდგინოს კომისიას წერილობით. მაშინ კომისია ვალდებულია ის აზრი თავის მოხსენებასთან ერთად დამფუძნებელ კრებას წარუდგინოს განსახილველად.

§ 32. დამფუძნებელი კრების წინაშე განმარტების მისაცემად, ან წერილობით მოხსენების წარსადგენად კომისია ერთს ან რამდენსამე მომხსენებელს ამოირჩევს.

§ 33. კომისიის მოხსენება, დამფუძნებელ კრებაში წარდგენისთანავე, დამფუძნებელი კრების წევრებსა და მთავრობის სათანადო წევრებს გაეგზავნება. ამ დროიდან მოხსენების დამფუძნებელი კრების სხდომაზე წარდგენამდე უნდა გავიდეს არა ნაკლებ სამი დღისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეს ვადა შეიძლება შემცირებულ იქნეს მხოლოდ დამფუძნებელი კრების დადგენილებით.

§ 34. თუ კანონ-პროექტი ერთზე მეტს კომისიას შეეხება, დამფუძნებელ კრებას შეუძლიან დაადგინოს, რომ ასეთი კანონ-პროექტი განხილულ იქნეს კომისიათა შეერთებულ სხდომაზე. ასეთ შემთხვევაში თავმჯდომარეს და მომხსენებელს კომისიათა შეერთებულ სხდომაზე ამოირჩევენ.

§ 35. როდესაც დამფუძნებელი კრება კანონ-პროექტს კომისიას გადასცემს განსახილველად, შეუძლიან მოსთხოვოს, რომ ამ კომისიამ თავის მოხსენებასთან ერთად წარმოადგინოს დასკვნა სხვა კომისიებისაც იმ საკითხისათვის, რომელიც სპეციალურ საგანს შეეხება.

§ 36. კომისია, რომელიც წარმოადგენს დასკვნას სპეციალურ საკითხის გამო, თავის განსაკუთრებულ მომხსენებელს ამოირჩევს დამფუძნებელი კრების სხდომის წინაშე ამ დასკვნის დასასაბუთებლად.

§ 37. კომისიას, რომელსაც კანონპროექტის განხილვა აქვს დავალებული, შეუძლიან დამფუძნებელი კრების დაუდგენლადაც გამართოს შეთანხმებული მუშაობა სხვა კომისიებთან,

მოითხოვოს მათგან დასკვნა სპეციალური საკითხების გამო და სხვა. ასეთ შემთხვევაში მოწვეული კომისიის წევრები კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მიიღებენ და არც თავის განსაკუთრებულ მომხსენებელს ამოირჩევენ.

§ 38. ისეთ შემთხვევაში, როდესაც კომისიას ჰსურს მონაწილეობა მიიღოს მეორე კომისიისთვის მინდობილ საქმის განხილვაში, ან ვერ შეუთანხმდება მეორე კომისიას საერთო მუშაობის დამყარების საკითხში, ან ჰსურს უარი სთქვას დამფუძნებელი კრების დავალებაზე, დაინტერესებული კომისია სათანადო შუამდგომლობით მიმართავს დამფუძნებელი. კრების პრეზიდიუმს, რომელსაც ეს შუამდგომლობა შეაქვს განსახილველად .დამფუძნებელ კრებაში თავის დასკვნასთან ერთად.

§ 39. მართველობის ყოველი დარგის მოქმედების გამოსაძიებლად, სარევიზიოდ, საკონტროლოდ თუ სხვა მიზნისათვის დამფუძნებელი კრება აირჩევს განსაკუთრებულ კომისიას, ან პირს.

§ 40. ასეთ კომისიას უფლება აქვს მოსთხოვოს როგორც საადმინისტრაციო და სამოსამართლო, ისე ადგილობრივ თვითმართველობათა დაწესებულებებსა და თანამდებობის პირთ ყოველი ცნობის წარმოდგენა და სიტყვიერი თუ წერილობითი განმარტების მიცემა. ეს პირნი და დაწესებულებანი ვალდებულნი არიან კომისიის მოთხოვნილება დაუბრკოლებლივ შეასრულონ.

§ 41. განსაკუთრებული უფლებები (როგორც, მაგალითად, სამსახურიდან გადაყენება, სამართალში მიცემა, დაპატიმრება და სხვ.) მიენიჭება თვითეულ კომისიას დამფუძნებელი კრების ცალკე დადგენილებით ან ინსტრუქციით.

§ 42. მე-40 მუხლში აღნიშნული ყოველი კომისია ცნობასა და ანგარიშს თავის მოქმედებისას წარუდგენს დამფუძნებელ კრებას ან მის მიერ სპეციალურად არჩეულ ორგანოს.

თ ა ვ ი 4.

საქმეთა განხილვის წესი

ნაწილი პირველი

საკანონმდებლო საქმეთა განხილვის წესი

§ 43. საკანონმდებლო საქმეს დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს მას შემდეგ, როცა ეს საქმე განხილულ იქნება კომისიაში და უკანასკნელი წარმოადგენს სათანადო მოხსენებას.

§ 44. დამფუძნებელ კრებაში წარმოადგენილ კანონპროექტებისა და საკანონმდებლო წინადადებათა სია დამფუძნებელი კრების მახლობელ სხდომას უნდა წარედგინოს.

§ 45. კანონპროექტის ან საკანონმდებლო წინადადების კომისიაში გადაცემის შემდეგ, ყველა საკანონმდებლო წინადადება, რომელიც კომისიაში გადაცემულ საქმეს შეეხება, უნდა გადაეცეს მასალად იმავე კომისიას მე-44 მუხ. აღნიშნული წესით.

§ 46. კომისიის მიერ დამფუძნებელ კრებაში შემოტანილი ყოველი კანონპროექტი უნდა განხილულ იქნეს ს ა მ ჯ ე რ.

§ 47. კანონპროექტის განხილვა იწყება მის ძირითად დებულებათა საზოგადო განხილვით (პირველი განხილვა). პირველ განხილვის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხება კრებას, ჰსურს თუ არა კანონპროექტის მუხლობრივ განხილვას შეუდგეს. თუ დამფუძნებელმა კრებამ მუხლობრივ განხილვაზე გადასვლა უარჰყო, კანონპროექტიც უარყოფილად უნდა ჩაითვალოს.

§ 48. პირველისა და მეორე განხილვის შუა უნდა გავიდეს არა ნაკლებ შვიდი დღისა. შესწორებანი და დამატებანი, ან დამატებითი მუხლები განსახილველი კანონპროექტისა უნდა წარედგინოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს არა უგვიანეს სამი დღისა პირველი განხილვის შემდეგ. ეს დამატებანი და შესწორებანი პრეზიდიუმის განკარგულებით გაეგზავნება დამფუძნებელი კრების წევრებს ერთი დღით მაინც ადრე იმ სხდომამდე, როდესაც კანონპროექტის მეორე განხილვა არის დანიშნული.

§ 49. კანონპროექტის მეორე განხილვის მიზანია ცალ-ცალკე მუხლების განხილვა. ცალკე მუხლების განხილვის დროს, დამფუძნებელი კრების დადგენილებით, შეიძლება წესი მუხლობრივ განხილვისა შეიცვალოს, ან რამდენისამე მუხლის განხილვა შეერთდეს, ან ერთი მუხლი რამდენსამე ნაწილად დაიყოს და თვითეული ნაწილი ცალკე განხილულ იქნეს.

§ 50. შესწორებანი და დამატებანი თავმჯდომარემ უნდა გამოაქვეყნოს იმ მუხლის განხილვის დაწყებამდე, რომელსაც შესწორება, ან დამატება შეეხება. მუხლის განხილვის დროს შესწორებისა დ დამატების შეტანა არ შეიძლება.

მომხსენებლის, ან მთავრობის წევრის განცხადებით შესწორებანი და დამატებანი დამფუძნებელი კრების სხდომის განხილვამდე კომისიას უნდა გადაეცეს წინასწარ გაწსახილველად. ამ შემთხვევაში მეორე განხილვა კანონპროექტისა, ან ცალკე მუხლისა უნდა გადაიდოს იმ დრომდე, სანამ თავის დასკვნას არ წარმოადგენს კომისია, რომელსაც დამფუძნებელ კრებას შეუძლიან განსაზღვრული ვადა დაუნიშნოს. სარედაქციო ხასიათის შესწორება კენჭის უყრელად უნდა გადაეცეს სარედაქციო კომისიას.

§ 51. მუხლობრივ განხილვის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხება კრებას: შეიწყნარებს თუ არა ის კანონპროექტს მიღებულ შესწორებით მთლიანად.

§ 52. დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონპროექტი უნდა გადაეცეს სარედაქციო კომისიას საბოლოო ტექსტის შესამუშავებლად, რომელიც მუხლობრივ გაწსახილველად (მესამე განხილვა) და დასამტკიცებლად წარედგინება დამფუძნებელი კრების სხდომას. ამ განხილვის დროს შეიძლება შეტანა მხოლოდ სარედაქციო შესწორებისა.

საბოლოო ტექსტი უნდა დაურიგდეს წევრებს ერთი დღით მაინც ადრე იმ სხდომამდე, რომლის დღიურ წესრიგშიაც არის იგი შეტანილი.

ნაწილი მეორე

შემოსავალ-გასავალის განხილვის წესი.

§ 53. მთავრობის მიერ შეტანილი პროექტი შემოსავალ-გასავლისა და უწყებათა საფინანსო ხარჯთაღრიცხვანი, აგრეთვე

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის მიერ შეტანილი ხარჯთაღრიცხვა დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას.

§ 54. ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტის განხილვას დამფუძნებელი კრება მას შემდეგ იწყებს, როცა წარმოდგენილ იქნება საბიუჯეტო კომისიის ყველა მოხსენება: 1) მთელი შემოსავალ-გასავალისა და 2) შემოსავალისა და ცალკე ხარჯების პროექტისა (ე. ი. სახელმწიფო გასავალის რამდენიმე ნომერის კრებულისა).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ მუხლში აღნიშნული წესი ხარჯთაღრიცხვის განხილვისა შეიძლება შეიცვალოს დამფუძნებელი კრების განსაკუთრებული დადგენილებით, თანახმად საბიუჯეტო კომისიის მოხსენებისა.

§ 55. საბიუჯეტო კომისიის მოხსენებათა გარჩევას დამფუძნებელი კრება შეუდგება არა უადრეს ერთის კვირისა დამფუძნებელი კრების წევრთათვის იმ მოხსენებათა დარიგების დღიდან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მოხსენებანი კერძო ხარჯთაღრიცხვათა პროექტების შესახებ დამფუძნებელი კრების წევრებს დაბეჭდვისთანავე ურიგდება.

§ 56. პირველად უნდა განხილულ იქნეს ხარჯთაღრიცხვის პროექტის ძირითადი საფუძვლები (პირველი განხილვა). ამის შემდეგ უნდა გადაწყდეს კენჭის ყრით საკითხი მუხლობრივ განხილვაზე გადასვლის შესახებ.

§ 57. ყოველი შესწორება შემოსავალ-გასავლის კანონპროექტში შესატანად უნდა წარედგინოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს არა უგვიანეს პირველი განხილვის დამთავრებისა. პრეზიდიუმი ამ შესწორებებს გადასცემს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას სათანადო დასკვნის წარმოსადგენად და მეორედ განხილვამდე ერთი დღით მაინც ადრე დაუგზავნის ყველა წევრს კომისიის დასკვნითურთ.

§ 58. არა უადრეს 7 დღისა პირველი განხილვის შემდეგ უნდა მოხდეს მეორე განხილვა, რომლის მიზანია შემოსავალ-გასავალის ცალ-ცალკე მუხლების განხილვა. თუ მუხლს თან ახლავს როგორც შემოსავლის, ისე გასავალის ნუსხა, პირვე-

ლად უნდა განხილულ იქნეს და კენჭი ეყაროს გასავლის პროექტს.

§ 59. ხარჯთაღრიცხვის პროექტის განხილვა სწარმოებს ერთის მხრივ ნომერთა რიგის მიხედვით და მეორე მხრივ ნომერთა იმ ჯგუფების მიხედვით, რომელნიც წარმოადგენენ ცალკე უწყებათა საფინანსო ხარჯების ნუსხას.

პირველად უნდა განხილულ იქნეს მთელი უწყების საფინანსო ხარჯთაღრიცხვის საზოგადო საფუძვლები, შემდეგ-კი ხარჯთაღრიცხვის პროექტის ცალ-ცალკე მუხლები.

§ 60. შემოსავალის პროექტის განხილვის დროსაც პირველად უნდა მოხდეს მსჯელობა პროექტის საზოგადო საფუძვლის თაობაზე, შემდეგ კი მისი თვითეული პარაგრაფის გამო ცალ-ცალკე.

§ 61. როგორც გასავალის თვითეულ ნომერს, ისე შემოსავალის თვითეულ მუხლს ცალ-ცალკე უნდა ეყაროს კენჭი.

§ 62. წარმოდგენილი შესწორება და კომისიის დასკვნა უნდა მოხსენდეს დამფუძნებელ კრებას იმ დროს, როდესაც სათანადო ნომრის ან ნომერთა ჯგუფის (მუხ. 55) განხილვა დაიწყება, ამ დროს ახალი შესწორების შეტანა არ შეიძლება.

§ 63. როდესაც შემოსავალ-გასავალის ყველა მუხლის კენჭის ყრა დამთავრდება, საბიუჯეტო კომისია წარუდგენს დამფუძნებელ კრებას შემოსავალ-გასავალის შესწორებულ პროექტს, რომელიც შედგენილი უნდა იქნეს თანახმად დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული შესწორებებისა და ცვლილებებისა. ამის შემდეგ კენჭი უნდა ეყაროს შემოსავალ-გასავალის კანონპროექტის თვითეულ მუხლს ცალ-ცალკე, შემდეგ კანონპროექტს მთლიანად.

§ 64. თუ შესწორება აღნიშნულ ვადაზე გვიან არის შეტანილი და საბიუჯეტო კომისიის მომხსენებელმა თავის დასკვნა ვერ წარმოადგინა, დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოს, სტოვებს შესწორებას განუხილველად, თუ შესწორების განხილვა გადააქვს იმ დროისთვის, როდესაც საბიუჯეტო კომისია თავის დასკვნას წარმოადგენს.

ამ დადგენილების გამოტანის წინ სიტყვა მიეცემა მხოლოდ შესწორების ავტორსა და საბიუჯეტო კომისიის მომხსენებელს.

ნაწილი მესამე

დეკრეტების განხილვის წესი.

§ 65. ყოველი წინადადება დეკრეტების, ინსტრუქციის და დადგენილების პროექტის სახით, შეტანილი დამფუძნებელ კრებაში, შეიძლება გადაეცეს სათანადო კომისიას კრების საგანგებო დადგენილებით თვითეულ შემთხვევაში. დამფუძნებელ კრებას შეუძლია კომისიაში გადაუცემლადაც განიხილოს ასეთი წინადადება.

ამ მუხლში აღნიშნული წინადადება უნდა დაურიგდეს დამფუძნებელი კრების წევრებს 24 საათით მაინც ადრე იმ კრების გახსნამდე, რომელზედაც განზრახულია მისი განხილვა.

§ 66. დეკრეტი, ინსტრუქცია და დადგენილება უნდა განხილულ იქნეს ჯერ საზოგადოდ და შემდეგ მუხლობრივ. საზოგადო და მუხლობრივი განხილვის შუა ინტერვალი სავალდებულო არ არის.

§ 67. დეკრეტი, ინსტრუქცია და დადგენილება გადაეცემა სარედაქციო კომისიას თანახმად ამ რეგლამენტის მე-52 მუხლისა.

სარედაქციო კომისია ვალდებულია საბოლოო ტექსტი წარმოადგინოს იმავე ან შემდეგ სხდომაზე.

§ 68. უკეთუ დეკრეტი საკანონმდებლო ნორმას შეიცავს, დამფუძნებელ კრებას შეუძლია დაადგინოს მისი განხილვა საკანონმდებლო წესით თანახმად ამა რეგლამენტის მეოთხე თავის პირველ ნაწილისა.

ნაწილი მეოთხე

წესი ისეთი საქმის განხილვისა, რომელსაც საკანონმდებლო ხასიათი არა აქვს.

§ 69. იმ საქმეს, რომელსაც საკანონმდებლო ხასიათი არა აქვს, სამჯერ განხილვის წესი არ შეეხება.

§ 70. დამფუძნებელი კრების წევრმა მთავრობის მიმართ შეკითხვა წერილობით უნდა შეიტანოს სხდომის დაწყებამდე. თავმჯდომარე ამ შეკითხვას მოახსენებს დამფუძნებელ კრებას

სხდომის დასასრულს და პირველ სიტყვას შემკითხველს აძლევს.

§ 71. მთავრობა შეტანილ შეკითხვას პასუხს გასცემს ან დაუყოვნებლივ, ან ერთ-ერთ მახლობელ სხდომაზე, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს ერთი კვირისა დღიდან შეკითხვის გამოცხადებისა დამფუძნებელი კრების სხდომაზე.

§ 72. თუ შემკითხველს შეკითხვა სასწრაფოდ მიაჩნია, რაც თვით შეკითხვის ტექსტში უნდა იყოს აღნიშნული და დამფუძნებელმა კრებამაც დაადასტურა, მთავრობამ პასუხი უნდა გასცეს არა უგვიანეს სამი დღისა შეკითხვის დამფუძნებელ კრებაში განცხადების შემდეგ. სასწრაფოა შეკითხვა თუ არა, ამის გამოსარკვევად სიტყვა ეძლევა ორს: ერთს — მომხრეს, ერთ — მოწინააღმდეგეს, თითოს არ უმეტეს ათის წუთისა.

§ 73. შეკითხვის განსახილველად დამფუძნებელ კრებას შეუძლია განსაკუთრებული სხდომა დანიშნოს; მაშინ ყოველი შეკითხვის განხილვა გადაიდება ამ სხდომისათვის.

§ 74. შეკითხვის გარდა დამფუძნებელი კრების წევრს შეუძლია მთავრობას მიმართოს კითხვის ამა თუ იმ საგნის განსამარტებლად. განსამარტებელი საკითხი სხდომის დაწყებამდე წერილობით უნდა ეცნობოს თავმჯდომარეს, რომელიც მას მოახსენებს დამფუძნებელ კრებას და სხდომის დასასრულს სიტყვას აძლევს ავტორს მხოლოდ კითხვის დასასმელად მთავრობის მიმართ. ამ სიტყვის ვადა განისაზღვრება 5 წუთით.

კითხვის საპასუხოდ მთავრობა მისცემს განმარტებას ან დაუყოვნებლივ ან შემდეგ სხდომაზე.

კითხვის დასმის და მთავრობის განმარტების პასუხის გამო დამფუძნებელი კრება კამათს არ მართვს და არც დადგენილება გამოაქვს.

§ 75. ცნობა დამფუძნებელი კრების წევრის დროებით გადაყენებისა, სრულიად განთავისუფლებისა, ან მისი დატუსაღების შესახებ და სხვა. თავმჯდომარემ დაუყოვნებლივ უნდა მოახსენოს დამფუძნებელ კრებას მახლობელ სხდომაზე.

თ ა ვ ი ნ.

დამფუძნებელი კრების სხდომის წესი

ნაწილი პირველი

სხდომის დანიშვნა, გახსნა, შეწყვეტა და დახურვა

§ 76. დამფუძნებელი კრების სხდომათა დღეებსა და საათებს თვით დამფუძნებელი კრება დანიშნავს.

ყოველი სხდომის დასასრულს დამფუძნებელი კრება ამტკიცებს შემდეგი სხდომის დღიურ წესრიგს.

§ 77. თუ თავმჯდომარემ სასწრაფო სხდომა დანიშნა, დამფუძნებელი კრების წევრებს უნდა ეცნობოს ეს უწყებით, რომელშიაც აღნიშნული იქნება სხდომის საგანი.

§ 78. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს შეუძლია, თუ საჭიროება მოითხოვს, წესრიგში ახალი საქმეები შეიტანოს, რაც დამატებითი უწყებით უნდა ეცნობოს დამფუძნებელი კრების წევრებს.

§ 79. თუ ნახევარი საათის განმავლობაში, სხდომისათვის დანიშნულ დროს შემდეგ, დამფუძნებელი კრების ორმოცდაათ (50) წევრზე ნაკლები შეგროვდა, თავმჯდომარე აცხადებს, რომ კრება არ შესდგა.

§ 80. დამსწრე წევრთა რიცხვის გამორკვევა თავმჯდომარის საქმეა.

§ 81. თუ სხდომის დროს წევრთა საკმაო რიცხვი არ აღმოჩნდება (მუხ. 79) თავმჯდომარეს უფლება აქვს ან დახუროს სხდომა, ან ცოტა ხნით შესწყვიტოს. თუ სხდომის შეწყვეტის შემდეგაც წევრთა საკმაო რიცხვი არ აღმოჩნდა, სხდომა დაიხურება.

§ 82. სხდომის შეწყვეტა თავმჯდომარის საქმეა. თუ წინადადება სხდომის შეწყვეტისათვის დამფუძნებელი კრების წევრმა შეიტანა, თავმჯდომარე ამ წინადადებას კენჭს უყრის ეკამათოდ.

§ 83. სხდომა დაიხურება ან დანიშნულ დროზე, ან განსახილველად დასმულ ყველა საკითხის განხილვის შემდეგ; ზოგიერთ შემთხვევაში კი (მუხ. 81 და 114) თვით თავმჯდო-

მარის განკარგულებით სხდომის უფრო ადრე დახურვა შეიძლება დამფუძნებელი კრების დადგენილებით; დამფუძნებელ კრებას შეუძლიან დანიშნულ ვადის შემდეგაც განაგრძოს სხდომა.

ნაწილი მეორე

საქმეთა განხილვის წესი

§ 84. სხდომის გახსნისთანავე თავმჯდომარე მოახსენებს კრებას ყველა შემოსულ საქმეს და აგრეთვე მოქალაქეთაგან ან საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციათაგან შემოტანილ განცხადებებსა, რეზოლუციებსა და სხვ. საკითხი იმისი, თუ რა მიმართულება უნდა მიეცეს შემოსულ საქმეებს, უნდა გადაწყდეს დღიურ წესრიგზე გადასვლამდე. ამ საგანზე ორატორების სიტყვა განისაზღვრება 5 წუთით.

§ 85. დამფუძნებელ კრებაში ყოველსაირი წინადადება უნდა შეტანილ იქნეს წერილობით.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ მუხლში (85) აღნიშნული წესი არ შეეხება ისეთ წინადადებას, რომელიც უკამათოდ გადასწყდება.

§ 86. სანამ განსახილველად დასმული საკითხი გადაწყვეტილი არ არის, სხვა საკითხების წამოყენება არ შეიძლება, თუ თვით დამფუძნებელმა კრებამ ამის თაობაზე განსაკუთრებული დადგენილება არ გამოიტანა. კამათის შესაჩერებლად და სხვა საკითხზე გადასასვლელად საჭიროა დამფუძნებელი კრების განსაკუთრებული კრების განსაკუთრებული დადგენილება. ამის გამოსარკვევად სიტყვა ეძლევა: ერთს მომხრეს, ერთს მოწინააღმდეგეს, თითოს არა უმეტეს 5 წუთისა.

§ 87. დამფუძნებელი კრების სხდომას შეუძლიან [illegible] ნოს, რომ საკითხი, არსებითად გადაწყვეტამდე, ამა თუ [illegible] კომისიას გადაეცეს. ამის გამო სიტყვა ეძლევა: ერთს მო[illegible]რეს, ერთს მოწინააღმდეგეს — თითოს არა უმეტეს 5 წუთისა.

§ 88. განსახილველად დანიშნული რომელიმე საკითხის გადადების ან შეცვლის წინადადება უნდა შეტანილ იქნეს მორიგ საკითხზე გადასვლის წინ. ამ წინადადების გამო სიტყვა

ეძლევა ერთს მომხრეს, ერთს მოწინააღმდეგეს — თითოს არა უმეტეს 5 წუთისა.

§ 89. თუ დამფუძნებელი კრების წევრსა ჰსურს შეიტანოს რიგს გარეშე ისეთი განცხადება, რომლის გამო რაიმე დადგენილების გამოტანა საჭირო არ არის, ეს წერილობით უნდა განუცხადოს თავმჯდომარეს, რომელზედაც დამოკიდებულია სათანადო ნებართვის მიცემა. ამ განცხადებისათვის დამფუძნებელი კრების წევრს 10 წუთი მიეცემა და კამათი ამ საგანზე არ შეიძლება.

§ 90. სანამ დამფუძნებელი კრება საკითხის განხილვას შეუდგებოდეს, შეიძლება წინასწარი საკითხის აღძვრა, რომ დამფუძნებელმა კრებამ სრულიად არ მიიღოს ეს საკითხი განსახილველად. ამ წინადადების გამო სიტყვა ეძლევა ერთს მომხრეს, ერთს მოწინააღმდეგეს.

§ 91. არ შეიძლება არსებითად გადაწყვეტა არც ერთი ისეთი საკითხისა, რომელიც დღიურ წესრიგში არ არის აღნიშნული.

ეს შენიშვნა არ შეეხება საქმეთა განხილვის წესს და აგრეთვე ისეთ საკითხებს, რომელთათვისაც ამ რეგლამენტში განსაკუთრებული წესი არის ნაჩვენები.

§ 92. როდესაც მთავრობის წევრი განმარტებას მოახსენებს დამფუძნებელი კრების წევრთა შეკითხვის გამო, ან თითონ შემოაქვს განცხადება, რომელიც დამფუძნებელ კრებაში დასმულ საკითხს არ შეეხება, თავმჯდომარე წინადადებას აძლევს დამფუძნებელ კრებას გადასწყვიტოს, ჰსურს განმარტებათა და განცხადებათა განხილვას დაუყოვნებლივ შეუდგეს, თუ ამ განხილვას გადასდებს შემდეგი სხდომისათვის. ამ საკითხს დამფუძნებელი კრება უკამათოდ სწყვეტს.

§ 93. სხდომის დახურვის წინ თავმჯდომარე მოახსენებს კრებას იმ დღეს შეტანილ ყველა საქმეს და განცხადებას, რომელიც დამფუძნებელ კრების, პრეზიდიუმის ან რეგლამენტის მიერ განსაზღვრულ ვადამდე შემოსულა, და წარუდგენს კრებას შემდეგი სხდომის წესრიგს დასამტკიცებლად.

ნაწილი მესამე

მსჯელობის წესი

§ 94. თავმჯდომარე სხდომას ხელმძღვანელობს. არავის შეუძლიან თავმჯდომარეს სიტყვა შეუბრუნოს მისი შენიშვნისა და განმარტების გამო. არავის შეუძლიან სიტყვის წარმოთქმა თავმჯდომარის ნებადაურთველად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: წერილობითი პროტესტები თავმჯდომარის მოქმედების გამო სხდომის ჟურნალში ჩაეკერება გამოუქვეყნებლივ.

§ 95. სიტყვის მისაღებად განცხადება უნდა შეტანილ იქნეს იმ საგანზე გადასვლის შემდეგ, რომლისათვის სიტყვას თხოულობენ. პირველი სიტყვის წარმოთქმამდე დამფუძნებელი კრების წევრს არ შეუძლიან მეორედ მოითხოვოს სიტყვა.

§ 96. თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ორატორებს რიგით, თანახმად წარდგენილი განცხადებისა.

§ 97. მთავრობის წევრებს სიტყვა რიგს გარეშე მიეცემათ.

§ 98. მომხსენებლის გარდა არავის შეუძლიან ილაპარაკოს საათზე მეტი. დამფუძნებელ კრებას შეუძლიან უკამათოდ მიიღოს დადგენილება ორატორის სიტყვის გაგრძელების თაობაზე.

§ 99. ყოველ ორატორს, გარდა მომხსენებლისა, ერთსა და იმავე საგანზე შეუძლიან ილაპარაკოს მხოლოდ ორჯერ.

ეს შეზღუდვა არ შეეხება იმ სიტყვას, რომელიც წარმოითქმის კამათის შეწყვეტის შემდეგ. (მუხ. 120).

§ 100. როდესაც დამფუძნებელი კრების წევრი სიტყვას თხოულობს ისეთი საკითხის გამო, რომლის შესახებაც კამათი რეგლამენტით შეზღუდულია, განცხადებაში უნდა აღინიშნოს, სიტყვის მთხოვნელი მომხრეა თუ წინააღმდეგი განსახილველი წინადადებისა. თუ ეს აღნიშნული არ არის, განცხადება უყურადღებოდ იქნება დატოვებული.

§ 101. თუ მე-100 მუხლში აღნიშნულ სიტყვას თხოულობს ორატორთა მეტი რიცხვი ვიდრე რეგლამენტითაა განსაზღვრული, სიტყვა იმას ეძლევა, ვინც პირველად წარუდგინა განცხადება თავმჯდომარეს. ამ რიცხვში აუცილებლად უნდა შეტანილ იქნეს განსახილველი წინადადების ავტორი.

§ 102. კომისიის მომხსენებელსა და განსახილველ წინადადების ავტორს რიგს გარეშე ეძლევა სიტყვა, მაგრამ ისე კი, რომ არ შესწყდეს ლაპარაკი იმ ორატორისა, რომელსაც უკვე მიღებული აქვს სიტყვა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ სიტყვას მომხსენებელი და განცხადების ავტორი ერთად თხოულობენ, მათში პირველი სიტყვა მომხსენებელს ეკუთვნის.

§ 103. ყოველ წევრს შეუძლიან რიგს გარეშე მიიღოს სიტყვა რეგლამენტის დარღვევის გამო. ამ შემთხვევაში ორატორს 5 წუთი ეძლევა და კამათი არ სწარმოებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ ამ განცხადების შემდეგ თავმჯდომარემ თავისი განმარტება წარუდგინა დამფუძნებელ კრებას, ახალი განცხადების შეტანა იმავე საკითხის გამო აღარ შეიძლება.

§ 104. პირადი საკითხისათვის სიტყვა უნდა მიეცეს იმავე სხდომაზე, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როცა განსახილველად დასმულ საგანზე კამათი შესწყდება. ამ შემთხვევაში ორატორს 5 წუთი ეძლევა და კამათი არ სწარმოებს.

§ 105. თუ დამფუძნებელი კრების წევრი დარბაზში არ აღმოჩნდა, მაშინ როდესაც მისი სიტყვის წარმოთქმის რიგი მოვა, მისი გვარი გადატანილ იქნება ორატორთა სიის ბოლოს. თუ მეორედაც არ აღმოჩნდა დარბაზში, სიტყვის უფლებას ჰკარგავს.

§ 106. წევრებს შეუძლიანთ ერთმანეთს შეუცვალონ რიგი ან დაუთმონ სიტყვა იმას, ვისაც სიტყვა აღებული არა აქვს.

§ 107. თუ თავმჯდომარესა ჰსურს განსახილველად დასმული საკითხის გამო სიტყვის წარმოთქმა რიგში ჩაეწერება და თავისი სიტყვის წარმოთქმის დროს თავმჯდომარეობას სხვას დაუთმობს.

§ 108. ორატორი სიტყვას ტრიბუნიდან წარმოსთქვამს.

§ 109. თუ ორატორმა საგანს გადაუხვია, თავმჯდომარე წინადადებას აძლევს საკითხს დაუბრუნდეს.

§ 110. თუ ორატორი თავმჯდომარეს არ ემორჩილება, შეურაცხმყოფელ, უკმეხ ან საზოგადოდ დამფუძნებელი კრების ღირსების შეუფერებელ სიტყვებსა ხმარობს, თავმჯდომარეს შეუძლიან შემდეგი ზომები მიიღოს: მოუწოდოს წესიერები-

სადმი, მისცეს შენიშვნა, ჩამოართვას სიტყვა და ან წინადადება მისცეს დამფუძნებელ კრებას, რომ ასეთი წევრი ერთის, ორის ან სამის სხდომიდან დაითხოვოს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სიტყვა-ჩამორთმეულ ორატორს იმ საგანზე სიტყვა აღარ მიეცემა იმავე სხდომაზე.

§ 111. თუ დამფუძნებელი კრების წევრი წესიერებას არღვევს, თავმჯდომარეს შეუძლიან: მოსთხოვოს დაიცვას წესიერება, მისცეს შენიშვნა, ან წინადადებით მიმართოს დამფუძნებელ კრებას, დაითხოვოს იგი სხდომიდან.

§ 112. მე-110 და მე-111 მუხლში აღნიშნულ წინადადებებს კენჭი უნდა ეყაროს უკამათოდ. კენჭის ყრამდე წესიერების დამრღვევ წევრს შეუძლიან პირადად ან დამფუძნებელი კრების რომელიმე სხვა წევრის პირით კრებას თავისი განმარტება წარუდგინოს. ამნაირი განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ ერთხელ. ამ შემთხვევაში სიტყვისათვის ორატორს 10 წუთი ეძლევა.

§ 113. თუ დარბაზში ხმაურობა ატყდა, ან უწესობა დაიწყო და თავმჯდომარემ მისი შეჩერება ვერ მოახერხა, მაშინ იგი თავის ადგილს სტოვებს და სხდომა ნახევარი საათით შეწყვეტილად ჩაითვლება. თუ სხდომის განახლების შემდეგაც ხმაურობა და უწესოება გაგრძელდა, თავმჯდომარე სხდომას დაჩურულად აცხადებს.

ნაწილი მეოთხე

მსჯელობის შემოკლება და შეწყვეტა

§ 114. მომხსენებლის სიტყვის შემდეგ იწყება კამათი. წინადადებანი ორატორთა სიის დახურვისა, სიტყვის დროს განსაზღვრისა, კამათი სრული ან ნაწილობრივი შეწყვეტისათვის შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ კამათის დაწყების შემდეგ. აღნიშნულ წინადადებათა გამო სიტყვა ეძლევა ერთს მომხრეს, ერთს მოწინააღმდეგეს, თითოს არა უმეტეს 5 წუთისა.

§ 115. ათს წუთზე ნაკლები ვადით არ შეიძლება ორატორის სიტყვის შეზღუდვა.

§ 116. თავმჯდომარე მოვალეა გამოაცხადოს სია ჩაწერილ ორატორებისა, თუ ამას მოითხოვს რომელიმე წევრი კამათის დროს მსჯელობის შემოკლების ან შეწყვეტის გამო.

§ 117. კამათის ნაწილობრივი შეწყვეტის შემდეგ დამფუძნებელი კრება განსაზღვრავს, ჩაწერილ ორატორთაგან რამდენს მიეცეს სიტყვა, ამ ორატორებს ასახელებს თავმჯდომარე მთელი სიიდან, ხოლო მათ შეუძლიანთ თავიანთი სიტყვა სხვას დაუთმონ.

§ 118. სანამ თავმჯდომარე კენჭს უყრიდეს საკითხს კამათის ნაწილობრივი შეწყვეტის შესახებ, სხდომა უნდა დროებით შესწყდეს თუ ამას მოითხოვს დამფუძნებელი კრების არა ნაკლებ ხუთი წევრისა.

§ 119. მე-114 მუხლში აღნიშნული წინადადებანი უარყოფილად ჩაითვლება, თუ მათ წინააღმდეგ თორმეტმა ან მეტმა წევრმა მისცა ხმა.

§ 120. როდესაც ორატორთა სია დასრულდება, ან დამფუძნებელი კრება დაადგენს კამათის სრულს შეწყვეტას, თავმჯდომარე კამათს დასრულებულად აცხადებს.

ამის შემდეგ სიტყვა მიეცემა კომისიის მომხსენებელს, განსახილველი წინადადებისა და განსაკუთრებული აზრის ავტორებს, თუ უკანასკნელნი მოისურვებენ; სიტყვა მიეცემათ აგრეთვე იმათ, ვინც პირადი საკითხის ან ხმის მიცემის მოტივების გამო არიან ჩაწერილნი.

§ 121. თუ კამათის შეწყვეტის ან შემოკლების შემდეგ მთავრობის წარმომადგენელმა სიტყვა წარმოსთქვა, ორატორთა ჩაწერა უნდა განახლდეს და წინად მიღებული ზომები კამათის შეზღუდვის ან შეწყვეტისათვის გაუქმებულად ითვლება.

ამის შემდეგ მსჯელობის შეზღუდვა ან შეწყვეტა შეიძლება მხოლოდ ახალი დადგენილების ძალით (120).

ნაწილი მეხუთე

კითხვის დასმა

§ 122. კამათის დასრულების შემდეგ (მუხ. 121) თავმჯდომარე შეუდგება კენჭის ყრას, რაც წევრებს უნდა ეცნობოს ზარით დამფუძნებელი კრების შენობაში ყველგან.

§ 123. წინადადების ავტორს შეუძლიან უკან წაიღოს თავისი წინადადება, სანამ დამფუძნებელი კრება მის შესახებ დადგენილებას გამოიტანდეს, და თუ ვინმე სხვა წევრმა არ მოითხოვა მისი გადაკრა, წინადადება მოხსნილად ჩაითვლება.

თუ წინადადება რაოდენისამე წევრის ხელმოწერით არის შეტანილი, მისი უკან წაღების უფლება აქვს პირველ სამს ხელისმომწერთაგანს სათითაოდ.

§ 124. კამათის დასრულებულად გამოცხადების შემდეგ (მუხ. 121) ახალი წინადადების წარდგენა აღარ შეიძლება.

კენჭის ყრის დაწყებამდე თავმჯდომარე აცხადებს, რა-დარა წინადადებას უნდა ეყაროს კენჭი.

სიტყვიერად წარდგენილ წინადადებას, გარდა მე-85 მუხ. შენიშვნაში აღნიშნულისა, კენჭი არ შეიძლება ეყაროს.

§ 125. წინადადებათა წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, თუ რა წესით უყრის მათ კენჭს.

§ 126. დამფუძნებელი კრების ყოველ წევრს შეუძლია კითხვის დასმის გამო თავისი მოსაზრებანი წარადგინოს. ამისთვის მას ხუთი წუთი ეძლევა.

§ 127. კითხვათა დასმის რიგი დამოკიდებულია თავმჯდომარეზე, რომელიც ქვემოდ აღნიშნულ მუხლებით (მუხ. 129) იხელმძღვანელებს.

§ 128. თავმჯდომარემ საკითხი ისე უნდა დასვას, რომ პასუხის გაცემა შეიძლებოდეს ან „ჰო"-თი, ან „არა"-თი.

§ 129. თვითეული წევრის მოთხოვნით ყოველი დასკვნა, მუხლი, წინადადება და რეზოლუცია უნდა დანაწილებულ იქნეს. თუ თავმჯდომარე ჰხედავს, რომ ასეთი დანაწილებით გრამატიკული აზრი იკარგება, ან დანაწილება მუხლისა შეუძლებელია, იგი ამ საკითხის გადასაწყვეტად მიჰმართავს დამფუძნებელ კრებას რომელიც უკამათოდ დაადგენს განაწილდეს მუხლი, ან წინადადება თუ არა.

§ 130. როცა დასკვნას, მუხლს, წინადადებას ან რეზოლუციას ნაწილ-ნაწილად ეყრება კენჭი (მუხ. 129), შემდეგ მთლიანადაც უნდა ეყაროს კენჭი, უარყოფილი ნაწილების გამოკლებით.

§ 131. წინასწარ საკითხს: ჰსურს თუ არა დამფუძნებელ კრებას მიღებულ იქნეს წინადადება განსახილველად, ყოველთვის პირველად უნდა ეყაროს კენჭი (მუხ. 90).

§ 132 წინადადებას, რომელიც შეეხება საქმის მიმართულების მიცემას და გადადებას, კომისიაში დაბრუნებას, დამატებითი ცნობის მოთხოვნას და სხვ., კენჭი უნდა ეყაროს უფრო ადრე, ვიდრე თვით საკითხს არსებითად.

§ 133. როდესაც კითხვა რიცხვებს შეეხება, კენჭის ყრა უმცირესი რიცხვიდან იწყება.

§ 134. სხდომის ან საქმის განხილვის ვადის განსაზღვრის დროს კენჭი ჯერ შორეულ ვადას უნდა ეყაროს, შემდეგ მახლობელს.

§ 135. ყოველ წინადადებას, აწ კანონპროექტს, რომელიც კომისიის მიერ არის შემოტანილი, კენჭი უნდა ეყაროს იმ სახით, როგორც კომისიას წარმოუდგენია.

§ 136. თუ კომისიას შემოუტანია დასკვნა ამა თუ იმ წინადადების ან კანონპროექტის უარყოფისა, კენჭი უნდა ეყაროს არა კომისიის დასკვნას, არამედ თვით კანონპროექტს, ან წინადადებას.

§ 137. დამფუძნებელი კრების წევრების რწმუნებულებათა შემოწმების დროს ჯერ კენჭი უნდა ეყაროს საკითხს, კანონიერია თუ უკანონო არჩევნები, ხოლო შემდეგ ამისა საკითხს, მიღებულ თუ უარყოფილ იქნეს თვით არჩევნები, თანახმად სამანდატო კომისიის მოხსენებისა.

§ 138. შესწორებას და დამატებას კენჭი უნდა ეყაროს იმ მუხლზე ადრე, რომელსაც ეს შესწორება ან დამატება შეეხება.

§ 139. შესწორებას, ან დამატებას, რომელსაც წინადადების ავტორი ან მომხსენებელი დაეთანხმება, კენჭი უნდა ეყაროს არა ცალკე, არამედ იმ წინადადებასთან ერთად, რომელსაც ეკუთვნის.

§ 140. თუ წარმოდგენილია რამდენიმე შესწორება, ჯერ კენჭი უნდა ეყაროს იმას, რომელიც ძირითად წინადადებასთან უფრო დაშორებულია. თუ ასეთი განსხვავება არ არსებობს, პირველად უნდა ეყაროს კენჭი უფრო ადრე წარმოდგენილ წინადადებას.

§ 141. ცალკე საკითხებისა და შესწორებათა კენჭის ყრის შემდეგ განსაკუთრებულად უნდა ეყაროს კენჭი მთელ მუხლს, ან წინადადებას მიღებული შესწორებით.

§ 142. თუ რამდენიმე დამოუკიდებელი და ერთი მეორის

უარის მყოფელი წინადადებაა შემოტანილი, თავმჯდომარე ჯერ კენჭს უყრის უფრო ადრე წარმოდგენილს, შემდეგ კი სხვებს. თუ დამფუძნებელი კრების წევრმა განაცხადა, რომ ამა თუ იმ წინადადებას პირველად უნდა ეყაროს კენჭი, ეს საკითხი დამფუძნებელმა კრებამ კენჭის ყრით უნდა გადასწყვიტოს. ამ საკითხის გამოსარკვევად სიტყვა მიეცემა ერთს მომხრეს, ერთს მოწინააღმდეგეს, თითოს არა უმეტეს 5 წუთისა.

§ 143. კანონპროექტს ან ამა თუ იმ წინადადებას კენჭის ყრის დროს არ შეიძლება დართული ჰქონდეს მოტივები მიღებისა, ან უარყოფისა.

§ 144. მორიგ საკითხებზე გადასასვლელ ფორმულის კენჭის ყრის დროს, უბრალო გადასვლას დასაბუთებულზე ადრე უნდა ეყაროს კენჭი.

§ 145. თუ მორიგ საკითხზე გადასასვლელი რამდენიმე მოტივებიანი ფორმულა არის წარმოდგენილი, თავმჯდომარე კენჭს უყრის თანახმად მე-142 მუხ. აღნიშნული წესისა.

§ 146. ერთი რომელიმე ფორმულის მიღების შემდეგ დანარჩენებს კენჭი აღარ უნდა ეყაროს.

§ 147. თუ მორიგ საკითხზე გადასვლის არც ერთი წარმოდგენილი ფორმულა მიღებული არ იქნა, თავმჯდომარე საკითხს დასრულებულად აცხადებს და შემდეგს საკითხზე გადადის.

ნაწილი მეექვსე

კენჭის ყრის წესი

§ 148. დამფუძნებელი კრების წევრი მხოლოდ თავის ხმას წმლევს. სხვის მაგიერად ხმის მიცემა არ შეიძლება.

§ 149. რეგლამენტში აღნიშნულ შემთხვევის გარდა კენჭის ყრა მოხდება ახდილად.

§ 150. ახდილი კენჭის ყრის დროს თვითეულ წევრს შეუძლიან ხუთი წუთი ილაპარაკოს ხმის მიცემის მოტივების განსამარტებლად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ საკითხი უკამათოდ სწყდება, ხმის მიცემის მოტივების გამო სიტყვა არავის მიეცემა (მუხ. 83, 99, 130, 152 (შენ.) და 153).

§ 151. ახდილი კენჭის ყრა მოხდება ხელის აწევით, თუ შედეგი გამოურკვეველია, თავმჯდომარეს შეუძლიან კენჭის ყრა გაიმეოროს. ხმებსა სთვლიან ქვესტორი და მისი თანაშემწენი თავმჯდომარის მეთვალყურეობით.

§ 152. თუ კენჭის ყრის შედეგები ეჭვებს გამოიწვევს, ხმის მიცემა ხდება კარებში გასვლით. ამ წესს თავმჯდომარე მიმართავს ან თავისი სურვილით, ან დამფუძნებელი კრების განცხადებით, თუ ამნაირი განცხადების მომხრე აღმოჩნდა არა ნაკლებ თორმეტი წევრისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ მუხლში აღნიშნული საკითხის გამო კამათი არ იმართება.

§ 153. ამ შემთხვევაში წინადადების მომხრენი ერთ კარში გადიან, მოწინააღმდეგენი მეორეში. ხმებსა სთვლიან ქვესტორი და მისი თანაშემწენი თავმჯდომარის მეთვალყურეობით.

§ 154. ახდილი კენჭის ყრის დროს, როდესაც კენჭის ყრა სახელობით სწარმოებს, დამფუძნებელი კრების თვითეულ წევრს უფლება აქვს დამფუძნებელი კრების მდივანს წარუდგინოს წერილობითი განმარტება იმისა, თუ რა მოტივებით არ ეთანხმება უმრავლესობას. ასეთი განცხადება დამფუძნებელი კრების სხდომას არ მოხსენდება და პირდაპირ სხდომის სტენოგრაფიულ ანგარიშში უნდა მოთავსდეს.

§ 155. კენჭის ყრის დაწყებამდე დამფუძნებელი კრების წევრს შეუძლიან წერილობით მოითხოვოს, რომ კენჭის ყრა სახელობით მოხდეს. ამ წინადადებას კენჭი უნდა ეყაროს უკამათოდ.

§ 156. სახელობით კენჭის ყრა ხდება ბარათებით, რომელშიაც ხმის მიმცემის გვარი და სახელი უნდა იყოს აღნიშნული.

§ 157. ფარული ხმის მიცემით უნდა მოხდეს თანამდებობის პირთა არჩევანი, არჩევნების დამტკიცება, ან გაუქმება და აგრეთვე გადასწყდეს საკითხი დამფუძნებელი კრების რომელისამე წევრის სასარგებლოდ ხარჯის გაღებისა.

ამ შემთხვევაში ხმებსა სთვლიან მდივანი და მისი თანაშემწე, თავმჯდომარის მიერ ამისთვის საგანგებოდ მოწვეულ დამფუძნებელი კრების წევრებთან ერთად.

§ 158. ფარული კენჭის ყრის შემდეგ ხმები უნდა დაითვალოს დაუყოვნებლივ იმავე სხდომაზე.

§ 159. კრების კანონიერების გამორკვევის დროს მხედველობაში უნდა იყვნენ მიღებულნი დამფუძნებელი კრების ის წევრნიც, რომლებმაც ხმის მიცემის დროს თავი შეიკავეს.

თავი 6.

დამფუძნებელი კრების წევრთა პირადი მდგომარეობა

§ 160. წევრმა სესიაში სამუშაოდ ჩამოსვლისთანავე დამფუძნებელი კრების კანცელარიას უნდა მიაწოდოს თავისი მისამართი და სხვა საჭირო ცნობები.

§ 161. თუ დამფუძნებელი კრების წევრსა ჰსურს დროებით განთავისუფლება დამფუძნებელი კრების მუშაობიდან, წერილობითი განცხადება უნდა წარუდგინოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს, სადაც აღნიშნული იქნება, რა ვადით თხოულობს განთავისუფლებას.

თუ განცხადებაში ვადა აღნიშნული არ არის, ვადა ითვლება განცხადების მეორე დღიდან იმ დღემდე, როცა დაბრუნების შემდეგ სხდომაზე დამსწრეთა წიგნში პირველად მოაწერს ხელს.

§ 162. პრეზიდიუმი დამფუძნებელი კრების წევრს პასუხს შეუთვლის მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ განთავისუფლება შეუძლებლად მიაჩნია. თუ დამფუძნებელი კრების წევრმა განცხადების წარმოდგენის დღის განმავლობაში პრეზიდიუმისაგან ცნობა არ მიიღო, ეს იმის მომასწავებელია, რომ პრეზიდიუმს არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს დამფუძნებელი კრების წევრის განთავისუფლებისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ სხვა-და-სხვა მიზეზის გამო წევრი იძულებულია უეცრად წავიდეს, მაშინ იგი ვალდებულია განცხადება გამოუგზავნოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს სამი დღის განმავლობაში.

§ 163. წელიწადში ერთ თვეზე მეტის ვადით გაწთავისუფლების საკითხს სწყვეტს თვით დამფუძნებელი კრება.

ამისათვის თავმჯდომარის სახელზე წარდგენილი უნდა იქ-

ნეს წერილობითი განცხადება, რომელიც დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის დასკვნასთან ერთად დამფუძნებელი კრების სხდომას მოხსენდება გადასაწყვეტად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ავადმყოფობის გამო განთავისუფლება ამ ვადაში არ შედის.

§ 164. თუ დამფუძნებელი კრების წევრმა განთავისუფლება ვერ გამოიყენა, ან ვადაზე ადრე დაბრუნდა და ამის გამო არაფერი განაცხადა, განთავისუფლებულად ითვლება თანახმად მე-161 მუხლში აღნიშნული წესისა.

§ 165. დამფუძნებელი კრების წევრი, რომელიც განთავისუფლებული არ არის, მაგრამ დამფუძნებელი კრების სხდომებს პატივსადები მიზეზის გამო ვერ დაესწრო, (მუხ. 167) აღნიშნავს ამას სხდომაზე არა დამსწრე წევრთა სიაში.

ეს უნდა სიაში აღნიშნულ იქნეს არა უგვიანეს ერთი დღისა იმ თვის გათავების შემდეგ, რომლის განმავლობაშიაც წევრი სხდომას ვერ დაესწრო; წინააღმდეგ შემთხვევაში პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ წევრი დააკლდა სხდომას არა პატივსადები მიზეზის გამო.

თუ უკანასკნელი დღე კვირა-უქმე შეხვდა, მაშინ ვადის დასასრულად ითვლება კვირა-უქმის შემდეგი პირველი საქმის დღე.

თუ დამფუძნებელი კრების წევრს საშუალება არა აქვს პირადად აღნიშნოს წევრთა სიის წიგნში მიზეზი კრებაზე მოუსვლელობისა, შეუძლიან წერილობითი განცხადება წარუდგინოს ამის შესახებ თავმჯდომარეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ დამფუძნებელი კრების წევრს დაავიწყდა თავისი გვარის აღნიშვნა დამსწრეთა სიაში, განცხადება ამის თაობაზე თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს ამა 165 მუხლში აღნიშნულ ვადამდე.

§ 166. სხდომაზე დაუსწრებლობის პატივსადებ მიზეზად ითვლება: 1) ავადმყოფობა დამფუძნებელი კრების წევრისა; 2) სიკვდილი ან მძიმე ავადმყოფობა მისი ოჯახის წევრისა; 3) სამუშაო, რომელიც დამფუძნებელი კრების მოქმედებასთან არის დაკავშირებული, და 4) ისეთი პირადი საქმეები, რომელთა გადადება არ შეიძლება.

§ 167. სია იმ წევრებისა, რომელნიც სხდომებს ვერ ესწრებიან პატივსადებ ან არა პატივსადებ მიზეზებისა გამო, პეროიოდულად უნდა გამოცხადდეს.

§ 168. დამფუძნებელი კრების წევრს, რომელიც სხდომას დააკლდება არა პატივსადები მიზეზი გამო, უნდა გამოერიცხოს ყოველ გამოშვებულ სხდომისათვის ერთი მეოცდა-ათედი თვიური გასამრჯელოსი.

§ 169. დამფუძნებელი კრების წევრი, რომელიც ორი თვის განმავლობაში სრულიად არ დაესწრო სხდომას და არც არავითარი განმარტება წარმოადგინა ამის გამო, დამფუძნებელი კრების წევრობიდან გამორიცხულად ჩაითვლება და მის ადგილს მორიგი კანდიდატი დაიკერს.

§ 170. განცხადება წევრობაზე უარის თქმისა წარდგენილ უნდა იქნეს თავმჯდომარის სახელობაზე, რომელიც ამ განცხადებას დამფუძნებელი კრების სხდომას მოახსენებს. განცხადების უკან წაღება შეიძლება მხოლოდ იმ დრომდე, სანამ იგი დამფუძნებელი კრების სხდომას მოხსენდებოდეს.

§ 171. თუ აღნიშნული განცხადება პირადად არ არის წარდგენილი, ხელის მოწერა სათანადოდ უნდა იყოს შემოწმებული. უამისოდ განცხადებას მსვლელობა არ მიეცემა.

თ ა ვ ი 7.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

§ 172. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს შეადგენს: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, თავმჯდომარის ამხანაგები, დამფუძნებელი კრების მდივანი და მდივნის ამხანაგები.

§ 173. პრეზიდიუმის მოვალეობაა თვალყური ადევნოს დამფუძნებელი კრების მუშაობას, სახელდობრ:

1) მოახსენოს დამფუძნებელ კრებას თავისი მოსაზრება მუშაობის შესახებ და თანახმად ამ მოსაზრებისა წარუდგინოს დასამტკიცებლად დამფუძნებელი კრების სხდომის დღიური წესრიგი; 2) მისცეს დასკვნა რეგლამენტში აღნიშნულ საკითხებზე; 3) განსაზღვროს, თუ რა მიმართულება უნდა მიეცეს დამფუძნებელი კრების სახელობაზე შემოსულ ქაღალ-

დებს; 4) განაგოს მე-6 თავში აღნიშნული განთავისუფლების საკითხები და იმ წევრთა საქმეები, რომელნიც სხდომებს არ ესწრებიან; 5) განაგოს დამფუძნებელი კრების კანცელარიის მოსამსახურეთა მიღებისა, დათხოვნისა და სხვა საქმეები.

§ 174. პრეზიდიუმი შეიმუშავებს დამფუძნებელი კრების შინაგან წესრიგს ყოველ იმ შემთხვევისათვის, რომელიც განსაზღვრული არ არის რეგლამენტით, ან დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით და რომელიც რეგლამენტის ან დამფუძნებელი კრების დადგენილებით სხვა ორგანოს არა აქვს შინდობილი.

§ 175. პრეზიდიუმს უფლება აქვს ან საკუთარი ინიციატივით, ან დაინტერესებული მხრის განცხადებით გააუქმოს დამფუძნებელი კრების ყოველ ორგანოს ისეთი დადგენილება, რომელიც კანონს, რეგლამენტს, ან დამფუძნებელი კრების დადგენილებას ეწინააღმდეგება.

§ 176. მე-175 მუხლში აღნიშნულ დადგენილებათა გაუქმებამდე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს თავისი განმარტება წარუდგინოს პრეზიდიუმს.

§ 177. პრეზიდიუმს იწვევს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე. თავმჯდომარე მოვალეა მოიწვიოს პრეზიდიუმი, თუ მისმა ორმა წევრმა მოითხოვა.

§ 178. პრეზიდიუმის სხდომა კანონიერად ჩაითვლება, თუ დაესწრება არა ნაკლებ სამის წევრისა, მათ შორის დამფუძნებელი კრების მდივანი ან მისი ამხანაგი.

§ 179. პრეზიდიუმის მუშაობის ჟურნალის წარმოების წესრიგს თვით პრეზიდიუმი იმუშავებს.

თავი 8.

რეგლამენტის გადასინჯვის წესი

§ 180. რეგლამენტის შეცვლა, დამატება, ან გადასინჯვა სწარმოებს იმავე წესით, რომელიც მიღებულია საკანონმდებლო საქმეთათვის (თავი 4, ნაწ. 1).

დ ე კ რ ე ტ ი ;

დამფუძნებელ კრების წევრთა შეუვალობისა

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
მიერ 1919 წლის 9 მაისს

1. დამფუძნებელ კრების წევრი ხელშეუხებელია.

2. არ შეიძლება მისი პასუხისგებაში მიცემა იმ აზრისა და შეხედულობისათვის, რომელსაც იგი სიტყვით, ხმის მიცემითა ან სხვა გზით გამოსთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროს.

3. არც ადმინისტრაციას, არც სასამართლოს და არც სხვა უწყების მოხელეს არა აქვს უფლება პირადად დამფუძნებელ კრების წევრის ან მისის ნივთების გაჩხრეკისა.

4. დამფუძნებელ კრების წევრის ბინა შეიძლება გაჩხრეკილ იქნეს მხოლოდ სათანადო სასამართლოს დადგენილებითა და დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის ნებართვით.

5. დამფუძნებელ კრების წევრის დაპატიმრება და სამართალში მიცემა შეიძლება მხოლოდ დამფუძნებელ კრების დადგენილებით.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. უკეთუ დამფუძნებელ კრების წევრს ძძიმე დანაშაულის ჩადენის დროს მიასწრებენ, შეიძლება იგი დაპატიმრებულ იქნეს, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დამფუძნებელს კრებას.

6. დაპატიმრებული დამფუძნებელ კრების წევრი უნდა დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნეს, უკეთუ ამას დამფუძნებელი კრება დაადგენს.

7. დამფუძნებელ კრების წევრის დაპატიმრება და სამართალში მიცემა გადასწყდება დამფუძნებელ კრების სხდომაზე ხმის ორი მესამედის უმეტესობით.

8. ამ დეკრეტის დარღვევისათვის დამნაშავე დაისჯება საქართველოს პარლამენტის 1919 წლის იანვრის 31 კანონის 1, 11 და 12 მუხ. ძალით (იხ. „კანონთა და მთავრობის განკარგ-

კრებული“ 1919 წლის მარტის 12 № 5, კან. მე-37) აღნიშნულ სასჯელის გადიდებით ორის ხარისხით.

9. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდამ მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

ოჯახურ მდგომარეობისა გამო ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლებისა

საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 20 მაისის კანონი

1. ოჯახურ მდგომარეობისა გამო ჯარში გაწვევისაგან თავისუფლდება:

ა. ერთად-ერთი მარჩენელი ვაჟი შრომის უნარმოკლებულ მამისა ან ქვრივი დედისა.

ბ. ერთად-ერთი მარჩენელი ძმა ერთისა ან რამდენისამე ობოლის ძმისა ან გაუთხოვარის დისა, რომელთაც შრომა არ შეუძლიანთ;

გ. ერთად-ერთი მარჩენელი შვილიშვილი შრომის უნარმოკლებულ დიდედისა ან პაპისა, თუ უკანასკნელთ მარჩენელი შვილი არა ჰყავთ;

დ. ქორწინების გარეშე შობილი შვილი, რომელსაც შესანახი ჰყავს შრომის უნარმოკლებული დედა, ან გაუთხოვარი და, ან ძმა, თუ დედას არა ჰყავს სხვა მარჩენელი შვილი და გაუთხოვარ დას, ან შრომის შეუძლო ძმას — სხვა შრომის შემძლე ძმა.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ შეღავათის შესახებ მოწმობას მისცემს ადგილობრივი თვითმართველობა. მოწმობაში აღნიშნული უნდა იყოს დაწვრილებით იმ პირის ოჯახის ნიკოთიერი მდგომარეობა, რომელიც შეღავათს თხოულობს და აგრეთვე, არის თუ არა იგი ოჯახის იმ წევრის ნამდვილი მარჩენელი, რომლის გამო მას შეღავათი უნდა მიეცეს.

3. ოჯახურ მდგომარეობისა გამო შეღავათის განსაზღვრის დროს შვილად ითვლება:

ა. გერი, თუ ის არჩენს შრომის უნარმოკლებულ მამინაცვალს, დედინაცვალს ან მათ მცირეწლოვან შვილებს;

ბ. შვილობილი, დაბადების დღიდან ათი წლის განმავლობაში აყვანილი, უკეთუ ამ ხნის განმავლობაში არის შედგენილი მისი კანონიერის წესით შვილად აყვანის დამამტკიცებელი საბუთი.

4. შრომის შემძლედ ოჯახში ითვლება მამრობითი სქესი 17 წლიდან 55 წლამდე შემდეგის გამონაკლისით:

ა. სრულიად შრომისათვის უვარგისი სამუდამოდ დასახიჩრებისა ან ავადმყოფობის გამო;

ბ. გადასახლებული სასჯელთა დებულების მე-25, 26 და 27 მუხლის ძალით;

გ. უკვალოდ დაკარგული, თუ ამის შესახებ გამოცხადებული და გამოქვეყნებული იყო სამის წლის წინად ჯარში გაწვევამდე.

5. შრომის შეუძლებლობის გამორკვევა ექიმის შემოწმებით და აგრეთვე ოჯახის წევრის უკვალოდ დაკარგვის დადასტურება ევალება ადგილობრივ თვითმართველობას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ ოჯახის წევრის შესამოწმებლად წაყვანა შეუძლებელია, მაშინ მის ავადმყოფობასა და უძლურებას ამოწმებს კომისია, რომელსაც ადგილობრივი თვითმართველობა დანიშნავს, ან მაზრის და ან უბნის ექიმი.

6. ვინც ოჯახურ მდგომარეობისა გამო იქნება განთავისუფლებული სამხედრო ბეგარისაგან, სამსახურში არ მიიღება და მარქაფა ლაშქარში ჩაირიცხება, თუნდა ყოველწლიურ გასაწვევთა რიცხვის შესავსებად სამხედრო ბეგარის მოსახდელად გაწვეულთა რაოდენობამ არ იკმაროს.

7. ვისაც ოჯახური მდგომარეობისა გამო სამხედრო ბეგარის მოხდაში შეღავათის უფლება აქვს, ჰკარგავს ამ უფლებას, თუ ადგილობრივი თვითმართველობის დასკვნით არ არის ოჯახის ნამდვილი მარჩენელი.

8. თუ ოჯახური მდგომარეობა შეიცვალა, იმ ოჯახის ერთ-ერთი სამხედრო სამსახურში მყოფი წევრთაგანი, ოჯახის უფროსის ამორჩევით შეიძლება ნამდვილ სამსახურიდან მარქაფა ლაშქარში გადაირიცხოს, გარდა ომიანობის დროისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ნამდვილ სამსახურიდან მარქაფა ლაშქარში გადარიცხული არ იქნება, ვისაც ბრალად

ედება სასამართლოს მიერ; სამსახურიდან გაქცევა, განზრახ თავის დასახიჩრება, ან ყალბი მოქმედება იმ აზრით, რომ თავიდან აიცილოს სამხედრო ბეგარა, ან ისარგებლოს იმ შეღავათით, რომლის უფლება არა აქვს.

9. ჯარში გასაწვევის ან ჯარში მყოფის ოჯახის წევრების წლოვანება (მუხ. 4) იანგარიშება იმ წლის პირველ იანვრამდე, რა წელსაც შეღავათი ინიშნება.

10. ვინც ცრუ ცნობას ან საბუთს წარადგენს იმ აზრით, რომ სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლდეს ვითომდა ოჯახური მდგომარეობისა გამო, დაისჯება დანაშაულობის მიხედვით განსაკუთრებულ სატუსაღო ნაწილებში გაგზავნით ერთიდან ორ წლამდე.

11. სამხედრო ბეგარის შეღავათის მოპოვებისათვის ცრუ მოწმობის მიმცემი თანამდებობის პირი დაისჯება ციხეში დაპატიმრებით ექვსის თვიდან ორ წლამდე.

12. ვინც ოჯახური მდგომარეობის გამო სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების ღირსია, იმას გაწვევის დროს ანთავისუფლებს მაზრის სამხედრო უფროსი; ხოლო უკვე ჯარის ნაწილში მყოფს — ამ ნაწილის უფროსი, შესაფერ საბუთების წარდგენის შემდეგ (მუხ. 2 და 5).

უმთავრესი კონტროლი სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებისა, ოჯახურ მდგომარეობის გამო, ევალება სამხედრო სამინისტროს.

13. ეს კანონი ვრცელდება იმ ჯარის-კაცებზედაც, რომელნიც ეხლა იმყოფებიან ჯარში.

კანონი მოქალაქეობისა[1]

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მიერ 1919 წლის 27 მაისს

1. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქედ ჩაითვლება ყოველი მკვიდრი, რომელიც მიწერილი იყო რეს-

[1] იხ. გვ. 46.

პუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის ივლისის 19-მდე (ძვ. სტ.)

2. ყოფილ რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი, რომელიც პირველ მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, მაგრამ 1914 წლის იანვრის 1-დან განუწყვეტლივ სცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე და სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის გამოქვეყნებისა განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა, მიღებულ იქნება საქართველოს მოქალაქედ მე-4 მუხლში აღნიშნულ წესით.

3. მე-4 მუხლში აღნიშნულ წესითვე მიღებულ იქნება საქართველოს მოქალაქედ ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ სამ პირობას: ა) აქვს რაიმე უძრავი ქონება საქართველოს რესპუბლიკაში ან თავის საქირაო შრომით ირჩენს თავს; ბ) არა ნაკლებ სამი წლისა სცხოვრობს განუწყვეტლივ საქართველოს ტერიტორიაზე, და გ) სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის მიღებისა განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა.

4. მე-2 და მე-3 მუხლში აღნიშნული განცხადება წარედგინება ადგილობრივ მომრიგებელ-მოსამართლეს, რომელიც მისცემს მთხოვნელს მოქალაქეობის მოწმობას, უკეთუ იგი სათანადო პირობებს აკმაყოფილებს.

ამ მუხლის ძალით მიღებული დადგენილება მომრიგებელმა მოსამართლემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სათანადო პროკურორს. უკანასკნელს უფლება აქვს ასლის მიღების დღიდან ორი კვირის ვადაში განასაჩივროს ასეთი დადგენილება.

5. ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი ქართველი ჩარიცხულ იქნება საქართველოს მოქალაქედ ზემოაღნიშნულ (1, 2, 3 მუხ.) პირობის გარეშეც, უკეთუ ის სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის გამოქვეყნებისა განუცხადებს ამის სურვილს: საქართველოში მცხოვრები — ადგილობრივ მომრიგებელ-მოსამართლეს, ხოლო უცხო სახელმწიფოში მცხოვრები — მახლობელ კონსულს. ეს უკანასკნელნი ვალდებულნი არიან მისცენ მთხოვნელს საქართველოს მოქალაქეობის მოწმობა.

6. საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება აგრეთვე:

ა) შვილი საქართველოს მოქალაქისა, დაბადებული საქართველოს ტერიტორიაზე ან მის გარედ;

ბ) ქორწინების გარეშე შობილი საქართველოს მოქალაქე დედისაგან;

გ) ცოლი ან ქვრივი საქართველოს მოქალაქისა;

დ) კანონიერის წესით შვილად აყვანილი საქართველოს მოქალაქისაგან;

ე) უცხოეთში გათხოვილი საქართველოს მოქალაქე ქალი, რომელიც დაქვრივების ან განქორწინების შემდეგ განაცხადებს საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილს; ხოლო უწლოვანი შვილი ასეთი ქვრივისა ან განქორწინებულისა, უკეთუ ერთი წლის განმავლობაში დასრულწლოვანების შემდეგ არ განაცხადებს მამის მოქალაქეობაში დარჩენის სურვილს;

ვ) უცხოელთა უწლოვანი შვილი, ქორწინებაში თუ მის გარეშე შობილი, ამ დღიდან, როცა მისი მშობლები მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობას;

ზ) შვილი საქართველოს იმ მოქალაქე ქალისა, რომელიც უცხოელს მისთხოვდება, მაგრამ მუდმივად სცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, უკეთუ ერთი წლის განმავლობაში დასრულწლოვანების შემდეგ არ განაცხადებს, რომ სურს მამის მოქალაქეობა შეინარჩუნოს, და

ც) ვინც ნატურალიზაციით მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას.

7. ნატურალიზაციით მოქალაქეობის მოპოვებისათვის შუამდგომლობის აღძვრა შეუძლიან უცხო ქვეშევრდომს ან უქვეშევრდომოს, რომელიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ სცხოვრობს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. შუამდგომლობა უნდა წარედგინოს ადგილობრივ თვითმართველობის საბჭოს, რომელიც ერთი წლის შემდეგ დღიდან შუამდგომლობის აღძვრისა განიხილავს მის თხოვნას და მიანიჭებს მთხოვნელს მოქალაქეობას, უკეთუ მას სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მავნე პირად არ მიიჩნევს. თხოვნის შეტანიდან განხილვამდე მთხოვნელი აუცილებლად საქართველოში უნდა ბინადრობდეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. ყოველი უცხო ქვეშევრდომი, რომელსაც რაიმე თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის რესპუბლიკის წინაშე თავისი სამეცნიერო შრომით, სამხედრო დახმარებით, საზოგადოებრივი მოღვაწეობით თუ სხვა მხრივ, შეიძლება ამ ვადის მოუთხოვნელად, დაც იქნეს მიღებული საქართველოს მოქალაქედ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 2. ვადის მოუთხოვნელად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ აგრეთვე ყოველი უცხო ქვეშევრდომი ქართველი.

8. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლიან იყოს იმავე დროს უცხო სახელმწიფოს მოქალაქედ.

9. საქართველოს რესპუბლიკაში მხოლოდ მისი მოქალაქე არის აღჭურვილი პოლიტიკური უფლებით.

10. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობას ჰკარგავს:

ა) ვინც უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომობას მიიღებს ნატურალიზაციის წესით;

ბ) ვინც უცხო სახელმწიფოს სამხედრო ან სამოქალაქო თანამდებობას მიიღებს საქართველოს მთავრობის ნებადაურთველად;

გ) ვინც უცხო ქვეშევრდომს მისთხოვდება და არ განაცხადებს საქართველოს მოქალაქედ დარჩენის სურვილს.

III

11. 1918 წლის ივლისის 16-ს დებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა („კან. და მთავრ. განკ. კრებული" 1918 წ., კან. მე-20) გაუქმებულია[1].

უქმე დღეების რიცხვის შემცირებისა

საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 17 ივნისის კანონი

სამრეწველო შრომის წესდების მე-198 მუხლსა და ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ 1917 წლის ნოემბრის 29-ს გაგზავნილ რვა საათის სამუშაო დღის დეკრეტის მე-20 მუხლ-

[1] იხ. გვ. 46.

ში ჩამოთვლილ უქმეებიდან, როდესაც მუშაობა არ უნდა სწარმოებდეს, გამოირიცხოს: მირქმა უფლისა — თებერვლის 15, დიდი პარასკევი, აღდგომის მესამე დღე — სამშაბათი, მეორე დღე სული-წმიდის მოფენისა, ფერისცვალება უფლისა — აგვისტოს 19, მიძინება ღვთისმშობლისა — აგვისტოს 28, ჯვართ-ამაღლება — სექტემბრის 27 და ტაძრად მიყვანება — დეკემბრის 4.

პირველ-დაწყებით სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად საზაფხულო კურსების მოწყობისა

საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 20 ივნისის კანონი

1. გაიხსნას მომდინარე წლის ივნისის 25-დან სახალხო სკოლების ორას ორმოცდაათ (250) მასწავლებლის მოსამზადებლად ორის თვის კურსები.

2. მიენდოს სახალხო განათლების მინისტრს შეიმუშაოს და დაამტკიცოს წესი კურსების საერთო ხელმძღვანელობისა, აგრეთვე მასწავლებელთა მოწვევისა, მსმენელთა მიღებისა, გამოცდისა და წოდების მინიჭებისა.

3. აღნიშნულ მიზნის განსახორციელებლად გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სამას ოცდათოთხმეტი ათასი (334.000) მანეთი.

4. კანონი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

რ ა ტ ი ფ ი კ ა ც ი ა

საქართველოს და აზერბეიჯანის რესპუბლიკათა შორის დადებული შეთანხმებისა

დამტკიცებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის 22 ივნისს

საქართველოს რესპუბლიკის და აზერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობათა შორის ქალაქ ტფილისში ამა ათას ცხრაას ცხრამეტის წლის ივნისის თექვსმეტს დადებული შეთანხმების აქტი დამტკიცებულ იქნეს.

— თარგმანი.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს ა ქ ტ ი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ერთის მხრით, წარმოდგენილი გარეშე საქმეთა მინისტრის **გეგეჭკორის**, სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრის **რამიშვილის**, სამხედრო მინისტრის ამხანაგის გენერალ **გედევანიშვილის**, სამხედრო საბჭოს წევრის გენერალ **ოდიშელიძისაგან** —

და აზერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობა მეორეს მხრით, წარმოდგენილი გარეშე საქმეთა მინისტრის **ჯაფაროვის**, სამხედრო მინისტრის **მეხმანდაროვისა** რა გენერალურ შტაბის უფროსის გენერალ **სულკევიჩისაგან**,

გაეცნენ რა რწმუნებულებას და სცნეს იგი სათანადო ფორმითა და სახით შედგენილად,

იმ სერიოზულ საფრთხის გამო, რომელიც მოელის ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას, დასდეს შეთანხმება ესე შემდეგ საფუძველზე:

1. ამ შეთანხმების დამდები სახელმწიფონი ვალდებულნი არიან ერთად გამოვიდნენ ყველა თავის შეიარაღებული ძალებით და სამხედრო საშუალებით ყოველგვარ თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება შეთანხმების მონაწილე ერთს ან ორსავე რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას ან ტერიტორიალურ ხელშეუხებლობას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. პარაგრაფი ესე არა ვრცელდება კონფლიქტებზე, რომელიც შესაძლოა ასტყდეს საზღვრების გამო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ გადამიჯვნის ნიადაგზე.

2. უკეთუ რომელიმე მეზობელი სახელმწიფო, უკვე დაწესებულ, პირველ პარაგრაფით ნაგულისხმევ, სამხედრო მოქმედების დროს, თავს დაესხმის ერთს ან ორივე მოკავშირეს საზღვრის გამო დავის იარაღით გადაჭრის მიზნით, ასეთი სახელმწიფო მეომარ მხარეთ ჩაითვლება.

3. ამ შეთანხმებას აქვს მარტოოდენ თავდაცვის ხასიათი და უკეთუ ერთი მხარეთაგანი თავის ინიციატივით, წინასწარ შეუთანხმებლად, ომს გამოაცხადებს ან სამხედრო მოქმედებას დაიწყებს, ამ შეთანხმების დამდები მეორე მხარე ვალდებული არ არის მონაწილეობა მიიღოს ამ სამხედრო მოქმედებაში.

4. ამ შეთანხმების დამდები მხარენი ვალდებულნი არიან ყოველი უთანხმოება, რომელიც შესაძლოა ჩამოვარდეს მათ შორის საზღვრების გამო, შეთანხმებით ან არბიტრაჟის საშუალებით გადასწყვიტონ და ეს გადაწყვეტილება უნდა მიჩნეულ იქნეს საბოლოოდ და სავალდებულოდ ორივე მხარისათვის.

5. შეთანხმება ესე დადებულია სამი წლის ვადით. ერთი წლის წინ, ამ ვადის გასვლამდე, თვითეულ შეთანხმების დამდებ მხარეს უფლება ენიჭება, განაცხადოს თავისი სურვილი შეთანხმების განგრძობისა ახალი ვადით, ან შეთანხმებაზე უარის თქმისა. უკანასკნელ შემთხვევაში შეთანხმება ჰკარგავს ძალას მხოლოდ დადებულ ვადის გასვლისას.

6. შეთანხმების დამდები მხარენი ვალდებული არიან სოლიდარულად გამოვიდნენ და აწარმოონ დიპლომატიური მოლაპარაკება, მიმართული ორივე სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენულ უფლებათა დაცვისათვის.

7. უკეთუ პირველსა და მეორე პარაგრაფებში აღნიშნული პირობები შეიქმნა, შეთანხმების დამდები სახელმწიფონი ვალდებულნი არიან სეპარატიული ზავი არ შეჰკრან.

8. შეთანხმების დამდები მხარენი ვალდებული არიან სხვა

სახელმწიფოსთან სამხედრო კონვენციები არ შეეკრან მოკავშირეთა სთან წინასწარ შეუთანხმებლად.

9. უკეთუ მეხუთე პარაგრაფში აღნიშნულ ვადის გასვლამდე დაარსდა ხალხთა ლიგა, რომელიც უზრუნველჰყოფს ყველა მის მონაწილე სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და საზღვრების ხელშეუხებლობას, იმ მომენტიდან, როდესაც ამ შეთანხმების დამდები რესპუბლიკები შევლენ ხალხთა ლიგაში, ეს შეთანხმება ჰკარგავს ძალას.

10. ამიერ-კავკასიის მესამე რესპუბლიკას — სომხეთს უფლება ენიჭება, ორი კვირის განმავლობაში, ამ შეთანხმების ოფიციალურად შეტყობინების დღიდან, განაცხადოს, რომ თანახმაა ამ შეთანხმებას შემოუერთდეს.

11. რატიფიკაციათა გაცვლა უნდა მოხდეს ქალაქ ბაკოში ორი კვირის განმავლობაში დღიდან ხელის მოწერისა.

12. ეს შეთანხმება შედგენილია ორ დედნად.

საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი.

სამხედრო მინისტრი ნ. რამიშვილი.

სამხედრო მინისტრის ამხანაგი
გენერალ-მაიორი გედევანიშვილი.

გენერალი ოდიშელიძე.

ქალაქი ტფილისი.

ათას ცხრაას ცხრამეტი წელი ივნისის მეთექვსმეტე დღეს.

აზერბეიჯანის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრი ზ. ი. ჯაფაროვი.

სამხედრო მინისტრი გენერალი
მეხმანდაროვი.

გენერალურ შტაბის უფროსი
გენერალი სულკევიჩი.

საქართველოს დამფუძნებელ კრების იურიდიულ
კომისიის თავმჯდომარე რ. არსენიძე.

АКТЪ СОГЛАШЕНИЯ

Правительство Республики Грузіи съ одной стороны, представленное Министромъ Иностранных Делъ **Гегечкори**, Министромъ Военнымъ и Внутреннихъ Делъ **Рамишвили**, Помощникомъ Военнаго Министра Генераломъ **Гедевановымъ** и Членом Военного Совета Генераломъ **Одишелидзе**,

и Правительство Азербейджанской Республики съ другой стороны, представленное Министромъ Иностранных Делъ **Джафаровымъ**, Военнымъ Министромъ Генераломъ **Мехмандаровымъ** и Начальникомъ Генеральнаго Штаба Генераломъ **Сулькевичемъ**,

которые ознакомились съ полномочіями и нашли ихъ въ должной форме и надлежащемъ виде,

заключили, въ виду серъезной угрозы независимости Закавказскихъ Республикъ, настоящее соглашеніе на следующихъ основаніяхъ:

1. Договаривающіяся государства обязуются выступать совместно всеми вооруженными силами и военными средствами противъ всякаго нападенія, угрожающаго независимости или территоріальной неприкосновенности одной или обеихъ договаривающихся Республикъ.

Примечаніе. Параграфъ этотъ не распространяется на пограничные конфликты, могущіе возникнуть на почве еще не закончившагося территоріальнаго размежеванія Закавказскихъ Республикъ.

2. Если какое либо соседнее государство, во время уже открывшихся согласно § 1-го военныхъ действій нападетъ на одного или обоихъ союзниковъ съ целью разрешенія силою оружія пограничныхъ споровъ, то таковое государство признается воюющей стороной.

3. Настоящее соглашеніе носитъ строго оборонительный характеръ, и если одна изъ сторонъ, по собственной иниціативе, безъ предварительнаго соглашенія, объявляетъ войну или открываетъ военныя действія, то другая договаривающаяся сторона не обязана участвовать въ этихъ военныхъ действіяхъ.

4. Договаривающіяся стороны обязуются все могущіе возникнуть между ними споры о границахъ разрешать путемъ соглашенія или арбитража, решенія кото-

раго признаются окончательными и обязательными для обеихъ сторонъ.

5. Настоящее соглашеніе заключается срокомъ на три года. За годъ до истеченія этого срока каждой изъ договаривающихся сторонъ предоставляется право заявить о своемъ желаніи продлить его на новый срокъ, или объ отказе отъ соглашенія; въ послѣднемъ случае соглашеніе теряетъ силу лишь по истеченіи назначеннаго срока.

6. Договаривающіяся стороны обязуются солидарно выступать и вести дипломатическіе переговоры, направленные къ охране независимости и суверенныхъ правъ обоихъ государствъ.

7. При наступленіи условій, указанныхъ въ §§ 1 и 2-мъ, договаривающіяся государства обязуются не заключать сепаратнаго мира.

8. Договаривающіяся стороны обязуются не заключать военныхъ конвенцій съ другими государствами безъ предварительнаго согласія союзника.

9. Если до истеченія срока, указаннаго въ § 5-мъ, создается Лига Народовъ, гарантирующая независимость и неприкосновенность границъ всемъ государствамъ, входящимъ въ ея составъ, то съ момента вступленія договаривающихся Республикъ въ Лигу Народовъ настоящее соглашеніе утрачиваетъ силу.

10. Третьей Закавказской Республике — Арменіи предоставляется право въ двухнедельный срокъ со дня оффиціальнаго сообщенія настоящаго договора заявить о своемъ согласіи присоединиться къ этому соглашенію.

11. Обменъ ратификаціями производится въ гор. Баку въ двухнедельный срокъ со дня подписанія.

12. Настоящее соглашеніе составлено въ двухъ подлинникахъ.

Министръ Иностранныхъ Делъ Грузіи Гегечкори
Военный Министръ Н. Рамишвили
Помощникъ военнаго Министра Генералъ-Маіоръ Гедевановъ
Генералъ Одишелидзе

Министръ Иностранныхъ делъ Азербейджанской Республики М. Ю. Джафаровъ.
Военный Министръ Мехмандаровъ.
Начальникъ Генеральнаго Штаба Генералъ-Лейтенантъ Сулькевичъ.

ГОРОДЪ ТИФЛИСЪ.

Тысяча девятьсотъ девятнадцатаго года Іюня шестнадцатаго дня.

დ ე კ რ ე ტ ი

ჯარის ნაწილებიდან გაქცევისა და ნებადაურთველად წასვლისათვის დასჯისა

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ 1919 ᲬᲚᲘᲡ 27 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

დროებით, აწინდელ კანონების (სასჯელთა სამხედრო წესდება, სამხედრო დადგ. კრებ. 1869 წ., გამოც. მე-4, წიგნი მე-XXII, თავი მე-IV, განყ. მე-II) შესაცვლელად და დასამატებლად, სამხედრო წოდების პირთა სამსახურიდან გაქცევისა და ნებადაურთველ წასვლის შესახებ დადგენილ იქნეს შემდეგი წესები:

1. (128 და 129 მუხ. სასჯ. სამხ. წეს.) სამხედრო პირის მიერ თავის ნებით სამსახურის მიტოვება მშვიდობიანობის დროს ექვს დღე და ღამეზე მეტით, ხოლო ომიანობის ან სამხედრო მოქმედების დროს გარეშე თავდასხმის ან შინაურ შეიარაღებულ აჯანყების წინააღმდეგ ერთ დღე და ღამეზე მეტით ჩაითვლება სამსახურიდან გაქცევად.

სამსახურიდან გაქცევად ჩაითვლება აგრეთვე, თუ სამხედრო პირმა, რომელიც სამსახურში დაინიშნა, ან სხვა ადგილას იყო გადაყვანილი, ან რაიმე საქმეზე გაგზავნილი, ან დროებით განთავისუფლებული, ან საავადმყოფოდან გამოწერილი, სამსახურში გამოცხადება დააგვიანა, საპატიო მიზეზების გარეშე, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ ვადაზე მეტით.

სამხედრო პირის მიერ თავის ნებით სამსახურის მიტოვება, ან გამოუცხადებლობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ ვადით, ან ნაკლებით ჩაითვლება ნებადაურთველ წასვლად.

2. (133 და 134 მუხ. სასჯ. სამხ. წეს.) სამსახურიდან გაქცევისათვის დამნაშავენი დაისჯებიან:

ა) მშვიდობიანობის დროს: ოფიცრები და სამხედრო მოხელენი ოთხიდან ექვს წლამდე გამასწორებელ რაზმში გაგზავნით და სათანადო უფლებათა ჩამორთმევით. ხოლო ჯარის-კაცნი პირველად ორიდან ოთხ თვემდე სამხედრო საპყ-

რობილეში დაპატიმრებით, განმეორებით შემთხვევაში-კი — ოთხიდან ექვს წლამდე გამასწორებელ რაზმში გაგზავნით და სათანადო უფლებათა ჩამორთმევით;

ბ) ომიანობის ან სამხედრო მოქმედების დროს გარეშე თავდასხმის, ან შინაურ აჯანყების წინააღმდეგ ყოველი სამხედრო პირი — კატორღით ოთხიდან ოც წლამდე, ან უვადოდ, ან დახვრეტით.

ამ მუხლის ა) და ბ) პუნქტში აღნიშნულს სასჯელს გარდა, დამნაშავეს, უკეთუ მას გატაცებული აქვს სახელმწიფო ნივთი, გადახდება გატაცებულის ორკეცი საფასური.

3. (130 და 131 მუხ. სასჯ. სამხ. წეს.) ნებადაურთველად წასვლისათვის დამნაშავენი დაისჯებიან:

ა) მშვიდობიანობის დროს: პირველად დისციპლინარული სასჯელით ან ჰაუპტვახტაში დაჭერით ერთიდან ექვს თვემდე, ან სამხედრო სატუსაღოში დაპატიმრებით ორიდან ოთხ თვემდე, ხოლო განმეორებით შემთხვევაში — ციხეში დამწყვდევით რვა თვიდან ორ წლამდე, ან დისციპლინარულ ნაწილში გაგზავნით ერთიდან ორ წლამდე, ან ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით ერთიდან სამ წლამდე სათანადო უფლებათა ჩამორთმევით;

ბ) ომიანობის, ან სამხედრო მოქმედების დროს, გარეშე თავდასხმის ან შინაურ აჯანყების წინააღმდეგ: პირველად ჰაუპტვახტაში დაჭერით სამიდან ექვს თვემდე, ხოლო განმეორებით შემთხვევაში — ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით ორი წლიდან და ექვსი თვიდან ოთხ წლამდე სათანადო უფლებათა ჩამორთმევით.

4. (136 მუხ. სასჯ. სამხ. წეს.) მტრის მხარეზე გადასვლისათვის დამნაშავე დაისჯება დახვრეტით და მთელის ქონების კონფისკაციით. ასევე დაისჯება ისიც, ვინც შეეცდება მტრის მხარეზე გადასვლას, მაგრამ ამას ვერ შეასრულებს დამოუკიდებელ გარემოებათა გამო.

5. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

კ ა ნ ო ნ ი

უძრავ ქონების იძულებით ჩამორთმევისა, დროებით დაჭერისა და მის სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესებისა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საჭიროებისათვის

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 11 ივლისს

1. მთავრობას უფლება აქვს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე იძულებით ჩამოართვას კერძო მესაკუთრეებს უძრავი ქონება, დროებით დაიჭიროს ან მის სარგებლობაში მონაწილეობის უფლება დააწესოს, როდესაც ამას მოითხოვს სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი საჭიროება.

2. პირველ მუხლში აღნიშნული უფლება ეკუთვნის აგრეთვე ქალაქთა და ერობათა თვითმართველობებს თავიანთ მოქმედების ტერიტორიის ფარგლებში, კუთვნილებისამებრ, იმ მოვალეობათა განსახორციელებლად, რომელიც დაკისრებული აქვს მათ კანონით, მიუხედავად იმისა, განახორციელებენ ამ მოვალეობათ თვითონ თუ თავიანთ შეერთებული ორგანიზაციების (კავშირის) საშუალებით.

3. თუ ერთი და იგივე უძრავი ქონება საჭირო აღმოჩნდა მთავრობისა და ადგილობრივ თვითმართველობისათვის, უპირატესობა მთავრობას ეკუთვნის. თუ ერობას დასჭირდა მეორე მუხლში აღნიშნულ უფლების სარგებლობა იმ ქალაქის ფარგლებში, რომელიც მის ტერიტორიაზე მდებარეობს, ქალაქის თვითმართველობას უნდა შეუთანხმდეს; თუ შეთანხმება არ მოხდა, საკითხს გადასწყვეტს, ერთის ან ორივე მხრის მოთხოვნით, მთავრობა.

4. მთავრობა გამოიტანს უძრავ ქონების იძულებით ჩამორთმევის, დროებით დაჭერის ან მის სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესების დადგენილებას სათანადო უწყების მინისტრის მოხსენებით. ხოლო ქალაქისა და ერობის თვითმართველობის ასეთი დადგენილება კანონიერად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ ის მიღებულია გამგეობის მოხსენებით სათანადო ქალაქის საბჭოს ან ერობის კრების მიერ,

რომელსაც ხმოსანთა საერთო რიცხვის ორ მესამედზე არ ნაკლები დასწრებია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ქალაქის ან ერობის თვითმართველობის დადგენილება ძალაში შედის მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მთავრობა, რომელსაც უნდა წარედგინოს დადგენილების ასლი საქმის განმარტებითა, სამის კვირის განმავლობაში დღიდან დადგენილების ასლის მიღებისა არ აცნობებს სათანადო თვითმართველობას რომ მის დადგენილებას არ ეთანხმება.

5. თუ განხრახული საქმე მოითხოვს წინასწარ გამოკვლევას ან ცნობების შეკრებას, მთავრობას და ავრეთვე ქალაქისა და ერობის გამგეობას, კუთვნილებისამებრ, შეუძლიან ნება დართოს მას, ვინც საქმე უნდა განახორციელოს, დაათვალიეროს და საჭირო გამოკვლევა მოახდინოს სხვისის უძრავ ქონებისა, ვის ხელშიაც უნდა იყოს ეს ქონება.

6. ჩამორთმეულ, დროებით დაჭერილ და სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესებით შეზღუდულ უძრავ ქონების პატრონს მიეცემა საფასური, რომლის რაოდენობა განისაზღვრება ქვემო მუხლებში აღნიშნულ წესით. თუ ვისმე კანონიერ საფუძვლით სიცოცხლეში ამ ქონებაზ სარგებლობის უფლება აქვს, საფასური შეტანილ უნდა იქნეს სახელმწიფო ბანკში იმ მიზნით, რომ მთელი სარგებელი ამ თანხისა ეძლეოდეს მას, ვისაც სიცოცხლეში სარგებლობის უფლება აქვს.

7. უკეთუ უძრავი ქონება ჩამორთმეულია ისეთ სახელმწიფო ან საზოგადო საქმისათვის, რომელსაც განახორციელებს თვით მთავრობა, რომელიმე სახელმწიფო დაწესებულება, ერობა, ქალაქი ან მათი შეერთებული ორგანიზაცია, საფასურის რაოდენობა განისაზღვრება იმ უკანასკნელ შეფასებით, რომლის კვალობაზე გაწერილია ქალაქებში საქალაქო და მაზრებში საერობო გადასახადი. ამავე მიზნით დროებით დაჭერილ ქონების პატრონს მიეცემა ყოველწლივ წინდაწინ ექვსი პროცენტი იმავე საფასურისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: უკეთუ ორის თვის განმავლობაში ამ კანონის ძალაში შესვლის დღიდან უძრავის ქონე-

ბის პატრონი მოსთხოვს ქალაქისა ან ერობის თვითმართველობას ქონების ხელახლად შეფასებას, თვითმართველობა ვალდებულია შეასრულოს თხოვნა და საფასურის გადაწყვეტის დროს იხელმძღვანელოს ამ ახალის შეფასებით, თუ ქონების ჩამორთმევა ან დროებით დაჭერა მოხდება შემდეგ შეფასებამდე.

8. თუ პატრონს ჩამოერთვა ქონების ნაწილი და დარჩენილს ნაწილს ამის გამო სრულად დაეკარგა ფასი, პატრონს შეუძლიან მოითხოვოს მთელი ქონების საფასური. თუ დარჩენილს ნაწილს ფასი ეკარგება რაოდენადმე, ან ქონების სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესებით ქონების პატრონს ზარალი მოუვა, ის, ვის სასარგებლოდაც არის ქონება ჩამორთმეული, ან მის სარგებლობაში მონაწილეობის უფლება არის დაწესებული, ვალდებულია პატრონს ფას-დანაკლისი ან ზარალი უზღოს.

როცა ქონების ჩამორთმევა ან სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესება მოხდება სახელმწიფო უწყების, ქალაქის ან ერობის საჭიროებისათვის, ეს დაწესებულებანი თვით განსაზღვრავენ ფას-დანაკლისს და ზარალის რაოდენობას. მაგრამ თუ ქონების პატრონი კმაყოფილი არ დარჩა, შეუძლიან ზედმეტი მოითხოვოს სასამართლოს წესით.

9. საფასური და ზარალის ასანაზღაურებელი თანხა უნდა აღნიშნულ იყოს მთავრობის, ქალაქის თვითმართველობის და ერობის კრების იმ დადგენილებაში, რომელიც გამოტანილ იქნება ქონების ჩამორთმევის, დროებით დაჭერის ან მის სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესებისათვის. ამავე დადგენილებაში უნდა დაწვრილებით იქნეს ნაჩვენები მდებარეობა, საზღვრები, სიგრცე, შენობები და სხვა ნიშნები უძრავ ქონებისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: რკინის გზის გასაყვანად, ელექტრონის ენერგიის მანძილზე გადასაცემ მოწყობილობათა და აგრეთვე ტელეგრაფისა და ტელეფონის გასამართავად საჭირო უძრავ ქონების საფასურის განსაზღვრა და დაწვრილებით აღწერა შეიძლება დადგენილების შემდეგაც, მაგრამ არა უგვიანეს ექვსის თვისა.

10. საფასური და ზარალის ასანაზღაურებელი ფული უნდა მიეცეს პატრონს ქონების ფაქტიურად ჩამორთმევამდე, ხოლო წინა (მე-9) მუხლის შენიშვნაში აღნიშნულ შემთხვევაში — არა უგვიანეს რვა თვისა ქონების ჩამორთმევის შემდეგ. პატრონს უნდა მიეცეს აგრეთვე სარგებელი ქონების ჩამორთმევისა, დროებით დაჭერისა ან სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესების დღიდან ფულის მიცემის დღემდე, წლიურად ექვსის პროცენტის ანგარიშით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო თვით განახორციელებს იმ საქმეს, რომლისთვისაც უძრავ ქონების ჩამორთმევა ან მის სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესება მოხდა, და ქონების საფასური ან ზარალის ასანაზღაურებელი თანხა ასი ათას მანეთს აღემატება, ასი ათასი მანეთი მიეცემა პატრონს ქონების ჩამორთმევამდე, ხოლო დანარჩენი არა უგვიანეს ერთის წლისა ქონების ჩამორთმევის დღიდან, ყოველ თვიურად თანასწორ ნაწილებად ამავე (მე-10) მუხლში აღნიშნულ სარგებლის დამატებით.

თუ საქმეს განახორციელებს ქალაქი ან ერობა და ქონების საფასური ან ზარალის ასანაზღაურებელი თანხა აღემატება ტფილისში სამოცდათხუთმეტ ათას მანეთს, ქუთაისსა, ფოთსა და სოხუმში — ორმოცდაათი ათას მანეთს, ხოლო დანარჩენს ქალაქებსა და მაზრებში — ოცდახუთი ათას მანეთს, ამ შემთხვევაში ქონების პატრონს მიეცემა ქონების ჩამორთმევამდე ტფილისში სამოცდათხუთმეტი ათასი მანეთი, ქუთაისსა, ფოთსა და სოხუმში — ორმოცდაათი ათასი მანეთი, ხოლო დანარჩენ ქალაქებსა და მაზრებში — ოცდახუთი ათასი მან. დანარჩენი ფული მიეცემა ქონების პატრონს ექვსის წლის განმავლობაში დღიდან ქონების ჩამორთმევისა, ყოველწლივ თანასწორ ნაწილებად, მე-10 მუხლში აღნიშნულ სარგებლის დამატებით.

11. თუ უძრავი ქონება ან ფასის მიღება სადავო გამოდგა, პატრონისათვის გადაწყვეტილი თანხა უნდა შეტანილ იქ-

ნეს სახელმწიფო ბანკში სარგებლის სამატად, და მიეცემა იმას, ვინც წარადგენს თავის უფლების დასამტკიცებლად სათანადო სასამართლოს ძალაში შესულს განაჩენს.

12. ისეთ სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივ მნიშვნელობის საქმისათვის, რომელსაც აწარმოებს კერძო პირი, ამხანაგობა ან საზოგადოება, სხვისის უძრავ ქონების ჩამორთმევა, დროებით დაჭერა ან სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესება შეიძლება მხოლოდ მთავრობის დადგენილებით, რომლის ასლიც განზრახულ წარმოების პატრონმა უნდა წარუდგინოს უძრავ ქონების ასაწერად იმ უბნის სასამართლოს ბოქაულს, სადაც მდებარეობს უძრავი ქონება, ხოლო თუ ეს ქონება რამდენისამე სხვადასხვა მომრიგებელ მოსამართლის უბანში მდებარეობს, — სასამართლოს სათანადო ბოქაულებს.

13. სასამართლოს ბოქაული უნდა შეუდგეს ქონების აღწერას იმ წესით, რომელიც სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებაშია აღნიშნული, არა უგვიანეს ორის კვირისა დღიდან ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნულ მთავრობის დადგენილების ასლის მიღებისა. აღწერის დღისთვის სასამართლოს ბოქაული მოიწვევს ასაწერ ქონების პატრონს და აგრეთვე უწყების წარმომადგენელს ან წარმოების პატრონს. ქონების პატრონი ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს ბოქაულს, რაოდენი საფასური სურს მიიღოს იმ ქონებაში, რომელიც ჩამორთმეულ ან დროებით დაჭერილ უნდა იქნეს, ან რომლის სარგებლობაში მონაწილეობის უფლება უნდა დაწესდეს, და აგრეთვე იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც ამას მოუვა, წარმოების პატრონიც თავის მხრივ მოვალეა აღნიშნოს ის საფასური, რომლის მიცემა აქვს განზრახული ადგილის პატრონისათვის. სასამართლოს ბოქაულმა უწდა ჩასწეროს ხსენებული განცხადებანი აღწერაში, ან ოქმში და აღნიშნოს აგრეთვე ყოველი უფლებრივი დავა, თუ ვინმემ განაცხადა, ქონებასა ან საფასურზე. თუ ვინიცობაა რომელიმე მხარე, რაიმე მიზეზის გამო, ვერ დაესწრება აღწერას, ვალდებულია თავისი განცხადება გაუგზავნოს აღწერის დღისთვის სასამართლოს ბოქაულს, იმათი დაუსწრებლობა-კი აღწერას ვერ შეაჩერებს.

14. წარმოების პატრონს შეუძლიან დაუყოვნებლივ დაი-

ჭიროს აწერილი ქონება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ამის უფლება მიცემული აქვს მთავრობის დადგენილებით ან კანონით.

15. აღწერის გათავების შემდეგ სასამართლოს ბოქაულმა თავისი საქმის წარმოება, არა უგვიანეს ორის დღისა, უნდა გაუგზავნოს განცხადებულ დავის გასარჩევად და მამულის პატრონისთვის საფასურის გადასაწყვეტად:

ა) მომრიგებელ მოსამართლეს, თუ მამულის პატრონის მიერ მოთხოვნილი საფასური არ აღემატება მომრიგებელ მოსამართლის ქვემდებარეობას, ან თუ მამულის პატრონი საფასურს არ განაცხადებს, და

ბ) ოლქის სასამართლოს, თუ მოთხოვნილი საფასური აღემატება მომრიგებელ მოსამართლის ქვემდებარეობას.

16. მომრიგებელი მოსამართლე ანუ ოლქის სასამართლო, მიიღებს რა სასამართლოს ბოქაულის საქმის წარმოებას, დაუყოვნებლივ მიიწვევს სასამართლოს სხდომაზე ორივე მხარეს, ხოლო, თუ მათ გარეშე სხვამაც განაცხადა თავისი უფლება საფასურის მიღებაზე, მიიწვევს ყველას, ვინც ასეთი უფლება განაცხადა, და აგრეთვე იმასაც, ვისაც მინიჭებული აქვს სიცოცხლეში ამ ქონების სარგებლობის უფლება.

17. სასამართლო არჩევს განცხადებულ დავას საფასურის გამო და არკვევს საფასურის რაოდენობას იმ წესით, რომელიც აღნიშნულია სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებაში სადავო საქმეთა განსახილველად, მხოლოდ დადგენილი განაჩენი არ ჩაითვლება დაუსწრებელ განაჩენად იმ მხარისათვის, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა საქმის წარმოებაში სასამართლოს ბოქაულთან და სასამართლოში.

18. საფასურის რაოდენობის გადაწყვეტის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს არა მარტო ის, რაც დააკლდა ქონების პატრონს ქონების ჩამორთმევით, ან დროებით დაჭერით, ან ქონების სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესებით, არამედ ყოველივე სხვა ზარალიც, რომელიც მიეცემა პატრონს ქონების დატოვებული ნაწილის ფასის დაკარგვით ან იმის გამო, რომ პატრონს წინდაწინ გაუწევია ქონებაზე რამდენისამე წლის ხარჯი. მაგრამ სრულიად არ უნდა იყოს მიღებული ანგარიშში ქონების ფასის მომატება, რომე-

ლიც შესაძლოა მოჰყვეს განზრახულ წარმოების გამართვას, ანუ სხვა მოსალოდნელი მოგება, რომელიც მოჰყვებოდა განზრახულ წარმოებას ამ ქონების საზღვრებში.

19. სასამართლოს დადგენილებაში უნდა იყოს, სხვათა შორის, აღნიშნული:

ა) ის უძრავი ქონება, რომელიც ჩამოსართმევია, ან დროებით დასაჭერი, ან რომლის სარგებლობაში მონაწილეობის უფლება უნდა დაწესდეს, და აგრეთვე რაში გამოიხატება ეს მონაწილეობა;

ბ) ვის უნდა მიეცეს ქონების საფასური;

გ) რაოდენობა საფასურისა, რომელიც მიესაჯა მამულის პატრონს წარმოების პატრონისაგან. თუ ვისმეს მხოლოდ სიცოცხლეში უძრავ ქონების სარგებლობა ეკუთვნის, განაჩენში უნდა იყოს დადგენილი, რომ წარმოების პატრონისაგან მისჯილი ფული გაიგზავნოს სახელმწიფო ბანკში სარგებლის სამატად და სარგებელი მიეცეს იმას, ვისაც სიცოცხლეში ქონების სარგებლობის უფლება ეკუთვნის, ხოლო იმის სიკვდილის შემდეგ ეს თანხა გადაეცეს ქონების პატრონს. განაჩენში უნდა იყოს განსაზღვრული სასამართლოს ბაჟი იმ ფულის მიხედვით, რომელიც უნდა გადაიხადოს წარმოების პატრონმა, ღერბის ან თითო ფურცელზე დაწესებული გადასახადის და საქმის საწარმოებელი ხარჯი ხაზინის, სასამართლოს ბოქაულის ან უწყების დამტარებლის სასარგებლოდ, და აგრეთვე ჯილდო მიწვეულ ექსპერტებისათვის. საქმის წარმოების ხარჯი განაწილებულ უნდა იქნეს ქონების და უწყებისა ანუ წარმოების პატრონთა და აგრეთვე სხვა მოდავე პირთა შორის იმის მიხედვით, თუ ვისი მოთხოვნილებაა უფრო სამართლიანად მიჩნეული.

20. სასამართლოს შეუძლიან დაადგინოს, რომ განაჩენი წინასწარ აღსრულებულ იქნეს, ხოლო საფასურის იმ ნაწილისათვის, რომელიც სადაოდ არ არის გადაქცეული, ვალდებულია ეს წინასწარი აღსრულება დაადგინოს. განაჩენის განსაჩივრება საქმეში მონაწილე პირთა მიერ და განაჩენის ასრულება სწარმოებს საზოგადო წესისამებრ სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდების ძალით.

21. ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი და აგრეთვე

მორიგების ოქმი, თუ ეს მორიგება მოხდა სასამართლოს წესით, შეადგენს საბუთს, რომელიც ამტკიცებს უწყების ანუ წარმოების პატრონის უფლებას განაჩენში აღნიშნულ ქონებაზე. სასამართლოს განაჩენი და მორიგების ოქმი უნდა წარედგინოს სათანადო ოლქის სასამართლოს უფროსს ნოტარიუსს რეესტრში აღსანიშნავად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ მორიგება საქმის სასამართლოში გადაცემამდე მოხდა ნასყიდობის კანონიერი აქტი უნდა შესდგეს.

22. თუ მამულის ჩამორთმევის ან დაქერის დროს აუცილებლად საჭიროა მოსპობა ამ მამულში საზოგადო გზებისა, ხიდებისა ან სხვა ამგვარ მოწყობილობისა, სათანადო უწყება ან წარმოების პატრონი ვალდებულია გააკეთოს უახლოეს ადგილას და თავისი ხარჯით შეინახოს სამაგიერო გზები, ხიდები და სხვა ამ გვარი მოწყობილობა.

23. სხვის უძრავ ქონების დროებით დაქერა შეიძლება გაგრძელდეს სამ წელზე არა უმეტეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ მესაკუთრეს უფლება აქვს, თუ ქონება არ დაუბრუნეს, მოითხოვოს, რომ ეს ქონება სრულიად ჩამოერთვას იმ ფასად, რომელიც განისაზღვრება ამ კანონში აღნიშნული წესით.

24. როცა მთავრობა, ქალაქის საბჭო ან ერობის კრება სხვისის უძრავ ქონების ჩამორთმევის თაობაზე გამოიტანს დადგენილებას, ამ დადგენილების ასლი უნდა გაეგზავნოს სათანადო სასამართლოს უფროსს ნოტარიუსს სიმტკიცის წიგნში ჩასაწერად, და დადგენილების დღიდან ქონების პატრონს უფლება ეკარგება ამ ქონების გაყიდვისა, დაგირავებისა, იჯარით გაცემისა, გაქირავებისა ან სხვა სახით სხვისთვის გადაცემისა.

25. სამოქალაქო კანონთა მე-X ტ. I ნაწ. მე-575-608 მუხ. გაუქმებულია.

დ ე კ რ ე ტ ი

საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემისა

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მიერ 1919 წლის 11 ივლისს

1. ნება მიეცეს საქართველოს მთავრობას გამოსცეს საქართველოს რესპუბლიკის ბონი სამასის მილიონ მანეთისა,

2. საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცეს დროებით, ვიდრე შემოღებულ იქნებოდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთარი ფული, რომლის საშუალებით ბონი გამოყიდულ უნდა იქნეს.

3. საქართველოს რესპუბლიკის ბონი უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის მთელის ქონებით.

4. საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში საქართველოს რესპუბლიკის ბონის მიღება სავალდებულოა რუსეთის ფულის ნიშნებისა და ამიერ კავკასიის კომისარიატის ბონის თანაბრად.

5. საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცეს ერთის, სამის, ხუთის, ათის, ოცდახუთის, ორმოცდაათის, ასის და ხუთას მანეთის კუპიურებისა.

6. საქართველოს რესპუბლიკის ბონი დამზადებულ უნდა იქნეს ფინანსთა მინისტრის განკარგულებით და გადაეცეს ტფილისის ხაზინას შესანახად და ხმარებისათვის გამოსაშვებად.

7. საქართველოს რესპუბლიკის ბონი, რომელსაც აკლია ერთი მესამედი, ან ერთ-ერთი ხელ-მონაწერი, ან ნომერი, უვარგისად ჩაითვლება და არ მიიღება.

8. ყალბი ბონის დამზადებისა ან გასაღებისათვის დამნაშავე დაისჯება სისხლის სამართლის წესით.

9. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

დ ე კ რ ე ტ ი

დაბა ონის სოფელ მოედნითურთ ქალაქ ონად გამოცხადებისა

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 18 ივლისს

1. დაბა ონი სოფელ მოედნითურთ გამოცხადდეს ქალაქ ონად.

2. გავრცელდეს ქალაქ ონზე საქალაქო დებულების მოქმედება.

3. საბჭოს ხმოსანთა რიცხვი განისაზღვროს ოცით.

4. საბჭოს პირველ არჩევნების მოსახდენად ყოველი ის უფლება და მოვალეობა, რომელიც ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნების 1918 წლის დეკემბრის 17-ს დებულებით („კან. ცრებ." 1918 წ., კან. მე-116) მინიჭებული აქვს ქალაქის გამგეობას, გადავიდეს რაჭის მაზრის ერობის გამგეობაზე.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

საქართველოს სენატის დებულების შემოღებისა[1]

საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 29 ივლისის კანონი

I. ამასთანავე დართული „საქართველოს სენატის დებულება" განხორციელებულ იქნეს ამა 1919 წლის ოქტომბრის 1-დან.

II. ყველა საკასაციო საჩივარი, პროტესტი და აგრეთვე ცერძო საჩივარი, შეტანილი ტფილისის სასამართლოს პალატის, ოლქის სასამართლოს, მომრიგებელ-მოსამართლეთა ყრილობის, ს ზედრო სასამართლოს და დროებით საგანგებო სასამართლ ს გადაწყვეტილებასა, დადგენილებასა და განაჩენზე, თუ საბ ლოოდ განხილული არ იქნება არსებულის წესით ამა 1919 წ ის სექტემბრის 15-დე, გადაეცეს გადასაწყვეტად სენატს.

---

[1] (307.

III. „სასამართლო დაწესებულებათა დებულებასა“ და სისხლის და სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **„სასამართლო დაწესებულებათა დებულებაში“:**

ა) გაუქმდეს მუხლები: 114—119[4], 127, 128, 128[1] 131 მუხლის შენიშვნა, 140[1] ორივე შენიშვნით, 200, 208, 215, 216, 217, 219—222, 248, 257, 430, 432—437[1];

ბ) 179 მუხ. შეიცვალოს ასე: „სენატის დეპარტამენტების ანგარიშს, ამ დეპარტამენტთა საზოგადო კრებაზე განხილვის შემდეგ, სენატის თავმჯდომარე წარუდგენს პარლამენტს; ანგარიშის პირი უნდა ეცნობოს იუსტიციის მინისტრს“;

გ) 182 მუხლში სიტყვა „უზენაესის“ შეიცვალოს სიტყვით „მთავრობის“;

დ) 184 მუხლში ამოიშალოს სიტყვა „პირველ-დამსწრენი“;

ე) ამოიშალოს 210 მუხლში სიტყვები: „და ობერ-პროკურორის ამხანაგისა“ და „ობერ-პროკურორის თანამდებობისათვის არა ნაკლებ 12 წლისა“;

ვ) 212 მუხ. შეიცვალოს ასე: „ოლქის სასამართლოს და სასამართლო პალატის წევრნი, თავმჯდომარენი და მათი ამხანაგნი ინიშნებიან სენატის მიერ, ხოლო გამომძიებელნი, უფროსი ნოტარიუსები, ოლქის სასამართლოს, სასამართლო პალატის და სენატის პროკურორები და მათი ამხანაგები მთავრობის მიერ“;

ზ) 214 მუხ. შეიცვალოს ასე: „ოლქის სასამართლოები და სასამართლო პალატა წარუდგენენ სენატს წინა მუხლში აღნიშნულ კანდიდატებს მათის თანხმობით“;

ᲗᲐ) 232 მუხლში ამოიშალოს სიტყვა „პირველ-დამსწრეთ“;

თ) 233 მუხლში სიტყვები: „უზენაესის ნებადართვით“ შეიცვალოს სიტყვებით: „სენატის ან მთავრობის ნებართვით კუთვნილებისამებრ“;

ი) 295[2] მუხლს დაემატოს შენიშვნა: „ამ მუხლში აღნიშნული წესი არ ვრცელდება სენატორებზე“;

კ) 431 მუხლი შეიცვალოს ასე: „საქართველოში სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნის მომრიგებელ-მოსამართლეს, მათ ყრილობათ, ოლქის სასამართლოს, სასამართლო პალატას და სენატს“;

ლ) სიტყვა „ობერ-პროკურორი“ 300, 306, 329, 329[1] და 330 მუხ. შეიცვალოს სიტყვად „სენატის თავმჯდომარე“, ხოლო დანარჩენ მუხლებში სიტყვად „სენატის პროკურორი“;

მ) ყველა მუხლში ამოიშალოს სიტყვა „უმართებელესი“; სიტყვა „პირველ-დამსწრე“ შეიცვალოს სიტყვებად: „სენატის თავმჯდომარე“; სიტყვა „ობერ-სეკრეტარი“ სიტყვად „მდივანი“; სადაც ნახსენებია: „უმართებელესის სენატის 1-ლი დეპარტამენტი“, იქ აღინიშნოს: „სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილება“; სადაც ნახსენებია: „უმართებელესის სენატის 1-ლ და საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებული საკრებულო“, იქ აღინიშნოს: „სენატის საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებული საკრებულო“; სადაც ნახსენებია: „უმართებელესის სენატის 1-ლ და საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრება“ ან „უმაღლესი სადისციპლინო საკრებულო“, იქ აღინიშნოს: „სენატის საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრება“.

2. „სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებაში“:

ა) გაუქმდეს 1470—1473 მუხ.;

ბ) 678[1] მუხლში სიტყვები: „1-ლ და საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებულ საკრებულოში“ შეიცვალოს სიტყვებად: „სენატის შეერთებულ საკრებულოში“;

გ) 802 მუხ. დაემატოს ბოლოში: „საქმის განხილვის დღე ეუწყებათ საქმეში მონაწილეებს, თუ განუცხადებენ სენატს თავის მისამართს ქ. ტფილისში“;

დ) 803 მუხლში სიტყვები: „განსაზღვრულ მორიგეობით ან ერთმანეთთან შეთანხმებით“ შეიცვალოს სიტყვებად: „სენატის თავმჯდომარის მიერ დანიშვნით“;

ე) 809 მუხ. შეიცვალოს ასე: „თუ განსაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნება, სენატი დაუბრუნებს საქმეს იმავე პალატას ან მომრიგებელ-მოსამართლეთა ყრილობას ხელახლად განსახილველად და გადასაწყვეტად, იმ პირობით, რომ საქმის ახალ განხილვაში მონაწილეობა არ მიიღონ იმ მოსამართლეებმა, რომელთაც გადაწყვეტილებაც გაუქმებულია“;

3) ყველა მუხლში ამოღებულ იქნეს სიტყვა „უმართებელი“; სიტყვა „პირველ-დამსწრე“ შეიცვალოს სიტყვებად: „სენატის თავმჯდომარე“, ხოლო სიტყვა „ობერ-პროკურორი“ შეიცვალოს სიტყვებად: „სენატის პროკურორი ან მისი ამხანაგი“.

8. „სისხლის სამართლის წარმოების წესდებაში“:

ა) გაუქმდეს მუხლები: 235[2], 1061[1], 1061[3], 1071 მუხლის მე-4 პუნქტი, 1075, 1076, 1085, 1088 მუხლის მესამე პუნქტი, 1088[1], 1092—1097, 1105, 1112 ორივე შენიშვნით, 1267—1270 და 1277;

ბ) 917 მუხლი შეიცვალოს ასე: „საქმის განხილვის დღე ეუწყებათ საქმეში მონაწილეებს, თუ განუცხადეს სენატს თავისი მისამართი ქ. ტფილისში, ანუ ტფილისის საპყრობილეებში არიან დაპატიმრებულნი“.

IV. . გაუქმდეს რუსეთის დროებით მთავრობის დადგენილება სადისციპლინო სასამართლოს თაობაზე.

V. გადაიდოს სახელმწიფო ხაზინიდან:

ა) ერთდროულად სენატის დეპარტამენტთა და სენატის პროკურორების კანცელარიების მოსაწყობად და საკანცელარიო ხარჯად: სენატის კანცელარიებისათვის ოც-ოცი ათასი მანეთი და პროკურორების კანცელარიებისათვის ათ-ათი ათასი მანეთი, სულ . . . . . 60.000 მან:

ბ) ყოველთვიურად 1919 წლის ოქტომბრის 1-დან: სენატის, საპროკურორო ნაწილის და საკოდიფიკაციო განყოფილების შესანახად და საკანცელარიო, სამეურნეო, საგზაო და დღიურ ხარჯად, შტატების თანახმად . . . 171.000 მან.

საქართველოს სენატის დებულება

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 29 ივლისს

თავი პირველი

ზოგადი დებულება

1. საქართველოს სენატი არის უზენაესი სასამართლო. იგი: 1) თვალყურს ადევნებს კანონის დაცვასა და სისწორით ასრულებას მთავრობის ყოველ დაწესებულებისა, თანამდებობის პირისა და ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოს მიერ; 2) განაგებს სასამართლო ნაწილს როგორც საკასაციო სასამართლო, და 3) შეასრულებს ყოველ სხვა მოვალეობას ამა დებულებაში აღნიშნულს.

2. სენატი ჰმოქმედებს იმ წესითა და იმ ფარგლებში, რომელიც დადგენილია „სასამართლო დაწესებულებათა დებულებასა", „სისხლის სამართლის წარმოების წესდებასა", „სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებასა" და სხვა სათანადო კანონმდებლობაში, რამდენადაც ეს კანონმდებლობანი შეცვლილი არ არის სენატის ამა დებულებით, ან რესპუბლიკის სხვა მომქმედის კანონით.

3. სასამართლოს და მთავრობის დაწესებულებანი, თანამდებობის პირნი და ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოები ვალდებულნი არიან დაემორჩილნენ სენატის გადაწყვეტილებას იმ საქმეში, რომლის გამო ის გადაწყვეტილებაა გამოტანილი; ხოლო სენატის ის გადაწყვეტილება, რომელიც სხვა საქმეთა შესახებ არის გამოტანილი და გამოქვეყნებულია „სამოქ. სამართ. წარმოების წესდ." 815 მუხ. და „სისხ. სამართ. წარმოების წესდების" 933 მუხლის თანახმად, სახელმძღვანელოდ უნდა იყოს მიღებული კანონის ერთნაირად ასრულებისა და განმარტებისათვის.

4. უ[illegible]იუ სენატმა საქმის განხილვის დროს რაიმე ბოროტმოქმედ[illegible] ან დაუდევრობა აღმოაჩინა რომელსამე უწყებაში,

სათანადო მინისტრს უნდა ეცნობოს; ხოლო თუ ბოროტმოქმედება ან დაუდევრობა ჩადენილია მინისტრის მიერ, რესპუბლიკის მთავრობას უნდა ეუწყოს.

5. სენატი დანიშნავს, როცა საჭიროდ დაინახავს, სასამართლო დაწესებულებისა, მისი ცალკე ნაწილისა და სასამართლო უწყების მოხელეთათვის რევიზიას.

6. უკეთუ სენატი დაინახავს, რომ მინისტრის ან მთავრობის სხვა უმაღლეს წარმომადგენელის ცირკულიარი, განკარგულება ან საავალდებულო დადგენილება ეწინააღმდეგება კანონს, განკარგულება უნდა გასცეს მათის მოქმედების შეჩერებისათვის, ან გააუქმოს იგი სავსებით, ან ნაწილობრივ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ყველა მინისტრს და მთავრობის სხვა უმაღლესს წარმომადგენელს დაევალოს წარუდგინოს სენატს, გამოცემისთანავე, თავის ცირკულიარის, საავალდებულო დადგენილების, ინსტრუქციის, განმარტების და ზოგადის ხასიათის განკარგულების პირი.

7. სენატის ყოველი გადაწყვეტილება და საბოლოო დადგენილება უნდა ეცნობოს სათანადო დაწესებულებას და თანამდებობის პირს ასასრულებლად ბრძანების სახით. უკეთუ ბრძანება სასამართლო საქმეს არ შეეხება და მისი პირი სათანადო მინისტრს უნდა გაეგზავნოს.

8. სენატი თავის მოღვაწეობის ანგარიშს ყოველ წელს წარუდგენს პარლამენტს.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

სენატის ორგანიზაცია და შედგენილობა

9. სენატი იმყოფება ქ. ტფილისში და შესდგება ორის საკასაციო დეპარტამენტისაგან: სისხლის სამართლისა და სამოქალაქოსაგან. სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში დაარსდება საადმინისტრაციო განყოფილება.

10. ამას გარდა, სენატში დაარსდება საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრება და საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებული საკრებულო.

11. თვითეულ საკასაციო დეპარტამენტს ჰყავს შტატით განსაზღვრული რიცხვი სენატორებისა. სენატს ჰყავს თავმჯდომარე და თავმჯდომარის ამხანაგი. თავმჯდომარე განაგებს ამავე დროს ერთ-ერთ დეპარტამენტს, რომელსაც თვით აირჩევს, ხოლო მისი ამხანაგი — მეორეს.

12. სენატის თავმჯდომარეს და მის ამხანაგს, სენატორის მოვალეობის ასრულების გარდა, მიენდობა თავმჯდომარეობა დეპარტამენტში. მოსახსენებელ საქმეების განაწილება სენატორთა შორის, დანიშვნა გამწესრიგებელ და სასამართლოს სხდომებისა და საქმის წარმოების მეთვალყურეობა დეპარტამენტში.

13. როცა სენატის თავმჯდომარეს ან მის ამხანაგს სამსახურის შესრულება არ შეუძლიან ავადმყოფობისა ან სხვა მიზეზის გამო, მის მოვალეობას შეასრულებს იმავე დეპარტამენტის სენატორი, სხვაზე ადრე არჩეული, ხოლო ერთ დროს არჩეულთაგან — წლოვანებით უხუცესი.

14. საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრებაზე და შეერთებულს საკრებულოში თავმჯდომარეობს სენატის თავმჯდომარე, ხოლო თუ ის ვერ დაესწრო — მისი ამხანაგი. საზოგადო კრებისა და შეერთებულ საკრებულოს საქმის წარმოება მოეწყობა იმ დეპარტამენტში, რომელსაც განაგებს სენატის თავმჯდომარე.

15. შეერთებული საკრებულო, თავმჯდომარის გარდა, შესდგება ოთხ სენატორისაგან, რომელსაც სენატის საზოგადო კრება აირჩევს ერთის წლის ვადით ორივე დეპარტამენტის შედგენილობიდან.

16. თვითეულ საკასაციო დეპარტამენტში არსებობს დეპარტამენტის საკრებულო და განყოფილების საკრებულო.

17. დეპარტამენტის, საზოგადო კრებისა და შეერთებულ საკრებულოს სხდომას უნდა დაესწროს საქმეთა განხილვის დროს ორ-მესამედზე მეტი იმ სენატორთა რიცხვისა, რომელთაგანაც შესდგება, კუთვნილებისამებრ, დეპარტამენტის საზოგადო კრება და შეერთებული საკრებულო, ხოლო განყოფილების სხდომას — სამ სენატორზე არა ნაკლები. სხდომას უნდა დაესწრნენ აგრეთვე სენატის პროკურორი ან მისი ამხანაგი და მდივანი.

18. უკეთუ განყოფილების ან დეპარტამენტის სხდომას არ

დაესწრო წინა მუხლში განსაზღვრული რიცხვი სენატორებისაგ, თავმჯდომარე დაუყოვნებლივ მოიწვევს იმავე დეპარტამენტის, ან, თუ ეს შეუძლებელია, მეორე დეპარტამენტის სენატორთა საჭირო რიცხვს.

19. განყოფილების ან დეპარტამენტის სხდომაზე საქმეების განხილვა სწარმოებს ამა დებულების მე-2 მუხლის თანახმად.

20. სენატორებს და მათ შორის თავმჯდომარეს და მის ამხანაგს აირჩევს პირველად დამფუძნებელი კრება ორის წლის ვადით, ხოლო შემდეგ პარლამენტი — ოთხის წლის ვადით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სენატორები ასრულებენ სამსახურს, თუნდაც ვადა გასული ჰქონდეთ, ახლების არჩევამდე.

21. თუ რომელსამე საკასაციო დეპარტამენტში განთავისუფლდა სენატორის ადგილი ვადის გასვლამდე, ახალი სენატორი არჩეულ იქნება დანარჩენ ვადით.

22. არ შეიძლება სენატორის დათხოვნა, ან ერთის დეპარტამენტიდან მეორეში გადაყვანა მისის სურვილის წინააღმდეგ. თანამდებობიდან მისი დროებით გადაყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ სამართალში ან გამოძიებაში იქნება მიცემული; სენატორის სრულიად დათხოვნა თანამდებობიდან შეიძლება მხოლოდ სასამართლოს განაჩენის ძალით.

23. სენატის თავმჯდომარეს, მის ამხანაგს, სენატორს, სენატის პროკურორს და მის ამხანაგს შეუძლიანთ ისარგებლონ წელიწადში ორი თვის თავისუფლებით. ამ ვადის განგრძობა კიდევ ერთის თვით სენატის თავმჯდომარისა, მისი ამხანაგისა და სენატორისათვის შეუძლიან მხოლოდ სათანადო დეპარტამენტს, ხოლო სენატის პროკურორისა და მისი ამხანაგისათვის — იუსტიციის მინისტრს.

24. დეპარტამენტთა საზოგადო კრებისა და შეერთებულ საკრებულოს საქმეთა წარმოების წესრიგი განისაზღვრება სენატის განაწესით. ამ განაწესის პროექტებს, დეპარტამენტის მიერ შედგენილს, საზოგადო კრება ამტკიცებს.

25. ყოველ დაწესებულებასთანა და თანამდებობის პირთან სენატს აქვს პირდაპირი მიწერ-მოწერა.

26. სენატის თვითეულ დეპარტამენტს აქვს თავისი კანცელარია, რომლის მოხელეთა რაოდენობა და ჯამაგირი შტა-

ტით განისაზღვრება. კანცელარიის მოხელეებს დანიშნავს სენატის თავმჯდომარე.[1]

27. სენატთან არსებობს საკოდიფიკაციო განყოფილება, რომლის ხელმძღვანელობა ეკუთვნის სენატის თავმჯდომარეს. საკოდიფიკაციო განყოფილების კანცელარია განისაზღვრება შტატით.[1]

თავი მესამე

სენატის საპროკურორო ნაწილი

28. სენატთან დაარსდება ორი პროკურორის თანამდებობა: ერთი სისხლის სამართლის დეპარტამენტისა და მეორე სამოქალაქოსათვის. მათ ჰყავთ ამხანაგები, რომელთა რიცხვი განისაზღვრება შტატით.

29. პროკურორებს და მათ ამხანაგებს დანიშნავს მთავრობა.

30. პროკურორი ან, მის მიერ დანიშვნით, მისი ამხანაგი წარუდგენს სენატს თავის დასკვნას ყოველ საქმის შესახებ, რომელიც შეტანილია განსახილველად სენატის საზოგადო კრებასა, შეერთებულ საკრებულოსა, საკასაციო დეპარტამენტსა და მის განყოფილებაში საკასაციო წესით თუ არსებითად.

31. თვითეულ პროკურორს აქვს თავისი კანცელარია, რომლის მოხელეთა რიცხვი და ჯამაგირი განისაზღვრება შტატით, მოხელეებს დანიშნავს სათანადო დეპარტამენტის პროკურორი.

თავი მეოთხე

სენატის კომპეტენცია

32. სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტს ექვემდებარება ყოველი საქმე, რომელიც აღნიშნულია „სასამართლო დაწესებულებათა დებულებასა“, „სისხლის სამართლის წარმოების წესდებასა“, სამხედრო სასამართლოს წესდებათა და სხვა სათანადო კანონდებულებაში.

33. სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტს ექვემდებარება

---

[1]. შტატები და ხარჯთაღრიცხვა არ იბეჭდება.

ყოველი საქმე, რომელიც აღნიშნულია „სასამართლო დაწესებულებათა დებულებასა“, „სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებასა“ და სხვა სათანადო კანონდებულებაში.

84. სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილებას ექვემდებარება:

1) საჩივარი და პროტესტი ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების გადაწყვეტილების შესახებ;

2) საჩივარი მინისტრების მოქმედებისა და განკარგულების შესახებ;

3) თხოვნა მის მიერ საადმინისტრაციო საქმის გამო დადგენილ გარდაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ (50 მუხ.);

4) გადაწყვეტა მთავრობის დაწესებულებათა შორის კომპეტენციის გამო ატეხილ დავისა;

5) განხილვა ყოველ საქმისა, რომელიც შეეხება ხაზინის სასარგებლოდ ყოველნაირ გარდასახადისა და ბაჟის აღებას, აგრეთვე განსაზღვრულ შემთხვევაში კანონდებულებათა დარღვევის აღმოჩენისათვის ჯილდოს მიცემას;

6) სახაზინო მართვა-გამგეობის საქმის განხილვა იმ შემთხვევაში და იმ წესით, რომელიც აღნიშნულია სათანადო კანონებში (მუხ. 1297, 1301, 1307 „სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებისა“, გამოც. 1914 წ., მუხ. 7 გამოც. 1910 წ. და შენიშვნა მე-2 ამავე მუხლისა, 1912. გაგრძ. 23—30 „ხაზინის უდაო მოთხოვნილებით გარდასახადთა აღების დებულებისა“, გამოც. 1910 წ. და სხვ.);

7) განხილვა ყოველ საქმისა, რომელიც შეეხება სხვა-დასხვა შემთხვევის გამო ხაზინაში უკანონოდ შესულ ფულის დაბრუნებას;

8) განსაზღვრულ შემთხვევაში საჯარო ვაჭრობათა და ხელშეკრულებათა დამტკიცება, საჯარო ვაჭრობის ნებართვა და აგრეთვე საჯარო ვაჭრობის უნაყოფობის გამო უძრავ ქონებათა ხაზინის საკუთრებად ჩარიცხვა;

9) მფლანგველის ქონებისათვის მეურვეობის დაწესება;

10) იმ მამულის დაგირავების საქმე, რომელიც ვისსამე მფლობელობაშია მის სიცოცხლეში;

11) საქმე ვისიმე ჭკუა-გონების მდგომარეობის შემოწმებისა;

12) ერობისა და ქალაქის თვითმართველობათა მიერ არ-

ჩეულ მომრიგებელ-მოსამართლეთა დამტკიცება და ამ არჩევნების გამო შეტანილ საჩივრის განხილვა;

13) მომრიგებელ-მოსამართლის, მისი თხოვნის თანახმად, სამსახურიდან დათხოვნა;

14) მომრიგებელ-მოსამართლის სამსახურისაგან განთავისუფლება ორ თვეზე მეტის ვადით;

15) საერთოდ ყოველი საქმე, რომელიც კანონით სენატს ექვემდებარება და არ ეკუთვნის სენატის სისხლის სამართლის, ან სამოქალაქო დეპარტამენტის, ან საზოგადო კრების, ან დეპარტამენტთა შეერთებულ საკრებულოს განსახილველი საკითხების რიცხვს;

35. სენატის საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრებას ექვემდებარება:

1) არსებითად საბოლოო გადაწყვეტა საჩივრისა და პროტესტისა იმ საქმის გამო, რომელიც განიხილა სენატის საადმინისტრაციო განყოფილებამ, როგორც პირველმა ინსტანციამ;

2) საბოლოო გადაწყვეტა იმ დავისა, რომელიც აღიძვრის კომპეტენციის გამო სასამართლო და მთავრობის დაწესებულებათა შორის და აგრეთვე სხვა-და-სხვა უწყების სასამართლოს შორის;

3) განხილვა სააპელაციო საჩივრისა, რომელიც შეტანილია სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის გადაწყვეტილების გამო და შეეხება საადმინისტრაციო უწყების და ადგილობრივ თვითმართველობის მოხელეთა ისეთ უკანონო მოქმედებით ან დაუდევრობით მიყენებულ ვნებისა ან ზარალის ანაზღაურებას, რომელიც ან სრულიად არ ეკუთვნის სისხლის სამართლის უწყებას, ან რომლის შესახებ სისხლის სამართლის წარმოება მოსპობილია ან შეჩერებული;

4) განხილვა თხოვნისა იმ გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, რომელიც დადგენილია სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის მიერ სააპელაციო წესით წინა მუხლში ნაჩვენებ საქმეზე, და აგრეთვე განხილვა როგორც თხოვნისა ამ გადაწყვეტილების გადასინჯვის, ისე ამ გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ იმ პირთა თხოვნით, რომელთაც საქმეში მონაწილეობა არ ჰქონიათ მიღებული;

5) განხილვა თხოვნისა, რომ ნება დაერთოს მთხოვნელს მოსთხოვოს სენატორთ ზარალი, მიყენებული იმათის ისეთ უკა-

ნონო, ან მიკერძვით, ან დაუდევარ მოქმედებით, რომელიც ან სრულიად არ ექვემდებარება სისხლის სასამართლოს, ან, რომლის გამო სისხლის სამართლით დევნა მოსპობილია ან შეჩერებული;

6) გადაწყვეტა სენატის ქვემდებარე სადისციპლინო საქმისა სასამართლო უწყების თანამდებობის პირთა და, მათ შორის, სენატორთა შესახებ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, რომელიც აღნიშნულია „სასამართლო დაწესებულებათა დებულების“ 295² მუხლში;

7) გადაწყვეტა იმ საკითხებისა, რომელიც გადატანილია საზოგადო კრების განსახილველად სენატის რომელისამე დეპარტამენტის დადგენილებით;

8) დამტკიცება შეერთებულ საკრებულოში განხილულ საერთო განაწესისა სასამართლო დაწესებულებათათვის;

9) დამტკიცება სენატის საკასაციო დეპარტამენტებისათვის შედგენილ განსაკუთრებულ განაწესისა;

10) დროებით გადაყენება სამსახურიდან სენატის თავმჯდომარისა, მისის ამხანაგისა და სენატორებისა, თუ ისინი სამართალში ან გამოძიებაში იქნებიან მიცემულნი;

11) გადაწყვეტა იმ საკითხისა, რომელიც აღნიშნულია ამა დებულების მეექვსე და ოცდამეექვსე მუხლში, და

12) დანიშვნა ოლქის სასამართლოს და პალატის წევრთა, თავმჯდომარეებისა და მათის ამხანაგებისა; თვითეულ ამ თანამდებობისათვის ოლქის სასამართლოს და პალატის საზოგადო კრებანი კუთვნილებისამებრ წარუდგენენ სენატს ორ-ორ კანდიდატს: უკეთუ სენატი არც ერთს არ იცნობს დანიშვნის ღირსად, თვით დანიშნავს თავის კანდიდატს; თანამდებობის პირთა დანიშვნა მოხდება სენატის საზოგადო კრებაზე ახდილ ხმის მიცემით:

86. სენატის საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებულ საკრებულოს ექვემდებარება:

1) უზენაესი მეთვალყურეობა ყველა სასამართლო დაწესებულებისა და სასამართლო უწყების თანამდებობის პირთა და იმათ მოღვაწეობის რევიზიის დანიშვნა;

2) განხილვა განცხადებისა და თხოვნისა მოსამართლის გადაყენების შესახებ;

3) საჩივარი და პროტესტი სასამართლო პალატის ისეთ დად-

გენილების გამო, რომლითაც გადაჭრილია საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად აკმაყოფილებს ვექილობის მსურველი კანონით დადგენილ ფორმალურ პირობებს, და

4) განხილვა სასამართლო დაწესებულებათა მიერ შედგენილ განსაკუთრებულ განაწესისა, უკეთუ იუსტიციის მინისტრი წარუდგენს შეერთებულ საკრებულოს იმის გამო, რომ ეს განაწესი არ არის შეთანხმებული კანონთან და ან უხერხულობას ჰქმნის ასრულების დროს.

თავი მეხუთე

სენატის დეპარტამენტებში საქმეთა წარმოების წესი

37. სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტში საქმე სწარმოებს იმ წესით, რომელიც აღნიშნულია „სისხლის სამართლის წარმოების წესდებაში“.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სამხედრო სასამართლოს განაჩენის გამო შეტანილ საჩივრისა და პროტესტის განხილვის დროს სენატი იხელმძღვანელებს, სამხედრო სამართლის წესდებით.

38. სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში საქმე სწარმოებს იმ წესით, რომელიც აღნიშნულია „სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებაში“.

39. სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილებაში ის საქმე, რომელიც აღნიშნულია საადმინისტრაციო სასამართლოს დებულებაში და ამა დებულების 34 მუხლის 2 პუნქტში, სწარმოებს იმ წესით, რომელიც აღნიშნულია 40—53 მუხ.

40. საადმინისტრაციო განყოფილების განსახილველად წარდგენილი საქმეები უნდა განაწილდეს სენატორთა შორის მოსახსენებლად.

41. საქმის განხილვის დღე უნდა ეცნობოს როგორც დაწესებულებასა და თანამდებობის პირს, რომელთა მოქმედება და განკარგულება განსაჩივრებულია, ისე საქმის ყოველ მონაწილეს, რომელიც განუცხადებს სენატს თავის მისამართს.

42. მოდავეთა ვექილად ყოფნა შეუძლიან იმ პირს, რო-

მელსაც „სასამართლო დაწესებულებათა დებულებით“ და „სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებით“ უფლება აქვს აწარმოოს სამოქალაქო საქმეები სასამართლო დაწესებულებაში. დაწესებულებასა და თანამდებობის პირს შეუძლიან გაგზავნოს სენატის სხდომაზე განმარტებათა წარსადგენად თავისი რწმუნებული საერთო წესით.

43. საქმის მოხსენება და მოდავეთა სიტყვიერი განმარტება საჯაროდ სწარმოებს იმ შემთხვევის გარდა, როდესაც სენატი საჯარო განხილვას არა სცნობს შესაძლებლად ზნეობის ინტერესის მიხედვით. დადგენილება საქმის დახურულ კარებში მოსმენის შესახებ საჯაროდ უნდა იქნეს გამოცხადებული.

44. საქმის მოხსენების შემდეგ სენატი მოისმენს საქმეში მონაწილეთა, იმათ ვექილთა და რწმუნებულთა განმარტებას და სენატის პროკურორის ან მისის ამხანაგის დასკვნას.

45. უკეთუ საქმის მოსმენის დროს თუნდა ერთი სენატორთაგანი განაცხადებს, რომ საჭიროა საქმე დეპარტამენტში განხილულ იქნეს, იგი დეპარტამენტს უნდა გადაეცეს განსახილველად.

46. მოდავეთა განმარტებისა და პროკურორის ან მისის ამხანაგის დასკვნის მოსმენის შემდეგ სენატი გამოიტანს რეზოლუციას იმ მოტივების აღნიშვნით, რომელიც საფუძვლად დაედო დადგენილ გადაწყვეტილებას, ან უმოტივოდ; უკანასკნელ შემთხვევაში სენატი დაასაბუთებს თავის გადაწყვეტილებას ერთის კვირის განმავლობაში დღიდან რეზოლუციის გამოცხადებისა. რთულ საქმისათვის სენატი შეადგენს უფრო ფრცელ დადგენილებას. სენატის რეზოლუცია და დადგენილება გაეგზავნება აღსასრულებლად სათანადო დაწესებულებას და თანამდებობის პირს.

47. საადმინისტრაციო სასამართლოს დებულებასა და ამა დებულების 34 მუხლის მე-2 პუნქტ. აღნიშნულ საქმეზე აღძრულ როგორც საჩივრისა, ისე პროტესტის გამო სენატს შეუძლიან საქმის არსებითად გადაწყვეტამდე დაადგინოს, რომ შეჩერებულ იქნეს განკარგულება, დადგენილება ან მოქმედება, რომელზედაც საჩივარი ან პროტესტია შეტანილი.

48. საქმის საბოლოო განხილვის შემდეგ სენატი დაადგენს:

1) ან იმას, რომ საჩივარი ან პროტესტი უშედეგოდ იქნეს დატოვებული;

2) ან იმას, რომ დადგენილება, განკარგულება ან მოქმედება, რომელზედაც საჩივარი ან პროტესტია შეტანილი, გაუქმებულ იქნეს;

3) ან იმას, რომ აცნობოს სათანადო დაწესებულებას ან თანამდებობის პირს რომ თავი შეიკავოს განსაზღვრულ მოქმედებისაგან, ან მოახდინოს განსაზღვრული მოქმედება, რომელიც მისთვის სავალდებულოა კანონის ან მთავრობის დადგენილების ძალით, ან რომელიც საჭიროა კანონიერ წესის ან მომჩივნის უფლების აღსადგენად.

4) ან იმას, რომ შეცვლილ იქნეს განსაჩივრებული ან პროტესტის გამომწვევი დადგენილება ან განკარგულება, თუ ასეთი ცვლილება მხოლოდ საქმის მონაწილე პირთა უფლებას შეეხება.

49. საადმინისტრაციო განყოფილების გადაწყვეტილებაზე, თუ ეს გადაწყვეტილება ისეთ საქმეს შეეხება, რომელიც პირველად ამ განყოფილებაშია აღძრული და განხილული როგორც პირველ ინსტანციაში, საქმეში მონაწილე პირთ შეუძლიათ შეიტანონ საჩივარი, ხოლო მინისტრებსა და სხვა თანამდებობის პირთ — პროტესტი სენატის საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრებაში.

50. წინა მუხლში აღნიშნული საჩივარი და პროტესტი უნდა შეტანილ იქნეს ერთი თვის განმავლობაში სენატის დადგენილებისა ან დასაბუთებულ რეზოლუციის გამოცხადების დღიდან და უნდა წარედგინოს იმავე საადმინისტრაციო განყოფილებას, რომელმაც დაადგინა განსაჩივრებული გადაწყვეტილება. თხოვნა და წარდგენილება დადგენილების გადასინჯვის შესახებ, შეტანილი ათის წლის გასვლის შემდეგ დადგენილების დღიდან განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული. თუ თხოვნა ან წარდგენილება შეეხება ისეთ დადგენილების გადასინჯვას, რომლის შეცვლა — გავლენას იქონიებს საქმეში მონაწილის უფლებაზე, უნდა იქნეს წარდგენილი ამ თხოვნის ან პროტესტის პირი, რომელიც გაეგზავნება მას, უკეთუ მისი მისამართი იცის სენატმა. დადგენილებას გადასინჯავს საათანადო დეპარტამენტი, თუნდაც იგი გამოტანილი იყოს განყოფილების მიერ.

51. სენატის იმ დადგენილების შეცვლა და გაუქმება, რომელშიაც საადმინისტრაციო საქმე არსებითად არის გადაჭრილი, შეიძლება დაინტერესებულ პირთა თხოვნით ან მინისტრის წარდგენილებით შემდეგ შემთხვევაში:

1) უკეთუ ისეთი ახალი გარემოება აღმოჩნდა, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტისათვის;

2) უკეთუ სიყალბე აღმოჩნდა ისეთს აქტში, ან სიცრუე მოწმისა ისეთს ჩვენებაში, რომელზედაც დადგენილებაა დამყარებული;

3) უკეთუ იმ საქმეში, რომლის გამოც დადგენილებაა გამოტანილი, აღმოჩნდება შიგ მონაწილე პირის ან მისი წარმომადგენლის ბოროტმოქმედება, ან თანამდებობის პირის სამსახურის დანაშაული, საქმესთან დაკავშირებული, და

4) თუ დაწესებულების ან მოხელის განკარგულება სათანადო წესით უკანონოდ ცნობილ და გაუქმებულ იქნება და ამ გაუქმებას შეუძლიან გავლენა იქონიოს გამოტანილ დადგენილებაზე.

52. თხოვნა და წარდგენილება დადგენილების გადასინჯვის შესახებ (მუხ. 51) შეტანილ უნდა იქნეს ოთხის თვის განმავლობაში. ეს ვადა გამოიანგარიშება:

1) 51 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ შემთხვევისათვის იმ დღიდან, როდესაც მთხოვნელმა შეიტყო ის ახალი გარემოება, რომელიც საფუძვლად უძევს დადგენილების გადასინჯვის თხოვნას;

2) 51 მუხლის მეორე და მესამე პუნქტში აღნიშნულ შემთხვევისათვის იმ დღიდან, როცა ძალაში შევიდა სისხლის სამართლის განაჩენი უკეთუ სისხლის სასამართლოში საქმის წარმოება შეჩერებულია ან მოსპობილი, დღიდან შეჩერებისა ან მოსპობისა; უკეთუ სისხლის სასამართლოში საქმის აღძვრა არ შეიძლებოდა, დღიდან ბოროტმოქმედების აღმოჩენისა, და

3) 51 მუხლის მეოთხე პუნქტში აღნიშნულ შემთხვევისათვის იმ დღიდან, როცა გაუქმებულ იქნა დაწესებულების ან თანამდებობის პირის უკანონო განკარგულება.

53. ხაჩიკარი მინისტრის მოქმედებაზე (34 მუხ. მეორე პუნქტი) შეტანილ უნდა იქნეს იმ ვადისა და წესის დაცვით, რომელიც აღნიშნულია საადმინისტრაციო სასამართლოს დებულების მეთვრამეტე მუხლში.

დ ე კ რ ე ტ ი

კავკასიის მუზეუმის გაუქმებისა და მის ნაცვლად საქართველოს მუზეუმის დაარსებისა

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 1 აგვისტოს

1. გაუქმებულ იქნეს ქალაქ ტფილისში არსებული კავკასიის მუზეუმი.

2. დაარსდეს საქართველოს მუზეუმი, რომელსაც გადაეცეს კავკასიის მუზეუმის ყოველი უძრავი და მოძრავი ქონება და საქმე.

3. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს მუზეუმისა.

4. კავკასიის მუზეუმის ყველა ის მოხელე, რომელიც არ ჩაირიცხება საქართველოს მუზეუმის შტატში, დატოვებულ იქნეს შტატ გარეშე და მიეცეს სალიკვიდაციო დახმარება არსებულ წესისამებრ.

5. საქართველოს მუზეუმს მიეკუთვნოს უფლება:

ა) უბაჟოდ გამოიწეროს და მიიღოს უცხოეთიდან წიგნები, კოლექციები, ხელსაწყოები, ლაბორატორიის მასალა და სამეცნიერო საჭიროების ყოველგვარი ნივთი; ბ) საქართველოს საზღვრებში მიიღოს და ჰგზავნოს უფასოდ ფოსტით სამეცნიერო საჭიროების ყოველგვარი მასალა, წონით არა უმეტეს ერთის ფუთისა.

6. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს მუზეუმისა

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 1 აგვისტოს

1. საქართველოს მუზეუმის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მეცნიერულად შესწავლას; ამისათვის მუზეუმი თავს უყრის, აწესრიგებს, ინახავს და მეცნიერულად ამუშავებს ყოველ მასალასა და კოლლექციას, რაც-კი საქართველოს და მის მეზობელ ქვეყნების ფიზიკურ ბუნებასა, ეთნოგრაფიასა და ისტორია-არქეოლოგიას შეეხება.

2. საქართველოს მუზეუმი შესდგება ხუთის განყოფილებისაგან: ა) გეოლოგიის; ბ) ბოტანიკისა; გ) ზოოლოგიისა, დ) ეთნოგრაფიისა და ე) ისტორია-არქეოლოგიისა.

3. მუზეუმთან არსებობს წიგნთსაცავი, სადაც გროვდება უმთავრესად საქართველოს და მის მოსაზღვრე ქვეყნების შესახებ თხზულებანი;

4. საქართველოს მუზეუმი ექვემდებარება განათლების მინისტრს.

5. მუზეუმს განაგებს სამეცნიერო საბჭო, რომელსაც შეადგენენ: ა) მუზეუმის დირექტორი; იგივე საბჭოს თავმჯდომარე; ბ) მუზეუმის განყოფილებათა ხუთი გამგე და გ) ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსაგან არჩეული ხუთი წარმომადგენელი.

6. მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს კომპეტენციას შეადგენს: ა) მუზეუმის მოქმედების ხელმძღვანელობა პირველ მუხლში აღნიშნულ მიზანთა განსახორციელებლად; ბ) არჩევა დირექტორისა, განყოფილებათა გამგეებისა, სპეციალისტებისა და წიგნთ-საცავის გამგისა, რომელთაც ამტკიცებს საბჭოს წარდგენისამებრ განათლების მინისტრი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ასისტენტს ირჩევს სათანადო განყოფილების გამგე მუზეუმის დირექტორთან შეთანხმებით; ხოლო ამტკიცებს სამეცნიერო საბჭო.

7. მუზეუმის სამეცნიერო საბჭო იკრიბება პერიოდულად თავმჯდომარის თაოსნობით ან საბჭოს სამის წევრის წინადადებით.

8. დირექტორი უახლოესი გამგეა მუზეუმისა და მას ევალება: 1) საადმინისტრაციო და სამეურნეო-საოჯახო საქმეთა გამგებლობა და ამ საქმეთა მომსახურე პირთა შორის განაწილება; 2) უახლოესი მონაწილეობა მეცნიერულ მუშაობაში; 3) გარეშე დაწესებულებასა და პირთან ურთიერთობა; 4) მუზეუმის ერთ-ერთ თავის სპეციალობასთან შესაბამ განყოფილების გამგებლობა; 5) მუზეუმის სამეცნიერო საქმეთა გამო პერიოდულად თათბირის მოწყობა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა სპეციალისტნი, წიგნთ-საცავის გამგე და მუზეუმის უახლოეს თანამშრომელნი.

9. განყოფილებათა გამგეობა ევალება გამგეებს, ხოლო წიგნთსაცავისა მის გამგეს, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან კოლლექციათა და წიგნების დაცვისათვის.

10. თვითეულ განყოფილების წლიური ანგარიში წარედგინება სათანადო განყოფილების გამგის მიერ დირექტორს, რომელიც მუზეუმის სრულს წლიურ ანგარიშს წარუდგენს დასამტკიცებლად სამეცნიერო საბჭოს; ხოლო საბჭოსაგან დამტკიცებული ანგარიში უნდა წარედგინოს მინისტრს.

11. უკეთუ მუზეუმის დირექტორი მოკლე ხნით ან ავადმყოფობისა გამო ვერ განაგებს მუზეუმს, მისის თანამდებობის ასრულება ევალება მუზეუმში სამსახურით უხუცესს გამგეს განყოფილებისას.

12. დირექტორი, სამეცნიერო კოლლეგიუმის წევრნი, წიგნთ-საცავის გამგე და ასისტენტები სარგებლობენ წელიწადში ერთის თვის თავისუფლებით.

13. მუზეუმს აქვს საკუთარი პერიოდული გამოცემანი.

14. მუზეუმის სახსარს შეადგენს: ა) სახელმწიფო ხაზინიდან სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადადებული განსაზღვრული თანხა და ბ) სპეციალური თანხა.

15. მუზეუმისა და სამეცნიერო მიზნებისათვის ხაზინიდან გადადებული თანხა იხარჯება დირექტორის განკარგულებით ხარჯთ-აღრიცხვის სამეცნიერო საბჭოს მიერ განხილვისა და დამტკიცების შემდეგ.

16. მუზეუმის სპეციალ თანხას შეადგენს: ა) მუზეუმში შე-

სასვლელი გადასახადი; ბ) შემოწირულობანი და გ) გამოცემათა და კოლლექციათა დუბლიკატების გაყიდვით აღებული შემოსავალი.

17. მუზეუმის სპეციალი თანხა იხარჯება მოქმედების გაძლიერებისა, სამეცნიერო საჭიროებათა დაკმაყოფილებისა და სამეცნიერო მიზნებისათვის საზოგადო წესით დირექტორის განკარგულებით, სახალხო განათლების მინისტრისაგან ნებართვის მიღების შემდეგ.

18. მუზეუმს აქვს სახელმწიფო ღერბიანი საკუთარი ბეჭედი ღერბის ირგვლივ შემდეგის წარწერით: „საქართველოს მუზეუმი“.

დ ე კ ა რ ე ტ ი

საქართველოს ვექილობის უფლების განსაზღვრისა და ნაფიც ვექილთა ახალ საბჭოს არჩევისა

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 11 ნოემბერს

1. საქართველოს ტერიტორიაზე ნაფიც ვექილად, მის თანაშემწედ და კერძო ვექილად შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს ქვეშევრდომი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. მთავრობას უფლება აქვს შეუთანხმდეს სხვა სახელმწიფოების მთავრობათ, რომ საქართველოს მოქალაქე — ნაფიც ვექილს, მის თანაშემწეს და კერძო ვექილს, უფლება მიეცეს აწარმოოს სხვისი საქმეები უცხო ქვეყნის სასამართლოებში იმ პირობით, რომ ასეთივე უფლება მიენიჭოს უცხო სახელმწიფოს მოქალაქე ნაფიც ვექილს, მის თანაშემწეს და კერძო ვექილს საქართველოში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. იმ ვექილს, რომელსაც ზემოაღნიშნულ მუხლით დაეკარგება უფლება სასამართლოში საქმის წარმოებისა, უფლება მიეცეს დაასრულოს ბოლომდე ის საქმე, რომლის წარმოებაც დაწყებული იქნება სასამართლოს დაწესებულებაში 1920 წლის იანვრის პირველამდე.

2. გაუქმდეს ტფილისის სასამართლო პალატის ოლქის ნაფიც ვექილთა საბჭო,

3. დაარსდეს საქართველოს ნაფიც ვექილთა საბჭო, რომლის ასარჩევად მოწვეულ იქნეს, სასამართლო დაწესებულებათა დებულების მე-358 და 359 მუხლებში განსაზღვრული წესით, საქართველოს მოქალაქე ნაფიც ვექილთა საზოგადოკრება.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან გამოცხადებისა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში".

რ ა ტ ი ფ ი კ ა ც ი ა

საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკების მთავრობათა შორის დადებულ ხელშეკრულებისა, საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ

დამტკიცებულია 1919 წლის 14 ნოემბერს

საქართველოს რესპუბლიკის და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობათა შორის ქალაქ ტფილისში ამა ათას ცხრაას ცხრამეტი წლის ნოემბრის სამს დადებული ხელშეკრულება ტრანზიტის შესახებ — დამტკიცებულ იქნეს.

თ ა რ გ მ ა ნ ი.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს ა ქ ტ ი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ, წარმოდგენილმა შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრის ნოე ბესარიონის ძის რამიშვილის და საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგის სვიმონ გურგენის ძის მდივანის მიერ — ერთის მხრით, — და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობამ, წარმოდგენილმა სტეფანე გრიგოლის ძის მამიკონიანისა და სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტის წევრის სუმბათ არტემის ძის ხაჩატურიანის მიერ — მეორეს მხრით, — გაეცნენ რა ურთიერთის რწმუნებულობას და სცნეს იგი ჯეროვან ფორმით და სახით შედგენილად. — შემდეგი ხელშეკრულება დასდვეს:

1. დაწესდეს თავისუფალი ტრანზიტი, ე. ი. უგადასახადო ტრანზიტი, — იმ ტვირთისათვის, რომელიც იგზავნება სომხეთის რკინის გზით სომხეთის საზღვარს გარეშე ადგილებიდან საქართველოში, ან საქართველოდან სომხეთის საზღვარს გარეშე ადგილებში, და აგრეთვე იმ ტვირთისათვის, რომელიც იგზავნება საქართველოს რკინის გზით, საქართველოს საზღვარს გარეშე ადგილებიდან სომხეთში, ან სომხეთიდან საქართველოს საზღვარს გარეშე ადგილებში.

2. ეს ხელშეკრულება დადებულია სამის წლის ვადით, გარნა მისის დამტკიცების დღიდან ერთის წლის გასვლის შემდეგ,

თვითეულს, ხელშეკრულებაში მონაწილეს, უფლება აქვს მისი გადასინჯვა მოითხოვოს, და ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ძალაში რჩება ექვს თვეს თვით განცხადების დღიდან, თუ ამ ვადის განმავლობაში მონაწილენი გადასინჯვის შესახებ ვერ შეთანხმდნენ, ხელშეკრულება ძალას ჰკარგავს.

3. ამა ხელშეკრულების რატიფიკაციათა გაცვლა უნდა მოწდეს ქ. ტფილისში ორი კვირის განმავლობაში.

4. ხელშეკრულება ესე ორ ცალად არის შედგენილი.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრი

ნ. რამიშვილი.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი

ხვ. მდივანი.

ქალაქი ტფილისი

ათას ცხრაას ცხრამეტი წელი ნოემბრის მესამე დღე.

ტეფანე გრიგოლის ძე

მამიკონიანი.

სომხეთის პარლამენტის წევრი

სუმბათ არტემის ძე ხაჩატურიანი.

რუსულ დედანთან სწორია:

საქართველოს დამფუძნებელი კრების იურიდიულ კომისიის

თავმჯდომარის ამხანაგი ნ. არსენიძე.

АКТЪ ДОГОВОРА

Правительство Республики Грузіи, представленное Министромъ Внутреннихъ делъ и Военнымъ, Ноемъ Виссаріоновичемъ Рамишвили и Товарищемъ Председателя Учредительнаго Собранія Республики Грузіи, Семеномъ Гургеновичемъ Мдивани — съ одной стороны и Правительство Республики Арменіи, представленное Степаномъ Григорьевичемъ Мамиконянъ и Членомъ Парламента Республики Арменіи, Сумбатомъ Артемьевичемъ Хачатурянъ — съ другой стороны, ознакомившись съ полномочіями и найдя ихъ въ должной форме и надлежащемъ виде, заключили настоящій договоръ о нижеследующемъ:

1. Для грузовъ, следующихъ по Армянскимъ железнымъ дорогамъ изъ-за пределовъ Арменіи въ Грузію, или изъ Грузіи за пределы Арменіи, а также для грузовъ, следующихъ по Грузинскимъ железнымъ дорогамъ изъ-за пределовъ Грузіи въ Арменію, или изъ Арменіи за пределы Грузіи устанавливается свободный транзитъ, т. е. транзитъ безъ пошлинъ.

2. Договоръ этотъ устанавливается срокомъ на три года, причемъ, по истеченіи годичнаго срока со дня ратификаціи, каждой изъ договаривающихся сторонъ предоставляется право заявить о пересмотре договора, и въ этомъ случае договоръ остается въ силе въ теченіе шести месяцевъ со дня заявленія. Если въ теченіе этого срока стороны къ соглашенію о пересмотре не придутъ, то действіе договора прекращается.

3. Обменъ ратификаціями настоящего договора долженъ последовать въ двухнедельный срокъ въ городе Тифлисе.

4. Настоящій договоръ составляется въ двухъ экземплярахъ.

Министръ Внутреннихъ Делъ и Военный Республики Грузіи Н. Рамишвили.

Товарищъ Председателя Учредительнаго Собранія Грузіи С. Мдивани.

Степанъ Григорьевичъ Мамиконянъ.

Членъ Парламента Арменіи Сумбатъ Артемьевичъ Хачатурянъ.

Городъ Тифлисъ

Тысяча девятьсотъ девятнадцатаго года ноября третьяго дня.

რ ა ტ ი ფ ი კ ა ც ი ა

საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკების მთავრობათა შორის დადებულ ხელშეკრულებისა, საქართველოს დამფუძნებელ კრების მიერ

დამტკიცებულია 1919 წლის 14 ნოემბერს

საქართველოს რესპუბლიკის და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობათა შორის, ქალაქ ტფილისში ათას ცხრაას ცხრამეტის წლის ნოემბრის სამს დადებული ხელშეკრულება: სადავო საკითხების შეთანხმებით ან საკალდებულო არბიტრაჟით გადაწყვეტის შესახებ — დამტკიცებულ იქნეს.

თ ა რ გ მ ა ნ ი.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს ა ქ ტ ი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ, წარმოდგენილმა შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრის, ნოე ბესარიონის ძის რამიშვილისა და საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგის სვიმონ გურგენის ძის მდივანის მიერ — ერთის მხრით, — და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობამ, წარმოდგენილმა სტეფანე გრიგოლის ძის მამიკონიანისა და სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტის წევრის სუმბათ არტემის ძის ხაჩატურიანის მიერ — მეორეს მხრით, გაეცნენ რა ურთიერთის რწმუნებულობას და სცნეს იგი ჯეროვან ფორმით და სახით შედგენილად, — შემდეგი ხელშეკრულება დასდვეს:

1. ამა ხელშეკრულებაში მონაწილე სახელმწიფონი (სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკები), ვალდებულნი არიან ყოველი დავა, რომელიც არსებობს, ან შეიძლება შემდეგში აღიძრას მათ-შორის, გადასწყვიტონ შეთანხმებით, ხოლო თუ

შეთანხმება არ მოხდა, სავალდებულო არბიტრაჟის საშუალებით.

2. ამა ხელშეკრულების რატიფიკაციათა გაცვლა უნდა მოხდეს ორი კვირის განმავლობაში ქალაქ ტფილისში.

3. ხელშეკრულება ესე ორ ცალად არის შედგენილი.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრი
წ. რამიშვილი.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი
ხ. მდივანი.

ქალაქი ტფილისი

ათას ცხრაას ცხრამეტი წელი
ნოემბრის მესამე დღე.

ბ. ბ. ... ...

ბ. ... ...

ბ. ... ...

АКТЪ ДОГОВОРА

Правительство Республики Грузіи, представленное Министромъ Внутреннихъ Делъ и Военнымъ, Ноемъ Виссаріоновичемъ Рамишвили и Товарищемъ Председателя Учредительнаго Собранія Грузіи, Семеномъ Гургеновичемъ Мдивани — съ одной стороны и Правительство Республики Арменіи, представленное Степаномъ Григорьевичемъ Мамиконянъ и Членомъ Парламента Республики Арменіи, Сумбатомъ Артемьевичемъ Хачатурянъ— съ другой стороны, ознакомившись съ полномочіями и найдя ихъ въ должной форме и надлежащемъ виде, заключили настоящій договоръ о нижеследующемъ:

1. Договаривающіяся Государства (Республики Арменіи и Грузіи), обязываются все существующіе, а также могущіе возникнуть споры между собою, разрешать путемъ соглашенія, а если таковое не будетъ достигнуто, то посредствомъ обязательнаго арбитража.

2. Обменъ ратификаціями настоящаго договора долженъ последовать въ двухнедельный срокъ въ городе Тифлисе.

3. Настоящій договоръ составляется въ двухъ экземплярахъ.

Министръ Внутреннихъ Делъ и Военный Республики Грузіи Н. Рамишвили.

Товарищъ Председателя Учредительнаго Собранія С. Мдивани.

Степанъ Григорьевичъ Мамиконянъ.

Членъ Парламента Арменіи Сумбатъ Артемьевичъ Хачатурянъ.

Городъ Тифлисъ

Тысяча девятьсотъ девятнадцатаго года ноября третьяго дня.

დ ე კ რ ე ტ ი

დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულების დამატებისა[1]

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 21 ნოემბერს

1. დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულების მე-90[1] მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნა:

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. რესპუბლიკის იმ პოლიტიკურ პარტიებსა თუ ჯგუფებს, რომელთაც დამფუძნებელი კრების წინა არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ, უფლება მიეცეთ სოხუმის ოლქის არჩევნებში გამოვიდენ ახალი საკანდიდატო სიებით ამ დებულების თანახმად.

2. ამა (90[1]) მუხლთან დართული შენიშვნა ჩაირიცხოს პირველ შენიშვნად.

3. დეკრეტი ეს ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

დ ე კ რ ე ტ ი

ანარქიის საწინააღმდეგო ზოგიერთი ზომისა

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 21 ნოემბერს

1. დროებით, ანარქიასთან საბრძოლველად, მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება:

ა) აკრძალოს არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი პარტიისა, რომელიც წარმოადგენს უცხოეთის პარტიის ნაწილს და ემორჩილება გარეშე სახელმწიფოში მყოფ მთავარ პარტიულ ორგანოების ხელმძღვანელობას, უკეთუ იგი მოქ-

---

[1] იხ. გვ. 84.

მედებს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან ჩაერევა მის შინაურ საქმეებში, და ასეთი პარტიის ბეჭდვითი ორგანო დახურეს;

ბ) გააძეოს საქართველოს საზღვრებიდან, ან აუკრძალოს განსაზღვრულ ადგილებში ცხოვრება, ან დააპატიმროს ყოველი პირი, რომელიც თავის მოქმედებით ზიანს მიაყენებს საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს, ან ცდილობს მის მთლიანობის დარღვევას, ან სიტყვით, თუ წერილობით ეწევა აგიტაციას რესპუბლიკის წინააღმდეგ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ პუნქტში აღნიშნული დაპატიმრება და განსაზღვრულ ადგილებში ცხოვრების აკრძალვა, მინისტრს შეუძლიან ვადით არა უმეტეს ერთი წლისა, ხოლო ამ ვადის გაგრძელება კიდევ ერთი წლით შეუძლიან შინაგან საქმეთა მინისტრის შუამდგომლობით, მთავრობას.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 19 დეკემბრის კანონი

1. დამტკიცებულ იქნეს ამ კანონთან დართული დებულება ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის საბჭოსი და ამავე საბჭოს შტატი.

2. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან 1 მუხ. აღნიშნულ საბჭოს შტატის შესანახად წლიურად ორას ოთხმოცდაცხრა ათას ორასი (289.200) მან.

3. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

დებულება

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის საბჭოსი

1. იმ საქმეების განსახილველად, რომელიც თავისი მნიშვნელობით ყოველ მხრივ გაშუქებას საჭიროებს, და აგრეთვე ყოველი იმ საკითხის და საქმის მოსაწესრიგებლად, რომელიც კი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის უწყებას შეეხება და რომლის გამო მინისტრი საბჭოს აზრის მოსმენას მოისურვებს, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრთან არსდება საბჭო.

II. კერძოდ საბჭოს საგანს შეადგენს:

1. ახალ კანონთა გამოცემის და აგრეთვე მომქმედ კანონთა შეცვლის შევსების და გაუქმებისათვის მასალის შემუშავება;

2. სახელმწიფო შემოსავალ-გასავალის ხარჯთ-აღრიცხვის წინასწარი განხილვა;

3. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ დასამტკიცებელი წესების და ინსტრუქციების წინასწარი განხილვა, კანონთა და მთავრობის განკარგულებათა შესრულების წესის და აგრეთვე სამინისტროს უწყებაში მყოფ დაწესებულებათა საქმის წარმოების, ანგარიშების შედგენის და წარდგენის წესის შემუშავება;

4. საქმის წარმოების დროს მომქმედ კანონთა უსრულობის ან გაურკვეველობის გამო აღძრულ საკითხების განხილვა;

5. საკანონმდებლო საკითხები, რომელიც ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ დასკვნას საჭიროებს;

6. იმ საკითხების განხილვა, რომელიც სახაზინო საიჯარო საქმეების აღსრულების გამო არის აღძრული.

7. კერძო პირთა, საზოგადოებათა და წარმოებათა მიერ ხაზინის წინააღმდეგ აღძრულ დავა-ცილობის და ხაზინის საჩივრის საქმეები;

8. სარკინისგზო საერობო და კერძო ტარიფის და საბაჟო ტარიფის საკითხები;

9. აქციზ-დადებულ წარმოებათა გარშემო აღძრულ ტეხნიკურ საკითხთა განხილვა და შემუშავება;

10. სახელმწიფო შინაურ და საგარეო სესხის და ხაზინის

მიერ გაცემული სესხის აღების და გადახდის საკითხის განხილვა;

11. სახელმწიფო ბანკსა, შემნახველ კასებსა, ყოველ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო საკრედიტო დაწესებულებასა და წვრილ კრედიტის დაწესებულებაში საქმის მოწესრიგების, მოქმედების და მათ მიერ სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობის გამომწვევ საკითხთა განხილვა;

12. სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდების, ყოველგვარ პაპის, აქციის, ობლიგაციის და გირავნობის ფურცლის კანონიერ შეფასების ცხრილების განხილვა, მათზე სახაზინო გადასახადის და ბაჟის დასაწესებლად და საიჯარო, აქციზის და ყოველგვარ სახაზინო-გადასახადის უზრუნველ-საყოფელ საწინდრად მისაღებად;

13. საერთო მნიშვნელობის ტეხნიკური ღონისძიებანი სავაჭრო ნავთსადგურთა ასაგებად და მოსაწყობად; აგრეთვე ამ ნავთსადგურებში უსაჭიროეს სამუშაოთა გეგმები, რომელიც ხაზინისაგან დიდ ხარჯს მოითხოვს;

14. სავაჭრო ნაოსნობის გასავითარებლად საჭირო ღონისძიებანი და ახალი ნავთსადგურების აგება და არსებულის გაუმჯობესება;

15. სავაჭრო ნავთსადგურების საზღვრების გამორკვევა, სანავთსადგურო ადგილის კერძო პირებზე გაცემის პირობის და სანავთსადგურო მოწყობილებათა სარგებლობის წესის შემუშავება;

16. ნავთსადგურის საკრებულოთა მიერ გამოსაცემი სავალდებულო დადგენილებანი და ამ დადგენილებათა გამო აღძრული საჩივრების გარჩევა;

17. სამთო ნაწილის საგამომძიებლო და სასამართლო საქმეები, სამთო ქარხნების, მაღაროების და შარილის წარმოებით გამოწვეული, ხაზინის და კერძო პირთა შორის დასადები ხელშეკრულებანი, სამკურნალო წყლების დაცვის ფარგლების გამორკვევა და აგრეთვე საერთოდ, სამთო მრეწველობის და კერძოდ მისი ცალკე დარგების განსავითარებელი ღონისძიებანი;

18. ვაჭრობა-მრეწველობის გასავრცელებელ ღონისძიებათა და საერთო გეგმათა განხილვა; ქარხნების და სამრეწველო დაწესებულებათა მოწყობა-მოწესრიგების საერთო ხასიათის

საკითხი და აირეთვე ვაჭრობა-მრეწველობისათვის გამოსაცემი სავალდებულო დადგენილებანი;

19. დასაცველ მოწმობათა და უპირატესობათა მინიჭების საქმეები;

20. სხვა სახელმწიფოსთან ფულის და საქონლის გაცვლის წესრიგის და ნორმების დადგენა;

21. სხვადასხვა კონცესიის გაცემის თაობაზე თხოვნების განხილვა;

22. ხაზინის ანგარიშებიდან უიმედო და შეცდომით შეწერილ დარჩენილ გადასახადის და ჯარიმის გამორიცხვა და აგრეთვე გადასახადის და სხვა შემოსავლის სახით ხაზინაში შეცდომით შეტანილ ფულის დაბრუნება იმ შემთვევაში, როდესაც გამოსარიცხი და დასაბრუნებელი ფულის ჯამი აღემატება იმ რაოდენობას, რომლის გამორიცხვის და დაბრუნების უფლება მინისტრის ხელქვეით დაწესებულებათ აქვთ;

23. თვით საბჭოს მიერ აღძრული საკითხები, როდესაც მინისტრი საჭიროდ სცნობს მათ საბჭოში განხილვას.

III. მინისტრის საბჭოში თავმჯდომარეობს მინისტრი, ან მისი ამხანაგი ან მინისტრის მიერ საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან საგანგებოდ დანიშნული პირი.

IV. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის საბჭო შესდგება: ა) მუდმივ წევრთაგან, რომელთა რიცხვში ითვლებიან: მინისტრის ამხანაგი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტების დირექტორები, სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელი და ისინი, რომელთაც მინისტრი თავის განკარგულებით დანიშნავს მუდმივ წევრებად და ბ) მუდმივ წევრთაგან, რომელთა რიცხვი განსაზღვრულია ამ დებულებასთან დართული შტატით, ეს უკანასკნელნი მინისტრის მიერ წარდგენით მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით ინიშნებიან, განსაზღვრულ ჯამაგირს ღებულობენ და სარგებლობენ სახელმწიფო სამსახურის ყოველი უფლებით.

V. წინა მუხლში ჩამოთვლილ წევრთა გარდა, რომელნიც შეადგენენ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის საბჭოს, საქმის საჭიროებისამებრ საბჭოს, ან მის კომისიების სხდომებზე, მინისტრის განკარგულებით შეიძლება მოწვეულ იქნენ გადამწყვეტი ხმის უფლებით სხვა უწყებათა წარმომადგენელნი სამინისტროს განყოფილებათა და სხვადასხვა ნა-

წილთა უფროსნი და აგრეთვე ადგილობრივ საქალაქო და საერობო თვითმართველობათა, კოპერატიულ საზოგადოებათა ბანკების, სავაჭრო-სამრეწველო და სატეხნიკო წარმოებათა წარმომადგენელნი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. მე-V მუხლში ჩამოთვლილ პირთა გარდა, რომელნიც საბჭოში მონაწილეობას იღებენ გადამწყვეტი ხმის უფლებით, საბჭოს სხდომებზე სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მოწვეულ იქნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლები და ისინი, რომელთა გამოცდილება და ცოდნა საქმისათვის სასარგებლოდ იქნება მიჩნეული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. მე-IV მუხლის ა პუნქტში და V მუხლთან დართულ 1 შენიშვნაში ნაჩვენებ პირთ, საბჭოში ან საბჭოს კომისიებში მონაწილეობისათვის, ფინანსთა მინისტრის განკარგულებით, შეიძლება დაეწიშნოთ საგანგებო გასამრჯელო, ამ საჭიროებისათვის და აგრეთვე საქმის წარმოების, ექსპერტების და საბჭოს წევრების საგანგებო მონდობილობით გამოწვეული მგზავრობის ხარჯის დასაფარავად, ფინანსთა მინისტრის განკარგულებაში ყოველწლიურად გადაიდება საგანგებო კრედიტი.

VI. საბჭოს კრება დაინიშნება საჭიროების და საქმეთა რაოდენობის მიხედვით, თავმჯდომარის განკარგულებით.

VII. საბჭოს მიერ განსახილველი საკითხები დაისმის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის განკარგულებისამებრ. საბჭოს ჟურნალის შედგენა და მისი მიმდინარე მიწერ-მოწერის წარმოება დაევალება საგანგებო მდივანს და საქმისმწარმოებლებს.

VIII. ყოველი საქმე საბჭოში გადასწყდება წევრთა და გადამწყვეტი ხმის მქონე პირთა (მუხ. V) ხმების უბრალო უმეტესობით; თუ ხმები თანაბარია, თავმჯდომარის ხმა გადასწყვეტს საკითხს.

IX. მინისტრის საბჭოს სხდომა კანონიერად ითვლება, თუ მე-IV მუხლში აღნიშნულ წევრთა რიცხვის ნახევარზე ნაკლები არ დაესწრება.

X. საბჭოს მიერ ყოველი მოსმენილი საქმის გამო შესდგება მოკლე ჟურნალი, საბჭოს წევრთა მიერ წარმოდგენილი განსაკუთრებული მოსაზრებანი თან დაერთვის ჟურნალს. ასეთი განსაკუთრებულ მოსაზრებათა წარსადგენად ვადაა შვიდი დღე, იმ სხდომის დღიდან, რომელზედაც გამოტანილ იქსება რომელიმე დადგენილება.

XI. საბჭოს ყოველი დადგენილება წარედგინება დასამტკიცებლად მინისტრს, რომელიც ან სათანადო დეპარტამენტს გადასცემს ასასრულებლად, ან მთავრობას გაუგზავნის, თუ საქმის ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროა ან მთავრობის დადგენილება, ან საკანონმდებლო დაწესებულების მიერ დამტკიცება. უკანასკნელ შემთხვევაში მინისტრს შეუძლია თავის მოხსენებასთან ერთად, გაგზავნოს საბჭოს სხდომების ჟურნალები, საბჭოს წევრთა განსაკუთრებული მოსაზრებიანათურთ.

XII. თუ რომელიმე უწყების, ერთმა ან რამდენიმე წარმომადგენელმა წევრმა, განსაკუთრებული მოსაზრება წარადგინა, საბჭოს დადგენილების ასრულებამდე მინისტრი დასკვნასა სთხოვს იმ მინისტრს, რომელთაც თავის წარმომადგენლები ჰყავდათ საბჭოს ხსენებულ სხდომაზე და უგზავნის მათ სხდომის ჟურნალებს, თავისი დასკვნითურთ. თუ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის დასკვნის საწინააღმდეგო აზრი არ მოუვიდა ერთი კვირის განმავლობაში, მაშინ აღნიშნული დასკვნა მიღებულად ითვლება.

XIII. რთული საკითხების გადასაჭრელად, საბჭოს უფლება ეძლევა გამოჰყოს თავის წრიდან მუდმივი ან დროებითი კომისიები, სხდომებზე სათათბირო ხმით მცოდნე პირთა მოწვევის უფლებით.

XIV. კომისიებს თავმჯდომარეობს მინისტრის ამხანაგი, ან მინისტრის მიერ საგანგებოდ დანიშნული საბჭოს წევრნი და სხვა პირნი.

XV. მუდმივ კომისიათა მუშაობის წესრიგი გამორკვეული უნდა იყოს კომისიისათვის საგანგებო ინსტრუქციით, რომელიც უნდა იქნეს საბჭოსაგან მოწონებული და მინისტრის მიერ დამტკიცებული.

კანონი

სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 31 დეკემბერს

1. დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული წესდების თანახმად დაარსებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბანკი.

2. გაღებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბანკის ძირითად თანხად წესდების მე-2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხაზინიდან ორმოცდაათი (50) მილიონი მანეთი.

3. არსებულ კანონმდებლობის ყოველი ის მუხლი, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდებას, გაუქმებულ იქნეს ბანკის მოქმედების დაწყების დღიდან.

4. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

წესდება

საქართველოს სახელმწიფო ბანკის

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 31 დეკემბერს

I. ზოგადი დადგენილებანი

ბანკის სახელწოდება, მოწყობა და დანიშნულება, მისი თანხები, უფლებანი და მოვალეობანი.

1. ამ წესდების ძალით არსდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკი და ეწოდება „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“, რომლის დანიშნულებას შეადგენს გააღვილება ფულის ტრიალის, ხელის გამართვა მოკლე ვადიან სესხის მიცემით ვაჭრობის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობისათვის და აგრეთვე განმტკიცება ფულის საქმის.

2. ბანკის ძირითადი თანხა, რომლის სულ უდიდესი რაოდენობა განისაზღვრება ორმოცდაათი მილიონი მანეთით, გადაიდება სახელმწიფო ხაზინიდან.

3. ბანკის სათადარიგო თანხა, რომლის განსაკუთრებული დანიშნულებაა აანაზღაუროს ზარალი, თუ ვინიცობაა ბანკის ოპერაციებს მოჰყვა იგი, უნდა შესდგეს ბანკის წმინდა მოგების ნაწილის ყოველწლიურად გადადებით, ამ თანხის მატება უნდა განგრძობილ იქნეს იმ დრომდე, ვიდრე შესდგება ოცდახუთი მილიონი მანეთი.

4. ვიდრე სათადარიგო თანხა ათ მილიონად იქცეოდეს, ყოველწლივ უნდა გადაიდოს წმინდა მოგებიდან არა ნაკლებ ოცი პროცენტისა, ხოლო შემდეგ, ვიდრე ეგ თანხა სრულ ნორმას მიაღწევდეს (მუხ. 3), არა ნაკლებ ათი პროცენტისა.

5. უკეთუ სათადარიგო თანხა შემცირდა ზარალის გასტუმრების მიზეზით, იგი შევსებულ უნდა იქნეს იმ წესით, რომელიც მის შედგენისათვის არის დაწესებული.

6. უკეთუ ბანკის ზარალი სათადარიგო თანხამ ვერ დაჰფარა, დანაკლისი უნდა გასტუმრებულ იქნეს ძირითადის თანხიდან და შემდეგ ეს თანხა უნდა შეავსოს სახელმწიფო ხაზინამ.

7. თანხები ბანკის და ის ფული, რომელიც მიუბარებიათ მისთვის კერძო პირთ, დაწესებულებათ და საზოგადოებათ, აგრეთვე დეპოზიტები ხაზინების, არ შეიძლება დახარჯულ იქნეს სახელმწიფოს საჭიროებისათვის.

8. ბანკის ოპერაციებისაგან შემოსული წმინდა მოგება, იმის გარდა, რაც ამა წესდებისამებრ, გადაირიცხება სათადარიგო თანხის სამატად, ხაზინის შემოსავალს უნდა მიემატოს.

9. ფული, ბანკში დაბინავებული, არ შეიძლება ან შეკრულ იქნეს, ან სეკვესტრდადებული, თუ არ იმ წესით, რომელიც განსაზღვრულია რესპუბლიკის კანონებით, ამასთანავე ისე, რომ სათანადო შემთხვევაში ბანკს უნდა წარედგინოს მის მიერ გაცემული ბილეთები ანუ საანგარიშო წიგნაკები.

10. ბანკის უზრუნველ-საყოფად წარდგენილი ლითონი და სხვა საქონელი, კონოსამენტები და კვიტანციები სატრანსპორტო კანტორების, რკინის გზების და სანაოსნო საზოგადოებათა და სხვა გირაონი არ შეიძლება შეკრულ იქნეს, ან სეკვესტრ-დადებული კერძო ან სახაზინო მომჩივან-მევალის მი-

ერ; აგრეთვე არ შეიძლება ბანკის მოვალეთა იმ ქონებაში აიიოოს, რომლისათვისაც კონკურსია დანიშნული, იმ დრომდე, ვიდრე მოვალე სულ არ გადაუხდის ბანკს, რაც ვალად აუღია, ხვედრის სარგებლით, ჯარიმით და ხარჯით, ამიტომ გირაოს გაყიდვას, რომლითაც უნდა ანაზღაურებულ იქნეს ბანკის მიერ გაცემული სესხი, სასაქართლოს ვერავითარი დადგენილება ვერ შეაჩერებს.

11. ბანკს ნება აქვს მსესხებელსავე დაუტოვოს სასარგებლოდ, ან შესანახად, მისგან თვისის ვალდებულების უზრუნველ-საყოფად მიღებული მოძრავი ქონება, იმ პირობით-კი, რომ ამისთანა ქონების სია იყოს შედგენილი თანდასწრებით არა ნაკლებ სამის მოწმის და ადმინისტრაციის მოხელეთა, და რომ ქონებას ზედ ედოს რაიმე გარეგანი ნიშანი, იმის მაჩვენებელი, რომ ქონება დაგირავებულია (ლუქის ბეჭედი, დამღა, ნიშნიანი ტყვიის ნაჭერი და სხვ.), თუ კი ქონება ისეთია, რომ ასეთის ნიშნის დადება შეიძლება. გირაოს დამალვის ან გაყიდვისათვის, ვიდრე სესხი გადახდილი არ არის მსესხებელი პასუხისგებაში მიეცემა, როგორც გამფლანგავი შესანახად მიბარებული ქონების.

12. წესნი ბანკის ოპერაციების განსამარტებლად და ამა წესდების სათანადო მუხლთა დამატებად, აგრეთვე წესრიგი საქმეთ-წარმოების და ანგარიშის ამავე ბანკის სხვადასხვა დაწესებულებაში, უნდა დამტკიცებულ იქნეს საბჭოს მიერ, მხოლოდ იგი წინდაწინვე უნდა შეუთანხმდეს სახელმწიფო კონტროლიორს ანგარიშების წარმოების წესრიგის თაობაზე.

13. ბანკს აქვს ბეჭედი, რომელზედაც ამოჭრილია სახელმწიფო ღერბი რესპუბლიკის და წარწერილია: „საქართველოს სახელმწიფო ბანკი".

II. ბანკის ოპერაციები

14. ბანკს ნება აქვს შემდეგი ოპერაციები აწარმოოს: 1) გაანაღდოს თამასუქები და სხვა ვადიანი ვალდებულებანი; 2) გასცეს სესხი და გადაუწყვიტოს კრედიტები მსურველთ; 3) მიიღოს ანაბარი ფულად და შესანახად; 4) იყიდოს და გაჰყიდოს თამასუქები და სხვა განძეული; 5) გადაგზავნოს ფული და შეასრულოს სხვა საკომისიო ოპერაცია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ბანკს უფლება აქვს თავის საჭიროებისათვის უძრავ ქონების შეძენის და გაყიდვის.

1. თამასუქის და სხვა ვადიან ვალდებულების განაღდება

15. ბანკი მიიღებს გასანაღდებლად თამასუქებს და ყოველ სხვა გვარ, სავაჭრო ანგარიშზე დამყარებულს, ვადიან ვალდებულებას, აგრეთვე მოწმობას, რომელიც ადასტურებს, რომ მის პატრონს ერგება ფული სახელმწიფო მართველობათაგან და რომელიც ბანკს უდაოდ მიაჩნია, კერძო პირთაგან, სავაჭრო, სამრეწველო და საბანკო ფირმათაგან, საკოოპერაციო და საზოგადოებრივ დაწესებულებათაგან, რომელთაც კი კრედიტი აქვთ გადაწყვეტილი იმ წესით, რომელიც მოხსენებულია ამ წესდების სათანადო მუხლებში.

16. კუპონები ფასიან ქაღალდების, სახელმწიფო და კერძოსი, რომელსაც კი ბანკი საზოგადოდ იღებს გირაოდ ხესხის გასაცემად, თვით ასეთი ფასიანი ქაღალდები, ტირაჟში გამოსული, და სხვა, ყველას შეუძლია წარუდგინოს ბანკს გასანაღდებლად.

17. ბანკი მიიღებს გასანაღდებლად თამასუქებს, მარტივს და შეპირებულს, როგორც საქართველოში, ისე საზღვარ-გარეთ გაცემულს, თუ გადახდა ვალის იმ თამასუქებით აღნიშნულია ერთ-ერთს იმ ადგილას, სადაც არსებობს დაწესებულებანი ბანკის, ან სადაც იმყოფებიან მისი კორესპონდენტები.

18. გასანაღდებლად მიღებული თამასუქები უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა ნაკლებ ორის საიმედო ხელისმოწერით.

19. თამასუქი და ვალდებულება მიიღება გასანაღდებლად მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ აღნიშნულ ვალის გადახდამდე დარჩენილია ვადა არა უმეტეს ექვსის თვისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. შესაძლოა ბანკს ნება მიეცეს, ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებისამებრ მიიღოს გასანაღდებლად რომელიმე განსაზღვრულ ვაჭრობის და მრეწველობის წარმომადგენელთაგან და საკოოპერაციო

ამხანაგობათაგან თამასუქები და ვალდებულებანი, თუ აღნიშნული ვალის გადახდის ვადამდე, ექვს თვეზე მეტი დროა დარჩენილი, ხოლო ცხრა თვეზე მეტი კი არ უნდა იყოს.

20. სიმცირე თამასუქში აღნიშნული ფულის ვერ დააბრკოლებს თამასუქის განაღდების საქმეს.

21. განაღდების პროცენტის რაოდენობას აწესებს ბანკის საბჭო ვაჭრობის და მრეწველობის ვითარებისამებრ, აგრეთვე ფულის ბაზრის მდგომარეობის მიხედვით. ეს პროცენტი შეიძლება ნაკლები იყოს მოკლევადიან თამასუქების განაღდებისათვის, ვიდრე გრძელ-ვადიანებისათვის.

22. სამ თვეში ერთხელ, არა უგვიანეს, უნდა გადასინჯულ იქნეს განაღდებისათვის დაწესებული პროცენტი და ყოველი ცვლილება მისი, უნდა გამოცხადდეს საყოველთაო საცნობელად, თანაც განცხადება გამოიკრას ბანკის დაწესებულების ბინაზე.

23. პროცენტი განაღდებისათვის უნდა გადაახდევინოს ბანკმა წინდაწინვე, იმ დღეთა რიცხვის ანგარიშით, რა ვადითაც დაწერილია ვალდებულების ქაღალდი.

24. იმ თამასუქის და ვალდებულებისათვის, რომლის ვალი უნდა გადახდილ იქნეს გარეშე იმ ქალაქის, სადაც იგი განაღდებულია, შეიძლება, საბჭოს დადგენილებით, განაღდების პროცენტის გარდა, გადახდევინებულ იქნეს დამატებითი სასყიდელი.

25. ბანკს შეუძლია მოითხოვოს, რა დროსაც უნდა, რომ წარედგინოს ბალანსები და ანგარიშები იმ სავაჭრო-სამრეწველო ფირმათა და კერძო საკრედიტო და საბანკირო დაწესებულებათაგან, რომელთა თამასუქების გასანაღდებლად კრედიტი აქვთ ბანკში; აგრეთვე შეუძლია მოითხოვოს ამონაწერები სავაჭრო დავთრების და სხვა ცნობაც, რაც კი საჭირო იქნება მოვალის ქონებრივ მდგომარეობის გამოსარკვევად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ბანკს ნება ეძლევა მოსთხოვოს რესპუბლიკის საზღვართა შორის არსებული საკრედიტო დაწესებულებათ ბალანსები და ანგარიშები, თუნდა კრედიტი არც კი ჰქონდეთ ბანკში და ფული არ გაეტანოთ სესხად.

26. იმათ, ვინც გამოცხადებული იქნება კოტრად, ან ვინც იქამდე მიიყვანს საქმეს, რომ მისი გადასახდელი თამასუქი პროტესტში წავა, თამასუქის კრედიტი დაეხურებათ, ხოლო აღდგენა კრედიტის შეიძლება არა სხვაფრივ, თუ არ იმ საზოგადო წესისამებრ, რომელიც მიღებულია კრედიტის მინიჭებისათვის.

27. უკეთუ ბანკში განაღდებულ თამასუქის ვალის გადამხდელი კოტრი აღმოჩნდა ვადის დადგომამდე, ბანკი აუწყებს ამას თამასუქის წარმომდგენს და იგი ვალდებულია სამის დღის განმავლობაში ან გამოისყიდოს თამასუქი გაკოტრებულის ხელმოწერით და ან იმის მაგიერ სხვა კეთილ-საიმედო გირაო წარმოადგინოს.

28. განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება შეღავათი მიეცეს განაღდებული თამასუქის მოვალეს ვადის გადადებით, ან წვრილ წვრილად შემოტანით, თუნდა პროტესტ მოხდენილი იყოს თამასუქი, ან თუნდ პროტესტამდე არ იყოს საქმე მისული, მაგრამ ამისათვის საჭიროა საბჭოს დადასტურებული, მის წევრთა ორის მესამედის ხმის უმეტესობით ყოველ ცალკე შემთხვევაში აღებული ნებართვა ვალის რაოდენობის მიუხედავად; მაგრამ ასეთი შეღავათი შეუძლიან მისცეს საბჭომ მოვალეს არა უიმისოდ, თუ ვალი უზრუნველყოფილ არ იქნა გირავნობის ქაღალდით და უძრავ ქონების დასაგირავებელ მოწმობით, ან სხვა ღონისძიებით ბანკის საბჭოს შეხედულებისამებრ.

2. სესხი საქონლის და საქონლის-მიერის საბუთების დაგირავებით

29. სახელმწიფო ბანკი იძლევა სესხს ისეთის საქონლის დაგირავებით, რომელიც ადვილად და მალე არ ფუჭდება, აგრეთვე ისეთის საქონლის-მიერის საბუთების დაგირავებით, რომელიც საწყობში ან გზაშია, როგორც, მაგალითად, საქონლის საწყობის და გირავნობის მოწმობაა, კონოსამენტი და კვიტანცია სანაოსნო და სატრანსპორტო დაწესებულებათა, ასლი რკინის გზათა სატვირთო ბარათების და სხ.

30. სესხი გაიცემა მხოლოდ იმ საქონლის დაგირავებით, რომელიც ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცებულ ნუსხაშია ჩარ-

თული. საბჭო ამტკიცებს აგრეთვე იმ დაწესებულებათა სიას, რომლის საქონლის-მიერი საბუთები შესაძლოა მიღებულ იქნეს სესხის უზრუნველსაყოფად.

31. სესხი საქონლის დაგირავებით, გარდა ლითონისა, აგრეთვე საქონლის საწყობთა მოწმობის დაგირავებით, შეიძლება გაიცეს არა უმეტეს ექვსი თვის ვადისა; სესხი კონოსამენტების და სანაოსნო და სატრანსპორტო დაწესებულებათა კონოსამენტების და კვიტანციების დაგირავებით, აგრეთვე რკინის გზათა ტვირთ-ბარათის ასლების დაგირავებით — არა უმეტეს სამის თვის ვადისა, ხოლო სესხი ლითონის დაგირავებით — არა უმეტეს ცხრა თვის ვადისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ბანკის სათანადო დაწესებულებათა ნებართვით შესაძლოა ვადა საქონლის დაგირავებით გაცემულის სესხის გადაიდოს ყოველ ცალკე შემთხვევაში არა უმეტეს სამის თვისა.

32. სესხის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს გირაოს შეფასებისას, რომელსაც განმანაღდებელი კომიტეტი განსაზღვრავს. ამ საზღვართა შორის თითოეულ სესხის რაოდენობა უნდა გადაწყვეტილ იქნეს საქონლის ღირსება-თვისების, მისი დაცვის ვითარების და ვაჭრობა-მრეწველობის მდგომარეობისამებრ.

33. სესხი საქონლის საწყობთა გირავნობის ქაღალდის და საწყობის-მიერის მოწმობის დაგირავებით არ უნდა აღემატებოდეს საქონლის ღირებულების ორ მესამედს. ამავე რაოდენობის სესხი შეიძლება გაცემულ იქნეს ვადით, არა უმეტეს ოთხის კვირისა, რკინის გზათა ტვირთ-ბარათის ასლების დაგირავებით.

34. რაოდენობა სესხად გაცემულის ფულის სარგებლის, უნდა გადასწყვიტოს ბანკის საბჭომ. ეს რაოდენობა შესაძლოა ერთნაირი არ იყოს სხვადასხვა საქონლისათვის. სარგებელი უნდა გადახდევინებულ იქნეს თვით სესხის გაცემისათანავე, ხოლო ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ ოცდაათის დღისა.

35. სესხის მიღების დროს მსესხებელი აძლევს ბანკს ვალდებულების ქაღალდს დაწესებულის სახისას, რომელშიაც მოხსენებული უნდა იყოს უმთავრესი პირობანი სესხის.

36. დასაგირავებლად წარმოდგენილი საქონელი, თუ ცეც-

ხლისაგან შეიძლება დაზიანდეს, ან განადგურდეს, უნდა დაზღვეულ იქნეს ისე, რომ ჯამი დაზღვევის ათის პროცენტით მაინც აღემატებოდეს სესხის რაოდენობას და დაზღვევის ვადაც ყოველ შემთხვევაში ერთის თვით მეტი იყოს, ვიდრე სესხის ვადაა, იმ პირობით, რომ პოლისი ბანკში ინახებოდეს და იმ ბინის ქირაც, სადაც საქონელია დაწყობილი, ერთის თვით მაინც მეტი იყოს გადახდილი, ვიდრე ის ვადაა, რა ვადითაც საქონელია დაგირავებული. ამას გარდა, როცა სესხი გაიცემა სანაოსნო და სატრანსპორტო დაწესებულებათა კონოსამენტების და კვიტანციების დაგირავებით, ის საქონელი, რომლისთვისაც ეს საბუთების ქაღალდებია მიცემული, უნდა დაზღვეულ იყოს იმდენადვე და იმ ვადითვე სხვა გვარ შემთხვევისაგანაც.

37. ხარჯი ხელმეორედ საქონლის აწონვის და გაზომვის, აგრეთვე შენახვა-დაცვის და დაზღვევის დამგირავებელმა უნდა იკისროს.

38. გირაოდ მიღებული საქონელი უნდა ინახებოდეს კეთილ-საიმედო ბინაზე, რომელიც ბანკის ბეჭდით უნდა იყოს დაბეჭდილი. თუ ბანკის გამგეობა საჭიროდ დაინახავს, შეუძლია, ცალკე ზედამხედველობა მიუჩინოს დაგირავებულს საქონელს მის დასაცველად, ხოლო ამისათვის ბანკის მიერ გაწეული ხარჯი უნდა გადახდეს დამგირავებელს.

39. ბანკს ნება აქვს შეამოწმოს დაგირავებული საქონელი, რაც თავის დროზე უნდა ეცნობოს მსესხებელს, და, თუ საჭიროა, მიიღოს ღონისძიება, რათა საქონელი გაფუჭებას გადაარჩინოს ამისათვის გაწეული ხარჯი დამგირავებელს უნდა გადახდეს.

40. თუ დაგირავებული საქონელი გაფუჭდა, ან თუ საქონლის ფასმა დაიწია ათის პროცენტით, ვიდრე შეფასებული იყო და მიღებული გირაოდ, აგრეთვე თუ საქონელი, რომელიც უზრუნველ-ჰყოფს სესხს, დაიკარგა, მსესხებელი, ბანკის მოთხოვნისამებრ, მოვალეა შესაბამისი ნაწილი გადაიხადოს ან დამატებითი გირაო წარადგინოს. თუ ბანკის მოთხოვნა გამოცხადების შემდეგ ექვს დღეში არ შეასრულა მსესხებელმა, სესხად აღებული ფული ვადის გასვლამდე გადახდება.

41. სესხად აღებული ფული შეიძლება ვადამდე იქნას გადახდილი მთლად, ან ნაწილ-ნაწილ და თან განთავისუფლდეს

გირაოდ მიღებული საქონელი, ბანკის შეხედულებისამებრ. ბანკი იქერს მხოლოდ სარგებელს მთელის თვისას და დაწყებულს თვეს სრულ თვედ ანგარიშობს, ხოლო დანარჩენ ვადის სარგებელს მსესხებელს უკან უბრუნებს.

42. მსესხებელს ნება აქვს დაგირავებული საქონელი გაჰყიდოს მხოლოდ იმ პირობით, რომ ჯერ ვალი გადაიხადოს, ან ვალის გადამხდელად მყიდველი შეიპიროს, თუ ბანკი თანახმა გაუხდება.

43. ბანკის მიერ გირაოდ მიღებული საქონელი და საქონლის-მიერი საბუთები ვიდრე მთლად არ იქნება სესხად აღებული ფული გადახდილი, არ შეიძლება დაჭერილ იქნეს არც კერძო და არც სახაზინო მევალის მიერ.

44. თუ მსესხებელი უპირული გამოდგა, დაგირავებული საქონელი, ექვსის საშეღავათო დღის გასვლის შემდეგ იმ დღიდან, როცა ვალი გადახდილი უნდა ყოფილიყო, ინიშნება საჯარო გასასყიდად, ან გაიყიდება ბირჟის მაკლერის შემწეობით, რაც შემოვა, იმ ფულიდან ბანკი აიღებს სესხად გაცემულს, სარგებელს დღემდე საქონლის გაყიდვისა და სხვა ყოველს თავის ხარჯს ამ საქმისათვის გაწეულს, ხოლო რაც გადარჩება, გირაოს პატრონს დაუბრუნებს. ვადის გადაცილების შემდეგ მსესხებელს სარგებელი წლიურად თორმეტი პროცენტი უნდა გადახდეს.

45. ბანკს ნება აქვს გადაიგირაოს კერძო საკრედიტო დაწესებულებათაგან დაგირავებული საქონელი, მხოლოდ უნდა დაცულ იქნეს ამ წესდების მოთხოვნილებანი, საქონლის დაგირავებისათვის დაწესებული.

8. სესხის გაცემა ფასიან ქაღალდების დაგირავებით

46. სახელმწიფო ბანკი აძლევს სესხად ფულს დაგირავებით: 1) ყველა სახელმწიფო და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფასიან ქაღალდის; 2) საიპოტეკო კრედიტის დაწესებულებათა ობლიგაციის და გირავნობის ფურცლის და ადგილობრივ თვითმართველობათა მიერ აღებულ სესხის ობლიგაციის და 3) ბანკის საბჭოს ჩრჩევით უცხო ქვეყნის ქაღალდის და მთავრობის მიერ იმ არა-უზრუნველ-ყოფილ კერძო ფასიან ქაღალდის, რომელიც მიიღება გირაოდ ხაზინის მიერ.

47. ბანკის საბჭო აწესებს ყოველი სამის თვისათვის ღი-

რებულებას გირაოდ მისაღებ ფასიან ქაღალდისას იმ ვარაუ-
დით, თუ რა ფასი აქვს ამ ქაღალდს ბირჟაზე; აწესებს აგ-
რეთვე, თუ რაოდენი ფული შეიძლება გაიცეს სესხად ამ ქა-
ღალდის დაგირავებით. ეს რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს:
სახელმწიფო ანუ მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ქაღალ-
დისათვის ოთხმოც პროცენტს შეფასებისას, საიპოტეკო კრე-
დიტის გირავნობის ფურცლის და ობლიგაციისათვის — სამოც-
დაათს, ხოლო სხვა ქაღალდებისათვის — სამოცს პროცენტს.

48. სესხი გაიცემა ექვსის თვის ვადით, არა უმეტეს: რო-
ცა ვადა დადგება სესხის გადახდის, შეიძლება, ბანკის შეხე-
დულებისამებრ ვადა განგრძობილ იქნეს, მაგრამ არა უმეტეს
სამის თვის.

49. პროცენტის რაოდენობას სესხად გაცემულ ფულისათვის
ბანკის საბჭო განსაზღვრავს. ეს რაოდენობა შესაძლოა ერთი
და იგივე არ იყოს სხვადასხვა ქაღალდისათვის. სარგებელი
ვადამდის უნდა გადახდევინებულ იქნეს წინდაწინვე. მაგრამ
ყოველ შემთხვევაში ოცდაათ დღეზე არა ნაკლები. თუ სეს-
ხი ვადამდე იქნა გადახდილი, ბანკი დაიჭერს სარგებელს სრუ-
ლის თვისას, თუნდა მხოლოდ თვის დამდეგი იყოს, ხოლო და-
ნარჩენ ვადის სარგებელს მსესხებელს უკან დაუბრუნებს.

50. სესხის აღებისათანავე მსესხებელი აძლევს ბანკს ვალ-
დებულების ქაღალდს, რომელშიაც აღნიშნულია უმთავრესი
პირობანი სესხის, თავის მხრივ ბანკი აძლევს მსესხებელს სა-
ხელიანს ბარათს, რომ მიიღო გირაოდ ქაღალდები. ეს ბარა-
თი ისე არ შეიძლება გადაეცეს სხვას ვისმე, თუ არ აღინიშ-
ნა ბანკის დავთრებში.

51. თუ სესხის ვადა გადაცილებულ იქნა, ბანკს უფლება
აქვს გაჰყიდოს გირაო ექვსის საშეღავათო დღის გასვლის შემ-
დეგ. მისთვის სავალდებულო არ არის აუწყოს ეს დამგირავე-
ბელს. შემოსულ ფულიდან ბანკი სესხს დაიბრუნებს, აიღებს
სარგებელს გაყიდვის დღემდე და აინაზღაურებს ყველა ხარჯს,
ხოლო რაც გადარჩება, გირაოს პატრონს დაუბრუნებს, დღიდან
ვადის გადაცილებისა თორმეტი წლიური პროცენტი უნდა
იქნეს ნაანგარიშევი.

52. ბანკი ჰყიდის გირაოს იმ შემთხვევაშიაც, როცა საბირ-
ჟო ფასი დაგირავებულ ქაღალდის ათს პროცენტს დაიკლებს
იმ შეფასებისას, რა შეფასებითაც იყო გირაოდ მიღებული, და

ამასთანავე როცა გირაოს პატრონი ექვსის დღის განმავლობაში დღიდან ამის შესახებ განცხადების, არ შემოიტანს დამატებითს გირაოს, ან არ გადიხდის სათანადო ნაწილს ვალისას.

4. კრედიტის გადაწყვეტა სპეციალ სახელდახელო ანგარიშით

53. ბანკს ნება აქვს გადაუწყვიტოს კრედიტი მსურველს სპეციალი სახელდახელო ანგარიშით ისეთის გირაოთი, რომელიც მიიღება სესხის ვადით გასაცემად, აგრეთვე ისეთ თამასუქის დაგირავებით, რომელიც აკმაყოფილებს მის განაღდებისათვის საჭირო მოთხოვნილებას. ბანკის მართველობამ და საბჭომ ერთად უნდა გადასწყვიტონ, რაოდენი კრედიტი შეიძლება მიენიჭოს კერძო საკრედიტო დაწესებულებას სპეციალი სახელდახელო ანგარიშით.

54. ხსენებული კრედიტი შეიძლება მიენიჭოს მსურველს იმ პირობით, რომ აღებული სესხი ან დაუყოვნებლივ იქნეს გადახდილი ბანკის პირველ მოთხოვნილებისამებრ, ან შემდეგ, იმ ვადაზე, რომელიც წინდაწინვე დაენიშნება.

55. მსესხებელნი თავის კრედიტს სარგებლობენ განსაკუთრებულ წერილის, ან ჩეკის შემწეობით, სპეციალი სახელდახელო ანგარიშით, სარგებელი უნდა გადახდილ იქნეს იმ ვადაზე, რომელიც დაწესდება ამ ანგარიშების დრო და დრო დასაკვნელად, იმ ხნის მიხედვით, რა ხანსაც ფულს ხმარობდა მსესხებელი; ხოლო თუ ფული აღებულია ფასიან ქაღალდების დაგირავებით, სარგებელი უნდა გადახდილ იქნეს არა ნაკლებ ათის დღისა.

56. ყოველ სხვა შემთხვევაში სახელდახელო სპეციალ ანგარიშით წარმოებული კრედიტი ექვემდებარება წესდების ყოველ იმ დადგენილებას, რომელიც შეეხება ვადიან სესხის გაცემას იმავე გირაობის მიღებით.

5. მიღება ანაბარისა

ა) ანაბარი ფულად.

57. ბანკი მიიღებს ანაბარს: 1) სახელდახელო ანგარიშით; 2) უვადოდ და 3) ვადით. ანაბარი მიიღება კერძო კაცთაგან, საავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა-საზოგადოებათაგან, საზოგადოებრივ დაწესებულებათა და ბანკებისაგან.

58. ანაბარი მიიღება ბანკის საბჭოს მიერ განსაზღვრული პირობით, თუ პირობა ვადიან და უვადო ანაბარის შეცვლილ იქნა, ბანკი მოვალეა გამოაცხადოს ერთის თვით ადრე. ვადიან ანაბარისთვის პირობის შეცვლა არ შეიძლება, ვიდრე ის ვადა არ გასულა, რა ვადითაც მიღებულ იქნა ანაბარი.

59. ანაბარის პატრონი, რომელსაც სახელდახელო ანგარიში აქვს ბანკში, თავის ფულს სარგებლობს ჩეკისა და განსაკუთრებული წერილის შემწეობით. წარედგინება რა ანაბარის პატრონის მიერ ხელმოწერილი ჩეკი, ბანკი დაუყოვნებლივ აძლევს ჩეკის წარმდგენელს ფულს, გზავნის ფულს ანაბარის პატრონის განკარგულებისამებრ და სხ.

60. ბანკი მიიღებს ანაბარის პატრონის სახელდახელო ანგარიშით სხვის მიერ მის სახელზე შემოტანილ ფულსაც. ანაბარის პატრონს, რომელსაც სახელდახელო ანგარიში აქვს, შეუძლიან მოითხოვოს, რომ მისგან გაცემული თამასუქი, ან სხვა რამ ფულის ვალდებულება, გამოსყიდულ იქნეს ბანკის მიერ იმ ფულით, რომელიც ანაბარის პატრონის განკარგულებაშია.

61. ის საბუთის ქაღალდი, რომელსაც ბანკი აძლევს უვადო ანაბარის მიღებისათვის, უნდა იყოს მხოლოდ სახელიანი. ვადიან ანაბარის საბუთის ქაღალდი შეიძლება იყოს როგორც სახელიანი, ისე უსახელოც.

62. სახელიანი საბუთის ქაღალდი შეიძლება გადაეცეს სხვას, მაგრამ ბანკის დავთრებში უთუოდ უნდა იყოს აღნიშნული ეს გადაცემა.

63. საბუთის ქაღალდი, უვადო და ვადიან ანაბარის, შესაძლოა მიღებულ იქნეს გირაოდ ხაზინასთან ხელშეკრულობის უზრუნველ-საყოფელად სრულ იმ ფასად, რაც შიგ არის აღნიშნული.

64. თუ ვინიცობაა, დაიკარგა საბუთის ქაღალდი სახელიან ანაბარის, ბანკი აძლევს დამკარგველს ასლს ანაბარის პატრონის მიერ საბუთის ქაღალდის დაკარგვის სამჯერ გაზეთში გამოცხადების შემდეგ. იმავე დროს ბანკი აცხადებს ანაბარის პატრონის ხარჯით დაკარგულ საბუთის ქაღალდს გაუქმებულად.

65. სახელიანი ანაბარი შეიძლება მიეცეს ბანკისაგან თვით ანაბარის პატრონს, მის კანონიერ მემკვიდრეებს, ანუ რწმუ-

ნებულს, როცა წარმოადგენენ საბუთს, რომელიც ადასტურებს იმათ უფლებას ანაბარის მიღებისას. ანაბარი, რომელიც მცირე-წლოვანთ ეკუთვნით, მიეცემა პატრონს იმ წესით, რაც ამ საგნისათვის სპეციალ კანონმდებლობით იქნება დადგენილი. უსახელო ანაბარი მიეცემა ყველას, ვინც ამ ანაბარის საპუთის ქაღალდს წარადგენს.

66. ვადიანი ანაბარი, ვადაზე მოუთხოვნელი, უვადო ანაბარად ჩაითვლება.

ბ) ანაბარი შესანახად

67. ბანკი მიიღებს შესანახად: 1) ფასიან ქაღალდებს; 2) ოქროს, ვერცხლს და ყოველ ძვირფასს ნივთს, და 3) ყოველ-ფვარ საბუთის ქაღალდს.

> შენიშვნა: პირობით შემოტანილი ანაბარი, ე. ი. ისეთი, რომლის მოხმარება და აგრეთვე მის მიერ მოტანილ სარგებლის მოხმარებაც შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა უწყებული გარემოება დადგება, შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემომტანის მიერ დადებული პირობა, არ ეწინააღმდეგება არსებულ კანონებს და არც შეიცავს რაიმე გაურკვევლობას ან სიძნელეს მის აღსასრულებლად. წესი ამისთანა ანაბარის მიღების ცალკე უნდა იქნეს შემუშავებული და დამტკიცებული ბანკის საბჭოს მიერ.

68. ანაბარის შესანახად მიღების საბუთის ქაღალდი ბანკმა უნდა გასცეს პატრონის სახელზე, რაც შეეხება ანაბარის საბუთის ქაღალდის გადაცემას სხვის სახელობაზეც, ასლის მიცემას, თუ ვინიცობაა საბუთის ქაღალდი დაიკარგა, და თვით ანაბარის დაბრუნებას, ამ შემთხვევაში უნდა დაცულ იქნეს ის წესი, რომელიც დადგენილია სახელიან ფულის ანაბარისათვის.

69. თუ ვინიცობაა დავა ატყდა, ან საჩივარი გაიმართა იმის გამო, თუ ვის აქვს უფლება მიიღოს ანაბარი, ბანკი, სათანადო სასამართლოს მოთხოვნილებით, თვით ანაბარს, ან მის საბუთის ქაღალდს უგზავნის თვით სასამართლოს მისდა გან-

საკარგულებლად. ამას გარდა, ბანკს ნება აქვს, თუ ვინიცობაა შესაძლებლად ვერ დაინახა მისცეს ანაბარი, ან მისი კუთვნილი სარგებელი იმას, ვინც მოითხოვა, ერთიც და მეორეც შეიტანოს იმ სასამართლოს დეპოზიტად, რომელსაც ექვემდებარება ბანკის სათანადო დაწესებულება. ამასთანავე ბანკი ამ თავის განკარგულებას სასამართლოს აუწყებს.

70. თუ ანაბარის შენახვისათვის გადასახადი შეტანილ არ იქნა, როცა იმის ვადა გავა ათი წლის განმავლობაში, თუ შესანახად ფასიანი ქაღალდები იყო შეტანილი, და ოცდაათის წლის განმავლობაში, თუ ძვირფასი ნივთები იყო, ანაბარი გასაყიდად დაინიშნება. ფასიანი ქაღალდები გაიყიდება ბირჟის მაკლერის შემწეობით, ხოლო ძვირფასი ნივთები — საჯარო ვაჭრობით. გაყიდვით შემოსული ფული თავის სარგებლით, ან დივიდენდითურთ, ჩაირიცხება უვადო ანაბარად პატრონის სახელობაზე, იმის გამორიცხვით, რომ ბანკს შენახვისათვის ეკუთვნის, რაც ანაბარის გაყიდვაზე ხარჯად გაუწევია და, თუ საჭიროა, სხვა აუცილებელი გადასახდელისაცა.

71. თუ ანაბარი შესანახად არის შემოტანილი, ბანკს შეუძლიან ცალკე გასამრჯელოთი იკისროს მის შესახებ სატირაჟო ცნობების მიწოდება, ტირაჟში გამოსულის ქაღალდების შეცვლა და სხვა მოქმედებაც, რაც კი ანაბარის მოვლა-პატრონობას შეეხება.

72. გასამრჯელოს რაოდენობა ანაბარის შენახვის და აგრეთვე ანაბარის პატრონის მინდობილობის შესრულებისათვის უნდა განსაზღვრულ იქნეს ბანკის საბჭოს მიერ და გამოცხადებული საყოველთაო საცნობელად.

6. განძეულ-საფასურის ყიდვა და გაყიდვა

73. ბანკს ნება აქვს, როცა თავის ოპერაციებისათვის საჭიროდ დაინახავს აწარმოოს ყიდვა და გაყიდვა მარტივ და შეპირებულ თამასუქებისა, იმ განსაკუთრებული წესით, რომელსაც გამგეობა შეიმუშავებს და ბანკის საბჭო დაამტკიცებს.

74. ბანკი აწარმოებს თავის დაწესებულებაში და ბირჟაზე, აგრეთვე საზღვარგარეთ უცხოეთის თამასუქების (ტრატების) და ჩეკების, როგორც მაშინვე გასანაღდებელის, ისე ადიანების, ყიდვა-გაყიდვას, აგრეთვე თითონაც შეუძლიან

გასცეს ასეთი ტრატები და ჩეკები საზღვარ-გარეთის იმ ფირმების სახელზე, რომლებიც მის კორესპონდენტებად ითვლებიან, ამ ოპერაციას აწარმოებენ გამგეობის უახლოესი ზედამხედველობით და ხელმძღვანელობით ბანკის ის დაწესებულებანი, რომელთაც საბჭოს მიერ ნება აქვთ დართული.

75. საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებისამებრ და ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრთან შეთანხმებით, ბანკი აწარმოებს ოქროსა და ვერცხლის ყიდვას და გაყიდვას როგორც საქართველოში, ისე საზღვარ-გარეთ.

76. ბანკი ყიდულობს და ყიდის თავის ხარჯით სახელმწიფოსა და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფასიან ქაღალდებს, კერძო საზოგადოებათა და დაწესებულებათაგან გამოცემულს ისეთ ფასიან ქაღალდებს, რომელთაც ხაზინა გირაოდ იღებს, და აგრეთვე უცხოეთის ფასიან ქაღალდებს. ამ ოპერაციების წარმოების დროს ბანკი მოქმედებს საბჭოს გარდაწყვეტილებისამებრ და საბჭოს მიერვე განსაზღვრულს ფარგლებში.

7. გადაგზავნა ფულის, მიღება ფულის მრწმუნებელთა ანგარიშით და სხვა საკომისიო ოპერაცია

77. ბანკი აწარმოებს ფულის გადაგზავნას იმ ადგილთა შორის, სადაც იმყოფებიან მისნი დაწესებულებანი, ან კორესპონდენტები (მუხ. 85), აგრეთვე იძლევა აკრედიტივებს იმავე ადგილებზე.

78. კერძო პირთა, სავაჭრო-სამრეწველოთა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და სხვადასხვა საზოგადოებას, რომელთაც მისაღები აქვთ ფული იქ, სადაც იმყოფება ბანკის დაწესებულებანი, შეუძლიანთ საბუთები ამ ფულის მიღების, საკომისიოდ ბანკს გადასცენ და ბანკმა იკისროს წარადგინოს ის საბუთები დანიშნულ დროს ფულის მისაღებად, ხოლო მიღებულს ფულს მოექცეს რწმუნებელთა სურვილის თანახმად.

79. თუ საკომისიოდ გადაცემულ საბუთით ფული არ იქნა მიღებული, ბანკი დაუბრუნებს იმ საბუთს თავის რწმუნებელს, რომელიც ვალდებულია უკან მიიღოს. ამასთანავე თამასუქებს ბანკი წინდაწინვე პროტესტში გაგზავნის, თუ რწმუნებლისაგან განცხადებული არ ყოფილა თამასუქის უპროტესტოდ დატოვება.

80. ბანკს შეუძლია იკისროს, საბჭოს ნებართვით, ურთიერთის ანგარიშების გასწორება კერძო პირთა, საბანკო და საკაჭრო დაწესებულებათა და სახლთა შორის, რკინის გზის საზოგადოებათა და სხვა ამ გვარ დაწესებულებათა შორის.

81. ბანკს შეუძლია ითავოს რწმუნებელთა დავალება და აწარმოოს იმათის ხარჯით საქმე ყოველგვარ გასაცემ და მისაღებ ფულისა იმ ზომით, რასაც გასწვდება დავალების აღსრულების დროს ბანკში რწმუნებლის ანგარიშით მყოფი თანხა. პირველ-ხარისხოვან საკრედიტო დაწესებულებათა და საკაჭრო ფირმათა, აგრეთვე რკინის გზის საზოგადოებათ, შეიძლება მიენიჭოს არა უმეტეს ექვსის თვის ვადისა საბლანკო კრედიტი, ე. ბ. ბანკს ნება ეძლევა იმათ მაგიერ გადაიხადოს იმაზე მეტი, რაც იმათ ნაღდად მოეპოვებათ თავიანთ სახელდახელო ანგარიშით, ან რაც კრედიტი აქვთ სპეციალი სახელდახელო ანგარიშით, მაგრამ ყოველის კერძო მოვალისათვის საბჭოს ცალკე ნებართვა უნდა იყოს აღებული; ამასთანავე ამ გვარ კრედიტის რაოდენობამ საერთოდ არ უნდა გადააჭარბოს ბანკის სათადარიგო თანხის ნახევარს.

82. ბანკი საბჭოს ნებართვით და ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით ხელის მოწერას მიიღებს სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და კერძო საზოგადოებათა სესხზედ და აგრეთვე ამ სესხის კონვერსიას აწარმოებს.

83. ბანკი აწარმოებს ფასიან ქაღალდების და საქონლის ყიდვას და გაყიდვას რწმუნებელთა დავალებით და მათისავე ხარჯით აწარმოებს აგრეთვე 77—82 მუხლებში მოხსენებულთ გარდა, სხვა საკომისიო ოპერაციასაც ბანკის საბჭოს ნებართვით და მისგანვე განსაზღვრული პირობით.

84. სასყიდლის რაოდენობა, რომელიც ბანკმა უნდა აიღოს საკომისიო ოპერაციების წარმოებისათვის, უნდა განსაზღვროს ბანკის საბჭომ და გამოაცხადოს საყოველთაო საცნობელად. იმ ანაბართა პატრონთათვის, რომელთაც ბანკში ჩახელდახელო ანგარიშები აქვთ, ეს ოპერაციები შეიძლება აღსრულებულ იქნას დაკლებულის ფასით, ან უსასყიდლოდაც.

85. ბანკს ნება ეძლევა გამოიყენოს სხვა ქართული და უცხო ქვეყნის ბანკების და საბანკო დაწესებულებათა დახმარება კორესპონდენტთა სახით.

8. ბანკის ოპერაციები სახელმწიფო ხაზინის ანგარიშით

86. სახელმწიფო ხაზინის ნაღდი ფული უსარგებლოდ ჩაირიცხება სახელდახელო ანგარიშით სახელმწიფო ბანკში.

87. ბანკს დაევალება აწარმოოს სახელმწიფო ხაზინის ხარჯით შემდეგი ოპერაციები:

1) იხადოს პროცენტი სახელმწიფო სესხის კუპონებით იმ წესისამებრ, რომელიც შემუშავებულ იქნება ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით, გასცეს ახალი საკუპონო ფურცლები და გამოსცვალოს ობლიგაციები, აწარმოოს ტირაჟი, გადაიხადოს ტირაჟში ამოსული ბილეთების საფასური, მოგებული ფული მისცეს მომგებიან სესხის ბილეთებშ ., აწარმოოს ასეთივე ოპერაციები მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ სესხით. ფინანსთა მინისტრთან განსაკუთრებულ მორიგების თანახმად;

2) გაყიდოს ფინანსთა მინისტრის დავალებით ახლად გამოცემული სახელმწიფო და მთავრობისაგან უზრუნველყოფილი ქაღალდები, აგრეთვე გამოსცვალოს კონვერსია-ქმნილის სესხის ობლიგაციები ახალზე და გადაიხადოს ხაზინის ანგარიშით გამოსასყიდელ ობლიგაციების საფასური;

3) მიიღოს სახელმწიფო ხაზინის ანგარიშით სამუდამო ანაბარი ამ საგნისთვის ცალკე დადგენილი და გამოცემული წესით;

4) მიიღოს სათანადო ხაზინების ანგარიშით სახელმწიფო გადასახადი იმ წესისამებრ, რომელიც გამოცემულ იქნება ფინანსთა მინისტრის მიერ ბანკთან შეთანხმებით, ხოლო სათანადო შემთხვევაში ბანკის სახელმწიფო კონტროლიორთან შეთანხმებითაც.

88. ბანკის ყველა ოპერაციას, რომელიც სახელმწიფო ხაზინის ანგარიშით იწერება (მე-87 მუხ.), ცალკე წარმოება აქვს და საკომერციო ოპერაციებში არ უნდა იყოს გარეული.

III. გამგებლობა

89. ბანკის საქმეთა გამგებლობა ჩაბარებული აქვს გამგეობას და საბჭოს.

1. გამგეობა.

90. ბანკის გამგეობას შეადგენს: მმართველი, მმართველის ამხანაგი და გამგეობის ორს წევრზე არა ნაკლები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გამგეობის წევრნი ინიშნებიან სამის წლის ვადით, მაგრამ შემადგენლობა უნდა ახლდებოდეს კენჭის ყრით ამ რიგად: პირველ წელს გადის ერთი წევრი, მეორე წელს — მმართველის ამხანაგი და მეორე წევრი, ხოლო მესამე წელს — მმართველი და დანარჩენი წევრნი.

91. ბანკის მმართველს პირდაპირ პარლამენტი ირჩევს, მმართველის ამხანაგს და გამგეობის წევრთ ამტკიცებს თავიანთ თანამდებობაზე პარლამენტი მმართველის მიერ წარდგენილი ბანკის საბჭოსაგან მოწონებული კანდიდატებისაგან. ამათი დათხოვნა სამსახურიდან ზემოხსენებულისავე წესით სწარმოებს.

92. გამგეობას ეკუთვნის აღმასრულებელი უფლება ბანკის საქმეებში იმდენად, რამდენადაც ეს საქმეები დაქვემდებარებული არა აქვს ბანკის სხვადასხვა ადგილობრივ დაწესებულებას; განკარგულების უფლება ეკუთვნის გამგეობას იმდენად, რამდენადაც იგი დამოკიდებულია საბჭოს გადაწყვეტილებაზე.

93. კერძოდ გამგეობის მოვალეობაა:

1) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ბანკის ოპერაციებს და საზოგადო თვალყური ადევნოს საქმეთ-წარმოების და ანგარიშების სისწორით წარმართვას, ბანკის წესდების მოთხოვნილებათა აღსრულებას და მის ყოველ კასის და საფასურ-განძეულის დაცვას,

2) გაამწესოს და დაითხოვოს ბანკის მოხელენი და საზოგადოდ ბანკის მოხელეობის შესახები განკარგულება მოახდინოს;

3) დანიშნოს რევიზია და გაგზავნოს მოხელენი სამსახურის საქმეთათვის სხვადასხვა ადგილას;

4) განაგოს ხარჯის საქმე კრედიტების გადატან-გადმოტანის უფლებით ბანკის წლიურ ხარჯთ-აღრიცხვის ფარგლებში;

5) შეადგინოს და წარადგინოს, სადაც ჯერ არს, წლიური შარჯთ-აღრიცხვა და ანგარიში ბანკის მოქმედების;

6) განაგოს ყოველი ოპერაცია ბანკის და ამ საქმეში სახელმძღვანელოდ იქონიოს გამგეობის და საბჭოს შეერთებული საკრებულოს დადგენილებანი იმის შესახებ, თუ რაოდენი თანხა უნდა მოხმარდეს თითოეულ, ბანკის წესდების ნებადართულ, ოპერაციას იმ ფულიდან, რაც ბანკის განკარგულებაშია;

7) განსაზღვროს, საბჭოსთან ერთად, ის საქონელი, სარგებლიანი ქაღალდები და ვალდებულებანი, რომელთა დაგირავებით შეიძლება გაცემა სესხის;

8) განსაზღვროს საბჭოსთან ერთად, რაოდენობა სარგებლის და საკომისიო სასყიდლის ბანკის ყოველ ოპერაციისათვის;

9) განაგოს იმ წესით, რომელსაც თვით შეიმუშაებს ფინანსთა მინისტრთან და სახელმწიფო კონტროლიორთან შეთანხმებით და საბჭო მოიწონებს, ის ოპერაციები, რაც ბანკს დაევალება აწარმოოს სახელმწიფო ხაზინის ანგარიშით, ოქროს შესახებ ოპერაციები და განსაკუთრებული ოპერაციები სესხის გამოცემის, კონვერსიების წარმოების და სხ;

10) განიხილოს წინდაწინვე ყველა საქმე, რომელიც ბანკის საბჭოს, ან პარლამენტის გადაწყვეტილებას მოითხოვს;

11) აწარმოოს მიწერ-მოწერა და დამოკიდებულება იქონიოს ბანკის სახელით, დასდოს ხელშეკრულობანი, და შეასრულოს ნასყიდობის სიგელები ბანკის წესდებით ნებადართულ ფარგლებში, აგრეთვე დაიცვას ინტერესები ბანკის სასამართლოში, რისთვისაც უფლება აქვს გარეშე პირიც მიიწვიოს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ბანკის განყოფილებათა მმართველებს, მთავარ ბუხჰალტერს, მთავარ კასირს და ბანკის ინსპექტორს დაამტკიცებს თანამდებობაზე და დაითხოვს სამსახურიდან საბჭო, ბანკის გამგეობის მიერ წარდგენით, ხოლო დანარჩენს მოხელეებს თვით გამგეობა.

94. გამგეობა, როგორც წარმომადგენელი ბანკის, ყველან მის მაგივრობას ეწევა და ამისათვის საჭირო არ არის მისგან ცალკე რწმუნების ქაღალდი, ხოლო თითოეულს წევრს

ბანკისას, არ შეუძლიან იმოქმედოს ბანკის სახელით, თუ ცალკე რწმუნება არა აქვს მიცემული გამგეობისაგან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. რწმუნების ქაღალდები, რომელსაც ბანკი აძლევს ვისმე, ხელშეკრულობანი და სიგელები ხელმოწერილი უნდა იყოს მმართველის და გამგეობის ორი წევრის მიერ, არა ნაკლებ.

95. გამგეობა შეიკრიბება საჭიროებისამებრ, ხოლო კვირაში ერთხელ მაინც უთუოდ, გამგეობის გადაწყვეტილების კანონიერებისათვის საჭიროა კრებას მმართველი და გამგეობის ორი წევრი მაინც დაესწროს. გადაწყვეტილება უნდა დადგენილ იქნეს ხმათა უბრალო უმეტესობით. თუ ხმათა რიცხვი თანაბარ ნაწილად გაიყო, თავმჯდომარის ხმას ეძლევა უპირატესობა. გამგეობის თითოეულ კრებისათვის უნდა შესდგეს მოკლე ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერენ კრებაზე დამსწრე წევრნი.

96. გამგეობის კრებაზე თავმჯდომარეობს ბანკის მმართველი. თავმჯდომარეს უფლება აქვს, თუ საჭიროდ დაინახავს, შეაჩეროს გამგეობის ისეთი დადგენილება, რომელსაც არ ეთანხმება, და საბჭოს წარუდგინოს გადასაწყვეტად.

97. მმართველი, გამგეობის გადაწყვეტილების თანახმად, მიანდობს რომელიმე მოვალეობის აღსრულებას ბანკის გამგებლობის საქმეში, ან ამ გამგებლობის რომელიმე ნაწილის თვალყურის გდებას გამგეობის ცალკე წევრს.

98. მმართველის ამხანაგი სწევს მის მაგივრობას, როცა მმართველი ავადმყოფობის გამო, ან სხვა მიზეზით ბანკში არ იმყოფება, ხოლო დანარჩენ დროს, ასრულებს თავის თანამდებობას ისე, როგორც გამგეობის სხვა წევრი.

2. ბანკის საბჭო.

99. ბანკის საბჭოში თორმეტი წევრია: საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის ამხანაგი და შვიდი წევრი, რომელთაც ნიშნავს პარლამენტი: ამათ გარდა, საბჭოს წევრად თანამდებობით ითვლებიან ორი წარმომადგენელი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი და სახელმწიფო ბანკის მმართველი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ბანკის გამგეობის წევრნი ესწრებიან საბჭოს კრებას სათათბირო ხმით, ხოლო როცა ისეთი საქმეა გადასაწყვეტი, რომლის გადაწყვეტაც ამ წესდების ძალით საბჭოს და გამგეობის შეერთებულს საკრებულოს ექვემდებარება, გამგეობის წევრთ გადამწყვეტი ხმა ეძლევათ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს, ბანკის მმართველთან შეთანხმებით, მოიწვიოს ხოლმე საბჭოს კრებაზე მცოდნე პირნი სათათბირო ხმის უფლებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. საბჭოს წევრნი ინიშნებიან სამის წლის ვადით, მაგრამ შემადგენლობა უნდა ახლდებოდეს კენჭის ყრით ამ რიგად: პირველ წელს ანებებს თავს სამი წევრი, მეორე წელს — თავმჯდომარის ამხანაგი და ორი წევრი და მესამე წელს — თავმდომარე და ორი წევრი.

100. საბჭოს კრება ინიშნება თვეში ერთხელ, არა ნაკლებ, ან პირდაპირ საბჭოს თავმჯდომარის მიერ, ანუ მის მიერვე საბჭოს სამი წევრის მოთხოვნილებით და აგრეთვე ბანკის მმართველის მოთხოვნილებითაც. საბჭოს გარდაწყვეტილებათა კანონიერებისათვის საჭიროა დასწრება საბჭოს თავმჯდომარის და ბანკის მმართველის (ან მათ მოადგილეთა) და საბჭოს არა ნაკლებ ხუთის წევრისა. საქმენი საბჭოში სწყდება უბრალო ხმის უმეტესობით, ხოლო თუ ხმები თანაბრად გაიყო, თავმჯდომარის ხმას ეძლევა უპირატესობა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თუ გადასაწყვეტია საქმე უძრავი ქონების საკუთრებად შეძენის, ან გაყიდვის, ვალის გადახდის ვადის განგრძობის, ან მის წვრილ-წვრილად გადახდის, გირაოს იძულებით გაყიდვის გადადებით და უიმედო ვალების ზარალში ჩამოწერის, ამისთვის საჭიროა კანონიერად შემდგარს კრებაზე ორის მესამედის ხმის უმეტესობა საბჭოს ყველა დამსწრე წევრის.

101. ბანკის საბჭოს მოვალეობაა საერთო ყურისგდება ჰქონდეს ბანკში საქმეთა წარმოებისათვის წესდების თანახ-

მად, აგრეთვე შეამოწმებდეს ბანკის კასებს, მის საფასე-განძეულთ და თვალყური ეჭიროს საქმის წარმოებას და ანგარიშების მიმდინარეობაზე.

კერძოდ ბანკის საბჭოს ექვემდებარება:

ა. ყოველი ის საქმე, რომლის გამოც მისი დადგენილება პარლამენტს წარედგინება დასამტკიცებლად:

1) მოსაზრებანი ბანკის წესდების შეცვლის და დამატებისათვის;

2) განხილვა წლიურის ანგარიშის და ხარჯთ-აღრიცხვის;

3) განსაზღვრა ბანკის გამგეობის წევრთა რაოდენობის იმ შემთხვევაში, თუ იმაზე მეტი რიცხვია საჭირო რაც მოხსენებულია მე-90 მ-ში,

ბ. ის საქმენი, რომელთა საბოლოოდ გადაწყვეტის უფლება აქვს საბჭოს:

1) მოსაზრებანი იმ საკუთარ სახლების აშენების, შეძენის და გაყიდვის შესახებ, რომელიც ბინად აქვს ბანკის დაწესებულებას;

2) დაარსება ბანკის განყოფილების;

3) განსაზღვრა რაოდენობის და არჩევა გამგეობასთან ერთად, გამნაღდებელ-გამსესხებელ კომიტეტების წევრთა;

4) განსაზღვრა სარგებლის და საკომისიო სასყიდლის რაოდენობის ბანკის ოპერაციებისათვის;

5) ნაწილ-ნაწილ გადახდევინება ვალის და მის ვადის გადადება, როცა თამასუქი პროტესტ მოხდენილია ან პროტესტ მოუხდენელი, რაოდენიც უნდა იყოს ვალი, და გადაწყვეტა გირაოს იძულებით გაყიდვის ვადის გადადების;

6) ზარალად ჩამოწერა უიმედო ვალების;

7) გადაწყვეტა საბლანკო კრედიტების (მ. 81);

8) გადაწყვეტა იმ საქმის, რომელიც უთანხმოებას იწვევს გამგეობის წევრთა შორის, ან გამგეობასა და გამნაღდებელ-გამსესხებელ კომიტეტს შორის;

9) დამტკიცება იმ საქონლის და ვალდებულებათა ნუსხის, რომელთა დაგირავებაც შეიძლება ბანკში, და იმ სავაჭრო-სამრეწველო წარმოებათა სიის, რომელთა თამასუქი შესაძლოა განაღდებულ იქნეს ექვს თვეზე მეტის ვადით;

10. აღნიშვნა იმ ფასიან ქაღალდების, რომელიც შეიძლე-

ბა მიღებულ იქნეს სესხის უზრუნველ-საყოფად, და ამ ქაღალდების შეფასება;

11) განმარტება იმ წესის, თუ რა წესით უნდა იქნეს მოვლილი ბანკზე დარჩენილი მამულები, ვიდრე გაიყიდებოდეს;

12) დამტკიცება თანამდებობაზე და დათხოვნა, გამგეობის მიერ წარდგენით, განყოფილებათა მმართველების, მთავარი კასირის, მთავარი ბუხჰალტერის და ბანკის ინსპექტორის;

13) დამტკიცება განყოფილებათა მოქმედების რაიონების და ბანკის სააგენტოების ბადე-ქსელის.

14) ყოველი საქმე, რომელსაც ბანკის მმართველი საჭიროდ დაინახავს საბჭოს წარუდგინოს განსახილველად.

102. საბჭოს წევრს ნება აქვს, საბჭოს დავალებით, დაესწროს ხოლმე ბანკის გამგეობის კრებას.

103. საბჭოს წევრი მიიღებს განსაზღვრულ ჯილდოს იმის მიხედვით, თუ რამდენს კრებას დაესწრება, თავმჯდომარეს კი განსაზღვრული ჯამაგირი დაენიშნება თვიურად.

IV. ბანკის დაწესებულებანი

104. ბანკის დაწესებულებანია: უმთავრესი კონტორა, განყოფილებანი და ბანკის სააგენტოები.

105. ბანკის ტფილისის კონტორა უმთავრესი დაწესებულებაა მისი; იქ არის მოთავსებული უმთავრესი მართველობა ბანკის. ყოველი განყოფილება და სააგენტო ბანკის ადგილობრივი დაწესებულებაა. უმთავრეს კონტორაში, საბანკო განყოფილების გარდა, რომელიც უძღვება ბანკის ყოველს წესდებით ნება-დართულს ოპერაციას, არსებობს შემდეგი განყოფილებანი: საკრედიტო ბილეთების, ადგილობრივ დაწესებულებათა, მთავარი ბუხჰალტერია და კანცელარია.

106. საკრედიტო ბილეთების განყოფილებას ვალად ადევს დამზადება საკრედიტო ბილეთების და მათი გამოცემა, გაცვლა ძველების ახალზე და მოსპობა ხმარებისათვის აღკვეთილ ბილეთების, აგრეთვე დაცვა საკრედიტო ბილეთების ოქროზე დასახურდავებელ თანხის და ლითონის ფონდის.

107. ადგილობრივ დაწესებულებათა განყოფილებას დაევალება ბანკის ადგილობრივ დაწესებულებათა ოპერაციების

საქმეთა წარმოება, აგრეთვე შედგენა იმათთვის საოპერაციო საქმეთა წარმოების წესრიგის, ყურისგდება მათის მოქმედების ანგარიშის მიხედვით და რევიზია ადგილობრივ დაწესებულებათა.

108. მთავარ ბუხჰალტერიაში თავმოყრილია ბანკის საერთო ანგარიშით წარმოება, აგრეთვე დროგამოშვებითი ბალანსების და წლიური ანგარიშების შედგენა.

109. კანცელარიის მოვალეობაა შედგენა ბანკის ყოველწლიური ხარჯთაღრიცხვის და გაძღოლა ხარჯთ-აღრიცხვით ნებადართულ ხარჯის, ყურის გდება მოხელეთა შედგენილობის, სამნეო და სააღმშენებლო ნაწილის, მიწერ-მოწერა და საქმეთ წარმოება ბანკის უმთავრეს კონტორის საერთო საქმეთათვის იმდენად, რამდენადაც ეს მოვალეობა სხვა უმთავრეს კონტორასთან არსებულ განყოფილებათ არ ექნებათ დავალებული.

110. ბანკის უმთავრეს კონტორასთან არსებობს თანამდებობა ბანკის იურისკონსულტის; მისი მოვალეობაა თვალყური ადევნოს ვადაგადაცილებულ ბანკის ვალების გადახდევინებას და ბანკზე დარჩენილ გირაოებს; აგრეთვე შეადგინოს ხელშეკრულებანი და სხვა სამოქალაქო საბუთის ქაღალდები და სასამართლოში ბანკის საქმეები აწარმოოს.

111. ბანკის განყოფილება არსდება რესპუბლიკის უფრო დიდ სავაჭრო-სამრეწველო ადგილებში. თითოეულს განყოფილებას ექვემდებარება მართვა-გამგეობის და ანგარიშების ჩაბარების მხრივ, საბჭოს ცალკე განაწილებით, უწყებული რიცხვი ბანკის აგენტების. რომელნიც შეადგენენ განყოფილების რაიონს.

112. განყოფილებათა და სააგენტოთა დაარსება და მათი გაუქმება რომელიმე რაიონში უნდა გადასწყვიტოს ბანკის საბჭომ, გამგეობის მიერ წარდგენით.

113. თითოეულ ადგილობრივ დაწესებულების (განყოფილების, ან სააგენტოს) ოპერაციათა ფარგალი განისაზღვრება ბანკის საბჭოს მიერ ამ წესდების მიხედვით და ამ ადგილის საჭიროებათა და ეკონომიურ ვითარების შესაფერად, რომელზედაც ვრცელდება დაწესებულების მოქმედება.

114. განყოფილების გამგებლობა ევალება განყოფილების

მმართველს, რომელსაც ამტკიცებს თანამდებობაზე ბანკის საბჭო, გამგეობის მიერ წარდგენით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: დიდს განყოფილებაში შესაძლოა მმართველს დამხმარედ დაენიშნოს ამხანაგი იმ წესით, რომელიც ამავე მუხლშია აღნიშნული.

115. განყოფილების მმართველს ეკუთვნის განყოფილების აღმასრულებელი და საგანმგებლო უფლება, განსაზღვრული ამ წესდებით და ბანკის გამგეობის რომელიმე განკარგულებით. კერძოდ დაევალება:

1) უახლოესი ხელმძღვანელობა გაუწიოს განყოფილების ყოველს ოპერაციას და ყური უგდოს საქმეთა წარმოებას და ანგარიშების მსვლელობას, წესდების და გამგეობის განკარგულებათა აღსრულებას, აგრეთვე კასის და საფასე-განძეულთა დაცვა-შენახვას;

2) აწარმოოს მიწერ-მოწერა განყოფილების სახელით და დასდოს ხელშეკრულებანი და პირობანი წესდებით ნება-დართულ ფარგლებში გამგეობის განკარგულებათა თანახმად;

3) გაამწესოს ის მოხელენი განყოფილებაში და მის ხელქვეით სააგენტოებში, რომელთა მოწვევა მის უფლებას შეადგენს და წარადგინოს ბანკის გამგეობისათვის უმაღლეს თანამდებობაზე დასანიშნავი მოხელენი;

4) დანიშნოს, ან აწარმოოს ადგილობრივი საერთო და კერძო რევიზიები განყოფილების და მის ხელქვეით სააგენტოების;

5) გაგზავნოს სამსახურის საქმის გამო, საცა საჭირო იქნება, მოხელენი განყოფილების და თავის ხელქვეით სააგენტოების და დაავალოს ამათ დროებითის მოვალეობის აღსრულება;

6) წარუდგინოს გამგეობას ხარჯ-აღრიცხვა და წლიური ანგარიში განყოფილების რაიონის, აგრეთვე დრო-გამოშვებითი ანგარიშები რაიონის დაწესებულებათა ოპერაციების;

7) ყური უგდოს ბანკზე დარჩენილს მამულებს;

8) დაიცვას ინტერესები ბანკის სასამართლოს წინაშე რაიონის საზღვრებში და, თუ საჭიროება მოითხოვს, ცალკე პირს მიანდოს ეს საქმე, აგრეთვე ყური უგდოს იმ საქმეების წარ-

ბოებას, რომლითაც ბანკის სასარგებლო ვალები უნდა გადახდეევინებულ იქნეს;

9) განაგოს, გამგეობის დავალებით, სახელმწიფო ხაზინის ოპერაციები, აგრეთვე განაგოს და ასრულოს ყოველი ის ოპერაცია და მოვალეობა, რომელიც განსაზღვრულია ამ წესდების სათანადო მუხლებში.

116. ყოველი ქაღალდი, რომელიც განყოფილებიდან გავა, ხელ-მოწერილი უნდა იყოს მმართველის (ან მმართველის ამხანაგის) და ბუხჰალტერის მიერ:

117. ბანკის სააგენტოში ირიცხებიან: სააგენტოს მმართველი (აგენტი), კასირი და, თუ საჭიროება მოითხოვს ბუხჰალტერი და საქმისმწარმოებელი.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა: აგენტის მოვალეობა შესაძლოა დაეკისროს ერთ-ერთ ადგილობრივ თანამდებობის პირს სააგენტოების მოქმედების რაიონში სათანადო უფროსთან შეთანხმებით.

118. სააგენტოებს დაევალება იმ უმარტივეს საბანკო ოპერაციების წარმოება, რომელსაც განსაზღვრავს ბანკის საბჭო, აგრეთვე ბანკის უმთავრეს კონტორის და განყოფილებათა მინდობილობათა ასრულება ფულის გაცემის და მიღების შესახებ იმ განსაზღვრულ რაოდენობამდე, რომელიც საბჭოს დადგენილებით აღნიშნულ იქნება, შეკრება ბანკის მართველობისათვის საჭირო ცნობათა იმ ადგილის ეკონომიურ ვითარების, სადაც სააგენტოა, და ცნობების მიწოდება მსესხებელთა ნივთიერ მდგომარეობის შესახებ. იმათვე შეიძლება მიენდოს ყურისგდება ბანკზე დარჩენილ მამულების.

V. გამნაღდებელ-გამსესხებელი კომიტეტები

119. გამნაღდებელ-გამსესხებელი კომიტეტები არსდება ბანკის უმთავრეს კონტორასა და განყოფილებასთან იმ აზრით, რომ განსაზღვროს, ვის რამდენი კრედიტი მიეცეს, კერძო პირია, ფირმაა თუ დაწესებულება, და შეაფასოს, რამდენად კეთილ-საიმედოა გასანაღდებლად წარდგენილი თამასუქი, გირაოდ შემოსატანი ქონება თუ საქონელი და საფასურ-განძეული.

120. საქმე კრედიტის გადაწყვეტის, მის მომატების, თამასუქის გასანაღდებლად მიღების და საქონლის დაგირავებით სესხის გაცემის, უეჭველად უნდა განხილულ იქნეს გამნაღდებელ-გამსესხებელი კომიტეტის მიერ.

121. გამნაღდებელ-გამსესხებელი კომიტეტი შესდგება: უმთავრეს კონტორაში — მმართველის ან, გამგეობის დავალებით, გამგეობის ერთ-ერთ წევრისაგან, ხოლო განყოფილებაში — მმართველის ან მმართველის ამხანაგის თავმჯდომარეობით გამგეობის იმ წევრისაგან, რომელსაც აბარია განაღდება-გასესხების ოპერაციები (განყოფილებაში — მთავარ ბუხჰალტერის), და გამგეობის და საბჭოს შეერთებულ კრებაზე არჩეულთაგან: ვაჭრობა-მრეწველობაში ცნობილ პირთა შორის, სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელთა და ადგილობრივ მცოდნე მეურნეთა და მთავარ საკოოპერაციო დაწესებულებათა წარმომადგენელთა შორის. ამათ გარდა, თავმჯდომარეს შეუძლია მიიწვიოს სათათბირო ხმის უფლებით ვაჭრობის და მრეწველობის რომელიმე დარგში მცოდნე პირი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. განყოფილებათა მმართველმა გამნაღდებელ-გამსესხებელი კომიტეტის საწევრო კანდიდატების სია განყოფილების მიერ არჩევის შემდეგ, უნდა წარუდგინოს გამგეობას დასამტკიცებლად.

122. ბანკის გამგეობის და საბჭოს შეერთებულ კრებაზე უნდა დაწესდეს, რამდენი წევრი უნდა იყოს თითოეულ გამნაღდებელ-გამსესხებელ კომიტეტში, კომიტეტის წევრნი რიგრიგად ესწრებიან კომიტეტის სხდომას დადგენილ წესისამებრ, ყოველ-წლივ ნახევარი იმათგანი თავს ანებებს კომიტეტს, ხოლო პირველ წელს გასვლის ჯერი უნდა გადაწყდეს წილის ყრით. ვინც ჯერით თავი დაანება წევრობას, ის შეიძლება კვლავ იქნეს არჩეული.

123. კომიტეტის წევრნი ვალდებულნი არიან ბანკის საქმეთა საიდუმლო დაიცვან.

124. რჩევის და დახმარებისათვის კომიტეტის წევრნი მიიღებენ განსაზღვრულს გასამრჯელოს იმის მიხედვით, თუ რამდენს სხდომას დაესწრებიან.

125. კომიტეტში საქმეები გადაწყდება ხმის უბრალო უმე-

ტესობით; თუ ხმათა რიცხვი გაიყო ორ თანასწორ ნაწილად, თავმჯდომარის ხმა სძლევს. თუ კომიტეტის გადაწყვეტილებას რომელიმე თამასუქის გასანაღდებლად მიღებისათვის, ან კრედიტის რაოდენობის მინიჭებისათვის ბანკის, ან სათანადო განყოფილების მმართველი არ დაეთანხმა, მას შეუძლიან შეაჩეროს ასეთი გადაწყვეტილება და ამ საგნის შესახებ მოხსენება წარუდგინოს საბჭოს. განყოფილების მმართველმა ასეთი მოხსენება გამგეობას უნდა წარუდგინოს. რასაც საბჭო გადასწყვეტს პირველ შემთხვევაში, ან გამგეობა მეორე შემთხვევაში, ის გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიჩნეული საბოლოოდ.

126. იმ დღეებში, როცა კომიტეტის სხდომა არ არის დანიშნული, გამგეობას (ხოლო განყოფილებაში მმართველს ბუხჰალტერთან ერთად) შეუძლიან საკუთარის უფლებით მიიღოს თამასუქი გასანაღდებლად გადაწყვეტილი კრედიტების ფარგლებში, მხოლოდ იმ პირობით, რომ პირველსავე, კრებაზე წარუდგინოს ის თამასუქი გამნაღდებელ-გამსესხებელს კომიტეტს. ასეთ თამასუქის შესახებ, კომიტეტის შენიშვნაში გამგეობამ (განყოფილებაში მმართველმა) უნდა მიიღოს საახელმძღვანელოდ შემდეგისათვის.

127. სია კერძო პირთა, ფირმების და დაწესებულებათა, რომელთაც კრედიტი აქვთ გადაწყვეტილი, გადათვალიერებულ უნდა იქნეს გამნაღდებელ-გამსესხებელ კომიტეტის მიერ ყოველ სამს თვეში ერთხელ.

VI. ბანკის მოხელენი, მათი უფლება და მოვალეობა

128. ბანკის მოხელეთა თანამდებობა და ჯამაგირი, მათთვის მიკუთვნებული, ცალკე ნუსხით განისაზღვრება.

129. ბანკის მოხელეთა რიცხვი თითოეულ დაწესებულებისათვის, აგრეთვე განყოფილებათათვის, იმ შემთხვევათა გარდა, რომელიც ამ წესდებაშია მოხსენებული, უნდა განსაზღვროს ბანკის გამგეობამ საბჭოსთან ერთად ბანკის ოპერაციების განვითარების კვალობაზე.

130. ბანკის გამგეობის უფლებას შეადგენს ბანკის მოხელეთა გამწესება და დათხოვნა, იმათ გარდა, რომელთა დანიშვნის წესი უკვე მოხსენებულია ამ წესდების სათანადო მუხლებში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. გამგეობას შეუძლია ბანკის აღგილობრივ დაწესებულებაში სათანადო მმართველს მიანდოს საქმე მოხელეთა დანიშვნის იმ ცალკე ინსტრუქციის თანახმად, რომელსაც თვით გაუგზავნის მმართველს.

131. იმ პენსიების და შემწეობის გარდა, რომელიც შესაძლოა დაენიშნოს მოხელეს სახელმწიფო ხაზინიდან მის უზრუნველ-საყოფელად სამსახურის თავდანებების შემდეგ საზოგადოდ წესისამებრ და იმ გვარადვე, როგორც რესპუბლიკის სხვა მოხელეებს ენიშნებათ, ბანკს ნება აქვს ამავე საგნისათვის დააარსოს საპენსიო კასა. კასის თანხა შესდგება თვით მოხელეთა ჯამაგირის გამორიცხვიდან და იმ ფულიდან, რომელიც ყოველწლიურად ხარჯთ-აღრიცხვით გადაიდება კასის დებულების თანახმად.

132. ბანკის ყველა მოხელე გამგეობის და საბჭოს წევრნი, მოვალენი არიან დაიცვან საიდუმლო ბანკის ოპერაციების და მის ანგარიშების და თანამდებობაზე გამწესებისთანავე იმათ ხელ-წერილი უნდა ჩამოერთვათ, რომ პირობას შეასრულებენ.

133. ბანკის მოხელეთ და საბჭოს და გამგეობის წევრთ, არ შეუძლიათ არც სესხის აღება ბანკიდან და არც თამასუქების წარდგენა გასანაღდებლად. იმ სახითვე ბანკს არ შეუძლია მიიღოს გასანაღდებლად, ან გადასაგირავებლად იმათ მიერ ხელ-მოწერილი თამასუქი.

VII. ბანკის ხარჯი, ანგარიში და კონტროლი

134. ბანკის ხარჯი ბანკის მოგების ანგარიშით უნდა სწარმოებდეს. ამ ხარჯის აღრიცხვა უნდა შეადგინოს ბანკის გამგეობამ და საბჭოს მიერ განხილვის და სახელმწიფო კონტროლის დასკვნის შემდეგ, პარლამენტს გადაეცეს დასამტკიცებლად. ამ წესითვე დამტკიცდება დამატებითი ხარჯი, რომელიც წინდაწინვე ვერ იქნა დანახული ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს.

135. ბანკის საოპერაციო წელიწადი იანგარიშება იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე.

136. ბანკის მოკლე ბალანსები მის ანგარიშთა მდგომარეობა თითოეულ თვის 1, 8, 16 და 23 რიცხვისათვის უნდა გამოცხა-

დებულ იქნეს ხოლმე საყოველთაო საცნობელად. ამ სახითვე უნდა გამოცხადდეს ბანკის წლიურ ანგარიშის ამონაწერი.

137. ბანკის კუთვნილი სახელმწიფოს და სხვა პროცენტიან ქაღალდების ფასი წლიურ ბალანსებში უნდა იყოს აღნუსხული არა იმ ფასზე მეტად, ვიდრე ნაყიდია, ხოლო თუ საბირჟო ფასი ბალანსის შედგენის დღეს ნასყიდობაზე ნაკლებია, ღირებულება ქაღალდისა უნდა აღირიცხოს კურსისამებრ.

138. ბანკის გამგეობა შეადგენს წლიურს ანგარიშს და, საბჭოს მიერ განხილვის შემდეგ, უგზავნის სახელმწიფო კონტროლიორს შესამოწმებლად და მისის აზრის დასასკვნელად საანგარიშო წლის გასულს, არა უგვიანეს პირველ მაისის.

139. ბანკის ანგარიშების შემოწმება (როგორც უმთავრეს კონტორის, ისე მის ადგილობრივ დაწესებულებათა) სახელმწიფო კონტროლის მოვალეობაა.

140. კონტროლი ამოწმებს ანგარიშს ადგილობრივ დავთრების განხილვით, ანგარიშების და საბუთების გასინჯვით, რათა დარწმუნდეს, რომ ანგარიშში მოხსენებული ხარჯი და ოპერაციები სწორედ და ნამდვილად ეთანხმება ბანკის დავთრებში ჩაწერილს და იქ აღნიშნულ საბუთებს და აგრეთვე, რომ წესდების მოთხოვნილება არ არის დარღვეული.

141. სახელმწიფო კონტროლი წლიურ ანგარიშის შედგენამდეც ამოწმებს წლის განმავლობაში ბანკის კასას და კასასა და სალაროში დაცულ საფასე-განძეულს, ეს რევიზია ბანკის უმთავრეს კონტორაში სწარმოებს სახელმწიფო კონტროლის მოხელეთა მიერ ბანკის საბჭოსაგან ამ საქმისათვის დანიშნულ საბჭოს ორის წევრის თანდასწრებით. ბანკის სხვა დაწესებულებაში ასეთის რევიზიის დროს საბჭოს წევრთა დასწრება სავალდებულო არ არის.

142. შედეგი კონტროლის რევიზიის, როგორც ბანკის უმთავრეს კონტორაში, ისე ადგილობრივ დაწესებულებაში წარმოებულის, უნდა გაეგზავნოს ბანკის გამგეობას, რომელმაც იმ შედეგის შესახები ყოველი გარემოება ბანკის საბჭოს უნდა მოახსენოს.

143. სახელმწიფო კონტროლიორმა თავისი დასკვნა წლიურ ანგარიშის შესახებ, უნდა აუწყოს ბანკის საბჭოს, არა უგვიანეს პირველ ივლისისა საანგარიშო წლის შემდეგ.

144. ბანკის მმართველი, ბანკის ანგარიშს წარადგენს პარლამენტში არა უგვიანეს შემდეგ წლის სექტემბრის პირველისა. ანგარიშს დართული უნდა ჰქონდეს: 1) ბანკის საბჭოს მოხსენება თავისი მოქმედების და ჟურნალი ანგარიშის მის მიერ განხილვის შესახებ და 2) გამგეობის საპასუხო განმარტებანი საბჭოს დასკვნითურთ სახელმწიფო კონტროლიორის შენიშვნების გამო.

1920

ԱՇԽԱՐՀ

პოლიტიკურ, საერთო სისხლის სამართლისა და სამხედრო დანაშაულობის ჩამდენთა ხვედრის შემსუბუქებისა

საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 27 იანვრის დადგენილება

1918 წლის მაისის 26 ქართველი ერის მიერ გამოთქმული ნების ყოფა საქართველოს დამოუკიდებლობა — 1920 წლის იანვრის 12-ს ცნობილ იქნა მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლეს საბჭოს მიერ და საქართველოს სრულუფლებოვან წევრად შევიდა საერთაშორისო ოჯახში. ამ დიად აქტის აღსანიშნავად, პოლიტიკურ, საერთო სისხლის სამართლისა და სამხედრო დანაშაულობის ჩამდენთა ხვედრის შესამსუბუქებლად დამფუძნებელი კრება ა დ გ ე ნ ს:

1. მას, ვისაც დღემდე ამა დადგენილების მიღებისა გადაწყვეტილი აქვს სიკვდილით დასჯა, ან ეს სასჯელი უნდა მიესაჯოს დღემდე ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის, სიკვდილით დასჯა შეეცვალოს ხუთმეტი წლის კატორღად.

2. განთავისუფლებულ იქნეს სამართლისა და სასჯელისაგან ის, ვინც პასუხისგებაშია მიცემული სისხლის სამართლის დებულების მე-100 მუხლით გათვალისწინებულ ბოროტმოქმედებისათვის.

ეს მუხლი არ ვრცელდება იმაზე, ვისაც ბრალად ედება სხვა მძიმე დანაშაულობა, რომლისთვისაც კანონით დადებულია ყოველი უფლების აყრა, აგრეთვე წამქეზებლებზე, ხელმძღვანელებზე და მეთაურებზე იმ დანაშაულობისა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის დებულების მე-100 მუხლში.

8. განთავისუფლებულ იქნეს სამართლისა და სასჯელისაგან ის, ვისაც დღემდე ამა დადგენილების მიღებისა ჩაუდენია ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც კანონით განსაზღვრულია სასჯელი არა უდიდესი ციხეში ან სატუსაღოში დამწყვდევისა, თუნდაც ამ სასჯელს თანა სდევდეს უფლებათა აყრა ან შეზღუდვა; აგრეთვე ის, ვისაც უფრო მძიმე დანაშაულისათვის მისჯილი აქვს ან მიესჯება ასეთივე სასჯელი.

ეს მუხლი არ ვრცელდება იმაზე, ვისაც სასჯელთა დებულების 77 მუხ. ძალით (კანონთა კრებული ტ. 15. 1885 წ. გამოცემა) პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა უნდა შეეცვალოს სატუსაღოში დამწყვდევით, აგრეთვე იმაზე, ვისაც ბრალად ედება პირადი პატივის შელახვა, თვითნებობა, ფიზიკურ ხელშეუხებლობის და ჯანმრთელობის წინააღმდეგი დანაშაული, რომელთა შესახებ საჩივარი მხოლოდ კერძო წესით აღიძვრის.

4. განთავისუფლებულ იქნეს სამართლისა და სასჯელისაგან ის, ვისაც 1918 წლის მაისის 26-მდე ჩაუდენია დანაშაული, გარდა ისეთისა, რომლისთვისაც კანონით დადებულია კატორღით დასჯა.

5. განთავისუფლებულ იქნეს გასამართლების ყოველი შედეგისაგან ის, ვიზედაც ვრცელდება ამა დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლის ძალა. ამათგან, ვისაც მისჯილი ჰქონდა უფლების აყრა ან შეზღუდვა, აგრეთვე მათ შვილებს, დაბადებულთ განაჩენის დადების შემდეგ, დაუბრუნდეთ ყოველი უფლება, რომელიც მათ ეკუთვნოდათ გასამართლებამდე.

ამ მუხლის ძალით უფლებები დაუბრუნდეს იმათაც, ვინც უკვე მოიხადა სასჯელი ამა დადგენილების გამოცხადებამდე.

6. მას, ვისაც ამა დადგენილების მიღების დღემდე ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის მისჯილი აქვს ან შემდეგში მიესჯება კატორღა, პატიმართა გამასწორებელი განყოფილება უფლების და უპირატესობის აყრით, სასამართლოს მიერ დადებული სასჯელის ვადა ნახევრად შეუმცირდეს, ხოლო უვადო კატორღა შეეცვალოს თორმეტი წლის კატორღად, კატორღის ვადის შემცირების დროს სათანადოდ უნდა შემცირებულ იქნეს გამოსაცდელ ხანის ვადაც.

7. მე-6 მუხლში აღნიშნულ პირთ, პატიმართა გამასწორებელ განყოფილებაში სასჯელის მოხდის შემდეგ, მიეცეთ უფ-

ლება ყოველგან ცხოვრებისა გასამართლების ყოველივე შედეგისაგან განთავისუფლებით და უფლების დაბრუნებით ამა დადგენილების მე-5 მუხლის თანახმად. მოქმედება ამა მუხლის გავრცელებულ იქნეს იმ პირებზედაც, ვინც მოიხადა გადაწყვეტილი სასჯელი დღემდე ამა დადგენილების მიღებისა.

8. ამა დადგენილების ძალით სასჯელისაგან განთავისუფლება არ ანთავისუფლებს დამნაშავეს ზიანისა და ზარალის ანაზღაურებისაგან, პატენტის, სავაჭრო და სამრეწველო მოწმობის ღირებულებისა, ხვედრ აქციზის ან სხვა გადასახადის შეტანისა და სახელმწიფო ხაზინის მიერ გაწეულ სასამართლოს ხარჯების ანაზღაურებისაგან, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნივთების და საგნების ჩამორთმევისა ან მათის ღირებულების გადახდევინებისაგან და ყველა იმის გასწორებისა ან მოსპობის ვალდებულებისაგან, რაც ჩადენილია კანონის მოთხოვნილების წინააღმდეგ.

9. იმ შემთხვევაში, როცა ვისმე სასჯელი უნდა დაედოს დანაშაულობათა გაერთიანებისა და სასჯელთა შეერთების წესის მიხედვით ისეთ მოქმედებათათვის, რომელთაგან ზოგს ეხება ეს დადგენილება, ზოგს კი არა, დადგენილება ესე გავრცელებულ უნდა იქნეს მხოლოდ პირველზე, რის შემდეგ სასჯელის საერთო ვადა განისაზღვრება შეერთებისა და გაერთიანების წესების მიხედვით.

10. განთავისუფლებულ იქნეს საკატორღო მუშაობისაგან ის, ვინც დასჯილია ან უნდა დაისაჯოს ბოროტმოქმედებისათვის, რომელიც ჩადენილია ამა დადგენილების მიღების დღემდე — არა სრულწლოვანთაგან 18 წლის შესრულებამდე, ასეთებს კატორღა შეეცვალოს სატუსაღოში დაპატიმრებით და ვადა გაუნახევრდეს.

11. ის, ვინც გაიქცა იმ ადგილიდან, სადაც დამწყვდეული იყო, ან კატორღიდან, არ დაისჯება გაქცევისათვის, უკეთუ ამა 1920 წლის მარტის 12-მდე თავისი ნებით დაბრუნდა დამწყვდევის ადგილას ან გამოცხადდება მთავრობის დაწესებულებაში თავის საცხოვრებელ ადგილას, მხოლოდ დაბრუნებულ იქნება იმ მდგომარეობაში, რომელშიაც გაქცევამდე იმყოფებოდა, ჩაერიცხება მისთვის განსაზღვრული სასჯელის ვადის ის ნაწილი, რომელიც უკვე მოხდილი ჰქონდა გაქცევამდე და ამა დადგენილებით ბოძებული შეღავათიც მიეცემა.

12. მოქმედება ამა დადგენილებისა ვრცელდება აგრეთვე იმ პირებზე, ვისაც წინად ებოძა ხვედრის შემსუბუქება, იმ პირობით კი, რომ ამა დადგენილებით ბოძებულ შეღავათის განსაზღვრის დროს საფუძვლად უნდა მიღებულ იქნეს სასჯელის ვადა, დანიშნული უკანასკნელად ბოძებულ შეღავათით.

13. ის, ვინც დღემდე ამა დადგენილების მიღებისა მოიხადა სასჯელი, განთავისუფლებულ იქნეს სასჯელთა დებულების 58^1, 58^2, 58^3 მუხლებში სისხლის სამართლის წესდების 34 მუხლში აღნიშნულ შედეგებისაგან.

14. განთავისუფლებულ იქნეს დაპატიმრებისა და ფულით დაჯარიმებისაგან ის, ვისაც სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის აქვს ეს დაპატიმრება და ჯარიმა გადაწყვეტილი ადმინისტრაციული წესით.

15. ამა დადგენილებაში აღნიშნული ზომების განხორციელება მიენდოს სათანადო სასამართლო დაწესებულებათ, უკეთუ განაჩენი ჯერ დადგენილი არ არის. ან კანონიერს ძალაში არ არის შესული, ან შესასრულებლად არ არის მიმართული, მხოლოდ დანარჩენ შემთხვევაში საპროკურორო ზედამხედველობას, რევოლუციონური ტრიბუნალების და საქმედრო საგანგებო სასამართლოების მიერ გარჩეული საქმეები გარჩეულ იქნეს ოლქის სასამართლოებში—კუთვნილებისამებრ.

16. ამა დადგენილების განხორციელებით გამოწვეული ყოველი საეჭვო საკითხი, აგრეთვე შუამდგომლობანი სასჯელისაგან განთავისუფლებისა და უფლების აღდგენის შესახებ გადაწყვეტილ იქნეს სათანადო სასამართლო დაწესებულებათა მიერ სასამართლოს სხდომაზე.

17. მას, ვინც გამოძიებაში ან სამართალშია მიცემული და ამ დადგენილების ძალით უნდა განთავისუფლებულ იქნეს სამართლისა და სასჯელისაგან, თუ მოისურვებს სასამართლოს წინაშე გამართლებას, შეუძლიან ორი კვირის განმავლობაში დღიდან სასამართლო დაწესებულების დადგენილების გამოცხადებისა საქმისწარმოების მოსპობის შესახებ, იშუამდგომლოს გამოძიებისა და სამართლის განახლებისათვის, აგრეთვე ვისაც ამ დადგენილების მიღების დღემდე ჩადენილ საქმისათვის შემდეგში მოუწევს ამა დადგენილების ძალით გამოძიებისა და სამართლისაგან განთავისუფლება და არ მოისურვებს ამით ისარგებლოს, მას შეუძლიან იმავე ხნის განმავლობაში

ითხოვოს თავის საქმის დაბოლოება მიღებული წესით. უკეთუ ასეთი პირნი განმტყუნებულ იქნებიან მათზე არ გავრცელდება ეს დადგენილება.

18. ამა დადგენილებით ბოძებული შეღავათი არა ვრცელდება იმაზე, ვინც სპეკულაციისათვის პასუხისგებაშია მიცემული, ან სასჯელი აქვს გადაწყვეტილი (1918 წ. სექტემბრის 17-ის კანონი სპეკულაციასთან ბრძოლისა მუხ. 1—7); აგრეთვე იმაზე, ვისაც სასჯელი აქვს გადაწყვეტილი ან შემდეგში იქნება გასამართლებული ამა დადგენილების მიღების დღემდე ანგარების მიზნით ჩადენილ თანამდებობის დანაშაულისათვის, გარდა მე-4 მუხლში აღნიშნულ პირთა.

19. განთავისუფლებულ იქნეს სამართლისა, სასჯელისა და ყოველი მისი შედეგისაგან ის პირი, რომელსაც დღემდე ამა დადგენილების მიღებისა ჩაუდენია დანაშაული, გათვალისწინებული 1919 წლის ივნისის 27-ს „ჯარის ნაწილებიდან გაქცევისა და ნებადაურთველად წასვლისათვის“ და 1919 წლის აგვისტოს 2-ის „სამხედრო ბეგარის აუსრულებლობისა და ამ დანაშაულის დაფარვისა და წაქეზების“ დასჯის დეკრეტებით.

ამ მუხლის ძალა არ ვრცელდება იმ სამხედრო ვალდებულებაზე, რომელნიც ან სულ არ გამოცხადებულან სამხედრო ბეგარის მოსახდელად, ან ჯარის ნაწილებიდან არიან გაქცეულნი, ან ნებადაურთველად წასულნი დღემდე ამა დადგენილების მიღებისა, უკეთუ ისინი თავის ნებით არ გამოცხადებიან სამსახურში ან ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენელთან ამა წლის მარტის 1-მდე.

20. დადგენილება ესე სისრულეში მოყვანილ იქნეს დეპეშით.

საბჭარეულო უძრავ ქონებათა გამოსყიდვის უფლების გაუქმებისა

საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 16 მარტის კანონი

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის მომქმედ სამოქალაქო კანონთა მე-X ტ. I ნაწ. მე-1346—1348, 1350—1352, 1354—1373 მუხ. და სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდების მე-1438—1449 მუხ.

2. მოისპოს წარმოება სასამართლოებში საგვარეულო მამულის გამოსყიდვის იმ საქმეებისა, რომელიც დაწყებულია 1918 წლის მაისის 26-ს შემდეგ, უკეთუ დამფუძნებელი კრების მიერ ამ კანონის მიღების დღემდე საქმე სულ არ არის განხილული, ან თუმცა განხილულია, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში არ შესულა. 1918 წლის მაისის 26-მდე დაწყებული საქმეები დამთავრდეს მათის აღძვრის დროს მომქმედ კანონების მიხედვით.

3. დაუბრუნდეს მოსპობილ საქმის აღმძვრელს მის მიერ წარდგენილი გამოსასყიდი ფული და სიმტკიცის ბაჟი.

4. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

რატიფიკაცია

საქართველოს და აზერბეიჯანის რესპუბლიკების მთავრობათა შორის დადებულ ხელშეკრულებისა

დამტკიცებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1920 წლის 19 მარტს

საქართველოს რესპუბლიკის და აზერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობათა შორის ქალაქ ბაქოში ამა ათას ცხრაას ოცი წლის თებერვლის ხუთს დადებული ხელშეკრულობა ტრანზიტის შესახებ — დამტკიცებულ იქნეს.

თარგმანი.

ბაქო, ათას ცხრაას ოცსა წელსა, თებერვლის 5-სა დღესა, ერთის მხრით აზერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობამ, წარმოდგენილმა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობისა და მომარაგების მინისტრის **მამედ-ბასან გაჯინსკისა** და გზათა მინისტრის **ხუდადათ-ბეგ მელიქ-ასლანოვის** მიერ, ხოლო მეორის მხრით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ, წარმოდგენილმა მისი დიპლომატიური წარმომადგენლის **გრიგოლ კონსტანტინეს-ძის ალშიბაიას** მიერ, დასდეს ესე ხელშეკრულება ქვემორე ხსენებულისათვის:

1. აზერბეიჯანის ფარგლების გარედან აზერბეიჯანის რკინის გზით საქართველოში მიმავალი ან საქართველოდან აზერბეიჯანის ფარგლების გარეთ მიმავალი ტვირთისათვის და აგრეთვე საქართველოს ფარგლების გარედან საქართველოს რკინის გზით აზერბეიჯანში მიმავალ, ან აზერბეიჯანიდან საქართველოს ფარგლების გარეთ მიმავალ ტვირთისათვის დაწესებულ იქნეს თავისუფალი ტრანზიტი, ე. ი. უბაჟო ტრანზიტი, ყოველგვარი ნებართვის, შუამდგომლობისა და დაბრკოლების თვინიერ. მხოლოდ აუცილებელი საბაჟო ფორმალობის შესრულებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. დასამუშავებელი სატრანზიტო ტვირთი, საშინაო სახმარად საჭირო იმ რესპუბლიკისათვის, სადაც იგი იგზავნება და იმ რაოდენობისა, რომელსაც რეული კომისია განსაზღვრავს, შეიძლება დაჭერილ იქნეს დასამუშავებლად იმ რესპუბლიკის ფარგლებში, სადაც იგი მიემართება, ხოლო არ უნდა დაჰკარგოს ტრანზიტობის ხასიათი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ხელშეკრულება ესე არ შეეხება ორივე რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაზიდულ-გადმოზიდულ ტვირთს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. ტვირთის ტრანზიტობა ურთიერთ შორის შეთანხმებით გადასწყდება ორივე მხრისათვის საერთო განსაკუთრებულის ნიშნებით, აგრეთვე სატრანზიტო ტვირთის მსვლელობის წესი ხელშეკრულების დამდები თვითეული მხრისათვის მოწესრიგდება, ურთი-ერთ შორის შეთანხმებით, ორსავე რესპუბლიკისათვის საერთო წესით.

2. აზერბეიჯანის მთავრობა ნებას დაჰრთავს საქართველოში გასატანად მის მცხოვრებთა და რკინის გზათათვის საჭირო ნავთისა და მისი პროდუქტისა. გასატანი ნავთისა და მისი პროდუქტის რაოდენობას განსაზღვრავს რეული კომისია (მუხლი 17), მაგრამ იგი საერთო რიცხვით წელიწადში თექვსმეტ მილიონ ფუთს არ უნდა აღემატებოდეს.

2. მე-2 მუხლში აღნიშნული გასატანი ნავთისა და მისი პროდუქტის რაოდენობიდან, ის რაოდენობა, რომელიც რეუ-

ლი კომისიის გადაწყვეტილებით დასჭირდება საქართველოს რკინის გზებს, მაგრამ წელიწადში საერთო რიცხვით არა უმეტეს ათი მილიონი ფუთისა, თავისუფალია ბაჟისა, აქციზისა და დანარჩენი სახელმწიფო გადასახადებისაგან. ამასთანავე ამ ათ მილიონ ფუთში ბენზინისა და სხვა პროდუქტის რაოდენობას რეული კომისია განსაზღვრავს დაახლოებით 1919 წლის ნორმების ფარგლებში.

დანარჩენ ექვს მილიონ ფუთი ნავთისა და მისი პროდუქტიდან ნავთი და მაზუთი, ან ერთიცა და მეორეც ერთად, არა უმეტეს 4,5 მილიონი ფუთისა და, მცხოვრებთა საჭიროებისათვის გატანილი კეროსინი — არა უმეტეს 1,5 მილიონი ფუთისა თავისუფალია გასატანი ბაჟისაგან, მაგრამ დაედება ყოველი ის გადასახადი, რომელიც დღეს არსებობს ან მომავალში დაწესდება აზერბეიჯანისათვის სახმარ ნავთ-მაზუთ-კეროსინისათვის.

ხოლო თუ აქ მოხსენებულ ოთხ ნახევარ მილიონ ფუთ ნავთისა და მაზუთის ანგარიშში ნავთის სხვა პროდუქტის მოთხოვნილებაც განცხადებულ იქნება, სახელდობრ-ბენზინსა, ზეთეულსა და სხვაზე, მაშინ საქართველოში მათი გატანის რაოდენობას განსაზღვრავს რეული კომისია დაახლოვებით 1919 წ. გატანილის ფარგლებში და იგი თავისუფალია ბაჟისაგან, მაგრამ დაედება აზერბეიჯანის საშინაო სახმარებლისათვის არსებული აქციზი და აგრეთვე ყოველი დაწესებული გადასახადი.

4. რეული კომისია სათვალავში ჩააგდებს ორივე რესპუბლიკის რკინის გზათა მამოძრავებელ შედგენილობას და უზრუნველყოფს საქართველოს რკინის გზებს და მოსახლეობას ნავთითა და მისი პროდუქტით ყოველთვიურად მათი თანაბარი რაოდენობის გაზიდვით. უკეთუ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა თვითონ მოახერხებს თავისი საკუთარი მამოძრავებელი შედგენილობით ორთვიურ ნორმის ნავთისა და მისი პროდუქტის გაზიდვას, აზერბეიჯანის რესპუბლიკა ხელს არ შეუშლის. ამ გადაზიდვის მოწესრიგებასაც რეული კომისია აწარმოებს (მუხ. 17).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ორ თვიურ თანაბარ პარტიებად გაზიდვის განსაზღვრა არა ვრცელდება მცირე რაოდე-

ნობის პროდუქტზე, სახელდობრ: ბენზინსა, ზეთეულ-ზე და სხვა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. რეული კომისიის მიერ განსაზღვრული ყოველთვიურად სახმარებელი ნავთის პროდუქტის რაოდენობის ფარგლებსა და ანგარიშში საქართველოს მთავრობას უფლება აქვს აზერბეიჯანის მთავრობას მოსთხოვოს არა უმეტეს საქართველოს რკინის გზებზე ან ნავთსადენის მილით გატარებულ ნახევარი პროდუქტისა. ამ შენიშვნის თანახმად ნავთის პროდუქტის რაოდენობაზე ანგარიშის გასწორება სწარმოებს ყოველ 15-დღეში ერთხელ ხელშეკრულების დამღებ ორივე მხრის სარკინისგზო სამმართველოთა მიერ.

5. საქართველოს მთავრობა თავისი მხრით უბაჟოდ და სახელმწიფო სხვა გადასახადის გარდაუხდელად ნებას დაჰრთავს ქვანახშირისა, ხეტყისა და სხვა მასალისა, სამუშაო იარაღების (ინსტრუმენტებისა) და სხვა საგანთა გასატანად აზერბეიჯანის რესპუბლიკის რკინის გზათა საჭიროებისათვის, რეულ კომისიის მიერ განსაზღვრულის რაოდენობით.

6. საქართველოს მთავრობა აგრეთვე ნებას დაჰრთავს, საქართველოს მთავრობასთან მყოფ აზერბეიჯანის მთავრობის დიპლომატიურ წარმომადგენლის საგანგებო ნებართვით, უბაჟოდ და სახელმწიფო გადასახადის გადაუხდელად გატანილ იქნეს სხვა საქონელი და ნაწარმოებნი, პურის ყოველგვარ ნაწარმოებისა, შაქრისა და ტყავეულის გარდა, ხელშეკრულების მე-2 მუხლის საფუძვლით საქართველოში შემოტანილ ნავთისა და მის პროდუქტის ღირებულობით ერთი მეათედის საფასურისა. გაზიდულ საქონლისა და ნაწარმოებთა ნამდვილ რაოდენობას და ღირებულებას ყოველ ორთვეში ერთხელ განსაზღვრავს რეული კომისია.

7. საქართველოს რკინის გზათა საჭიროებისათვის ნავთს შეიძენენ ბაქოს ნავთის მრეწველთა ყრილობის საბჭოს ნავთის გამყიდველ ბიუროში შემდეგ ფასებში:

ნავთსა და მაზუთს . . . . . 10 მან. 50 კაპ.

კეროსინს . . . . . 21 მან. —

ამა წლის იანვარში ნავთის ტვირთისთვის არსებულის ტარიფით.

ნავთის დაწარჩენ პროდუქტის ფასები განისაზღვრება ამა მუხლის შენიშვნის მიხედვით.

ამ ტვირთებისთვის რკინის გზის ტარიფის მომავალში გადიდების დროს, ზემოხსენებულ ნაწარმოებთა ფასი ყოველთვე განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$a + \frac{a.(n-1)}{2}$$

ამ ფორმულაში: a — ზემოაღნიშნული ნაწარმოების ფასია, n — შემდეგის ფორმულით გამოიხატება:

$$\Pi = \frac{\frac{k}{e} xM + \frac{k'}{e'} x M' + \frac{k''}{e''} x M''}{M + M' + M''}$$ რომელშიაც:

e — არის რკინის გზის ტარიფის გადიდების კოეფიციენტი ამა წლის იანვარში, 1917 წ. ივლისის 10-დე;

e' — იმავე გადიდების კოეფიციენტი საკომერციო ნავთისა და მაზუთისა;

e'' — იმავე გადიდების კოეფიციენტი ზეთეულისა და ბენზინისათვის;

k — კეროსინზე რკინის გზის 1917 წ. 10 ივლისამდე არსებულ ტარიფის მოსალოდნელი გადიდების კოეფიციენტია;

k' — იმავე გადიდების კოეფიციენტი საკომერციო ნავთისა და მაზუთისათვის;

k'' — იმავე გადიდების კოეფიციენტი ზეთეულისა და ბენზინისათვის;

M — ბაქოდან რკინის გზითა ან ნავთსადენით გატენილი კეროსინის რაოდენობაა, ფასის განსაზღვრის წინა თვეში, საკალენდრო თვის განმავლობაში;

M' — ბაქოდან რკინის გზით ან ნავთსადენი მილით გატანილი ნავთისა და მაზუთის რაოდენობაა, ფასის განსაზღვრის წინა თვეში, საკალენდრო თვის განმავლობაში;

M'' — ბაქოდან რკინის გზით გატანილ ყველა ზეთეულისა და ბენზინის რაოდენობაა, საკალენდრო თვის განმავლობაში, ფასის განსაზღვრის წინა თვეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ნავთის პროდუქტის შესყიდვის დროს, რომლის გატანაც განსაზღვრულია ბიუროსაგან

ნავთის ეკვივალენტის რაოდენობის მიხედვით ნებადაურთველად, ეს უკანასკნელი დაეთმობა იმ ფასად, რა ფასადაც რკინის გზებისათვის შეიძინება სათბობი მასალა.

8. საქართველოს მთავრობა ვალდებულია ნება არ მისცეს საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებიდან ნავთისა და მის პროდუქტთა გარედ გატანისა, რასაც ამ ხელშეკრულების ძალით აზერბეიჯანის რესპუბლიკიდან გამოიტანს. აგრეთვე აზერბეიჯანის რესპუბლიკაც ვალდებულია აზერბეიჯანის ფარგლებიდან ნება არ დართოს საქართველოდან აზერბეიჯანში გატანილ საქონლის გარედ გატანისა ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლის თანახმად.

9. უკეთუ შეიქმნება უძლეველი გარემოება, ხელშეკრულების დამდები მხარენი თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულებით მიღებულის ვალდებულებისაგან იმდენად, რამდენადაც ხსენებული გარემოებანი ხელს შეუშლიან ამ ხელშეკრულების პირობათა შესრულებას.

10. ეხლანდელი სარკინისგზო ტარიფი სატრანზიტო ტვირთის და აგრეთვე საქართველოდან აზერბეიჯანში და აზერბეიჯანიდან საქართველოში მიმავალი ტვირთისთვის შეიძლება შეცვლილ იქნეს მხოლოდ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა ერთმანეთთან შეთანხმებით. ხოლო თუ ბაქოს ნავთის მრეწველთა ყრილობის საბჭოს ნავთის გამყიდველი ბიურო გაუქმდა და თავისუფალ სყიდვითა და გატანით გამოწვეულ მეტოქეობის გამო ნავთისა და მაზუთის ფასმა აიწია, მაშინ თვითეულმა ხელშეკრულების დამდებმა მხარემ სარკინისგზო ტარიფი იმდენად უნდა გაადიდოს, რომ ნავთისა და მაზუთის ფასის გადიდების მიზეზით ტარიფის გადიდების მომთხოვნი მხრის რკინის გზის ზარალი სავსებით დაიფაროს; ამასთანავე, მხარეთა შეთანხმებით, ტარიფის გადიდება უნდა განაწილდეს ყველა დარგის ტვირთსა და გადასახადზე.

11. მე-10 მუხლში მოხსენებულ ტვირთთა გაზიდვისაგან განაღდებული ფული ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოთა შორის პროპორციულად განაწილდება თვითეულ სახელმწიფოს ფარგლებში გავლილ ვერსის მიხედვით.

12. საქართველოს რკინის გზის ექსპლოატაციისათვის სა-

ჭირო ნავთის გაცემა, აგრეთვე აზერბეიჯანის რკინის გზათა საექსპლოატაციოთ საჭირო მასალებისა და ტვირთის გაცემა განუწყვეტლივ უნდა სწარმოებდეს რკინის გზათა ექსპლოატაციის საჭიროების მიხედვით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ წლიურ სახმარებლის გამორკვევის დაუცდელად.

13. ნავთსადენ მილით გადადენილ ნავთსა თუ კეროსინს საქართველოს რკინის გზა ჩაიბარებს აზერბეიჯანის რკინის გზისაგან სალოღლის სადგურზე განსაკუთრებულის აქტით და გადასცემს ბათუმში ან აზერბეიჯანის რკინის გზის მიერ ნაჩვენებ ადგილებში (პუნკტებში). ამ პროდუქტის მიღების შემდეგ საგანგებო შეთანხმებით განსაზღვრულ ნორმალ გადენის დაკლებულისა გარდა, და გადენილისათვის პასუხს აგებს საქართველოს მთავრობა, მიზეზთა მიუხედავად.

14. ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე პასუხს აგებს აგრეთვე ყოველი ტვირთის მთლიანობა-შენახულობისთვის, რაც კი რკინის გზითა თუ ნავთსადენ მილით გაივლის თითო მათგანის ტერიტორიაზე, ნორმალ გადენის გამოკლებით.

15. ნატანების სადგურზე, ქ. ფოთში, ქ. ბაქოში, იალომისა და სანაინის სადგურებზე იმყოფებიან წარმომადგენელნი აზერბეიჯანის რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკისა კუთვნილებისამებრ, რომელნიც თვალ-ყურს ადევნებენ ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლის შესრულებას.

16. რეული კომისია ყოველი ოთხი თვის დამლევს შეამოწმებს (გადაშინჯავს) აზერბეიჯანის რესპუბლიკის ფარგლებიდან საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში შეზიდული ნავთისა და მის პროდუქტის განაწილების საქმეს საქართველოს რკინის გზისა და საქართველოს მოსახლეობის შორის და აღმოჩენილის მიხედვით შეადგენს ანგარიშს გადასახადისას, ბაჟისას და სხვა.

17. მე-2—6, 10 და 16 მუხლში მოხსენებული რეული კომისია ოთხის წევრისაგან შესდგება (ხელშეკრულების დამდებ თითო მხარისაგან ორ-ორი), რომელნიც დაინიშნებიან კუთვნილებისამებრ თვითეულ რესპუბლიკის გზათა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრთა შეთანხმებით. იმ შემთხვევაში, თუ ამ კომისიაში შეთანხმება ვერ მოხერხდა, სადაო საკითხები გადაეცემა საარბიტრაჟო კომისიას, რომლის გადაწყვეტილებაც სა-

ბოლოოთ და საკალდებულოთ ითვლება ხელშეკრულების დამ-
დებ ორსავ მხრისათვის.

18. ამ ხელშეკრულების პირობათა გარეშე საქართველოში შეზიდული კეროსინისა, ბენზინისა, ზეთეულისა და ნავთის სხვა პროდუქტებისაგან, რომელიც კერძო პირთ ეკუთვნის, საქართველოს მთავრობას უფლება არა აქვს რეკვიზიცია მოახდინოს 25% (ოცდა ხუთ პროცენტზე) მეტის. ეს არ ეხება სატრანზიტო ტვირთს, რომელიც რეკვიზიციას არ ექვემდებარება.

19. ამ ხელშეკრულების ვადა ერთი წელიწადია, ხელისმოწერის დღიდან; ამასთანავე იგი ფაქტიურად ამავე დღიდან შედის ძალაში. ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია უნდა მოხდეს ორსავ რესპუბლიკის პარლამენტებში, არა უგვიანეს ამა წლის მარტის ოცისა (20), რის შემდეგაც იგი სრულს ძალაში შედის. უკეთუ რატიფიკაცია ამ ვადაზე არ მოხდა, ხელშეკრულება დარღვეულად ჩაითვლება.

20. ხელშეკრულება ესე ორ ცალად იწერება, რომელთაგანაც ერთი რჩება აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას, ხოლო მეორე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

ვაჭრობა-მრეწველობის და მომარაგების მინისტრი მ. გაჯინსკი.

გზათა მინისტრი მ. ასლანოვი.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბეიჯანის მთავრობასთან გრ. ალშიბაია.

რუსულ დედანთან სწორია:

დამფუძნებელი კრების იურიდიულ კომისიის
თავმჯდომარე გრ. გიორგაძე.

Баку, тысяча девятьсотъ двадцатого года, февраля 5-го дня, Правительство Азербайджанской Республики, въ лице Министра Торговли, Промышленности и Продовольствія, Мамедъ Гасана Гаджинскаго и Министра Путей Сообщенія, Худадать Бека Меликъ-Асланова; съ одной стороны и Правительство Грузинской Республики въ лице ея Дипломатическаго Представителя, Григорія Константиновича Алшибая съ другой стороны — заключили настоящій договоръ о нижеследующемъ:

1. Для грузовъ, следующихъ по Азербайджанскимъ железнымій дорогамъ изъ-за пределов Азербайджана в

Грузію или изъ Грузіи за пределы Азербайджана, а также для грузовъ, следующихъ по железнымъ дорогамъ Грузіи изъ-за пределов Грузіи въ Азербайджанъ или изъ Азербейджана за пределы Грузіи, устанавливается свободный транзитъ, т. е. транзитъ безъ пошлинъ, безъ всяких исходатайствованій разрешеній и задержки, но съ выполненіемъ необходимыхъ таможенныхъ формальностей.

Примечаніе 1. Транзитный грузъ, нуждающійся въ переработке, въ количестве, потребном для внутренней надобности той Республики, въ которую онъ направляется, каковое количество определяется смешанной комиссіей, можетъ быть задержанъ для переработки въ пределахъ той Республики, через которую онъ следует, не утрачивая характера транзитности.

Примечаніе 2. На грузы следующие транзитом черезъ территоріи обеихъ Республикъ вместе, настоящій договоръ не распространяется.

Примечаніе 3. Транзитность грузовъ определяется общими для обеих сторонъ особыми признаками по взаимному соглашенію, равно и порядокъ следованія транзитныхъ грузовъ черезъ территорію каждой изъ договаривающихъ сторонъ регулируется особыми, общими для обеихъ Республикъ правилами, устанавливаемыми по взаимному соглашенію.

2. Азербайджанское Правительство разрешаетъ къ вывозу въ Грузію нефть и ея продукты для нуждъ населенія и железных дорогъ Грузіи. Количество, подлежащихъ къ вывозу нефти и ея продуктовъ, определяется смешанной комиссіей (ст. 17), но оно не должно превышать въ общей сложности шестнадцати милліоновъ пудовъ въ годъ.

3. Изъ означеннаго въ ст. 2-ой количества разрешенныхъ къ вывозу нефти и ея продуктовъ, то количество, которое, по определенію смешанной комиссіи, будетъ потребно для нуждъ железныхъ дорог Грузіи, но не свыше десяти миллионовъ пудовъ въ общей сложности, освобождается отъ пошлинъ, акциза и другихъ государственныхъ сборовъ, причемъ въ этихъ десяти милліонахъ пудовъ количество бензина и другихъ продуктовъ опре-

деляется смешанной комиссіей приблизительно въ пределахъ нормъ 1919 г.

Изъ остальныхъ шести милліоновъ пудовъ нефти и ея продуктовъ, нефть или мазуть или то и другое вместе въ количестве не более 4,5 милліоновъ пудовъ и керосинъ въ количестве не более 1,5 милліоновъ пудовъ, вывозимые для нуждъ населенія, освобождаются отъ вывозной пошлины, но облагаются всеми сборами, кои ныне существуютъ или впредь будутъ установлены на нефть, мазутъ и керосинъ, предназначенные для внутренняго потребленія Азербайджана.

Если же въ счетъ указанныхъ здесь четырехъ съ половиной милліоновъ пудовъ нефти и мазута будутъ заявлены требованія и на другіе нефтяные продукты, какъ то бензинъ, масла и проч., то таковые разрешаются къ вывозу въ Грузію въ количестве, по определенію смешанной комиссіи, приблизительно въ пределахъ вывоза 1919 года и освобождаются отъ пошлины, но облагаются акцизомъ и всеми сборами, устанавленными для внутренняго потребленія Азербайджана.

4. Смешанная комиссія, учитывая общій подвижной составъ обеих Республикъ, обеспечиваетъ нужды железныхъ дорогъ и населенія Грузіи нефтью и ея продуктами путемъ вывоза таковыхъ равномерными месячными партіями. Въ случае организаціи Правительствомъ Республики Грузіи перевозки нефти и ея продуктовъ въ пределахъ двухмесячныхъ нормъ собственнымъ подвижнымъ составомъ, Правительство Азербайджанской Республики не чинить препятствій. Урегулированіе же этихъ перевозокъ производится также смешанной комиссіей (ст. 17).

Примечаніе 1. Ограниченіе вывоза равномерными двухмесячными партіями не распространяется на продукты, потребляемые въ маломъ количестве, какъ-то бензина, маселъ и проч.

Примечаніе 2. Грузинское Правительство въ счетъ и въ пределахъ количества, определяемаго смешанной комиссіей для ежемесячной потребности въ нефтяныхъ, продуктахъ вправе требовать отъ Азербайджанскаго Правительства предоставленія ему не более половины того количества продуктовъ, которое преследуетъ за это время по железнымъ дорогамъ Грузіи или по трубопроводу. Расчетъ причитающагося, согласс-

но сему примечанію количества нефтяныхъ продуктовъ производится черезъ каждые пятнадцать (15) дней Управленіями железныхъ дорогъ обеихъ договаривающихся сторонъ.

5. Съ своей стороны Грузинское Правительство разрешаетъ къ вывозу безъ оплаты пошлиною и другими государственными сборами каменный уголь, лесные и другіе матеріалы, инструменты и предметы для нуждъ железныхъ дорогъ Азербейджанской Республики въ количестве по определенію смешанной комиссіи.

6. Равнымъ образомъ, Грузинское Правительство разрешаетъ къ вывозу изъ пределовъ Грузіи въ Азербайджанъ по особымъ разрѣшеніямъ Дипломатическаго Представителя Азербайджанскаго Правительства при Правительстве Грузіи безъ пошлинъ и государственныхъ сборовъ различные товары и продукты, за исключеніемъ хлебныхъ продуктовъ во всехъ видахъ, сахара и кожи, на общую сумму не свыше одной десятой стоимости нефти и ея продуктовъ, которые будутъ ввезены въ Грузію на основаніи ст. 2 сего договора. Точное количество и стоимость вывезенныхъ товаровъ и продуктовъ определяется каждые два месяца смешанной комиссіей.

7. Нефть и ея продукты для нуждъ железныхъ дорогъ Грузіи покупаются у Бюро по продаже нефти при Совете съезда Бакинскихъ Нефтепромышленниковъ по нижеследующимъ ценамъ:

нефть и мазутъ . . . . 10 руб. 50 коп.
керосинъ . . . . . 21 руб.

при существовавшемъ въ январе сего года тарифъ на нефтяные грузы.

Цены на остальные нефтяные продукты определяются, согласно примечанию къ сей статье.

При дальнейшемъ увеличеніи железнодорожнаго тарифа на ети грузы цены указанных выше продуктовъ на каждый месяцъ определяются по формуле:

$$a + \frac{a.(n-1)}{2}$$

Въ этой формуле a—цена продукта, указанная выше, n—определяется следующей формулою:

$$n = \frac{\frac{k}{e} x m + \frac{k'}{e'} x m + \frac{k''}{e''} x m''}{M + M + M''}$$ въ которой

е—бывшій въ январе сего года коэффиціентъ увеличенія для керосина железнодорожнаго тарифа до 10-го іюля 1917 года;

е'—коэффиціентъ того же увеличенія для коммерческой нефти и мазута;

е''—коэффиціентъ того же увеличенія для маселъ и бензина;

к—коэффиціент новаго, могущаго последовать увеличенія для керосина железнодорожнаго тарифа, действовашаго до 10-го іюля 1917 года;

к'—коэффиціентъ того же увеличенія для коммерческой нефти и мазута;

к''—коэффиціентъ того же увеличенія для маселъ и бензина;

м—количество всего керосина, вывезеннаго изъ Баку по железной дороге и по керосинопроводу въ теченіи календарнаго месяца, предшествовавшаго месяцу определенія ценъ;

м'—количество всей нефти и мазута, вывезенныхъ изъ Баку по железной дороге и по керосинопроводу въ теченіи календарнаго месяца, предшествовавшаго месяцу определенія ценъ;

м''—количество всехъ маселъ и бензина, вывезенныхъ изъ Баку по железной дороге въ теченіи календарнаго месяца, предшествовавшаго месяцу определенія ценъ.

Примечаніе. При покупке продуктовъ нефти, вывозъ которыхъ обусловленъ пріобретеніемъ у Бюро эквивалентнаго количества нефти безъ права вывоза, последняя отпускается по темъ же ценамъ по которымъ пріобретается и топливо для железныхъ дорогъ.

8. Грузинское Правительство обязывается не разрешать вывоза за пределы Грузинской Республики нефти и ея продуктовъ, которые оно будетъ вывозить из Азербейджанской Республики въ силу настоящего договора, а равно и Азербайджанское Правительство обязывается не разрешать вывоза за пределы Азербайджанской Республики товаровъ, вывозимыхъ изъ Грузіи въ Азербайджанъ въ силу ст. 6 настоящаго договора.

9. Въ случае наступленія явленій непреодолимой силы, договаривающіяся стороны освобождается отъ принимаемыхъ на себя по сему договору обязательствъ постольку, поскольку означенныя явленія будутъ препятствовать выполненію условій сего договора.

10. Существующіе ныне железнодорожные тарифы на транзитные грузы и на грузы следующіе изъ Грузіи въ Азербайджанъ и изъ Азербайджана въ Грузію, могутъ быть изменены не иначе, какъ по взаимному соглашенію обеих договаривающихся сторонъ. Но, если при упразненіи Бюро по продаже нефти при Совете Съезда Бакинскихъ Нефтепромышленниковъ, при свободномъ вывозе и покупке на условіяхъ свободной конкуренціи, цены на нефть и мазутъ повысятся, то по требованію каждой изъ договаривающихся сторонъ, железнодорожные тарифы обеими сторонами должны быть увеличены настолько, чтобы убытокъ, вызванный повышеніемъ ценъ на нефть и мазутъ былъ бы полностью покрыть, при этомъ повышеніе тарифовъ должно быть разверстано на все категоріи грузовъ и перевозокъ, по соглашенію сторонъ.

11. Провозная плата, вырученная за грузы, упомянутые въ ст. 10 распределяется между договаривающимися государствами пропорціонально числу верстъ, пройденныхъ грузами въ пределахъ каждаго государства.

12. Отпускъ нефти и ея продуктовъ для эксплоатаціи железныхъ дорог, а также отпускъ матеріаловъ и грузовъ, необходимыхъ для эксплоатаціи Азербайджанскихъ железныхъ дорогъ долженъ производиться непрерывно въ необходимомъ для эксплоатаціи дорог количествъ, не дожидаясь определенія, общаго годового потребленія, предусмотреннаго настоящимъ договоромъ.

13. Перекачиваемую по трубопроводу нефть или керосинъ железныя дороги Грузіи принимаютъ отъ Азербайджанскихъ железныхъ дорогъ на ст. Салоглы по особымъ актамъ и передаютъ въ Батумъ или пункты, по указанію Азербайджанских железныхъ дорогъ. После пріема этихъ продуктовъ, за недостачу или утечку, за исключеніемъ нормальной утечки, определяемой особымъ соглашеніемъ, отвечаетъ, независимо отъ причинъ, Грузинское Правительство.

14. Обе договаривающіяся стороны отвечаютъ также за целость и сохранность всехъ грузовъ, следующихъ по железнымъ дорогамъ или трубопроводу на территоріи каждой изъ нихъ за исключеніемъ нормальной утечки.

15. На ст. Натанеби, въ г. Поти, въ г. Баку, на ст. Ялома и на ст. Санаинъ имеются представители Азербайджанской Республики и Грузинской Республики по принадлежности, которые следять за выполнениемъ ст. 8. настоящаго договора.

16. Смешанная комиссія въ конце каждой трети года проверяетъ распределеніе вывезенныхъ изъ пределовъ Азербайджанской Республики въ пределы Грузинской Республики нефти и ея продуктовъ между железными дорогами Грузіи и населеніемъ Грузинской Республики и, въ соответствіи съ обнаруженіемъ, устанавливаетъ расчетъ за сборы, пошлины и проч.

17. Упомянутая въ ст. 2—6, 10 и 16 смешанная комиссія состоитъ изъ четырехъ членовъ, по два отъ каждой изъ договаривающихся сторонъ, назначаемыхъ по соглашенію Министровъ Путей Сообщенія и Торговли и Промышленности каждой Республики по принадлежности. Въ случае, если въ этой комиссіи не будетъ достигнуто соглашенія, то спорные вопросы передаются въ Арбитражную комиссію, решеніе которой считается окончательнымъ и обязательнымъ для обеихъ договаривающихся сторонъ.

18. Изъ керосина, бензина, маселъ и другихъ нефтяныхъ продуктовъ, принадлежащихъ частнымъ лицамъ и следующихъ въ Грузію вне условій настоящаго договора, Грузинское Правительство не вправе реквизировать более 25% (двадцати пяти процентовъ). Это не касается транзитныхъ грузовъ, которые никакой реквизиціи не подлежатъ.

19. Срокъ сего договора годичный, считая со дня его подписанія, причемъ съ этого же дня онъ фактически вступаетъ въ действіе. Договоръ сей подлежитъ ратификаціи Парламентовъ обеихъ Республикъ, каковая должна последовать не позже двадцатого (20) марта сего года, после чего договоръ пріобретаетъ полную силу. Если же въ этот срокъ ратификація не последуетъ, то договоръ признается расторгнутымъ.

20. Настоящій договоръ составляется въ двухъ экземплярахъ изъ коихъ одинъ остается у Правительства Азербайджанской Республики, а другой у Правительства Грузинской Республики.

Министръ Торговли, Промышленности
и Продовольствія М. Гаджинский.

Министръ Путей Сообщенія М. Асланов.

Дипломатическій Представитель Грузіи
при Азербайджанскомъ Правительстве Гр. Алшибая.

მომრიგებელ სასამართლოს დაწესებულებათა ქვემდებარეობის გაფართოებისა[1]

საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 30 მარტის კანონი

1919 წ. იანვრის 30-ის დროებითი კანონის („კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული" № 4, კან. 24) შესაცვლელად და დასამატებლად შემოღებულ იქნეს:

I. სასჯელთა წესდების 169, 173, 177 და 181 მუხლებში, სასჯელთა დებულების 1655, 1666, 1681 და 354 მუხლებში და 1919 წ. იანვრის 31-ს კანონის („კან. და მთავრ. განს. კრებ." № 5, კან. 37) 39 მუხლში აღნიშნული ორი ათასი მანეთი შეიცვალოს ოცდა ხუთი ათას მანეთად, ხოლო სასჯელთა წესდების 171 მ. მე-3 პ-ში და სასჯელთა დებულების 1663 მ. მე-3 პ-ში აღნიშნული 5 მანეთი შეიცვალოს ორმოცდა ათ მანეთად.

II. სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდების 33 მუხლის შენიშვნაში აღნიშნული ოთხი ათასი მანეთი შეიცვალოს ორმოცდა ათი ათას მანეთად.

III. სამოქალაქო საქმეთა წარმოების წესდებების მუხლი 1462 შეიცვალოს შემდეგნაირად:

1462. 29 მუხლის მე-2—4 პუნქტში აღნიშნულ სამოქალაქო საჩივართა და თხოვნათა გარდა, მომრიგებელ მოსამართლეს ექვემდებარება 29 მუხ. პირველ პუნქტში აღნიშნული სარჩელი, რომლის ღირებულება არ აღემატება ორმოცდა ათი ათას მანეთს; აგრეთვე სარჩელი ორმოცდა ათი ათასი მანეთის არა უმეტესად ღირებული უძრავი ქონების უფლებათა გამო და 29 მუხ. მე-5 პ. აღნიშნული არზა ზემოგანსაზღვრულ ქვემდებარეობის ფარგალში.

IV. იმავე წესდების 1466[2] მუხლი გაუქმებულია.

V. ყოველი საქმე, რომელიც ამ კანონის ძალით მომრიგებელ მოსამართლეს ექვემდებარება და რომლის წარმოება უკვე დაწყებულა საზოგადო სასამართლოებში, მაგრამ მის განსახილველად არც ერთი სხდომა არ შემდგარა, დაუყოვნებლივ გადაეცეს მომრიგებელ მოსამართლეებს. უკეთუ სხდომა ასეთი საქმეებისათვის უკვე შემდგარა საზოგადო სასამარ-

---

[1] იხ. გვ. 71, 230.

თლოში, საქმის განხილვა უნდა დამთავრებულ იქნეს იმ ქვემ-
დებარეობის წესით, რომელიც ამ კანონის გამოცემამდე არსე-
ბობდა, ხოლო სასჯელი განისაზღვროს ამ კანონის მიხედვით.

VI. კანონი ესე ძალაში შედის 1920 წლის მარტის 31-დან.

დ ე კ რ ე ტ ი

საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეის დაარსებისა

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1920 წლის 30 მარტს.

1. დაარსდეს ქ. ტფილისში ამა 1920 წლის თებერვლის 1-დან საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა თანახ-
მად ამ დეკრეტთან დართული დებულებისა, დროებითი შტა-
ტისა და ხარჯთ-აღრიცხვისა.

2. პირველ მუხლში აღნიშნული საჭიროებისათვის გაცე-
მულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან განათლების მინისტრის
განკარგულებაში ამა 1920 წლის თებერვლის 1-დან ივნისის
1-დე ორმოცდა სამი ათას შვიდას ოთხმოცი (43.780) მანეთი.

3. ამ დეკრეტში აღნიშნულ შტატზე გავრცელებულ იქნეს
დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკ-
რეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძ-
ნებელი კრების მიერ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეისათვის

დამტკიცებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1920 წლის 30 მარტს

1. ქ. ტფილისში არსდება ეროვნული სამხატვრო გალერეა.

2. სამხატვრო გალერეის მიზანს შეადგენს: შეგროვება და
დაცვა მხატვრობისა და ქანდაკების ნაწარმოებთა, ეთავრე-

სად ქართულისა და საქართველოს მოსაზღვრე ხალხთა ხელოვნებისა, როგორც ძველისა ისე ახლისა.

3. გალერეასთან არსებობს წიგნთსაცავი, სადაც გროვდება ხელოვნებათა შესახები თხზულებანი, აგრეთვე ნახატებისა, გრავიურებისა, რეპროდუქციების კოლექციები და სამხატვრო ჟურნალები.

4. სამხატვრო გალერეა ექვემდებარება განათლების მინისტრს.

5. სამხატვრო გალერეას განაგებს საბჭო გალერეის დირექტორის თავმჯდომარეობით გალერეის მართვა-გამგეობისა და სარგებლობისათვის განსაკუთრებული წესდების თანახმად.

6. გალერეის დირექტორს და სხვა თანამდებობის პირთ დირექტორის მიერ წარდგენით დანიშნავს განათლების მინისტრი.

7. დირექტორი გალერეის უახლოესი გამგეა, რომელსაც დაევალება: 1) საადმინისტრაციო და სამეურნეო-საოჯახო საქმეთა გამგებლობა და მათი მოსამსახურე პირთა შორის განაწილება; 2) გარეშე დაწესებულებათა და პირებთან ურთიერთობა; 3) გალერეის ერთ-ერთი ნაწილის გამგებლობა თავის სპეციალობის მიხედვით.

8. გალერეის საშუალებას შეადგენს: ა) სახელმწიფო ხაზინიდან სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადადებული განსაზღვრული თანხა და ბ) სპეციალი თანხა: მუზეუმში შესასვლელი გადასახადი, შემოწირულებანი, კოლექციათა დუბლიკატების გაყიდვით აღებული შემოსავალი.

9. გალერეის სპეციალი თანხა საზოგადო წესით სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვის მიღების შემდგომ დაიხარჯება.

10. გალერეას აქვს სახელმწიფო ღერბიანი საკუთარი ბეჭედი ღერბის ირგვლივ შემდეგის წარწერით: „საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა“.

დ ე კ რ ე ტ ი

დამფუძნებელი კრების წევრებისათვის რესპუბლიკის რკინის გზით უფასოდ მიმოსვლის უფლების მიცემისა

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1920 წლის 8 აპრილს

1. დამფუძნებელი კრების წევრთ მიეცეთ რესპუბლიკის რკინის გზის წლიური უფასო სახელობითი ბილეთი.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

დ ე კ რ ე ტ ი

კანონთა გადამსინჯავი დროებითი კომისიის დაარსებისა

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1920 წლის 8 აპრილს

(ამონაკრები)

1. დაარსდეს ამა 1920 წლის თებერვლის 1-დან იუსტიციის სამინისტროსთან დროებითი კომისია მომქმედ კანონმდებლობათა გადასასინჯავად და მიმდინარე საკანონმდებლო წინადადებათა დასამუშავებლად.

2. კომისია შესდგება მუდმივი და მოწვეული წევრებისაგან იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით.

3. კომისიის წევრებისა და კანცელარიის შედგენილობა და ჯამაგირი განისაზღვრება ამასთანავე დართული შტატით.

4. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან იუსტიციის მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წლის თებერვლის 1-დან ივნისის 1-მდე ერთი მილიონი თერთმეტი ათასი ცხრაას ოცი (1.011.920) მანეთი.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

რესპუბლიკის ცენტრალი სამეცნიერო არქივის დაარსებისა

საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 23 აპრილის კანონი

(ა მ ო ნ ა კ რ ე ბ ი)

1. დაარსებულ იქნეს ამა 1920 წლის მარტის 1-დან ქ. ტფილისში სახალხო განათლების სამინისტროსთან რესპუბლიკის ცენტრალი სამეცნიერო არქივი ამ კანონთან დართული შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად.

2. პირველ მუხლში აღნიშნული ცენტრალი სამეცნიერო არქივის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან განათლების მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წლის მარტის 1-დან ივნისის 1-დე ორას ორმოცდა თორმეტი ათას ცხრაასი (252.900) მანეთი.

3. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან განათლების მინისტრის განკარგულებისათვის ერთდროულად ექვსასი ათასი (600.000) მანეთი სხვადასხვა ადგილის არქივების ქ. ტფილისში გადმოსატანად.

4. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულების შეცვლისა[1]

საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 23 აპრილის დროებითი კანონი

ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს დებულებაში („კან. და მთავრ. განკ. კრებ.“ 1919 წ. № 1, კაწ. 8) დროებით შემოღებულ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. სასამართლოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად გა-

[1] იხ. გვ. 207.

მოწვეულ ნაფიც-მსაჯულს მიეცემა გაცდენისათვის დღიურად 150 მან. ხოლო გზის ხარჯად ვერსზე 10 მანეთი, (დებ. ნაწ. 1 მუხ. 24.) უკეთუ მისი ადგილ-საცხოვრებელი ათ ვერსზე მეტით არის დაშორებული სასამართლოს სხდომის ადგილს.

2. პირველ მუხლში აღნიშნული ხარჯის დასაფარავად გაღებულ იქნეს ხაზინიდან იუსტიციის მინისტრის განკარგულებისათვის ყოველთვიურად ორასი ათასი (200.000) მანეთი, ხოლო ამა 1920 წლის მარტის 1-დან ივნისის 1-დე ექვსასი ათასი (600.000) მანეთი.

3. არაკანონიერი მიზეზით სასამართლოში გამოუცხადებლობისათვის ნაფიცი მსაჯული დაისჯება პირველად და მეორედ დაჯარიმებით ორასი (200) მანეთიდან ათას (1.000) მანეთამდე, მესამედ, გარდა ფულით დაჯარიმებისა, პასუხის მგებლობით სასჯელთა დებულების თანახმად.

4. დროებითი კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

კანონი

სადისციპლინო წესდების დამტკიცებისა

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ
1920 წლის 30 აპრილს

1. დამტკიცებულ იქნეს ამ კანონთან დართული სადისციპლინო წესდება.

დ ა მ ა ტ ე ბ ა.

ს ა დ ი ს ც ი პ ლ ი ნ ო წ ე ს დ ე ბ ა.

თ ა ვ ი 1.

საზოგადო დებულება.

1. სამხედრო დისციპლინა ავალებს ყველა სამხედრო პირს სამხედრო კანონებში აღნიშნულ წესების მტკიცეთა და სწორედ დაცვას, სამსახურის მოვალეობათა კეთილ-სინდისიერად ასრულებას, უფროსთა ბრძანების სიმტკიცითა და სის-

წორით შესრულებას და უფროსების მიმართ შესაფერ პატივისცემას.

2. ბრძანების შედეგის პასუხისმგებლობა დაევალება მბრძანებელს და არა აღმასრულებელს, თუ უკანასკნელმა სისწორით შეასრულა ბრძანება.

3. აღმასრულებელს ეკრძალება და იგი პასუხს აგებს უფროსის ისეთ ბრძანების აღსრულებისათვის, რომელიც მიმართულია რესპუბლიკის, მთავრობის წინააღმდეგ, ან აღმსრულებლის მიერ დადებულ ფიცის დარღვევისაკენ.

4. ყოველი უფროსი ვალდებულია დაიცვას ჯარის ნაწილში და ხელქვეითთა შორის სამხედრო დისციპლინა და წესიერება. ამასთან ერთად მის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს: ხელქვეითთა მიმართ სამართლიანი მოპყრობა, ზრუნვა მათი კეთილდღეობისათვის, გაზიარება მათი გაჭირვებისა, მათთვის რჩევა და ხელმძღვანელობა. ზედმეტი სიმკაცრე, თუ სამსახურის სარგებლობა არ მოითხოვს, მიშვებული არ უნდა იქნეს.

უფროსი ვალდებულია ყოველ ოფიცერსა და ჯარის კაცს შეაგნებინოს და გაუღვივოს მხედრობის მაღალი მნიშვნელობა და სამსახურის მოვალეობათა აღსრულების აუცილებლობა.

5. სამხედრო დისციპლინის დარღვევისა ან და აშკარა ურჩობის დროს უფროსი ვალდებულია ყოველი ზომა იხმაროს წესიერების აღსადგენად; უკიდურეს შემთხვევაში იგი ვალდებულია ძალას მიმართოს და იარაღით აღადგინოს წესიერება. ყოველი სამხედრო პირი, მიუხედავათ თანამდებობისა და სახელწოდებისა, ვალდებულია დაეხმაროს წესიერების აღმდგენელს. ამ მუხლში აღნიშნული ზომების მიღება და საქმის გარემოება წესიერების აღმდგენელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს თავის უფროსს.

6. ეს წესდება იხმარება ყველა მწყობრივსა და არამწყობრივს ჯარის ნაწილებსა და გუნდებში თანამდებობათა შეფარდების დაცვით.

7. დისციპლინარი უფლებანი სამხედრო უწყების პირთა, როგორც მწყობრივი ისე არამწყობრივის, ამ წესდებაში პირდაპირ არ აღნიშნულთა, განისაზღვრება ამ წესდებასთან შეხამებით შესაფერ კანონმდებლობაში ნაგულისხმევ პირების უფლებათა მიხედვით.

თავი II.

დისციპლინარი დანაშაული და სასჯელი.

8. დისციპლინარი სასჯელი დაედება დამნაშავეს უფროსის უფლებით ისეთი მცირე დანაშაულისათვის, რომელიც არღვევს სამხედრო დისციპლინას ან საზოგადოებრივ წესიერებას და მყუდროებას, დამნაშავე კი ამისთვის სამართალში მიცემულ არ იქნება.

9. დისციპლინარ სასჯელთა დადება ეკუთვნის მხოლოდ იმ უფროსებს, რომელთა განკარგულებაშიაც დამნაშავენი იმყოფებიან, ან რომელსაც სამსახურის წესით ექვემდებარებიან, თუნდაც დროებით.

10. დისციპლინარ სასჯელთა მინიჭების უფლება, რომელიც ეკუთვნის მცირე თანამდებობის უფროსებს, ეკუთვნის აგრეთვე მაღალ თანამდებობის უფროსებს.

11. იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულობისათვის, რომელიც მოხსენებულია საერთო სამხედრო სისხლის სამართლის კანონებში და სასჯელთა შორის ნაჩვენებია დისციპლინარი სასჯელიც, მაშინ ერთეულის უფროსი გადასწყვეტს, აკმაროს დამნაშავეს დისციპლინარი სასჯელი, თუ გადასცეს სამხედრო ბრალმდებელს (პროკურორს) დამნაშავის სამართალში მისაცემად. თუ სამხედრო სასამართლო დისციპლინარი წესით საქმეს მოსპობს, მაშინ დამნაშავის უფროსს ეკუთვნის განსაზღვრა დისციპლინარი სასჯელის საზომისა.

12. კანონის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის სამართალში მიუცემლობა და ამის მაგიერ დისციპლინარი სასჯელის მინიჭება დამნაშავეს არ ათავისუფლებს სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობისაგან, მხოლოდ დისციპლინარი წესით მოხდილი სასჯელი აეთვლება სასამართლოს განაჩენის გამოტანის დროს.

13. ჯარის-კაცებს, ოფიცრებს და სამხედრო მოხელეთ დაედებათ შემდეგი დისციპლინარი სასჯელი:

ა) გაკიცხვის გამოცხადება სიტყვიერად ან ბრძანებით.

ბ) რიგ გარეშე დანიშვნა განწესებაში არა უმეტეს ექვსი გზობისა.

გ) დაპატიმრება არა უმეტეს ორი კვირისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. პატიმრობაში გატარებული დღეები არ ჩაითვლება საერთო სამსახურის ვადაში.

14. დაპატიმრება მდგომარეობს შემდეგში:

I. ჯარის-კაცთათვის ორგვარია:

ა) საერთო ოთახში მოთავსება სამსახურის ასრულებით.

ბ) ცალკე ნათელ ოთახში მოთავსება, სადაც ქვეშაგები ეძლევა მხოლოდ ღამით.

II. ოფიცერთათვის, ზემდეგებისათვის და ზედმეტ-მსახურ ნაცვალთათვის მთავარ სადარაჯოს ბინაზე ცალკე, ნათელ ოთახში მოთავსება მორიგ ოფიცერის ზედამხედველობით. ზემდეგი და ზედმეტ-მსახური ნაცვლები მოთავსდებიან, როგორც ოფიცრებისაგან, ისე ჯარის კაცებისაგან ცალკე.

15. ყველა დაპატიმრებულთ ჩამოერთმევათ ყოველ-გვარი მჭრელი და სასროლი იარაღი, რომელიც ინახება ათასეულის სამმართველოში სასჯელის მოხდამდე.

16. ლაშქრობისას ან ჯარების მოთავსების გამო თუ დაპატიმრება შეუძლებელია, დაპატიმრება სისრულეში მოიყვანების პირველ შეძლებისთანავე.

თ ა ვ ი III.

უფროსთა დისციპლინარი უფლება.

17. მეუფროსე ჯარის-კაცნი და გუნდის ოფიცრები ხელ-ქვეით ჯარის-კაცთა ყოველ დანაშაულს მოახსენებენ უმცროს-უფროსობის წესით გუნდის უფროსს, რათა დამნაშავეს დისციპლინარი სასჯელი დაედოს.

18. გუნდის უფროსებს და მათ თანასწორუფლებიან პირთ უფლება აქვთ ხელ-ქვეით ოფიცრებსა და ჯარის-კაცთ მიუსაჯონ:

I. ოფიცრებს გამოუცხადონ სიტყვიერი გაკიცხვა.

II. ჯარის-კაცთ: ა) რიგს გარეშე დანიშვნა განწესებაში ოთხჯერ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა რიგს გარეშე დანიშვნა უნდა ხდებოდეს დღე გამოშვებით.

ბ) დაპატიმრება ხუთი დღე-ღამის ვადით მე-16 მუხლში „ა"-ს განყოფილებაში აღნიშნული წესით.

19. ათასეულის უფროსის თანაშემწეთ სათანადო ნაწილში უფლება აქვთ:

I. გუნდის უფროსებს და ოფიცრებს გამოუცხადონ სიტყვიერი გაკიცხვა და რიგ გარეშე დანიშნონ განწესებაში ორჯერ.

II. ჯარის-კაცნი ა) რიგ გარეშე დანიშნონ განწესებაში ექვსჯერ; ბ) დააპატიმრონ მე-16 მუხლში „გ"-ს განყოფილებაში აღნიშნულის წესით ათი დღე-ღამის ვადით.

20. ათასეულის უფროსსა და მის თანასწორუფლებიან პირთ უფლება აქვთ: თანაშემწეს გამოუცხადონ გაკიცხვა სიტყვიერად ან ბრძანებით. დანარჩენ ოფიცერთა მიმართ, ამის გარდა:

I. რიგ გარეშე დანიშნოს განწესებაში ოთხჯერ.

II. დააპატიმროს ვიდრე შვიდ დღე-ღამემდე.

ათასეულის უფროსი ჯარის-კაცებისადმი სარგებლობს სრულს დისციპლინარს უფლებას.

21. ბრიგადის უფროსის თანაშემწეს უფლება აქვს ათასეულის უფროსს გამოუცხადოს სიტყვიერი გაკიცხვა, ბრიგადის დანარჩენ ოფიცერთა მიმართ:

I. რიგ გარეშე დანიშნოს განწესებაში ექვსჯერ.

II. დააპატიმროს ათი დღე-ღამის ვადით.

ბრიგადის უფროსის თანაშემწე ბრიგადის ყველა ჯარის-კაცთა მიმართ სარგებლობს სრულსდისციპლინარს უფლებას.

22. ბრიგადის უფროსს უფლება აქვს თავის თანაშემწეს, ათასეულის უფროსს, შტაბის უფროსსა და ბრიგადის შნეს გამოუცხადოს გაკიცხვა სიტყვიერად ან ბრძანებით. ბრიგადის დანარჩენ ოფიცერთა და ჯარის-კაცთა მიმართ ბრიგადის უფროსი სარგებლობს სრულს დისციპლინარს უფლებას.

23. სამხედრო მინისტრს აქვს უფლება ბრიგადის უფროსთა და მათ თანასწორუფლებიან პირთ სიტყვიერად ან სამხედრო უწყების მიმართ ბრძანებით გამოუცხადოს გაკიცხვა. ყველა დანარჩენ სამხედრო პირთა მიმართ სამხედრო მინისტრი სარგებლობს სრულს დისციპლინარს უფლებას.

24. სამხედრო მინისტრის თანაშემწე სარგებლობს იმავე

დისციპლინარს უფლებას, როგორსაც თვით სამხედრო მინისტრი.

25. სამხედრო მოხელენი დისციპლინარი სასჯელის მინიჭების მხრით შეუფარდდებიან მათთან ერთნაირ თანამდებობის ოფიცერთ. თავის მხრით, თანამდებობის მიხედვით, მათაც აქვთ დისციპლინარი უფლება.

26. ცალკე ერთეულად (ათასეულზე ნაკლებ) ან მცირე გუნდით ყოფნა სადმე მივლინებით ადიდებს ამ ნაწილების უფროსების დისციპლინარს უფლებას. ერთეულის უფროსი შეეფარდება ამ შემთხვევაში ათასეულის უფროსის თანაშემწეს, მცირე გუნდის უფროსი კი — გუნდის უფროსს, მიუხედავათ იმისა — უფროსად ოფიცერია თუ ჯარის-კაცი.

თავი IV.

დისციპლინარ სასჯელთა მინიჭება განსაკუთრებულ შემთხვევაში.

27. გარნიზონის უფროსებს, კომენდანტებს, კარვობის უფროსთ ან მათ მოადგილეთ უფლება აქვთ დააპატიმრონ არა თავის გამგებლობაში მყოფი სამხედრო უწყების პირნიც იმავე უფლებით, როგორც ხელქვეითნი, შემდეგ შემთხვევაში:

I. როცა დანაშაული ეხება საზოგადოებრივ მყუდროებისა და წესრიგის დარღვევას.

II. როცა დარღვეულია მათ მიერ გამოცხადებული სამხედრო ადმინისტრატიული რაიმე ზომები.

III. როცა დანაშაული ჩადენილია სადარაჯოთ ყოფნისა ან სამსახურის სხვა მოვალეობათა ასრულების დროს მინდობილ მიდამოში.

IV. როცა დანაშაული ჩადენილია იმისთანა სამხედრო პირისაგან, რომელსაც ამ ადგილას არა ჰყავს დისციპლინარი უფლებით მოსილი არც ერთი უშუალო უფროსი.

V. როცა დანაშაული ჩადენილია დათხოვნის ან მივლინების განმაგლობაში, თუნდაც იმ ადგილას იმყოფებოდეს დამნაშავის პირდაპირი უფროსი.

28. მახლობელი უფროსი, როდესაც თავის უფლებას სას-

ჯელის დადებაში საკმარისად არ სცნობს, მოახსენებს უფროსს სასჯელის განსაზღვრისათვის.

20. იმისთანა პირთა ერთად სამსახურის დროს, რომელნიც ერთმანეთის ხელქვეითნი არ არიან, თანამდებობით უფროსი ითვლება უფროსად; თანამდებობათა ერთგვარობის შემთხვევაში ნამსახურებით უფროსი უკანასკნელ თანამდებობაში მიიჩნევა უფროსად და უმცროსის მიმართ სარგებლობს მინიჭებულს დისციპლინარს უფლებას.

30. უმცროსის მიერ უფროსის წინაშე სამხედრო სამსახურის საერთო წესისა და დისციპლინის ან საჯარო ადგილას საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დარღვევის და სამხედრო პატივცემულობისა და ზრდილობის შეუსრულებლობის დროს მეუფროსე მოვალეა მოაგონოს უმცროსს; საჭირო შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს საკომენდანტოს ან ჯეროვან სამხედრო უფროსს შესაფერი განკარგულებისათვის.

31. მე-30 მუხლში ნაჩვენები შემთხვევის შესახებ მეუფროსე ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ყოველ შემთხვევისათვის დამნაშავისა ან გარნიზონის უფროსს.

32. როცა საჩივრისა ან უმაღლეს უფროსობისათვის დასმენის წყალობით გამოაშკარავდება, რომ ხელქვეითის დანაშაული უახლოესი უფროსის მიერ დაუსჯელათ არის დატოვებული, ან როცა უმაღლესი უფროსობა დაინახავს, რომ თვით სასჯელი არ შეეფერება დანაშაულის თვისებას ან დანაშაულის მნიშვნელობას, მაშინ უმაღლესი უფროსობა თვით განსაზღვრავს დისციპლინარ სასჯელს, თუ დამნაშავემ უკვე არ მოიხადა ან ამ ჟამად არ მოიხდის მახლობელი უფროსის მიერ დადებულ სასჯელს.

33. დისციპლინარი წესით არ შეიძლება ერთისა და იმავე დანაშაულისათვის ერთი გზობის მეტჯერ დაისაჯოს. აკრძალულია აგრეთვე ერთი სასჯელის მეორესთან შეერთება და დისციპლინარი სასჯელის სახით დაპატიმრების დადება უვადოთ.

34. ყოველი დისციპლინარი სასჯელი უნდა შეეფერებოდეს დანაშაულობის მნიშვნელობას. სასჯელის სახისა და საზომის დანიშვნის დროს მიიღება მოსაზრებაში: თვისება დანა-

შაულისა, თანხლებული გარემოებანი, დამნაშავის წინანდელი ყოფაქცევა; სამსახურის მოვალეობათ აუსრულებლობის დანაშაულობაში — დამნაშავის სამსახურში ყოფნის დრო და სამსახურის წესის ცოდნის მეტ-ნაკლებობა.

35. სიმკაცრე დისციპლინარ სასჯელთა გადიდდება, თუ დამნაშავე რამდენჯერმე იყო შემჩნეული ერთსა და იმავე სახის დანაშაულობაში, თუნდაც თვისებით სხვადასხვა ნაირში, მაგრამ, თუ სასჯელმა არავითარი გავლენა იქონია, ან როცა დანაშაულობა ჩადენილია სამსახურის მოვალეობათა აღსრულების დროს, ან თან სდევს უფროსთა მიმართ უპატივცემულობა, ან და შედეგათ მოჰყვა მას რაიმე არეულობა.

36. უფროსების მიერ დადებული დისციპლინარი სასჯელი, თუ განსაკუთრებული რამ არ უშლის ხელს, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს სისრულეში მოყვანილი; თუ დისციპლინარი სასჯელი დადებულია უმაღლეს უფროსისაგან, იმაზეა დამოკიდებული თვით მოახდინოს განკარგულება სისრულეში მოყვანისათვის, ან მიანდოს ეს დამნაშავის მახლობელ უფროსს.

37. ხელქვეითისათვის დადებული დისციპლინარი სასჯელის სისრულეში მოყვანა არ შედგება უფროსის განკარგულების გამო საჩივრის შეტანით, ვიდრე ამ განკარგულების შეცვლის ბრძანება არ მოვა უმაღლესი უფროსისაგან.

38. დისციპლინარი სასჯელის სისრულეში მოყვანა გადაიდება, თუ დამნაშავე მთვრალია, აგრეთვე არ ხდება მისი დაკითხვა, გარდა წინასწარ დაპატიმრებისა. ერთიც და მეორეც გადაიდება გამოფხიზლებამდე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამ შემთხვევაში წინასწარი დაპატიმრება არ ჩაითვლება დისციპლინარ სასჯელად.

თ ა ვ ი V.

პატიუთა ჟურნალი.

39. ყველა დისციპლინარი სასჯელი შეიტანება ჟურნალში.

40. თვითეული ჯარის ერთეულში უნდა იყოს ორი ჟურნალი.

I. ჯარის-კაცთათვის პატიჟთა ჟურნალი, რომელიც სწარმოებს ყოველ ასეულში და ცალკე მცირე გუნდშიაც.

II. პატიჟთა ჟურნალი ოფიცრებისა და სამხედრო მოხელეთათვის, საერთო ყველა ცალკე ერთეულში.

41. პატიჟთა ჟურნალში შეიტანება აგრეთვე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სასჯელიც.

42. პატიჟთა ჟურნალის ყოველივე მუხლი უნდა შემოწმებული იქნეს ასეულის უფროსის ხელის მოწერით. ათასეულის უფროსის თანაშემწენი მოვალენი არიან გადასინჯონ ჟურნალი ყოველ ორ კვირაში და ხელის მოწერით ჟურნალის ყოველ ფურცელზე, რომელიც ეკუთვნის თითო ჯარის-კაცს, შეამოწმონ დისციპლინარ სასჯელის სისწორე ან აღმოჩენილი გადახრილობა.

43. ოფიცერთა და სამხედრო მოხელეთა პატიჟთა ჟურნალში თვითეული მუხლი შემოწმებულია ათასეულის ადიუტანტის მიერ.

44. ოფიცერთა, სამხედრო მოხელეთა და ჯარის-კაცთა ერთი ერთეულითგან მეორეში გადაყვანისას ან მიელინებისას საჭირო წერილობით ცნობებთან ერთად იგზავნება აგრეთვე ამოწერილობა პატიჟთა ჟურნალისა.

45. საინსპექციო გასინჯვის და დაკითხვის დროს ინსპექციის მომხდენი უფროსი უეჭველად გასინჯავს პატიჟთა ჟურნალს.

46. ყველა ათასეულში და მის თანასწორ სამხედრო ნაწილში არსდება ათასეულის თანაშემწისა, ან და მის თანასწორ პირის თავმჯდომარეობითა და ასეულის ორი უფროსისა, ან თანასწორუფლებით აღჭურვილ პირთა შედგენილობით, დისციპლინარი კომისია, რომელიც მოვალეა ყოველი თვის ბოლოში გადასინჯოს დისციპლინარი პატიჟთა ყველა ჟურნალი, შეამოწმოს მისი წესიერად წარმოება და განიხილოს პატიჟთა დადების სამართლიანობა.

47. ყველა დასჯილ ოფიცერს და ჯარის-კაცს შეუძლია უახლოესი უფროსის საშუალებით შეიტანოს კომისიის უახლოეს კრებაში საჩივარი სასჯელის უსამართლობისათვის, თუ სასჯელი სამი დღით დაპატიმრებას აღემატება.

48. კომისია განიხილავს ყოველ საჩივარს და თავის გადა-

წყვეტილებას მოახსენებს ათასეულის (ან მის თანასწორ უფლებიან) უფროსს.

49. ათასეულის უფროსი, თუ დასთანხმდება კომისიას, შესაფერ განკარგულებას გასცემს; წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე მოხსენდება ბრიგადის უფროსს, რომელიც საბოლოოდ გადასწყვეტს საკითხს.

50. ვინც აღნიშნულ კომისიაში არ განასაჩივრა სასჯელის უსამართლობა, უფლება წაერთმევა განასაჩივროს იგი საინსპექციო გასინჯვის და დაკითხვის დროს. განსაჩივრება კომისიაში კი არ წაართმევს უკანასკნელ უფლებას.

51. ათასეულის უფროსის (ან თანასწორუფლებიანი პირის) მიერ დადებული პატიჟი განისაჩივრება ბრიგადის უფროსის (ან თანასწორუფლებიანი პირის) წინაშე.

თავი VI.

საჩივარი.

52. სამხედრო პირთა განცხადება უფროსების მხრით მათ მიმართ:

I. უკანონო და უმართებულო მოქმედების და განკარგულებისათვის.

II. სამსახურით მინიჭებულ უფლებათა და უპირატესობათა დარღვევისათვის.

III. დაწესებული ულუფის უკმაყოფილებისათვის — იწოდება საჩივრად.

53. საჩივრის წარდგენა არ შეიძლება მწყობრში დგომის დროს, საყარაულო და საერთოდ სამსახურის განწესებათა შესრულებისას.

54. სასჯელის სიმკაცრისა გამო ჩივილი არ შეიძლება, თუ უფროსმა არ გადაამეტა თავის დისციპლინარს უფლებას.

55. საჩივარი განიცხადება სიტყვით ან წერილობით საინსპექციო სინჯვის დროს და მის გარეშეც.

56. აკრძალულია საჩივრის მიტანა ჯგუფობრივ, აგრეთვე რაიმე ყრილობისა, ან კრების გამართვა ამის თაობაზე მსჯელობისათვის.

57. საინსპექციო სინჯვის დროს საჩივარი წარედგინება

ინსპექციის მომხდენ პირს, რომელიც პირადათ აცხადებს მწყობრის წინ დროს და ადგილს საჩივართა მიღებისათვის; ამასთან თვითეული მომჩივანი მისგან ცალკე მოისმინება.

58. საინსპექციო სინჯვის გარეშე საჩივარი ყოველთვის ასეულის (ბატარეიის) უფროსს წარედგინება; თუ საჩივარი ასეულის უფროსზეა, მაშინ ასეულში (ბატარეიაში) უფროსს ოფიცერს გადაეცემა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ასეულის უფროსი ან ასეულის, ოფიცერი, რომელთაც საჩივარი მიიღეს, ვალდებულნი არიან ხელქვეითობის წესის მიხედვით დაუყოვნებლივ მსვლელობა მისცენ საჩივარს, თუნდაც გვერდის ახვევით იმ უფროსისა, რომელზედაც საჩივარი შეიტანეს. ამასთან, თუ საჩივარი სიტყვიერად არის განცხადებული, მაშინ შინაარსი საჩივრისა უნდა წერილობით გამოიხატოს.

59. მხოლოდ საინსპექციო სინჯვაზე განუცხადებელი საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს ორი კვირის განმავლობაში დღიდან საინსპექციო გასინჯვისა. თუ მომჩივანმა გაიგო საჩივრის საფუძველად გამოსადეგი მიზეზი; აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ საჩივრის შეტანა შეუძლებელია, შეტანილი კიდევ — არ გაირჩევა.

60. ყველა ასეულში უნდა იყოს საჩივართა ჟურნალი, სადაც გუნდის უფროსის მიერ ან უმაღლესი მთავრობის განკარგულებით შეიტანება ჯარის-კაცთა საერთოდ ყველა საჩივარი და მათზედ მოხდენილი განკარგულება.

61. საჩივართა ჟურნალი მიეცემა ასეულს ათასეულის უფროსისაგან, მისივე ხელის მოწერით, ზონარ-გაყრილი და ბეჭედ-დასმული.

62. საჩივართა ჟურნალი წარედგინება საინსპექციო სინჯვის დროს, განკარგულებათა სისწორის შესამოწმებლად.

63. საჩივრის მიღებიდგან ერთი კვირის განმავლობაში სამხედრო უფროსი ატყობინებს მომჩივანს გადაწყვეტილებას, ან და იმ მიმართულებას, რომელიც მიეცემა საჩივარს, თუ აღნიშნული ვადის განმავლობაში განკარგულების მოხდენა შეუძლებელია.

64. სამხედრო პირთ, რომელმაც ორი კვირის განმავლობაში ვერ მიიღეს ცნობა ან გადაწყვეტილება, უფლება აქვთ საჩივარი შეიტანონ სამართლიანობაზე ამა წესდების მიღებულ წესით, ხელქვეითობის მიხედვით, უმაღლეს სამხედრო უფროსთან.

65. შეტანილ საჩივარის უფროსის გადაწყვეტილების უკმაყოფილო სამხედრო პირს უფლება აქვს ახალი საჩივარი შეიტანოს გადაწყვეტილების გამომტანი პირის უშუალო უფროსთან.

66. სამხედრო უფროსის გადაწყვეტილება მეორე საჩივარზე მიიჩნევა საბოლოოდ და მისი ხელახლად განსაჩივრება აღარ შეიძლება.

67. განზრახ ცრუ საჩივრის შემტანი სასამართლოში მიეცემა.

68. უსახელო საჩივარი არ განიხილება.

უჭკუოსი და ჭკუაზე შეშლილის შემოწმების წესისა

საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 11 მაისის კანონი.

1. სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდების მე-IV წიგნს დაემატოს მე-12 განყოფილებად შემდეგი:

წესი უჭკუოსი და ჭკუაზე შეშლილის შემოწმებისა.

1460-[62]. უჭკუოსი ან ჭკუაზე შეშლილის შემოწმება ეკუთვნის იმ ოლქის სასამართლოს, სადაც უჭკუო ან ჭკუაზე შეშლილი ცხოვრობს.

1460-[63]. თხოვნა უჭკუოსი ან შეშლილის შემოწმებისა შეუძლია მიცეს სასამართლოს მის შვილს, ცოლს, მშობელს, ძოურნეს, მზრუნველს ან მემკვიდრეს. უკეთუ არ ჰყვანან ან თუ ჰყვანან და ყურადღებას არ აქცევენ, ადგილობრივი მომ-

რიგებელი მოსამართლე ან ადმინისტრაცია წარუდგენს ოლქის სასამართლოს შემოწმების საჭიროებას.

1460-[64]. შემოწმება მოხდება სასამართლოს საჯარო სხდომაზე, მაგრამ, უკეთუ სულით ავადმყოფის მიყვანა იმ ადგილას, სადაც ოლქის სასამართლოა, შეუძლებელი ან მეტად ძნელია, სასამართლო მიანდობს ავადმყოფის შემოწმებას მის ბინაზე ერთ-ერთ თავის წევრს.

1460-[65]. შემოწმება მოხდება ექიმების მონაწილეობით, არა ნაკლებ სამისა, რომელნიც წარუდგენენ თავის წერილობით დასასკვნს სასამართლოს ან სასამართლოს იმ წევრს, რომელსაც მინდობილი აქვს ადგილობრივად შემოწმება.

1460-[66]. შესამოწმებელის გონების მდგომარეობის გამოსარკვევად სასამართლოს შეუძლია აგრეთვე გამოიყენოს სხვა მასალაც, დაჰკითხოს მოწმეებს და მოსთხოვოს სათანადო დაწესებულებას და თანამდებობის პირს საჭირო ცნობა, თუნდაც დაინტერესებულმა მხარეებმა არ მოითხოვონ.

1460-[67]. შემოწმებით გამოწვეული ხარჯი უნდა დაიფაროს ავადმყოფის ქონებით, ხოლო თუ, ადგილობრივი მომრიგებელი მოსამართლის დამოწმებით, შეუძლებელია, ხარჯი დაედება სახელმწიფო ხაზინას.

1460-[68]. დადგენილების გამოტანამდე სასამართლო, ხოლო თუ საქმე გადავა მეორე ინსტანციაში, სასამართლოს პალატა მოისმენს პროკურორის დასკვნას.

1460-[69]. სასამართლოს დადგენილების გასაჩივრება პალატაში, ხოლო ამ უკანასკნელისა სენატში შეუძლია ჩვეულებრივი წესით, როგორც საქმეში მონაწილეებს ისე პროკურორს.

1460-[70]. სასამართლოს დადგენილება, რომლითაც შემოწმებული ცნობილ იქნა უჭკუოდ ან ჭკუაზედ შეშლილად, ეცნობება, ძალაში შესვლის შემდეგ, მოურნის დასანიშნავად იმ უბნის მომრიგებელ მოსამართლეს, სადაც უჭკუო ან შეშლილი სცხოვრობს. მაგრამ, უკეთუ მოურნეობის დაუყონებლივ დანიშვნა აუცილებელ საჭიროებად მიჩნეულ იქნება ავადმყოფის ან მისი ქონების მოვლისათვის, სასამართლოს შეუძლია დადგენილების ძალაში შესვლამდეც მისწეროს მომრიგებელ მოსამართლეს მოურნეობის საჩქაროდ დანიშვნა.

II. გაუქმდეს სამოქალ. კანონ. მე-X ტ. I ნაწ. მე-368, 372, 373 და 374 მუხლები.

მკვიდრთაგან მიტოვებულ ყოფილ სახაზინო-სანადელო მიწების სახელმწიფო ფონდში გადასვლისა[1].

საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 28 მაისის კანონი.

ყოფილი სახაზინო-სანადელო მიწები, რომელიც 1919 წ. იანვრის 28-ის კანონით („კან. და მთავრ. განკარგ. კრებ." 1919 წ. № 2, კან. 12) კერძო საკუთრებად გამოცხადდა, და რომელთა პატრონებიც ლტოლვილან, ჩაირიცხოს სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდში იმ შემთხვევაში, თუ ორი თვის განმავლობაში, დღიდან ამ კანონის გამოქვეყნებისა, პატრონები არ დაუბრუნდებიან თავის ადგილებს.

დ ე კ რ ე ტ ი
საისტორიო, საარქეოლოგიო, სამხატვრო და სხვა საკულტურო ნივთების საქართველოს რესპუბლიკიდან გატანის აკრძალვისა

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1920 წლის 28 მაისს

1. აკრძალულია გატანა საქართველოს რესპუბლიკიდან განათლების მინისტრის ნებადაურთველად ყოველგვარი საისტორიო, საარქეოლოგიო, სამხატვრო და საკულტურო ნივთებისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამ გვარ ნივთებს შეადგენენ: 1) ყოველგვარი მიწაში და სასაფლაოებში ნაპოვნი ნივთები ლითონებისა, ძვლისა, თიხისა, მინისა და ხისა; 2) ყოველგვარი საეკლესიო ნივთი და სამკაული, ხატი, ჯვარი, ჭურჭელი, შესამოსელი, ქსოვილები, წაკერ-ნაქარგი ნივთები, ხელთნაწერი და ძველი ნაბეჭდი წიგნები, სიგელ-გუჯარწი, ქაწდაკებანი და ჩუქურთმიანი ქვები და სხვა ჩუქურთმიანი ნივთები; 3) ყოველგვარი ძველ-იარაღი, საომარი და საოჯახო; 4) ყოველგვარი ძველი სამკაული დედაკაცისა და მამაკაცისა; 5) ძველი ფულები, მედლები და ჟეტონები; 6) სურათები, ნახატები და

[1] იხ. გვ. 222.

სხვა მხატვრული ნაწარმოები, გარდა ფოტოგრაფიული სურათებისა და ახალ მხატვართა ნაწარმოებთა; 7) ნაბეჭდი წიგნები ქართულ და უცხო ენებზედ, რომელიც დასტამბულია 1918 წ. მაისის 26-მდის; 8) ძველი ტანისამოსი; 9) ძველი ცხენის მოსართავი, რახტი, ლაგამი, უნაგირი, ყაჯარი ანუ ასალი; 10) ყოველგვარი ძველი საპირფარეშო იარაღი და 11) ყოველგვარი ძველი ავეჯი.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

დ ე კ რ ე ტ ი

აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებული დავა-საჩივრის განხილვის წესისა

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1920 წლის 28 მაისს

დავა-საჩივარი, დაკავშირებული აგრარული რეფორმის განხორციელებასთან, მიწის კონფისკაციის, სახელმწიფო ფონდში გადარიცხვის და სოფლის მცხოვრებელთა შორის განაწილების თაობაზე სასამართლო დაწესებულებას არ ექვემდებარება და უნდა განხილულ იქნეს მხოლოდ იმ ადმინისტრატიული ორგანოების მიერ, რომელიც აღნიშნულია სათანადო საადგილ-მამულო კანონებში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სენატის დებულების („კან. და მთ. განკ. კრებ." 1919 წ. № 13, კან. 119) მე-34 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შენიშვნა: დროებით, აგრარული რეფორმის განხორციელებამდე, მიწათმოქმედების მინისტრის დადგენილება, გარდაწყვეტილება, ან განკარგულება, დაკავშირებული აგრარულ რეფორმასთან, არ ექვემდებარება სენატს.[1]

[1] იხ. გვ. 291.

საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭოს დებულების დამტკიცებისა

საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 29 ივნისის კანონი

1. დამტკიცებულ იქნეს ამ კანონთან დართული დებულება საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭოსი.

2. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭოს
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დ ა მ ა ტ ე ბ ა.

1. საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭო არსდება იუსტიციის სამინისტროსთან და მის წევრებად ითვლებიან: რესპუბლიკის სასამართლო პალატის პროკურორი (იგივეა საბჭოს თავმჯდომარე, თუ იუსტიციის მინისტრმა ამ თანამდებობაზე სხვა პირი არ დანიშნა), ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე, ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორი, რესპუბლიკის საპატიმროთა ინსპექტორი, ტფილისის ქალაქის მოურავი, ტფილისის მაზრის ერობის გამგეობის თავმჯდომარე, ნაფიც ვექილთა საბჭოს წარმომადგენელი, ტუსაღთა მფარველი საზოგადოების წარმომადგენელი. საბჭოში მოწვეულ იქნებიან აგრეთვე სხვა სამინისტროთა წარმომადგენელნი, ამ კერძო საკითხთა განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, ამა თუ იმ სამინისტროს საუწყებო საგანს რომ შეეხება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თუ მუდმივ წევრს ავადმყოფობისა ანუ სხვა რაიმე მიზეზისა გამო არ შეუძლია საბჭოს სხდომას დაესწროს, უფლება აქვს თავის ნაცვლად სხვა შესაფერი პირი გამოგზავნოს სხდომაზე, მხოლოდ ეს გარემოება წერილობით უნდა აცნობოს საბჭოს თავმჯდომარეს.

2. იუსტიციის მინისტრის ან საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით შეიძლება საბჭოში მოწვეულ იქნენ სათათბირო ხმით გარეშე პირნიც, როგორც სახელმწიფო სამსახურში მყოფნი, ისე არა მყოფნიც, რომელთაგანაც საბჭოში განსახილველ საკითხთათვის სასარგებლო აზრისა და ცნობის მიღებაა შესაძლებელი.

3. საპატიმროთა საქმის უმაღლეს საბჭოს უნდა წარედგინოს ყოველი კანონ-პროექტი და მნიშვნელოვანი მოხსენება, რომელიც შეეხება საპატიმროთა წყობილებისა და მართვა-გამგეობის წეს-რიგს, პატიმართა რჩენა-შენახვის და გადაგზავნის წეს-რიგს, საპატიმრო დაწესებულებათა და საზოგადოებათა მოწყობას, ახალ საპატიმროთა აშენებას, პატიმართა ზნეობრივად გაფაქიზებას, პატიმართა შრომის დებულების შეცვლას, სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამუშაოთა და პატიმართათვის სასოფლო-სამეურნეო ახალშენების მოწყობას, საპატიმროთა მეურნეობის გაუმჯობესებას, საპატიმროთა უწყების სახელმწიფო და სპეციალ საშუალებათა ანგარიშის წარმოების წესის შეცვლას, საპატიმრო ნაწილის შემოსავალ-გასავლის საგარაუდო აღრიცხვას და აგრეთვე ყოველი საქმე და საკითხი, რომლის გადაცემას საბჭოსათვის საჭიროდ დაინახავს იუსტიციის მინისტრი, საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და ან იუსტიციის მინისტრის ცალკე ნებართვით, რესპუბლიკის საპატიმროთა ინსპექტორი.

4. საბჭოს ყოველ მუდმივ წევრს უფლება აქვს დაუბრკოლებლად დაათვალიეროს საპატიმროები ყოველ დროს სახელიანი ბილეთით, რომელიც საბჭოს თავმჯდომარისაგან მიეცემა. საპატიმროს დათვალიერების დროს საბჭოს წევრის მოთხოვნილებით საპატიმროს უფროსი ვალდებულია აუწყოს მას ყოველივე ცნობა იმისთვის, თუ რა მდგომარეობაშია საპატიმრო, მისი ადმინისტრაცია, ქონებრივი და სამეურნეო წაწილი, როგორ ინახავენ პატიმრებს, რა მდგომარეობაშია პატიმართა შრომის საქმე, საპატიმრო სკოლის მეცადინეობა და სხვა. ყოველივე თავისი შენიშვნა საპატიმროს დათვალიერების გამო საბჭოს წევრს შეუძლია ჩასწეროს საპატიმროს კანტორის ცალკე დავთარში, რომელიც დამთვალიერებელთათვის არის შემოღებული, და ან წერილობით წარუდგინოს იუსტიციის მინისტრს ან უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს.

5. საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭოს დადგენილებანი უნდა ჩაიწეროს ოქმში, რომელიც იმ წევრთა ცალკე აზრით, საერთო დანასკვს რომ არ ეთანხმებიან, იუსტიციის მინისტრს უნდა წარედგინოს განსახილველად და საკითხის გადასაწყვეტად.

6. საბჭოში მდივნის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი წევრი საბჭოს არჩევით ან სპეციალად ამისათვის მიწვეული პირი.

7. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

ჯანმრთელობის დეპარტამენტის დაარსებისა[1]

საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 13 ივლისის კანონი

(ამონაკრები)

1. შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო-სასანიტარო განყოფილების ნაცვლად დაარსებულ იქნეს ამა 1920 წლის ივნისის 1-დან შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ჯანმრთელობის დეპარტამენტი, თანახმად ამ კანონთან დართული დებულების, შტატის და ხარჯთ-აღრიცხვისა.

3. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

---

[1] შტატები და ხარჯთაღრიცხვა კრებულში არ იბეჭდება.

დებულება

საქართველოს ჯანმრთელობის დეპარტამენტისა

დამტკიცებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1920 წლის 13 ივლისს

დამატება № 1.

1. საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალი ჯანმრთელობის ორგანო შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტია თვისი საკუთარი კრედიტით. მისი გამგე დეპარტამენტის უფროსია.

გამგე პროფესიით ექიმი უნდა იყოს.

2. დეპარტამენტის მოვალეობაა: შეიმუშაოს საექიმო-სასანიტარო კანონ-პროექტები და საფანადო დამტკიცების შემდეგ თვალყური ადევნოს მათ ცხოვრებაში გატარებას.

3. დეპარტამენტი თვალყურს ადევნებს და აწარმოებს კონტროლს ყოველი საექიმო-სამინისტრო დაწესებულებისას მთელს რესპუბლიკაში.

4. დეპარტამენტი აწარმოებს საერთაშორისო სანიტარიის დაცვის საქმეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და სახელმწიფოებრივ ფარგლებში საერთო ბრძოლას წინააღმდეგ ტუბერკულოზისა, მალარიის, ვენერიული სნეულობის და შავი ჭირის, შავი სახადის და სხვათა.

5. დეპარტამენტი აწარმოებს ექსპერტიზის საქმეს სახელმწიფოში.

6. დეპარტამენტი განაწესრიგებს და განაგებს რესპუბლიკის საზღვრებში საექიმო და სასანიტარო სტატისტიკის საქმეს.

7. დეპარტამენტი ხელმძღვანელობს და განაგებს საექიმო-სასანიტარო მხრით სახელმწიფოებრივ მნიშვნელოვანი აგარაკ-კურორტების საქმეს, შეთანხმებით იმ უწყებასთან, რომელსაც იგი აბარია.

8. დეპარტამენტი განაგებს რესპუბლიკის საფარმაციო და საფარმაცევტო საქმეებს.

9. ყოველი ზემოაღნიშნული საქმის საწარმოებლად და განსახორციელებლად არსდება მართვა-გამგეობის საბჭო, რო-

ზელიც მუშაობს დეპარტამენტის უფროსის თავმჯდომარეობით და ხელმძღვანელობით და რომლის წევრებადაც ითვლებიან განყოფილებათა უფროსები.

10. დეპარტამენტს აქვს შემდეგი განყოფილება: ერობის და ქალაქის მედიცინისა, ჯარის, საფარმაციო, საკურორტო და სარკინიგზო.

11. დეპარტამენტთან არსებობს სამედიცინო საბჭო.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. რკინის გზის განყოფილება დარჩება ჯანმრთელობის დეპარტამენტში დროებით, ვიდრე ამ უწყების სრული გაერთიანება მოხდებოდეს საერობო და საქალაქო სამკურნალო ნაწილებთან.

საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის დაარსებისა[1]

საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 13 ივლისის კანონი

(ა მ ო ნ ა კ რ ე ბ ი)

1. ნაცვლად ტფილისის ფიზიკური ობსერვატორიისა დაარსებულ იქნეს ამა 1920 წლის მარტის 1-დან საქართველოს ფიზიკური ობსერვატორია, რომელსაც გადაეცეს ტფილისის ფიზიკური ობსერვატორიის ყოველი უძრავი და მოძრავი ქონება და საქმე.

2. დამტკიცებულ იქნეს ამ კანონთან დართული საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის დებულება, შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა.

3. ყოფილი ტფილისის ფიზიკური ობსერვატორიის ყოველი მოხელე, რომელიც არ ჩაირიცხება საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის შტატში, დატოვებულ იქნეს შტატს გარეშე და მიეცეს სალიკვიდაციო, აწინდელი კანონის თანახმად.

4. საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიას მიენიჭოს უფლება:

---

[1] შტატი და ხარჯთაღრიცხვა კრებულში არ იბეჭდება.

ა) უბაჟოდ დაიბაროს და მიიღოს უცხოეთიდან წიგნები, ხელსაწყობნი და სამეცნიერო საჭიროების ყოველგვარი ნივთი და მასალა;

ბ) რესპუბლიკის საზღვრებში მიიღოს და ჰგზავნოს უფასოდ ფოსტით სამეცნიერო საჭიროების ყოველგვარი მასალა, წონით არა უმეტეს ერთი ფუთისა.

6. ამ კანონით დამტკიცებულ საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

7. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

დებულება

საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიისა

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1920 წლის 13 ივლისს

დამატება № 1.

1. საქართველოს ფიზიკური ობსერვატორია ექვემდებარება განათლების მინისტრს.

2. ობსერვატორია აწარმოებს მეტეოროლოგიურ, კლიმატოლოგიურ, მაგნიტურ, სეისმურ და სხვა გეოფიზიკური ხასიათის დაკვირვებასა და კვლევა-ძიებას, როგორც საქართველოში, ისე მის მოსაზღვრე ქვეყნებში, შეძლებისამებრ გამოიყენებს მეცნიერული კვლევა-ძიების დანასკვსა პრაქტიკული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, და თავის ღონისძიების მიხედვით დახმარებას უწევს იმ პირთ, რომელნიც ზემოჩამოთვლილი ხასიათის დაკვირვებას აწარმოებენ.

3. ობსერვატორიის გამგებლობაში იმყოფება რესპუბლიკის საზღვრებში მყოფი მეტეოროლოგიურ სადგურთა მთელი

ქსელი, მათ შორის მუდმივი და საყრდნობი მეტეოროლოგიური სადგურნი, რომელნიც ობსერვატორიის შტატის თანხით ინახებიან.

4. ყოველი ის მეტეოროლოგიური სადგური, რომელიც სხვადასხვა უწყების მიერ არის გამართული და მთლად მათი ხარჯით ინახება ან მათგან რაიმე დახმარებას ღებულობს, მეტეოროლოგიურ დაკვირვებას აწარმოებს ობსერვატორიის მიერ გამოცემული ინსტრუქციების მიხედვით. სადგურების გახსნისა ან დახურვისათვის სათანადო უწყებანი ვალდებულნი არიან წინასწარ აცნობონ ობსერვატორიას. დაკვირვებისათვის სახმარი იარაღი შესწორებულ უნდა იქნეს ობსერვატორიის ნორმალ ინსტრუმენტებთან შედარებით.

5. თვითეული მეტეოროლოგიური დაკვირვება იგზავნება ფიზიკურ ობსერვატორიაში, სადაც შემოწმებისა და დამუშავების შემდეგ იბეჭდება საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის მატიანეში. დაკვირვების დედანი ინახება ობსერვატორიაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მეტეოროლოგიური დაკვირვების წარმოებისათვის ახალი კრედიტის გახსნისათვის შუამდგომლობის აღძვრამდე სათანადო უწყებათათვის მოსაზრებას ამ საგნის თაობაზე დასასკვნელად ატყობინებს ობსერვატორიას იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად დასაკმაყოფილებელია ეს ახალი მოთხოვნილება, და შეიძლება თუ არა მისი დაკმაყოფილება ობსერვატორიის თანხით.

6. დებულების მეორე მუხლში აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად და აგრეთვე სხვადასხვა სამეცნიერო საკითხის გადასაჭრელად ობსერვატორიასთან არსებობს სამეცნიერო საბჭო, რომელიც შესდგება დირექტორისა, მისი თანაშემწისა, განყოფილებათა გამგეებისა, ობსერვატორიის ყველა ფიზიკოსისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთი წარმომადგენლისაგან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. საჭირო შემთხვევაში, ზოგიერთი სპეციალი საკითხის განხილვის დროს სამეცნიერო საბ-

ჭოს სხდომაზე შეიძლება მიწვეულ იქნეს სათათბირო ხმით დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლებიც.

7. სამეცნიერო საბჭო განიხილავს და ამტკიცებს ყოველ მოსაზრებას, რომელიც ხელს უწყობს ობსერვატორიის მოქმედების მაქსიმალ წარმატებას: განყოფილებათა მუშაობის საზოგადო პროგრამებს, სამეცნიერო ექსპედიციების წარმომადგენლობის, სამეცნიერო შრომისა და სხვადასხვა საქმეთა მოწყობის პროექტებს და ამოირჩევს ამ მიზნებისათვის სათანადო პირებს. სამეცნიერო საბჭო შეიკრიბება დრო გამოშვებით დირექტორის თაოსნობით ან საბჭოს სამი წევრის წინადადებით.

8. სამეცნიერო საბჭოს გამგებლობაშია განაწილება ობსერვატორიის სამეცნიერო საჭიროებისათვის გადადებული თანხებისა.

9. ობსერვატორიის დირექტორს დანიშნავს განათლების მინისტრი. ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭოს დანარჩენ წევრს აირჩევს სამეცნიერო საბჭო, ხოლო დირექტორი წარუდგენს მინისტრს დასამტკიცებლად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. დირექტორის თანაშემწის და განყოფილებათა გამგეების არჩევნებში ფიზიკოსები მონაწილეობას არ მიიღებენ. საადმინისტრაციო სამსახურის პირთა და დაბალ მოსამსახურეებს აირჩევს და დანიშნავს ობსერვატორიის დირექტორი.

10. დირექტორი უშუალო გამგეა ობსერვატორიისა; მას დაევალება: ა) უშუალო გამგებლობა ობსერვატორიაში წარმოებულ სამუშაოთა, მათი განაწილება ობსერვატორიის მოსამსახურეთა შორის და უახლოესი მონაწილეობა ობსერვატორიის სამეცნიერო მუშაობაში; ბ) ყოველგვარი მიწერ-მოწერის წარმოება სხვადასხვა დაწესებულებასა და პირებთან ობსერვატორიის სახელით და გ) სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობა.

11. ობსერვატორიას ჰყავანან თავისი კორესპონდენტები სმორჩეული იმ პირთაგან, რომელთაც მეცნიერებისა ან ობსერვატორიის წინაშე მიუძღვით თვალსაჩინო ღვაწლი. კორესპონდენტის სახელწოდებას და შესაფერ დიპლომს მიანიჭებს სამეცნიერო საბჭო დირექტორის წინადადებით.

12. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უფლება აქვს სამეცნიერო და პედაგოგიური მიზნებისათვის გამოიყენოს ფიზიკური ობსერვატორიის ყოველი განყოფილება.

დირექტორი ობსერვატორიისა ვალდებულია ყოველ ასეთ შემთხვევაში, როდესაც ასეთის მიზნით მიმართავენ, დააკმაყოფილოს შუამდგომლობა.

დირექტორს უფლება აქვს ობსერვატორიაში მუშაობის ნება დართოს აგრეთვე კერძო პირებსაც, თუ ისინი ამ მუშაობას სამეცნიერო მიზნით ეწევიან. წესს ობსერვატორიაში მუშაობისა, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, განსაზღვრავს ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭო.

13. ობსერვატორიის სამეცნიერო პერსონალი სარგებლობს პენსიის უფლებით სასწავლო სამსახურის მიხედვით, თანახმად რესპუბლიკაში მომქმედ კანონებისა.

14. ობსერვატორიას აქვს სახელმწიფო ღერბიანი საკუთარი ბეჭედი ზედ წარწერით — „საქართველოს ფიზიკური ობსერვატორია".

15. ობსერვატორიის ღონისძიებას შეადგენს: 1) სახელმწიფო ხაზინიდან სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვაში ობსერვატორიისათვის გადადებული თანხა და 2) სპეციალი თანხა: ა) სამეცნიერო კვლევა-ძიებისა და სხვადასხვა ექსპედიციის გასამართავად შემოწირული ფული, ბ) ქალაქებისა, ერობებისა და სხვა უწყებათა მიერ მეტეოროლოგიური სადგურთა შესანახად და ბიულეტენების და დაკვირვებათა ბეჭდვისა და გამოცემისათვის გადადებული თანხები, გ) ობსერვატორიის სახელოსნოს მიერ ყოველგვარი იარაღის დამზადებასა და შეკეთებაში აღებული ფული და დ) შემთხვევითი შემოსავალი.

16. სამეცნიერო მიზნებისათვის გადადებული ფული იხარჯება დირექტორის განკარგულებით, სამეცნიერო საბჭოს მიერ განხილვისა და დამტკიცების შემდეგ.

17. ყოველი დანარჩენი თანხის ხარჯვის უფლება მიენიჭება დირექტორს; მას აქვს უფლება: ა) წლის განმავლობაში გასწიოს ხარჯი ხარჯთ-აღრიცხვაში აღნიშნული თვითეული კრედიტის მიხედვით; ბ) ობსერვატორიის შტატში აღნუსხული სამეურნეო თანხების მიხედვით აწარმოოს შევაჭრება და შეჰკრას კონტაქტი 20.000 მანეთამდე; და გ) ამავე თანხებიდან

გასწიოს ხარჯი სამეცნიერო წესით ობსერვატორიის სამეურნეო საჭიროებისათვის 10.000 მანეთამდე.

18. ობსერვატორიის სამეცნიერო პერსონალი, ფიზიკოსების ზედმეტვლით, სარგებლობს წლის განმავლობაში ერთი თვის საზაფხულო დასვენების ჯამაგირის შენახვით.

მადნეულობის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებისა

საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს მთავრობის 1920 წლის 15 ივლისის კანონი

1. ყველა მიწის გული და მადნეულობა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, გარდა ჩვეულებრივი თიხისა, ქვიშისა, ხრეშისა და უბრალო საშენებელი ქვისა, გამოცხადებულ იქნეს სახელმწიფო საკუთრებად 1917 წ. დეკემბრის 16-დან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ეს მუხლი არ შეეხება 1920 წ. ოქტომბრის 1-მდე ამოღებულ მადანს.

2. გაუქმებულ იქნეს დამფუძნებელი კრების მიერ ამ კანონის მიღების დღემდე ყველა გაცემული ნებართვის მოწმობა, მიჩენის აქტი, საიჯარო და სხვა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც კერძო პირს, ამხანაგობას ან საზოგადოებას უფლება ეძლეოდა სახელმწიფო ან კერძო მიწაზე მადნის კვლევა-ძიებისა ან დამუშავებისა.

3. ჭიათურის შავი ქვის სამრეწველო რაიონის მწარმოებელთ თანასწორ პირობებში უპირატესობა ეძლევათ იჯარით აიღონ მთავრობისაგან დასამუშავებლად ის მადნები, რომელიც მათ ეკუთვნოდათ დამფუძნებელი კრების მიერ ამ კანონის მიღების დღემდე საკუთრების აწ საიჯარო უფლების ძალით.

4. მთავრობას უფლება ეძლევა მე-3 მუხლში აღნიშნული უპირატესობა სხვა სამთო-სამრეწველო რაიონების მწარმოებლებზედაც გაავრცელოს.

5. იმ რაიონებში, სადაც მრეწველობა არსებობს, მესაკუთ-

რეს, თუ ის თავის ადგილში მრეწველობას არ ეწევა, სახელმწიფო აძლევს სამაგიერო მიწას ნორმის ფარგლებში 1918 წ. მარტის 7-ის კანონის თანახმად.

6. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

შრომის ხელშეკრულებისა

საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 14 აგვისტოს კანონი

I. კანონის მოქმედების ფარგალი.

1. ამ კანონს ექვემდებარება შრომის ყოველი ხელშეკრულობა, რომლითაც ერთი პირი — დაქირავებული — თავის სამუშაო ძალას აძლევს სხვა პირს — დამქირავებელს — განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ან გარიგებულ სამუშაოს დამთავრებამდე და ვალდებული ხდება დამქირავებლის მიერ ნაჩვენები განსაზღვრული სახის მოქმედება შეასრულოს სასყიდლით — სამუშაო ფასით, რომელიც აღირიცხება დროის მიხედვით, ნაჭრობით ან სხვა საშუალებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამ კანონს არ ექვემდებარებიან: ა) სახელმწიფოსი და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებათა თანამდებობის პირნი და ადმინისტრაციაში მოსამსახურენი; ბ) ის ხელშეკრულობანი, რომელსაც დასდებენ საზოგადოდ ადმინისტრატიული მოქმედებისათვის დაქირავებულნი; გ) აგრეთვე ის პირნი, რომელნიც საზოგადოების წევრთა განუსაზღვრელ რიცხვს აწვდიან დამოუკიდებელი ხელობის სახედ მათ მიერ შეკავშირებულსა ან პირად შრომას.

II. მშრომელთა დაქირავების წესი.

2. დამქირავებელი ვალდებულია მიიწვიოს სამუშაოდ დასაქირავებელი ადგილობრივი ქალაქის თვითმმართველობისა ან ერობის შრომის ბირჟის შემწეობით, თუ ასეთი ბირჟა

არსებობს. თუ ბირჟამ ვერ მოუძებნა დამქირავებელს მომუშავეთა საკმარისი რიცხვი, დამქირავებელს შეუძლია სხვაგან ეძებოს ისინი და ვალდებულია ბირჟას აცნობოს ეს გარემოება.

3. შრომის ბირჟის გარეშეც შეიძლება დაქირავებულ იქნეს:

ა) სახელმწიფოს, ადგილობრივ თვითმმართველობათა და მათი კავშირის დაწესებულების მოსამსახურე, ბ) სახელმწიფო და მუნიციპალი წარმოების სპეციალისტი, გ) მუშა-მოსამსახურე ისეთი სახელმწიფო და მუნიციპალი წარმოებისა, რომელიც სამხედრო ან სახელმწიფო საიდუმლოებას შეიცავს და დ) ის, ვინც ასრულებს გამგებლობისა, მმართველობისა, კონტროლისა და ქონების შენახვის ცალკე პასუხისმგებელ მოვალეობას, როგორიც არის მაგალითად: ხაზინადარი, ათისთავი, აქწონი, მიმღები, პირადი მდივანი და სხვა ამ გვარი.

4. დამქირავებელს არ აეკრძალება მიწვევა იმ მუშისა და მოსამსახურისა, რომელიც შრომის ხელშეკრულობის ძალით სხვა დამქირავებელთან მუშაობს, ხოლო ვალდებულია თვითეული ასეთი დაქირავებულის ვინაობა დაუყოვნებლივ აცნობოს შრომის ბირჟას.

5. დამქირავებელს უფლება აქვს თავისუფლად აირჩიოს შრომის ბირჟაში ჩაწერილთა შორის ის პირი, რომელსაც სურს ძიძად, აღმზრდელად, ყარაულად, დარაჯად, ხელზედ მოსამსახურედ ან მეეზოვედ დადგომა, ხოლო შრომის დანარჩენი კატეგორიის მუშა-მოსაქმეთა დაქირავება განისაზღვრება წესით, რომელიც შემუშავებული აქვს იმ შრომის ბირჟას, საიდანაც იგი დაქირავებულია.

6. ყოველი შემთხვევა შრომის ბირჟის გარეშე დაქირავებისა დამქირავებელმა უნდა აცნობოს ადგილობრივს ბირჟას, ხოლო თუ ადგილობრივი არ არის, უახლოესს შრომის ბირჟას.

7. მუშა, რომელმაც ზედიზედ ერთ კვირაზე მეტი იმუშავა, ხელოსანი, რომელმაც ორ კვირას იმუშავა და მოსამსახურე, რომელმაც ერთ თვეზე მეტი იმუშავა დაწესებულებაში მიღებულად ჩაითვლება და სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომელიც შემოღებულია წარმოებაში დანარჩენი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის.

8. უკეთუ დაქირავებული თავისი ცოდნითა და უნარით

ვერ აკმაყოფილებს იმ კატეგორიის სამუშაოს მოთხოვნილებას, რომლისთვისაც დაქირავებულია, დამქირავებელს შეუძლია დაითხოვოს იგი მე-7 მუხ. აღნიშნული ვადის გასვლამდე, ხოლო ნამუშევარი დღეებისათვის ხვედრი სამუშაო ხელფასი უნდა მისცეს. თუ ხელფასი დაქირავებისთანავე არ იყო განსაზღვრული, მაშინ განსაზღვრავს შრომის ბირჟა ან შრომის სამინისტროს ორგანო.

9. უკეთუ დამქირავებელი ბოროტად ისარგებლებს მე-8 მუხლში აღნიშნულ უფლებით, შრომის ბირჟას უფლება აქვს აღძრას საქმე შრომის სასამართლოში. უკეთუ შრომის სასამართლო დაინახავს, რომ დაქირავებულის ცოდნა და უნარი დამქირავებელს სამართლიანად არ დაუფასებია, დამქირავებელმა უნდა დააკმაყოფილოს დაქირავებული თანახმად იმ წესებისა, რომელიც დადებულია დაქირავებულთა დასაკმაყოფილებლად შრომის ხელშეკრულობის უკანონოდ დარღვევისათვის (მუხ. 80).

III. ფორმა შრომის ხელშეკრულობისა

10. შრომის ხელშეკრულობის ფორმა, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ამ კანონშია (მუხ. 17, 20 და 32) აღნიშნული, დამოკიდებულია პირობის დამდებთა სურვილზე და წერილობითიც შეიძლება იყოს და სიტყვერიც. სიტყვიერი ხელშეკრულობის ყოველი ნაწილი შეიძლება დამტკიცებულ იქნეს მოწმეთა ჩვენებით.

11. შრომის ხელშეკრულობა შეიძლება იყოს როგორც პირადი, ისე კოლექტიური.

12. აკრძალულია ისეთი ხელშეკრულობის დადება, რომლის ასრულებაც უნდა დაიწყოს სამ თვეზე უგვიანეს დღიდან მისი დადებისა. ასეთ ხელშეკრულობას ძალა არ ექნება.

13. შრომის ხელშეკრულობა უნდა დადებულ იქნეს:

ა) განსაზღვრულის ვადით,

ბ) განუსაზღვრელის ვადით, და

გ) რაიმე სამუშაოს ასრულებამდე, რომლის დამთავრებითაც ხელშეკრულობას ძალა დაეკარგება.

IV. შრომის ხელშეკრულობის პირობა.

14. შრომის ხელშეკრულობის ყოველი პირობა დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე. ნამდვილად არ ჩაითვლება ისეთი პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობის წესებს, მის დამდებთ სასამართლოთი სარგებლობის უფლებას უზღუდავს და აგრეთვე პირობა, რომელიც აუარესებს მშრომელის მდგომარეობას წარმოებაში, შინაური წესრიგისა და შრომის დამცველი კანონებით დაწესებულ პირობებთან შედარებით.

15. როცა შრომის ხელშეკრულობის ძალით მუშაობა სწარმოებს არა ხელშეკრულობის დამდებ პირისათვის, არამედ იმ წარმოების ან მეურნეობისათვის, რომელსაც დამქირავებელი ემსახურება, ან როცა წარმოება, სადაც დაქირავებული მუშაობს, შეადგენს მეორე სამრეწველო დაწესებულების ნაწილს ან განყოფილებას, დამქირავებლად ითვლება არა ის, ვინც ხელშეკრულობა დასდო, არამედ ის, ვისთვისაც სწარმოებს მუშაობა; მაგრამ ხელშეკრულობის დამდებიც არ განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან მის მიერ დაქირავებულთა წინაშე. ამ დებულების საწინააღმდეგო შეთანხმება აკრძალულია.

V. კოლექტიური ხელშეკრულობა

16. შრომის კოლექტიური ხელშეკრულობა შეიძლება დადებულ იქნეს ერთის მხრით მუშათა და მოსამსახურეთა კავშირსა და მეორის მხრით მრეწველთა ან წარმოების პატრონთა კავშირს შორის, აგრეთვე მრეწველ-პატრონთა და მათთან მომუშავე მუშებსა და მოსამსახურეებს შორის, ან ამ უკანასკნელთა რომელსამე ჯგუფთან. კოლექტიურ ხელშეკრულობას სავალდებულო ძალა აქვს მისი დამდები კავშირის ან ჯგუფის ყველა წევრისათვის, თუნდაც ისინი მისი დადების შემდეგ შესულიყვნენ კავშირში.

17. შრომის კოლექტიური ხელშეკრულობა შეიძლება დადებულ იქნეს მხოლოდ წერილობით. მისი დედანი უნდა წარედგინოს ადგილობრივ იმ თანამდებობის პირს, რომელსაც დავალებული აქვს თვალყური ადევნოს შრომის დამცველი კანონის წესიერად აღსრულებას. ხელშეკრულობის დამდებთ

უფლება აქვთ ამ მოხელისაგან მიიღონ შემოწმებული პირი ხელშეკრულობისა ან მისი ამონაწერი. კოლექტიური ხელშეკრულობის ის მუხლი, რომელიც ეწინააღმდეგება შრომის დამცველ კანონებს, უკანონოდ ჩაითვლება, მაგრამ ეს გარემოება ვერ შეაჩერებს ხელშეკრულობის ნუსხაში შეტანას.

18. კავშირების ქონებრივი პასუხისმგებლობა დაევალება მათის წევრებისა ან ორგანოების მიერ კოლექტიური ხელშეკრულობის დარღვევის გამო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულობაში აღნიშნულია, რომ იმათ ასეთი პასუხისმგებლობა თავს უდვიათ.

VI. არტელი ან ჯგუფი.

19. როცა არტელი ან ჯგუფი დასდებს შრომის ხელშეკრულობას, დამქირავებელს არტელის ან ჯგუფის ყოველი წევრის მიმართ ისეთივე უფლება მიენიჭება და მოვალეობა დაედება, როგორიც ექნებოდა თვითეულთან ცალ-ცალკე რომ დაედო ხელშეკრულობა.

ეს წესი უნდა დაცულ იქნეს იმ შემთხვევაშიაც, როცა დაქირავებულს უფლება აქვს მიცემული თავისი მხრით დაიქირაოს ხელქვეითები.

20. შრომის ხელშეკრულობის არტელთან ან ჯგუფთან უნდა დადებულ იქნეს წერილობით და შიგ დასახელებულ იქნეს არტელის ყოველი დაქირავებული წევრი, არტელის მეთაური ან არტელის კანონიერი რწმუნებული, წესი არტელის წევრთა ერთმანეთში ანგარიშისა და დაქირავების პირობები. თუ ვინიცობაა ცვლილება რამ მოხდა არტელის დაქირავებულ წევრთა პირად შედგენილობაში, აგრეთვე თუ მისი მეთაური ან არტელის კანონიერი რწმუნებული გამოიცვალა, ეს ამბავი დამქირავებელს უნდა ეცნობოს ერთი კვირის განმავლობაში.

VII. შინაგანი წესრიგი.

21. თუ წარმოებაში შრომის ხელშეკრულობით ჩვეულებრივ ხუთ კაცზე ნაკლები არ მუშაობს, მუშაობის წარმოების წესრიგი დამქირავებელმა უნდა დაადგინოს.

22. შინაგან წესრიგში აუცილებლად უნდა იყოს ჩართუ-

ლი: ა) ვადა (ცალ-ცალკე წლოვანთა და მცირე-წლოვანთა-თვის) შრომის დაწყებისა და გათავებისა საათობრივ, დრო და ხანი შრომის შეწყვეტისა დასასვენებლად და პურის საჭმელად და აგრეთვე ისიც, თუ კვირა-უქმის წინა დღეს როდის უნდა შესწყდეს მუშაობა; ბ) სია დღესასწაულებისა, როცა მუშაობა არ სწარმოებს; გ) წესი და ხანი სამუშაოს შეწყვეტისა; დ) სამუშაო ხელფასის მიცემის ვადა; ე) დრო მანქანებისა და აპარატების გაწმენდისა, აგრეთვე სახელოსნოების გასუფთავებისა, უკეთუ შრომის ხელშეკრულობით ეს მოვალეობა დაქირავებულთ აქვთ; 3) მუშათა და მოსამსახურეთა მოვალეობა წარმოებაში წესისა და რიგის დასაცველად; ზ) რა ღონისძიებანი უნდა იხმარონ დაქირავებულთ, რომ მანქანებს, ცეცხლის გაჩენას და სხვ. გაუფრთხილდენ.

23. წესრიგში უნდა აღნიშნულ იყოს დრო მისი ძალაში შესვლისა. ორის კვირით ადრე ძალაში შესვლამდე წესრიგი უნდა გამოკიდულ იქნეს თვალსაჩინო ადგილას იმ შენობაში, სადაც მუშაობა სწარმოებს და სადაც ანგარიში ეძლევათ მუშებს. ამავე დროს ერთი ცალი ამ წესრიგისა უნდა გაეგზავნოს იმ თანამდებობის პირს, რომელიც მოვალეა თვალყური ადევნოს შრომის დამცველ კანონთა სისწორით აღსრულებას. ათის დღის განმავლობაში წესრიგის გამოკიდების დღიდან დაქირავებულთ ან მათ წარმომადგენელს უფლება აქვს თანამდებობის პირს განუცხადოს, თუ ვინიცობაა ნაკლი რამ შეამჩნია ამ წესრიგს.

24. თანამდებობის პირი, რომელსაც დავალებული აქვს შრომის კანონების წესიერად აღსრულების თვალყურის დევნება, ვალდებულია მე-23 მუხ. აღნიშნული ვადის გასვლამდე განიხილოს წესრიგი და თუ იგი არ შეიცავს ისეთ პირობას, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობას, მომქმედ კანონებს, ან დაქირავებულისათვის საგალდებულო კოლექტიურ ხელშეკრულობას, თავისი ხელის მოწერით დაამოწმებს, რომ თანახმაა მისი გამოცემისა. ამ თანამდებობის პირის მიერ ხელმოწერილი წესრიგი ძალას მოკლებულია. ამ თანამდებობის პირის მოქმედება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს შრომის სასამართლოში, როგორც დამქირავებლისა, ისე დაქირავებულთაგან.

25. ამ წესრიგს ძალა არა აქვს მისის გამოცემის წინა დროისათვის.

26. ეს წესრიგი ძალაში შესვლის დღიდან გაუქმებამდე სავალდებულოა, როგორც დამქირავებელის, ისე დაქირავებულისთვის, რომელიც წარმოებაში მუშაობს. შეცვლა ან გაუქმება წესრიგისა შეიძლება ამ კანონის მე-23 და მე-24 მუხლის თანახმად.

VIII. წარმოების მმართველი და მუშა-მოსამსახურეთა ხელმძღვანელობა.

27. იმ წარმოებაში, რომელსაც პატრონი თვით არ განაგებს, ან რომელიც ეკუთვნის რამდენსამე პირს, ამხანაგობას, ან სააქციონერო საზოგადოებას, ხაზინას ან საზოგადოებრივ დაწესებულებას, პატრონის მოვალეობას ასრულებს მათგან დანიშნული გამგე წარმოებისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. დიდ წარმოებაში, განსაკუთრებით ისეთში, რომელშიაც ერთის წარმოების რამდენიმე დარგია შეერთებული, შეიძლება დაინიშნოს რამდენიმე გამგე ცალ-ცალკე ნაწილის განსაგებად.

28. წარმოების პატრონი ვალდებულია სამი დღის განმავლობაში აცნობოს თანამდებობის პირს, რომელსაც დავალებული აქვს შრომის კანონების წესიერად აღსრულების მეთვალყურეობა, — ვინ არის წარმოების გამგედ დანიშნული, ან ძველის ნაცვლად ახალი ვინ ინიშნება.

ამას გარდა წარმოებაში თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოკიდულ იყოს განცხადება გამგის სახელისა და გვარის აღნიშვნით.

29. თუ ის პირი, რომელიც განაგებს წარმოებას (პატრონი ან გამგე) დროებით სადმე წავიდა, ვალდებულია წარმოებაში თავისი მოადგილე დასტოვოს, რის გამო განცხადება უნდა გამოკრულ იქნეს იმ შენობაში, სადაც მუშაობა სწარმოებს.

30. წარმოების გამგე პასუხისმგებელია, თუ წარმოების მმართველობის მიერ შრომის კანონები დარღვეულ იქნა. უკეთუ გარდაწყვეტილების დადგენის დღიდგან ერთის კვირის განმავლობაში შეტანილ არ იქნა ის ჯარიმა, რომელიც გამგეს შეუწერია ფულად, იგი გადახდება წარმოების პატრონს, რომელსაც შეუძლია თავისი ზარალი დამნაშავეს გადაახდევინოს.

31. დამქირავებელს ან გამგეობას წარმოებისას, სადაც ხუთ კაცზე ნაკლები არ მუშაობს, დაევალება ცალ-ცალკე სია ჰქონდეს მუშებისა და მოსამსახურეებისა, რომელშიაც აღნიშნულ უნდა იყოს პროფესია ან თანამდებობა, წლოვანება, ეროვნება და საცხოვრებელი ბინა თვითეულის მათგანისა. აგრეთვე დრო იმათი მიღებისა და შრომის ხელშეკრულობის შეწყვეტისა ან გაუქმებისა.

IX. საანგარიშო წიგნაკები.

32. არა უგვიანეს სამის დღისა იმ ვადის გასვლის შემდეგ, ამ კანონის მე-7 მუხლით რომ აღნიშნულია, დამქირავებელი, რომელთანაც მუშაობს არა ნაკლებ ხუთის მუშისა და მოსამსახურისა, ვალდებულია მისცეს ყოველ დაქირავებულს საანგარიშო წიგნაკი, იმის და მიუხედავად, თუ რა ვადითაა დადებული ხელშეკრულობა. ახალის ხელშეკრულობის დადებისა ან ძველის განახლების დროს, დამქირავებელი ვალდებულია დაქირავებულის მიღებიდან ექვსის დღის გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ საანგარიშო წიგნაკების შემოღებით ჩამოაყალიბოს ხელშეკრულობა.

უკეთუ ხელშეკრულობის ასრულება უნდა დაწყებულ იქნეს არა უგვიანეს სამის თვისა მისის დადების დღიდან (მუხ. 12), საანგარიშო წიგნაკი უნდა მიეცეს დაქირავებულს იმავე დღეს, როცა მუშაობას დაიწყებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. საანგარიშო წიგნაკებს საღერბო გადასახადი არ გადახდება.

33. დაქირავებული არტელისთვის მუშაობის მიცემის დროს დამქირავებელი ვალდებულია მთელს არტელს მისცეს საერთო საანგარიშო წიგნაკი. ამაზე დამოუკიდებლად, არტელის ყოველ დაქირავებულ წევრს უნდა დაურიგდეს ცალკე საანგარიშო წიგნაკი. ცალკე საანგარიშო წიგნაკები არტელის წევრებს მიეცემა: 1) დამქირავებლის მიერ, როცა ის ანგარიშს უსწორებს არტელის თვითეულ წევრს ცალკე; 2) არტელის გამგეობის მიერ, როცა არტელის წევრებს ანგარიშს უსწორებს არტელის გამგეობა, ხოლო ამ მეორე შემთხვევაშიც დამქირავებელი ვალდებულია თვალყური ადევნოს, რომ საანგა-

რიშო წიგნაკში თავის დროზე შეტანილ იყოს ყოველგვარი ანგარიში არტელის წევრისა.

84. დამქირავებლის მიერ საანგარიშო წიგნაკის მიუცემლობა ხელშეკრულობას კანონიერ ძალას არ დაუკარგავს, მაგრამ დაწესებული ვადის განმავლობაში საანგარიშო წიგნაკის მიუღებლობის გამო დაქირავებულს შეუძლია ხელშეკრულობა დაარღვიოს და დამქირავებლისაგან სასყიდელი მოითხოვოს ამ კანონის მე-79 მუხ. თანახმად.

85. ვინიცობაა მუშას საანგარიშო წიგნაკი დაეკარგა, სამაგიეროდ ახალი წიგნაკი უნდა მიეცეს, რომლის ფასიც გადახდება შრომის საბჭოს ან შრომის დამცველი ორგანოს მიერ განსაზღვრული რაოდენობის მიხედვით.

86. საანგარიშო წიგნაკების ნიმუშს შრომის საბჭო ან შრომის დამცველი ორგანო შემოიღებს.

87. საანგარიშო წიგნაკში უთუოდ აღნიშნულ უნდა იყოს:

1) სახელი, მამის სახელი და გვარი დამქირავებელისა და წარმოების სახელწოდება;

2) სახელი, მამის სახელი და გვარი დაქირავებულისა;

3) შრომის ხელშეკრულობის ვადა;

4) ხელფასის რაოდენობა, მის გამოანგარიშების წესი, საფუძველი და გადახდის ვადა;

5) ყოველი სხვა პირობა, შრომის ხელშეკრულობით დადებული, და აგრეთვე ყველა შემდეგ მომხდარი ცვლილება პირობისა;

6) სამუშაო ხელფასი და ამასთან ცალკე ზედმეტი მუშაობის სასყიდელი;

7) წინდაწინ მიცემული ფული და აგრეთვე ყველა ის ფული, რაც შრომის ხელფასს კანონიერად გამოაკლდება;

8) ხელშეკრულობის გაუქმებისათვის წინასწარი განცხადება;

9) ჯეროვან შემთხვევაში დასახელება იმისი, რომ შრომის საერთო პირობები კოლექტიურის ხელშეკრულობით არის დადგენილი;

10) შინაგანი წესები.

88. დაქირავებულის ნებადაურთველად აკრძალულია საანგარიშო წიგნაკებში აღნიშვნა მისი მუშაობისა, პირადობისა, უნარისა და სხვა თვისების ავკარგიანობისა. აკრძალულია

აგრეთვე საანგარიშო წიგნაკში ისეთი საიდუმლო ნიშნების მოთავსება, რასაც შეუძლია დაქირავებულისაგან ახალი სამუშაოს მოძებნას ხელი შეუშალოს.

39. საჭირო ცნობების აღსანიშნავად წარმოების კანტორაში ან დამქირავებელთან წარდგენილი საანგარიშო წიგნაკი უნდა დაუბრუნდეს დაქირავებულს წარდგენიდან არა უგვიანეს ექვსის დღისა. დამქირავებელთან ან კანტორაში საანგარიშო წიგნაკის წარდგენის დრო უნდა აღინიშნოს ბარათზე, რომელიც დაქირავებულს მიეცემა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. იმ წარმოებაში, რომელშიაც თვითეული დაქირავებულისათვის ორი წიგნაკია შემოღებული, კანტორაში წარდგენილ წიგნაკის ნაცვლად დაქირავებულს უნდა მიეცეს მეორე წიგნაკი, რომელიც კანტორაში ან დამქირავებელთან ინახება.

40. შრომის ხელშეკრულობის ვადის გასვლის ან გაუქმების შემდეგ საანგარიშო წიგნაკი დაქირავებულს უნდა დარჩეს.

X. დაქირავებულის მოვალეობა და დამქირავებელის უფლება.

41. დაქირავებული ვალდებულია აასრულოს დამქირავებელის მიერ მინდობილი საქმე ან ის სამუშაო, რომელიც მას თავს უდვია მოვალეობისამებრ.

42. დამქირავებელს არ შეუძლია მოსთხოვოს დაქირავებულს ისეთი სამუშაოს ასრულება, რომელიც არ ეკუთვნის იმ სახის მოქმედებას, რისთვისაც ის არის დაქირავებული, და აგრეთვე ისეთი სამუშაო, რომელიც აშკარად სახიფათოა ან არ შეეფერება ხელშეკრულობას, კანონს ან ზნეობრივ მოთხოვნილებას; ხოლო თუ წარმოების იმ დარგში, რომლისთვისაც დაქირავებულმა უნდა იმუშაოს, დროებით სამუშაო არ არის, დამქირავებელს შეუძლია დააყენოს დაქირავებული სხვა შესაფერს სამუშაოზე, იმისდა მიხედვით — უბრალო მუშაა, ხელოსანია თუ ინტელიგენტი, იმ პირობით, რომ დაწესებული სამუშაო ხელფასი არ იქნეს დაკლებული. თუ ეს დროებითი სამუშაო უფრო მეტად ფასობს, ვიდრე წინანდელი სამუშაო, დაქირავებულს უფლება აქვს მოსთხოვოს დამქირავებელს

ზედმეტი ხელფასი. ამის თაობაზე აღძრული დავა შრომის სასამართლომ უნდა გადასწყვიტოს.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა ეს აუცილებელია მოსალოდნელი საფრთხის ან წარმოების თუ მეურნეობის ვნების თავიდან ასაცილებლად, დაქირავებულს შეიძლება მიენდოს მისი ძალ-ღონის შესაფერი სამუშაო პირობით გათვალისწინებულზე მეტი ან სხვა ხასიათის სამუშაო შრომის ხელშეკრულობაში აღნიშნულ სამუშაოსთან შედარებით.

43. დაქირავებულს უფლება არა აქვს დამქირავებლის დაუკითხავად თავისი სამუშაო სხვას მიანდოს აღსასრულებლად. ჯგუფს ან არტელს, რომელიც დაქირავებულია შრომის ხელშეკრულობით, შეუძლია თითონვე გაანაწილოს წევრთა შორის სამუშაო და გასული წევრების ნაცვლად ახალი წევრები მიიღოს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ხელშეკრულობაში აღნიშნულ პირობას.

44. დაქირავებული ვალდებულია თავისი ძალ-ღონისა და უნარისდაკვალად პირნათლად შეასრულოს ნაკისრი სამუშაო. ვინიცობაა იმის ნამუშავარს ნაკლი რამ აღმოაჩნდა, იგია პასუხისმგებელი, თუ ეს ნაკლი შედეგია მისი ბოროტი განზრახვისა ან დაუდევრობისა. სამუშაოს უხეიროდ აღსრულებისათვის ის პასუხს აგებს იმ შემთხვევაში, უკეთუ მას თავს უდვია განსაზღვრული თვისების სამუშაოს შესრულება, ან უკეთუ დაიჩემა მინდობილის საქმის შესასრულებლად საჭირო ცოდნა და გამოცდილება, ხოლო ნამდვილად კი ასეთი ცოდნა და გამოცდილება არ აღმოაჩნდა.

45. დაქირავებული ვალდებულია სიფრთხილით მოეპყრას იარაღსა და მასალას და საზოგადოდ ინვენტარს, რასაც ჩაბარებენ. იგია პასუხისმგებელი ამ იარაღისა და მასალის მისი უყურადღებობით დაკარგვისა და გაფუჭებისა, ხოლო პასუხს არ აგებს გაფუჭებისა და უვარგისობისათვის. თუ გაფუჭება და უვარგისობა ამ ნივთების ჩვეულებრივი ხმარების შედეგია.

46. დამქირავებელსა და წარმოების პატრონს ეკრძალება თავისი უფლებით რაიმე გადასახადის შეწერა ფულად დაქირავებულისათვის.

47. სამუშაოს უხეიროდ ასრულებისა (მუხ. 44) და აგრეთვე საწარმოო იარაღისა და მასალის გაფუჭებისა და დაკარგვისათვის (მუხ. 45) დაქირავებულს შეიძლება სასამართლოს წე-

სით მიესაჯოს დამქირავებელისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

48. იმ მუშას, რომელიც სამუშაოზე დაიგვიანებს ნახევარ საათზე მეტს, შეიძლება არ მიეცეს ნება მუშაობისა დანარჩენი მუშების ხელახლა სამუშაოდ დადგომამდე. ეს ახალი მუშაობის დაწყება წარმოების გამგეობას შეუძლია შეუფარდოს ან დასასვენებლად შეწყვეტილი სამუშაოს განახლებას, ან მეორე დღის სამუშაო დროს, იმისდა მიხედვით, თუ რა უფრო სასარგებლოა წარმოებისათვის. დრო და წესი დაგვიანებული მუშების სამუშაოზე დაყენებისა უნდა იყოს აღნიშნული წარმოების შინაგან წესრიგში. მოცდენისათვის დამქირავებელს უფლება აქვს დაქირავებულს სამუშაო ხელფასის სათანადო ნაწილი დაუჭიროს.

XI. დამქირავებელის მოვალეობა და დაქირავებულის უფლება.

49. დამქირავებელი ვალდებულია დაქირავებულს დაპირებული გასამრჯელო აძლიოს. უკეთუ გასამრჯელოს თაობაზე არ მორიგებულან, მისი რაოდენობა უნდა განსაზღვროს შრომის სამინისტროს ორგანომ იმის მიხედვით, თუ რა თვისებისა, ღირსებისა და რაოდენობისაა სამუშაო.

50. დაქირავებულს იმ შემთხვევაშიაც აქვს უფლება ზასამრჯელოს მიღებისა. თუ სამუშაო დროის განმავლობაში მზად იყო და ძალაც შესწევდა მუშაობისა. მაგრამ ვერ იმუშავა, მისგან დამოუკიდებელ და მის პიროვნებასა და პირადი ცხოვრების გარემოებასთან დაუკავშირებელ მიზეზთა გამო.

51. ვინიცობაჲ დამქირავებელმა ვერ ისარგებლა დაქირავებული შრომა სტიქიურ მოვლენათა გამო: ცეცხლის ვაჩენისა, წყალდიდობისა, ორთქლის ქვაბის გასკდომისა, წარმოების დანგრევისა, სამხედრო გარემოებისა და სხვა ამკვარი მიზეზით; დაქირავებულს უფლება აქვს მიიღოს გასამრჯელო არა უმეტეს ორი კვირისა, უკეთუ ხელშეკრულობით ან დამყარებული ჩვეულებით ეს უფლება უფრო ხანგრძლივი ვადით არ მიენიჭება.

52. თუ დაქირავებული, რომელიც დამქირავებელთან სცხოვრობს, ავად გახდა, დამქირავებელი ვალდებულია იზრუ-

ნოს მის წამლობისა და მოვლისათვის ან საავადმყოფოში მოსათავსებლად იმდენად, რამდენადაც ამ გვარი დახმარება უზრუნველყოფილი არა აქვს ავადმყოფს საავადმყოფო კასისა ან სხვა დაწესებულების მხრით.

53. დამქირავებელი ვალდებულია ყოველგვარი მასზე დემოკიდებული ღონისძიება იხმაროს, რომ გარემოება, რომელშიაც მუშაობა სწარმოებს, არ იყოს საშიშო დაქირავებულის სიცოცხლისა, ჯანმრთელობისა, პატივისა ან ზნეობისათვის. ამ მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს აგრეთვე დამქირავებელის მიერ შრომის ხელშეკრულობის ძალით მუშათათვის მიჩენილი საცხოვრებელი ბინა.

54. დამქირავებელი ვალდებულია მისცეს დაქირავებულს, მისი თხოვნისამებრ, მოწმობა იმისა, თუ როგორ, რამდენ ხანს და რა თანამდებობაზე მუშაობდა, ხოლო მოთავსება მოწმობაში ისეთი საიდუმლო ნიშნებისა, რომელიც დაქირავებულს ახალ თანამდებობის შოვნას გაუძნელებს, აკრძალულია.

55. უკეთუ დამქირავებელმა ან წარმოების გამგემ დაქირავებულს პირადობის მოწმობა გამოართვა, ვალდებულია დაუბრუნოს იგი დაქირავებულს პირველი მოთხოვნისთანავე.

XII სამუშაო ხელფასი.

56. სამუშაო ხელფასის, ან შრომის გასამრჯელოს რაოდენობა და მისი გამოანგარიშების წესი უნდა დადგენილ იქნეს მხარეთა შეთანხმებით.

57. როცა დაქირავებული ნაჭრობით (сдельно) ან ნარდი სამუშაოს ხელფასს იღებს, დამქირავებელი ვალდებულია: ა) სწორედ და ნათლად აღნიშნოს ხელშეკრულობაში და განსაკუთრებით შეფასების უწყებაში საფუძველი და წესი სამუშაო ხელფასის გამოანგარიშებისა: ბ) მიაწოდოს დაქირავებულს მოთხოვნისამებრ ყოველივე ცნობა, მასალა, რაც საჭიროა გასამრჯელოს ანგარიშის სისწორის შესამოწმებლად; გ) თვეში ორჯელ მაინც მისცეს დაქირავებულს მისი მოთხოვნისამებრ კუთვნილი გასამრჯელოს ანგარიშში ფული, რამდენიც შეეფერება მის მიერ შესრულებულ სამუშაოს ღირებულებას (ავანსი). ამ კანონის მე-49 მუხ. აღნიშნულ შემთხვევაში შრომის ხელფასი უნდა მიეცეს ნარდ სამუშაოს საშუალო გა-

სამრჯელოს კვალობაზე (სამუშაო დროის შესაფერად. გასამრჯელოს საშუალო რაოდენობა).

58. თუ ხელშეკრულობით დაწესებული გასამრჯელო დამოკიდებულია ასასრულებელი სამუშაოს რაოდენობასა და თვისებაზე (ნაჭრობითი ხელფასი) და დაქირავებულზე დამოუკიდებელ და მის პიროვნებასთან დაუკავშირებელ გარემოებათა გამო დაქირავებულს გასამრჯელო იმაზე ნაკლები მიუღია, რაც სამუშაო დროს მიხედვით ერგებოდა, მას შეუძლია მოითხოვოს დამქირავებლისაგან ჩვეულებრივ ამ გვარისა და თვისების სამუშაოსთვის დროს მიხედვით დაწესებული გასამრჯელო. ეს წესი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაშიაც, თუ დაქირავებულმა ვერ შესძლო ისეთი ნარდი სამუშაოს დამთავრება, რომლისათვისაც გასამრჯელო მთელი სამუშაოს აღსრულებისათვის აქვს საერთოდ დანიშნული. უკეთუ დაქირავებულმა სამუშაოს აღსრულებას საჭირო დროზე მეტი ხანი მოანდომა დამქირავებელის მიზეზით. უკანასკნელი ვალდებულია გადაუხადოს დაქირავებულს საშუალო, ნაჭრობრივი სამუშაოს ხელფასის კვალობაზე, ჯეროვანი გასამრჯელო. ამ წესის წინააღმდეგი შეთანხმება აკრძალულია.

59. თვიურ მუშებსა და მოსამსახურეებს შრომის ხელფასი თვეში ერთხელ მაინც უნდა მიეცეს. დღიურად და ნაჭრობრივ მომუშავეებს კი თვეში ორჯერ მაინც. განსაზღვრული სამუშაოს აღსასრულებლად დროებით დაქირავებულს ხელფასი უნდა მიეცეს შრომის ხელშეკრულობით დადგენილ ვადაზე; უკეთუ ხელშეკრულობა დადებულია მცირე ვადით, არა უმეტეს ორი კვირისა, ხელფასი უნდა მიეცეს სამუშაოს გათავებისას; თუ ხელშეკრულობა უფრო ხანგრძლივი ვადითაა დადებული, შიგ უეჭველად მოხსენებული უნდა იყოს, რომ დაქირავებულს ყოველ ორ კვირაში ერთხელ განსაზღვრული ჯამი ფულისა მიეცეს სამუშაოს ანგარიშში, ხოლო საბოლოო ანგარიში მთელის სამუშაოსი კი საქმის გათავების შემდეგ უნდა გასწორდეს. დამქირავებელი ვალდებულია იქონიოს საგანგებო წიგნი, რომელშიაც სისწორით და თავის დროზე უნდა ჩაიწეროს ყოველგვარი ანგარიში, რაც მას აქვს დაქირავებულთან.

60. ანგარიშის გასასწორებელი ადგილი განისაზღვრება ხელშეკრულობით, ხოლო როდესაც შეთანხმება არ არსებობს, — ჩვეულებით. გასამრჯელოს დარიგება აკრძალულია

ისეთ ადგილებში, სადაც მაგარი სასმელები იყიდება, ბანქოს სათამაშო სახლებში და საერთოდ ისეთ ადგილებში, სადაც აშკარა საფრთხეა იმისი, რომ მიღებული ფული მიზანშეუფერებლად იქნება გამოყენებული და დახარჯული.

61. როდესაც ხელშეკრულობით ხელფასი მთლად ან ნაწილობრივ განსაზღვრულია ფულად, აკრძალულია ფულის ნაცვლად გასამრჯელოს ანგარიშში კუპონების, პირობითი ნიშნების, საქონლისა და სხვა საგნების მიცემა დაქირავებულისათვის.

62. როდესაც დაქირავებულს შრომის ხელფასის ანგარიშში საცხოვრებელი ბინა, სურსათი და სხვა მოსახმარი საგნები ეძლევა, იმათი ფასი არ უნდა აღემატებოდეს იმ რაოდენობას, რაც დამქირავებელს თვით უღირს.

63. თუ დაქირავებულს არ მიეცა, რაც ანგარიშით ერგებოდა, დაუყოვნებლივ შრომის ხელშეკრულობის მოსპობისა ან გაუქმებისთანავე, დამქირავებელი ვალდებულია მისცეს დაქირავებულს, იმის გარდა, რაც ხელშეკრულებით ერგება, სრული ხელფასი და აგრეთვე სხვაგვარი გასამრჯელო ანგარიშის ფაქტიურად გასწორების დღემდე, ხოლო არა უმეტეს ერთის თვისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. განსაკუთრებულ შემთხვევაში შრომის მინისტრს უფლება ეძლევა შეაჩეროს ამ მუხლის მოქმედება.

64. შრომის ხელფასის მიცემის დროს ხვედრი ფულიდან ნაწილის დაკავება შეიძლება მხოლოდ დამქირავებლისაგან წინდაწინ მიღებული ფულისა, გადასახადებისა და, წარმოდგენილი აღმასრულებელი ფურცლის ძალით, კერძო ვალის გადასახდელად, იმ პირობით, რომ თვითეულ ცალკე შემთხვევაში დაკავებული ნაწილი არ აღემატებოდეს ერთს მეოთხედს (1/4), უკეთუ დაქირავებული უცოლშვილოა, და ერთ მეექვსედს 1/6, თუ ის ცოლიანია, ან სარჩენი ჰყავს ოჯახის მახლობელი წევრები.

65. დამქირავებელს აკრძალული აქვს სარგებელი გადაახდევინოს მუშებს, თუ ვინიცობაა ფული ასესხა, ან სასყიდელი რამ გამოართვას, თუ მუშის მიერ სხვისგან ფულის სესხის გაზო თავდებად დაუდგა.

66. დამქირავებელს აკრძალული აქვს დაქირავებულისაგან ფასყიდელის აღება: 1) საექიმო დახმარებისათვის, 2) სახელოსნოს გათბობა-განათებისა და 3) საწარმოო იარაღის ხმარებისათვის.

67. არა უმეტეს ექვსი თვის მუშაობისა და სამსახურისათვის გასამრჯელოს გადახდის მომთხოვნელს, თუ მოთხოვნის აღძვრიდან ერთ წელზე მეტი ვადა არ გასულა, — უპირატესობა ეძლევა იმ თანხიდან დაკმაყოფილებისა, რომელიც დანიშნულია დამქირავებლის მეკალთა დასაკმაყოფილებლად. (სამოქ. სამართ. წარმ. წესდების მე-1215 მუხ.); უკეთუ დამქირავებელი არა შემძლე მოვალედ იქნა გამოცხადებული, შრომის ხელშეკრულობის ძალით გადასახდელი ფულის მოთხოვნა იმავ ფარგლებში პირველი რიგის ვალად უნდა ჩაითვალოს (საკავშრო სამართლის წარმოების წესდების მე-506 მუხ.).

XIII. შრომის ხელშეკრულობის მოსპობა და გაუქმება.

68. შრომის ხელშეკრულობის მოქმედება მოსპობა: 1) მხარეთა შეთანხმებით, 2) ვადის გასვლით, 3) დაპირებული სამუშაოს დამთავრებით, 4) დაქირავებულის სიკვდილით და 5) დაქირავებულის სახელმწიფო, ან საზოგადოებრივ სავალდებულო სამსახურში შესვლით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. დაქირავებულის წარმომადგენლად არჩევა ერთ რომელსამე სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში არ სპობს ხელშეკრულობას. თუ ამის თაობაზე განცხადება არ შეუტანია დაქირავებულს; წარმომადგენლად ყოფნის დროს დაქირავებული ჯამაგირს არ იღებს დამქირავებლისაგან, თუ მათ შორის ამის თაობაზე განსაკუთრებული შეთანხმება არ მოხდა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. გვარდიაში შესვლის შედეგი განსაზღვრულია გვარდიის ცალკე კანონით.

69. დამქირავებელის გარდაცვალება ბაღლოდ იმ შემთხვევაში მოსპობს ხელშეკრულობის მოქმედებას, თუ დაქირავე-

ბულს სამსახური პირადად უნდა გაეწია დამქირავებელისათვის.

70. თუ შრომის ხელშეკრულობის მოქმედება მოისპო მე-68 მუხ., მე-4 და მე-5 პუნქტის ძალით, დამქირავებელი ვალდებულია წლობით ნამსახურობის კვალობაზე გადაუხადოს დაქირავებულს გასამრჯელო კანონით, კოლექტიური ხელშეკრულობით ან კერძო შეთანხმებით დაწესებული რაოდენობისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. უკეთუ შრომის ხელშეკრულობის მოქმედება მოისპო მე-68 მუხ. მე-4 პუნ. აღნიშნული მიზეზის გამო, გასამრჯელო ამ მუხლის ძალით მიეცემა იმ პირთ, რომელნიც გარდაცვალებულის სარჩენი იყვნენ.

71. უკეთუ ხელშეკრულობის ვადის გასვლის შემდეგაც გრძელდება შრომის ურთიერთობა, უკეთუ, ამასთანავე, დაქირავებული ვადის გასვლამდე ორი კვირით ადრე იყო გაფრთხილებული და სამი დღის განმავლობაში არც ერთმა მხარემ არ მოითხოვა ხელშეკრულების გაუქმება, ხელშეკრულება თავისთავად განგრძობილად ითვლება წინანდელი პირობების და განუსაზღვრელის ვადით.

72. არც ერთი შრომის ხელშეკრულობის გაუქმება არ შეიძლება, უკეთუ ამისათვის კანონიერი საფუძველი არ მოიპოვება. თვითეულს მხარეს უფლება ეძლევა განასაჩივროს შრომის სასამართლოში ხელშეკრულობის დარღვევა. ხოლო ის მხარე, რომელმაც დაარღვია ხელშეკრულობა, ვალდებულია დაამტკიცოს, რომ ჰქონდა საფუძველი ხელშეკრულობის დარღვევისა.

73. დამქირავებელს შრომის ხელშეკრულობის გაუქმება შეუძლია შემდეგის საფუძვლით:

1) თუ დამქირავებლის ნდობა მოხმარებულ იქნა ბოროტად იმ შემთხვევაში, როცა დაქირავებულისათვის დავალებული საქმე გულისხმობს მისდამი განსაკუთრებულ ნდობას;

2) თუ დაქირავებული ბეჯითად არ ასრულებს მოვალეობას, რომელიც თავს უდვია ხელშეკრულობით, დამქირავებელის ჩვენებით ან შინაგანი წესრიგით;

3) თუ დაქირავებული ძალმომრეობას იხმარს ან ძალმომ-

რეობას დაემუქრება დამქირავებელს ან იმ პირთ, რომელნიც იმასთან ერთად მუშაობენ;

4) თუ დაქირავებული დამქირავებელის ქონებას დააზიანებს და ტლანქს, მუშაობის ვითარებითა და მდგომარეობით გამოუწვეველ წინდაუხედაობას გამოიჩენს და საფრთხეში ჩააგდებს სიცოცხლეს ან ქონებას დამქირავებელისას ან მასთან ერთად მომუშავე პირებისას;

5) დაქირავებულის მიერ ზედიზედ სამის დღის განმავლობაში ან საერთო რიცხვით ერთ თვეში ექვს დღეს სამუშაოზე გამოუცხადებლობისათვის ან სისტემატურად დაგვიანებისათვის პატივსადებ მიზეზთა უქონებლად;

6) დამქირავებელის ნებადაურთველად ზედიზედ ორი კვირის განმავლობაშე გამოუცხადებლობისათვის, თუნდაც პატივსადებ მიზეზთა გამო, გარდა დაშავებისა, უბედური შემთხვევისა ან ავადმყოფობისა;

7) დაქირავებულის სასამართლოს მიერ სასჯელის მიცემის გამო ისეთის დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისათვისაც უმცირეს სასჯელად საპყრობილეში დამწყვდევაა დაწესებული;

8) წარმოებაში მუშაობის შეჩერებისათვის ორ კვირაზე მეტი ხნით — ცეცხლის გაჩენისა, წყალდიდობისა, ორთქლის ქვაბის გასკდომისა, წარმოების დანგრევისა და სხვა ამ გვარი ისეთი დაუძლეველი გარემოების გამო, რომელიც მუშაობას დააბრკოლებს;

9) თუ დაქირავებულს შრომის უნარი არა აქვს;

10) წარმოების ლიკვიდაციისა ან შტატის შემცირების გამო, თუ იგი გამოწვეულია წარმოების რეორგანიზაციით ან შემცირებით.

74. დაქირავებულის სამუშაოზე გამოუცხადებლობის (მე-73 მუხ. მე-6 პუნ.) საპატიო მიზეზად კერძოდ ჩაითვლება: 1) თავისუფლების მოსპობა, 2) მიმოსვლის შეწყვეტა, 3) უბედური შემთხვევის გამო უეცარი გაღატაკება, 4) ავადმყოფობა, 5) სიკვდილი ან მძიმე ავადმყოფობა ცოლისა, ქმრისა, მშობლებისა ან შვილებისა: 6) სასამართლოში წასვლა თავისდაცვის უფლების სარგებლობისათვის ან სასამართლო დაწესებულების მიერ გაწვევის გამო და 7) ისეთი გარდაუვალი გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის სამუშაოდ მისვლას.

დამქირავებელის მოთხოვნით ამ მიზეზთა სინამდვილე უნდა დადასტურებულ იქნეს რაიმე ოფიციალი საბუთის ქაღალდით.

75. დაქირავებულს შეუძლია შრომის ხელშეკრულობის გაუქმება შემდეგის საფუძველით:

1) თუ დამქირავებელმა ბინისა და სურსათის მიცემა თავს იდვა და ეს პირობა არ შეასრულა (მუხ. 62); თუ არ შეასრულა აგრეთვე ის ვალდებულობანი, რომელიც ჩამოთვლილია ამ კანონის მე-52 და მე-53 მუხლში;

2) თუ დამქირავებელი, ან მისი მოადგილე დაქირავებულს უდიერად მოეპყრო, ან მისის ღირსებისა და პატივის შელახვა მოიწადინა;

3) თუ დამქირავებელმა საშუალება მოუსპო დაქირავებულს ხელშეკრულობით აღთქმული მუშაობისა, როცა მის შესრულებას დაქირავებულისათვის ქონებრივი ან ზნეობრივი ინტერესი აქვს;

4) თუ დაქირავებულის ჯანმრთელობაში მოულოდნელი რამ ცვლილება მოხდა, და ამან იძულებული ჰყო მუშაობის სრულიად შეწყვეტა ან სამუშაოს გამოცვლა.

76. დანიშნულ ვადაზე კუთვნილი ხელფასის მიუღებლობისათვის (მუხ. 59) დაქირავებულს უფლება აქვს სასამართლოს წესით მოითხოვოს დადებული ხელშეკრულობის გაუქმება.

თუ ამ მიზეზის გამო დაქირავებულის მიერ აღძრული საჩივარი შეწყნარებულ იქნა, მას უნდა მიესაჯოს დამქირავებლისგან, სამუშაოს კუთვნილი ხელფასის გარდა, შრომის ფასის ოდენი განსაზღვრული სასყიდელი, რომელიც უნდა ეძლეოდეს დაქირავებულს: თუ ხელშეკრულობა ვადიანია — ვადის გასვლამდე, ხოლო თუ ხელშეკრულობა უვადოა — სხვა სამსახურში შესვლამდე, ხოლო უკანასკნელს შემთხვევაში ეს ხანი ერთს თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

77. თუ რომელიმე მხარე შრომის ხელშეკრულობის გაუქმებას განიზრახავს, უკეთუ ხელშეკრულობაში უფრო ხანგრძლივი ვადა არ არის დაწესებული, იგი ვალდებულია წინდაწინვე აცნობოს თავისი განზრახვა მეორე მხარეს არა უგვიანეს ორის კვირისა, ხელშეკრულობის გაუქმებამდე. დღიურად

ან კვირეულად ანგარიშის გასწორების დროს სამუშაოზე ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ ანგარიშის გასწორების დღეს, ორ კვირეულად, ან თვიურად ანგარიშის გასწორების დროს კი — თვის პირველსა ან თხუთმეტს რიცხვში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. შრომის ხელშეკრულობის გაუქმება წინასწარ გაუფრთხილებლად შეუძლია დამქირავებელს ყოველ იმ შემთხვევაში, რომელიც აღნიშნულია მე-73 მუხ. 1—7 პუნქტში, ხოლო დაქირავებულს ყოველ იმ შემთხვევაში, რომელიც ჩამოთვლილია ამ კანონის მე-75 მუხლის 1—3 პუნქტში.

78. როცა შრომის ხელშეკრულობა აღნიშნულია საანგარიშო წიგნაკში, მისი გაუქმების წინასწარ შეტყობინება უნდა აღინიშნოს ამ წიგნაკშივე და ამასთანავე წიგნაკში აღნიშნული ცნობა უნდა დაამოწმოს დაქირავებულმა, ხოლო დამქირავებელს ნება არა აქვს ასეთს წარწერაში ამ კანონის მე-38 მუხლში ჩამოთვლილი ცნობები მოათავსოს.

თუ დამქირავებელმა უარი განაცხადა და წიგნაკში არ ჩასწერა დაქირავებულის წინასწარი განცხადება ხელშეკრულობის გაუქმების განზრახვის თაობაზე, დაქირავებულმა უნდა მიმართოს იმ პირს, რომელსაც მინდობილი აქვს შრომის დაცვა და რომელიც ჯეროვანად აღნიშნავს ამ განცხადებასა და ამ ამბავს დაუყოვნებლივ დამქირავებელს აცნობებს.

79. თუ შრომის ხელშეკრულობა გააუქმა დამქირავებელმა მე-69 მუხლისა და მე-73 მუხლის მე-6, 8, 9 და 10 პუნქტის საფუძვლითა და აგრეთვე დაქირავებულმა მე-75 მუხლის ძალით, დაქირავებულს უფლება აქვს მიიღოს დამქირავებლისაგან ნამსახური წლების კვალობაზე სასყიდელი იმ რაოდენობისა, რომელიც დაწესებულია კანონით, კოლექტიური ხელშეკრულობით ან კერძო შეთანხმებით.

ეს მუხლი არ შეეხება იმ პირთ, რომელნიც სამუშაოდ დროებით არიან დაქირავებულნი.

80. თუ დამქირავებელმა შრომის ხელშეკრულობა კანონიერ საფუძველს გარეშე გააუქმა, დაქირავებულს უფლება აქვს ერთი კვირის განმავლობაში განასაჩივროს დამქირავებელის ასეთი საქციელი შრომის სასამართლოში.

თუ შრომის სასამართლომ საჩივარი საფუძვლიანად სცნო, მაშინ დაქირავებული ან უნდა ისევ მიღებული იქნეს სამუშაოდ და იძულებით გაცდენილი დღეებისათვის დაწესებული შრომის ხელფასი მიეცეს, ან დამქირავებელი ვალდებულია უზღოს შრომის ხელფასი და სხვა ყოველი, რაც კი ეძლეოდა, თუ ხელშეკრულობა ვადიანია — ვადის გასვლამდე, და, თუ ხელშეკრულობაში განსაზღვრული ვადა არ არის დანიშნული — დაქირავებულის სხვა სამუშაოზე დადგომამდე, ხოლო არა უმეტეს ერთის თვისა.

დამქირავებელი ვალდებულია საზღაური მისცეს დაქირავებულს ამ მუხლის თანახმად იმ შემთხვევაშიაც, როცა ხელშეკრულობა გაუქმებულია დაქირავებულის მიერ დამქირავებელის უწესრიგო ყოფაქცევისა გამო (მე-75 მუხლის 1—3 პუნქტი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ნაჭრობრივ მუშაობის დროს ამ მუხლის ძალით მისაცემი შრომის ხელფასი გამოანგარიშებული იქნება დაქირავებულის ნამდვილი ნამუშევარის საშუალო იმ რაოდენობის მიხედვით, რომელიც გამოირკვევა ხელშეკრულობის გაუქმების წინ ოთხ ვადაზე მიღებული ხელფასის კვალობაზე, და თუ ამაზე ნაკლებ ხანს უმუშავნია დაქირავებულს — სამუშაოზე ნამდვილად გატარებული დროის შესაფერად.

81. თუ დაქირავებულს შრომის ხელშეკრულობის ძალით, ბინა, გათბობა-განათება და წყალი ეძლეოდა და სამკურნალო დახმარება ჰქონდა, აკრძალულია ყოველი ამის მოსპობა გაფიცვისა ან ლოკაუტის დროს.

82. თუ წარმოების საკუთრების უფლება სხვა პირისა ან ჯგუფის, ამხანაგობისა ან სააქციონერო საზოგადოების, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულების ხელში გადავიდა, ახალ პატრონზე გადადის აგრეთვე ყოველი უფლება და მოვალეობა წარმოებისათვის დაქირავებულ პირთა მიმართ.

83. შრომის სასამართლოს დაარსებამდე და აგრეთვე იმ ადგილებში, სადაც ასეთი სასამართლო არ იქნება დაარსებული, ამ სასამართლოთა ქვემდებარე საქმეები ჩვეულებრივ სასამართლო დაწესებულებათა მიერ უნდა იქნეს განხილული,

XIV. შრომის ხელშეკრულობის დარღვევისათვის დასჯა და დაჯარიმება.

84. შრომის ხელშეკრულობისათვის დაწესებული კანონების დარღვევისათვის დამნაშავეთ გადახდებათ საერთო სასამართლო წესით სასჯელი, განსაზღვრული სისხლის სამართლის კანონებითა და ქვემოდ ჩამოთვლილ მუხლებში აღნიშნული.

85. ვინც ცნობილ იქნება დამნაშავედ იმისა, რომ დამქირავებელთ, ან ცალკე წარმოების ადმინისტრაციას, ან დამქირავებელთა ორგანიზაციას დამქირავებლებისათვის რაიმე მიზეზით არა სასურველი მუშებისა და მოსამსახურეების სახელები აცნობა, რათა ამითი მუშა-მოსამსახურეთა ადგილიდან დათხოვნა გამოიწვიოს, ან გაუძნელოს იმათ სამუშაოს შოვნა (შავი სიები), დაისჯება: პირველად ჯარიმით ათასი მანეთიდან ათი ათას მანეთამდე, ხოლო დანაშაულის განმეორებისათვის — საპყრობილეში დაპატიმრებით ერთი თვიდან ერთ წლამდე; ამ გვარადვე დაისჯება ისიც, ვინც შავს სიებს ისარგებლებს და აგრეთვე ის, ვინც ამ კანონის 38 და 54 მუხლს დაარღვევს.

86. იმ დამქირავებელთა და წარმოების გამგეებს, რომელნიც: 1) მუშებსა და მოსამსახურეებს შრომის ბირჟის გარეშე დაიქირავებენ (მუხ. 2) და აგრეთვე გარეშე მუშათა და მოსამსახურეთა დაქირავებას არ აუწყებენ ბირჟას (მუხ. 6). 2) მუშას ან მოსამსახურეს იყოლიებენ საანგარიშო წიგნაკის ჩაუბარებლად (მუხ. 32 და 33), 3) ამ წიგნაკს სწორედ და წესიერად არ აწარმოებენ (მუხ. 37), ჯარიმად გადახდებათ: ორმოცდაათიდან ორას მანეთამდე თვითეულ დანაშაულისათვის, ხოლო თუ რამდენიმე დანაშაული ჩაიდინეს და მათი უკანონო მოქმედება ერთად გამოაშკარავდა, — ჯარიმათა საერთო ჯამი. ეს ჯამი ამ მუხლში აღნიშნული ყოველი დანაშაულისათვის ცალკე იქნება აღრიცხული, მუშათა იმ რიცხვის მიხედვით, რომელნიც ბირჟის გარეშე და მის ცნობის მიუწოდებლად იქნებიან დაქირავებული, ან რომელთაც საანგარიშო წიგნაკები არ აღმოაჩნდებათ, ან უწესოდ წარმოებული წიგნაკები ექნებათ, ისე-კი, რომ ჯარიმის საერთო ჯამი ხუთი ათას მანეთს არ აღემატებოდეს.

87. დამქირავებელთ და წარმოების გამგეებს, რომელნიც დამნაშავედ იქნებიან ცნობილნი, რომ: 1) გამგეთა და მათ მოადგილეთა დანიშვნის წესრიგი დაურღვევიათ (მუხ. 27—29); 2) დაწესებულ წიგნთა წარმოების წესი არ აუსრულებიათ (მუხ. 31); 3) დაქირავებულთაგან სასყიდელი აუღიათ ისეთი საგნისათვის, რომელიც მათ უფასოდ უნდა მისცემოდათ (მუხ. 66); აგრეთვე ფასად მისაცემი საგნისათვის კანონით ან განსაკუთრებული წესით განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტი სასყიდელი აუღიათ (მუხ. 62); 4) დაქირავებულისათვის სესხად მიცემულ ფულის სარგებელი გადაუხდევინებიათ, ან ფულის ვალდებულობათა თავდებობისათვის გასამრჯელო გამოურთმევიათ (მუხ. 65); 5) დაქირავებულთათვის ხელფასის მიცემის დროს ფულის ნაცვლად კუპონები, ჩეკები და სარგებლიანი ქაღალდები, შეპირებული ნიშნები ან სხვა საგნები მიუციათ (მუხ. 61); 6) დაურღვევიათ დადგენილება იმ განცხადებათათვის, რომლის გამოკვრა და გამოქვეყნება სავალდებულოა (მუხ. 28 და 29); 7) დაქირავებულისათვის ფულად ჯარიმა შეუწერიათ (მუხ. 46), და 8) შრომის სამინისტროს ან შრომის საბჭოს მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილება დაურღვევიათ, — სასჯელად დაედებათ: ფულად ჯარიმა ასიდან ხუთას მანეთამდე, ხოლო თუ განიმეორეს ამ მუხლის 1-ლი და მე-7 პუნქტებში აღნიშნული დანაშაული, — დაპატიმრება სამს თვემდე, და, ამას გარდა, წარმოების გამგეს შეიძლება ორ წლამდე ჩამოერთვას წარმოების გამგის აღსრულების უფლება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. წარმოების გამგე, რომლისათვისაც დროებით ჩამოურთმევიათ წარმოების გამგის აღსრულების უფლება, შრომის დაცვის ორგანოს ნებართვით შეიძლება დატოვებულ იქნეს წარმოებაში, ვიდრე წარმოების პატრონი იმის სამაგიეროდ სხვას იშოვიდეს, ხოლო ორ თვეზედ არა უმეტესი ვადით.

88. თუ დამქირავებელი დაქირავებულს კანონით ან ხელშეკრულობით დადგენილ ვადაზე არ გადაუხდის ხვედრ ხელფასს, იმ თანამდებობის პირს, რომლისთვისაც შრომის კანონების წესიერად აღსრულების მეთვალყურეობა დაუვალებიათ, შეუძლია, თუ ამის გამო თვით დაქირავებულმა, ან დაქირავე-

ბულთა კავშირმა საჩივარი აღძრა, დამქირავებელს გადაუხდელი ხელფასის საერთო ჯამის 5-დან 10 პროცენტამდე ჯარიმად შეაწეროს.

89. წარმოების ის საადმინისტრაციო ან გამწესებელ მოვალეობათა აღმსრულებელნი, რომელნიც შრომის დაცვის კანონებს აშკარად და სისტემატურად დაარღვევენ, ან მუშებსა და მოსამსახურეებს მოქმედებით ან სიტყვიერად შეურაცხყოფას მიაყენებენ, თუ ამის გამო მუშები, მოსამსახურენი ან იმათი კავშირი აღძრავენ საჩივარს, ყოველი სხვა სასჯელის გარდა, სასამართლოს დადგენილებით წარმოებიდგან დათხოვნილ იქნებიან.

90. დამქირავებელსა ან წარმოებათა მმართველობაზე ამ კანონით შეწერილი ფულადი ჯარიმა გადახდებათ იმ საავადმყოფოს კასის სასარგებლოდ, რომლის მონაწილენიც არიან სათანადო წარმოების მუშები და მოსამსახურენი. თუ ის მუშები და მოსამსახურენი საავადმყოფოს კასის მონაწილენი არ არიან, ჯარიმის ფული შეტანილ უნდა იქნეს ერთ-ერთ ადგილობრივ საავადმყოფოს კასაში, ისე-კი, რომ უპირატესობა რესპუბლიკის ცენტრალსა ან საერთო საქალაქო კასას მიეცეს. ამ ჯარიმის ფულით შემდგარი თანხის დახარჯვის წესრიგი შრომის სამინისტრომ უნდა დაადგინოს.

91. სამრეწველო შრომის წესდების (რუსეთის კანონთა კრებულის ტომი XI, ნაწილი II (გამოც. 1913 წ.) 42—63, 87—112 და 211—218 მუხ. და აგრეთვე 1918 წლის 14 იანვრის დებულება მუშებისა და მოსამსახურეების მიღება-დათხოვნისა, ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ გამოცემული. ამ დებულების მე-12 მუხლის იმ ნაწილის გარდა, რომელიც გასამრჯელოს რაოდენობას შეეხება, — გაუქმებულია.

სასოფლო-სამეურნეო საშუალო და დაბალი განათლების ორგანიზაციისა

საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 16 აგვისტოს კანონი

1. დამტკიცებულ იქნეს ამ კანონთან დართული სასოფლო-სამეურნეო საშუალო და დაბალი განათლების დებულება, შტატი და სასწავლო გეგმები.

2. საშუალო და დაბალი სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებისათვის საზოგადო მეთვალყურეობა მიენდოს მიწათმოქმედების მინისტრს.

3. სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლები და სამეურნეო პრაქტიკული სკოლები, რომელნიც დაარსებულ იქნებიან სამეურნეო დაწესებულებებსა და სახელმწიფო მამულებში, მიწათმოქმედების სამინისტროს უწყებაში დარჩებიან. ხოლო სასოფლო-სამეურნეო სკოლები, ადგილობრივ საზოგადოებათა ინიციატივით დაარსებულნი, რომელნიც ამავე საზოგადოებათა ხარჯით ან მთავრობის დახმარებით ინახება, დამაარსებელთა ხელში იმყოფებიან.

4. მიწათმოქმედების მინისტრს მიეცეს უფლება:

ა) განათლების მინისტრთან შეთანხმებით გამოსცეს სასოფლო-სამეურნეო სკოლებისათვის საზოგადო წესდება, სადაც უნდა იყოს აღნიშნული სკოლების მართვა-გამგეობის წესრიგი და სასწავლო გეგმა.

ბ) წარუდგინოს მთავრობას ყოველ კერძო შემთხვევაში ცალკე მოხსენება და ახალი დებულება სახაზინო ხარჯით შესანახ სამეურნეო სკოლის გადაკეთებისა და დაარსებისათვის.

გ) მოითხოვოს ხარჯთ-აღრიცხვის წესით საჭირო თანხა სასოფლო-სამეურნეო სკოლების მოსაწყობად და შესანახად.

დ) დაადგინოს განათლების მინისტრთან შეთანხმებით ადგილობრივი ხარჯით შესანახ სასოფლო-სამეურნეო სკოლების გახსნის წესრიგი.

ე) გადაცეს სასოფლო-სამეურნეო სკოლას მოწაფეების სამეცადინოთა და სანიმუშო მეურნეობის მოსაწყობად საჭირო მიწა და ტყე და აგრეთვე მისცეს უსასყიდლოდ სახელმწიფო ტყის მასალა შენობის ასაგებად და შესაკეთებლად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ მუხლის ძალით ტყის მასალა უნდა მიეცეს როგორც სახაზინო, ისე ადგილობრივ საზოგადოებათა მიერ დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო სკოლებს.

საშუალო და დაბალი სასოფლო-სამეურნეო განათლების დებულება

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1920 წლის 16 აგვისტოს

1-ლი დამატება.

I. ზოგადი დებულება.

1. სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო აგრონომიული პერსონალის მოსამზადებლად არსდება ორივე სქესის პირთათვის სასოფლო-სამეურნეო სკოლები და დაწესებულებანი. სასოფლო-სამეურნეო სკოლები შეიძლება დაარსდეს სავაჟო, საქალო ან ორთავეთათვის საერთო. სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლები განიყოფებიან ზოგად სკოლებად, სადაც შეისწავლება სასოფლო მეურნეობა საზოგადოდ, და სპეციალ სკოლებად, სადაც შეისწავლება სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგი.

2. სასოფლო-სამეურნეო სკოლები განიყოფება: საშუალო, დაბალ და ორწლიან სასოფლო-სამეურნეო კურსებად, რომელიც უნდა დაარსდეს აქ მოყვანილი დებულების მიხედვით.

3. სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლის მიზანია მოწაფისათვის სამეცნიერო ნიადაგზე დამყარებული თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის მიწოდება სოფლის მეურნეობის სხვადა-სხვა დარგში და ამ გზით სოფლის მეურნეთა კადრის მომზადება.

4. დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლად ითვლება: დაბალი პრაქტიკული სასოფლო-სამეურნეო სკოლა და ორწლიანი სამეურნეო კურსები. დაბალ სასოფლო-სამეურნეო სკოლას მიზნად აქვს უმცროსი ტეხნიკოსების მომზადება, რომელნიც საჭირონი არიან სოფლის მეურნეობაში პრაქტიკული მეცადინეობისათვის. ორწლიანი სამეურნეო კურსები ავრცელებენ მცხოვრებთა შორის სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის საჭირო ცოდნას. ამ მიზანს ეს სკოლები მიაღწევენ პრაქტიკული მეცადინეობის მოწყობით, როგორც სკოლის მეურნეობაში, აგრეთვე მოწაფეთა მშობლების მა-

მულში. პრაქტიკული სასოფლო-სამეურნეო სკოლები ამზადებენ სოფლის მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგისათვის გამოცდილ დახელოვნებულ მუშებს.

5. სასოფლო-სამეურნეო ერთდროული კურსებისა, კითხვისა, ბაასისა, მეურნეობისა, მუზეუმებისა და სპეციალი სასოფლო-სამეურნეო სამკითხველოების დაარსება და მოწყობა შეუძლია მთავრობასა და საზოგადოებრივ დაწესებულებას საზოგადო წესრიგით, კერძო პირებს კი — სკოლაში, ადგილობრივ სამაზრო ერობათა გამგეობის ნებართვით.

6. საშუალო დაბალი სკოლები, აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებანი იმყოფებიან მიწათმოქმედების სამინისტროს უწყებაში. საშუალო და დაბალი სკოლები, რომელთაც სახელმწიფო ხაზინა ინახავს ან აძლევს დახმარებას, არსდება მთავრობისათვის შესაფერი მოხსენების წარდგენის შემდეგ.

მიწათმოქმედების მინისტრი, განათლების მინისტრთან შეთანხმებით, შეიმუშავებს წესრიგს იმ სასოფლო-სამეურნეო სკოლათა დაარსებისას, რომელთა შესანახადაც იხარჯება ადგილობრივი თანხა.

7. ამ დებულების ძალით მიწათმოქმედების მინისტრი, განათლების მინისტრთან შეთანხმებით, შეადგენს ერთგვარ სასოფლო-სამეურნეო სკოლების საზოგადო წესდებას, სადაც აღინიშნება სკოლების მოწყობისა, გაკვეთილების განაწილებისა და პრაქტიკული მეცადინეობის წესრიგი.

8. ხაზინის მონაწილეობა საშუალო და დაბალი სკოლების მოწყობა-შენახვაში განისაზღვრება ხარჯთ-აღრიცხვით. მიწათმოქმედების მინისტრს შეუძლია გადადებული თანხის ფარგალში დაუნიშნოს დახმარება საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და კერძო პირთა მიერ დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო დაბალ სკოლას. გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო დაბალ სკოლებს და კურსებს, რომელნიც არსდებიან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ, შეიძლება მიეცეს დამატებითი დახმარება მათ მოსაწყობად საჭირო სამეურნეო ხარჯის დასაფარავად.

9. ყოველ სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლაში სასწავლო საკითხების განსახილველად უნდა არსებობდეს პედაგოგიური საბჭო დირექტორის თავმჯდომარეობით, — ხოლო

სამეურნეო საქმეებისათვის — სამეურნეო კომიტეტი. დაბალ სკოლებში, სადაც გარდა გამგისა, არის არა ნაკლები ორი მასწავლებლისა, სასწავლო-სამეურნეო საქმეების განსახილველად უნდა არსებობდეს პედაგოგიური საბჭო გამგის თავმჯდომარეობით. საბჭოს და კომიტეტის წევრად ჩაითვლება სკოლის ექიმიც. საბჭოსა და კომიტეტის თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს კრებაზე ადგილობრივი მეურნეები ან მცოდნე პირი, რომელსაც შეუძლია მონაწილეობა და თათბირი სამოსწავლო-სამეურნეო კითხვების განხილვის დროს. მოწვეულ პირთ გადამწყვეტი ხმა არ ეკუთვნის.

10. საშუალო და დაბალი სკოლების შტატი დამტკიცებულ უნდა იქნეს მიწათმოქმედების მინისტრის მიერ ამასთანავე დართულ თანამდებობათა განაწილების მიხედვით.

11. სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლის დირექტორს და დაბალი სკოლისა და კურსების გამგეს დაევალება არა უმეტეს ექვსი გაკვეთილისა კვირაში. სასოფლო-სამეურნეო საგნების მასწავლებლებს დაევალებათ კვირაში არა ნაკლები თორმეტი გაკვეთილისა. ორი საათის პრაქტიკული მეცადინეობა საბუნებისმეტყველო და სპეციალ საგანში შეიძლება ჩაითვალოს ერთ კვირეულ გაკვეთილად. სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლის ინსპექტორს კვირაში უნდა ჰქონდეს არა უმეტესი თორმეტი გაკვეთილისა.

12. ყველა საშუალო და დაბალ სკოლაში, თუ ამას სწავლის გაუმჯობესების ინტერესი მოითხოვს, შეიძლება შტატის გარეშე მასწავლებლის დანიშვნა იმ პირობით, თუ მას სათანადო თანამდებობის მიღების უფლება ექნება. ამ თანამდებობაზე წინეთ ნამსახური დრო, შტატში ჩარიცხვის დროს სამსახურად ჩაეთვლებათ, თუ კვირაში ჰქონიათ არა ნაკლები ექვსი გაკვეთილისა.

13. საშუალო სასოფლო-სამეურნეო სკოლის დირექტორსა და ინსპექტორს, აგრეთვე დაბალი სასოფლო-სამეურნეო სკოლის გამგეს, თუ ამ სკოლებს ხაზინა ინახავს, ნიშნავს მიწათმოქმედების მინისტრი. მასწავლებელს და სხვა მოსამსახურე პირს, სკოლების უფროსებისაგან წარდგენის თანახმად, ამტკიცებს მიწათმოქმედების მინისტრი.

თავისუფლად დაქირავებული მოსამსახურე დანიშნება თანამდებობაზე სკოლის გამგის მიერ. ადგილობრივი ხარჯ-ი

დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო სკოლის გამგეს და მასწავლებელს, დამაარსებელთაგან წარდგენის თანახმად, ამტკიცებს მიწათმოქმედების მინისტრი.

14. სასოფლო-სამეურნეო სკოლის მასწავლებელი და აღზრდელი სარგებლობს პენსიითა და ხუთწლეული დამატების ისეთსავე უფლებას, როგორც განათლების სამინისტროს მოხელე. ხუთწლეული დამატებისა ან პენსიისათვის საჭირო თანხას სახელმწიფო ხაზინიდან მიიღებს ის სკოლა, რომელსაც ინახავს ან დახმარებას აძლევს ხაზინა; იმ სკოლას კი, რომელიც დახმარებას არ იღებს, მხოლოდ მაშინ მიეცემა ხაზინიდან სათანადო თანხა, თუ ამ მიზნისათვის სახელმწიფო ხართჯ-აღრიცხვით გადადებულ იქნა განსაკუთრებული თანხა.

15. სასოფლო-სამეურნეო სკოლის პანსიონერები ვალდებული არიან კურსის დამთავრების შემდეგ იმსახურონ მიწათმოქმედების სამინისტროს დაწესებულებაში მათი სპეციალობის შესაფერ თანამდებობაზე იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც სარგებლობენ ხაზინის დახმარებას. მიწათმოქმედების მინისტრს უფლება აქვს გაანთავისუფლოს ამ მოვალეობისაგან ზოგიერთი პირი, თუ მისი სამსახური სამინისტროს არ ესაჭიროება.

16. ყოველგვარი შემოწირულება სასოფლო-სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ, სკოლის საკუთარი თანხის სარგებელი და სკოლის საკუთარისა ან მისი განკარგულებისათვის მიჩენილი ადგილის მეურნეობის ყოველი შემოსავალი შეადგენს სკოლის სპეციალ თანხას.

კერძო ხარჯით ან ხაზინის მონაწილეობით დაარსებული სკოლის სპეციალ თანხად ითვლება აგრეთვე მოწაფეებისაგან შემოსული სწავლის ფული; სახელმწიფო ხარჯით დაარსებულ სკოლაში აღნიშნული სწავლის ფული და სხვა შემოსავალი ითვლება ხაზინის შემოსავლად; ხოლო საჭირო ხარჯისათვის სკოლას თანხა დაენიშნება მიწათმოქმედების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვით.

17. მოწაფეებისათვის სასოფლო-სამეურნეო სკოლებთან არსდება პანსიონები ან საერთო საცხოვრებელი; ამ დადგენილების დარღვევა შეიძლება მხოლოდ მიწათმოქმედების მინისტრის ნებართვით.

18. უკეთუ სასოფლო-სამეურნეო სკოლა დაარსდება საზოგადოებრივი ორგანიზაციისა ან კერძო პირის მიერ, დამა-

ოარსებლის უფლება და მოვალეობა განისაზღვრება მიწათმოქ-
მედების სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულებით. ამ
ხელშეკრულებით განმარტებული უნდა იყოს მოსამსახურეთა,
მოწაფეებისა და დამაარსებელთა შორის ურთიერთობა და
აგრეთვე დამოკიდებულება სასკოლო მამულთან. ამავე ხელ-
შეკრულებაში აღნიშნული უნდა იყოს აგრეთვე სწავლის ფა-
სი, პანსიონერთა და ნახევრად პანსიონერთა შენახვისათვის
საჭირო ხარჯის რაოდენობა და სასწავლო მიზნისათვის მეურ-
ნეობის მოწყობის წინასწარი გეგმა. მე 16-ე მუხლში აღნიშ-
ნული შემოსავალი გადაეცემა მამულის მესაკუთრეს ხელშეკ-
რულებაში აღნიშნული პირობით.

10. სასოფლო-სამეურნეო სკოლას უფლება აქვს: 1) იქო-
ნიოს სათანადო ბეჭედი, და 2) შეიძინოს უძრავი ქონება და
მიიღოს ყოველგვარი შემოწირულება.

II. საშუალო სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

20. საშუალო სასოფლო-სამეურნეო სკოლის სწავლის
კურსი ოთხწლიანია და ამის მიხედვით სკოლა განიყოფება
ოთხ კლასად. ამათში პირველი მოსამზადებელია, მეორე და
მესამე დანიშნულია სასოფლო-სამეურნეო საგნების შესას-
წავლად სპეციალობის მიხედვით, ხოლო მეოთხე პრაქტიკუ-
ლია. მიწათმოქმედების მინისტრის ნებართვით შეიძლება ამ
სკოლებში გაიხსნას დამატებითი განყოფილება ან კლასი მო-
წაფეების რომელიმე სასოფლო-სამეურნეო დარგისათვის სა-
განგებო მოსამზადებლად ან უმაღლესი საფეხურის სკოლაში
მისაღებად.

21. სკოლის უფროსად ითვლება დირექტორი, რომელიც
პასუხისმგებელია სწავლა-აღზრდისა და სამეურნეო ნაწილის
წესიერად მიმდინარეობისათვის. მას ერთ-ერთ მასწავლებელ-
თაგან დაენიშნება თანაშემწედ ინსპექტორი.

22. დირექტორისა, მასწავლებლისა და სამეურნეო ნაწი-
ლის (ფერმის) გამგის თანამდებობის მიღება შეუძლია უმაღ-
ლესი სკოლის კურს დამთავრებულს. მასწავლებელთა თანა-
შემწედ, აღმზრდელად და ლაბორანტად დაინიშნებიან საშუ-
ალო სკოლების კურს დამთავრებულნი. უკეთუ ახალი ენები-
სა, მიწის ზომვისა და ანგარიშისათვის უმაღლეს სწავლა დამ-

თავრებული მასწავლებლები არ მოიპოვებიან, ამ თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს საშუალო და სპეციალ სწავლა მიღებულნი, აგრეთვე ის პირნი, რომელთაც დაწესებული გამოცდით დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ ამ საგნების მასწავლებლობა.

23. სკოლის პირველ კლასში მიიღება მაღალდაწყებითი სკოლების კურს დამთავრებულნი. დანარჩენ კლასებში მოწაფეთა მიღება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება, მიწათმოქმედების მინისტრის ნებართვით, თუ მისაღებმა პირმა ცოდნა გამოიჩინა წინა კლასებში გავლილ თეორიული და პრაქტიკული კურსისა.

24. სკოლაში სწავლობენ შემდეგ საგნებს: მცენარეთა სისტემატიკას, მორფოლოგიას, ანატომიას და ფიზიოლოგიას, ზოოლოგიას ენტომოლოგიითურთ, ცხოველთა ფიზიოლოგიას, არა ორგანიულსა, ორგანიულსა და ანალიტიურ ქიმიას, ფიზიკას, მექანიკას, მეტეოროლოგიას, მინერალოგიას და გეოლოგიას, გეოდეზიას, ხაზვასა და ხატვას; საზოგადო მიწათმოქმედებას, საზოგადო ზოოტეხნიკას, სასოფლო მეურნეობის ჰიდრავლიკას, სასოფლო მეურნეობის ეკონომიას და ანგარიშს, კანონმეტყველებასა და ერთ-ერთ უცხო ენას. სხვა-დასხვა განყოფილების სპეციალი საგნები ჩამოთვლილია აქვე თანდართულ სასწავლო გეგმაში.

25. მთელი კურსის განმავლობაში სწარმოებს პრაქტიკული მეცადინეობა მოწაფეების სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მუშაობისა და მეურნეობის წარმოების შესაჩვევად.

26. სკოლაში სწავლა დამთავრებული მოწაფე მიიღებს აგრონომის წოდებას იმ სპეციალობაში, რომელიც მას გავლილი აქვს და შეიძლება დანიშნულ იქნეს: სასოფლო-სამეურნეო ფერმის საცდელისა და მინდვრის გამგედ, მასწავლებლის თანაშემწედ, საშუალო სკოლების ლაბორანტად და აღმზრდელად, აგრეთვე დაბალი სკოლების მასწავლებლად, ინსპექტორად და სხ.

27. იმ პირთ, რომელთაც სასწავლებელში არ უსწავლიათ, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, მიწათმოქმედების მინისტრის ნებართვით, შეიძლება მიეცეს მთელ კურსში გამოცდის ნება. ვინც გამოცდის დროს გამოიჩენს როგორც თე-

რიულის, ისე პრაქტიკული კურსის ცოდნას, მას მიეცემა იმ გვარივე მოწმობა, როგორც სკოლაში კურს დამთავრებულს ეკუთვნის.

III. ოთხწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

28. ამ ტიპის სკოლაში მთელ კურსს, რომელიც განაწილებულია 4 კლასად, გაივლიან ოთხი წლის განმავლობაში.

29. სკოლის გამგედ უნდა დაინიშნოს უმაღლეს სწავლა დამთავრებული.

30. მასწავლებლებს უნდა ჰქონდეს მიღებული უმაღლესი ან საშუალო სწავლა. ხაზვის მასწავლებელი დაინიშნება მე-22 მუხლში მოყვანილის საფუძვლით.

31. პირველ კლასში მიიღებიან არა უმცირესნი 14 წლისა, პირველდაწყებით სახალხო სკოლაში სწავლა დამთავრებულნი, სათანადო მოწმობის წარმომდგენნი ან შესაფერისი გამოცდით.

32. დაბალ სასოფლო-სამეურნეო სკოლებში სწავლობენ შემდეგ საგნებს: ქართულ ენას, არითმეტიკას, გეომეტრიას, გეოგრაფიას, ისტორიას, ხაზვას, მიწის ზომვას, ბოტანიკას, ზოოლოგიას, ქიმიას, ფიზიკას და მეტეოროლოგიას, მცენარეთა მოვლა-გაშენებას, მებაღეობას, მებოსტნეობას, მევენახეობას და მეღვინეობას, საქონლის მოშენებას, მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას, სასოფლო მეურნეობის ეკონომიას, სასოფლო მეურნეობის ანგარიშს და კანონმეტყველებას.

33. მოწაფეთაგან სასოფლო-სამეურნეო ცოდნის უკეთ შეთვისებისათვის და მუშაობაში გამოცდილების მისაღებად, სკოლაში საკლასო მეცადინეობასთან ერთად სწარმოებს პრაქტიკული მეცადინეობაც.

34. სასოფლო მეურნეობაში და ბუნების მეტყველებაში პრაქტიკულ მეცადინეობას ხელმძღვანელობენ გამგე და მასწავლებელი. პრაქტიკული მეცადინეობის დროს მოწაფეები უნდა ასრულებდენ მიმდინარე სამუშაოს და ვარჯიშობდენ სასწავლო საჩვენებელსა და სხვა ამგვარ დაწესებულებაში.

35. სასოფლო-სამეურნეო დაბალი სკოლის კურს დამთავრებულს შეუძლია იყოს საზოგადო განათლების პირველდა-

წყებით სახალხო სკოლაში სასოფლო-სამეურნეო მეცადინეობის ხელმძღვანელად ან სასოფლო მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგში უმცროს ტეხნიკად და ინსტრუქტორად.

IV. ორწლიანი სასოფლო-სამეურნეო კურსები.

86. სწავლა გრძელდება ორ წელიწადს და განაწილებულია ორ კურსად.

87. მასწავლებლად დაინიშნება საშუალო აგრონომიულ სწავლა დამთავრებული. განსაკუთრებულ შემთხვევაში ამ თანამდებობაზე შეიძლება დანიშვნა იმ პირისა, რომელსაც არა აქვს ცენზი, მაგრამ აქვს შესაფერი ცოდნა. რომელიმე შტატის მასწავლებელს დაევალება კურსების გამგეობა, რისთვისაც განსაკუთრებული გასამრჯელო უნდა მიიღოს.

88. კურსებზე მიიღებიან ადგილობრივი მცხოვრებნი არა უმცირესნი 15 წლისა, წერა-კითხვისა და ანგარიშის მცოდნენი პირველდაწყებითი სკოლის კურს დამთავრებულის პიროობაზე.

89. კურსებზე ასწავლიან წერა-კითხვას და ანგარიშს, აწვდიან მოკლე ცნობებს ბუნების მოვლენებზე, გაუმართავენ კითხვასა და ბაასს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის საკითხზე, მიწის ზომვისა, რესპუბლიკის ძირითადი კანონებისა და სოფლის მეურნეობის თაობაზე.

90. მოწაფეების პრაქტიკული მეცადინეობა განისაზღვრება სკოლის მამულსა, საჩვენებელ მინდორსა და სხვა სამეურნეო დაწესებულებაში ექსკურსიებში მონაწილეობით და მუშაობით. ამ მეცადინეობისათვის და სასოფლო-სამეურნეო ბაასისათვის გადადებულია თითო კლასში არა ნაკლები ექვსი კვირეული გაკვეთილისა ზამთარში და არა ნაკლები თორმეტი კვირეული გაკვეთილისა ზაფხულში. დანარჩენ დროს მოწაფეები მუშაობენ თავიანთ მამულში და სარგებლობენ მასწავლებელთა დარიგებას. მასწავლებელი ვალდებულია ინახულოს ხოლმე თავის მოწაფის მამული ზამთარში არა ნაკლები ერთი გზისა და ზაფხულში კი — თვეში ორჯერ. გარდა ამისა, სკოლაში მოწყობილი უნდა იყოს სახელოსნო მეცადინეობა.

V. პრაქტიკული სასოფლო-სამეურნეო სკოლები.

41. პრაქტიკული სკოლები უმთავრესად არსდება სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმმართველობის ხელში გადასულ მამულებში.

42. კურსი გრძელდება ერთიდან სამ წლამდე.. პრაქტიკული სკოლები შეიძლება დაიყოს განყოფილებათა და კლასებად, თუ ამას გარემოება მოითხოვს.

43. სკოლაში მისაღებად საჭიროა წერა-კითხვის ცოდნა. განსაკუთრებით შემთხვევაში შეიძლება წერა-კითხვის არა მცოდნეთა მიღებაც. მისაღები პირნი უნდა იყვნენ არა უმცირეს 16 წლისა.

44. პრაქტიკული სკოლების კურსს საფუძვლად დაედება პრაქტიკული მეცადინეობა, რომელიც შეიცავს სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო მუშაობის წარმოებას. ამ მეცადინეობას ხელმძღვანელობენ მასწავლებელნი. გარდა ამისა, თითო სკოლაში სწავლობენ საზოგადო განათლებისა და სპეციალ საგნებსაც.

45. გამგე და მასწავლებელი დაინიშნებიან იმ პირობით, როგორც სასოფლო მეურნეობის ორწლიანი კურსების გამგე და მასწავლებელი (მუხ. 37).

VI. სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელება სკოლის გარეთ.

46. სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად უნდა მოეწყოს დროებითი სასოფლო-სამეურნეო კურსები, კითხვა და ბაასი, როგორც ვაჟებისათვის, ისე ქალებისათვის.

47. კურსების სანიმუშო პროგრამას შეადგენს მიწათმოქმედების სამინისტრო.

48. კურსების, კითხვისა და ბაასის გამგეებად დაინიშნებიან ის პირნი, რომელთაც ნება აქვთ სასოფლო-სამეურნეო სკოლებში გამგეობისა და მასწავლებლობისა.

წესი კონსტიტუციის განხილვისა

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1920 წლის 16 ნოემბერს

დამფუძნებელ კრებაში შეტანილი პროექტი კონსტიტუციისა განხილულ უნდა იქნეს შემდეგი წესით:

1. პირველად უნდა განხილულ იქნეს კონსტიტუციის ძირითადი საფუძვლები (პირველი განხილვა). ამის შემდეგ კენჭის ყრით უნდა გადაწყდეს საკითხი თაობრივ განხილვაზე გადასვლისა.

2. თაობრივი განხილვა იწყება ამ თავის ძირითად დებულებათა საზოგადო განხილვით (მეორე განხილვა), რომლის შემდეგ კენჭის ყრით გადაწყდება საკითხი მუხლობრივ განხილვაზე გადასვლისა (მესამე განხილვა).

3. მეორე და მესამე განხილვის შუა უნდა გავიდეს არა ნაკლებ 10 დღისა.

4. შესწორებანი და დამატებანი ან დამატებითი მუხლები განსახილველი თავისა უნდა წარედგინოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს არა უგვიანეს სამი დღისა მეორე განხილვის შემდეგ. ეს შესწორებანი და დამატებანი პრეზიდიუმის განკარგულებით გაეგზავნება საკონსტიტუციო კომისიას, რომელმაც თავისი დანასკვი უნდა წარმოუდგინოს პრეზიდიუმს არა უგვიანეს სამი დღისა.

5. პრეზიდიუმი შემოტანილ შესწორებას და დამატებას დანასკვითურთ გაუგზავნის დამფუძნებელი კრების თვითეულ ფრაქციას ორი დღით ადრე მაინც იმ სხდომამდე, როდესაც მესამე განხილვა არის დანიშნული.

6. მესამე (მუხლობრივი) განხილვის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხება კრებას: ინებებთ თუ არა პირობით მიიღოთ განხილული თავი კონსტიტუციისა მთლიანად.

7. განხილული თავის პირობითი მიღების შემდეგ შეიძლება მხოლოდ ისეთი შესწორების შეტანა, რაც შეეხება მუხლთა შინაგან წინააღმდეგობას ან თავთა თუ მუხლთა დალაგებას. შესწორება შემოტანილ უნდა იქნეს კონსტიტუციის ყოველი თავის პირობითი მიღების შემდეგ სამი დღის განმავლობაში ან უფრო ადრე და გაეგზავნოს საკონსტიტუციო კო-

მისიას დანასკვის წარმოსადგენად თანახმად მეხუთე მუხლისა; მასთანვე ეცნობოს დანასკვითურთ ყველა ფრაქციას ორი დღით მაინც ადრე იმ სხდომამდე, როცა მეოთხე განხილვა დანიშნულ იქნება.

8. მეოთხე განხილვა შეეხება მხოლოდ იმ საკითხს, რომლის გამო შემოტანილ იყო შესწორება; ამ განხილვის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხება კრებას: ინებებთ თუ არა დაამტკიცოთ განხილული თავი კონსტიტუციისა მთლიანად.

9. თვითეულ თავს ცალ-ცალკე უნდა ეყაროს კენჭი, შემდეგ კონსტიტუციას მთლიანად. ამნაირად დამტკიცებული პროექტი კონსტიტუციისა უნდა გადაეცეს სარედაქციო კომისიას შესამუშავებლად საბოლოო ტექსტისა, რომელიც განსახილველ დასამტკიცებლად კიდევ უნდა წარედგინოს დამფუძნებელ კრებას (მეხუთე განხილვა). ამ განხილვის დროს შეიძლება შეტანა მხოლოდ სარედაქციო შესწორებისა.

10. რომლისამე თავის მუხლობრივი განუხილველობა არ აბრკოლებს შემდეგი თავის ზოგადი წესით განხილვას.

11. იმ შემთხვევისათვის, რომელიც ამ წესით არ არის განსაზღვრული, დამფუძნებელი კრება იხელმძღვანელებს არსებულ რეგლამენტს.

მოკალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისა

საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 3 დეკემბრის კანონი

1. დაბადების, ქორწინების და სიკვდილის აქტები შეტანილ იქნეს მეტრიკის წიგნებში.

2. მეტრიკის წიგნების წარმოება დაევალება ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. იმ მაზრებში, სადაც თვითმართველობა ჯერ კიდევ არ არის შემოღებული, წიგნების წარმოება დროებით დაევალება ადგილობრივ ადმინისტრაციას.

3. თვითეულ საქალაქო და სამაზრო ერობის გამგეობასთან არსდება განსაკუთრებული განყოფილება მეტრიკის წიგნების საწარმოებლად, განყოფილების ხელმძღვანელობა დაეკალება გამგეობის წევრს.

4. რამოდენიმე სამილიციო უბნად დაყოფილ ქალაქში მეტრიკის წიგნების წარმოება მოეწყობა ყოველ სამილიციო უბანში.

5. მაზრაში მეტრიკის წიგნების წარმოება მოეწყობა ყოველ წვრილ საერობო ერთეულთან და სადაც ასეთი არ არის, საკომისარო რაიონში

6. თუ წვრილი საერობო ერთეული ან სარაიონო კომისარიატი დიდია, სამაზრო ერობის გამგეობას შეუძლია მეტრიკის წიგნების წარმოება მოაწყოს კიდევ უფრო მცირე ერთეულში.

7. ყოველი დაწესებულება თუ თანამდებობის პირი, რომელსაც დავალებული აქვს მეტრიკის წიგნების წარმოება, უშუალოდ ექვემდებარება ქალაქის ან სამაზრო ერობის გამგეობას კუთვნილებისამებრ.

8. მეტრიკის წიგნების საწარმოებლად განყოფილებათა გამგეებს დანიშნავს და დაითხოვს სამსახურიდან, გამგეობის სათანადო წევრის მიერ წარდგენით, ქალაქის და სამაზრო ერობის გამგეობა კუთვნილებისამებრ.

9. მეტრიკის წიგნების წარმოება მოხდება ორ ცალად, სრულიად ერთნაირად.

10. დაბადების (თუნდაც მკვდარი ბავშვი დაიბადოს), ქორწინების და სიკვდილის ყოველი შემთხვევა, არა უგვიანეს ორი თვისა იმ დღიდან, როდესაც ის მოხდება, უნდა ეცნობოს სათანადო დაწესებულებას, რომელიც აწარმოებს მეტრიკის წიგნებს. დაბადებისა და გარდაცვალებისათვის განაცხადებენ მშობლები, ნათესავები ან მახლობელნი დაბადებულისა ან გარდაცვალებულისა, ან შინაურები; ხოლო, თუ უთვისტომოა, იმ სახლის ან ბინის პატრონი, სადაც ბავშვი დაიბადა, ან გარდაცვალებული უკანასკნელ დროს სცხოვრობდა, ან იმ დაწესებულების (თავშესაფარი, საპყრობილე და სხვა) უფროსი, სადაც ადგილი ჰქონდა დაბადებას ან გარდაცვალებას, ან ის, ვინც მიგდებული ბავშვი ან გვამი იპოვა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ვისიმე გარდაცვალება ეჭვს გა-

რეშეა, თუმცა მისი გვამი ნაპოვნი არ არის, მაგალითად — წყალში დაიხრჩო, ან ცეცხლში ან თუ სხვა რაიმე უბედურ შემთხვევის გამო დაიღუპა, ადგილობრივი მილიციის მიერ ამისათვის შედგენილი ოქმის პირი წარედგინება სათანადო დაწესებულებას, რომელიც მეტრიკის წიგნებს აწარმოებს, წიგნებში ჩასაწერად.

ქორწინებისათვის განცხადება შეაქვთ დასაქორწინებლებს.

უკეთუ მეტრიკის წიგნების მწარმოებელმა თანამდებობის პირმა საეჭვოდ სცნო სინამდვილის მხრივ განცხადება, ცნობა ან ოქმი, ვალდებულია შეამოწმოს მათი სინამდვილე, რისთვისაც ყოველი დაწესებულება და თანამდებობის პირი მოვალეა აღმოუჩინოს მას კანონიერი დახმარება.

11. დაბადებისა, ქორწინებისა და გარდაცვალებისათვის ცნობა უნდა ჩაიწეროს მეტრიკის წიგნების ორივე ცალის სათანადო ნაწილებში ერთმანეთზე მიყოლებით, წლის მიმდინარე ნომრების რიგით, და ხელი მოაწერონ, როგორც მე-12—14 მუხლებში აღნიშნულმა პირებმა, ისე თანამდებობის პირთაც, რომლებიც აწარმოებენ მეტრიკის წიგნებს. როდესაც ვისმეს არ შეუძლია ხელის მოწერა წერის უცოდინარობის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო, იმ შემთხვევაში მის მაგივრად, მისივე მინდობილობით, ხელს აწერს სხვა პირი, ან და ამას აღნიშნავს თანამდებობის პირი, ვიდრე თვითონ მოაწერდეს ხელს.

შემოკლებით ჩაწერა და ამოშლა აკრძალულია. ყოველი შესწორება ან მიწერა აღნიშნულ უნდა იქნეს აქტში მონაწილე პირთა ხელის მოწერამდე. შესწორება უნდა მოხდეს ისე, რომ შეცდომით და ზედმეტად დაწერილის გარჩევა შეიძლებოდეს.

12. დაბადების აქტში აღინიშნება:

1) წელიწადი, თვე, რიცხვი და ადგილი დაბადებისა,

2) სახელი და სქესი ახლად დაბადებულისა, და

3) სახელი, მამის სახელი, გვარი, ეროვნება, სარწმუნოება და საცხოვრებელი ადგილი მამის და დედის ან მხოლოდ დედის, როდესაც ბავშვი დაბადებულია უქმრო ქალისაგან. უქორწინებელი მამა ბავშვისა უნდა ჩაიწეროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხმობას განაცხადებს.

დაბადების აქტი ხელმოწერილ უნდა იქნეს მეტრიკის წიგ-

ნების ორთავ ცალში ბავშვის მშობლების ან მათი მონაცვლე პირების (მუხ. 10) და აგრეთვე დაბადების ერთი მოწმის მიერ. მიგდებული ბავშვის დაბადების აქტში აღინიშნება დაბადების დღის ნაცვლად, დღე, როდესაც ბავშვი იქნა ნაპოვნი, და დაახლოვებით მისი წლოვანება, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ცნობა, რომელიც ნაჩვენებია ამ მუხლის 1-ლ ნაწილში.

13. ქორწინების აქტში აღინიშნება:

1) წელიწადი, თვე, რიცხვი და ადგილი ქორწინებისა,

2) სახელი, მამის სახელი, გვარი, სარწმუნოება და წლოვანება თვითეული მეუღლის და აგრეთვე მათი საცხოვრებელი ადგილი,

3) მერამდენე შეუღლებაა ეს თვითეულ დაქორწინებულისათვის,

4) სახელი, მამის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი დაქორწინების მოწმეებისა, რიცხვით არა ნაკლებ ორისა.

ქორწინების აქტი ხელმოწერილ უნდა იქნეს დაქორწინებულ მეუღლეთა და დაქორწინების მოწმეთა მიერ.

14. გარდაცვალების აქტში აღინიშნება:

1) სახელი, მამის სახელი, გვარი, სარწმუნოება, წლოვანება და საცხოვრებელი ადგილი გარდაცვალებულისა,

2) წელიწადი, თვე, რიცხვი გარდაცვალებისა,

3) მიზეზი გარდაცვალებისა,

4) თუ მცირეწლოვანი გარდაიცვალა, სახელი, მამის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი მისი მშობლების.

5) იყო თუ არა გარდაცვალებული დაქორწინებული, და, თუ ქმრიანი ქალი ან ქვრივი გარდაიცვალა, სახელი, მამის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარდაცვალებულის ქმრისა.

6) სახელი, მამის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი იმ პირისა, რომელმაც გარდაცვალება განაცხადა (მუხ. 10).

გარდაცვალების აქტს ხელს აწერს ამის მაუწყებელი პირი, ხოლო, თუ წიგნებში ჩაიწერება იმ დაწესებულების უფროსის ცნობით, სადაც მომხდარა გარდაცვალება, ან მილიციის ოქმის მიხედვით (მუხ. 10), ყოველსავე ამას აღნიშნავს მეტრიკის წიგნების მწარმოებელი თანამდებობის პირი, ვიდრე ხელს მოაწერდეს.

15. ის დამატებითი შენიშვნა, რომელიც უნდა აღინიშნოს

მეტრიკის წიგნებში სასამართლოს დადგენილების ძალით, შეტანილ უნდა იქნეს წიგნების ორთავ ცალში აქტის იმ ადგილში, რომელსაც ეხება.

თუ ამ აქტთან არ აღმოჩნდა საკმაო ადგილი, ამ შემთხვევაში ასეთი შენიშვნა შეტანილ უნდა იქნეს წიგნებში ცალკე მორიგ მუხლად ნომრის აღნიშვნით იმ აქტისა, რომელსაც ეხება, ხოლო ამ აქტთან აღინიშნება შენიშვნის ნომერი.

თუ წიგნის მეორე ცალი უკვე გაგზავნილია შესანახად ოლქის სასამართლოს ნოტარიალ არქივში, მეტრიკის წიგნების მწარმოებელი თანამდებობის პირი ჩასწერს შენიშვნას წიგნის ადგილობრივად დარჩენილ ცალში და დაუყოვნებლივ აცნობებს ამ შენიშვნის პირს სათანადო უფროს ნოტარიუსს, წიგნის მეორე ცალში იმავე შენიშვნის შესატანად.

16. წლის ბოლოს, არა უგვიანეს შემდეგი წლის იანვრის 15 სა, მეტრიკის წიგნების მწარმოებელი თანამდებობის პირი ვალდებულია დაამთავროს წიგნების ორთავ ცალის თვითეული ნაწილი იქ, სადაც ნაწერი თავდება, იქვე ოქმის ჩაწერით; ამ ოქმში, იმის მიხედვით, თუ წიგნის რომელ ნაწილში იწერება, აღინიშნება, კუთვნილებისამებრ, დაბადებულთა, დაქორწინებულთა და გარდაცვალებულთა წარსული წლის რიცხვი; შემდეგ წიგნების მწარმოებელი ხელს მოაწერს და წიგნების მეორე ცალს გაუგზავნის სათანადო ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსს არქივში შესანახად.

17. მეტრიკის წიგნების მწარმოებელი თანამდებობის პირი და უფროსი ნოტარიუსი, რომელსაც აბარია შესანახად მეტრიკის წიგნების მეორე ცალი, ვალდებულნი არიან მისცენ დაინტერესებულ პირთ სწორი ამონაწერი მეტრიკის წიგნებისა.

18. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების მეტრიკის წიგნებში ჩაწერა და მათი ამონაწერის მიცემა განთავისუფლებულია ყოველივე გადასახადისაგან, გარდა საღერბო გადასახადისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამონაწერი გარდაცვალებისათვის თავისუფალია საღერბო გადასახადისაგანაც.

19. დაბადების, ქორწინების და გარდაცვალების მეტრიკის წიგნებში ჩაწერასთან ერთად, მეტრიკის წიგნების მწარმოებე-

ლი თანამდებობის პირი შეადგენს თვითეული ჩაწერილი შემოხვევისათვის სასტატისტიკო ფურცელს; ყოველთვიურად, არა უგვიანეს თვის 5-სა, წარსული თვის ყველა ფურცლები გაეგზავნება საქალაქო ან სამაზრო ერობის გამგეობას, რომელსაც ბარათის შინაარსი შეაქვს სათანადო სასტატისტიკო რვეულში და შემდეგ ამ ფურცლებს დაუყოვნებლივ გაუგზავნის ცენტრალ სასტატისტიკო კომიტეტს.

20. ფურცლები მეტრიკის წიგნებისა და ბლანკები სასტატისტიკო ფურცლებისათვის მზადდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ და გაეგზავნება ყოველწლიურად, არა უგვიანეს ენკენისთვის 1-ლისა, ყოველი ქალაქის და სამაზრო ერობის გამგეობას. გამგეობა შეჰკრავს ფურცლებს წიგნებად, დანომრავს, გაუყრის ზონარს, მოაწერს ხელს და დაუგზავნის ორ ცალად სასტატისტიკო ფურცლების ბლანკებთან ერთად, არა უგვიანეს იმავე წლის ნოემბრის 1-ლისა, მეტრიკის წიგნების მწარმოებელ ყოველ დაწესებულებას. წიგნის სათაურ ფურცელზე აღინიშნება მისი სახელწოდება, დაწესებულება, სადაც იწარმოებს, და წელიწადი, რომელსაც ეკუთვნის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ფურცლები მეტრიკის წიგნებისათვის მზადდება ამ მუხლთან დართული ფორმით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. პირველად მეტრიკის ფურცლები და სასტატისტიკო ბლანკები დაიგზავნება არა უგვიანეს 1921 წლის მარტის 1-სა. 1921 და 1922 წლებისათვის დამზადდება მეტრიკის საერთო წიგნები და დაიგზავნება არა უგვიანეს 1921 წლის მაისის 1-ლისა.

21. დამამტკიცებელ საბუთად დაბადების, ქორწინების და გარდაცვალებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ კანონის შემოღების დღიდან, ითვლება ამ კანონის მე-17 მუხლში აღნიშნულ თანამდებობის პირთა მიერ მიცემული ამონაწერი მეტრიკის წიგნებისა.

22. ამ კანონის შემოღებამდე დაბადების, ქორწინების და გარდაცვალების მოწმობა და ამონაწერი გაიცემა ძველი წესით.

23. თუ დაბადება, ქორწინება და გარდაცვალება მომხდარა ამ კანონის შემოღებამდე, მაგრამ ძველი წესით ჩაწერილი სრ არის მეტრიკის წიგნებში, შეიძლება ჩაწერილ იქნეს ამ

კანონით შემოღებული ახალი წესით და ამ შემთხვევაში ამონაწერი მეტრიკის წიგნისა მიეცემა დაინტერესებულ პირთ ამ კანონის მე-17 მუხლის თანახმად.

24. ამ კანონის შემოღების დღიდან ყველა სარწმუნოების სამღვდელოებას ეკრძალება იმ საეკლესიო წესების შესრულება, რომლებიც დაკავშირებულია დაბადების, გარდაცვალების და ქორწინების ფაქტთან (მონათვლა, წინადაცვეთა, ჯვრის წერა, წესის აგება, დასაფლავება და სხვა) იმ პირისათვის, რომლის კანონიერი რეგისტრაციის მოწმობა მისთვის არ წარუდგენიათ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თუ ახლად დაბადებული მძიძე ავადმყოფია, სასულიერო პირს შეუძლია ბავშვის მონათვლა, წინადაცვეთა და სხვ. იმ პირობით, რომ 24 საათის განმავლობაში დღიდან მონათვლისა, წინადაცვეთისა და სხვ. ეს შემთხვევა აცნობოს მეტრიკის წიგნების მწარმოებელ დაწესებულებას.

25. თუ დაბადების, ქორწინების და გარდაცვალების მეტრიკის წიგნებში ჩაწერაზე ვისმეს უარი ეთქვა, ან სისწორით არ ჩასწერეს, დაინტერესებულ პირს შეუძლია ორი თვის განმავლობაში დღიდან უარის თქმისა ან უწესო ჩაწერისა, ან დღიდან ამის გაგებისა შეიტანოს საჩივარი სათანადო ქალაქის ან სამაზრო ერობის გამგეობაში, კუთვნილებისამებრ, ხოლო საჩივარი გამგეობის მიმართ შეუძლია შეიტანოს ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილებაში საერთო წესით.

26. ყალბი განცხადებისათვის (მუხ. 10) და ყალბი ფაქტის დამოწმებისათვის (11—13) ან ჩაწერისათვის დამნაშავე დაისჯება, როგორც ყალბი საბუთის შედგენისათვის. ამ კანონის სხვაგვარ დარღვევისათვის, უკეთუ სხვა კანონით უფრო სასტიკი სასჯელი არ არის დადებული, დაისჯება მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ დასადებ სასჯელთა წესდების მე-29 მუხლის ძალით.

27. შინაგან საქმეთა მინისტრი, იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით, გამოსცემს ინსტრუქციას ამ კანონის განსახორციელებლად.

28. გაუქმდეს ყოფილ რუსეთის იმპერიის კანონთა კრებუ-

ლი I ლი ტომის, გამოც. 1889 წ., მე-858—988 მუხლები და აგრეთვე ყველა სხვა კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონს.

29. ამ კანონის მოქმედების დასაწყისის დღის განსაზღვრა, მაგრამ არა უგვიანეს ექვსი თვისა დღიდან ამ კანონის მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ, მიენდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

დ ე კ რ ე ტ ი

არტაანის ოლქის ფოცხოვის რაიონის ახალციხის მაზრასთან შეერთებისა

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1920 წლის 31 დეკემბერს

1. არტაანის ოლქის ფოცხოვის რაიონი შეუერთდეს ახალციხის მაზრას.

2. ახალციხის მაზრის ადმინისტრაციისა და თანამდებობის პირთა ხელისუფლება გავრცელდეს ახლად შემოერთებულ რაიონზე.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1921

ᲐᲛᲜᲘᲡᲢᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲐᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ.

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ 1921 ᲬᲚᲘᲡ 11 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებელი არსებობა იურიდიულად იქნა ცნობილი ამა წლის იანვრის 27-ს ევროპის მოკავშირეთა სახელმწიფოებისაგან. ჩვენი სახელმწიფოებრიობის ამ დიადი გამარჯვების აღსანიშნავად დამფუძნებელი კრება ადგენს შემსუბუქებულ იქნეს პოლიტიკურ, სისხლის სამართლის და სამხედრო დანაშაულის ჩამდენთა მდგომარეობა შემდეგი წესით:

1) ვისაც დღემდე ამა დადგენილების მიღებისა გადაწყვეტილი აქვს სიკვდილით დასჯა ან ეს სასჯელი ეკუთვნის დღემდე ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის, სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 15 წლის კატორღით.

2) განთავისუფლებულ იქნეს სასამართლოსა და სასჯელისაგან ვისაც დღემდე ამა დადგენილების მიღებისა ჩაუდენია დანაშაული, რომლისათვისაც კანონით განსაზღვრულია სასჯელი არა უდიდესი ციხეში, ან სატუსაღოში დამწყვდევისა, თუნდაც ამ სასჯელს თანა სდევდეს უფლებათა აყრა და შეზღუდვა, აგრეთვე ის, ვისაც უფრო მძიმე დანაშაულისათვის მისჯილი აქვს, ან უნდა მიესაჯოს ასეთივე სასჯელი,

ეს მუხლი არ გრცელდება იმაზე, ვისაც სასჯელთა დებულების 77 მუხ. ძალით (კანონთა კრებული, ტ. 15, 1885 წ. გამოცემა) პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა უნდა

შეეცვალოს სატუსაღოში დამწყვდევით, აგრეთვე იმაზე, ვისაც ბრალად ედება პირადი პატივის შელახვა, თვითნებობა, ფიზიკური ხელშეუხებლობის და ჯანმრთელობის წინააღმდეგი დანაშაული, რომლის საჩივარი მხოლოდ კერძო წესით აღიძვრის.

8) განთავისუფლებულ იქნეს გასამართლების ყოველი შედეგისაგან ის, ვიზედაც ვრცელდება ამა დადგენილების მე-2 და მე-4 მუხლის ძალა. ამათგან ვისაც მისჯილი ქონდა უფლების აყრა, ან შეზღუდვა, აგრეთვე მათ შვილებს, დაბადებულთ განაჩენის დადგენის შემდეგ, დაუბრუნდეთ ყოველი უფლება, რომელიც მათ ეკუთვნოდა გასამართლებამდე.

ამა მუხლის ძალით უფლება დაუბრუნდეს იმათაც, ვინც უკვე მოიხადა სასჯელი ამ დადგენილების გამოცემამდე.

4) ვისაც ამა დადგენილების მიღების დღემდე ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის მისჯილი აქვს, ან შემდეგში უნდა მიესაჯოს კატორღა, პატიმართა გამასწორებელი განყოფილება უფლების და უპირატესობის აყრით, სასამართლოს მიერ დადებულის სასჯელის ვადა ნახევრად შეუმცირდეს, ხოლო უვადო კატორღა შეეცვალოს 12 წლის კატორღით; კატორღის ვადის შემცირების დროს ხათანადოთ უნდა შემცირებულ იქნეს გამოსაცდელი ხანის ვადაც.

5) მე-4 მუხლში აღნიშნულ პირთ, პატიმართა გამასწორებელ განყოფილებაში სასჯელის მოხდის შემდეგ, მიეცეს უფლება ყველგან ცხოვრებისა გასამართლების ყოველივე შედეგისაგან განთავისუფლებით და უფლების დაბრუნებით ამა დადგენილების მე-3 მუხ. თანახმად. მოქმედება ამა მუხლისა გავრცელებულ იქნეს იმ პირებზედაც, ვინც უკვე მოიხადა გადამწყვეტი სასჯელი დღემდე ამ დადგენილების მიღებისა.

6) ამა დადგენილების ძალით სასჯელისაგან განთავისუფლება არ ანთავისუფლებს დამნაშავეს ზიანის და ზარალის ანაზღაურებისაგან, პატენტთსავაჭრო და სამრეწველო მოწმობის ღირებულებისა, ხვედრი აქციზის ან სხვა გადასახადის შეტანისა და სახელმწიფო ხაზინის მიერ გაწეული სასამართლოს ხარჯის ანაზღაურებისაგნ, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნივთების და საგნების ჩამორთმევისა ან მათის ღირებულების გადახდევინებისაგან და ყველა

იმის გასწორების ან მოსპობის ვალდებულებისაგან, რაც ჩადენილია კანონის მოთხოვნილების წინააღმდეგ.

7) უკეთუ ვისმე სასჯელი უნდა დაედოს დანაშაულობათა გაერთიანებისა და სასჯელთა შეერთების წესის მიხედვით, ისეთ მოქმედებისათვის, რომელთაგან ზოგს ეხება ეს დადგენილება, ზოგს კი არა, დადგენილება ესე გავრცელებულ უნდა იქნეს მხოლოდ პირველზე, რის შემდეგ სასჯელის საერთო ვადა განისაზღვრება შეერთების და გაერთიანების წესის მიხედვით.

8) განთავისუფლებულ იქნეს საკატორღო მუშაობისაგან, ვინც დასჯილია ან უნდა დაისაჯოს ბოროტ-მოქმედებისათვის, რომელიც ჩადენილია ამა დადგენილების მიღების დღემდე არა სრულ წლოვანთაგან 18 წლის შესრულებამდე. ასეთებს კატორღა შეეცვალოს სატუსაღოში დაპატიმრებით და ვადა გაუნახევრდეს.

9) ვინც გაიქცა იმ ადგილიდან, სადაც დამწყვდეული იყო, არ დაისჯება გაქცევისთვის უკეთუ ამა წლის მარტის 12-მდე თავისის ნებით დაბრუნდება დამწყვდევის ადგილას, ან გამოცხადდება მთავრობის დაწესებულებაში თავის საცხოვრებელ ადგილას, მხოლოდ დაბრუნებულ იქნება იმ მდგომარეობაში, რომელშიაც გაქცევამდე იმყოფებოდა, ჩაერიცხება მისთვის განსაზღვრული სასჯელის ვადის ის ნაწილი, რომელიც უკვე მოხდილი ჰქონდა გაქცევამდე, და ამა დადგენილებით ბოძებული შეღავათიც მიეცემა.

10) მოქმედება ამა დადგენილებისა ვრცელდება აგრეთვე იმ პირებზე ვისაც წინად ებოძა ხვედრის შემსუბუქება, იმ პირობით კი, რომ ამა დადგენილებით ბოძებულ შეღავათის განსაზღვრის დროს საფუძვლად უნდა მიღებულ იქნეს სასჯელის ვადა, დანიშნული უკანასკნელად ბოძებული შეღავათით.

11) ვინც დღემდე ამა დადგენილების მიღებისა მოიხადა სასჯელი, განთავისუფლებულ იქნეს სასჯელთა დებულების 58^1 58^2 და 58^3 მუხლებში და სისხლის სამართლის წესდების 34 მუხ. აღნიშნულ შედეგებისაგან.

12) განთავისუფლებულ იქნეს დაპატიმრებისაგან და ფულით დაჯარიმებისაგან ის, ვისაც სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის აქვს ეს დაპატიმრება და ჯარიმა გადაწყვეტილი ადმინისტრატიული წესით.

13) ამა დადგენილებაში აღნიშნული ზომების განხორციელება მიენდოს სათანადო სასამართლო დაწესებულებათ, უკეთუ განაჩენი ჯერ დადგენილი არ არის ან კანონიერ ძალაში არ არის შესული, ან შესასრულებლად არ არის მიმართული, მხოლოდ დანარჩენ შემთხვევაში საპროკურორო ზედამხედველობას რევოლუციონური ტრიბუნალების საგანგებო და სამხედრო საგანგებო სასამართლოების მიერ გარჩეული საქმეები გარჩეულ იქნეს ოლქის სასამართლოებში კუთვნილებისამებრ.

14) ამა დადგენილების განხორციელებით გამოწვეული ყოველი საეჭვო საკითხი, აგრეთვე შუამდგომლობანი სასჯელისაგან განთავისუფლების და უფლების აღდგენის შესახებ გადაწყვეტილ იქნეს სათანადო სასამართლო დაწესებულებათა მიერ სასამართლოს სხდომაზე.

15) ვინც გამოძიებაში ან სამართალშია მიცემული და ამ დადგენილების ძალია, უნდა განთავისუფლებულ იქნეს სამართლისა და სასჯელისაგან, თუ მოისურვებს სასამართლოს წინაშე გამართლებას, შეუძლია ორი კვირის განმავლობაში დღიდან სასამართლო დაწესებულების დადგენილების გამოცხადებისა საქმის წარმოების მოსპობის შესახებ იშუამდგომლოს გამოძიების და სამართლის განახლებისათვის, აგრეთვე ვისაც ამ დადგენილების დღემდე ჩადენილ საქმისათვის შემდეგში მოუწევს ამა დადგენილების ძალით გამოძიებისა და სამართლისაგან განთავისუფლება და არ მოისურვებს ამით ისარგებლოს შეუძლია ამ ხნის განმავლობაში ითხოვოს თავის საქმის დაბოლოვება მიღებული წესით უკეთუ ასეთი პირნი გამტყუნებულ იქნებიან, მათზე არ გავრცელდება ეს დადგენილება.

16) ამა დადგენილებით მიღებული შეღავათი არ გავრცელდება იმათზე ვინც სპეკულაციისათვის პასუხისგებაშია მიცემული, ან სასჯელი აქვს გადაწყვეტილი (1918 წ. სექტემბრის 17-ს კანონი სპეკულაციასთან ბრძოლისა მ. 1—7), აგრეთვე იმაზე ვისაც სასჯელი აქვს გადაწყვეტილი ან შემდეგში იქნება გასამართლებული ამა დადგენილების მიღების დღემდე ანგარების მიზნით ჩადენილ თანამდებობის დანაშაულობისათვის.

17) განთავისუფლებულ იქნეს სამართლისა, სასჯელისა და

ყოველ ამის შედეგებისაგან ის პირი, რომელსაც დღემდე ამა დადგენილების მიღების ჩაუდენია დანაშაული, გათვალისწინებული 1919 წ. ივნისის 27-ს „ჯარნაწილებიდან გაქცევისა და ნება-დაურთველად წასვლისათვის“ და 1919 აგვისტოს 2-ს „სამხედრო ბეგარის აუსრულებლობისა და ამ დანაშაულის დაფარვისა და წაქეზებისა“ დასჯის დეკრეტებით,

ამ მუხლის ძალა არ ვრცელდება იმ სამხედრო ვალდებულებებზე, რომელნიც სულ არ გამოცხადებულან სამხედრო ბეგრის მოსახდელად, ან ნება დაურთველად წასულან დღემდე ამა დადგენილების მიღებისა, უკეთუ ისინი თავის ნებით არ გამოცხადდებიან სამსახურში ან ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენელთან ამა წლის მარტის 12-მდე.

18) მიენდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუყოვნებლივ შეამსუბუქოს ხვედრი იმ პირთა, რომელნიც დაპატიმრებულნი არიან 1919 წლ. 21 ნოემბერს „ანარქიის საწინააღმდეგო ზოგიერთ ზომების“ დეკრეტის ძალით.

19) დადგენილება ესე სისრულეში მოყვანილ იქნეს დეპეშით.

საქართველოს კონსტიტუცია

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ
1921 წლის 21 თებერვალს

თავი 1

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო.

მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

მუხლი 2.

საქართველოს დედა ქალაქი არის ტფილისი.

მუხლი 3.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.

მუხლი 4.

საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის — შვიწდის ფერი ალამი შავი და თეთრი ზოლითა.

საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით.

მუხლი 5.

ყოველ კანონსა და სავალდებულო დადგენილებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, უკეთუ გამოცხადებულია საათანადო წესით.

მ უ ხ ლ ი 6.

სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელია.

სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოება ან სადავო საზღვრების შესწორება შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

ა უ ხ ლ ი 7.

ადმინისტრაციული დაყოფა და თვითმართველ ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა სწარმოებს მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

მ უ ხ ლ ი 8.

კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედა აზრის წინააღმდეგია.

კონსტიტუციის შესრულება და მისი პრინციპების განხორციელება კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების მოვალეობას შეადგენს.

მ უ ხ ლ ი 9.

კონსტიტუციის მიღებამდე გამოცემული და გამოქვეყნებული კანონი და დეკრეტი ძალაში რჩება, უკეთუ კონსტიტუციასა და მის პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.

მ უ ხ ლ ი 10.

ეს კონსტიტუცია ძალაშია მუდმივ და შეუწყვეტლივ. იმ შემთხვევის გარდა, რომელიც ამავე კონსტიტუციას აქვს გათვალისწინებული.

მ უ ხ ლ ი 11.

დამტკიცებისა და მიღების შემდეგ კონსტიტუციას აქვეყნებს დამფუძნებელი კრება თავის წევრთა ხელმოწერით.

თავი 2.

მოქალაქეობა

მუხლი 12.

საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება წარმოშობით, ქორწინებით და ნატურალიზაციით.

მუხლი 13.

საქართველოს მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს სხვა სახელმწიფოს მოქალაქედ.

მუხლი 14.

საქართველოს მოქალაქეს შეუძლია უარი განაცხადოს საქართველოს მოქალაქეობაზე მხოლოდ თავის სახელმწიფოებრივ მოვალეობის შესრულების შემდეგ.

მუხლი 15.

მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის პირობებს დაწვრილებით კანონი განსაზღვრავს.

თავი 3.

მოქალაქის უფლებანი

მუხლი 16.

მოქალაქენი კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან.

მუხლი 17.

წოდებრივი განსხვავება არ არსებობს.

მუხლი 18.

ხარისხის მინიჭება გარდა აკადემიურისა აკრძალულია.

ორდენი გაუქმებულია.

საომარ მოქმედების დროს თავის გამოჩენისათვის შეიძლება მიეცეს წარჩინების ნიშანი.

მუხლი 19.

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

მ უ ხ ლ ი 20.

არ შეიძლება დასჯილ იქნეს ვინმე სხვაფრივ, თუ არ სასამართლოს წესით; გამონაკლისია კანონით განსაზღვრული დისციპლინარული წესი.

მ უ ხ ლ ი 21.

ყოველი მოქალაქე გასამართლებულ უნდა იქნეს საერთო წესით.

მ უ ხ ლ ი 22.

პიროვნება ხელშეუხებელია; არ შეიძლება შეპყრობილ ან სხვაფრივ თავისუფლებას მოკლებულ და პირადად გაჩხრეკილ იქნეს ვინმე, თუ არ სასამართლოს ან საგამომძიებლო ორგანოს დასაბუთებული ბრძანების ძალით.

მ უ ხ ლ ი 23.

ადმინისტრაციას შეუძლია თვისი უფლებით შეიპყროს ვინმე შემდეგ შემთხვევაში:

ა) როცა ბოროტმოქმედს ზედ დანაშაულის ადგილას მიასწრებს;

ბ) როცა დაწაშაულის ადგილას დაზარალებული, ან დამსწრე ვინმე ბოროტმოქმედს ხელს დაადებს.

გ) როცა მას, ვიზედაც ეჭვია მიტანილი, რაიმე გასამტყუნებელი ნივთი აღმოაჩნდება, ან როცა მის ტანზე, ან მის ბინაზე დანაშაულის აშკარა ნიშანი და კვალი აღმოჩნდება.

მ უ ხ ლ ი 24.

დამნაშავის დაკავება შეუძლია კერძო პირსაც, თუ დანაშაულის ადგილას მიასწრებს და ამასთანავე ადმინისტრაციის მისვლამდის მისი მიმალვა მოსალოდნელია.

მ უ ხ ლ ი 25.

როგორც სასამართლოს ორგანოთა, ისე ადმინისტრაციის ბრძანებით შეპყრობილი, 24 საათის განმავლობაში უახლოეს სასამართლოში უნდა იქნეს წარდგენილი; თუ სასამართლო ისეა დაშორებული, რომ 24 საათში დამნაშავის წარდგენა შეუძლებელია, ეს ვადა განგრძობილ უნდა იქნეს ადგილობრივ გარემოების მიხედვით, მხოლოდ არა უმეტეს 48 საათისა.

უ ხ ლ ი 26.

სასამართლო ვალდებულია წარდგენილ პირს დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 24 საათისა, დაკითხოს; ხოლო შემდეგ წერილობითი, ბრძანება გასცეს ან მისი შეპყრობის განგრძობისა, ან დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის.

მ უ ხ ლ ი 27.

სასამართლოს სათანადო ორგანოები ვალდებულნი არიან, უკეთუ რაიმე გზითა და საშვალებით ემცნოთ, რომ ვინმე ზემოაღნიშნულ წესთა დარღვევითაა შეპყრობილი, დაუყოვნებლივ გამოიძიონ საქმე და წერილობითი ბრძანება გასცენ ან მისი განთავისუფლებისა ან შეპყრობის განგრძობისა.

მ უ ხ ლ ი 28.

ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია: მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება მისი გაჩხრეკა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მ უ ხ ლ ი 29.

კერძო მიწერ-მოწერა ხელშეუხებელია; მისი ამოხმა და გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

მ უ ხ ლ ი 30.

ყოველი მოქალაქე მიმოსვლასა და ბინადრობის არჩევაში სრულიად თავისუფალია; ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება.

მ უ ხ ლ ი 31.

ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს.

მოქალაქის დევნა და მის პოლიტიკურ თუ სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება. ყველას შეუძლია აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც სურს, ან სარწმუნოება გამოიცვალოს, ან და არც ერთ კულტს არ ეკუთვნოდეს.

სარწმუნოებისა და რწმენის ზომიზეზებით მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მოგალეობის ასრულებაზე უარის თქმა არავის შეუძლია, გარდა იმ შემთხვევისა,

რომელიც ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

სარწმუნოებრივი ხასიათის აქტებს არავითარი გავლენა არა აქვს მოქალაქეობრივ უფლებასა და მდგომარეობაზე.

ძ უ ხ ლ ი 32.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას, და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

ᲜᲣ ᲮᲚᲘ 33.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ უფლება აქვთ მთავრობის ნებადაურთველად შეიკრიბნენ საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

მ უ ხ ლ ი 34.

თუ კრებამ დანაშაულის ხასიათი მიიღო, ადმინისტრაციას შეუძლია დახუროს იგი.

მ უ ხ ლ ი 35.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად დააარსონ საპროფესიო და სხვა ყოველგვარი კავშირი, თუ მისი მიზანი კანონით არ არის აკრძალული; კავშირის გაუქმება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება.

მ უ ხ ლ ი 36.

გონებრივი, სავაჭრო და სამეურნეო-სამრეწველო, პროფესიის თავისუფალი განვითარება უზრუნველყოფილია რესპუბლიკის კანონებით.

მ უ ხ ლ ი 37.

პირადი და კოლექტიური ბეტიციის უფლება უზრუნველყოფილია.

მ უ ხ ლ ი 38.

მუშათა გაფიცვა თავისუფალია.

ᲛᲣ ᲮᲚᲘ 39.

ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია როგორც პოლიტიკურ ისე სამოქალაქო, ეკონომიურ და საოჯახო უფლებით.

მ უ ხ ლ ი 40.

ქორწინება ემყარება უფლებრივ თანასწორობასა და ნებასყოფლობას; ქორწინების ფორმასა და წესებს კანონი განსაზღვრავს.

ქორწინების გარეშე და ქორწინებაში შობილი უფლებითა და მოვალეობით თანასწორნი არიან. დედას უფლება აქვს იძიოს და დაამტკიცოს, ვინ არის მამა მის მიერ ქორწინების გარეშე შობილისა: აგრეთვე ქორწინების გარეშე შობილს უფლება აქვს იძიოს თავისი მამა.

მ უ ხ ლ ი 41.

პოლიტიკური დევნილი რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოხიზნული, სხვა სახელმწიფოს არ გადაეცემა.

მ უ ხ ლ ი 42.

მოქალაქის უფლებათა დარღვევისათვის, როგორც თანამდებობის, ისე კერძო პირი მიეცემა პასუხისგებაში. სისხლის სამართლის კანონების თანახმად.

მ უ ხ ლ ი 43.

ამბოხებისა ან ომის დროს, პარლამენტს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს მთელს რესპუბლიკაში, ან რომელსამე მის ნაწილში იმ უფლებათა გარანტია, რომელიც აღნიშნულია შემდეგ მუხლებში: 19, 22, 25, 26, 27, 28, 29, 30, 32, 33 და 38, ომის დროს კი 21 მუხლში აღნიშნული გარანტიაც იმ პირობით, რომ სამხედრო სამართალში მიცემა შესაძლებელია მხოლოდ მომქმედი ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე.

თუ პარლამენტი შეკრებილი არ არის, მთავრობას შეუძლია თავის პასუხისმგებლობით შეაჩეროს ზემოაღნიშნულ გარანტიათა მოქმედება. მხოლოდ დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს პარლამენტი და თავის დადგენილება წარუდგინოს.

მ უ ხ ლ ი 44.

დიდი ეპიდემიის დროს მთავრობას უფლება აქვს შეაჩეროს დროებით მე-22, 25, 26 და 30 მუხლებში აღნიშნულ უფლებათა გარანტია, რამდენადაც ამას ეპიდემიასთან ბრძოლა მოითხოვს.

მ უ ხ ლ ი 45.

კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარანტია და უფლება არ უარყოფს სხვა გარანტიასა და უფლებას, რომელიც იქ არ არის მოხსენებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის მიერ აღიარებული პრინციპებისაგან.

თ ა ვ ი 4.

პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი

მ უ ხ ლ ი 46.

საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი", რომელიც შესდგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისაებრ არჩეულ დეპუტატებისაგან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს სქესის განურჩევლად ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს, რომელსაც ოცი წელი შესრულებია.

პარლამენტი აირჩევა სამი წლის ვადით.

მ უ ხ ლ ი 47.

პარლამენტის არჩევნების წესს განსაზღვრავს ცალკე კანონი.

მ უ ხ ლ ი 48.

პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა იმ აზრისა და შეხედულებისათვის, რომელსაც გამოსთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროს.

პარლამენტის წევრის პიროვნება ხელშეუხებელია; არ შეიძლება შეპყრობილ ან სამართალში მიცემულ იქნეს იგი, ვიდრე პარლამენტის წევრად ითვლება, თუ თვით პარლამენტმა ამის ნება არ დართო, გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა დანაშაულის ჩადენაზე მიასწრებენ.

ეს შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს;

შეპყრობილი ან სამართალში მიცემული პარლამენ-

ტის წევრი განთავისუფლებულ უნდა იქნეს, თუ პარლამენტი ამას მოითხოვს.

მ უ ხ ლ ი 49.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტების გამო, რომელიც მას გაანდვეს, როგორც დეპუტატს, ეს უფლება არ ეკარგება მაშინაც, როცა დეპუტატად აღარ ითვლება.

მ უ ხ ლ ი 50.

პარლამენტის წევრებს მიეცემათ კანონით განსაზღვრული გასამრჯელო.

მ უ ხ ლ ი 51.

პარლამენტის წევრობისა, მოხელეობისა და პროფესიის შეუთავსებლობის საკითხს განსაზღვრავს კანონი.

მ უ ხ ლ ი 52.

ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს, პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას.

მ უ ხ ლ ი 53.

პარლამენტი გამოსცემს კანონსა, დეკრეტსა და დადგენილებას; მათი გამოქვეყნების წესი ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

მ უ ხ ლ ი 54.

პარლამენტის უფლებაა:

ა) კანონმდებლობა;

ბ) უმაღლესი გამგებლობა რესპუბლიკის ჯარისა და საზოგადოდ ყოველი შეიარაღებული ძალისა;

გ) ომის გამოცხადება;

დ) დამტკიცება საზავო, საგაჭრო და ამგვარ ხელშეკრულებისა უცხო სახელმწიფოებთან;

ე) ამნისტია;

ვ) ბიუჯეტის დამტკიცება;

ზ) საშინაო და საგარეო სესხის აღება;

ც) თანამდებობის პირთა არჩევა, კონსტიტუციით ან კანონით მისდა მიკუთვნებული, და

თ) საერთო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლებისა.

მ უ ხ ლ ი 55.

პარლამენტის სხდომა საჯაროა; მაგრამ პარლამენტს შეუძლია განსაკუთრებული დადგენილებით თავის სხდომა, ან ნაწილი სხდომისა ფარულად გამოაცხადოს.

მ უ ხ ლ ი 56.

პარლამენტი თვითონ გაარჩევს თავის წევრთა არჩევნების კანონიერებას და გადასწყვეტს ყოველსავე დავას ამ საგანზე.

მ უ ხ ლ ი 57.

პარლამენტი ყოველ საკითხს სწყვეტს ხმის მარტივი უმრავლესობით, თუ რეგლამენტით ან კანონით სხვა წესი არ არის მიღებული.

მ უ ხ ლ ი 58.

პარლამენტის გახსნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ დეპუტატთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი გამოცხადდა.

მ უ ხ ლ ი 59.

პარლამენტის წევრთ უფლება აქვთ მთავრობის მიმართ შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა. წესი შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა განისაზღვრება კანონით ან რეგლამენტით.

პარლამენტს უფლება აქვს დანიშნოს საგამომძიებლო საანკეტო კომისია.

მ უ ხ ლ ი 60.

პარლამენტი თვითონ განსაზღვრავს რეგლამენტს და თავის მოქმედების წესს.

მ უ ხ ლ ი 61.

პარლამენტი იკრიბება ყოველწლიურ ნოემბრის პირველ კვირა დღეს. ახალი პარლამენტის არჩევნები ინიშნება შემოდგომაზე, ერთსა და იმავე დროს მთელს რესპუბლიკაში, იმ ვარაუდით, რომ ახლად არჩეული დეპუტატები დაესწრნენ პარლამენტის გახსნას.

მ უ ხ ლ ი 62.

პარლამენტის მუშაობის დროებით შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით.

როცა პარლამენტის მუშაობა შეწყვეტილია, მისი

მოწვევის უფლება განსაკუთრებულ შემთხვევისათვის აქვს მთავრობას, ან პარლამენტის პრეზიდიუმს.

პარლამენტის შეკრება სავალდებულოა, თუ ამას დეპუტატთა ერთი მეოთხედი მოითხოვს.

მ უ ხ ლ ი 63.

ინიციატივის უფლება ეკუთვნის:

ა) პარლამენტის ყოველ წევრს, და

ბ) 5.000 ამომრჩეველს.

მ უ ხ ლ ი 64.

თუ ოცდაათი ათასმა ამომრჩეველმა წერილობით მოითხოვა, პარლამენტი ვალდებულია ახლად მიღებული კანონი სარეფერენდუმოთ ხალხს წარუდგინოს.

რეფერენდუმის წესს განსაზღვრავს კანონი.

მ უ ხ ლ ი 65.

პარლამენტი ყოველწლივ ირჩევს პრეზიდიუმს.

თ ა ვ ი 5.

აღმასრულებელი ხელისუფლება

მ უ ხ ლ ი 66.

უმაღლესი მართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას.

მ უ ხ ლ ი 67.

მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს პარლამენტი ერთი წლის ვადით. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედი ზედ მხოლოდ ორჯერ.

მ უ ხ ლ ი 68.

მთავრობის დანარჩენ წევრებს — მინისტრებს იწვევს მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ.

მ უ ხ ლ ი 69.

მთავრობის წევრს არ შეუძლია იმავე დროს რაიმე სხვა თანამდებობა ეჭიროს, ან რომელსამე პროფესიას მისდევდეს; შეუძლია იყოს მხოლოდ პარლამენტის წევრი და ადგილობრივი თვითმმართველობის ხმოსანი.

მ უ ხ ლ ი 70.

მთავრობის თავმჯდომარეს ენიჭება რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა; იგი ნიშნავს ელჩებს სხვა სახელმწიფოებში და უცხოეთის ელჩები წარმოიგზავნებიან მასთან.

განსაკუთრებულ გარემოებაში, უკეთუ მთავრობის დადგენილების გამოტანა დაბრკოლებულია თავმჯდომარეს შეუძლია გამოიწვიოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა, რაც დაუყოვნებლივ უნდა მოხსენდეს პარლამენტს.

თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებასა და განკარგულებას კანონის აღსრულებისათვის, მაგრამ უფლება არა აქვს კანონის მოქმედება შეაჩეროს, ან მისი შესრულება დააბრკოლოს.

მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს თავის განკარგულებით დანიშნოს რევიზია მართველობის ამა თუ იმ დარგისა, ადგილის ან მოვლენისა კანონში აღნიშნულ წესისაებრ.

თავმჯდომარეს არა აქვს არავითარი განსაკუთრებული უფლება, იმის გარდა რაც, ამ კონსტიტუციით არის მისდა მიკუთვნებული.

მ უ ხ ლ ი 71.

მთავრობის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელიც ასრულებს მის მოვალეობას მთავრობაში.

მ უ ხ ლ ი 72.

მთავრობის საერთო უფლება და მოვალეობაა:

ა) რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა, თანახმად კანონისა;

ბ) თვალ-ყურის დევნა და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონებისა;

გ) წარდგენა პარლამენტის წინაშე თავის კანონპროექტისა, აგრეთვე დასკვნისა იმ კანონპროექტის შესახებ, რომელიც პარლამენტისა ან ხალხის ინიციატივით არის შემოსული;

დ) დაცვა რესპუბლიკის საგარეო ინტერესებისა.

ე) უზრუნველყოფა რესპუბლიკისა გარეშე განსაცდელისაგან და დაცვა მისი დამოუკიდებლობისა;

ვ) ზრუნვა შინაური წესიერებისა და უშიშროების დაცვისათვის.

მოულოდნელ შემთხვევაში, თუ საჭიროებამ მოითხოვა, მთავრობას უფლება აქვს თავის დადგენილებით გამოიყვანოს შეიარაღებული ძალა, ვადით არა უმეტეს 21 დღისა. უკეთუ მეტის ვადით დასჭირდა, პარლამენტისაგან უნდა მიიღოს ნებართვა.

ზ) განაგოს ფინანსები, სჭრას ფული თანახმად კანონისა, და ყოველ წლივ წარუდგინოს პარლამენტს შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა ბიუჯეტი;

ც) ანგარიში აძლიოს პარლამენტს თავის მოქმედებისა და წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგინოს მოხსენება საქართველოს შინაგან და საგარეო მდგომარეობის შესახებ; წარუდგინოს აგრეთვე განსაკუთრებული მოხსენება, უკეთუ პარლამენტმა მოითხოვა, და

თ) შეასრულოს ყოველივე, რაც კანონს ან პარლამენტს მისთვის დაუვალებია.

მ უ ხ ლ ი 73.

რესპუბლიკის დანარჩენ საქმეთა მართვა-გამგეობა განაწილებულია მთავრობის წევრთა შორის. თვითეული მათგანი დამოუკიდებლად და პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით განაგებს მისთვის მინდობილ უწყებას და უნდა გადადგეს, როცა პარლამენტის პირდაპირი დადგენილებით დაჰკარგავს მის ნდობას.

მინისტრს უფლება აქვს პარლამენტში ხმის მიცემისა მხოლოდ მაშინ, როცა დეპუტატად ირიცხება.

მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის, ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებას და აასრულოს იგი და ამის მიხედვით, თუ საჭიროა გამოსცვალოს ცალკე მინისტრი ან გარდაქმნას მთელი კაბინეტი.

მ უ ხ ლ ი 74.

მთავრობის ყოველ წევრს უფლება აქვს პარლამენტისა და მისი კომისიის სხდომას დაესწროს. თუ მინისტრმა მოითხოვა, პარლამენტი და მისი კომისია ვალდებულია მოუსმინოს, თავის მხრით პარლამენტისა და

კომისიის მოთხოვნით მინისტრიც გალდებულია სხდომაზე გამოცხადდეს და ახსნა-განმარტება მისცეს.

მ უ ხ ლ ი 75.

კონსტიტუციის დარღვევისათვის მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები პასუხისმგებელი არიან სასამართლოს წინაშე. მათი პასუხისგებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ პარლამენტს. მათი გასამართლება საერთო წესით სწარმოებს.

I თ ა ვ ი 6.

სასამართლო

მ უ ხ ლ ი 76.

საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო — სენატი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი. სენატი მოვალეა:

ა) თვალყური ადევნოს კანონის დაცვას, და

ბ) განაგოს სასამართლო ნაწილი, როგორც საკასაციო სასამართლომ.

მ უ ხ ლ ი 77.

სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრატიული სამართლის საქმეთა საწარმოებლად არსებობს მუდმივი სასამართლოები.

სასამართლოს ორგანიზაცია, იურისდიქცია და კომპეტენცია განისაზღვრება კანონით.

მ უ ხ ლ ი 78.

სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება.

მართლმსაჯულება სწარმოებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით.

მ უ ხ ლ ი 79.

სასამართლოს არც ერთი განაჩენი არ შეიძლება გაუქმებულ, შეცვლილ, ან შეჩერებულ იქნებ კანონმდებელი, აღმასრულებელი ან ადმინისტრატიული ორგანოს მიერ.

მ უ ხ ლ ი 80.

სასამართლოს სხდომა საჯაროა; მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს ზნეობისა და საზოგადო მშვიდობიანობის დაცვის ინტერესი, სხდომა შეიძლება კარდახურულ იქნეს თვით სასამართლოს დადგენილებით.

მ უ ხ ლ ი 81.

მძიმე სისხლის სამართლის, და აგრეთვე, პოლიტიკურის და ბეჭდვითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

მ უ ხ ლ ი 82.

მოსამართლე აირჩევა ვადით. არჩევის წესი და პირობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მსაჯული, კანონით განისაზღვრება.

მ უ ხ ლ ი 83.

არ შეიძლება სასამართლოს წევრის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა მისი სურვილის წინააღმდეგ, გარეშე სასამართლოს დადგენილებისა.

თანამდებობიდან მისი დროებით გადაყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სამართალში ან გამოძიებაში არის მიცემული.

სრულიად დათხოვნა — კი შეიძლება სასამართლოს განაჩენის ძალით.

თ ა ვ ი 7.

სახელმწიფო. ფინანსები

მ უ ხ ლ ი 84.

არცერთი სახელმწიფო გადასახადი არ შეიძლება დაწესებულ ან გაუქმებულ იქნეს, თუ წინასწარ პარლამენტის მიერ არ იქნა დადასტურებული.

შენიშვნა: ადგილობრივი თვითმართველობის გადასახადთა დაწესების უფლებას ცალკე კანონი განსაზღვრავს.

მ უ ხ ლ ი 85.

სახელმწიფო გადასახადისაგან ვერავინ განთავისუფლდება, თუ არ კანონის ძალით.

მ უ ხ ლ ი 86.

თუ არ კანონის ძალით არავითარი პენსია, ჯილდო და საზოგადოთ ხარჯი არ შეიძლება გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან.

მ უ ხ ლ ი 87.

პარლამენტის ნებადაურთველად არ შეიძლება აღებულ იქნეს სახელმწიფო სესხი და ან რაიმე ფინანსიური ვალდებულება.

მ უ ხ ლ ი 88.

სახელმწიფოს ყოველი შემოსავალ-გასავალი ბიუჯეტში უნდა იქნეს აღნიშნული. ბიუჯეტი ყოველწლივ უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

მ უ ხ ლ ი 89.

თუ ბიუჯეტის დამტკიცება პარლამენტმა ვერ მოასწრო საანგარიშო წლის დამდეგამდე, მთავრობას უფლება ეძლევა სახელმწიფო ხარჯები ახალი ბიუჯეტის დამტკიცებამდე წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით დაჰფაროს პარლამენტის ნებართვით.

მ უ ხ ლ ი 90.

ხარჯის გადატანა ბიუჯეტის ერთი პარაგრაფიდან მეორეში არ შეიძლება პარლამენტის ნებადაურთველად.

I თ ა ვ ი 8.

სახელმწიფო კონტროლი

მ უ ხ ლ ი 91.

სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის სისწორით ასრულება;

ბ) სახელმწიფოს ყოველნაირი შემოსავალი და გასავალი;

გ) მთავრობის და სხვა და სხვა უწყების ხარჯთაღრიცხვა და ანგარიში, და

დ) ადგილობრივი თვითმართველობის ფინანსები კანონის თანახმად.

მ უ ხ ლ ი 92.

სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს პარლამენტი; იგი არ ითვლება მინისტრთა კაბინეტის წევრად, მაგრამ აღჭურვილია მინისტრის უფლებით და პასუხის მგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე. იგი ყოველწლიურად ანგარიშს უდგენს პარლამენტს.

მ უ ხ ლ ი 93.

კონტროლის ორგანიზაცია და მოქმედების წესი განსაზღვრულია კანონით.

თ ა ვ ი 9.

სახელმწიფო თავდაცვა

მ უ ხ ლ ი 94.

ყოველი მოქალაქე რესპუბლიკისა ვალდებულია პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა კანონის თანახმად.

მ უ ხ ლ ი 95.

სამხედრო ძალთა დანიშნულება არის დაცვა რესპუბლიკისა და მისი ტერიტორიისა.

მ უ ხ ლ ი 96.

სამხედრო ბეგარის ვადა და სამხედრო ძალთა ყოველი მოწყობის წესი განისაზღვრება კანონით.

მ უ ხ ლ ი 97.

სამხედრო ბეგარის მოსახდელად გასაწვევ ახალგაზრდათა რაოდენობას ყოველწლივ პარლამენტი ამტკიცებს.

თ ა ვ ი 10.

ადგილობრივი თვითმართველობა

მ უ ხ ლ ი 98.

ადგილობრივი თვითმართველობა არის იმავე დროს ორგანო ადგილობრივი მართველობისა და განაგებს ადგილობრივ გამგეობის კულტურულ განმანათლებელ

და სამეურნეო საქმეებს თავის ტერიტორიის ფარგლებში.

მ უ ხ ლ ი 99.

ადგილობრივი თვითმართველობის ორგანიზაცია, უფლება-მოვალეობა და მართვა-გამგეობის წესი განისაზღვრება კანონით.

მ უ ხ ლ ი 100.

ადგილობრივ თვითმართველობას უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება თანახმად კანონისა.

მ უ ხ ლ ი 101.

ადგილობრივი თვითმართველობა ირჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით.

მ უ ხ ლ ი 102.

ადგილობრივ თვითმართველობის დადგენილება და განკარგულება შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს წესით.

მ უ ხ ლ ი 103.

მთავრობის ცენტრალ ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ ადგილობრივი თვითმართველობის დადგენილება და განკარგულება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ხოლო ვალდებულნი არიან საქმე დაუყოვნებლივ სასამართლოს გადასცენ. წესი და პირობა შეჩერებისა განისაზღვრება კანონით.

მ უ ხ ლ ი 104.

ადგილობრივი თვითმართველობა მართვა-გამგეობის საქმეში ემორჩილება მთავრობის ცენტრალ ორგანოებს.

მ უ ხ ლ ი 105.

იმ საგნებს, რომლის შესახებაც ადგილობრივი თვითმართველობის დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნეს ცენტრალ ხელისუფლების მიერ, განსაზღვრავს კანონი.

მ უ ხ ლ ი 106.

ადგილობრივ თვითმართველობას ენიჭება საბიუჯეტო უფლება, ცალკე კანონით განსაზღვრული.

თ ა ვ ი 11.

ავტონომიური მმართველობა

მ უ ხ ლ ი 107.

საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს — აფხაზეთს სოხუმის ოლქი, სამუსლიმანო საქართველოს (ბათომის მხარე) და ზაქათალას ზაქათალის ოლქი, ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა.

მ უ ხ ლ ი 108.

წინა მუხლში მოხსენებულ ავტონომიურ მმართველობათა დებულებანი შემუშავებულ იქნება ცალკე კანონით.

თ ა ვ ი 12.

სწავლა-განათლება და სკოლა

მ უ ხ ლ ი 109.

ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია: სახელმწიფოს მოვალეობაა მფარველობა გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.

მ უ ხ ლ ი 110

პირველდაწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა. საზოგადო სკოლების სისტემა ერთს ორგანიულ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც პირველდაწყებითი სკოლა საფუძველია საშვალო და უმაღლესი სკოლისა.

სწავლა-განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საეროა.

მ უ ხ ლ ი 111.

სახელმწიფო მიზნად ისახავს: პირველდაწყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, ჩასაცმელ-დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცეს. ამ მიზნის განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობ-

რივი თვითმართველობანი თავის შემოსავლის ერთ ნაწილს გადასდებენ ყოველ წლიურად.

მ უ ხ ლ ი 112.

კერძო თაოსნობით დაარსებული სკოლა ემორჩილება საერთო სასკოლო კანონს.

თ ა ვ ი 13.

სოციალ-ეკონომიური უფლებანი

მ უ ხ ლ ი 113.

რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის.

მ უ ხ ლ ი 114.

საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესით. ჩამორთმეულ ქონებაში მიეცემა სათანადო საფასური თუ კანონში სხვა გვარად არ არის განსაზღვრული.

მ უ ხ ლ ი 115.

რესპუბლიკას აქვს საკუთარი სააღებ-მიმცემო და სამრეწველო მეურნეობა, რომლის გაფართოვება და ერთი მთლიანი საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნა მისი მთავარი მიზანია.

რესპუბლიკა ხელს უწყობს ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოთა ასეთსავე მეურნეობის გაფართოვებას და გაძლიერებას.

რესპუბლიკას შეუძლია კანონმდებლობის გზით გაასაზოგადოოს ის სავაჭრო-სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დარგი და წარმოება, რომელიც ამისთვის გამოსადეგია.

მ უ ხ ლ ი 116.

წვრილი მწარმოებლის — სოფლის მეურნის, ხელოსანის, შინამრეწველის — შრომის ნაყოფის დაცვა კერ-

ძო პირთა ექსპლოატაციისაგან სახელმწიფოს განსაკუთრებული საზრუნავი საგანია.

რესპუბლიკის განსაკუთრებული საზრუნავია აგრეთვე სოფლის მეურნეობის აყვავება, მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე.

მ უ ხ ლ ი 117.

შრომა საფუძველია რესპუბლიკის არსებობისა და მისი უზრუნველყოფა რესპუბლიკის განსაკუთრებული მოვალეობაა.

მ უ ხ ლ ი 118.

რესპუბლიკის კანონმდებლობით ადგილობრივ თვითმმართველობას ევალება დააარსოს შრომის ბირჟა, საშვამავლო კანტორა და სხვა ამგვარი დაწესებულება, რომელიც აღნუსხავს უმუშევართ და შუამავლობას გაუწევს სამუშაოს შოვნაში.

ასეთ დაწესებულების ხელმძღვანელ ორგანოში მუშათა კავშირის წარმომადგენელთა რიცხვი ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მ უ ხ ლ ი 119.

უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს მიეცემა დახმარება სამუშაოს აღმოჩენით ან დაზღვევის სახით.

მ უ ხ ლ ი 120.

მოხუცებულობით, დაავადებით თუ სხვა მიზეზით შრომის უნარს მოკლებული მოქალაქე, რომლისთვისაც ზრუნვა კანონით ან ჩვეულებით დავალებული არა აქვს მემკვიდრეს, მზრუნველს, მწარმოებელს ან სხვა კერძოსა თუ საზოგადოებრივ დაწესებულებას, და რომელსაც არსებობის სახსარი არ მოეპოვება, მიიღებს დახმარებას სახელმწიფო ხაზინიდან დაზღვევით ან სხვა სახით. ასევე დაეხმარება ხაზინა, უკეთუ მემკვიდრეს ან მზრუნველს შრომის უნარდაკარგულის რჩენა არ შეუძლია.

მ უ ხ ლ ი 121.

დაქირავებული მუშა, რომელიც მოხუცებულობით, დაშავებით ან სხვა მიზეზით დაჰკარგავს საკუთარ ან ნაწილობრივ შრომის უნარს, მიიღებს დახმარებას და-

ზღვევის სახით თავის ხელფასის კვალობაზე. დასაზღვევი თანხა უნდა შესდგეს დამქირავებელზე შეწერილ საგანგებო გადასახადისაგან.

ᲛᲣᲮᲚᲘ 122.

გარდა საგანგებო ან ამ მიზნით შეწერილი გადასახადისა ზემოაღნიშნულ მოვალეობათა ასასრულებლად რესპუბლიკის შემოსავლიდან უნდა გადაიდოს ყოველ წლიურად განსაზღვრული ნაწილი.

ᲛᲣᲮᲚᲘ 123.

ნორმალი სამუშაო დრო დაქირავებულთათვის არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს; ამასთანავე კვირაში ერთხელ მუშა უნდა ისვენებდეს განუწყვეტლივ 42 საათს. გამონაკლისს სამუშაო დროის შესახებ განსაზღვრავს კანონი.

სასოფლო მეურნეობასა და სხვა სასეზონო წარმოებაში სამუშაო დროის შეფარდება განსაკუთრებულ პირობებთან განისაზღვრება კანონით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 124.

წარმოებაში 16 წლამდის ყმაწვილის შრომა აკრძალულია; 16—18 წლის მოზარდთათვის სამუშაო დრო განისაზღვრება 6 საათით დღეში; მოზარდთა და საზოგადოთ ქალთათვის ღამით მუშაობა აკრძალულია.

ᲛᲣᲮᲚᲘ 125.

რესპუბლიკის საზრუნავი საგანია განსაზღვროს მინიმუმი ხელფასი და შრომის ნორმალი პირობანი წარმოებაში.

არსდება შრომის ინსპექცია და სანიტარული ზედამხედველობა, რომელიც დამოუკიდებელი უნდა იყოს დამქირავებელთაგან.

ᲛᲣᲮᲚᲘ 126.

განსაკუთრებული კანონი დაიცავს ქალთა შრომას წარმოებაში. აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში; მუშა ქალი მშობიარობის დროს არა ნაკლებ ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგირის მოუსპობლად; დამქირავებელს ევალება ძუძუმწოვარ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები.

მ უ ხ ლ ი 127.

შრომის დამცველ კანონების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

მ უ ხ ლ ი 128.

რესპუბლიკას და ადგილობრივ მმართველობას ევალება დედობის და ბავშვების დაცვისათვის მზრუნველობა.

თ ა ვ ი 14.

ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი

მ უ ხ ლ ი 129.

არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა.

ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა ენაზე.

მ უ ხ ლ ი 130.

ეროვნულ უმცირესობისაგან შემდგარი ადგილობრივ თვითმართველობის ერთეულებს (თემი, ერობა, ქალაქი) უფლება აქვთ შეერთდნენ და დააარსონ ეროვნული კავშირი თავის კულტურულ-განმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად და გასაძღოლად კონსტიტუციისა და კანონის ფარგალში.

ეროვნულ უმცირესობას, რომელსაც ასეთი თვითმართველობის ორგანოები არ მოეპოვება, შეუძლია ამის გარეშეც შეადგინოს ეროვნული კავშირი ამ მუხლში აღნიშნული უფლებითა და კომპეტენციით.

ეროვნულ კავშირში შესვლა ხდება სალაპარაკო ენის მიხედვით.

ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-განმანათლებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სახელმწი-

ფო და თვითმმართველობათა ბიუჯეტიდან გადაიდება ფინანსიური საშვალებები პროპორციულად მცხოვრებთა რაოდენობისა.

მ უ ხ ლ ი 131.

არ შეიძლება შეიზღუდოს ვისიმე პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლება ეროვნულ კავშირში მონაწილეობისას.

მ უ ხ ლ ი 132.

ყოველ ეროვნულ კავშირს შეუძლია აღძრას და დაიცვას სასამართლოს წინაშე ის საქმე, რომელიც ეხება კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებულ ეროვნულ უმცირესობის უფლების დარღვევას.

მ უ ხ ლ ი 133.

საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო, სამოქალაქო, სამხედრო და საქალაქო თუ საერობო სამსახური.

მ უ ხ ლ ი 134.

ეროვნულად ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის გადადებული თანხით დააარსოს საკმაო რიცხვი სკოლების და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებისა მოქალაქეთა ეროვნულ შედგენილობის პროპორციის მიხედვით.

მ უ ხ ლ ი 135.

ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე.

მ უ ხ ლ ი 136.

ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედაენაზედაც.

მ უ ხ ლ ი 137.

არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა

წარმოსთქვას დედა-ენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პარლამენტის პრეზიდიუმს.

დაწვრილებით წესს განსაზღვრავს კანონი.

თავი 15.

სახელმწიფო მოხელენი

მუხლი 138.

საქართველოს მოქალაქე შეიძლება მიღებულ იქნეს ყოველ თანამდებობაზე, თუ კანონის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

მუხლი 139.

მოხელე ან თანამდებობის პირი შეიძლება გადაყენებულ ან დისციპლინარულ წესით დასჯილ იქნეს იმ დაწესებულების ან უფროსის განკარგულებით, ვისგანაც იყო მიღებული, ხოლო სამსახურიდან სრულიად დათხოვნის წესს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 140.

თვითეულ მოხელეს აქვს უფლება პენსიის მიღებისა. მოხელისა და მისი ოჯახის წევრთა მიერ პენსიის მიღების პირობას განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 141.

თვითეული მოხელე პასუხისმგებელია სასამართლოს წინაშე საერთო წესისამებრ.

მოქალაქეს უფლება აქვს პასუხისგებაში მისცეს ყოველი მოხელე საზოგადო წესით მისი დანაშაულისათვის.

მოქალაქეს უფლება აქვს მოსთხოვოს მოხელის უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება სახელმწიფოს.

ანაზღაურების წესი და პირობა განისაზღვრება კანონით.

თავი 16.

სახელმწიფო და ეკლესია

მუხლი 142.

სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებული და დამოუკიდებელნი არიან.

მუხლი 143.

არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა.

მუხლი 144.

ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია.

თავი 17.

კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 145.

კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის ინიციატივის უფლება აქვს:

ა) პარლამენტის წევრთა ნახევრის არა ნაკლებსა და

ბ) 50.000 ამომრჩეველსა.

მუხლი 146.

წინადადება კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვისა პარლამენტის დღიურ წესრიგში დაისმის განსახილველად არა უადრეს ექვსი თვისა შეტანის დღიდან.

მუხლი 147.

კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის პროექტი მიღებულ უნდა იქნეს პარლამენტის ყველა წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. იგი ძალაში შედის მხოლოდ ხალხის უმრავლესობის მიერ დადასტურების შემდეგ.

მ უ ხ ლ ი 148.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნად.

მ უ ხ ლ ი 149.

პირველ პარლამენტის შეკრებამდე მის მაგივრობას გასწევს დამფუძნებელი კრება.

კრებულში მოთავსებული სამართლებრივი აქტების ქრონოლოგიური ნუსხა

1918 წელი

1. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი — მიღებულია 1918 წლის 26 მაისს 3
2. საქართველოს ეროვნულ საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 28 ივნისის კანონი „სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაარსებისა“ 15
3. საქართველოს ეროვნულ საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 2 ივლისის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიისა“ 15
4. საქართველოს ეროვნულ საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 2 ივლისის კანონი „ჯაშუშობის საქმეთა კომისიის გაუქმებისა“ 18
5. „ეროვნულ საბჭოს რეგლამენტი“ მიღებულია ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 5 ივლისს 18
6. საქართველოს ეროვნულ საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 5 ივლისის კანონი „სიკვდილით დასჯისა ზოგიერთ უმძიმეს ბოროტმოქმედებისათვის“ 43
7. საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის 1913 წლის 5 ივლისის კანონი „თბილისის სამოსამართლო პალატის შტატების შემცირებისა“ 44
8. დებულება „ტფილისის საობლო სასამართლოს გაუქმებისა“ — მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 5 ივლისს 45
9. საქართველოს ეროვნულ საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 9 ივლისის კანონი „საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოების და მომრიგებელ შუამავალთა ინსტიტუტის გაუქმებისა“ . 46
10. დებულება „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეო-

ბისა (ქვეშევრდომობისა) — მიღებულია საქართველოს ეროვნულ საბ-ჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 10 ივლისს 46
11. საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 2 აგვისტოს კანონი „რუსეთის საერთო დაწესებულებათა და მათ განყოფილებათა ლიკვიდაციისა“ 47
12. საქართველოს ეროვნულ საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 2 აგვისტოს კანონი „საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციის შტატისა“ 48
13. დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობისა“ მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რეს-პუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 20 აგვისტოს . . 49
14. საქართველოს ეროვნულ საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 20 აგვისტოს კანონი „საქართველოს რესპუბლიკის რეგულია-რული არმიის ორგანიზაციისა“ 53
15. ძირითადი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგა-რისა და მუდმივი ჯარის შევსებისა“ — მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 20 აგვისტოს 55
16. საქართველოს ეროვნულ საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 3 სექტემბრის კანონი „ქართული უნივერსიტეტის სახელ-მწიფო უნივერსიტეტად გამოცხადებისა“ 57
17. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დროებითი ძირითადი დე-ბულება — მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქარ-თველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 3 სექტემბერს 58
18. საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის „1918 წლის 6 სექტემბრის კანონი „განათლების“ საზოგადოების — თამარ მეფის სახელობის — ქალთა საოსტატო სემინარიის მთავრობის გამგებლობაში გადაცემისა 61
19. საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 10 სექტემბრის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის დროშისა“ 62
20. საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 13 სექტემბრის კანონი „ეროვნული უმცირესობათა წარ-მომადგენლობისა საქართველოს ეროვნულ საბჭოში“ . . 62
21. საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 13 სექტემბრის კანონი „სამასწავლებლო ინსტიტუტის და სემინარიების გეროვნებისა“ 63
22. საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 17 სექტემბრის კანონი „სპეკულაციასთან ბრძოლისა“ 63
23. საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 20 სექტემბრის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ღერბისა“ 67
24. დებულება „რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოსა“ —

პუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 20 სექტემბერს . . . 67
. მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რეს-
25. საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 24 სექტემბრის კანონი „მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა“ 71
26. საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 1 ოქტომბრის კანონი „საქართველოს სახელმწიფო ენისა“ 80
27. საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 4 ოქტომბრის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის დროშის პროექტის შედგენის ხარჯისა“ 81
28. დებულება „საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელწოდების შეცვლისა“ — მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 8 ოქტომბერს 82
29. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 11 ოქტომბრის კანონი „იუსტიციის სამინისტროსთან საკოდიფიკაციო განყოფილების დაარსებისა“. 82
30. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 11 ოქტომბრის კანონი „კანონთა გამოქვეყნებისა“ . . 82
31. „წესი ენის ხმარებისა“ — (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის დამატება) — მიღებულია საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 15 ოქტომბერს. 83
32. საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 12 ნოემბრის კანონი „სათამაშო ქაღალდისათვის სახელმწიფო მონოპოლიის დაწესებისა“. 84
33. დებულება „დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“ — მიღებულია საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 22 ნოემბერს 84
34. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 26 ნოემბრის კანონი „საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებისა“ 110
35. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 29 ნოემბრის კანონი „სამკურნალო მადნეული აბანოებისა, წყლებისა და ტალახების სახელმწიფოს კუთვნილებად გამოცხადებისა“. 110
36. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 3 დეკემბრის კანონი „ერობათათვის დახმარებისა“ . . 111
37. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 6 დეკემბრის კანონი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის შესახებ“ 112
38. დებულება „სახელმწიფო კონტროლისა და მისი უწყების საგანთათვის“ — მიღებულია საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 6 დეკემბერს. . . 113
39. დამატება „სახელმწიფო კონტროლისა და მისი უწყების საგანთა დებულების მე-34 მუხლისა“ — მიღებულია საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 6 დეკემბერს. 122

40. „რევიზიის წესდება“ — მიღებულია საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 6 დეკემბერს 130
41. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 13 დეკემბრის კანონი „ძვირფას კულტურულ მამულში პროდუქტების რეკვიზიციისა“ 167
42. დებულება „ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნებისა“ — მიღებულია საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 17 დეკემბერს. 163
43. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 24 დეკემბრის კანონი — „რესპუბლიკის მტრის დახმარებისათვის ქონების კონფისკაციისა“. 177
44. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 27 დეკემბრის კანონი „აღწერილობა საქართველოს რესპუბლიკის ღერბისა“. 177
45. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 27 დეკემბრის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შტანდარტისა“. 178
46. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 27 დეკემბრის კანონი „სამხედრო დროშისა“. . . 178
47. დებულება „აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებისა“ — მიღებულია საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 27 დეკემბერს. 179
48. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 31 დეკემბრის კანონი „სამოქალაქო უქმე დღეებისა“. . 197

1919 წელი

49. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 3 იანვრის კანონი „სამეფო გვარეულობის წევრთა ქონების კონფისკაციისა“. 201
50. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 10 იანვრის კანონი — „დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულების“ შესწორებისა. 201
51. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 10 იანვრის კანონი. — „დამფუძნებელი კრებისათვის არჩევნების დანიშვნისა“. 204
52. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 14 იანვრის კანონი „ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა საარჩევნო დებულების შეცვლისა და დამატებისა“ 204
53. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 14 იანვრის კანონი — „ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოებში ენის ხმარებისა“ 206
54. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919

წლის 17 იანვრის კანონი — „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისა“. 206
55. დებულება „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსი“ — მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 17 იანვარს. 207
56. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 18 იანვრის კანონი — „1919 წლის იანვრის 14-ს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის: „ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა საარჩევნო დებულების შეცვლის და დამატების“ ძალაში შესვლისა“. . 215
57. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 18 იანვრის კანონი — „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან სასანიტარო ინსტიტუტის დაარსებისა“ 215
58. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 28 იანვრის კანონი — „სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებად მიცემისა“ . 217
59. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 28 იანვრის კანონი — „ყოფილ სანადელო, სახაზინო და სხვა მიწების კერძო საკუთრებად გამოცხადებისა“ 222
60. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 28 იანვრის კანონი — „მარიამის საირიგაციო ამხანაგობის გაუქმების და მისი ქონების სახელმწიფოს ხელში გადაცემისა“ . 224
61. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 28 იანვრის კანონი „ადმინისტრაციისა და მილიციის ადგილობრივ თვითმმართველობათა ხელში გადაცემისა“ 224
62. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 30 იანვრის კანონი „საგუბერნიო ადმინისტრაციულ დაწესებულებათა გაუქმებისა და ადმინისტრაციის ინსპექტორის თანამდებობის დაარსებისა“ 225
63. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 30 იანვრის კანონი — „ომიანობის გამო ჯარში გაწვეულ მუშათა და მოსამსახურეთათვის ადგილებისა და ჯამაგირების შენახვისა“ . 227
64. დროებითი დებულება — „მთავრობის მიერ დანიშნულ საგანგებო რევიზიისა“ — მიღებულია საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 30 იანვარს . . 229
65. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 30 იანვრის დროებითი კანონი — „მომრიგებელ სასამართლო დაწესებულებათა ქვემდებარეობის გაფართოებისა“ . . . 230
66. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 31 იანვრის კანონი — „რესპუბლიკის დროებით საგანგებო სასამართლოს ქვემდებარეობის გაფართოებისა“ 235
67. საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 31 იანვრის კანონი „მთავრობის ოფიციალურ ორგანოს „საქართველოს რესპუბლიკის“ დაარსებისა“ 235
68. საქართველოს პარლამენტის 1919 წლის 31 იანვრის დადგენილება „საქართველოს პარლამენტის მოქმედების შეჩერების შესახებ“ 236

69. დეკრეტი — საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შედგენისა — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის 14 მარტს 237
70. კანონი „დამფუძნებელი კრების წევრობისა და მოხელეობის შეუთავსებლობისა და წევრთა გასამრჯელოსი“ — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 4 აპრილს 237
71. „ახალციხის ამბების გამოსარკვევად გაგზავნილ საგანგებო კომისიის მოხსენების გამო“ საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 4 აპრილის დადგენილება 238
72. წესი „დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონის დეკრეტის და დადგენილების გამოქვეყნებისა“ — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 15 აპრილს 239
73. საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 17 აპრილის დადგენილება „სასამართლოს განაჩენის შეცვლის შესახებ შემოსული თხოვნების განხილვისა“ 239
74. „საქართველოს დამფუძნებელი კრების რეგლამენტი“ — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის 25 აპრილს 240
75. დეკრეტი „დამფუძნებელი კრების წევრთა შეუვალობისა“ — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 9 მაისს . . . 267
76. საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 20 მაისის კანონი „ოჯახური მდგომარეობის გამო ჯარში გაწვეულისაგან განთავისუფლებისა“ 268
77. საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 27 მაისის კანონი — „მოქალაქეობისა“ . . . 270
78. საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 17 ივნისის კანონი „უქმე დღეების რიცხვის შემცირებისა“ 273
79. საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 20 ივნისის კანონი „პირველდაწყებით სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად საზაფხულო კურსების მოწყობისა“ 274
80. რატიფიკაცია — „საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკათა შორის დადებული შეთანხმებისა“ — დამტკიცებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის 22 ივნისს . . . 275
81. დეკრეტი „ჯარის ნაწილებიდან გაქცევისა და ნებადაურთველად წასლისათვის დასჯისა“ — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 27 ივნისს 280
82. საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 11 ივლისის კანონი „უძრავ ქონების იძულებით ჩამორთმევისა, დროებით დაჭერისა და მის სარგებლობაში მონაწილეობის

უფლების დაწესებისა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საჭიროებისათვის" 282
83. დეკრეტი „საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემისა" — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 11 ივლისს . . . 290
84. დეკრეტი „დაბა ონის სოფელ მოედნითურთ ქალაქ ონად გამოცხადებისა" — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 18 ივლისს 291
85. საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 29 ივლისის კანონი „საქართველოს სენატის დებულების შემოღებისა" 291
86. „საქართველოს სენატის დებულება" მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 29 ივლისს 295
87. დეკრეტი „კავკასიის მუზეუმის გაუქმებისა და მის ნაცვლად საქართველოს მუზეუმის დაარსებისა" — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 1 აგვისტოს 307
88. დებულება „საქართველოს მუზეუმისა" — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 1 აგვისტოს 308
89. დეკრეტი „საქართველოში ვექილობის უფლების განსაზღვრისა და ნაფიც ვექილთა ახალი საბჭოს არჩევისა" — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 11 ნოემბერს 310
90. რატიფიკაცია „საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკების მთავრობათა შორის დადებული ხელშეკრულებისა, საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ" — დამტკიცებულია 1919 წლის 14 ნოემბერს 312, 315
91. დეკრეტი „დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულების დამატებისა" — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 21 ნოემბერს. 318
92. დეკრეტი „ანარქიის საწინააღმდეგო ზოგიერთი ზომისა" — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 21 ნოემბერს. 318
93. საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 19 დეკემბრის კანონი „ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" 319
94. დებულება „საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის საბჭოსი" — დამტკიცებულია საქართველოს დამ-

ფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 19 დეკემბრის კანონით 320
93. კანონი „სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“ მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 31 დეკემბერს 325
96. წესდება „საქართველოს სახელმწიფო ბანკის“ — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 31 დეკემბერს. 325

1920 წელი

97. საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 27 იანვრის დადგენილება „პოლიტიკურ, საერთო სისხლის სამართლისა და სამხედრო დანაშაულობის ჩამდენთა ხვედრის შემსუბუქებისა“ 359
98. დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 16 მარტის კანონი — „საგვარეულო უძრავ ქონებათა გამოსყიდვის უფლების გაუქმებისა“ 363
99. რატიფიკაცია „საქართველოს და აზერბეიჯანის რესპუბლიკების მთავრობათა შორის დადებული ხელშეკრულებისა“ — დამტკიცებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1920 წლის 19 მარტს. 364
100. საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 30 მარტის კანონი „მომრიგებელი სასამართლოს დაწესებულებათა ქვემდებარეობის გაფართოებისა“ . . . 378
101. დეკრეტი „საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეის დაარსებისა“ — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1920 წლის 30 მარტს. . . 379
102. დებულება „საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეისათვის“— დამტკიცებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1920 წლის 30 მარტს. . . . 379
103. დეკრეტი „დამფუძნებელი კრების წევრებისათვის რესპუბლიკის რკინის გზით უფასოდ მიმოსვლის უფლების მიცემისა“ — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1920 წლის 8 აპრილს 381
104. დეკრეტი „კანონთა გადამსინჯავი დროებითი კომისიის დაარსებისა“ — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1920 წლის 8 აპრილს . . . 381
105. საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 23 აპრილის კანონი „რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსებისა“. 382

106. საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 23 აპრილის დროებითი კანონი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულების შეცვლისა“ 382
107. საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 30 აპრილის კანონი — „სადისციპლინო წესდების დამტკიცებისა“ 383
108. საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 11 მაისის კანონი „უპკეოსი და ჰკეაზე შეშლილის შემოწმების წესისა“. 394
109. საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 28 მაისის კანონი „მკვიდრთაგან მიტოვებულ ყოფილ სახაზინო-სანადელო მიწების სახელმწიფო ფონდში გადასვლისა“ 396
110. დეკრეტი „საისტორიო, საარქეოლოგო, სამხატვრო და სხვა საკულტურო ნივთების საქართველოს რესპუბლიკიდან გატანის აკრძალვისა“ — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1920 წლის 28 მაისს . 396
111. დეკრეტი „აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებული დავა-საჩივრის განხილვის წესისა“ — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1920 წლის 28 მაისს 397
112. საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 29 ივნისის კანონი — „საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭოს დებულების დამტკიცებისა“ . . 398
113. საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 13 ივლისის კანონი „ჯანმრთელობის დეპარტამენტის დაარსებისა“ 400
114. დებულება „საქართველოს ჯანმრთელობის დეპარტამენტისა“ დამტკიცებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლაკის მთავრობის მიერ 1920 წლის 13 ივლისს 401
115. საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 13 ივლისის კანონი „საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის დაარსებისა“ 402
116. დებულება „საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიისა“ — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1920 წლის 13 ივლისს 403
117. საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 15 ივლისის კანონი „მადნეულობის სახელმწიფო საკუთრებად გ. ᲠᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ“ 407
118. საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 14 აგვისტოს კანონი „შრომის ხელშეკრულებისა“ . 408
119. საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 16 აგვისტოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო საშუალო და დაბალი განათლების ორგანიზაციისა“ 431

120. „საშუალო და დაბალი სასოფლო-სამეურნეო განათლების დებულება“ დამტკიცებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1920 წლის 16 აგვისტოს 433
121. წესი „კონსტიტუციის განხილვისა“ — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1920 წლის 16 ნოემბერს . . 442
122. საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 3 დეკემბრის კანონი „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისა“ 443
123. დეკრეტი „ორტაანის ოლქის ფოცხოვის რაიონის ახალციხის მაზრასთან შეერთებისა“ — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1920 წლის 31 დეკემბერს 450

1921 წელი

124. „ამნისტია საქართველოს დამოუკიდებლობის ოფიციალურად ცნობის აღსანიშნავად“ — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1921 წლის 11 თებერვალს . 453
125. „საქართველოს კონსტიტუცია“ — მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს . . 458

СБОРНИК ПРАВОВЫХ АКТОВ ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ ГРУЗИИ

1918—1921

რედაქტორი კ. ცქიტიშვილი
მხატვარი რ. მაჭარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი თ. ხუციშვილი
კორექტორები: ლ. თავართქილაძე, ზ. თეთრაძე

გადაეცა წარმოებას 10.09.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.10.90. საბეჭდი ქაღალდი 84×108 1/32. გარნიტური ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ქაღალდი 21,68. პირობითი საღებავ-გატარება 18,98. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 21,47. ტირაჟ 20.000. შეკვეთა № 1356.

ფასი 3 მან.

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, გრიგოლ რობაქიძის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета по печати Грузинской ССР, пр. Гр. Робакидзе № 7.